ირაკლი ჯორჯაძე

ნარკვევები საქართველოს საშხელრო ხელოვნების ისტორიიდან

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1990

68(2)
ჯ 725

გენერალ-ლეიტენანტი, რსფსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, აკადემიკოსი ირაკლი ჯორჯაძე თავის წიგნში მოგვითხრობს შორეული წარსულის ბრძოლებში შობილ ქართველთა სამხედრო ხელოვნებაზე, მის ძირითად სტრატეგიულ პრინციპებსა და თავისებურებაზე, რაც ხელს უწყობდა შეტევითი, თავდაცვითი და შემხვედრი ბრძოლების წარმოების სრულყოფას. ჟართოდაა წარმოჩინებული ვახტანგ გორგასალის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, გიორგი სააკაძის, ერეკლე მეორისა და სხვათა მიერ ისტორიულად ცნობილ დიდ ომებში გამოჩენილი მხედართმთავრული ნიჭი და სტრატეგიული შორსმჭვრეტელობა, როგორ ყალიბდებოდა თავდაცვით-განმათავისუფლებელ ომებში ქართველთა მებრძოლი ხასიათი, რაინდული კეთილშობილება, ვაჟკაცობა, ქვეყნისადმი თავდადება, როგორ ზრდიდნენ ჩვენი წინაპრები თაობებს მაღალი მებრძოლი სულისკვეთებით და, როგორ ხერხებსა და მეთოდებს იყენებდნენ მათი მეომრული თვისებების გამოსაწრთობად.

ნარკვევში ავტორი გვესაუბრება ქართველი ხალხის თვალსაჩინო წვლილზე სამამულო ომის გამარჯვებაში.

შესაძლოა მკითხველმა სადავოდ მიიჩნიოს ზოგიერთი ისტორიული მოვლენისა და ფაქტის შესახებ ავტორისეული მოსაზრებანი, მაგრამ აზრთა თავისუფალი პლურალიზმისამებრ იხინი უცვლელად იბეჭდება.

რ ე ც ე ნ ზ ე ნ ტ ე ბ ი:
სსრ კავშირის მეცნ. აკად. წყურ-კორესპონდენტი პ. ჭილინი
აკად. ბ. ციციშვილი

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი პროფ. შ. ხანთაძე

1302000000
д————————————1-49—90
M601(08)—89
ISBN 5—529—00227—7

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", 1990.

შესავალი

„ლომი ბორკილს არ დაიდებს,
ან მოკვდება, ან იმეფებს,
შინაური არ გახდება და
ლეკვივით არ იყეფებს".

პაოლო იაშვილი

ქართველები იმ უძველეს ხალხთა რიცხვს მიეკუთვნებიან, რომლებიც კაცობრიობისათვის ცნობილი, პირველი ომების ქარცეცხლში მოექცნენ. ამ ომების ექომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე ათასწლეულის შუახანებიდან მოაღწია. თავდაპირველად მესოპოტამიის დაბლობი და კავკასიონის მთისწინეთის მეტად განვითარებული და წარმტაცი მიდამოები იქცა საომარ სარბიელად. ამ დროიდან მოყოლებული, ომები სულ უფრო და უფრო გააფთრებულ ხასიათს იღებდა, დაუნდობლად სპობდა დიდსა და პატარა ხალხებს, რომლებიც ისტორიის ამ ბარბაროსულ მონაკვეთში ვითარცა ფარვანები წარმოიშობოდნენ და ფარვანებივით სწრაფადვე იღუპებოდნენ. მხოლოდ ისინი, ვინც ძლიერნი იყვნენ ბრძოლაში, სულით გაუტეხელნი, გამრჯენი და ბეჯითნი, გადაურჩნენ დროის მსახვრალ ხელს, მოსპობას, განადგურებას და არსებობისათვის ბრძოლაში შეითვისეს საომარი, გონებრივი და ფიზიკური შრომის მიზანმიმართული წარმართვის ყველაზე მოწინავე ხელოვნება. მათ კარგად ესმოდათ, რომ სამხედრო საქმესა და შრომაში ჩამორჩენილ ხალხს თუ სრული ფიზიკური მოსპობა არა, საკუთარი მეობის დაკარგვა მაინც მოელოდა. სწორედ ამიტომაა, რომ ხალხთა და ტომთა იმ უნიკალურმა ერთეულებმა, რომელთაც თავი დააღწიეს ფიზიკურ განადგურებას უძველეს ხანაში და ჩვენამდე მოაღწიეს, შემოინახეს ფასდაუდებელი სამხედრო ხელოვნების მემკვიდრეობა. მოწინავე სამხედრო ხელოვნების დაუფლებამ ამ ხალხებს მისცა საშუალება, სასწაულებრივად გადაერჩინათ თავიანთი თავი. ამ მხრივ ქართველებს ბედმა გაუღიმა. ისინი განუწყვეტლივ ბრძოლებში ეუფლებოდნენ უმაღლეს სამხედრო ხელოვ-

ნებას, ცოდნასა და გამოცდილებას, რაც მხოლოდ ძველი სამყაროს მეტად განვითარებული სახელმწიფოების ხვედრი იყო. ქართველები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი თავიანთი სამხედრო საქმით ყველაზე განვითარებულ ქვეყნებთან, თავდაპირველად წინააზიასთან, შემდგომ კი აითვისეს ანტიკური პერიოდის, ელინისტური ეპოქისა და დიდი რომის კლასიკური სამხედრო სკოლის მონაპოვარი და იმყოფებოდნენ რა დიდ რომთან სამხედრო კავშირში, მათთან მხარდამხარ შემოაბიჯეს ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში. ასეთსავე მჭიდრო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ ქართველთა ტომები ბიზანტიელებთან. იმის თაობაზე, თუ როგორ აითვისეს ქართველებმა რომაელთა და ბერძენთა სამხედრო ხელოვნება, მოგვითხრობენ თვითონ რომაელთა და ბერძენთა მხედართმთავრები და მოაზროვნეები. მათ შორის უნდა მოვიხსენიოთ განსაკუთრებით ქსენოფონტე, როგორც ბრძოლების უშუალო მონაწილე. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 400 წელს მან მოგვითხრო ქართველთა არნახულ სიმამაცესა და გმირობაზე, ქართველ მეომართა მაღალ სამხედრო ხელოვნებაზე.

საქართველოში ომების წარმართვის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაზე ძლიერი გავლენა მოახდინა ელინიზმის პერიოდმა, რომელიც დაკავშირებული იყო ალექსანდრე მაკედონელისა და მის მხედართმთავართა სამხედრო და სახელმწიფოებრივ გარდაქმნებთან. ქართველებმა უმალ აითვისეს მაკედონელის მოწინავე სამხედრო გამოცდილება, რაც ასე ბრწყინვალედ განაზოგადა მისმა მასწავლებელმა — დიდმა არისტოტელემ. ამ უკანასკნელმა დაწვრილებით აღწერა ეპამინონდის ტაქტიკური პრინციპი ძალების არათანაბრად განაწილებისა. მანვე მოგვითხრო მაკედონელის მეთოდებზე, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოწინააღმდეგის განადგურების საქმეში ცხენოსანი ჯარის, როგორც მოულოდნელი დამრტყმელი ძალის გამოყენებას. ამ ახალი მეთოდებისა და ტაქტიკური პრინციპების გავრცელებას ქართველთა საბრძოლო მოქმედებაში ხელს უწყობდა ის, რომ მათ მჭიდრო კონტაქტები ჰქონდათ მითრიდატე პონტოელის მსგავს ბევრ სარდალთან და ბერძენთა და რომაელთა განთქმული სტრატეგოსების მთელ პლეადასთან. სწორედ კოლხებთან საომარი მოქმედებისას ბერძენმა მხედართმთავარმა ქსენოფონტემ ისტორიაში პირველად აღმოაჩინა და საფუძველი დაუდო ჯარის განლაგებაში სიმჭიდროვის მნიშვნელობას, საჯარისო შენაერთების სიღრმეში მათ დაშლა-დანაწილებას. ნაკლები მანევრირების მქონე ფალანგები მან დაჰყო ცალკეულ რაზმებად — ლოხებად, რამაც ხელი შეუწყო რამდენიმე, სწრაფი მანევრირების მქონე

ტაქტიკური ერთეულის ჩამოყალიბებას. ლოხებს შეეძლოთ დამოუკიდებლად ემოქმედათ მთიანი რელიეფის პირობებში. ქსენოფონტეს ამ სიახლემ დიდი გავრცელება ჰპოვა მთელს მსოფლიოში და დასაბამი მისცა სახეობათა მიხედვით სამხედრო ქვედანაყოფებისა და ცალკეული ნაწილების შექმნას.

შორეული წარსულის ბრძოლებში შობილმა და დაფუძნებულმა ქართულმა სამხედრო ხელოვნებამ შეიმუშავა საკუთარი პრინციპები და შესაძლებლობანი, რომლებიც თაობიდან თაობაში გადადიოდა და ხელს უწყობდა შეტევითი, თავდაცვითი და შემხვედრი ბრძოლების წარმოების სრულყოფას, რაც იმითაც გამოიხატებოდა, რომ ქართველი მოლაშქრენი მეტად საზრიანად იყენებდნენ რთულ, მაგრამ მათთვის კარგად ცნობილ საკუთარ გეოგრაფიულ პირობებს და ამარცხებდნენ ურიცხვ მტერს. სამხედრო გამარჯვებებმა უზრუნველყო ქართველი ერის გადარჩენა. ეს გამარჯვებები კი შედეგი იყო მთელი ხალხის ძალების ერთად თავმოყრისა. მრავალბრძოლაგამოვლილი და მოწინავე სამხედრო ხელოვნებაში გონებაგაწვრთნილი მხედართმთავრები და სარდლები საშშობლოს დამცველ გმირ მეომრებთან ერთად იბრძოდნენ მშობლიური მიწისათვის. არც ომებში დამარცხების სიმწარე მოჰკლებია ქართველ ხალხს: საშინელი ომებისაგან გაპარტახებული მიწები, გადაბუგული ქალაქები და განადგურებული სოფლები, თითქოსდა გასრესილი ხალხი მაინც აღმდგარა მკვდრეთით ფერფლიდან და ახალ-ახალი, უფრო ბრწყინვალე გამარჯვებებისთვის მიუღწევია მასზე რიცხვით ათჯერ უფრო მეტი რაოდენობის მოწინააღმდეგეზე. ქართველობა, გამდიდრებული ახალი საომარი საშუალებების ათვისებით, ბრძოლებში იწრთობოდა, იბრძმედებოდა და ისეთ მებრძოლ სახელს იძენდა, რომ თავზარს სცემდა ყველაზე ძლიერ მტერსაც კი. რომაელებმა და ბიზანტიელებმა აღმოსავლეთში 10 საუკუნის მანძილზე თავის სამხედრო საყრდენად მამაცობითა და ვაჟკაცობით განთქმული იბერიელები გაიხადეს. ეს უკანასკნელნი კი რომაელ ჯართან ერთად და დამოუკიდებლადაც სპარსელებს, პართელებს და მრავალ სხვას ბევრჯერ წარმატებით ებრძოდნენ.

ასეთი გაუთავებელი ომების ქარცეცხლში, გამარჯვებების საომარ აღტყინებასა და დამარცხებების სიმწარეში იწრთობოდა ქართველი ხალხის საომარი ოსტატობა. — არაბებისა და მონღოლთა შემოსევები, თემურ ლენგის გაუთავებელი ლაშქრობები, ნიადაგ ცბიერ, ეშმაკ და დაუნდობელ მტრებთან ულმობელი შეჯახებები, თურქებთან და ირანელებთან ბრძოლა — აი, რას გაუძლო ქართველმა ხალხმა.

გაუთავებელი უთანასწორო ო ები მუსულმანურ სამყაროსთან საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ მომთავრდა. უძველესი ქართული საომარი ოსტატობა შეერწყა სახელგანთქმულ რუსულ, საომარ ხელოვნებას. იგი პეტრე დიდის, სუვოროვისა და კუტუზოვის დახვეწილ სამხედრო ხელოვნებასთან წილნაყარი შეიქნა. ამიერიდან ქართველობა ომებში რუსებთან ერთად გამოდიოდა. ამჯერად რუსეთის მტრებთან ბრძოლებში დაიფერა ქართული იარაღი. ერთობლივი ბრძოლები საერთო მტრების წინააღმდეგ 200 წლის განმავლობაში დაუძლეველ ძალად იქცა, რამაც თავი იჩინა ჯერ რევოლუციისა და სამოქალაქო ომის ბრძოლებში, მერმე კი დიდ სამამულო ომში.

ხალხთა სიცოცხლისუნარიანობის ყველაზე მკაცრ შემოწმებას ომებით გამოცდა წარმოადგენს. როგორც უკვე ვთქვით, ისინი, ვინც ვერ უძლებდნენ ომებს, იღუპებოდნენ და ჰქრებოდნენ ისტორიული არენიდან. მხოლოდ იმ ხალხს შეუძლია განაგრძოს არსებობა და თავისი კვალი დასტოვოს კაცობრიობის განვითარების ისტორიაში, რომელსაც შესწევს დიდი ფიზიკური ძალა, რწმენა და მხნეობა სულისა. ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ომების წარმოების ხელოვნების ისტორია, ხალხების ფიზიკური არსებობისათვის ბრძოლის ისტორიაა, უმთავრესი და უპირველესთაგანია ისტორიულ მეცნიერებათა იმ განშტოებებს შორის, რომლებიც ხალხებს შეისწავლიან.

ქართველი ხალხის ომებისა და სამხედრო საქმის ისტორიის შესწავლისათვის, სამწუხაროდ, ძალზე ცოტა რამ არის გაკეთებული. არ არის გაანალიზებული მთლიანობაში, თუ რით იყო ეს ხალხი ისტორიულად ძლიერი და საქვეყნოდ განთქმული. უფრო მეტიც, საქართველოს სამხედრო ისტორიაში არ არის განზოგადებული ადამიანი — მეომრის სახე, რიგითი იყო ის თუ მხედართმთავარი, არ არის გაშუქებული მათი აღმზრდელი დედის, ქართველი დედაკაცის სახე, რომელიც თავისი მებრძოლური და მაღალი სულიერი თვისებებით ტოლს არ უდებდა მამაკაცს. საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, ყოველმხრივ დეტალურად გავარკვიოთ, რამ შეაძლებინა ამ მებრძოლ ხალხს არსებობის შენარჩუნება, რა იყო ის უდიდესი შთამაგონებელი ძალა, რომელიც ამარჯვებინებდა ამდენ უთანასწორო ბრძოლაში, რა ზრდიდა ქართველ კაცში ესოდენ თავგანწირულ ერთგულებას სამშობლოსადმი, როგორ ეუფლებოდა ასე ოსტატურად იარაღის ხმარებას, მხედრულ ჯომარდობას, ფიზიკურ წრთობას.

ამის თაობაზე ერთგვარ ცნობებს გვაწვდიან ჰეროდოტე, ქსენოფონტე, სტრაბონი და სხვა გამოჩენილი ბერძენი და რომაელი მხედართ-

მთავრები და ისტორიკოსები. სრულიადაც არ არის გასაკვირი, რომ ამ მცირერიცხოვანი ხალხის სამხედრო ხელოვნების ბრწყინვალე მიღწევები ამ საქვეყნოდ გამოჩენილ უცხოელთა საგანგებო მსჯელობის საგანი გახდა. ქართველები და მათი წინაპრები ხომ 44 საუკუნის მანძილზე ტოლს არ უდებდნენ ურიცხვ მტრებს. მათი ქვეყანა გარეშე მტერთა მუდმივი თავდასხმების საასპარეზო იყო და ბავშვობიდანვე გამოუმუშავდათ მებრძოლისათვის აუცილებელი ყველა თვისება: იარაღის ხმარების, ცხენზე ჯირითის შესანიშნავი უნარი, სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული, რომლისთვისაც უყოყმანოდ სწირავდნენ სიცოცხლეს. ამას ერთვოდა ქართველი სარდლების სტრატეგიული და მხედართმთავრული განსაცვიფრებელი ნიჭი, მათი შორსმჭვრეტელობა, სწორედ ამ თვისებებს მათთვის და სამშობლოსათვის სიკეთესთან ერთად დიდი უბედურებაც მოჰქონდა. საუკუნეების მანძილზე საქართველოს მეზობელი ძლიერი ქვეყნების მბრძანებლები ყოველნაირად ცდილობდნენ თავიანთი ქვეყნის სამსახურში ჩაეყენებინათ ქართველთა მხედართმთავრული და მეომრული სიქველე. საუკუნეების მანძილზე იწრთობოდა და ვითარდებოდა ამ მცირე ხალხის საომარი ხელოვნება. იგი თავის საკუთარ სტრატეგიას ხვეწდა და აუმჯობესებდა დაუსრულებლივ, აფართოებდა, ამაღლებდა ტექნიკური ხერხების არსენალს, ეს იყო რიცხობრივად შეუდარებლად აღმატებულ მტერთა წინააღმდეგ გამარჯვების სტრატეგია, რამაც ქართველებს არა ერთი ისტორიული გამარჯვება მოუტანა და შორს გაუთქვა სახელი მათს სამხედრო ხელოვნებას, მოუტანა ჭეშმარიტი დიდება და აღიარება. დღეს არავის არ აოცებს, რომ ამ მცირე ხალხის წიაღში გამობრწყინდა შარავანდედით მოსილი გმირობა ორასი დიდგორელი, სამასი არაგველი და ორას რვა კახელი რაინდისა, რომლებიც „სასიკვდილოდ კი არ იდგნენ“, არამედ „სიკვდილზე მიიწევდნენ“ და წარბშეუხრელად შესწირეს სამშობლოს თავიანთი სიცოცხლე. გავიხსენოთ ფარსმან II, რომლის სიმამაცის აღსანიშნავად და მის პატივსაცემად რომში, მარსის მოედანზე, მისი ქანდაკება აღმართეს; უკვდავი ვახტანგ გორგასალი, რომელსაც მოღალატემ იღლიაში ისარი სტყორცნა და მაინც განაგრძობდა ბრძოლას მტრის სრულ დამარცხებამდე; დავით აღმაშენებელი, დიდი არმიების წინააღმდეგ მცირე ჯარებით გამარჯვების სტრატეგიის შემქმნელი; თამარ-მეფე თუ მისი მეფობის გენიალური პოეტური მეისტორიე და საქართველოს „ოქროს ხანის“ სტრატეგიული აზროვნების კლასიკოსი შოთა რუსთაველი; შეუდარებელი სარდალი გიორგი სააკაძე თუ ერეკლე მეორე — უბრძნესი სარდალი-პოლიტიკოსი, რუსეთთან სამუდამო ძმო-

ბისა და მეგობრობის დამამკვიდრებელი, საქართველოს ბედის მხსნელი. ანდა ვის შეუძლია აღწეროს ქართველი სახალხო გმირების საარაკო სიმამაცე და მათი თავდადება სამშობლოსათვის? განა ბევრს ვიცნობთ ისტორიაში ისეთი მაღალი სულის ბუმბერაზ ადამიანებს, შეუპოვარ მებრძოლებს, როგორებიც იყვნენ ძმები მხეიძეები, ცოტნე დადიანი, ცხრა ძმა ხერხეულიძე და წმიდანად შერაცხული მათი დედა? მღვდელი თევდორე, რომელმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად სუსანინის მსგავსად შეიტყუა მტრის ჯარები გაუვალ ხეობაში და ამით აღსასრული განუმზადა მათ; გარეშე და შინაურ მტერთა რისხვა მაია წყნეთელი, სამასი მტრის ამჩეხავი შეთე გულუხაიძე, რუსი მხედართმთავრების მხარდამხარ მებრძოლი დიდი ქართველი სარდლები, პეტრე დიდის პირველი ფელდცეხმაისტერი ალექსანდრე ბაგატიონი, სუვოროვის სამხედრო სკოლის ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე წარმომადგენელი, ბოროდინოს ბრძოლის დიდება პეტრე ბაგრატიონი, ჩვენი პარტიის და სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე იოსებ სტალინი, რომლის სამხედრო შორსმჭვრეტელობამ ერთ-ერთი გადაწყვეტი როლი შეასრულა მეორე მსოფლიო ომში კბილებამდე შეიარაღებული ფაშისტ დამპყრობთა ურდოების სრულ განადგურებაში.

წიგნის მიზანია წმინდა სამხედრო თვალსაზრისით ნაწილობრივ მაინც შეავსოს ქართველი ხალხის და მისი წინაპ რი ტომების მიერ საუკუნეების მანძილზე სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის გადახდილი ომების შესწავლაში არსებული ხარვეზები, გააცნოს მკითხველს ქართველ მეომართა გმირობისა და მშობლიური ქვეყნისათვის თავდადების საარაკო მაგალითები, განაზოგადოს ქართველი ხალხისა და მისი სარდლების ისტორიულად საქვეყნოდ ცნობილ დიდ ომებში გამოჩენილი ტალანტი და სტრატეგიული შორსმჭვრეტელობა, აგრეთვე ის, თუ როგორ ყალიბდებოდა ამ განუწყვეტელ განმათავსუფლებელ ომებში ქართველთა მტკიცე ხასიათი, რაინდული კეთილშობილება, ვაჟკაცობა, ქვეყნისადმი თავდადება, როგორ ზრდიდნენ ჩვენი ინაპრები თაობებს მაღალი მეომრული სულისკვეთებით და როგორ ხერხებსა და მეთოდებს იყენებდნენ მათი საბრძოლო თვისებების გამოსაწრთობად; რაოდენ დიდ სამსახურს უწევდა მათ ამ საქმეში ქართველი ხალხის მაღალგანვითარებული მეურნეობა, განათლება და კულტურა, და ბოლოს, როგორ გაიფურჩქნა და აყვავდა ეს სახელოვანი ტრადიციები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა შემდეგ.

თავი პირველი

სამხედრო ხელოვნება საქართველოში ძველეს ხანასა და ანტიკურ პერიოდში

„ეაქკაცსა უნდა უყვარდეს
საშობლო, თვისი ერია,
არ შედრკეს, თუნდა ბუზივით
ეხვიოს თავზე მტერია.

არ გადიწყვიტოს იმედი,
არ შეიცვალოს ფერია,
თორემ დაგმობს და დაწყეველის
მოძმე და მთელი ერია".

ხალხური

კაცობრიობის ისტორიაში პირველი ომი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2470 წლით არის დათარიღებული*. ეს იყო ომი ტიგროსისა და ევფრატის შუამდინარეთში არსებულ ქალაქებს — უმასა და ლაგეშს შორის. ომები ჯაჭვური რეაქციისებრ სწრაფად გავრცელდა მესოპოტამიის ველებიდან კავკასიონის დიდ ქედებამდე, მთელი წინა აზია კი საომრად იყო გამზადებული ეგვიპტისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის წინააღმდეგ.

მრავალ ტომთა შორის (რომლებიც იმ პერიოდში წინააზიაში ცხოვრობდნენ) პირველი ომების ორომტრიალში ქართველთა უძველესი წინაპრებიც მოექცნენ. იმ ხანებში წარმოებული ბრძოლების ძირითად მიზანს მონებისა და ალაფის მოპოვება შეადგენდა. რაც შეეხება საგანგებო სამხედრო ძალებს, არმიებს, ასეთი რამ იმ დროს არ არსებობდა, იბრძოდა მთელი ხალხი და მათ შორის ქალებიც. ხალხი და მხედრობა

* ომებს, ამ სიტყვის უშუალო გაგებით, პირველყოფილი თემური წყობილების დროს ადგილი არ ჰქონია. იყო მხოლოდ შეიარაღებული შეტაკებანი ტომებს შორის, რომლებიც კლასობრივ ხასიათს არ ატარებდა და არსებობისათვის ბრძოლის საშუალებას წარმოადგენდა. კლასობრივი ხასიათის ომები კერძო საკუთრების აღმოცენების შემდგომი პერიოდების აუცილებელი თანმხლები მოელენა გახლდათ.

განუყოფელი იყო, რაც ხელს უწყობდა უძველესი დროიდან ქართველური ტომების ურთიერთდაახლოებას. ქართველ ტომთა გაერთიანებას ჯერ კიდევ უძველეს ხანაში შეუწყო ხელი გარეშე მტრებთან დაუსრულებელმა ბრძოლებმა, სწორედ ამან იხსნა ისინი სრული განადგურებისაგან. დაუსრულებელ სამხედრო შეტაკებებში, რომლებიც მრავალი საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა, შესაძლოა ქართველები, ისევე როგორც უამრავი სხვა ტომი და ხალხი, გამქრალიყვნენ, რომ არ შეესწავლათ და არ აეთვისებინათ ბრძოლის წარმართვა ჭარბი, მრავალრიცხოვანი მტრების წინააღმდეგ. მით უმეტეს როგორც უძველესი წარწერები გვამცნობენ, წინააზიაში ქალაქებისა და სახელმწიფოების წარმოშობასთან ერთად ვითარდებოდა სოფლის მეურნეობა და კულტურა; იხვეწებოდა სამხედრო ხელოვნება.

სამხედრო საქმის თეორიული საფუძვლების შემუშავება და მისი პრაქტიკული დანერგვა, მოწინავე სამხედრო ხელოვნების ყველა მიღწევათა ათვისება, საკუთარი საბრძოლო მეთოდების გამომუშავება მტრებთან დაუნდობელ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში იყო უმნიშვნელოვანესი პირობა იმისა, რომ ეარსება ქართველ ხალხს. ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ ჩვენს მამაც წინაპრებს, რომ მათ უძველეს ხანაში გაითქვეს სახელი, როგორც შესანიშნავმა მებრძოლებმა. ამასთან ისინი მოკავშირე ჯარებთან ერთად მონაწილეობდნენ ლაშქრობებში და შეადგენდნენ მთავარ დამკვრელ ძალას. მათ იყენებდნენ ბრძოლებში ყველაზე კრიტიკულ მომენტებში. სავარაუდოა, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულის მეორე ნახევარში ეგვიპტის წინააღმდეგ ხეთების ლაშქრობაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ ქართველთა წინაპარ ტომებს.

ხეთების სამეფო, რომელიც წარმოიქმნა ჩვ. წ. აღ-მდე XVII საუკუნეში, მცირე აზიის ცენტრალურ ნაწილში, წარმოადგენდა მეომარ მთიელ ტომთა გაერთიანებას. ჩვ. წ. აღ-მდე XV—XII საუკუნეში ხეთებმა განახორციელეს ექსპანსია ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით და ხელში ჩაიგდეს ისტორიული საქართველოს შავზღვისპირა და სამხრეთი რაიონები, შექმნეს უძლიერესი სახელმწიფო. სირიის ხელში ჩაგდებისა და შემომტკიცების მიზნით ხეთებმა დაიწყეს ხანგრძლივი ომები ეგვიპტესთან. ხეთების პოლიტიკური კურსი ეყრდნობოდა საუკეთესო საბრძოლო თვისებების მეომრებითა და საბრძოლო ეტლებით აღჭურვილ მძლავრ სამხედრო სისტემასა და მოქნილ დიპლომატიას, მათ სამხედრო წარმატებებს უზრუნველყოფდა უზარმაზარი სამეფოს ყველა ტომის (და მათ შორის, ალბათ, ძველ ქართველთა) მიზიდვა არმიაში. ომების მსოფლიო ისტორიაში შემონახულია ცნობები ჩვენამდე

მოღწეული ერთ-ერთი პირველი ბრძოლის შესახებ, სადაც სრულადაა აღწერილი ჯარების დაჯგუფებები, მხარეთა გეგმები, ბრძოლების მსვლელობა და მათი შედეგები. ეგვიპტელი ავტორი პენტაურომი, რომლის პოემაც სრული ტექსტითა და მთელი ომის სურათებით შემოინახა კარნაკის ტაძარში, დაწვრილებით აღწერს ჩვ. წ. აღ-მდე 1312 წელს კადეშთან გამართულ ბრძოლას ეგვიპტელებსა და ქვეითთა არაერთგვაროვანი ორგანიზაციული შემადგენლობისა და საბრძოლო ეტლების მძლავრი დაჯგუფების მქონე ხეთთა ჯარებს შორის.

ადრინდელ ომებში ხეთებმა სძლიეს ეგვიპტელებს და ხელში ჩაიგდეს სირია, სადაც მბრძანებლობდნენ ფარაონები. ხეთებმა სირიაში თავის საყრდენ სტრატეგიულ პუნქტად გაიხადეს ქალაქი კადეში (თანამედროვე ტელ-ნები-მენდ, ქალაქ ხომსის მახლობლად) და გადააქციეს იგი მუდმივ გარნიზონად, ციხე-სიმაგრედ. ჩ. წ. აღ-მდე 1312 წ. ომში ბრძოლის დაწყების წინ ხეთებისა და მათი მოკავშირეების ძირითად ძალას წარმოადგენდა 30000 მებრძოლი და 2500 საბრძოლო ეტლი.

ხეთებს ჰქონდათ ცნობები, რომ ეგვიპტელებმა კადეშის მიმართულებით წამოიწყეს ლაშქრობა. ხეთების მეფე მუვატალუმ მოუყარა თავი ძალებს კადეშის ჩრდილოეთით, შემდეგ კი დააზუსტა რა ცნობები ერთმანეთისაგან მოწყვეტით მომავალ ეგვიპტელთა კოლონების არაორგანიზებული მოძრაობის შესახებ, მდ. ორონტის ორგზის გადალახვით შეასრულა ფლანგური მანევრი კადეშის სამხრეთ-აღმოსავლეთით და მოულოდნელად დაარტყა ეგვიპტელებს ფლანგზე და ზურგში, რითაც მათი კოლონები ნაწილებად გათიშა (იხ. სქემა № 2).

ეგვიპტის ფარაონი რამზეს II 30000-იანი ჯარითა და საბრძოლო ეტლებით დაიძრა პალესტინიდან და მეცამეტე დღეს მიუახლოვდა კადეშის მისადგომებს, თუმცა მისი ოთხი დამოუკიდებელი რაზმი, რომელთაც ღვთაებათა სახელები „ამონი", „ფხატი", „რა" და „სუტეხი" დაანათლეს, ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად იყვნენ დაცილებულნი.

ეგვიპტელთა დაზვერვამ ვერ აღმოაჩინა მოწინააღმდეგე, ხეთებმა კი მიგზავნილი მსტოვრების საშუალებით შეცდომაში შეიყვანეს რამზეს II. მას ეგონა, რომ ხეთები ჯერ კიდევ შორს, ჩრდილოეთით იყვნენ და რამზეს II გამოეყო არმიას თავისი რაზმით „ამონით" და მეწინავეებთან (ფანგარდთან) ერთად ბანაკი დასცა კადეშის ჩრდილო-დასავლეთით. ამ დროს კი მთავარი ძალების ცენტრში მშვიდად მოძრავმა რაზმმა „რამ" ხეთების საბრძოლო ეტლების მოულოდნელი და მასობრივი დარტყმა განიცადა და განადგურდა.

ხეთებმა განაგრძეს ეგვიპტელების დევნა სამხრეთიდან და დასავლეთიდან, შეიჭრნენ „ამონის“ ბანაკში და ისეთი მძიმე დარტყმა მიაყენეს, რომ თვით რამზეს II აღმოჩნდა ალყაში. სწრაფ და მანევრულ მოქმედებაში, ეგვიპტელთა რაზმის დანაწევრებასა და გარშემორტყმაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს ხეთურმა ეტლებმა.

ფარაონი გადაარჩინა რაზმების „ფხატისა“ და „სუტეხის“ მოსვლამ. ისინი ჩამორჩნენ და კვალდაკვალ მოჰყვებოდნენ ფარაონის რაზმს. მათი ხეთების ზურგში შემოჭრა მოულოდნელი აღმოჩნდა და ამან რამზეს II იხსნა დატყვევებისაგან.

საომარი მოქმედებანი განახლდა მეორე დღეს. მოწინააღმდეგეთა ჯარები განლაგდნენ სამ ეშელონად წინ წამოწეული საბრძოლო ეტლებით. დაიწყო ბრძოლა ინიციატივის ხელში ჩასაგდებად, უპირატესად ეტლების დაჯგუფებათა დარტყმების გამოყენებით. ამით დაიწყეს ეგვიპტელებმაც.

ბრძოლა მიმდინარეობდა ცვალებადი წარმატებებით. ხეთების ზურგი საიმედოდ იყო დაცული კადეშის ციხე-სიმაგრით, მარჯვენა ფლანგი კი მდ. ორონტითა და ქვეითთა ჯარის რვაათასიანი დაჯგუფებით. რამზეს II-ემ ისარგებლა ხეთების ღია მარცხენა ფლანგით, ეტლებით შეიჭრა მათ ზურგში და სწრაფი დარტყმით შეაღწიეროვა ისინი კადეშისაკენ. აქ კი ჩასაფრებული რაზმის დარტყმით ხეთებმა უკუაგდეს ეგვიპტელები, რომელთა საერთო დანაკარგმა მებრძოლთა შემადგენლობის ნახევარი შეადგინა.

რამზეს II-ემ უარი თქვა საბრძოლო მოქმედებათა შემდგომ გაგრძელებაზე და დაბრუნდა ეგვიპტეში. საომარი შეტაკებანი ხეთებსა და ეგვიპტელებს შორის დიდხანს გრძელდებოდა, და ბოლოს, ჩვ. წ. აღ-მდე 1296 წ. ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას „სამუდამო მშვიდობის დამყარების“ შესახებ, რომელიც წარმოადგენს პირველ საერთაშორისო დოკუმენტს ისტორიაში.

ხეთთა სამეფოს უზარმაზარ სისტემაში, ვფიქრობთ, მოქცეულნი იყვნენ ქართველთა წინაპარი ტომების ერთი ნაწილი. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მათში სამხედრო ტაქტიკისა და სტრატეგიის მრავალი დამახასიათებელი რამ დამკვიდრდა ჯერ კიდევ იმ შორეული დროიდან.

მრავალრიცხოვანი უცხოური და ძველი ქართული წყაროების მიხედვით, პონტოს მიდამოებში, ძველქათულ ტერიტორიაზე, ქართველმა მეტალურგებმა ჩვენს წელთაღრიცხვამდე XIV საუკუნეში მსოფლიოში პირველებმა შეიმუშავეს რკინისაგან ფოლადის მიღების ტექ-

ნოლოგია და ფართოდ გაავრცელეს იგი დასავლეთსა და აღმოსავლეთში; ბიბლიაში ქართველები მოხსენიებული არიან როგორც რკინის დამუშავების პიონერები, რომლებმაც სათავე დაუდეს ძირფესვიან გარდაქმნებს როგორც მეტალურგიაში, ასევე შეიარაღებაში.

სამხედრო საქმისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ძველი ქართველი მეტალურგები დიდი რაოდენობით ამზადებდენ ფოლადს „ბრწყინვალესა და უჟანგავს, ვითარცა ვერცხლს", ამ ფოლადისაგან მეიარაღე ოსტატებმა გამოჭედეს ხმლები, მახვილები, ხმლის პირები, ხანჯლები და სხვა სახის ცივი მჭრელი და მჩეხავი იარაღები. მათ სწორედ ამ იარაღით გაითქვეს სახელი მსოფლიოში, ხოლო თავიანთ მეომრებს ხელთ მისცეს შესანიშნავი საბრძოლო იარაღი, რომელსაც წარმატებით იყენებდნენ. ბრინჯაოსაგან გაკეთებული მძიმე, მოკლე და ნაკლებად ბასრი მახვილის ნაცვლად ქართველმა მეომარმა მიიღო მსუბუქი, ფხიანი, მნიშვნელოვნად უფრო გრძელი, მოხერხებული, მოქნილი და სანდო ფოლადის ხმალი, რაც პრინციპულად სცვლიდა სამხედრო ხელოვნებას, განსაკუთრებით მთებში, სადაც ბრინჯაოს მძიმე იარაღის ტარება და მანევრირება მოუხერხებელი იყო.

არამყარი და მძიმე ბრინჯაოს ნაცვლად ფოლადის გამოყენებამ დასაბამი მისცა მსუბუქი საომარი ეტლების შექმნას, რომლებიც შემდგომ მოხვდნენ ეგვიპტეში, ასურეთსა და სპარსეთში (იხ. ნახ. № 1). თავისთავად ცხადია, ფოლადის მჭრელი, ცივი იარაღის შემოღება და საბრძოლო ეტლები, რომლებიც სამწვერა ხელნით იყო გაწყობილი და აღჭურვილი ცელებით, სამხედრო ხელოვნების სრულყოფის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. მებრძოლთა რაზმები, რომლებიც იყენებდნენ საბრძოლო ეტლებს, განლაგდებოდნენ ქვეითთა ჯარის საბრძოლო რიგებში, უმეტესად პირველ მწკრივში გაჭრილ მწყობრში და შეიჭრებოდნენ მტრის ჯარის შუაგულში და შლიდნენ მის მწყობრს. საბრძოლო ეტლების წინ მსუბუქ მოისართა, ქვეითთა ჯარი განლაგდებოდა. ცხენის მართვა და იარაღით — შუბებთ, ისრებითდა მახვილით მოქმედება ხდებოდა ურთიერთდაუკავშირებლად. საბრძოლო ეტლები ადვილად იჯავშნებოდა, ხოლო ცხენებს ფარავდნენ ჯაჭვკურტაკით.

შემდეგშიც, ანტიკურ პერიოდში ქართველ მეომრებს ხელჩართული ბრძოლების საწარმოებლად ჰქონდათ საუკეთესო იარაღი. ხელჩართულ შერკინებაში, მცირე ომის დროს, ყოველმხრივ შიშვლდებოდა და მეღავნდებოდა პიროვნების სულიერი, ფიზიკური და მებრძოლური თვისებები, იარაღის ხმარებისა და ცხენის ფლობის უნარი, ადგილმდე-

ბარეობის ცოდნა, გაწვრთნილობა, გაწაფულობა, გამოცდილება და გონიერება. ამიტომ ხელჩართული ბრძოლის მომზადებისა და წარმართვისათვის, შერკინებისა თუ ცალკეულ შეტაკებათა დროს თვით სარდალთა ინდივიდუალური ასპარეზობის ჩათვლით, საჭირო იყო და ცოდნასთან ერთად განსაკუთრებით ფასობდა სულიერი და ფიზიკური მონაცემები ადამიანებისა, რომელთა მეშვეობითაც კომპლექტდებოდა ჯარი. მეომრის პიროვნების ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ოჯახს ენიჭებოდა, პირველ რიგში დედას, მერმე ბუნებრივ და საზოგადოებრივ გარემოცვას, ცოდნას, უნარს და ვარჯიშს. მეომრის მაღალპატრიოტული სულისკვეთებით აღზრდა და მასში მტკიცე და საიმედო ფიზიკური მონაცემების განვითარება ყრმობიდანვე იწყებოდა, ასევე მისი პიროვნული და კოლექტიური სამხედრო მომზადებაც. ისინი იარაღს ატარებდნენ ნადირობის დროს, ეს აუცილებელი იყო ყველა მამაკაცისათვის როგორც წმინდათაწმინდა სახელმწიფოებრივი მოვალეობა. ნადირობა მებრძოლთა სწავლებად ითვლებოდა და მას „ლაშქარ-ნადირობა" ერქვა, ხოლო მონაწილეს — „მებრძოლი - მონადირე". ეს ტერმინი განაზოგადებდა ნადირობის სამხედრო არსს, როგორც სხვადასხვა მასშტაბის სამხედრო თამაშებს, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ სამხედრო წინამძოლები. აქ ერთდროულად ეწყობოდა ყველა სახის იარაღის ფლობის ხელოვნებაში, ქვეითთა და ცხენოსანთა წრთობაში შეჯიბრება; იმართებოდა ხალხში დიდად პოპულარული ქართული ჭიდაობა, ცხენჯომარდობა. ასე იწრთობოდნენ ფიზიკურად და სულიერად ძლიერი, მომზადებული, ნავარჯიშევი მებრძოლები. სწორედ მათ გაუთქვეს სახელი ქართველ ხალხს, რომელთა წიაღში ათასობით აღიზარდნენ შესანიშნავი მხედართმთავრები, მებრძოლები, მოჭიდავეები, მოჯირითენი. აი, რატომ ცდილობდნენ საქართველოზე მომძლავრებულნი, ანდა საქართველოს სამხედრო მოკავშირენი, თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ უნიკალური საბრძოლო თვისებების ქართული ფენომენი. სწორედ მათი მეშვეობით წყვეტდნენ ისინი ყველაზე რთულ საბრძოლო ამოცანებს. ისინი ქართველ მხედართმთავრებს უყოყმანოდ ანდობდნენ თავიანთ ჯარებს შორეულ ლაშქრობებში.

ჯარის მართვის სხვადასხვა ხერხებს საფუძველი უმთავრესად ხელჩართულ ომებში ეყრებოდა. ცნობილია, რომ თავდაპირველად ბრძოლა ტომებს შორის არაორგანიზებულ ხასიათს ატარებდა, იარაღის სრულყოფასთან ერთად მისი უკეთ გამოსაყენებლად საჭირო გახდა მეომრების გააზრებული განლაგება, ასე წარმოიშვა კოლონები, რომლებიც ღრმა შიდა წყობაში მოქმედებდნენ, შემდეგ კოლონების ფრონტი უწყვე-

ტლივ იზრდებოდა, ხოლო მათი სიღრმე მცირდებოდა. ჯარის მოქმედება მოკლევადიანი ლაშქრობებით ისაზღვრებოდა, მერმე შეიმჩნევა მათი ხანგრძლივობის თანდათანობით გაზრდის ტენდენცია.

სტრატეგია სულ უფრო ღრმად სწვდებოდა ომის მომზადების მეთოდების სრულყოფას, რაც გამოიხატებოდა სამხედრო მოქმედების თეატრის შესწავლაში, ჯარების მართვაში, ბრძოლის ადგილისა და დროის შერჩევაში, მთავარი დარტყმის მიმართულების განსაზღვრაში და ჯარის უზრუნველყოფაში.

ტაქტიკა რთულ და მრავალმხრივ ფორმებს ღებულობდა. იგი გამიზნული იყო ცხენოსანი და ქვეითთა ჯარის მანევრირებისათვის.

მუშავდებოდა და ინერგებოდა მსუბუქ მოისარ-ქვეითთა მძიმედ შეჯურვილ ცხენოსან ჯართან და საბრძოლო ეტლებთან მოქმედების შერწყმა, რაც ძალზე ზრდიდა ჯარის მანევრირებას და მოძრავუნარიანობას. როგორც წესი, საბრძოლო მოქმედება იწყებოდა სასროლი იარაღების გამოყენებით და ვითარდებოდა მსუბუქი ქვეითებისა და ცხენოსანი ჯარის ფრონტალური და ფლანგური დარტყმებით, ამას გამოდევნება და საფარში განლაგებული ძალების გამოყენება მოჰყვებოდა.

მთელი ომის ბედს უმეტესად ერთი ბრძოლა წყვეტდა, რომელშიც მოწინააღმდეგე მხარეების მთელი საბრძოლო ძალები მოქმედებდა, რაც ხშირად მრავალ ათეულ ათას ადამიანს მოიცავდა.

ასურეთი ჩვენს წელთაღრიცხვამდე II ათასწლეულის ბოლოს ცდილობდა დაეპყრო წიაღისეულით: ოქროთი, ვერცხლით, რკინით მდიდარი, სურსათით უხვი საქართველოს მიწები, სადაც მაღალ დონეზე იდგა მეცხოველეობა და განსაკუთრებით მეცხენეობა, გამოჰყავდათ საბრძოლო, სადოღე, სატვირთო და სხვა მრავალი დანიშნულების საუკეთესო ცხენთა ჯიშები.

თვით ძველი ასურეთის წერილობითი წყაროებიდან ცნობილია ასურელების მრავალი შემოსევა საქართველოში და ის თავდადებული და ორგანიზებული სამხედრო წინააღმდეგობა, რომელსაც უწევდა ქართველი ხალხი ამ ურიცხვ, ძლიერ მტერს.

ასურეთის მეფის ტიგლატფალასარის დროს, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1100 წელს, როგორც ლურსმული წარწერები გვამცნობენ, ქართველები იმდენად ძლიერნი ყოფილან, რომ თვით ასურეთს ემუქრებოდნენ. ამ ცნობებს აგსებს ასურეთის მეფე სალმანასარ II, რომელიც აღნიშნავს ისტორიულ საქართველოში ქალაქებისა და ციხე-სიმაგრეთა სიუხვეს. იმ ხანებში ქვეყნის მშარდ ძლიერებას მოწმობს დიდი ომი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1112 წელს ასი-

რიელებთან. „ნაირის ქვეყნების“ (რომელშიაც შედიოდნენ ქართველთა გაერთიანებული ტომები) ბელადი იყო სიენი, რომელიც დამარცხდა ურიცხვ მტერთან ბრძოლაში, მაგრამ მან უზარმაზარი ზიანი შიაყენა ასურელებს (იხ. სქ. № 1).

ისტორიაში ცნობილია ასურეთის მეფე—სარგონი, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 714 წელს ურიცხვი ჯარით კალიასავით შემოესია საქართველოს და შესძლო სწრაფად დაემარცხებინა ნაჩქარევად შეკრებილი ქართველთა პატარა-პატარა ჯგუფები. სარგონი მხეცურად უსწორდებოდა ხალხს და თავის ჩანაწერებში სიამოვნებით იხსენებს თავის ჯალათურ ნამოღვაწევს: ასურის ჯარებით,—წერს სარგონი,—მე კალიასავით დავფარე მათი ქალაქები... დავწვი მათი საცხოვრებელი სახლები... პურითა და ქერით სავსე ბეღლები... ვუბრძანე ჩემს მეომრებს, წაერთმიათ, ნადავლით დაეტვირთათ ცხენები, აქლემები, ჯორები და სახედრები და წამოეღოთ ჩემს ბანაკში.

ქვეყანა სრულიად განადგურდა, ხალხი მთებსა და კლდეებს აფარებდა თავს. სარგონი მოგვითხრობს ვენახებსა და ბაღებზე, რომლებიც იძლეოდნენ „წვიმასავით უხვ მოსავალს“ და აღფრთოვანებულია იმ შესანიშნავი ღვინით, რომელსაც პირდაპირ ტიკებიდან სვამდნენ მისი მეომრები და ილეშებოდნენ. სარგონი დაუფარავად მოგვითხრობს აგრეთვე იმ ამაყ და უდრეკ ტომებზე, რომლებიც ბრძოლებში დიდ ზიანს აყენებდნენ მას. იგი გაოცებული იყო ქართველთა ცხენოსნობით და იარაღის ხმარების ხელოვნებით. ისინი ერთნაირად ძლიერნი იყვნენ ცხენზე ამხედრებულნიცა და საომარ ეტლში მებრძოლნიც. ისტორიაში ცნობილია, ასურულმა საომარმა ეტლებმა საქართველოში შეიძინეს დიდი საბრძოლო გამოცდილება. მასში შებმული იყო საგანგებოდ გახედნილი და საბრძოლო ადგილებში კარგად გაავარჯიშებული და შეგუებული ცხენები. სარგონი გვაწვდის ცნობებს ქალაქების, ციხე-სიმაგრეთა ხაგებობების შესახებ, რომლებსაც გარს ერტყა ღრმა თხრილები და სქელგალავნიანი კოშკური სისტემები. ასეთი ქალაქები განლაგებული იყო მთავარ სტრატეგიულ პუნქტებში, არა მარტო ქალაქები, არამედ ქვისა და აგურისაგან მკვიდრად ნაშენი საცხოვრებელი შენობებიც თავდაცვის პუნქტებს წააგავდა. მთებზე აშენებდნენ საგანგაშო კოშკებსა და ანძებს, საიდანაც კოცონებით ატყობინებდნენ ერთმანეთს მტრის მოახლოებას.

უძველესი დროიან ქართველი ხალხის სამხედრო ორგანიზაცია თავისებურებით ხასიათდებოდა და გააჩნდა სხვათაგან გამორჩეული სტრუქტურა, სადაც სწავლება და სამხედრო წვრთნა ხორციელდებოდა

ორგანიზებული არმიების გარეშე—თვით ხალხის მიერ, რომელიც თაობებს გადასცემდა საბრძოლო გამოცდილებას. ხალხი და არმია ორგანულად იყო შერწყმული და მას „ერს“ უწოდებდნენ. ასე რომ, ძველად სიტყვა „ერი“ ხალხისა და მხედრობის ერთიანობასაც გულისხმობდა.

ხალხი და არმია იბრძოდა ერთად, თანაზიარად, ბრძოლაში სარგებლობდნენ თანაბარი უფლებებით და საფუძვლად ედოთ საბრძოლო მეგობრობა. ხალხი ასრულებდა „წინაპართა სამხედრო კანონს“. იცოდა, ამ უკანასკნელის დარღვევა ყველაზე მძიმე დანაშაული იყო და ისჯებოდა მკაცრად. წინაპართა კანონების რწმენისა და ხალხის სიძლიერის საფუძველი იყო: გულწრფელობა, პატიოსნება, საბრძოლო მეგობრობა, დისციპლინა და უფროსებისადმი პატივისცემა, სტუმართმოყვარეობა, სიმამაცე, ვაჟკაცობა, თავგანწირვა, მტრისადმი სიძულვილი, ზიზღი მოღალატის მიმართ.

ომისათვის მზადება და მეომრების საბრძოლო წრთობა ტარდებოდა საჯაროდ სათემო საბჭოს ხელმძღვანელობით, რომელიც აერთიანებდა რმდენიმე სოფლის სამხედრო ძალას.

სათემო საბჭო აწარმოებდა ყველა საქმეს, წყვეტდა ომის საკითხებს, თემის ყოველი წევრი ითვლებოდა მეომრად; ჰქონდა თავისი იარაღი და ჰყავდა საბრძოლო ცხენი. დაკავებული იყო პირადი საბრძოლო მომზადებით, ოსტატურად ფლობდა იარაღს და მონაწილეობდა სამშობლოს მტრისაგან დაცვაში. გარეშე მტრების თავდასხმის დროს ყველა თემი ერთიანდებოდა მტრის წინააღმდეგ ბრძოლისათვის და თავს არიდებდა ყოველგვარ შინაურ კონფლიქტებს. თემი გამოისყიდდა ხოლმე ტყვედჩავარდნილ თავის მეომარს და დახმარებას უწევდა ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახებს.

ყველაზე მძიმე დანაშაულად ითვლებოდა სამხედრო ღალატი, სიმხდალე ბრძოლაში, ბრძოლის ველიდან გაქცევა, მტრისადმი დახმარება, რისთვისაც გათვალისწინებული იყო სიკვდილით დასჯა. მთელი ოჯახის მოკვეთა და სახლის დაწვა.

თემის უხუცესს, რომელიც მართავდა მთელ სამხედრო საქმეებს, ირჩევდნენ სოფლის ყრილობაზე სრულწლოვანი მამაკაცები. ირჩევდნენ ყველაზე ჭკვიან მამაკაცს, პატიოსანს, გამოცდილს და გონიერს განუსაზღვრელი ვადით, მაგრამ ხალხის მიერ მისი შეცვლის უფლებით ნებისმიერ დროს. უპირატესობა ეძლეოდა იმას, ვინც თემისათვის ბრძოლებში ავლენდა უდიდეს სიმამაცეს, გონიერებას, კეთილშობილებასა და ვაჟკაცობას, ვინც პირველი იყო შრომასა და ბრძოლაში.

ომის ყველა საკითხს უხუცესი წყვეტდა თავყრილობაზე, გამოცდილ

და ნდობით აღჭურვილ პირებთან მოთათბირების შემდეგ, რომლებსაც შეეძლოთ მიეღოთ ან უარეყოთ მისი გადაწყვეტილება.

თემის უხუცესნი ერთიანდებოდნენ კავშირში რეგიონების მიხედვით. მათ ჰქონდათ თავიანთი სახალხო დროშა. თემთა კავშირი თავის კრებაზე ირჩევდა გაერთიანებული ძალების სარდალს, რომელიც მანამდე რჩებოდა მის სათავეში, ვიდრე ითვლებოდა საუკეთესო მეომრად და ბრძენ მხედართმთავრად. ერთგულება საბრძოლო მეგობრობაში ურყევად იყო დამკვიდრებული. მეგობრის ღალატი იწვევდა ისეთ ზიზღს, რომელიც ყოველგვარ სასჯელზე საშინელი იყო. საერთოდ, წინაპართა კანონები სამართლიანად მკაცრი იყო და ეყრდნობოდა თანასწორუფლებიანობასა და ურთიერთპატივისცემას. კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებისა და იერარქიათა წარმოქმნის შემდეგ მეფეები და მასთან დაახლოებული პირები სათავეში ჩაუდგნენ სამხედრო მმართველობას, მაგრამ სამხედრო ორგანიზაციის სახალხო ხასიათი საქართველოში ძალიან დიდხანს უცვლელი რჩებოდა.

გამოჩენილი მხედართმთავარი და მწერალი ქსენოფონტე, რომელმაც ბრძოლებით გაიარა სამხრეთი საქართველო ჩვენს წელთაღრიცხვამდე 400 წელს, აღნიშნავს იქ არსებულ ტომთა შორის უთანასწორობას. იგი მიუთითებს ღარიბსა და მდიდარს შორის ცხოვრების ყოფისა და აღზრდის პირობების განსხვავებულობაზე. ტომებს ჰყავდათ მოთავენი, რომელთაც ქსენოფონტე მეფეებს უწოდებს, გლეხ-მონათა ხარჯზე ცხოვრობდნენ კარგად გამაგრებულ და დაცულ სასახლეებში, იბრძოდა კი ყველა ერთად.

სტრაბონის ცნობით, აღმოსავლეთ საქართველო ანუ ქართლი იყო ძლიერი, კარგად ორგანიზებული სახელმწიფო, რომლის უმაღლეს მფლობელად და მბრძანებლად ითვლებოდა მეფე. მას ჰქონდა ტიტული: „მეფე ქართველთა დიდებული". მეფე ამასთან იყო უმაღლესი მთავარსარდალი. ძველ კოლხეთსაც ასეთივე სახელმწიფოებრივი და სამხედრო მმართველობა ჰქონდა. სტრაბონი ამტკიცებს, რომ „...სვანები თავისი გმირობით და სამხედრო სიძლიერით სჯობიან ყველა ცნობილ ხალხს. ისინი ცხოვრობენ კავკასიის მაღლობებზე... ჰყავთ მეფე და სამასი მრჩეველი, ომის დროს, როგორც იუწყებიან, შეუძლიათ გამოიყვანონ 200000 მეომარი. უფრო სრულ ცნობებს საქართველოში ომებსა და მის სამხედრო ხელოვნებაზე ვხვდებით ძველ ბერძნულ წყაროებში, დაწყებული ძვ. წ. აღ. V საუკუნიდან ჰეროდოტეს, არისტოტელეს, ქსენოფონტეს შრომებში. ქსენოფონტემ, როგორც უკვე ვთქვით, ბრძოლებით გაიარა მთელი სამხრეთი საქართველო და კოლხებთან ბრძოლის დროს

აღმოაჩინა სამხედრო ხელოვნების ოთხიდან ერთ-ერთი მთავარი ტაქტიკური პრინციპი.

ჰეროდოტემ ძვ. წ. აღ. V საუკუნეში შექმნა ქართველთა ტომების სახელმწიფოებრივი წარმონაქმნებისა და სხვადასხვა ადგიოთა დასახელების რუკა (სქემა № 1). იგი ასაბუთებს გაცხოველებული ვაჭრობის მნიშვნელობას ბერძნებსა და ქართველებს შორის და მიგვითითებს შავი ზღვის სანაპიროზე ქალაქებისა და სავსადგურების მშენებლობის აუცილებლობაზე, ამ ობიექტების შესაბამის სამხედრო და სამხედრო-საზღვაო სტრატეგიაზე. ბერძნებმა დააარსეს საქართველოში ქალაქები: ფაზისი (ფოთი) — მდინარე ფაზისის (რიონის) შესართავში, დიოსკურია (სოხუმი), პითიუნთი (ბიჭვინთა). სამხრეთით კი კოლხეთის სამეფოში შედიოდა ტრაპიზონი და ქერასუნტი (პირესუნი). კოლხების დედაქალაქი მდებარეობდა მდინარე ფაზისზე (რიონზე) და ერქვა აია.

ჰეროდოტე აღწერს საქართველოს როგორც ოქროთი, ვერცხლით, რკინით, ცხოველებითა და მცენარეულით მდიდარ ქვეყანას. ბერძენ ვაჭრებს გაჰქონდათ საქართველოდან ოქრო, ვერცხლი, რკინა და ფოლადის ნაწარმი, ტყავი, ხე-ტყე, ბეწვეული, ქსოვილები, ხოლო შემოჰქონდათ საიუველირო ნაწარმი, ჭურჭელი, ქსოვილები, სხვადასხვა პროდუქტები, ნელსაცხებლები. ბერძნები ასწავლიდნენ ქართველ ახალგაზრდობას თავიანთ ოსტატობას. განსაკუთრებით საზღვაო საქმეს და თავადაც ბევრ სასარგებლოს იძენდნენ ადგილობრივი ხელოსნებისაგან. ამ ურთიერთობისათვის დამახასიათებელი იყო გაცხოველებული გაცვლა-გამოცვლა სამხედრო და სამხედრო-საზღვაო საქმეთა გაცნობაში, ურთიერთ ენების შესწავლა, კულტურის მიღწევათა თანაზიარობა და ა. შ.

თანდათანობით ხდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა გაერთიანება. ამ გაერთიანებათა ცენტრად მიიჩნევენ ისტორიულ უფლისციხეს. ყოველმხრივ მზადდებოდა ნიადაგი ქართველ ტომთა კიდევ ერთი სახელმწიფოს შექმნისათვის.

ეს პერიოდი ემთხვევა სპარსეთსა და მაკედონიას შორის კავკასიაში ჰეგემონიისათვის ბრძოლაში ურთიერთობის უკიდურესად გამწვავების ხანას. სპარსეთი ცდილობდა დაეჩქარებინა იბერიის სამეფოს შექმნა და მის ტახტზე აეყვანა სასურველი ორიენტაციის კაცი, განემტკიცებინა იქ პოზიციები ყველა სფეროში და უზრუნველეყო ადგილობრივ ხელისუფალთა სრული მხარდაჭერა. მაგრამ ალექსანდრე მაკედონელის მიერ მეფე დარიოსის 331 წელს გავგამელთან დამარცხების შემდეგ სპარსეთის ტერიტორიის დასაპურობად ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ პროვინ-

ციებში მან გაგზავნა თავისი ცხენოსანი და ქვეითთა ჯარების ნაწილები. საქართველოში გამოგზავნილ ლაშქარს კი თავისი ნათესავი აზონი უსარდლა.

საქართველოში შემოსული მაკედონელთა არმია იმთავითვე დაუძლეველ წინააღმდეგობას წააწყდა, ძვრა ვერ უყო საგანგებოდ გამაგრებულ ციხე-სიმაგრეებს, ხალხი თავგანწირვით იბრძოდა თითოეული გოჯი მიწისა და სიმაგრისათვის. მარტო სარკინესთან, ძველი მცხეთის მიდამოებში, 11 თვის მანძილზე ვერც იერიშით და ვერც ალყით ვერაფერი დააკლო ქართველთა ამ შეუპოვარ გარნიზონს. ეს მაშინ, როდესაც 333 წელს მაკედონელთა ჯარებმა დაიპყრეს 40 ქალაქზე მეტი და მხოლოდ ორი ქალაქი აიღეს ხანგრძლივი ალყით — ორთვიანი ალყით გიბა და შვიდთვიანი ალყით — თირა.

აზონმა ბოლოს მაინც შესძლო ქართლის დაპყრობა. მან ულმობლად გაუსწორა ანგარიში სპარსეთის ორიენტაციის ხელისუფალთ. მერმე განურჩევლად მიჰყო ხელი ხალხის ჟლეტასა და ძარცვას. სამი ათეული წელი იდგა ხელისუფლების სათავეში აზონი, სისასტიკისა და გულქვაობის გამო მას მემატიანენი „სისხლისმსმელს" უწოდებენ.

ალბათ არა ერთი აჯანყება და შეთქმულება მოეწყო მის წინააღმდეგ, მაგრამ საბოლოოდ მისი დამარცხება და განდევნა მხოლოდ ფარნაოზმა შესძლო — იბერთა პირველმა სახელოვანმა მეფემ. აზონთან ბრძოლაში დიდი დახმარება გაუწია სირიის მეფემ ანტიოქოსმა. თავის მეზობლებთან ფარნაოზმა მჭიდრო ეკონომიკური და სამხედრო კავშირი დაამყარა, ხოლო სახელმწიფოს შიგნით მთისა და ბარის მოსახლეობისაგან შექმნა ერთიანი საბრძოლო ბანაკი.

დიდმა სამხედრო ნიჭმა და ცოდნამ ფარნაოზს საშუალება მისცა შეედგინა მახვილგონივრული გეგმა აზონის წინააღმდეგ საბრძოლველად. მან გადაწყვიტა გაეერთიანებინა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ძალები, დაემარცხებინა მტერი მთელს ტერიტორიაზე, რასაც უნდა მოჰყოლოდა საქართველოს გაერთიანება. ამ მიზნით მან თავის ნათესავს, ეგრისის ერისთავს ქუჯის გაუგზავნა მიმართვა თხოვნით, გაერთიანებულიყვნენ საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ქუჯიმ ფარნაოზს ამცნო თანხმობა და ასევე იმის აუცილებლობა, რომ გაერთიანებული ლაშქრობისათვის ეხელმძღვანელა ერთ წინამძღოლს — ფარნაოზს.

ფარნაოზმა შეიერთა ოსეთისა და ლეკეთის ჯარები და გაერთიანებული ლაშქრით დაიძრა მცხეთისაკენ. საქართველოს დედაქალაქთან მიახლოებისთანავე აზონის ლაშქრის 1000 მებრძოლი გადავიდა ფარ-

ნაოზის მხარეს. აზონს შეეშინდა მცხეთასთან ბრძოლისა, ჯარით კლარჯეთისაკენ დაიხია და იქ გამაგრდა. ფარნაოზმა აიღო მცხეთა, გაათავისუფლა ქართლის მთელი ტერიტორია და დაიწყო მზადება აზონის საბოლოო დამარცხებისათვის კლარჯეთში. როგორც აღვნიშნეთ, მან ძღვენი გაუგზავნა სირიის მეფეს ანტიოქოსს და დახმარება სთხოვა, რომლისგანაც მიიღო სრული თანხმობა. მან ფარნაოზს თავისი „შვილი" უწოდა, გაუგზავნა ძვირფასი გვირგვინი და უბრძანა თავის ჯარებს, დახმარებოდნენ საქართველოს.

ფარნაოზმა არტაანისკენ დაძრა ჯარები. სწორედ იქ გაიმართა ბრძოლა. აზონმა სრული დამარცხება იგემა. ამ ბრძოლაში მოკლეს აზონი. მისი ჯარები ტყვედ წაასხეს. კლარჯეთი ქართლს შეუერთდა.

ამგვარად, თანმიმდევრულ, ღრმად გააზრებულ სამხედრო მოქმედებას შედეგად მოჰყვა საქართველოს პირველი გაერთიანება ერთიან სახელმწიფოდ. მისი ფუძემდებელი იყო ფარნაოზი, რომელმაც დასაბამი მისცა ფარნაოზიანთა დინასტიას.

როგორც ცნობილია, ფარნაოზმა რეგიონების თავისებურებათა გათვალისწინებით დიდი შორსმჭვრეტელობით დაჰყო საქართველო „საერისთავოებად", რაც ხელსაყრელი იყო შემდგომ ომებში მჭიდრო ერთიანობისათვის.

საქართველოს რვა საერისთავოდ დაყოფას ძირითადად სამხედრო-ორგანიზაციული და სამოქალაქო ინტერესები ედო საფუძვლად. დაყოფა ხდებოდა სამხედრო ოლქებში ჯარის სწრაფი შეკრების მიზნით, რაც ლაშქრის ბრძოლაში დაუყოვნებლივ ჩაბმის საშუალებას იძლეოდა ერისთავის წინამძღოლობით. ამ დროიდან ერისთავებისაგან იქმნება თავისებური კასტა, რომელმაც საუკუნეების მანძილზე შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა და არსებობა. ამრიგად, ქართველი ტომების სუსტი და დროებითი გაერთიანება შეიცვალა მთელი ხალხის სახელმწიფო და სამხედრო გაერთიანებით. ფარნაოზმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო იბერიაში ახალ ციხე-სიმაგრეთა მშენებლობასა და ძველთა გამაგრებას განსაკუთრებით დედაქალაქ მცხეთაში (იხ. ნახ. № 2).

ამ მოვლენების განვითარება დაიწყო IV საუკუნის დასასრულსა და III საუკუნის დასაწყისში ჩვენს წ. აღ-მდე. ფარნაოზი მაშინ 27 წლისა იყო. ბავშვობაში იგი აღსაზრდელად მთიელებთან გაგზავნეს, სადაც მიიღო კარგი ფიზიკური და საომარი წრთობა. შემდეგში დიდი გულმოდგინებით ეუფლებოდა ცოდნას და „შექმნა მწიგნობრობა ქართული", გამოაველინა დიდი ტალანტი, იყო მრავალმხრივ განვითარებული პიროვნება.

სამხედრო-ეკონომიკური ძლიერების აღმავლობის ხანაში ქართველთა ტომები გავლენას ახდენდნენ მაშინდელი სამყაროს ისტორიულ განვითარებაზე და არაერთხელ მონაწილეობდნენ ბრძოლებში თავიანთი ქვეყნის საზღვრებს მიღმა. ასე იყო ქართველთა ინაპრების პირველ სამხედრო ლაშქრობაში, ეგვიპტეში - 40 საუკუნის წინ და ასირიაში 30 საუკუნის წინათ. საქართველოს პირველი სახელმწიფოებრივი გაერთიანების დროს ხალხის ძალა და რწმენა სრულ აპოგეას აღწევს და მას უნარი შესწევს რიცხობრივად ჭარბი მტერიც კი დაძლიოს. ამის შედეგად ხალხს მშვიდობიანი ცხოვრების, ეკონომიკისა და კულტურის ინტენსიურად განვითარების შესაძლებლობა ეძლევა. ქართველთა ტომების ისტორიულად უფრო სუსტი და მერყევი გაერთიანება შეიცვალა მთელი ხალხის სტაბილური სახელმწიფოებრივი და სამხედრო გაერთიანებით, რასაც უფრო გამოკვეთილი ორგანიზაციული სიმჭიდროვე ახასიათებდა, ამასთან ნათელი სტრუქტურა და მმართველობის ყველა იერარქიული საფეხურის დისციპლინარული ზემოქმედების უნარიც გააჩნდა.

65 წელი მეფობდა ფარნაოზი, იცოცხლა 92 წელი და ამ ხნის მანძილზე საქართველომ აღიარება ჰპოვა, როგორც სამხედრო-პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად განვითარებულმა ქვეყანამ.

ფარნაოზმა ქვეყნის შიგნით გაატარა გონივრული სახელმწიფო და სამხედრო რეფორმები, რომლებმაც საქართველოს სახელმწიფოებრივი ძლიერება უზრუნველყო. ამაღლდა ხალხის კულტურა და განათლება.

როგორც უკვე ითქვა, ფარნაოზმა ჯერ კიდევ IV ს. მიწურულსა და III ს. დასაწყისში შექმნა ქართული დაბეჭდვითი ხელოვნება და ფართოდ გაავრცელა ქართული ენა, რამაც ხელი შეუწყო ეპოქის კულტურული მემკვიდრეობისა და სხვა ხოვინავე, განსაკუთრებით ბერძნულ-რომაული სამხედრო ხელოვნების ათვისებას.

ქსენოფონტეს ეკუთვნის პირველი სამხედრო-თეორიული ნაშრომი „ანაბაზისი", სადაც დააშუშავა „რჩევები ცხენოსანთა უფროსებისათვის" და თხზულებაში „მოგონებები სოკრატეზე" წამოჭრა ტაქტიკისა და სტრატეგიის ერთიანობისა და მათ შორის განსხვავების საკითხი. თავის მრავალრიცხოვან შრომებში ქსენოფონტეს პირველად შემოაქვს ეპამინონდის პრინციპი ჯარების არათანაბარი განაწილებისა ფრონტის ხაზის გასწვრივ და იძლევა მისი საომარი წესის განსაზღვრას. მან დაამუშავა ტაქტიკის, შეიარაღების, ორგანიზაციის საფუძვლები, ჯარების დაკომპლექტების, მათი სწავლებისა და აღზრდის პრინციპები. მაგრამ ქსენოფონტეს უმნიშვნელოვანესი წვლილი გახლდათ სამხედრო ხე-

ლოვნებაში მჭიდროდ დარაზმული ჯარის დაყოფა ცალკეულ რაზმებად. ამის თეორიული გააზრება და პრაქტიკული განხორციელება სამხედრო ხელოვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა იყო. იგი ქსენოფონტემ გამოიყენა კოლხეთის მთებსა და ტყეებში. კოლხების წინააღმდეგ გამართულ მძვინვარე ომებში ბერძნების მძიმე ფალანგა მნიშვნელოვან დანაკარგებს განიცდიდა კოლხების მანევრული ჯგუფებისა და დაჯგუფებებისაგან. ქსენოფონტემ, სარდლობდა რა საქართველოზე გამოლაშქრებულ ჯარებს, გადაწყვიტა ფალანგის დაყოფა ცალკეულ რაზმებად, ეგრეთ წოდებულ ლოხებად, და ამით შეექმნა რამდენიმე ტაქტიკურად დამოუკიდებელი ქვეჯგუფი, რომლებიც იმოქმედებდნენ მთიან ადგილებში. მაგრამ მათ მოქმედებას, ბრძოლას ერთი მიზანი აერთიანებდა. ყოველივე ამან დიდი ეფექტი გამოიღო, სახელდობრ, ხელი შეუწყო ქსენოფონტეს ჯარების ოპერატიულ წინსვლას. განაზოგადა რა კოლხებთან ბრძოლის გამოცდილება, ქსენოფონტემ მოგვცა აღწერა მისი პრინციპებისა, რომლებიც სამხედრო ხელოვნების საკუთრებად იქცა.

ქსენოფონტე თავის შრომებში იძლევა საქართველოს სამხედრო ოსტატობის მაღალ შეფასებას, აღწერს ქართველთ ნიჭიერებას. იგი აღტაცებით წერს ძლიერ, დამოუკიდებელ და მებრძოლ ქართველ ხალხზე, რომელიც გასაოცარი დაჟინებით იბრძოდა დაკარგული ტერიტორიის დაბრუნებისათვის.

ქსენოფონტე დაწვრილებით აღწერს სამხრეთ-საქართველოს ტომების სამხედრო აღჭურვილობას, უკავშირებს მათ სამთო საქმეს და მეტალურგიას, რომელიც უძველესი დროიდან იყო ცნობილი ტრაპეზუნტის დასავლეთ მიდამოებში. გვაცნობს ფოლადისაგან დამზადებულ ხმლებს. ხანჯლებს და შუბებს. შუბები სხვადასხვა სახის და ზომისა იყო. ქართველი მებრძოლის სამხედრო აღჭურვილობის აღწერაში ქსენოფონტე მიუთითებს მსუბუქ, ხარისტყავგადაკრულ, მოწნულ ფარებზე. იმ ხანებში მებრძოლი თავს იფარავდა ტყავის ან ხის მუხარადით, სხეულს კი დაგრეხილი სელისაგან დამზადებულ აბჯრით. მებრძოლები ნაბდებს ატარებდნენ.

ქსენოფონტე აღნიშნავს, რომ ქართველები დახელოვნებული ზღვაოსნები იყვნენ, რასაც ოსტატურად იყენებდნენ ბრძოლის დროს.

როგორც ომის თვითმხილველი, ქსენოფონტე აღნიშნავს, ქართველები უნარიანად იყენებდნენ რა თავიანთ ციხე-სიმაგრეთა სისტემას, გაშმაგებულ წინააღმდეგობას უწევდნენ მათ ტერიტორიაზე შემოჭრილ ბერძნებს და დიდ ზიანს აყენებდნენ. მტრის წინააღმდეგ მთელი

ხალხი დედაწულიანად ერთად იბრძოდა. როდესაც ბერძნები დიდი წვალებით აიღებდნენ ციხე-სიმაგრეს, ისინი მოწმენი ხდებოდნენ იმისა, თუ როგორ აგდებდნენ ქართველი დედები თავიანთ შვილებს უფსკრულში და შემდეგ თან მიჰყვებოდნენ მათ. ასევე იქცეოდნენ მამაკაცებიც, ისინი სიკვდილს ამჯობინებდნენ მონობას. ერთი ბერძენი, მოხიბლული ქართველი მებრძოლის ძვირფასი სამოსით, გამოეკიდა მას, რომ გზა გადაეღობა უფსკრულისაკენ, მაგრამ ქართველი ჩააფრინდა ბერძენს, დაითრია და ორივე დაიღუპა. ასე იქცეოდნენ არა მარტო რიგითი მებრძოლები, არამედ წარჩინებულნიცა და სარდლებიც. ისინი უარს ამბობდნენ მტრის მიერ ცეცხლმოკიდებული ხის კოშკებიდან გამოსვლაზე და იწვოდნენ ადგილზე. თვალით ნანახმა უფლება მისცა ქსენოფონტეს დაესკვნა, რომ ქართველები უმამაცესი ადამიანები იყვნენ, თავისუფლებისმოყვარენი, ამაყნი, რომლებიც დაუფიქრებლად სწირავდნენ სიცოცხლეს სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის.

საქართველოზე, როგორც ზღაპრულ ქვეყანაზე, ჯერ კიდევ იმ უძველეს დროში შეიქმნა ლეგენდები, გადმოცემები და მითები.

ჩვენამდე მოღწეული ზოგიერთი ძველბერძნული მითი უშუალოდ საქართველოს ეხება. ესენია ამბავი ამირანის[1] და ოქროს საწმისის შესახებ. პრომეთეს ამბავში ასახულია თავისუფლებისმოყვარე, გმირი დაკეთილშობილი ადამიანების ბრძოლა ბოროტ, ბნელ ძალებთან. ასეთი მაღლამდგარი და ვაჟკაცური ღირსებებით იყო შემკული სულით და სხეულით ძლიერი ჭაბუკი პრომეთე, რომელმაც ზევსს მოსტაცა ცეცხლი და მიუტანა ხალხს, თანაც ასწავლა მისი გამოყენება და ამრიგად, აამაღლა ისინი ნამდვილ ადამიანურ მდგომარეობამდე, შესაძლებლობა მისცა დაემუშავებინათ ლითონი, შეექმნათ შრომისა და თავდაცვის იარაღები, განრისხებულმა ზევსმა პრომეთე კლდეზე მიაჯაჭვა კავკასიონის მთებში. მიაჯაჭვა და მიუჩინა არწივი, რომელიც პრომეთეს ღვიძლს უკორტნიდა, მაგრამ ღვიძლი ღამის განმავლობაში ისევ შეშდებოდა და მთელდებოდა. პრომეთე ყოველგვარ ტანჯვას ამაყად იტანდა, უარყოფდა ზევსის ყველა მოთხოვნას. ეს ჭეშმარიტი ტიტანი საკუთარ თავს ღმერთებზე მაღლა აყენებდა. პრომეთე ტანჯვისაგან იხსნა ჰერაკლემ. მან მოჰკლა არწივი და დაამსხვრია ჯაჭვები, რომლითაც შებორკილი იყო პრომეთე.

---

[1] გამოკვლევათა თანახმად პრომეთეს მითი უშუალოდ ეხმიანება ძველ ქართულ ეპოსს ამირანზე, შექმნილს 4 000 წლის წინათ. იგი მისი ანალოგიურია ფორმითაც და შინაარსითაც და რაც მთავარია, პრომეთეც და ამირანიც მიჯაჭვულია ერთსა და იმავე ადგილზე — კავკასიონის დიდ ქედზე იალბუზთან.

ამირანის ეპოსი, რასაკვირველია, ყველა დეტალით არ ემთხვევა პრომეთეს მითს, მაგრამ ერთსაც და მეორესაც ერთი დედააზრი უდევს საფუძვლად — გაბედეს თვით ღმერთთან შებრძოლება!

დღეს საქართველოში შექმნილია დიდების გრანდიოზული მემორიალი მითიური გმირის ამირანის სახით, რომელსაც ერთ ხელში ლამპარი უპყრია, ხოლო მეორეში — ხმალი — ყოველგვარი ბოროტების დასათრგუნად. მეორე მითი ოქროს საწმისის შესახებ ეხება საქართველოს იმ ნაწილს, რომელსაც უძველესი დროიდან კოლხეთი ეწოდება. მითში ასახულია კოლხეთის უძლიერესი და უმდიდრესი მეფის აიეტისა და მისი ქალიშვილის მედეას ცხოვრება. ამ მითს ლიტერატურაში „არგონავტიკის" სახელით იცნობენ და ამ თემაზე არაერთი შესანიშნავი ლიტერატურული შედევრი შეიქმნა ელინური ხანიდან დღემდე. საწმისი კოლხეთში ჩაიტანა ბერძენმა ფრიქსემ და უძღვნა აიეტს. ოქროს საწმისი იყო აიეტის ყველაზე ძვირფასი განძი. იგი წარმოადგენდა ოქროს ბეწვიან ცხვრის უძვირფასეს ტყავს, რომელიც ოქროს უთვალავი, თანაც დაუსრულებელი მოპოვების საშუალებას წარმოადგენდა. ოქროს საწმისის დაბრუნებაზე ოცნებობდა იმ დროის საბერძნეთის ყველა ძლიერი ქვეყნის მფლობელი. მაგრამ ეს მისია წილად ხვდა იაზონს, რომელსაც ოქროსბეწვიანი ვერძის დაუფლება პელეასმა დაავალა. ამ დიდი სახიფათო ნაოსნობისათვის ააგეს ხომალდი „არგო". არგონავტებმა მრავალი სახიფათო თავგადასავალის შემდეგ შავი ზღვითა და მდინარე ფაზისით (რიონით) ჩააღწიეს კოლხთა დედაქალაქში — აიაში. მრავლისმნახველი ბერძნები გააოგნა აიეტის სიმდიდრემ, ფუფუნებამ და სიუხვემ. მათ თვალი მოსტაცა მარმარილოს უმშვენიერესმა სასახლემ, რომლის შემოგარენსაც ამშვენებდა დიდებული ვენახები. მათ იქ იხილეს ოთხი დაუშრეტელი ნაკადული ღვინის, რძის, ვარდის ზეთისა და ანკარა წყლისა. იაზონმა მეფე აიეტს სთხოვა ოქროს საწმისი, სამაგიეროდ დაჰპირდა მისი მტრების განადგურებას. აიეტი დასთანხმდა იმ პირობით, თუ იაზონი დაიმორჩილებდა ცეცხლისმფრქველ, ბრინჯაოსჩლიქებიან ხარებს, რომლებიც ფოლადის გუთნით სთესდნენ გველეშაპის კბილებს. იქედან კი იქვე აღმოცენდებოდნენ შეჯავშნული უძლეველი მეომრები. მედეამ, რომელსაც შეუყვარდა იაზონი, მიუმზადა მალამო პრომეთეს სისხლით მორწყულ მიწაზე ამოსული ბალახებისაგან. ამ მალამოთი დაზელილი სხეული უძლებდა ცეცხლსა და ყოველგვარ იარაღს. იაზონმა გაიმარჯვა, მან მოჰკლა გველეშაპი, რომელიც იცავდა „ოქროს საწმისს" ხეივანში, მოიტაცა უძვირფასესი ოქროს ვერძი და მედეასთან ერთად „არგოთი" საბერ-

ძსეთს გაეშგსავრა. აიეტმა დაადევნა მდევარი, მაგრამ უშედეგოდ...

არგონავტების შესახებ მითს მრავალი, ერთმანეთისაგან განსხვავებული სიუჟეტი უდევს საფუძვლად, მაგრამ აქ მთავარი ისაა, რომ იგი შეიცავს მრავალ ძვირფას ისტორიულ ცნობას ძველი ქართველი ტომებისა და მათი სამკვიდრებლის შესახებ. ამასთან, როგორც საბართლიანად არის აღნიშნული ჩვენი მეცნიერების მიერ, ეს ცნობები იმავდროულად სინათლეს ჰფენენ წინაბერძნული მოსახლეობის ბნელით მოცულ ბევრ საკითხებს, მათს კავშირსა და ურთიერთობას იბერიულ-კავკასიური წარმომავლობის ტომებთან... მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს აღძრულ საკითხს. რეალური სამხედრო-ისტორიული მოვლენები თავისი გზით მიეშართებოდა. ასობით საბხედრო შეჯახებებს გაუძლო საქართველომ საუკუნეთა მანძილზე. მრავალი თავდასხმა განიცადა აქემენიდების დინასტიისაგან, რომლებიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე საუკუნის მიწურულს გაანადგურეს ბერძნებმა და მაკედონელებმა ალექსანდრე მაკედონელის წინამძღოლობით.

მაკედონელის უძლეველი სამეფო მისი დამაარსებლის გარდაცვალების მერმე, 323 წელს, დაიქსაქსა ცალკე სახელმწიფოებად, სადაც მისმა მხედართმთავრებმა თავი გამოაცხადეს ამა თუ იმ რეგიონის მეფეებად. აზია ერგო სელევკს და შეიქმნა სელევკიდების სამეფო. აქედან გამოიყო პონტის სამეფო, რომელიც განსაკუთრებით სწრაფად გაძლიერდა მითრიდატე დიდის მეფობის დროს. ეს იყო იმ დროის აღმოსავლეთის ყველაზე გამოჩენილი და სახელგანთქმული სუსერენი. მითრიდატემ სხვა მრავალ სამეფოთა შორის დაიმორჩილა კოლხეთიც, იბერიასთან კი დადო ხელშეკრულება თანასწორობისა და მეგობრობის საწყისებზე. მან ქართველებთან ახლო ნათესაური კავშირი დაამყარა. აფასებდა და უყვარდა ისინი ომში გმირობისა და ერთგულებისათვის. ერთ-ერთ თავის ვაჟს მითრიდატე დიდმა ქართული სახელი — მახარე დაარქვა. იგი კარგად ითვალისწინებდა, რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისი სახელმწიფოს ძლიერებისათვის კოლხთა კეთილგანწყობილებას და მეორე ვაჟი დანიშნა კოლხეთის მმართველად. ამ მხარის სიმდიდრით, მისი სამხედრო ძლიერებით გაამაყებულმა მეფისწულმა გადაწყვიტა კოლხთაგან შეექმნა დამოუკიდებელი სამეფო. ამის გამო იგი მამამისმა სიკვდილით დასაჯა.

მითრიდატე თავის ბრძოლებში დამკვრელ ძალად ფართოდ იყენებდა ქართველ მეომრებსა და მეზღვაურებს, ხოლო აღმოსავლეთ საზღვრების გასაძლირებლად ეყრდნობოდა იბერიის სამეფოს სამხედრო კავშირს: მან შეჰქმნა იმ დროისათვის უძლიერესი სამხედრო-საზღვაო ფლოტი.

თავისი არმიისათვის იგი ქართველთაგან აშშადებდა პირველხარისხოვან სამხედრო მეზღვაურებს. ამასთან, გემების ასაშენებლად იყენებდა იქაურ საუკეთესო ხე-ტყის მასალას.

სახმელეთო და საზღვაო ბრძოლების ურთიერთშერწყმა განსაკუთრებით გაძლიერდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 88 წლიდან — 63 წლამდე, როდესაც მითრიდატე ებრძოდა რომაელ დამპყრობლებს.

ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე II საუკუნეში რომაელები ღრმად შეიჭრნენ მცირე აზიაში. ისინი დაპყრობილ ადგილებში ამყარებდნენ მკაცრ რეჟიმს, ძარცვავდნენ და ავიწროებდნენ ხალხებს. განსაკუთრებით ულმობლად ეპყრობოდნენ მონებს. იგრძნო რა მოსალოდნელი საფრთხე, მითრიდატემ გადაწყვიტა, წინ აღსდგომოდა რომაელებს ხმელეთზე, ზღვაზე და აეჯანყებინა მათ წინააღმდეგ დაპყრობილი ხალხები, განსაკუთრებით მონები. მისი ერთგული მოკავშირეები გახდნენ რომიდან გამოქცეული სამხედრო დიდებულები, ხალხის დაბალი ფენის წარმომადგენლები და აგრეთვე ხმელთაშუაზღველი მეკობრეები, რომლებიც იმ დროს პოპულარობით სარგებლობდნენ. მითრიდატეს ერთ-ერთი ყველაზე შორსგამიზნულ პოლიტიკურ და სტრატეგიულ ნაბიჯს წარმოადგენდა ყოველმხრივი დახმარების გაწევა მონების დიდი მოძრაობის მიმართ. ამ მოძრაობას იმ ხანებში, როგორც ცნობილია, სათავეში ედგა სპარტაკი. ყოველსაირად უჭერდა მხარს ყველაზე დიდ სახალხო და სოციალურ მოძრაობას მონათმფლობელური რომის წინააღმდეგ. მან თავი მოუყარა აურაცხელ სახმელეთო და საზღვაო ძალებს, რომელთა რაოდენობა 300 ათასზე მეტ კაცსა და 400-მდე ყოველმხრივ აღჭურვილ სამხედრო ხომალდს ითვლიდა. 25 წლის განმავლობაში გარდა მრავალრიცხოვან აჯანყებათა მხარდაჭერისა, მან გადაიხადა 3 დიდი ომი, რომლებმაც ძირფესვიანად შეარყია რომის იმპერია. მითრიდატე დიდის ყველა ომსა და ლაშქრობაში მონაწილეობდნენ და მისივე შეფასებისამებრ, გმირულად იბრძოდნენ ქართველი მეომრები და მეზღვაურები, რომლებიც შესანიშნავად ფლობდნენ საბრძოლო-საზღვაო ხელოვნებას.

პირველ ომში, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 89-84 წლებში, მითრიდატემ გაანადგურა და განდევნა რომაელები მცირე აზიიდან და საბერძნეთიდან. მეორე ომში, 83—81 წლებში, მან დამარცხება განიცადა, მაგრამ მაინც შესძლო ჯერ შეექმნა, შემდეგ კი გაეერთიანებინა ძლევარი კოალიციური ძალები მესამე, ყველაზე დიდი ომისათვის 74—63 წლებში, რომელიც ცვალებადი წარმატებებით მიმდინარეობდა.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 65 წელს მითრიდატემ ვეღარ გაუძლო რო-

მის ჭარბ, აურაცხელ სამხედრო ძალებს, რომელსაც მსოფლიოში საქ-ვეყნოდ ცნობილი სარდალი პომპეუსი უძღოდა. მან ამ ომში იმდენად ძნელი დაძარცხება იწვნია, რომ იძულებული გახდა გაქცევით ეშველა თავისათვის. მან დროებით თავი კოლხეთს შეაფარა. ზამთარი დიოსკურიაში (სოხუმში) გაატარა, სადაც კვლავ შეიმუშავა რომაელთა წინააღმდეგ ახალი სამხედრო მოქმედების გეგმა მერმე კი ძალების მოსაკრებად პანტიკაპეიაში (ქერჩი) გადაინაცვლა. მაგრამ ხალხი განუდგა მითრიდატეს, რადგან ხედავდა, იმხანად არავის შესწევდა ძალა დაეძლია რომაელთა სამხედრო ძლიერება. თვით მისმა შვილმა ფარნაკმა მამას ბერძნები აუჯანყა. რაკი დაინახა, რომ აღარსაით იყო ხსნა და დაკარგა ყოველგვარი იმედი ახალი ძალების შემოკრებისა, მითრიდატემ თავი მოიკლა, რომ ხელში არ ჩავარდნოდა მოწინააღმდეგეს. ამ სახელგანთქმულმა მეფემ და მხედართმთავარმა იმდროინდელ სამხედრო ხელოვნებას ბევრი რამ შესძინა თავისი დიდი ნიჭითა და ორგანიზატორული უნარით.

დევნიდა რა მითრიდატეს, პომპეუსი 65 წელს შეიჭრა იბერიის სამეფოს საზღვრებში, რომელიც მითრიდატეს სამხედრო მოკავშირეს წარმოადგენდა. იბერიის მეფე არტაგი ემზადებოდა ომისათვის და ამავე დროს ცდილობდა რომაელებთან ეწარმოებინა მოლაპარაკება.

პომპეუსმა კარგად ისარგებლა უეცარი თავდასხმით და თავისი ძალების დიდი უპირატესობით. მან ერთი დარტყმით აიღო არმაზის ციხე-სიმაგრე და გადაიყვანა მთავარი ძალები მტკვრის მარცხენა ნაპირზე. მეფე არტაგმა დასწვა ხიდები, რითაც შეაჩერა პომპეუსის წინსვლა და შეგნებულად დაიწყო უკანდახევა, რითაც მტერს ორგანიზებული და შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია. ქართველების გამძლეობა და შემართება, მათი ჯგუფური და ინდივიდუალური საბრძოლო უნარი აოცებდა რომაელებს, რომლებიც მძიმე დანაკარგებს განიცდიდნენ მთიან და ტყით დაბურულ მიდამოებში. პომპეუსი წვავდა და ჩეხდა ტყეებს, ანადგურებდა სოფლებს, სადაც კი წინააღმდეგობას გაუწევდნენ, მაგრამ ცოცხლად არავინ ნებდებოდა.

აპიანეს მონაცემების თანახმად, მითრიდატესთან საომრად და „წესრიგის აღსადგენად" პომპეუსს ჰყავდა 120 000 ქვეითი, 4 000 ცხენოსანი მებრძოლი და 270 ხომალდი. იბერიას იგი მიუახლოვდა მთავარი სახმელეთო ჯარებით, რომლებიც აღჭურვილი იყვნენ მაღალმთიან ადგილებში ციხე-სიმაგრეთა ასაღები საომარი მანქანებითა და სპეციალური სამთო ნაწილებით.

იბერიის მეფეს არტაგს ომის დროს შეეძლო გამოეყვანა 60 000-მდე

ქვეითი და 20 000 ცხენოსანი. ამ მიახლოებით ცნობებს გვაწვდის სტრაბონი. სხვათა შორის, იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ალბანელებს პომპეუსის წინააღმდეგ შეეძლოთ უფრო მრავალრიცხოვანი ჯარის გამოყვანა, ვიდრე იბერიელებსო და მოჰყავს ზემოაღნიშნული ციფრები.

როგორც უკვე ითქვა, პომპეუსი სჯობნიდა ჯარის მრავალრიცხოვნებითა და ტექნიკით იბერიის ძალებს. რაც მთავარია, მას ჰყავდა მოქმედი, კარგად ორგანიზებული ძალები. არტაგს კი გზადაგზა უხდებოდა თავისი ხალხის მობილიზება, ქუდზე კაცის გამოყვანა, თანაც იგი იძულებული იყო, თავისი სამხედრო ძალების დიდი ნაწილი გარნიზონებად ჩაეყენებინა ციხე-სიმაგრეებში. პომპეუსმა ერთბაშად ვერ გაბედა მოქმედების დაწყება და მთელი ზამთარი იბერთა სამეფოს საზღვარზე გაატარა. ამ ხნის განმავლობაში, ჩვეულებრივ, ურთიერთდაზვერვას აწარმოებდნენ და იდგენდნენ თავდასხმისა თუ თავდაცვის გეგმებს.

მთელი გაზაფხულის მანძილზე პომპეუსი უშედეგოდ ცდილობდა დაეპყრო მცხეთა. მეფე არტაგმა სცადა გამოეყვანა რომაელები არმაზის ციხე-სიმაგრიდან ერთადერთი ხიდით, რომლის აღდგენაც უკვე დაწყებული იყო, გამოეტყუებინა გამოღმა ნაპირზე და ანახდად დასხმოდა თავს, მაგრამ ამ ხერხმა ვერ გაჭრა. ამავე მიზნით არტაგმა უკან დაიხია და მცხეთიდან გაიქცა, მაგრამ ესეც არ გამოუვიდა. ზაფხულის დადგომისთანავე პომპეუსი გადავიდა იერიშზე და მისთვის ყველაზე გრძელი, თითქმის ნახევარწლიანი ლაშქრობის შედეგად აიღო მცხეთა. მეფე არტაგმა დედაქალაქში გადამწყვეტი ბრძოლა გაუმართა მტერს, ბევრი რომაელი დაეცა იმ დღეს ბრძოლაში. არტაგმა, ჩვეულებრივ, აქაც ორგანიზებულად დაიწყო უკანდახევა. 9 ათასზე მეტი ქართველი დაიღუპა მცხეთის გალავანთან. მათ შორის იმდენი ქალი იყო, რომ რომამდე მიაღწია ხმამ, თითქოს პომპეუსი მამაკაცებს კი არა, ამორძალ ქალებს ებრძვისო. რომაელთა საგრძნობმა დანაკარგებმა და ქართველთა გაუტეხელმა წინააღმდეგობამ, რაც ახლა პარტიზანულ ომში ცნაურდებოდა უმეტესად, შეამსუბუქა არტაგ მეფის მდგომარეობა და ხელი შეუწყო რომაელებთან ზავის დადებას. არტაგ მეფემ პომპეუსს საჩუქრად გაუგზავნა ოქროს ტახტი, მაგიდა და საწოლი. გარდა ამისა, მძევლად მისცა თავისი ვაჟიშვილი, მაგრამ პომპეუსს ტრიუმფის დროს რომში დასცინოდნენ: „რას იკვეხნის, რომ მოუგო ბრძოლა ქალებს — ქართველ ამორძალებსო“.

საქართველოსთან ერთობ გაჭიანურებულმა საომარმა მოქმედებამ შეაძრწუნა რომაელი სარდლები, მხედართმთავრები და მრჩეველები, რომლებიც თან ახლდნენ პომპეუსის ლაშქარს. სწორედ ამ დროს ჩაისა-

ხა და განმტკიცდა იდეა იმის შესახებ, რომ რომისათვის საქართველოსთან სამხედრო კავშირი ბევრად უფრო ხელსაყრელია, ვიდრე მებრძოლი, თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხის წინააღმდეგ გაუთავებელი ბრძოლა.

საქართველოში პომპეუსის ლაშქრობის შესახებ, როგორც ვთქვით, საინტერესო ცნობებს გვაწვდის სტრაბონი. მან დაწვრილებით აღწერა სტრატეგიულ პუნქტებში განლაგებულ ციხე-სიმაგრეთა მთელი სისტემა. განსაკუთრებით აღნიშნა ქართლის უძველესი დედაქალაქის მცხეთის ციხე-სიმაგრის სიმტკიცე. არმაზის ციხის გალავნები და თავდაცვითი ნაგებობანი თავისი წყალსადენებითა და შენობებით. სტრაბონმა, რომელმაც შეისწავლა ქართლის (იბერიის სამეფოს) სახელმწიფოებრივი და სამხედრო მმართველობის სისტემა, ოთხი იერარქიული ჯგუფი გამოჰყო: 1) მეფე, მთავარსარდალი, 2) ტაძრების მსახურთა კასტა, რომელიც საგარეო ურთიერთობებსაც განაგებდა; 3) თავისუფალი მხედრები — შეიარაღებულ ძალთა მთავარი ნაწილი, რომელიც ვალდებული იყო მეფის მოწოდებისთანავე გამოსულიყო საომრად, და 4) მდაბიონი მეფის კარზე, რომლებიც დიდებულებსაც ემსახურებოდნენ. მართვის ანალოგიური სისტემა იყო კოლხეთშიც.

პომპეუსის ლაშქრობის შემდეგ რომის იმპერიის ბატონობა საქართველოში მეტად თავისებური გახლდათ. კოლხეთში რომაელებმა თავისი მმართველი დასვეს, იბერიის სამეფოსთან მეგობრული ურთიერთობა და სამხედრო კავშირი შეინარჩუნეს. რომის იმპერიაში არავინ არ სარგებლობდა ისეთი პრივილეგიებით, როგორითაც იბერიის სამეფო. ამგვარი სამხედრო მოკავშირეობითი ურთიერთობები შეინარჩუნეს რომის იმპერიის არსებობის მთელ მანძილზე. თუმცა ეს კავშირი არ იყო თანასწორუფლებიანი და მკაცრად განსაზღვრული სამხედრო-სტრატეგიული მიზანი ჰქონდა. იბერია, როგორც მებრძოლი მხარე და საუკეთესო მეომრების გამომყვანი, აღმოსავლეთში რომის ფორპოსტი უნდა ყოფილიყო და იბერიელთა გარშემო უ და შემოეკრიბა მამაცი კავკასიელი ხალხი მრავალრიცხოვანი ომებისათვის. ამიტომ მრავალსაუკუნოვან რომაულ-ქართულ ურთიერთობებში დომინირებდა სამხედრო ურთიერთობანი და სამხედრო კავშირი, რაც რომს საშუალებას აძლევდა, ეწარმოებინა ხელსაყრელი ვაჭრობა და გაეფართოებინა საქონლის ურთიერთცვლა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, რომელთა სახმელეთო და სახღვაო საკომუნიკაციო კვანძს საქართველო წარმოადგენდა. სტრატეგიულად ქართველთა ლაშქარი იცავდა მთელი რომის იმპერიის აღმოსავლეთ ფლანგს და მოკავშირეთა ჯარებისა და სამხედრო-საზ-

ღვაო ფლოტის ფართო მანევრებისათვის უზრუნველყოფდა საზღვაო და სახმელეთო კომუნიკაციებს. განსაკუთრებით დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიონის ქედის უღელტეხილებს. სტეპების მრავალრიცხოვანი ტომები: ჰუნები, ალანები, სარმატები და სხვ., გადასასვლელების სუსტი სამხედრო დაცვით სარგებლობდნენ და თავს ესხმოდნენ სამხრეთით მცხოვრებ, მდიდარ და კულტურულ მეზობლებს, ამასთან, ისინი ხალისით მიდიოდნენ მცირეჯამაგირიან სამხედრო სამსახურში და მათთვის სულ ერთი იყო, ვის წინააღმდეგ იბრძოლებდნენ. ქართველები საიმედოდ ამაგრებდნენ და იცავდნენ „კავკასიონის კარიბჭეს" და ჩრდილოეთ კავკასიაში მომთაბარე ტომებს ხშირად იყენებდნენ სამხედრო მოკავშირეებად.

საქართველოს უღელტეხილებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჯვრის უღელტეხილი, რომელსაც ძველ დროშიც ბერძნებიც და შემდეგ რომაელებიც „კავკასიის კარიბჭეს" უწოდებდნენ და შემდეგნაირად ახასიათებდნენ: „კავკასიის კარიბჭე — ბუნების გრანდიოზული მოვლენაა. იგი შექმნილია მთების უეცარი გარღვევის შედეგად და თვით გასასვლელი შემოზღუდულია რკინით შეჭედილი ძელებით. კარიბჭის გამოღმა, კლდეზე, აღმართულია სიმაგრე ყუმანია, რომ გზა გადაუღობოს უთვალავ ტომებს". შემდეგ: „კავკასიის კარიბჭედან" გზა მიემართებოდა საქართველოს ძველი დედაქალაქისაკენ — მცხეთისაკენ, აქედან კი, პირიქით, არაგვისა და მტკვრის შესართავიდან — ჯვრის უღელტეხილისაკენ, შემდეგ მდინარე თერგისაკენ, ვიწრო და ღრმა დარიალის ხეობისაკენ, რომელიც ქართველებს განსაკუთრებით ჰქონდათ გამაგრებული".

მონათმფლობელური რომი იყენებდა კავკასიონის გადასასვლელებს, ორგანიზაციას უკეთებდა და ახორციელებდა სამხედრო ოპერაც ებს მონების მოსაპოვებლად, თავს ესხმოდა ჩრდილოეთის მომთაბარე ტომებს, რომელთაც ცუდი შეიარაღება და სუსტი სამხედრო ორგანიზაცია ჰქონდათ. ადვილად და იაფად მოპოვებული მონებით ვაჭრობა მონათმფლობელური რომის უმთავრესი საქმიანობა იყო. მზაკვრულად პროეცირებული და ორგანიზებული მთელი სამხედრო მეურნეობა მიზნად ისახავდა მონების მოპოვებას ჩრდილოეთ კავკასიაში. როგორც საყოველთაოდ ცნობილია, „გათიშე და იბატონე"-ს პოლიტიკა მონათმფლობელური რომის სახელმწიფო პოლიტიკას წარმოადგენდა საუკუნეების მანძილზე. აქედან მოდის მრავალრიცხოვანი ტომების ერთმანეთზე წაქეზება მონების შეძენის მიზნით და მონათმფლობელებისათვის მათი მიყიდვა. რომის პოლიტიკა ართულებდა და აუარესებდა ქარ-

თველების კარგ დამოკიდებულებას ჩრდილოეთელ ტომებთან, რაც ასე საჭირო იყო საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის კრიტიკულ მომენტებში.

განსაკუთრებით მძიმედ იგრძნობოდა რომის ბატონობის უღელი დასავლეთ საქართველოში, სადაც რომაელები თავს ესხმოდნენ სოფლებს, იტაცებდნენ და მონებად ჰყიდდნენ ხალხს, მათ შორის ბავშვებსაც. ხელისუფლება კი, იმის მაგიერად, რომ დაეცვა მოსახლეობა, ძარცვავდა ამ უკანასკნელთ. კოლხეთის სანაპიროებზე მეკობრეთა ხომალდები და მთელი ფლოტილიები თარეშობდნენ, იტაცებდნენ ხალხს, მერე კი მშობლებსა და მახლობლებს გამოსასყიდს სთხოვდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მონებად ჰყიდდნენ. კიდევ უფრო საზარელ მდგომარეობაში იყვნენ კოლხეთში რომაელთა მონები. ისინი კოლხეთის მოსახლეობასთან ერთად რომის ადმინისტრაციის თავგასულობას თავგანწირულ წინააღმდეგობას უწევდნენ, აწყობდნენ შეიარაღებულ აჯანყებებს და შეთქმულებებს. სპარტაკის აჯანყებასთან ერთად ისტორიაში შევიდა მონათა უდიდესი აჯანყება 69 წელს, რომელსაც ადგილობრივი მკვიდრი ანიკეტი ხელმძღვანელობდა. მან დაიკავა პონტო. ანიკეტმა ბრძოლებით გაიარა დიდი გზა. 69 წელს იერიშით აიღო ტრაპეზუნტი და გაანადგურა ქალაქის რომაული გარნიზონი. ანიკეტი, თუითონ მონა, ადვილად იკრებდა თავის გარშემო დამონებულებსა და ბედკრულთ. ანიკეტი უმამაცესი და უნიჭიერესი ადამიანი იყო, კარგად იცოდა საზღვაო საქმე და ხელმძღვანელობდა ფლოტს. აჯანყებულებმა სწრაფად ააგეს ფლოტი, რომელიც უმთავრესად კოლხური ტიპის, ბრტყელძირიანი, მაღალქიმიანი და ფართო გემბანიანი ხომალდებისაგან შედგებოდა. ის ხომალდები თავისუფლად მანევრირებდნენ როგორც ზღვაში, ასევე მდინარეებში და ნებისმიერ ამინდშიც უზრუნველყოფდნენ საზღვაო და სამდინარო ოპერაციებს. ანიკეტმა გააერთიანა მთელი რიგი ტომები და შექმნა ისეთი ძლიერი სამხედრო ორგანიზაცია, რომლის მსგავსიც 70-იან წლებში რომის იმპერატორ ვესპასიანეს თავისი მეფობის 10 წლის მანძილზე არ შეხვედრია. იმპერატორი იძულებული გახდა, მის წინააღმდეგ გაეგზავნა რომაული ფლოტისა და მაღალორგანიზებული, კარგად აღჭურვილი არმიის მნიშვნელოვანი ნაწილი. გააფთრებულ ბრძოლებში აჯანყებულები დამარცხდნენ. ანიკეტი თავისი რაზმით მშობლიურ კუთხეში შეიფარეს, მაგრამ მოღალატემ გასცა და რომის ხელისუფლებას გადასცა. ანიკეტის განმათავისუფლებელი ბრძოლის მაგალითი, მისი პარტიზანული მანევრების ხელოვნება, შერწყმული მსხვილი ძალების ორგანიზებულ შეტევებთან ხალხმა შემდგომ ბრძოლებში გამოიყენა.

რომიდან შედარებით მოშორებული იბერიის სამეფო ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში ძალებს იკრებს, ხოლო როდესაც რომის იმპერიას პართიის მხრიდან საშიშროება დაემუქრა, მან განსაკუთრებით დააფასა იბერიის სამეფოსთან კავშირი და „მეგობრული გრძნობები“ გამოამჟღავნა. თავის მხრივ, იბერიის მეფეებისათვისაც მეტად სასარგებლო იყო რომთან სამხედრო კავშირი: მათ საკმაოდ ვრცელი ინფორმაცია ჰქონდათ სამხედრო ხელოვნების შესახებ, განზოგადოებული რომის მხედართმთავრებისა და მოაზროვნეთა მიერ. იბერიელები გაეცვნენ ეპამინონდის საბრძოლო წყობაში ძალების არათანაბარი განლაგების პრინციპს, ალექსანდრე მაკედონელის ცხენოსანთა ახალი ტაქტიკის გამოყენებას, იულიუს ცეზარისა და მისი მანიპულარული ლეგიონების ბრძოლის მეთოდებს, ქსენოფონტეს დაქსაქსულ საბრძოლო წყობას, ფრონტინს, რომელმაც წიგნში „სტრატეგემი“ განაზოგადა სამხედრო ხელოვნების ყველა ხერხი და საშუალებანი. რომაელებთან ეუფლებოდნენ სამხედრო საქმეს იბერიის დიდებულთა შვილები და სასწავლებლად წარგზავნილები, რაც ხელს უწყობდა სამხედრო საქმის შესწავლას და გავრცელებას საქართველოში. ყველაფერი ეს ძალიან გამოადგათ იბერიელებს დიდი ომების დროს. 35 წელს პართელებმა დაარბიეს და დაიპყრეს მთელი სომხეთი და ემუქრებოდნენ რომს, რომელსაც იქ არ გააჩნდა საკმარისი ძალები. რომის იმპერატორმა თხოვნით მიმართა იბერიის მეფეს ფარსმან I-ს, ეხსნა სომხეთი პართელებისაგან და სამაგიეროდ სომხეთის ტახტს შეპირდა ფარსმანის ძმას მირდატს. ქართველთა ლაშქარმა უეცრად შეუტია პართელებს, გაანადგურა დაცვა, დაიკავა სომხეთის დედაქალაქი და მოიგერია პართელთა პირველი იერიშები, რომელსაც პართელთა მეფისწული მეთაურობდა.

დაიწყო ომის გადამწყვეტი ფაზისათვის მზადება. ორივე მხარემ მთაარ ძალებს მოუყარა თავი. გარდა ამისა, პართელების მეფემ სცადა ჩრდილო კავკასიიდან თავისკენ მიეზიდა დაქირავებული მეომრები, მაგრამ ქართველებმა დაასწრეს და თავიანთ მხარეზე გადაიბირეს სარმატები, რომლებიც დარიალის მხრიდან სწრაფად შემოვიდნენ და ქართველ ლაშქართან ერთად დაიკავეს საბრძოლო პოზიციები. ამასთან, იბერთა მეფემ მიიღო მეგობრული ალბანეთის სამხედრო დახმარების დაპირება. გადამწყვეტი საბრძოლო მოქმედების წინ მარჯვენე იყო ორგანიზებული პართელთა ჯარების ბლოკადა. მათ კომუნიკაციებს დღისით და ღამით თავს ესხმოდნენ იბერები, ხელს უშლიდნენ მტრის მიერ საკვებით, განსაკუთრებით ფურაჟით მომარაგებას. ეს გასაგებიცაა.

პართელების მთელი სამხედრო ძალა ცხენოსანთა ჯარებს ეყრდნობოდა. ქართველებს მხედველობაში უნდა მიეღოთ პართელთა მრაჟალრიცხოვნობა და მათი უზარმაზარი სამეფოს საბრძოლო შესაძლებლობანი. საჭირო იყო გაესადგურებინათ ალყაში მოქცეული მათი ჯარი, ფარსმან I-მა ქართველებს მიმართა: „რაც უფრო დიდი იქნება ჩვენი მონდომება, მით უფრო მეტი იქნება დიდება გამარჯვების შემთხვევაში, თუკი ზურგს შევაქცევთ მტერს, თავს შევირცხვენთ საუკუნოდ და კიდევ უფრო გაიზრდება სიფრთხე, რომლის წინაშეც ვდგავართ, შეხედეთ ჯერ ჩვენს მრისხანე რიგებს და მერე ოქრომკედით მორთულ პართელთა ურდოებს. აქ ვაჟკაცები არიან, იქ კი — ნადავლი“.

დაიწყო მძაფრი ბრძოლა, მეფე ფარსმანმა ორთაბრძოლაში გამოიწვია უფლისწული და დაჭრა. პართელებს კი ეგონათ, რომ მეფისწული მოკლესო და მტრის ბანაკში პანიკა ატყდა. ქართველებმა ისარგებლეს ამით და მთლიანად შემუსრეს პართელები. ქართველებმა დაამარცხეს არა მარტო პართელთა ქვეითები, არამედ ცხენოსნებიც, რითაც განსაკუთრებით იყვნენ განთქმული პართელები.

პართელთა მეფემ თავი მოუყარა მთელ თავის ცხენოსან და ქვეითთა ჯარის მთავარ ძალებს და დაიძრა საქართველოს წინააღმდეგ. მან მთელი იმედი საქვეყნოდ განთქმულ პართელთა ცხენოსან ჯარზე დაამყარა. თუმცა იმდროინდელი რომაული წყაროების მიხედვით, ქართველები ძლიერნი იყვნენ როგორც ცხენოსნობაში, ასევე ქვეითთა წყობაში, ოსტატურად გადადიოდნენ იერიშზე როგორც დიდი, ასევე მცირე ძალებით და მარჯვედ იყენებდნენ ტყიან და მთიან ადგილებს.

პართელების მთავარ, შეუდარებლად ჭარბ ძალებთან ომის სტრატეგიული გეგმა გაიორიცხაყდა დიდ ბრძოლებს, ამიტომ ფარსმანი ეშმაკური მანევრებით აქუცმაცებდა პართელთა ლაშქარს და თავს ახვევდა პატარ-პატარა შეტაკებებს ვრცელ ადგილზე. ცხენოსანთა შეტაკებებშიც და ქვეითად ბრძოლის დროსაც ციცი იარაღის გამოყენების ოსტატობაშიც გამოშეღავნდა ქართველი მეომრების დიდი უპირატესობა პირად მოშზადებასა და გამძლეობაში. მრავალრიცხოვან ბრძოლებსა და შეტაკებებში დიდი იყო პართელთა დანაკარგი და ისინი იძულებულნი გახდნენ, უარი ეთქვათ აქტიურ სამხედრო მოქმედებებზე სომხეთის შესანარჩუნებლად. 20 წლის მანძილზე სომხეთის ტახტზე ქართველი მეფე იჯდა. ფარსმანმა ჯერ თავისი ძმა მირდატი აიყვანა ტახტზე, მერე შვილი რადამისტი. უფლისწული რადამისტი ყურადღებას იპყრობდა არა მარტო თავისი ძალითა და სილამაზით, აგრეთვე იმითაც, რომ შესანიშნავად ფლობდა იარაღსა და საცხენოსნო სპორტს, რითაც

ანცვიფრებდა სახელგანთქმულ ქართველთა მეომრებსაც და მტრებსაც.

პართელებთან და ჩრდილოეთის სხვა ხალხებთან წარმატებული ბრძოლებით ფარსმან I უზრუნველყოფდა საქართველოს ჰეგემონიას ამიერკავკასიაში, ამასთან დიდ დახმარებას უწევდა რომაელებს, რისთვისაც რომაელებმა სომხეთის რამდენიმე ოლქი ქართველთა მეფეს გადასცეს.

75 წელს რომის იმპერატორის ვესპასიანეს ბრძანებით, იბერიელთა მეფის პატივსაცემად აღადგინეს და გაამაგრეს ქართლის დედაქალაქის მცხეთის გარე გალავანი, ჩაატარეს თავდაცვითი საინჟინრო სამუშაოები.

განსაკუთრებით მომაგრდა იბერია და გაიზარდა მისი საომარი ძლიერება II საუკუნის პირველ ნახევარში ფარსმან II-ის დროს. მემატიანე აღნიშნავს, რომ „ფარსმან ბრწყინვალე იყო სახით ლამაზი, მამაცი და შეუპოვარი მეომარი, უშიში, ვითარცა უხორცო". იბერიამ გააფართოვა თავისი საზღვრები შავი ზღვის სანაპიროზე და რომი იძულებული გახდა, ეცნო ეს აქტი, რადგან რომის მთავარი პოლიტიკური მიზანი იყო, საქართველო თავის საიმედო სამხედრო მოკავშირედ ჰყოლოდა.

იბერია ფაქტიურად დამოუკიდებელი გახდა და რომში კეისართან მეტად ღირსეულად და თავისუფლად ეჭირა თავი. ქართლის მეფესთან მეგობრულ დამოკიდებულებაში იყო იმპერატორი ტრაიანე, რომელმაც განაახლა ხელშეკრულებანი იბერიელებთან და კოლხებთან, გააფართოვა ის საკითხები, რომლებიც სამხედრო კავშირს შეეხებოდა. ტრაიანეს პოლიტიკა განაგრძო იმპერატორმა ადრიანემ, რომელიც არც ერთ მეფეს არ სცემდა ისეთ პატივს და არ ასაჩუქრებდა ისე მდიდრულად, როგორც ფარსმან II-ს. როგორც რომაული წყაროები გვამცნობენ: „იბერიელებთან და ალბანელებთან ადრიანეს დიდი მეგობრობა ჰქონდა და ანებივრებდა უხვი საჩუქრებით, როცა მათ უპატივცემულოდ უარი თქვეს მასთან გამოცხადებაზე".

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იბერიელების მეფის ფარსმან II-ის ჩასვლა რომში, სადაც იგი განსაკუთრებული პატივისცემით მიიღეს.

ბავშვებს იბერიაში ხუთი წლის ასაკიდან (ბერძნულ და რომაულ სკოლებთან შედარებით ორი წლით ადრე) ასწავლიდნენ იარაღის ხმარების ოსტატობას და საბავშვო სათამაშოებიც საბრძოლო იარაღების იმიტაციას წარმოადგენდა.

ბუნებრივია, რომში საუკეთესო მეომრები ჩაიყვანეს. ქართლის მე-

ფეს ფარსმან II-ს უნდოდა დიდი რომის სტრატეგებისათვის და ახალი იმპერატორისათვის ანტონიუს პიუსისათვის ეჩვენებინა ეროვნული სამხედრო ხელოვნების მიღწევები. რომის მარსის მინდორზე ფარსმანმა, მისმა შვილმა და მეომრებმა, თავიდან ფეხებამდე აღჭურვილებმა და აბჯარასხმულებმა, შეიარაღების ქართული ნიმუშებით წარმოადგინეს ცალკეული და ჯგუფური, ცხენზე და ქვეითად ბრძოლების ჩატარების ხელოვნების მთელი კასკადი. ბოლოს თვით ფარსმანი გამოვიდა მარსის ველზე და ბრძანა, ოცი გოგრა ჩამოეცვათ სარებზე. გაქანებული ცხენიდან მან შუაზე გაჰკვეთა ხმლით ოცივე ისე, რომ ერთიც არ განძრეულა.

ქართველების არნახულმა ოსტატობამ, ბრძოლაში გაწაფულობამ, იარაღის ხმარების, ილეთების, ძალისა და გამძლეობის შერწყმამ განცვიფრებაში მოიყვანა იმპერატორი და რომაელები. მათი საბრძოლო დიდების აღსანიშნავად იქვე, მარსის მინდორზე, იმპერატორ ანტონიუს პიუსის ბრძანებით, აღმართეს ცხენზე ამხედრებული ქართველთა მეფის ფარსმან II-ის ქანდაკება. მას უბოძეს ახალი მიწები, საბრძოლო სპილო და ხუთასი რომაელი მეომარი.

ქართველი მეფეები, მათი შვილები, მეფის მოხელეები და ხშირად სამხედრო საქმეში გამორჩეული და ნიჭიერი მეომრები ბერძნებისაგან და რომაელებისაგან სწავლობდნენ სამხედრო ხელოვნების თეორიას, ითვისებდნენ ყოველივე ახალს და სასარგებლოს, განსაკუთრებით კი იმას, რაც საქართველოში ბრძოლების ჩატარების სპეციფიკისა და პირობების გათვალისწინებით მისაღები და გამოსადეგი იყო მათთვის.

როგორც რომსა და საბერძნეთში, სადაც სამხედრო მოვლენათა აღწერისა და ანალიზისათვის იწვევდნენ გამოჩენილ მეცნიერებს, მწერლებს, ისტორიკოსებსა და ფილოსოფოსებს, რომლებიც თან ახლდნენ მხედართმთავრებს და მონაწილეობას ღებულობდნენ ბრძოლებში, საქართველოშიც მკვიდრდება საომარ მოქმედებათა თეორიული განზოგადოების ტრადიციები. ეს განსაკუთრებით ითქმის ქრისტიანობის დამკვიდრების შემდგომ ხანაზე, როცა სასულიერო პირები სამხედრო ისტორიკოსების როლს ასრულებდნენ.

საქართველოს სამხედრო ხელოვნება არ იყო შემოზღუდული ვიწრო, ადგილობრივი ჩარჩოებით, იგი ეზიარა ყოველივე მოწინავეს, როგორც ევროპულ, ასევე აზიურ სამხედრო ხელოვნებას. ყოველივე ამან ხელი შეუწყო სამხედრო ხელოვნებაში ერთ-ერთი ყველაზე ურთულესი პრობლემის გადაჭრას — ჭარბ ძალებზე გამარჯვების ხელოვნების შესწავლას, მოპოვებულს არა შემთხვევით, არამედ კანონზომიერად შემუშავებული ტაქტიკისა და სტრატეგიის საფუძველზე.

ქართველთა მხედართმთავრების თეორიული აზროვნებისა და ჯარების მოქმედებათა განვითარებაში შედიოდა ყოველივე საუკეთესო გამოჩენილი ბერძნულ-რომაული სკოლის წარმომადგენელთა გამოცდილებიდან, რომელთაც წარმოადგენენ: პლატონი, არისტოტელე, ჰეროდოტე, ქსენოფონტე, თუკიდიდე, პოლიბიოსი, არიანე, ფრონტინი, ვეგეციუსი, ონისანდრე, იულიუს ცეზარი, აპიანე და სხვ. მათ შორის ქსენოფონტე და სხვები უშუალო მონაწილენი იყვნენ საქართველოში საომარი მოქმედებისა და მათ თავიანთ ნაშრომებში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს მებრძოლი ქართველი ხალხის სამხედრო ხელოვნების აღწერას, მათ მიერ საბრძოლო მოქმედებათა თეატრის მომზადებას. იმისათვის, რომ ბევრად ჭარბი მოწინააღმდეგის შემოტევა უკუეგდოთ და მოეპოვებინათ გამარჯვება, ქართველები პირველ რიგში ყურადღებას აქცევდნენ სხვადასხვა მეცნიერების შესწავლას, მეომართა აღზრდის საქმეს, ამასთან, ისინი განაზოგადებდნენ სამხედრო გამოცდილებას, მეთაურთა შემადგენლობასთან ერთად ეუფლებოდნენ ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორიას, საგანგებოდ მოწყობილ დიალოგებსა და დისკუსიებში მსჯელობდნენ სამხედრო თეორიის სხვადასხვა საკითხებზე, ეძიებდნენ ტაქტიკურ და სტრატეგიულ მოქმედებათა ყველაზე ხელსაყრელ ფორმებსა და ხერხებს, აღძრავდნენ ჯარების დაკომპლექტების, შეიარაღებისა და ჩამოყალიბების საკითხებს, აქტიურად მოღვაწეობდნენ ეროვნული სამხედრო ხელოვნების დახვეწაში და როგორც არაერთგზის ითქვა — საბერძნეთისა და რომის სამხედრო ხელოვნების შესწავლაში, მით უფრო, რომ ეს სახელმწიფოები, ძირითადად, იმავე მტრებს ებრძოდნენ, ვისაც ებრძოდა საქართველო. ცნობილია, რომ პლატონი მოუწოდებდა დაეფასებინათ „მეომრის შრომა“, როგორც „ხელოვანის შრომა“, რომელიც მოითხოვს „უდიდეს მუყაითობას“, „სისწრაფეს, რათა მისდიოს იმას, რასაც ალღო-აუღო, მოითხოვს ძალას, რომ შეიპყროს, ვინც საჭიროა, და განაიარაღოს“; გასაქანი მისცეს ვაჟკაცობას და მრისხანებას, რომლის გავლენით „სული სავსებით უშიშარი ხდება“. მისი აზრით, „კარგი მეომარი მარტო სხეულის აღმზრდელი კი არ უნდა იყოს, არმედ მოაზროვნეც“... ფართოდ გამოიყენოს მეცნიერული, პირველ რიგში კი, მათემატიკური ცოდნა — „მეომართა საქმეში გეომეტრიის გამოყენებისათვის“. ცნობილია პლატონის მოსწრებული გამონათქვამი: „...ის, რასაც ადამიანთა უმრავლესობა უწოდებს სავს, არის მხოლოდ სახელი, სინამდვილეში კი ბუნებაში არსებობს სახელმწიფოებს შორის მუდმივი შეურიგებელი ომი“.

ალექსანდრე მაკედონელის სახელთანაა დაკავშირებული სამხედრო მოქმედებათა მთელი ეპოქა. მისი სასწაულებრივი გამარჯვებები ომებში

მჭიდროდაა დაკავშირებული უდიდეს მეცნიერთან—არისტოტელესთან, რომელიც შვიდი წელი იყო მაკედონელის აღმზრდელი და შემდგომშიც არ აკლდება ბრძნულ რჩევა-დარიგებას თავის გენიალურ მოწაფეს. „მე თაყვანს ვცემ არისტოტელეს ისევე, როგორც მამაჩემს, — წერდა ალექსანდრე, — რადგან მამაჩემმა მომცა სიცოცხლე, ხოლო არისტოტელემ ყოველივე ის, რაც ფასს აძლევს სიცოცხლეს".

არისტოტელეს ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებში მუდმივად ჰყავდა 8—12 ისტორიკოსი, რომლებიც აწვდიდნენ მას განზოგადოებულ ცნობებს მაკედონელის პოლიტიკური ნაბიჯებისა და მისი საომარ მოქმედებათა შესახებ, ხოლო უკუკავშირით ატყობინებდნენ მასწავლებლის რეკომენდაციებს, გეგმებსა და წინადადებებს. არისტოტელეს სამხედრო და პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა დაეხმარა ალექსანდრე მაკედონელს, რომლის სტრატეგიული საფუძვლები ითვალისწინებდა სამხედრო მოქმედებათა თეატრის მომზადებას, ომების დაგეგმვას, მოწინააღმდეგისა და მისი სახელმწიფოს ღრმა შესწავლას.

ათ საუკუნეზე მეტ ხანს საქართველოსთან სამხედრო კავშირი ჰქონდათ ბერძნებსა და რომაელებს. ელინიზმის სამხედრო მიღწევებს ქართველები გულმოდგინედ სწავლობდნენ, განსაკუთრებით ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებს, რომლებიც მიაჩნდათ ძველი საბერძნეთის სამხედრო ხელოვნების უმაღლეს ეტაპად. ამ სფეროში განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ალექსანდრე დიდის მიერ პირველად შემუშავებული საცხენოსნო ტაქტიკა, მისი ცხენოსანი ჯარის ახალი ტიპი, რომელიც იყენებდა ცხენდაცხენ და ამავე დროს ქვეითად ბრძოლასაც. ასევე გულმოდგინედ სწავლობდნენ საქართველოში ამ დიდი მხედართმთავრის მანევრირების საფუძვლებსაც.

ალექსანდრე მაკედონელის, როგორც სამხედრო საქმეში დიდად ჩახედული და ღრმად ინტელექტუალური ადამიანის პირად მაგალითს ბევრი მიმბაძველი ჰყავდა მსოფლიოში. იგი ყოველთვის ეყრდნობოდა მოწინავე მეცნიერებას და არასოდეს არ იშორებდა ჰომეროსის პოემას „ილიადას". ლაშქრობაში იგი უსაგირის ქვეშ ჰქონდა ამოდებული, ხოლო ღამე — თავქვეშ. ალექსანდრე არა მარტო ტკბებოდა ჰომეროსით, არამედ სწავლობდა მისგან. ჰომეროსი მიაჩნდა მამამთავრად და პირველ თეორეტიკოსად ტაქტიკის სფეროში, მიუხედავად იმისა, რომ მის პოემაში მხედართმთავრები მითოლოგიურ გმირებად იყვნენ წარმოდგენილნი,, ხოლო ბრძოლების აღწერაში გამოყენებული ჰქონდა ხალხური თქმულებანი. როგორ ეხმაურება ყოველივე ეს შოთა რუსთაველის გენიალურ პოემას, რომლის მიხედვით შეიძლება ეპოქის სტრატეგიული აზროვნების შესწავლა!

ბერძნული ისტორიის მამამთავრმა ჰეროდოტემ, რომელმაც, ციცერონის თქმით, თავისი თხზულებით „დააწმენდა ისტორია“, ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი ხანგრძლივ მოგზაურობაში გაატარა და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საქართველოს. მან მოგვცა ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნის ქართველთა დასახლებისა და სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების კარტოგრაფიული წარმოდგენების საფუძველზე ამ სახელმწიფოს დაწვრილებითი გეოგრაფიული აღწერა. მოგვაწოდა დაწვრილებითი ისტორიული ცნობები სამხედრო ისტორიის, საქართველოს ჯარების დაკომპლექტების, ორგანიზაციის, სწავლებისა და შეიარაღების საკითხების გაშუქებითურთ (იხ. სქემა , 1.), თავის შრომებს მან საფუძვლად დაუდო ბრძოლების მონაწილეთა ზეპირი გადმოცემები, მითები და თქმულებანი, რომლებიც ხ'შირად მოყვანილია ჰეროდოტეს წიგნებში, როგორც ისტორიული ამბები. დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მათ გაავრცელეს მთელ მსოფლიოში ქართველთა სამხედრო დიდება.

საბერძნეთის ისტორიის კლასიკურ პერიოდში (ჩვ. წელთაღრიცხვამდე VI—IV საუკუნეები) გამოჩნდა ნიჭიერი სამხედრო ისტორიკოსებისა და თეორეტიკოსების მთელი პლეადა, მათ შორის უნდა მოვიხსენიოთ ქსენოფონტე (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 431—355 წ.), რომელმაც მონაწილეობა მიიღო მრავალრიცხოვან ბრძოლებში და გაიარა გზა ჯარისკაციდან მხედართმთავრამდე.

ქსენოფონტეს ნიჭისა და კოლოსალური შრომის,მოყვარეობის გამო „ატიკური ფუტკარი“ უწოდეს. 40 წიგნიან სამხედრო ნაშრომებში ქსენოფონტე იძლევა ომების, ხალხების, მხედართმთავრებისა და მოაზროვნეთა დაწვრილებით და კოლორიტულ აღწერას. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 424 წელს იგი მონაწილეობდა დელიისთან ბრძოლაში და დაღუპვას გადაარჩინა მისმა მასწავლებელმა — ფილოსოფოსმა სოკრატემ, რომელმაც ბრძოლის ველიდან გამოიყვანა ცხენიდან გადმოვარდნილი ქსენოფონტე. სოკრატეს მან უძღვნა წიგნები: „მოგონებანი სოკრატეზე“ და „სოკრატეს დაცვა სასამართლოზე“.

401 წელს ქსენოფონტე მონაწილეობდა სპარსი უფლისწულის კიროსის ომებში და დაწერა ფუნდამენტური ნაშრომი „კიროპედია“.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ქსენოფონტეს საერთო და სამხედრო-სტრატეგიული შეფასება იმ ქვეყნებისა, ხალხის და მეომრების, სადაც მოქმედებდა და ომობდა ის თვითონ.

ქართველთა ბრძოლისუნარიანობა ასე შეაფასა ქსენოფონტემ: „ეს **იყო უმამაცესი ხალხი.** განსაკუთრებით ეს გაიგეს, იგრძნეს და თვით

გამოსცადეს ლაშქრობის დროს იმ ელინელებმა, რომლებსაც მოუხდათ მათთან ხელჩართული ბრძოლა... ქამრებზე მათ ჩამოკიდებული ჰქონდათ ხმლები დაახლოებით ისეთივე, როგორც სპარტანული მახვილი. ამ ხმლებით ისინი ყველას ჰკლავდნენ, ვინც კი ხელში ჩაუვარდებოდათ. ისინი თავებსაც კი ჰკვეთდნენ, მიჰქონდათ და მიდიოდნენ წინ შეტევის დროს მტრის დასაშინებლად. შეტევით ბრძოლაში ცეკვავდნენ და მღეროდნენ ისეთი ტაქტით, რომ არ დაერღვიათ ერთიანი საბრძოლო წყობა". ქსენოფონტე აღწერს საზღვაო-სახმელეთო ბრძოლებსაც: „...მეორე დღეს გამოცხადდნენ სამასი ნავით. თითო ნავში სამ-სამი კაცი იჯდა, რომელთაგან ორი ამოვიდა ნაპირზე, ხოლო ერთი დარჩა ნავში. ეს უკანასკნელნი ნავებით უკან გაბრუნდნენ, დანარჩენები კი შემდეგი წესით მოეწყვნენ: დალაგდნენ ასეულებად, ერთმანეთის პირისპირ, გუნდების მსგავსად... მარჯვენა ხელში ეჭირათ აკვსი იდაყვის სიგრძის ხელშუბი, რომელსაც წინ მახვილი პირი ჰქონდა, ხოლო უკან — მომრგვალებული ბოლო... მათ ჰქონდათ რკინის საომარი ცულები. ამის შემდეგ ერთმა მათგანმა სიმღერა წამოიწყო და დანარჩენებმა სიმღერით დაიწყეს სიარული მკაფიოდ გამოყოფილი რიგებით, ერთბაშად გაემართნენ მტრის წინააღმდეგ იმ სიმაგრისაკენ, რომელიც მათ უფრო მისაწვდომად მიაჩნდათ". უკვე მომწიფებულმა მეცნიერმა და მხედართმთავარმა ქსენოფონტემ კოლხებთან ომში აღმოაჩინა სამხედრო ხელოვნების ძირითადი პრინციპი, რასაც საფუძვლად ედო მჭიდროდ დაწყობილი ჯარების ცალკეულ მანევრულ რაზმებად დაშლა. საბრძოლო მწყობრი იქ იცვლებოდა იმისდა მიხედვით, თუ საიდან გამოჩნდებოდა მტერი, მარჯვნიდან თუ ზურგიდან. ქსენოფონტემ განაზოგადა ეს ახალი დებულება თეორიულად და გაავრცელა თავისი შრომების საშუალებით მთელს მსოფლიოში. კოლხეთში გადახდილი ბრძოლები გახდა სამხედრო ხელოვნების თეორიისა და პრაქტიკის შემოქმედებითი შერწყმის კლასიკური მაგალითი. აქ ქსენოფონტე ატარებდა ექსპერიმენტებს და უზიარებდა თავის მდიდარ გამოცდილებას გარშემო მყოფთ. კოლხებმა აითვისეს ბევრი რამ სამხედრო საქმის შესანიშნავი შემოქმედისა და მცოდნესაგან და მის წინააღმდეგაც კი გამოიყენეს.

ქსენოფონტე ამტკიცებდა: „ვინც არ იცის საგანი, ის არ არის სტრატეგი, თუ გინდ არჩეული იქნეს მთელი ქვეყნის მიერ... სტრატეგმა უნდა იცოდეს, ვის ეომება, აგრეთვე იცოდეს თავისი სახელმწიფოს ძალაც და მტრების ძალაც". ომის დროს „სახელმწიფო მთელ თავის ბედ-იღბალს სტრატეგს ანდობს, ამიტომ ამ უკანასკნელმა უნდა შეძლოს მოიზიდოს

მოკავშირეები და ნიჭიერი თანაშემწეები, გამოძებნოს და შეარჩიოს სამხედრო საქმის საუკეთესო მცოდნენი". ქსენოფონტე თვლიდა, „იძულების ან დამორჩილების ღონისძიებათა გატარება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ აქო და დააჯილდოვო მორჩილი, დასაჯო და სახელი გაუტეხო ურჩებს, იყო შრომისმოყვარე და მზრუნველი, მაგრამ სამხედრო საქმეში ყველაზე მნიშვნელოვანია მორჩილება და დისციპლინა". „დისციპლინაში მდგომარეობს არმიის ხსნა, მორჩილების უქონლობამ დაღუპა მრავალი ჯარი", ამასთანავე ქსენოფონტე ემყარებოდა იმას, რომ „ჯარი არასდროს არ უნდა იყოს უსაქმოდ, იგი გამალებით უნდა მეცადინეობდეს".

ქსენოფონტემ მაღლა ასწია მხედართმთავრული ხელოვნება: „დიდია ჭეშმარიტად ის მოღვაწე, ვისაც შეუძლია მოახდინოს დიდი გმირობა არა იმდენად თავისი ფიზიკური ძალით, რამდენადაც ჭკუით... ასეთზე შეიძლება სამართლიანად თქვა, რომ ის მასასთან ერთადაა, ვის ნებას მზად არის ემსახუროს მრავალი ხელი".

ჯარის დაწყობასა და ტაქტიკას ქსენოფონტე აძლევს პირველხარისხოვან მნიშვნელობას: „...დიდია განსხვავება დაწყობილ და დაუწყობელ ჯარს შორის. ეს იმის მსგავსია, როგორც უწესრიგოდ დაყრილი ქვები, აგურები, მორები, კრამიტი, ხოლო თუ ქვემოდან და ზემოდან მოვათავსებთ ქვასა და კრამიტს, რომელიც არ ლპება, ხოლო შუაში მოვაქცევთ აგურსა და მორს, როგორც ისინი ეწყობა აშენებისას, მივიღებთ ძალიან ძვირფას საგანს — სახლს".

იგი გვირჩევს, საბრძოლო მწყობრის პირველ მწკრივში საუკეთესო ჯარისკაცების დაყენებას, შუაში კი უფრო სუსტებისა, რომ „პირველმა ისინი გაიყოლიოს, მეორემ კი დახმარება გაუწიოს... არანაკლებ საჭიროა შეგეძლოს მტრის მოტყუება, შეიყვანო იგი შეცდომაში, ე. ი. შეგეძლოს დაუგო მახე, დამალო საკუთარი განზრახვები, იეშმაკო, მოატყუო... გააკეთო ყოველივე ეს მტერზე უკეთესად".

ძველი რომის სამხედრო-თეორიული აზროვნება, ისევე როგორც ძველი საბერძნეთისა, იყო ისტორიული გამოცდილების განზოგადების უმაღლესი ეტაპი. ქართველი სარდლები, მხედართმთავრები, მრავალი თაობის გამოჩენილი ადამიანები სწავლობდნენ აქ სამხედრო ხელოვნებას და უხამებდნენ რა თავიანთ გამოცდილებას, წყვეტდნენ სწორედ იმ ამოცანებს, რომლებიც აღიძერებოდა სამშობლოს დაცვისათვის ბრძოლაში. ძველი რომის ყველაზე გამოჩენილი სამხედრო თეორეტიკოსები იყვნენ: იულიუს ფრონტინი, ვეგეციუსი, ონისანდრა, იულიუს ცეზარი და აპიანე.

ფრონტინიმ I საუკუნის დასასრულს შექმნა შესანიშნავი ნაწარმოები „სტრატეგემები“ — ეგრეთ წოდებული ენციკლოპედია 787 ჭკუის სასწავლებელი მაგალითით ძველი საბერძნეთის, სპარსეთის, მაკედონიის, რომის გამოჩენილი სარდლების შემოქმედებიდან, მაგრამ ქართველთათვის განსაკუთრებით ძვირფასი იყო პომპეუსთან შებრძოლი მითრიდატე დიდის მდიდარი სამხედრო გამოცდილება.

გამარჯვების მნიშვნელოვანი პირობა, ფრონტინის აზრით, არის საკუთარი გეგმების საიდუმლოდ შენახვა და მტრის ჩანაფიქრის გამოაშკარავება,ფრონტინის მოჰყავს განზრახვის შენიღბვის შემდეგი მაგალითი: მითრიდატემ, რომელიც ბლოკირებული იყო პომპეუსის მიერ, განიზრახა მეორე დღეს უკან დახევა. თავისი განზრახვა რომ დაემალა, მან ფურაჟისა და სურსათის დამზადება დაიწყო ტერიტორიაზე, რომელიც ეკვროდა მტრის განლაგებას, მან აგრეთვე დაუნიშნა აუდენცია მრავალ პირს, რომ ყურადღება გადაეტანა სხვა რამეზე და განკარგულება გასცა, მთელ ბანაკში გაეჩაღებინათ რაც შეიძლება დიდი ცეცხლი. შემდეგ, მეორე ღამის ცვლაში, მან გამოიყვანა თავისი ჯარი მტრის ბანაკთან ახლოს“.

მოყვანილია სხვა მაგალითებიც, თუ მტრის მოტყუებით როგორ გადაურჩენიათ მხედართმთავრებს თავიანთი ჯარი გარდაუვალი დაღუპვისაგან. „სპარტაკმა, — წერს ფრონტინი, — რომელიც გარშემორტყმული იყო მიუვალ და დაუცველ მთაზე, დაწნა ღვედები ხის ქერქისაგან. დაეშვა რა მათი საშუალებით, ის არა მარტო გადარჩა, არამედ თავს დაესხა კლოდიუსს მეორე მხრიდან და ისეთი თავზარი დასცა, რომ რამდენიმე კოჰორტამ დამარცხება იგემა 74 გლადიატორისაგან... დარიუსმა, რომ დაემალა სკვითებისათვის თავისი წასვლა, ბანაკში დატოვა ძაღლები და სახედრები. მტერს, ესმოდა მათ— ყეფა და ყროყინი, ეგონა, დარიუსი ადგილზე რჩებაო“...

მრავალი ჭკუის სასწავლებელი მაგალითია მოყვანილი „სტრატეგემებში“ ბრძოლის შერჩევის ადგილის შესახებაც. პომპეუსმა მითრიდატესთან და კეისარმა ფრანკთან ბრძოლებში განალაგეს თავიანთი ჯარები მაღლობზე, დაღმართი აძლიერებდა ჯარისკაცების შეტევას. „შეუე ფილიპე მაკედონელმა, რომელიც ახორციელებდა სამხედრო ბრძოლებს გალების წინააღმდეგ, შენიშნა, რომ მტრის შუაგულში თავმოყრილი იყო რჩეული ჯარისკაცები, ხოლო ფლანგებზე — უფრო სუსტები, განალაგა რა თავისი მამაცი მეომრები მარჯვენა ფლანგზე, ის თავს დაესხა მტრის მარცხენა ფლანგს და გადაიელა მთელი მისი საბრძოლო მწყობრი, მოიპოვა გადამწყვეტი გამარჯვება“. ფრონტინი მოუწოდებდა

„მოღალატეებისა და მტრის მხარეზე გადასულების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლისაკენ. ჰანიბალმა იცოდა, რომ ზოგიერთი მისი ჯარისკაცი მტრის მხარეზე გადავიდა. ისიც იცოდა, რომ ბანაკში იმყოფებოდნენ მტრის მზვერავები და ხმამაღლა განაცხადა, — არ უნდა ვუწოდოთ მოღალატეები იმ მამაც მეომრებს, რომლებიც ჩემი ბრძანებით განზრახ მათი გეგმების გასაგებად გადავიდნენ მტრის მხარეზეო. ეს რომ გაიგონეს რომაელთა მსტოვრებმა, სასწრაფოდ აცნობეს თავისიანებს. რომაელებმა შეიპყრეს ჰანიბალის მოღალატენი, დააჭრეს ხელები და გაუშვეს“. მკაცრად უნდა დაისაჯონ, — გვასწავლიდა ფრონტინი, არა მარტო ჯარისკაცები, არამედ მხედართუფროსებიც, რომლებიც მოქმედებენ მთავარსარდლების ნებასურვილის წინააღმდეგ, მაშინაც კი, თუ ისინი გაიმარჯვებენ. ამის საილუსტრაციოდ მას მოჰყავს შემდეგი მაგალითი: „მანლიუსმა გაროზგა ჯარის წინაშე და სიკვდილით დასაჯა თავისი შვილი იმისათვის, რომ იგი მამის ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ შეებრძოლა მტერს, თუმცა კი გაიმარჯვა“.

ონისანდრა ფრონტინისაგან განსხვავებით თავის აზრებს გადმოგვცემს არა კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით, არამედ ემყარება ისტორიული გამოცდილების თეორიულ განზოგადებას. მისი ნაშრომი „დარიგებები მხედართმთავრებს“ ეძღვნება საკითხებს „მხედართმთავრის არჩევის შესახებ“, „სამხედრო საბჭოს შესახებ“, „ჯარის მწყობრში მოყვანის შესახებ“, „იმის შესახებ, რომ საჭიროა დაიწყო ომი სამართლიანი მიზეზით“, „იმის შესახებ, რომ მხედართმთავარმა უნდა შეინარჩუნოს ვაჟკაცური სულისკვეთება მძიმე მდგომარეობაში“.

„მე მიმაჩნია, — წერს ონისანდრა, — რომ მხედართმთავრის არჩევისას არ უნდა მიექცეს ყურადღება მის წარმოშობას... მხედართმთავრად უნდა ავირჩიოთ ადამიანი ბრძენი, ზომიერი, ფხიზელი, თავშეკავებული, შრომისმოყვარე, გონიერი, უანგარო, არც ძალიან ახალგაზრდა და არც ძალიან მოხუცი. ის უნდა იყოს საქმიანი, უშიშარი, მაგრამ არა იმდენად კეთილი, რომ ამ მიზეზით აბუჩად აიგდონ და არა იმდენად სასტიკი, რომ შეიძულონ.“

„ომის სამართლიანობისა თუ არასამართლიანობის მიხედვით ყალიბდება არმიის მორალური სულისკვეთება... სამართლიანობა ეს ერთადერთი საშუალებაა გაამხნევო ჯარი საომარი სიძნელეების გადასატანად... უნდა მართო ჯარი, — წერს იგი, — დაქვემდებარებული შეთაურებით და არა მათთან შეთანხმების გარეშე. მხედარმთავარმა უნდა „იმოქმედოს ჭკუით და არა უშუალოდ ბრძოლით“, არ უნდა დაუშვას უსაქმურობა. „უსაქმურობა ანებივრებს და ასუსტებს სხეულს, ხოლო სიზარმაცე აცივებს და ანადგურებს სულს“.

ვეგეციუსი აღფრთოვანებული იყო თავისი წინაპრების სამხედრო ლაშქრობებით, ცდილობდა მოეძებნა საშუალებები, რომ შეეჩერებინა რომის იმპერიის დაღუპვის შეუქცევადი პროცესი. მისი ნაშრომი „სამხედრო საქმის მოკლე გადმოცემა“, დაწერილია მკაფიო, ხატოვანი ენით, რისთვისაც იგი ძიჩნეული იყო ძველი რომის არმიის წესდებად. მას იყენებდნენ სახელმწიფოები და არმიები, განსაკუთრებით კი ისინი, ვისაც რომის სამეფო კართან ჰქონდა ურთიერთობა. „არ არსებობს სახელმწიფო უფრო ძლიერი, უფრო ბედნიერი, ვიდრე ის, რომელიც მდიდარია გაწვრთნილი მეომრებით. ჩვენი ტანსაცმლის ბრწყინვალებას კი არ სცემენ პატივს ჩვენი მტრები, არამედ ჩვენი იარაღის წისაშე შიშს შეუძლია მათი დამორჩილება“.

ძველი რომაელი მოაზროვნე წერდა: „სამხედრო ხელოვნება დგას ყველაზე მაღლა, იგი იცავს სახელმწიფოს თავისუფლებას და ღირსებას... იგი საჭიროა მათთვის, ვინც აპირებს ბრძოლას“... „ჰანიბალი ემზადებოდა რა იტალიაზე თავდასასხმელად, ხელმძღვანელობდა ლიაკო დემონიანეს (სოზილი) ტაქტიკით, რომლითაც მან დაღუპა არა ერთი კონსული და გაანადგურა მრავალი ლეგიონი, თუმცა ჩამორჩებოდა მათ ძალით და ჯარის რაოდენობით“. ბრძოლის ცოდნას იგი უჩამებდა ძამაცობას: „ყოველი შეტაკებისას მნიშვნელობა აქვს არა იმდენად მეომართა რაოდენობას, რამდენადაც მათ გმირობას“. ვეგეციუსი მიუთითებდა, რომ ...„მხედართმთავარმა მორალურად უნდა აამაღლოს მეომრების რაინდული ხასიათი, აღძრას მტრისადმი სიძულვილი, აღანთოს რისხვითა და გულისწყრომით მათ წინააღმდეგ და დაარწმუნოს თავისი მოვალეობის შესრულების აუცილებლობაში — მაშინ ბრძოლაში ისინი უშიშრები იქნებიან“.

იულიუს ცეზარის შრომებში განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო მთავარი დარტყმის მიმართულებისა და რეზერვის გამოყოფის პრობლემებმა, მან კლასიკურად აღწერა პომპეუსისა და მეფე პტოლემაიოსის არმიების განადგურება, რომლებიც რთული პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტას ისახავდნენ მიზნად.

ცეზარით აღფრთოვანებულმა ნაპოლეონმა დაწერა თხზულება „იულიუს ცეზარის ისტორია (მისი ომები)„ სადაც იგი მოუწოდებდა ყველა მხედართმთავარს: „წაიკითხეთ და გადაიკითხეთ ალექსანდრეს, ჰანიბალის, ცეზარის კამპანიები..., ეს ერთადერთი საშუალებაა გახდე მხედართმთავარი და ჩაწვდე სამხედრო ხელოვნების საიდუმლოებას“.

ანტიკური პერიოდის სამხედრო ხელოვნება გამოიყენა უკვე ჩვენს დროში სტალინმა. ცნობილი სამხედრო ისტორიკოსის რაზინის წერი-

ლის პასუხად სტალინი აღნიშნავდა, რომ სამხედრო ხელოვნების ისტორიის პირველი ტომის თეზისებში ადგილი აქვს არევ-დარევას გეოგრაფიისა და ხალხთა დასახლების ცოდნაში, რაც დასტურდება ავტორის შემდეგი თეზისით: „პომპეუსის რომაელთა არმია შეიჭრა სომხეთის ფარგლებში და მიაღწია მდინარე რიონს". შემდეგ სტალინი შენიშნავს, რომ მასში არ არის „ანყოფილება კონტრშეტევების შესახებ (არ უნდა ავურიოთ კონტრიერიშს"). სტალინი მიმართავს რაზინს: „ — ვფიქრობ, კარგად ორგანიზებული კონტრშეტევა შეტევის საინტერესო სახეობას წარმოადგენს. თქვენ, როგორც ისტორიკოსი, უნდა დაინტერესებულიყავით ამ საქმით. ჯერ კიდევ ძველმა კართაგენლებმა იცოდნენ ასეთი კონტრშეტევის შესახებ... მათ შეიტყუეს თავისი ქვეყნის სიღრმეში რომის მხედართმთავარი კრასუსი და მისი ჯარი, შემდეგ კი გადავიდნენ კონტრშეტევაზე და გაანადგურეს ისინი". ეს იმის ანალოგიურია, თუ როგორ აიძულეს გერმანელ ფაშისტთა მთავარი ძალები, თავი მოეყარათ სტალინგრადის კარიბჭესთან, ხოლო ფლანგები რუმინელებისა და იტალიელების სუსტი არმიების ამარა დაეტოვებინათ, რომელთა მიმართაც გამიზნული იყო ჩვენი ჯარების მთავარი დარტყმა, რამაც მტერი კლასიკურ გარშემორტყმამდე, მთლიან განადგურებამდე და დატყვევებამდე მიიყვანა. როგორ მოგვაგონებს ეს ფილიპე მაკედონელის ცნობილ დარტყმას გალების სუსტ ფლანგებზე, რომლებსაც ძლიერი ცენტრი ჰქონდათ. ამის შესახებ კარგად იცოდა სტალინმა, ისევე როგორც სახელგანთქმული ჰანიბალის შესახებ, რომელმაც ალპა შემოარტყა და გაანადგურა რომის არმია.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა დიდი ხალხებისა და არმიების კლასიკური ხელოვნების შესწავლას პატარა ხალხების მიერ. ეს უკანასკნელნი მექანიკურად კი არ იზიარებდნენ ომების მომზადებისა და წარმოების ხელოვნებას, არამედ უხამებდნენ საკუთარ შესაძლებლობებს და ბუნებრივ პირობებს. პატარა ხალხებსა და ტომებს წილად ხვდათ ან მთლიანი განადგურება დიდი ხალხებისაგან ან თავის გადასარჩენად ორიდან ერთი გზის არჩევა: პირველი გზა იყო უთანასწორო ბრძოლებში დაეცვათ თავიანთი მიწა და დამოუკიდებლობა, მეორე გზა — მიეტოვებინა სამშობლო, უარი ეთქვათ თავისუფლებაზე და გათქვეფილიყვნენ სხვა ხალხში.

ქართველებმა აირჩიეს პირველი — უძნელესი და სისხლიანი საბრძოლო გზა, თავიანთი მიწისა და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. მათ ფიზიკურად გადარჩენისათვის არა მარტო უნდა შეეთვისებინათ დასავლეთისა და აღმოსავლეთის კლასიკური სამხედრო ხელოვ-

ნება, არამედ უნდა შეექმნათ საკუთარი (განსხვავებული დიდი ხალხების სამხედრო ხელოვნებისაგან).

მთელ ტერიტორიაზე შემოსეული დიდი არმიების წინააღმდეგ ერთიანდებოდა მთელი ხალხი ქალების, მოხუცებისა და ბავშვების ჩათვლით, რაც წარმოადგენდა მათი ყოფნა-არყოფნის გადამწყვეტ პირობას. დიდი ხალხებისათვის ომი მოიცავს ტერიტორიის ნაწილს და მხოლოდ მათ მიერ გამოყოფილ არმიას.

მტრის გადაჭარბებულ ძალებთან თუნდაც პერიოდული გამარჯვებების მოსაპოვებლად საჭიროა არა მარტო წარმოუდგენელი გმირობა და თავგანწირვა, არამედ სამხედრო ხელოვნების ახალი, მტრისთვის უცნობი მეთოდების გამოყენება, რითაც ესოდენ გამოირჩეოდნენ ქართველი მეომრები. პატარა ხალხები იძულებული იყვნენ დაუფლებოდნენ უმაღლეს სამხედრო ხელოვნებას და მეომრების ჩინებულად მომზადების ტექნიკას. სხვაგვარად ვერ სძლევდნენ ურიცხვ მტერს. საუკუნეების განმავლობაში შეძენილი ეს თვისებები წარმოშობენ გამარჯვების ფენომენალურ სისტემას, დაფუძნებულს პატარა ხალხის სამხედრო ხელოვნების უნიკალურ პრინციპებზე.

პატარა ხალხებს არა იშვიათად უხდებოდათ ეჩვენებინათ სამხედრო სიმამაცისა და ოსტატობის ბრწყინვალე მაგალითები, მაგრამ მთავარია ის, რომ ეს საგმირო საქმეები არ იყო ხანგრძლივი და ისტორიას ბევრი ვერ შემორჩა. ქართველ ხალხს კი, რომ გადაეტანა დაუსრულებელი ომების სიმძიმე, უნდა მდგარიყო შეიარაღებული ბრძოლის ურთულესი ამოცანების გადაწყვეტის სიმაღლეზე და თავი გამოეჩინა არა ხანმოკლე პერიოდებში ბრძოლით, არამედ ომების ისტორიის მთელი 44 საუკუნის მანძილზე. ეს ანიჭებდა ქართულ სამხედრო ხელოვნებას ხანგრძლივი წინსვლის ხასიათს, ხოლო ათასწლოვანი ტრადიციები გადაიქცა მარადიულად მებრძოლი ხალხის გენეტიკურ თვისებად, რომელიც არა მარტო ამკვიდრებდა და განამტკიცებდა საქართველოს სამხედრო დიდებას, არამედ ავრცელებდა მას ამ ქვეყნის ფარგლებს გარეთ. სწორედ რომ წინაპართა საგმირო საქმეებშია ჩაქსოვილი ისტორიის მიერ საყოველთაოდ აღიარებული ქართველებისა და საქართველოს ფენომენი.

თავი მეორე

ქართველები სპარსელებთან და არაბებთან ომებში

ასჯერ — თავგარეხილი,
ასჯერ — გადაჯეგილი,
წაქცეული არ ხარ!
ასჯერ — სისხლში მოთხვრილი,
ასჯერ — ძირში მოთხრილი,
ისევ უფრო დგახარ!
დგახარ — დაუცხრომელი,
ბრძოლით გაუძღომელი.

მურმან ლებანიძე

საქართველოში ადრეფეოდალურ ურთიერთობათა განვითარებას თან მოჰყვა ცვლილებანი წარმოების საშუალებათა გაძლიერებაში, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა შეიარაღება. სასოგადოების შემდგომმა დიფერენციაციამ შეძლებულ კლასთა წარმომადგენლებს საშუალება მისცა აღჭურვილიყვნენ საუკეთესო საბრძოლო იარაღით.

ფოლადისა და რკინის გამოყენებამ შეცვალა შედარებით არამდგრადი ლითონის პრიმიტიული, თვითნაკეთი საომარი იარაღები და თავდაცვითი საშუალებები. გაჩნდა რკინის მუსარადები, ჯაჭვსები, მხრებისა და იდაყვების დამცველი ფარები. (განსაკუთრებით შეძლებული პირები კი ცხენებსაც მოსავდნენ ჯაჭვსით.) ამრიგად, საუკეთესო შეიარაღება და აღჭურვილობა მდიდართა პრივილეგიად იქცა. გაჩნდნენ წარჩინებული მეომრები. ისინი განსხვავდებოდნენ ადრე არსებული თავისუფალი მეომრებისაგან.

შემდეგში ხდება საბეჭო კარისა და დიდებულთა დაახლოება. ამან განაპირობა კიდეც დიდებულთა ფენიდან მთავარსარდლებისა და „ერისთავების" გამოყოფა. ისინი გახდნენ „ხალხისა და ჯარის" წინამძღოლები. შეიქმნა ერისთავთა მმართველობის განახლებული ფორმა, რომლის საწყისები ჯერ კიდევ ფარნაოსის დროს შემუშავდა. ამ პრივილეგირებულმა კასტამ შრომის მთელი სიმძიმე ქვეშევრდომებს დააკისრა. თავად კი მხოლოდ საბრძოლო საქმეს ეძღვნებიან სათავეში. ეუღლებოდნენ საომარ იარაღებს, ბრძოლის ილეთებს, არსებული საომარ გამოცდილებას. მათ ბავშვობიდანვე მკაცრად წვრთნიდნენ იარაღის ხმარებასა და ცხენოსნობაში, ასწავლიდნენ კლასიკურ და ქართულ ერუდიციას, საბ-

ხედრო ხელოვნებას. ეს კი მოითხოვდა განათლებასაც, მწიგნობრობასაც და აქედან გამომდინარე, ენების ცოდნასაც.

მეფე სახელმწიფოს მართავდა „ერისთავების“ მეშვეობით. ისინი პასუხს აგებდნენ ჯარის მობილიზაციასა და გაწვრთნილობაზე, შეიარაღების უზრუნველყოფასა და მათს ხარისხზე. სამხედრო სამსახურში მიღწეული წარმატებების, ვაჟკაცობისა და საზრიანობისათვის მეფე მთავარსარდლებს, მხედართუფროსებს, რაინდებსა და თავისუფალ მხედრობას მიწითა და მამულებით, მაღალი წოდებებითა და ძვირფასი საჩუქრებით ჯილდოებდა. მერმე დაიწყო წარჩინებულთა სამხედრო თანამდებობების, მაღალი წოდებების მემკვიდრეობით გადაცემა. იქმნება ოჯახები, რომლებიც თაობიდან თაობას გადასცემენ საომარი ხელოვნების საუკეთესო ტრადიციებს, ეს ხელს უწყობს პროფესიონალიზმისა და დაოსტატების ამაღლებას, რაც დროთა განმავლობაში სულ უფრო რთულდებოდა და იხვეწებოდა. ასე გაჩნდა ახალი, ძლიერი დიდგვაროვანთა და წარჩინებულთა სასოგადოებრივი ფენა, რომელიც მთელ თავის დროს და შემოსავლის დიდ ნაწილს ახმარდნენ სამხედრო საქმესა და ნადირობას, ეს უკანასკნელი ხშირად ეწყობოდა სამხედრო მანევრებისა და მებრძოლთა გაწვრთნილობის მიზნით.

ქართველი ხალხის საომარი ორგანიზაცია და შეიარაღება არ ჩამოუვარდებოდა იმდროინდელი მოწინავე ქვეყნების საომარი ორგანიზაციის დონეს (იხ. სქემა. №3). განმტკიცდა ერის ძლიერება, რასაც ხელი შეუწყო ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარებამ, საეკლესიო ორგანიზაციის გაფართოებამ და ცენტრალიზაციამ.

მეფე მირიანმა აღმოსავლეთ რომთან ურთიერთობის დამყარებისა და განმტკიცების მიზნით 337 წ. მიიღო ქრისტიანობა. ძნელი იყო ძველი წარმართობის წინააღმდეგ ბრძოლა, ქრისტიანობის ფართოდ გავრცელება საქართველოში, განსაკუთრებით მთის რეგიონებში, მაგრამ ძირიანი ყოველმხრივ ითვალისწინებდა საშინაო და საგარეო ცხოვრებაში ახალი რელიგიის გავრცელების მნიშვნელობას. წარმართულ რელიგიასთან შედარებით ქრისტიანობა პროგრესული იდეების მატარებელი იყო, ამიტომ დაბალ ფენებში ადვილად ვრცელდებოდა, იქმნებოდა ახალი ფენა — სამღვდელოება, რომელიც ხელს უწყობდა სამეფო ხელისუფლების განმტკიცებას, შენდებოდა ეკლესიები და ტაძრები, რომლებიც იმ ხანებში იქცეოდნენ საგანმანათლებლო კულტურის ცენტრებად, პატრიოტული აღზრდის მძლავრ კერებად. მეორეს მხრივ, ქრისტიანობის გავრცელება განამტკიცებდა ქართლის სამეფოს ურთიერთობას რომთან, რამდენადაც რომში ქრისტიანობა სახელმწიფო

რელიგიად იყო აღიარებული. ამიტომაც იყო, რომ საქართველოში ქრისტიანობის გამავრცელებელი კაპადოკიელი მისიონერი ქალი ნინო საქართველოს ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

მომხდურთა წინააღმდეგ ომები ზოგჯერ ქვეყნის მთელ ტერიტორიას მოიცავდა, მთელ ერთან ერთად მასში აქტიურად მონაწილეობდა სამღვდელოებაც, რომელიც არა მარტო ამხნევებდა ხალხს, არამედ უშუალოდ იძლეოდა თავდადებული ბრძოლის მაგალითებს. ასე შეერწყა ერთმანეთს ერის ძალა და რწმენა, ამიტომაც აშენებდნენ ეკლესიებს ციხე-სიმაგრეებთან ერთად. ძალისა და რწმენის ასეთი შერწყმის საუკეთესო ნიმუშია გრემი — კახეთის სამეფოს ერთ-ერთი დედაქალაქი (იხ. სურ. 5).

ამ პერიოდის საომარ მოვლენებზე გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენდნენ არა საქართველოს უშუალო მეზობლები, არამედ შორეული, ძლიერი სახელმწიფოები, რომლებიც პრეტენზიას აცხადებდნენ მსოფლიო ბატონობაზე. ისტორიულ არენაზე იცვლებოდა ან მთლიანად ქრებოდა დიდი და მცირე სახელმწიფოები, ხდებოდა ხალხთა დიდი გადაადგილებანი, ყალიბდებოდა ახალი ტომები და ხალხები. თვით უძლიერესი რომის იმპერია დაეცა IV საუკუნის მიწურულს, გაიყო ორ ნაწილად და შეიქმნა აღმოსავლეთ რომის იმპერია, რომელსაც VII საუკუნიდან უწოდებდნენ ბიზანტიას.

ათი საუკუნის მანძილზე საქართველო რომის იმპერიასთან სამხედრო კავშირში იმყოფებოდა. მიუხედავად მათს ურთიერთობაში მრავალი არსებითი წინააღმდეგობისა, ეს კავშირი ბრძნული ისტორიული კავშირი იყო. რომმა დაიპყრო თითქმის მთელი მსოფლიო და საქართველოსთან, რომელიც უზრუნველყოფდა რომის უძნელეს სტრატეგიულ ფლანგს, დაამყარა კავშირი. თავის მხრივ, რომი მხარს უჭერდა საქართველოს ყოველმხრივ. სარწმუნოებრივმა ერთიანობამ განამტკიცა ეს კავშირი არა მარტო სულიერად, არამედ სამხედრო-პოლიტიკურად და ეკონომიკურადაც. ათასწლეულთა მანძილზე საქართველოს ესა თუ ის სამხედრო ისტორიული მოვლენა განუყოფელი იყო რომის იმპერიისაგან. ასეთმა ურთიერთობამ, როგორც აღვნიშნეთ, გაამდიდრა საქართველოს გამოცდილება სამხედრო ხელოვნებაში, როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულად.

მცხეთისა და კონსტანტინოპოლის მჭიდრო საბრძოლო თანამეგობრობის დამადასტურებელი მცირეოდენი საგულისხმო მასალა მაინც შემოგვინახა ისტორიამ. ასე, მაგალითად, 363 წელს რომსა და სპარსეთს შორის ბრძოლაში, მესოპოტამიის დაბლობზე, გმირულად იცავდა

რომის ინტერესებს ქართველთა ლეგიონი ვეტრანიონის მეთაურობით. მთელი ლეგიონი მეთაურთან ერთად ბრძოლაში დაეცა, მაგრამ მან უდიდესი ზიანი მიაყენა სპარსელთა ჯარებს. იმ ხანებში ბევრი ქართველი სწავლობდა კონსტანტინოპოლსა და სხვა ქალაქებში, ეწეოდა სამეცნიერო, პოლიტიკურ, ფილოსოფიურ და სამხედრო მოღვაწეობას. კერძოდ, იმპერატორ ვალენტის გვარდიას მეთაურობდა ბრწყინვალე სარდალი ბუზმირ იბერიელი; როდესაც გერმანულმა ტომებმა ოსტგუთებმა და ვესტგუთებმა 377 წ. სარმატებთან ერთად გადალახეს მდ. დუნაი და შეიჭრნენ თრაკიაში, იმპერატორმა თავისი ჯარის სარდლად დანიშნა ბუზმირ იბერიელი, რომელმაც ქ. ტიბალტუმთან სერიოზული დარტყმა მიაყენა მტრის ბევრად ძლიერ არმიას. მხედართმთავარი პირველი შეიჭრა მტრის რაზმში და თავგანწირვით იბრძოდა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. რომაელთა ჯარის მცირე ნარჩენები ალყაში აღმოჩნდა, მაგრამ მრავალრიცხოვანი მტერი ვერ ბედავდა, ხელჩართულ ბრძოლაში ჩაბმულიყო იბერიელის წინააღმდეგ. მათ შორიდან დაუშინეს ისრები მამაც სარდალს. ბოლოს ისრებით დაცხრილული, სისხლისაგან დაცლილი მებრძოლი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.

გენერალური ბრძოლა გერმანელებსა და რომაელებს შორის მოხდა 378 წლის 9 აგვისტოს, ქალაქ ანდრიანოპოლის მახლობლად. რომაელებს წინ მიუძღოდა თვითონ იმპერატორი ვალენტი, ხოლო სამარქაფო ჯარებს — ბაკურ იბერიელი. ბრძოლა დამთავრდა რომაელთა სასტიკი განადგურებით. დაიღუპა ორმოცი მხედართუფროსი და თვით იმპერატორიც. რომაელთა მხრიდან ერთადერთი საგრძნობი დარტყმა მარცხენა ფლანგიდან განახორციელა ბაკურ იბერიელმა და შეძლო, გადაერჩინა ჯარის ნაწილი, რომლითაც შემდეგ მტრებს გზა მოუჭრა კონსტანტინოპოლისაკენ.

ამ ბრძოლის გმირად აღიარებულ იქნა ბაკურ იბერიელი, მაგრამ იმპერატორის კარი, როგორც ყოველთვის, თვალს ხუჭავდა ქართველი მხედართმთავრის წარმატებებზე, სამაგიეროდ, წარუმატებლობის შემთხვევაში სრულ პასუხისმგებლობას აკისრებდა.

394 წელს ახალმა იმპერატორმა თეოდოს I-მა გაგზავნა თავისი ლაშქარი ჩრდილოეთ იტალიაში, სადაც ევგენიოსს სურდა თვითნებურად გამოეცხადებინა თავი დასავლეთ რომის იმპერატორად. ქალაქ აქვილეას მახლობლად გაიმართა სასტიკი სისხლისმღვრელი ომი. ამ ომში თავი ისახელა ბაკურ იბერიელმა. ის თანაბარი ოსტატობით ხმარობდა მტრის წინააღმდეგ მშვილდს, შუბს და ხმალს. მან გაარღვია მტრის საბრძოლო ცენტრი და მისწვდა ევგენიოსს. ხანმოკლე ჭიდილში

ბაკურმა ცხენიდან გადმოაგდო ევგენიოსი და დაატყვევა იგი. მტრის ჯარმა შეწყვიტა წინააღმდეგობა. ბაკურმა ტყვე მიჰგვარა თეოდოს I-ს, რომელმაც ევგენიოსის აკუწვა ბრძანა. ამის გამო ბაკურმა გამოთქვა თავისი აღშფოთება. ის გააგზავნეს პალესტინაში ჯარების მთავარსარდლად, სადაც სახელგანთქმული მხედართმთავრის დიდებას მიემატა დიდი ფოლოსოფოსისა და მოაზროვნის, უკეთილშობილესი პიროვნების სახელი, რაც აღინიშნა კიდეც ისტორიულ ძეგლებში.

რომის ნებისმიერი დასუსტება იწვევდა აღმოსავლეთის მხრიდან აგრესიის გაძლიერებას. ირანის ყველა შაჰის სურვილი იყო, დაეპყრო საქართველო. 368 წ. ისარგებლა რა რომის მდგომარეობის გაუარესებით, სპარსეთის მეფემ შაბურმა გაილაშქრა ქართლზე. საუკუნის ბოლოს რომმა მაინც შეძლო ომი დაეწყო სპარსელების წინააღმდეგ ქართლის დასაცავად. სპარსელებმა შეძლეს ქართლის დამორჩილება და, ეს უკანასკნელი, პირველად გახდა მათი ვასალი. ამასთანავე სპარსელებმა ქრისტიანობის წინააღმდეგაც დაიწყეს ბრძოლა. ისინი ცდილობდნენ ძალითა და ხრიკებით დაენერგათ თავიანთი სარწმუნოება (მაზდეანური), მოესყიდათ უმაღლესი სამღვდელოება და დიდებულები.

დაუსრულებელი თავდასხმები, თარეში და ძარცვა იწვევდა ქართველი ხალხის გულისწყრომას. ისინი მზად იყვნენ თავგანწირვის ფასად განედევნათ მჩაგვრელები. საბედნიეროდ, ამ მძიმე ისტორიულ პერიოდში გამოჩნდა პიროვნება, რომლის მხედართმთავრულმა ნიჭმა და გმირობამ განსაკუთრებით წინ წასწია საქართველოს სამხედრო ხელოვნება. ქართლის მეფე ვახტანგ I ისეთ შიშის ზარს სცემდა სპარსელებს, რომ მისი გამოჩენისთანავე ყველა თრთოდა და გაშმაგებული ყვიროდნენ: „დურ აზ გორგასარ!“ — „უფრთხილდი გორგასალს!“ მის მუზარადზე მგლის (გორგ) თავის (სარ) გამოსახულების გამო მტრებმა გორგასალი შეარქვეს.

ვახტანგ გორგასალი დაიბადა 442 წელს. აღსაზრდელად იგი მიაბარეს გამოცდილ მხედართმთავარს სპასპეტ საურმაგს. თხუთმეტი წლის ასაკში ვახტანგი ქართლის მეფედ აკურთხეს. ფრიად საინტერესო იყო მისი პირველი სიტყვა, წარმოთქმული მეფედ კურთხევისას. მან ყველა გააოცა ფილოსოფიური აზროვნების სიღრმითა და პრაქტიკული დასკვნებით საქართველოს მძიმე მდგომარეობ ს შესახებ. მან წამოაყენა ჩრდილოეთზე — ოსეთზე (რომელიც წარმოადგენდა ყველაზე საშიშ სტრატეგიულ პუნქტს და გააჩნდა უმნიშვნელოვანესი კომუნიკაციები) დაუყოვნებლივ გალაშქრების წინადადება.

თხუთმეტი წლის ასაკში ვახტანგს ყველა განცვიფრებაში მოჰყავდა

მეცნიერებისა და სამხედრო ხელოვნების საფუძვლიანი ცოდნით. იგი განსაკუთრებული ინტერესით ეკიდებოდა ალექსანდრე მაკედონელის სამხედრო ხელოვნებას.

ვახტანგმა გადაწყვიტა, თავად გაძღოლოდა ლაშქარს, თუმცა ბევრი ერთგული თანამებრძოლი ცდილობდა თავაზიანად მიეხვედრებინა, რომ მიუხედავად ფიზიკური სიძლიერისა, მოქნილობისა და გიგანტური აღნაგობისა, არ გააჩნდა ჯარების ხელმძღვანელობის გამოცდილება (ისინი თვლიდნენ, რომ ბრწყინვალე ფიზიკური მომზადება საამისოდ არ კმაროდა). მიუხედავად ამისა ვახტანგ I-მა გამოთქვა თავისი ურყევი გადაწყვეტილება, პირადად გასძღოლოდა ჯარს. ჯერ კიდევ ლაშქრობისათვის მზადებისას თავისი ძალებისა და ადგილმდებარეობის პირობების რეალური შეფასებისა და გადაწყვეტილებების გამოტანის დროს ვახტანგ I-მა დაამტკიცა, რომ იგი, როგორც სამხედრო ხელმძღვანელი, სათანადო სიმაღლეზე იდგა.

საბრძოლო მოქმედებათა დაგეგმვის დროს ის მოხერხებულად იყენებდა დარტყმისა და მანევრის კლასიკურ მეთოდებს, რომელთაც მთიან რაიონებში ოპერაციის ჩატარების სპეციფიკურ პრინციპებს უხამებდა. კერძოდ, ქართველთა ჯარის საომარი მოქმედების განლაგება ითვალისწინებდა, რომ მძიმე ცხენოსანთა რაზმს მთავარი დარტყმა უნდა მიეყენებინა მოწინააღმდეგის წყობისათვის სამეთაურო პუნქტამდე. ამასთან, დარტყმა უნდა ყოფილიყო გამჭოლი, მთელ სიღრმეში შეუფერხებელი. მძიმედ აღჭურვილი ცხენოსნები გზას უხსნიდნენ ქვეითებს, რომლებიც ანადგურებდნენ მტრის მეომართა ნაშთებს. მძიმე ცხენოსანთა რაზმსა და ქვეითებს მოჰყვებოდა მესამე ეშელონი (მსუბუქი ცხენოსნებისა), რომელიც სდევნიდა გაქცეულ მოწინააღმდეგეს. რჩეულ სამეფო რაზმს გორგასალის მეთაურობით იერიში მიჰქონდა ბრძოლის ყველაზე ძნელ უბნებზე და საჭიროების მიხედვით ინაცვლებდა ერთი ადგილიდან მეორეზე.

მეფის მძიმედ შეჭურვილი ცხენოსანთა რაზმი, რაინდთა რაზმის მსგავსი იყო. იგი ელვის სისწრაფით იკვლევდა გზას ბრძოლის შუაგულისაკენ. თავად მეფე ისწრაფოდა, პირადად შებრძოლებოდა მოწინააღმდეგის მთავარსარდალს.

ოსეთში სალაშქროდ მზადება ერთ კვირაში დამთავრდა. ვახტანგ გორგასალის მთავარმა ძალებმა თავი მოიყარეს მუხრანის ველზე. აქედან გორგასალი დაიძრა დარიალის ხეობისაკენ. ვახტანგ მეფემ თავისი ჯარები მიმართა ოსთა და ხაზართა ძლიერი არმიისაკენ. მათი ჯარები ერთმანეთს შეხვდნენ თერგის დაბლობ ნაპირზე. მაშინდელი წესის

თანახმად, დაიწყო რაინდთა ორთაბრძოლები (იხ. სქემა. № 4). პირველი იყო თარხანი ოსების და ხაზარების მხრიდან და ფარსმან-ფარუხი — ქართველების მხრიდან. გაიმარჯვა თარხანმა და ბრძოლაში გამოიწვია ჭაბუკი მეფე, რომელმაც შუბის მოქნილი და ძლიერი დარტყმით მოკლა თარხანი. მეორე დილით ოსებმა და ხაზარებმა ვახტანგის წინააღმდეგ გამოიყვანეს უძლიერესი მებრძოლი ბაყათარი, რომელიც ვახტანგმა განგმირა თავისი უზარმაზარი ხმლით.

ქართველთა მეფის ძლიერებითა და მოხერხებულობით თავზარდაცემულმა მტერმა წამოიწყო ბრძოლა, რომელიც ოსების ლაშქრის მთლიანი განადგურებით დამთავრდა. ამის შემდეგ ქართველთა ჯარმა გადალახა კავკასიონის დიდი ქედი იალბუზის მიდამოებში. ეს არნახული, ურთულესი გადასვლა მოულოდნელი აღმოჩნდა მრავალრიცხოვან ყივჩაღთა ურდოებისა და სხვა ჩრდილოეთ კავკასიელი ტომებისათვის. ისინი ვახტანგმა ცალ-ცალკე დაამარცხა და დაიპყრო მთელი ეს მხარე. ვახტანგს ხალხმა უწოდა იალბუზის გმირი. ხელთ იგდო რა ჩრდილოეთ კავკასია, ვახტანგი დაიძრა აფხაზეთისა და ეგრისისაკენ. მისი მიზანი იყო გაეთავისუფლებინა დასავლეთი საქართველო ბიზანტიის ბატონობისაგან, რომელსაც მართავდა იმპერატორი ლეონ I. აღფრთოვანებული ხალხი მხარს უჭერდა თავის განმათავისუფლებელს. ეს აიოლებდა იერიშით ქალაქებისა და სიმაგრეების აღებას. სამი წლის განმავლობაში ჩრდილო-დასავლეთში ლაშქრობის დროს ქართველებმა დაიპყრეს მთელი ჩრდილოეთი კავკასია და გაათავისუფლეს დასავლეთ საქართველო. ცხრამეტი წლის ვახტანგ I არნახული ტრიუმფით დაბრუნდა მცხეთაში. ხალხი აღმერთებდა თავის განმათავისუფლებელს და ქმნიდნენ მასზე სიმღერებს.

„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რქაა;
იალბუზზე ფეხი შეედგა,
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა".

იალბუზის გმირის დიდება, მისი მხედართმთავრული ნიჭი, ჯარის ყოველმხრივი მომზადება, თითოეულის სიმამაცე და გმირობა იძლეოდა სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს განთავისუფლების შესაძლებლობას.

ვახტანგმა ამ ბრძოლებში დიდი გამოცდილება შეიძინა და შესანიშნავად ახამებდა სამხედრო თეორიულ ცოდნას პრაქტიკასთან. იგი გაიზარდა როგორც სტრატეგი, დავაჟკაცდა ფიზიკურად. სიმაღლით ვახტანგი ორ მეტრსა და ოც სანტიმეტრს სჭარბობდა.

მის საოცარ ძალ-ღონეზე ზღაპრები დადიოდა. ისტორიკოს ჯუანშერის ცნობით, იგი მხრებით შეუდგებოდა ხოლმე ცხენს და ასე აჰყავდა მცხეთიდან არმაზის სიმაგრემდე.

ვახტანგის ხელმძღვანელობით ქართლში სამი წლის მანძილზე მზადდებოდა ფრიად რთული საომარი კამპანია და 464 წელს ქართველთა ლაშქარი გაემართა ერზრუმისაკენ. გზადაგზა მათ შეუერთდა სომეხთა მნიშვნელოვანი ძალა. მთავარი დარტყმის მიმართულება იყო კონსტანტინოპოლი (იხ. სქემა № 4). ვახტანგმა ბრძანება გასცა, არ დაეკარგათ დრო გარეშე მიმდებარე გარნიზონებისა და ციხე-სიმაგრეთა აღებისათვის, ხოლო როდესაც ვახტანგი ერზრუმის ციხე-სიმაგრეთა ორგანიზებულ წინააღმდეგობას წააწყდა, იქ დატოვა 12-ათასიანი ჯარი ორი ერისთავის სარდლობით, თვითონ კი ძირითადი ძალებით განაგრძო სწრაფი წინსვლა. იგი მოულოდნელად დაესხა თავს და ძლიერი დარტყმით დაიმორჩილა ციხე-სიმაგრეები: ანგორეთი, ეკლეცი და სტერი.

განაგრძობდა რა ლაშქრობას ზღვის გასწვრივ, ფაქტიურად უბრძოლველად იმორჩილებდა მრავალრიცხოვან ქალაქებს და საფრთხეს უქმნიდა კონსტანტინოპოლს.

მოახლოებული საფრთხის თავიდან აცილების მიზნით ბიზანტიის იმპერატორმა ლეონ I-მა თავი მოუყარა მთელ თავის ძალებს გამოჩენილი მხედართმთავრის პოლიკარპოსის სარდლობით. ვახტანგმა თამამად შეუტია მტრის მეწინავე ნაწილს, საკუთარი ხელით მოსპო პოლიკარპოსი (საშინელი დარტყმით გაუჩეხა თავი).

სარდლის დაკარგვით დაბნეული ბიზანტიელები გაიფანტნენ და მათ ნაწილ-ნაწილ შემოარტყეს ალყა ზღვის სანაპიროზე. დიდი ნაწილი გაანადგურეს, ნაწილი კი დაატყვევეს.

იმპერატორი ლეონ I იძულებული გახდა, თავად ხლებოდა ვახტანგ I-ს დაზავების მიზნით. მან დააკმაყოფილა ვახტანგის უმთავრესი მოთხოვნები და დაუბრუნა საქართველოს მიწები, რომლებიც ბიზანტიას ჰქონდა მიტაცებული, რაც მთავარია, აღდგა მჭიდრო სამხედრო-პოლიტიკური კავშირი ბიზანტიასა და საქართველოს შორის, რომელიც მიმართული იყო მათი საერთო მტრის — სპარსეთის წინააღმდეგ.

საქართველოს ძირითადი რაიონების განთავისუფლების, ჩრდილოეთ კავკასიის დამორჩილებისა და ხელშეკრულების დადების შემდეგ ვითარება საქართველოში მთლიანად შეიცვალა უკეთესობისაკენ. შესაძლებელი გახდა მთავარი სამხედრო-პოლიტიკური ამოცანის გადაჭრა, გაეთავისუფლებინათ ქვეყანა სპარსელთა უღლისაგან.

არანაკლებ რთულ ამოცანას წარმოადგენდა შინაურ მტრებთან ბრძოლა. სპარსეთი ახერხებდა შეღწევას ქართლის სახელმწიფოებრივი მმართველობის ყველა სფეროში, საეკლესიო სისტემაშიც კი. მას ყველგან ჰყავდა თავისი მსტოვრები, მოსყიდული ზედაფენა, გამცემთა და აგენტთა ფართო ქსელი. ისინი ხოცავდნენ, წამლავდნენ და აშინებდნენ ყველას, ვინც წინააღმდეგობას უწევდა მათს შავბნელ ზრახვებს.

მზაკვრობის, ღალატის, მოსყიდვის, მკვლელობის მსოფლიოში ცნობილი მეთოდები სპარსელთა და თურქთა სამეფო კარზე მუშავდებოდა და მათ დაუფარავი ცინიზმით, ულმობელობითა და ბოროტებით იყენებდნენ. ისინი იყვნენ — „ზურგში დარტყმის" ცბიერი ოსტატები. აჩაღებდნენ შუღლს საზოგადოების ფენათა შორის, ცდილობდნენ მათს გადაბირებას საქართველოს მოსისხლე მტრებად. მათი საქმიანობა ასევე მიმართული იყო ძლიერ ისტორიულ პიროვნებათა სულიერი და ფიზიკური მოსპობისაკენ.

ვახტანგ I გარეშე მტრებთან შეიარაღებულ ბრძოლაში იყო ბრწყინვალე მეომარი, ჭკვიანი მხედართმთავარი და უმკლავდებოდა ყველაზე რთულ საშიშროებას, მაგრამ შინა საიდუმლო ბრძოლის ფრონტს, რომლის ორგანიზებასაც სპარსელები ეწეოდნენ, ჯეროვნად ვერ ართმევდა თავს. მან არა ერთი შეთქმულება გამოააშკარავა, ამხილა დიდგვაროვან წარჩინებულთა, აგრეთვე ცალკეულ სასულიერო პირთა ღალატი, მაგრამ ხშირად მარცხიც უწვნევია მათთან ბრძოლაში.

შინაურ მტრებთან ბრძოლა ყოველთვის ძნელია, მითუმეტეს, როცა ქვეყანა საკუთარ მტრებით. გარეშე და შინაურ მტრებთან გამკლავება მაშინაც სახელმწიფოს მეთაურის უდიდეს მიღწევად ითვლებოდა.

ესმოდათ რა შინაგანი არეულობის მნიშვნელობა, სპარსელები ყოველნაირად ცდილობდნენ ხელი შეეწყოთ ვახტანგ მეფის გარეშე მტრებისათვის, ამასთან ქვეყნის შიგნით წინააღმდეგობას ამწვავებდნენ, ზრდიდნენ აგენტების რაოდენობას სამეფო კარზე, არმიაში, ცდილობდნენ მოენახათ უკმაყოფილონი სასულიერო პირთა შორისაც. ხალხს უყვარდა თავისი მეფე და მხარს უჭერდა განმათავისუფლებელ ბრძოლებში, მაგრამ მოღალატე დიდებულები და გადაგვარებული ღვთის მსახურნი არა მარტო მეფეს უშლიდნენ ხელს სპარსელებთან ბრძოლაში, არამედ აშკარად გამოდიოდნენ მის წინააღმდეგ. ასე, მაგალითად, ქართლის არქიეპისკოპოსმა მიქაელმა თავისი აგენტების დახმარებით შეიტყო, რომ ვახტანგი აშზადებდა კათალიკოსობის დაწესებას ქართლში და კათალიკოსად საბერძნეთიდან პეტრეს მოწვევას. მიქაელმა შეაჩვენა მეფე და შეეცადა მის წინააღმდეგ გაელაშქრა, მაგრამ მიქაელი განდევნეს.

ვარსქენ პიტიახშმა, ქართლში ანტიქრისტიანული და ანტისახელმწიფოებრივი ძალების მეთაურმა, სპარსეთის ერთგულმა ვასალმა თავის მეუღლეს შუშანიკს მოსთხოვა, უარეყო ქრისტიანობა და ეღიარებინა ცეცხლთაყვანისმცემლობა, რათა ამით ეამებინა შაჰისათვის. შუშანიკმა ამაზე კატეგორიული უარი განაცხადა. ვარსქენმა იგი ურჩობისათვის მხეცურად აწამა. შუშანიკის წამებით დაღუპვისათვის ვახტანგმა ბრძანა, სიკვდილით დაესაჯათ მოღალატე. ეს იყო სერიოზული, მაგრამ არასაკმარისი ზომები შინაური მტრების წინააღმდეგ. ისინი ხელს უშლიდნენ ვახტანგს სპარსეთის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციის საქმეში. სპარსეთმა იგრძნო, რომ მის უფლებებს საქართველოში საფუძველი ეცლებოდა და მოაწყო მორიგი ახალი თავდასხმა. ვახტანგი ელოდა ამ თავდასხმას და ემზადებოდა თავდაცვისათვის. განაახლა ძველი და ააშენა ახალი ციხე-სიმაგრეები, გაა ა გრა ქალაქები ისე, რომ შესძლებოდათ საიმედო და ხანგრძლივი თავდაცვა. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ციხე-ქალაქ უჯარმის მშენებლობას. თბილისში შექმნა ნარიყალას, ისნისა და ჭერმის ციხე-სიმაგრეთა მთელი სისტემა (იხ. ნახ. 4), სამხრეთის სტრატეგიული მიმართულებით ვახტანგმა ააშენა ციხე-სიმაგრე არტანუჯი და მონასტერი ოპიზა, ტაძრები თავდაცვით ნაგებობებთან შერწყმით. ამასთან, გაძლიერებით წვრთნიდა ჯარს, აუმჯობესებდა ორგანიზაციულ სტრუქტურასა და შეიარაღებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ვახტანგი მთელ ერს ამზადებდა მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. მცხეთა გაწმინდა მტრულად განწყობილი უცხოელებისაგან, აშკარა შინაურ მტრებს კი ულმობლად უსწორდებოდა.

სპარსელები სამი წლის მანძილზე ემზადებოდნენ ომისათვის და 467 წელს დიდი ძალებით, შემოიჭრნენ საქართველოში. მათ თვითონ შაჰი სარდლობდა. სპარსელებმა გააჩანაგეს თბილისის მიდამოები და დაიკავეს მდ. მტკვრის მარცხენა სანაპირო (იხ. სქემა № 4). ვახტანგ I-ის ჯარები განლაგებული იყვნენ მდინარის მარჯვენა სანაპიროზე. მეფემ გაითვალისწინა მტრის ძალების დიდი სიჭარბე და მაცნე გაგზავნა ბიზანტიის იმპერატორ ლეონთან, რომელიც ხელშეკრულების თანახმად უნდა დახმარებოდა.

ოთხ თვეზე მეტ ხანს ცვალებადი წარმატებით გრძელდებოდა ბრძოლა მტკვრის ნაპირებზე მცხეთასა და თბილისს შორის და ბიზანტიელები მხოლოდ მაშინ მოვიდნენ ბრძოლის ველზე, როცა გამარჯვების სასწორი ქართველების მხარეს გადაიხარა. მეფეს მათ მიართვეს საჩუქრები და ბოდიში მოუხადეს დაგვიანებისათვის.

სპარსელები უკუაგდეს. შაჰმა დელეგაცია გაუგზავნა ვახტანგს ძვირფასი საჩუქრებით და წინადადება მისცა, დაზავებულიყვნენ.

ამის შემდეგ სპარსეთის შაჰი თავად ეახლა ვახტანგს და მიართვა სამი ათასი საბრძოლო ცხენი, ურიცხვი საომარი აღჭურვილობა და სხვა ქონება.

ამ ომში ვახტანგ მეფემ, როგორც ყოველთვის, დიდი სიმამაცე და ჯარის გაძღოლის განსაცვიფრებელი უნარი გამოავლინა. ამიტომაც იყო, რომ შაჰი პეროზი და ბიზანტიელთა იმპერატორი უსიტყვოდ დათანხმდნენ ქართველთა მეფის მიერ ნაკარნახევ საზავო პირობებზე.

ქართველთა მეფის წინადადებით დაიდო სამმხრივი ხელშეკრულება მმართველობის გავრცელების სფეროზე. დამტკიცდა, რომ ქართველთა ბატონობა ვრცელდებოდა აღმოსავლეთით — კასპიის ზღვამდე, სამხრეთით მდ. არაქსის გაყოლებამდე. ეს გარემოება საქართველოს წინა აზიის წამყვან სახელმწიფოდ აქცევდა. საომარმა წარმატებებმა და საქართველოს ძლიერების ზრდამ შესაძლებელი გახადა ფართოდ გაეშალათ ეკლესიების, ციხე-სიმაგრეებისა და ქალაქების მშენებლობა. ვახტანგ მეფის პოლიტიკურ და სტრატეგიულ შორსმჭვრეტელობას მოწმობს მისი გადაწყვეტილება თბილისის საქართველოს სატახტო ქალაქად გადაქცევის შესახებ.

მალე ვახტანგ გორგასალმა შეიტყო, რომ სპარსელები ემზადებოდნენ ახალი, მოულოდნელი თავდასხმისათვის. სავარაუდო იყო, რომ მომავალ ბრძოლაში სპარსელთა ვერაგობითა და ულმობლობით გაწამებული მეზობელი ქვეყნები ვახტანგ გორგასალის ერთგული მოკავშირეები იქნებოდნენ. ვახტანგის სახით ისინი ხედავდნენ ამიერკავკასიის ხალხთა განმათავისუფლებელს.

მეფე ვახტანგმა მალემსრბოლები გაგზავნა ალბანელებთან და სომხებთან, ბიზანტიელებთან და ჰუნებთან, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს, სპარსელების წინააღმდეგ მისი ხელმძღვანელობით ებრძოლათ. ქართლიდანაც ქუდზე კაცი გამოვიდა და ლაშქარმა ომისათვის მზადება დაიწყო. ეს ომი ისტორიაში „გამცემთა ომის“ სახელწოდებით შევიდა.

მოღალატეებმა თავდაპირველად ჯარების თავშეყრის ადგილი და მზადების მთელი საიდუმლოება ამცნეს მტერს. სპარსელებმა შეიტყვეს რა ვახტანგ მეფის საომარი გეგმები, ისინი მრავალრიცხოვანი ლაშქრით შემოიჭრნენ მდინარე მტკვრის ხეობაში. მეფე იძულებული გახდა, მცირერიცხოვანი ლაშქრით მთებში გახიზნულიყო და იქ დაეცადა მოკავშირეებისათვის. ცოტა ხნის შემდეგ ვახტანგის ლაშქარს შეუერთდა სომეხთა ჯარები და მეფემ გადაწყვიტა, მოულოდნელად თავს

დასხმოდა მტერს, მაგრამ ამ გეგმას განხორციელება არ ეწერა: ბრძოლის დაწყების წინ სომეხმა ფეოდალებმა დატოვეს პოზიციები და სპარსელების მხარეზე გადავიდნენ.

ეს ღალატი მძიმე დარტყმა იყო ვახტანგ გორგასალისათვის. ვახტანგს უკან მაინც არ დაუხევია. მან მცირერიცხოვანი რაზმით შეუტია სპარსელებს. თავდადებით იბრძოდნენ ქართველები, უწყალოდ ჟლეტდა გორგასალის ხმალი სპარსელთა მწკრივებს. მტრის გვამებმა დაფარა ბრძოლის ველი, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. გორგასალი იძულებული გახ ა, უკან დაეხია და ახალი ძალები ეძებნა. დახმარებისათვის მან დიდგვაროვანთ და ერისთავებს მიმართა, მაგრამ აქაც ღალატმა იჩინა თავი. მეფე იძულებული გახდა, თავი შეეფარებინა დასავლეთ საქართველოსთვის, საიდანაც რამდენიმე ხნის შემდეგ ახალი ჯარით ძალმოკრებილი დაბრუნდა მტრის გასანადგურებლად, მაგრამ სპარსელებმა თვითონ დატოვეს საქართველო.

მტრისგან აოხრებულ ქვეყანაში ძალიან ბევრი რამ იყო აღსადგენი და გასაკეთებელი. ორმოცდახუთი წელი მეფობდა ვახტანგ გორგასალი — დიდი მხედართმთავარი და ჭეშმარიტად სახალხო მეფე, მან თავდაუზოგავი ღვაწლით და მტრებთან ბრძოლებში მოპოვებული გამარჯვებებით დაუმკვიდრა ხალხს მშვიდობიანი ცხოვრება.

სამოცი წლის ვახტანგ გორგასალმა მდინარე იორის ნაპირებთან ერთხელ კიდევ უჩვენა თანამემამულეებს მომხდური მტრის წინააღმდეგ საარაკო ბრძოლის მაგალითი. მან დროულად იზრუნა შუა კახეთიდან მოსახლეობის მთებში გასახიზნად, შეაკეთა და გაამაგრა ციხე-სიმაგრეები. შეავსო ისინი ჯარის ახალი გარნიზონებით. დაგზავნა მალე-მსრბოლები კონსტანტინოპოლში დახმარების სათხოვნელად, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ისინი აგვიანებდნენ. ისტორიკოს ჯუანშერის ცნობით, 240-ათასიანი ქართველთა ჯარი პირისპირ აღმოჩნდა 740-ათასიან სპარსელთა ლაშქრის წინაშე, რომელსაც თვითონ შაჰი კავადი ხელმძღვანელობდა (იხ სქემა № 4).

502 წლის გაზაფხული იყო. სამი დღე-ღამის განმავლობაში მძიმე ბრძოლა მიმდინარეობდა სასტიკი ომი. ბრძოლის ველზე წამ და უწუმ გაისმოდა თავზა დაცემულ სპარსელთა შეძახილები: „დურ ას გორგასარ". დიდი ზარალი განიცადა სპარსელთა ლაშქარმა, შედარებით ნაკლები — ქართველებმა, მაგრამ მათი მცირერიცხოვნობის გამო ეს დანაკლისი ქართველთათვის უფრო საგრძნობი იყო, ვიდრე სპარსელებისათვის. დადგა მეოთხე, გადამწყვეტი დღე.

ვახტანგმა შთამაგონებელი სიტყვით მიმართა ლაშქარს და წინ

წაუძღვა არმიის ცენტრს პირდაპირ შაჰის დამცველი გვარდიისაკენ. გორგასალმა სწრაფი დარტყმით აჰკაფა შაჰის დამცველი რაზმი და აპირებდა პირისპირ შებმოდა კავადს. კავადმა თვალი მოჰკრა თუ არა ვახტანგის ვეებერთელა ხმალს, რომელიც მარჯვნივ და მარცხნივ სთესავდა სიკვდილს, მიატოვა ბრძოლის ველი და გაიქცა.

გაქცეულ შაჰს შიშმა გონება ისე დაუბნელა, რომ აღარც გახსენებია ბრძოლის ველზე მიტოვებული შვილი, ძლიერი და მამაცი მებრძოლი ბარტამი, რომელმაც ვახტანგ გორგასალთან შებმა გაბედა. ამ დროს მოსყიდულმა ვახტანგ მეფის ყოფილმა მონამ შენიშნა, რომ მარცხენა იღლიის ქვეშ მეფეს ჯაჭვის პერანგი გახეული ჰქონდა. მკვლელმა არ დააყოვნა, მუხანათურად მიეპარა, დაუმიზნა დაუფარავ ადგილას ისარი და ზუსტი სროლით მეფე სასიკვდილოდ დაჭრა.

ვახტანგ გორგასალის არაადამიანურმა ნებისყოფამ და ძალამ სძლია მწვავე ტკივილს და მეფემ ბარტამი ხმლის ძლიერი დარტყმით შუაზე გაჩეხა. ჭრილობაში ღრმად ჩამჯდარი ისრისათვის კი მას ხელი არ უხლია, რომ სისხლისაგან არ დაცლილიყო. უფრო მეტი გამეტებით შეუტია მტერს. დაჭრილი ვახტანგი მანამდე იბრძოდა [illegible] სპარსელები. მერმე თვალი მოავლო იქაურობას, რომელიც მტრის ურაცხელი გვამებით იყო მოფენილი. გორგასალმა თვალი ჰკიდა გამარჯვების სიხარულით სახეგაბრწყინებულ ქართველ მეომრებს და თავისი ჭრილობის ამბავი არავის გაუმხილა, რომ ამას არ დაეჩრდილა მათი სიხარული. გასცა საჭირო ბრძანებები და წამოვიდა უჯარმისაკენ.

უჯარმამდე — სამეფო რეზიდენციამდე — მეფე თავისი საბრძოლო ცხენით მივიდა. სასახლესთან ჩამოხტა და თავად შევიდა პალატაში. აქ კი უმტყუნა ძალამ და საწოლზე მიესვენა. მკურნალებმა ჭრილობიდან ძლივს ამოულეს ისარი.

ვახტანგ მეფემ თავისი უკანასკნელი სიტყვებით, რომელიც მშვიდად და მოკლედ წარმოთქვა, მოუწოდა თანამემამულეებს, მტკიცედ დაეცვათ ქრისტიანული სარწმუნოება და თავდადებით ებრძოლათ სპარსელების წინააღმდეგ.

ვახტანგ გორგასალისათვის გარდა სამხედრო ხელოვნების იმ კლასიკური სტილისა, რომელიც მემკვიდრეობით მიიღო, დამახასიათებელია:

1. მთავარი დარტყმა ცენტრში, რომელიც სისრულეში მოჰყავდა თვით მეფესა და მის მძიმედ შეჭურვილ ცხენოსან რაზმს. იგი სწრაფად იჭრებოდა მტრის შუაგულში და თვით შაჰის ან ჯარის მხედართმთავ-

რის წინააღმდეგ ორთაბრძოლაში მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა. მოწინააღმდეგის ცენტრზე ასეთი გამანადგურებელი თავდასხმა იწვევდა პანიკას, შიშს, მორალურ დაცემას და მთავარი უპირატესობის — რიცხობრივი სიმრავლის გაუფასურებას.

2. გამანადგურებელი დარტყმით მისი მძიმედ აღჭურვილი ცხენოსანთა რაზმი მიზნად ისახავდა, შუაზე გაეკვეთა მტრის ძალები და არევდარევა შეეტანა მათ რიგებში. მიმოფანტულ ნაწილებს საბოლოო ანგარიშს უსწორებდა ქვეითთა ჯარი (იხ. სქემა № 5). დარტყმის ასეთ პრინციპს არასოდეს ღალატობდა ვახტანგ გორგასალი. მან ასეთი სტრატეგიული მანევრი გამოიყენა ბიზანტიელების წინააღმდეგ, როცა თორმეტიათასიანი ჯარი დასტოვა არზრუმის გარნიზონის წინააღმდეგ და თვითონ კი შეტევა განავითარა კონსტანტინოპოლის მიმართულებით: ამით მან მოგვცა ბრწყინვალე მაგალითი ღრმა, გამანადგურებელი შეტევითი დარტყმებისა, რომელიც წყვეტდა ომის ბედს.

3. ვახტანგ გორგასალის უნიკალური თვისებები იყო: მისი გიგანტური სიმაღლე—2 მ და 20 სმ, სისწრაფე, ამტანობა და წარმოუდგენელი ფიზიკური ძალა. ყოველივე ამას ხელს უწყობდა მეფის მხედრული აღჭურვილობა, კერძოდ, მისი ვეებერთელა ხმალი, რომელსაც ქარიავით მსუბუქად იქნევდა და ისეთის ძალით დაუშვებდა ხოლმე განწირულის თავზე, რომ ერთი დაკვრით შუაზე ჩეხდა მოწინააღმდეგეს. ამის დანახვა ყველას თავზარს სცემდა.

ვახტანგ გორგასალის სიკვდილის შემდეგ ძალზე გაუარესდა მდგომარეობა, არა მარტო ქართლის სამეფოში, არამედ მთელ საქართველოში და ამიერკავკასიაშიც. სპარსელებმა გული მოიცეს მათთვის ესოდენ საშიში მტრის გორგასალის გზიდან ჩამოცილებით.

„გორგასალის საქართველო“ კვლავ ორ ნაწილად გაიყო: ქართლის სამეფოდ და ეგრის-ლაზიკის სამეფოდ. 523 წელს ქართლში დაიწყო დიდი აჯანყება დამპყრობლების წინააღმდეგ. მაგრამ აღარ იყო ის, ვის წინაშეც სპარსელები თრთოდნენ, აღარც ის ერთიანი დროშა, რომელიც ერის ძალებს აერთიანებდა. აღარ იყო ის რწმენა, რომელიც ყველას ერთი მიზნისაკენ რაზმავდა. აჯანყება მარცხით დამთავრდა. სპარსელებმა ხელთ ჩაიგდეს ქვეყნის მართვის სადავეები. ქართლის ქალაქები სპარსელთა სამხედრო გარნიზონებით გაივსო.

აღსანიშნავია, რომ ხარკის აღების ნაცვლად სპარსელები ქართველ ახალგაზრდობას ავალდებულებდა სამხედრო სამსახურში შესულიყო. დამპყრობლებს ხომ საკუთარ თავზე ჰქონდათ გამოცდილი ქართველ მეომართა ხმლის ძალა, გმირობა და ბრძოლის უნარი. სპარსელები

ყოველგვარ ხერხს მიმართავდნენ, რომ ქართველებით შეევსოთ არა მარტო მებრძოლთა ლაშქარი, არამედ სამხედრო აპარატიც და თავი მოეყარათ მათთვის საქართველოს ფარგლებს გარეთ. ამ ვერაგულმა პოლიტიკამ ბევრჯერ გაუმართლა მათ. სპარსელების დროშის ქვეშ მებრძოლ ქართველთა რაზმებს არა ერთ ბრძოლაში უსახელებიათ თავი. ამ დროს კი საქართველო და ქართველი ხალხი, დამპყრობთა მიმართ უკიდურესი სიძულვილით აღსავსენი, შესაფერის დროს ელოდნენ, რომ მოძალადენი ქვეყნიდან განედევნათ.

დასავლეთ საქართველოში (როგორც კოლხეთის დაბლობზე, ასევე მთებში) მიმდინარეობდა ბრძოლები სპარსელების წინააღმდეგ. სპარსელები დაუპირისპირდნენ იქ დამკვიდრებულ რომაელთა ძალას, რომლებმაც ააგეს ციხე-სიმაგრე პეტრა, ანუ ქაჯეთის ციხე (ახლანდელი ციხისძირი). გამაგრდნენ მთელ სანაპიროზე და ქვეყნის გულისაკენ აიღეს გეზი. ოც წელზე მეტხანს მიმდინარეობდა ომი სპარსეთსა და რომს შორის, მაგრამ ამ ომში ყველაზე მეტად ქართველები გამოირჩეოდნენ. ამიტომ რომელ მხარესაც ქართველები იყვნენ, ის მხარე იმარჯვებდა. 542 წელს ლაზთა მეფე გუბაზი სპარსელებს მიემხრო და რომაელებმა პეტრას ციხე დაკარგეს. მერმე მეფე გუბაზი სპარსელებს განუდგა და რომაელებმა ზედიზედ მოიპოვეს გამარჯვება. განსაკუთრებით აღსანიშნავია 549 წლის ბრძოლა მდინარე რიონის ნაპირას, აგრეთვე 550 წელს მდინარე ცხენისწყლის ნაპირებთან, სადაც სპარსელებმა დაჰკარგეს სარდალი, მთელი ჯარები, დაყარეს იარაღი და მიატოვეს ბანაკი.

მოქმედება შემდეგნაირად განვითარდა: ირანის შაჰმა — ხოსრო I-მა ლაზების მეფის — გუბაზის თხოვნით, რომელიც შევიწროებული იყო რომაელი სტრატეგოსის იოანე ციბეს მიერ, 542 წელს დასავლეთ საქართველოში ფარულად შემოიყვანა ირანის დიდი ლაშქარი. ქართველთა და სპარსელთა გაერთიანებული ჯარი ორი მიმართულებით — პეტრას ციხისა და აფხაზეთისაკენ დაიძრა. სპარსელების ჯარის ნაწილმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა შაჰის სარდალი ანიაბედი, ციხეს შეუტია, მაგრამ უშედეგოდ. დაიწყო მზადება შემდგომი უფრო ორგანიზებული შეტევისათვის. გააძლიერეს ჯარები, მოამზადეს საინჟინრო მოწყობილობანი — ციხეზე მისადგმელი საიერიშო კიბეები, ტარანები, ლოდსატყორცნები და სხვ. იოანე ციბე ციხის შუაგულში ფარულად გამაგრდა. აქვე ჩაასაფრა მან ჯარის ძირითადი ნაწილი, რომლის რაოდენობა მტრისათვის უცნობი იყო. ამით ციბემ მოადუნა მტრის ყურადღება და მოემზადა სპარსელთა ჯარზე მოულოდნელი თავდასხმისათვის.

ყველასათვის მოულოდნელად გაიღო ციხის ალაყაფი და სრული საბრძოლო მწყობრით გამოვიდა რომაელთა ჯარი, რომელიც დაერია თავგზააბნეულ სპარსელებს, მხედართმთავარმა ანიაბედმა დარჩენილ მცირერიცხოვან რაზმთან ერთად გაქცევით უშველა თავს, მაგრამ განრისხებულმა შაჰმა სასტიკად დასაჯა იგი.

ქართველ – სპარსელთა გაერთიანებულმა ჯარმა პეტრას ციხეს კვლავ ალყა შემოარტყა. დაიწყო ბრძოლა ისრებით, ლოდსატყორცნებითა და კედელსანგრევი საშუალებებით, მაგრამ კვლავ უშედეგოდ.

ერთ დღეს, მორიგი შეტევის უკუგდების შემდეგ, გუბაზმა შენიშნა ციხის ბან-ქონგურსე მდგარი ციბე და ისრით განგმირა. ამან რომაელების მხნეობა გატეხა. ამასობაში სპარსელებმა ციხის ქვეშ გათხარეს გვირაბი და მის საძირკველს ცეცხლი შეუნთეს, რამაც ციხის კედელი ღრმად გაბზარა. მეტი გზა აღარ იყო: ციხე დანებდა.

სპარსელებმა პეტრას (ქაჯთა) ციხესა და სხვა ქალაქებში თავიანთი გარნიზონები ჩააყენეს. ეს არ მოეწონა გუბაზს, რადგან ამით ერთი დამპყრობი მეორით იცვლებოდა. გუბაზ მეფე იმაშიც დარწმუნდა, რომ სპარსელებს მისი მუხანათურად მოკვლა სურდათ. თანაც დამპყრობლებმა ადგილობრივი მოსახლეობის შევიწროება და მთასა და ზღვის სანაპიროზე მათი საუკეთესო მიწების დაკავება დაიწყეს.

მეფე გუბაზის მოსაკლავად შაჰმა სამასკაციანი საგანგებო რაზმი ჯამოგზავნა. მაგრამ ამ შეთქმულების ამბავი შეიტყვეს გუბაზის ერთ-
უ მა თანაამებრძოლებმა და მტერს საკადრისი მიუზღეს. ლაზთა მეფემ
რომაელებს შუამავალი გაუგზავნა და შეუთვალა, დაბრუნებულიყვნენ ლაზიკაში. იმპერატორმა იუსტინიანემ ამ თხოვნის პასუხად საქართველოში გამოგზავნა შვიდი ათასი ბიზანტიელი და ათასი ჭანი მეომარი, რომელთაც სათავეში ედგა გამოუცდელი და უნიჭო მხედართმთავარი. მან ვერ შეასრულა მეფე გუბაზის სულ უბრალო საბრძოლო დავალება, შეშინდა, მიატოვა ბრძოლის ველი და გაიქცა. მიუხედავად ამისა, ქართველებმა უკან მაინც არ დაიხიეს, პირიქით, იერიშზე გადავიდნენ და სპარსელთა რიცხობრივად ბევრად ჭარბი ძალები დაამარცხეს და პეტრას ციხეში გამოკეტეს. სპარსელებმა პეტრას ციხე აღადგინეს და შიგ 3000-კაციანი გარნიზონი ჩააყენეს. 550 წლის ზაფხულში გახშირდა მღინარე რიონის დაბლობ ადგილებში მოთარეშე სპარსელების თავდასხმები. ისინი მოსახლეობას ავიწროებდნენ და იკლებდნენ. გუბაზი თავისი რაზმით, რომელსაც პეტრას ციხესთან ბრძოლის ველიდან სამარცხვინოდ გაქცეული რომაელებიც შეუერთდნენ, დაიძრა სპარსელთა ურდოების წინააღმდეგ საბრძოლველად. სპარსელებმა მას 1000

კაციანი მეწინავე რაზმი დაახვედრეს, ძაგრამ გუბაზმა კარგად ჩატარებული დაზვერვის შეშვეობით და მერმე მოულოდნელი დარტყმით გაანადგურა ჯერ სპარსელთა მეწინავე რაზმი, შემდეგ კი მთელი მათი ძირითადი ძალები.

განრისხებულმა შაჰმა უფრო მრავალრიცხოვანი ჯარები გამოგზავნა საქართველოში. მათ მდინარე ცხენისწყლის ნაპირებთან დასცეს ბანაკი. მეფე გუბაზიც ომის სამზადისში იყო. მან ჯარი სამ ნაწილად გაჰყო. წინა ეშელონში მოქმედებდნენ ქართველთა ცხენოსნები, ხოლო მეორე ეშელონს შეადგენდა ბიზანტიელების ცხენოსანი ჯარი; მესამე ეშელონში ქვეითთა ჯარის ძირითადი ნაწილი განლაგდა. სპარსელების მხედართმთავარმა გამოჰყო ათასი საუკეთესო მეომარი ქართველთა ძალების მოსასინჯად და წინ გაუშვა, უკან კი თვითონ მიჰყვებოდა ძირითადი ლაშქრით. ქართველებმა სპარსელთა ათასკაციან ლაშქართან შეხვედრისას ასეთ ხერხს მიმართეს: ბრძოლის დროს უკანდახევა დაიწყეს, სპარსელები დაედევნენ; ქართველთა მხედრებმა მიაღწიეს თავიანთ მთავარ ძალებამდე, მერმე შემოუბრუნდნენ მადევარ სპარსელებს და გამანადგურებელი დარტყმა აგებეს. ამან თავგზა აუბნია სპარსელებს, რამაც არეულ-დარეული გამოიწვია მათ რიგებში. ამასობაში ქართველებმა ქვეითთა ჯარი დააწყვეს მტერთან შესახვედრად, რომელთაგან პირველ რიგში შუბოსნები გაუშვეს. ახლა სპარსელთა მთავარი ძალები ჩაებნენ ბრძოლაში, რომლებიც შუბების კედელს წააწყდა. რამდენიმე უშედეგო შეტევის მერმე ბრძოლის ველი მხედრებისა და ცხენების გვამებით მოიფინა. სპარსელებმა უკან დაიხიეს. ახლა ისრებით ბრძოლა გაჩაღდა. ამ ბრძოლაში დაიღუპა მათი მთავარსარდალი ხორიანე. გუბაზმა კი გასცა ბრძანება, გადასულიყვნენ შეტევაზე და ხელჩართულ ბრძოლაში საბოლოოდ გაანადგურა მოწინააღმდეგე.

ამ ბრძოლაშიც სამარცხვინოდ მოიქცნენ რომაელები, განსაკუთრებით მათი მხედართმთავარი. გუბაზს შეფემ იმპერატორ იუსტინიანეს სთხოვა მისი გადაყენება, რისი თანხმობაც მალე მიიღო.

რომაელთა ბრძოლები საქართველოს ტერიტორიაზე ინტერესს იწვევს იმდენად, რამდენადაც პეტრას ციხის აღების დროს, 551 წელს, მრავალგვარ. სატყორცნ საშუალებებს, საალყო და საინჟინრო ტექნიკას იყენებდნენ. ციხის კედელთან იერიშზე გადასული მებრძოლების ზურგის დასაცავად ისინი ხმარობდნენ სხვადასხვა ფორმის ფარებს, რომლებიც დაცული იყო ფრონტის მხრიდან ზედ გადაკრული ტყავის სარჩულით. ასევე სარგებლობდნენ კაუჭების სისტემით აღჭურვილი, მოძრავი და ჩამოსაკიდი კიბეებით, რაც უზრუნველყოფდა კედელზე

პირდაპირ გადასვლას. კედლებს ანგრევდნენ ლოდსარტყოცნებით და ტარანებით, ასევე სარგებლობდნენ რკინის უზარმაზარ კავებიანი მანქანით, რომელიც ციხე-სიმაგრეთა ქონგურებს ანგრევდნენ. კავებზე ჩამოკიდებული ყუთისებრი ბაქნებიდან შეიძლებოდა მებრძოლთა კედელზე გადასხმა. სატყორცნ მანქანებს — ბალისტებს და კატაპულტებს იყენებდნენ ქვების, ასანთები ნარევების, ჯირკვებისა და ბირთვების სატყორცნად. რომის არმიაში ზუსტად იყო ორგანიზებული კატაპულტებისა და ბალისტების განაწილება, ათი ამდაგვარი საბრძოლო მანქანა ათასი მეომრის ტოლფასი იყო. კედლის გასასვლელთა იერიშით აღების დროს თავდაცვის მიზნით მეომრები შემჭიდროებულად ეწყობოდნენ და ფარებს ზემოდან გადაიჯვარედინებდნენ ე. წ. „კუს" მსგავსად.

მთელ ამ ტექნიკას, მის ფორმებსა და გამოყენების საშუალებებს გულდასმით ეცნობოდნენ და სწავლობდნენ ქართველი მეომრები.

პეტრას ციხე აიღეს, დაწვეს და მთლიანად დაანგრიეს ისე, რომ შემდეგში მისი აღდგენა ველარ მოხერხდა.

551 წელს სპარსეთის შაჰმა მრავალრიცხოვანი ლაშქარი გამოისტუმრა საქართველოსაკენ — ეგრისის დედაქალაქ ციხე-გოჯის ასაღებად (არქეოპოლისი). ჯარებს თან ახლდათ საომარი სპილოებიც. იგი ხშირი მანევრირებით აპირებდა რომაელების განადგურებას, რომლებმაც, როგორც კი მოჰკრეს თვალი სპილოებს, მაშინვე მიატოვეს ბრძოლის ველი და გაიქცნენ. სპარსელები მიუახლოვდნენ ციხე-ქალაქ ციხე-გოჯს, გააწყვეს სატყორცნი და სანგრევი ტექნიკა, ხოლო სპილოები გარე კედელს მიაყენეს.

სპარსელებს, ისევე როგორც ყველგან, აქაც ჰყავდათ მოსყიდული მსტოვრები, რომლებსაც ხანძარი უნდა გაეჩინათ ციხის შიგნით პროდუქტებისა და პურის საწყობებისათვის. ასეთ კრიტიკულ მომენტში ციხის მცველი რაზმის ყურადღება უნდა გადაეტანათ ხანძრისაკენ, მაგრამ მხედართმთავარმა ოდონაქემ მხოლოდ რამდენიმე კაცი გაგზავნა ხანძრის ჩასაქრობად და, ყველასათვის მოულოდნელად მთელი ძალით შეუტია სპარსელებს, რომლებიც არ ელოდნენ ასეთ გაბედულებას ალყაში მოქცეულთაგან და არც საბრძოლველად იყვნენ მზად. სპარსელებმა ბრძოლის ველზე დატოვეს ოთხი ათასამდე მებრძოლი, ოცი ათასამდე ცხენი და რამდენიმე სპილო. მათ უკან დაიხიეს ქუთაისისაკენ და ხრიკებით, მუქარითა და გამცემთა დახმარებით უბრძოლველად აიღეს უქიმერიონის ციხე.

552 წელს, მიუხედავად იმისა, რომ სპარსელთა ჯარი ახალი მეომრებით, ცხენებითა და სპილოებით შეივსო, ქართველ-რომაელთა ჯარმა

დაამარცხა მტერი, მდინარე რიონის ნაპირებთანაც, აფხაზეთშიც და ციხე-გოჯთანაც. სპარსელები აქა-იქ თუ იმარჯვებდნენ, ისიც მხოლოდ მცირე შეტაკებებში რომაელთა ცალკეულ რაზმებთან. ასე მივიდნენ ისინი ტელეფისის ციხესთან, 553 წელს. მოხერხებულმა სპარსელმა მხედართმთავარმა ჯერ ავადმყოფობა მოიგონა, მერმე ხმა გაავრცელა თავისი სიკვდილის შესახებ. რომაელებმა ყურადღება მოადუნეს, ხშირად გამოდიოდნენ ციხიდან და მოსახლეობას აწიოკებდნენ. ამ თარეშის დროს „მკვდრეთით აღმდგარი" სპარსელი მხედართმთავარი მოულოდნელად დაესხა მათ თავს. იმდენად დიდი იყო რომაელების დაბნეულობა და შიში, რომ სრულიად უბრძოლველად მიატოვეს ციხე-სიმაგრე. მხოლოდ დარჩენილ ხუთას ჭანს თეოდორეს ხელმძღვანელობით უნდა დაეცვა მათი უკანდახევა.

რომაელთა საქართველოში ყოფნის ძირითადი მიზანი იყო მოსახლეობის ძარცვა-გლეჯა, მომხვეჭელობა და სიმდიდრის დაგროვება. მეფე გუბაზი აშკარად უწოდებდა მათ ხელმძღვანელებს ლაჩრებს, უნიათოებს, ძუნწებს, მოღალატეებსა და მებრძოლთა სახელის შემარცხვენელებს. ამის გამო რომაელმა მხედართმთავრებმა გუბაზის მოკვლა გადაწყვიტეს და იმპერატორ იუსტინიანესთან დააბეზღეს: მას ბრალად დასდეს რომაელების ღალატი და სპარსელებთან კავშირი. ამ მკვლელობაზე იუსტინიანეს ნებართვის მიღების შემდეგ მეფე მიიწვიეს სამხედრო თათბირზე და უიარაღო გუბაზი მხეცურად მოკლეს.

მეფის მუხანათური მკვლელობის შემდეგ ლაზებმა უარი თქვეს რომაელებთან ერთად ბრძოლაზე. ამან სათანადო შედეგიც გამოიღო. მრავალათასიანი რომაელთა ლაშქარი სასტიკად დამარცხდა სპარსელთა სამიათასი მეომრისაგან შემდგარ რაზმთან ონოგურისის ბრძოლაში.

მეფე გუბაზის მკვლელობამ მძიმე გავლენა მოახდინა არა მარტო ლაზეთსე, არამედ მთელ საქართველოზე. აღელვებული ლაზები იმპერატორ იუსტინიანესაგან მოითხოვდნენ გუბაზის მკვლელთა დასჯას და სამეფო ტახტზე მისი ძმის — წათეს ასვლას. ეს მოთხოვნა კონსტანტინოპოლის სამეფო კარმა სრულიად დააკმაყოფილა: ორი უშუალო მონაწილე მკვლელობისა საქეეყნოდ დასაჯეს თავის მოკვეთით. იმდროინდელ სამხედრო-პოლიტიკურ მდგომარეობას ერთ-ერთი ლაზთა ბელადი — აიეტი შემდეგნაირად ახასიათებს: „გაქრა კოლხთა ძველი დიდება, რომაელები უღირსად ექცევიან მორჩილთ და ზემოდან დაჰყურებენ ყველას, ვინც მათ ემსახურება... მე მინდა, რომ კოლხთა სამეფომ კვლავ აღიდგინოს ძველი ძლევამოსილება, რომ მას არ სჭირდებოდეს

უცხო ტომთა დახმარება, რომ ომისა და მშვიდობიანობის დროსაც მხოლოდ საკუთარი ძალების იმედი ჰქონდეს".

მეორე ბელადი — ფანტაძი საწინააღმდეგოს ამტკიცებდა: „ჩვენ არ უნდა მივეცეთ სახოწარკვეთილებას, არ ავყვეთ გულისთქმას, არამედ განვიმსჭვალოთ თავისუფლების შეგნებით, კოლხთა დამახასიათებელი ხულის სიდიადით, მამაცურად ავიტანოთ უბედურება და არ ჩავიდინოთ არაფერი ისეთი, რაც ჩვენს წინაპართა ადათ-წესების ღირსებას შებღალავს". ხალხმა მხარი დაუჭირა რომთან მეგობრობას და ლაზების ახალმა მეფემ წათე II-მ დაიწყო ქვეყნის მართვა წინაპართა ადათების მიხედვით: ერთმორწმუნე ქვეყანასთან მეგობრობა აუცილებელ კანონად მიიღო:

ლაზების მხარდაჭერამ რომაელებს შემდეგში არაერთი გამარჯვება მოუტანა. აღსანიშნავია 555 წელს გამართულ ბრძოლაში ერთი ლაზი მებრძოლის გმირობა, რომელიც ტყვედ ჩაუვარდა სპარსელებს ბრძოლის დროს. მან მოახერხა ტყვეობიდან გაქცევა და რომაელებს ამცნო სპარსელთა რაზმის განზრახვა. რომაელებმა ისარგებლეს ამ ცნობით, ჩაუსაფრდნენ სპარსელებს და მთლიანად მოსპეს ისინი. ფაზისთან (ქ... ი) გამართულ ხელჩართულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში კი, სადაც ლაზებს ხელმძღვანელობდა თეოდორე, სპარსელებმა დაკარგეს ათი ათასი მეომარი.

ლაზებთან ერთად ამ ბრძოლაში თავი ისახელეს აბაზგებმა, რომლებიც დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. ეს ხალხი ძალზე შევიწროებული იყო ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან: ლამაზ გოგონებს და ჯანღონით სავსე ჭაბუკებს მონებად ყიდდნენ, ხოცავდნენ მათს მცირეწლოვან ბავშვებს, რომ თავი აერიდებინათ მოსალოდნელი შურისძიებისათვის. ამ აუტანელმა ჩაგვრამ ხალხი აჯანყებამდე მიიყვანა.

ყურადღებას იმსახურებს აბაზგების ტრაქეასთან (დღევანდელი გაგრა) გმირული თავდაცვითი ბრძოლები, რომაელთა წინააღმდეგ რამდენიმე შეტევა ციხეზე უშედეგოდ დამთავრდა, შემდეგ მათ ალყა შემოარტყეს და ცეცხლი წაუკიდეს ტრაქეის ხის ნაგებობებს, რომლებშიც ხალხი ოჯახებთან ერთად ცხოვრობდა. მოხუცები, ბავშვები, ქალები და კაცები ისრებსა და ქვებს უშენდნენ, მდუღარეს ასხამდნენ მომხდურთ, ვიდრე თავადაც „ფერფლად არ იქცნენ", — როგორც ამას ბიზანტიელი, ისტორიკოსი გადმოგვცემს.

არც ციხე - სიმაგრე წიბილეს (დღევანდელი წებელდა) დასდგომია უკეთესი დღე. სპარსელთა მხედართმთავარმა შეურაცხყო ადგილობრი-

ვი ციხის უფროსის ცოლი. ხალხი, რომელიც ყველაზე მაღლა აყენებდა ქალის პატიოსნებას, აღდგა სპარსელების წინააღმდეგ და უკანასკნელ მებრძოლამდე გაჟლიტა ისინი.

კოლხეთის სამეფოს ძირითადი მიზანი ამ ბრძოლებში იყო დაკარგული დამოუკიდებლობის დაბრუნება. ეს ბრძოლისუნარიანი და ძლიერი ხალხი ხან რომაელების, ხან სპარსელების სამხედრო დახმარებას ეძებდა მაშინ, როცა ამ ქვეყნებს მხოლოდ თავიანთი ინტერესები ამოძრავებდათ და ამ ინტერესებიდან გამომდინარე, არაფერს არ უკადრისობდნენ: აოხრებდნენ ქვეყანას, არ ერიდებოდნენ მკვლელობას, არც მოსყიდვას, მონებადაც მოჰყავდათ ისინი და ჩვილებსაც არ ინდობდნენ. ამ სისხლისმღვრელი ბრძოლებიდან ხალხმა ერთადერთი სწორი დასკვნა გამოიტანა: სრული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად აუცილებელი იყო აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანება და უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლა.

სპარსელების ბატონობის დაცემას საქართველოში ხელი შეუწყო VII საუკუნეში ბიზანტიის იმპერატორ ჰერაკლეს ლაშქრობამ სპარსელების წინააღმდეგ. იმპერატორმა იბერებთან, ლაზებთან და აბაზგებთან ერთად გაანადგურა სპარსელთა ჯარები და დაიკავა ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი.

იმ ხანებში ბიზანტიელებმა ხაზარებთან ერთად თბილისს ალყა შემოარტყეს, მაგრამ შეტევა ქალაქზე მარცხით დამთავრდა. რაოდენ დიდი იყო მათი გაოგნება, როდესაც გაცხარებულ ბრძოლაში თავიანთ მშობლიურ ენაზე მოესმათ თბილისელების დამცინავი სიტყვები: „თქვენს იმპერატორს თხის წვერი და ვერძის კისერი აბიაო". მერმე გოგრაზე გამოსახეს კაცის თავი და დასძინეს: „აი, თქვენი ხაკანიო, ეცით მაგას თაყვანიო". მიუხედავად უსაზღვრო განრისხებისა, მტერმა მაინც ვერაფერი დააკლო ციხეს და იძულებული გახდა, მოეხსნა ალყა.

572 წელს მთელი საქართველო აღსდგა სპარსეთის ბატონობის წინააღმდეგ და განდევნეს კიდეც ისინი ქვეყნის ტერიტორიიდან.

ვახტანგ გორგასალის მომდევნო უმეფობის ხანაში საქართველოს სამხედრო ხელოვნება დიდად არაფრით გამოირჩეოდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეულ ეპიზოდებს, რომელთაც ადგილი ჰქონდა სხვადასხვა დროს. ამ მხრივ საინტერესოა დასავლეთ საქართველოში 456 წელს მომხდარი ერთ-ერთი ბრძოლა.

• აღმოსავლეთ რომის იმპერატორმა მარკიანემ გადაწყვიტა, ჭკუა ესწავლებინა იმ ურჩი ლაზებისათვის, რომლებიც ხარკს არ იხდიდნენ. ლაზები ამას მოელოდნენ და საიდუმლოდ ემზადებოდნენ რომაელების დასახვედრად.

ლაზებმა ბრძოლის ადგილად ერთი მწვანით დაფარული მინდორი შეარჩიეს, და იქ დაბანაკდნენ. რომაელებმა არ დააყოვნეს და შეუტიეს ლაზებს ცხენოსანი და ქვეითთა ჯარებით.

უცებ მწვანე მინდორზე შემოჭრილი იმპერატორის არმია გაუჩინარდა. ცხენმხედრიანად ისინი ღრმა ორმოში აღმოჩნდნენ, რომელიც მოფენილი იყო თავწაწვეტებული პალოებით. ცხენების ჭიხვინმა, ადამიანების საშინელმა ღრიალმა გააყრუა გარემო. სისხლი და მიწა ერთმანეთში აიზილა. ქართველთა მიერ გამოყენებული სამხედრო ხერხი მეტად მარტივი იყო: მინდორზე წინასწარ გათხარეს მიწისქვეშა ორმოები, რომელთა ფსკერზე წვეტიანი პალოები დააბაგრეს, ძირძე ორმოებს ბადეები გადააფარეს, ზედ მიწა დააყარეს და ხორბალი დათესეს. გაზაფხულზე ყანა ამოვიდა და მინდორმაც ბუნებრივი ბრძოლის ველის სახე მიიღო, მაგრამ რას იფიქრებდნენ მტრები, რომ ეს მშვენიერი მწვანე მინდორი მათთვის საშინელ ხაფანგს წარმოადგენდა?!

ბევრი ქართველი მხედართმთავარი მოღვაწეობდა სხვადასხვა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში. ამათგან უნდა მოვიხსენიოთ ფარსმანი, რომელიც ბიზანტიელთა შორის იბრძოდა და განსაკუთრებით ისახელა თავი სპარსელებთან წინააღმდეგ ბრძოლებში.

502 წლიდან 505 წლამდე ქალაქ ამიდის მიდამოებში წარმოებული ბრძოლების შედეგად ქალაქი სპარსელებმა აიღეს და თავიანთი ჯარიც ჩააყენეს. იმ ხანებში ერთ-ერთმა სახელგანთქმულმა, ჭკვიანმა და კეთილშობილმა მებრძოლმა ფარსმანმა 500 კაცისაგან შექმნა „მფრინავი რაზმი“, რომელიც თავს ესხმოდა ხალხის ასაწიოკებლად ციხიდან გამოსულ სპარსელებს. ართმევდა მათ ნაალაფარს და ისევ ხალხს უბრუნებდა. ხალხმაც შეიყვარა კეთილშობილი მებრძოლი, იმპერატორმა კი ფარსმანი თავის ჯარებს უსარდლა. მალე ფარსმანმა გაანადგურა სპარსელები, ალყა შემოარტყა ამიდის ციხეს და მოემზადა შეტევისათვის. მან აიძულა სპარსელები, ღია მინდორზე გამოსულიყვნენ და ისე ჩაბმულიყვნენ ბრძოლაში. ეს ბრძოლა ფარსმან კოლხიდელმა მოიგო, შევიდა ქალაქში და, მოსახლეობის დასჯის ნაცვლად, ყოველგვარი დახმარება გაუწია მათ. იმასაც კი მიაღწია, რომ იმპერატორმა გადასახადებისაგან გაანთავისუფლა ისინი. ასეთი საქციელი ძირეულად განასხვავებდა ფარსმანს სპარსელი მხედართმთავრებისაგან. აი, ასე გაითქვა სახელი ფარსმან კოლხიდელმა არა მარტო როგორც კარგმა მებრძოლმა და სარდალმა, არამედ როგორც ჰუმანურმა პიროვნებამ ომისა და მშვიდობიანობის დროსაც. ფარსმანის შვილიშვილებმა რუფინემ და ლეონტიმ სახელი მოიხვეჭეს აფრიკაში წარმოებული ბრძო-

ლების დროს. იბერიელი ფირანი და მისი ვაჟიშვილი ბაკური ბიზანტიის ისტორიაში შევიდნენ, როგორც ბრწყინვალე მეომრები და გამოჩენილი სარდლები, რომლებიც წარმატებით ებრძოდნენ რომაელებს და გერმანელებს ხღვასა და ხმელეთზე. ბევრ ბრძოლებში გაითქვა სახელი ფაზა იბერიელმა და მრაველმა სხვა ქართველმა სამშობლოს გარეთ, უცხო ქვეყნებში.

შორეული წარსულის ისტორია, რომელიც ისედაც ძუნწ ცნობებს გვაწვდის, თავის წიაღში ადვილად ივიწყებს და ასამარებს იმათ სახელებს, ვინც ბოროტებას თესავს, — აგრესორებსა და მოღალატეებს. სამაგიეროდ წმინდად ინახავს და თაობიდან თაობას გადასცემს იმ მეომართა ხსოვნას, ვინც თავი იხახელა თავისი კეთილშობილებით და მაძაცობით ულმობელ სამკვდრო-სასიცოცხლო ომებში. სწორედ ომს — სიკვდილის წინაშე, ყველაზე მკაცრი გამოცდის წინაშე შეუძლია გამოაელინოს ადამიანის ბუნება და გააშიშვლოს მისი ჭეშმარიტი „მეობა", მიუკერძოებლად განსაზღვროს მისი პირადი ღირსებები. რა თვისებები ახასიათებს კაცს — გმირული, ამაღლებული თუ მხედრული, გაიძვერული, სამართლიანია იგი თუ უსამართლო, უნარი შესწევს თუ არა თავი გასწიროს ამხანაგებისათვის, თუ არ‍ჩევს, ამოეფაროს სხვის სურგს და ბრძოლის ველი დატოვოს? ამიტომ არის ომი ყველაზე მკაცრი და ულმობელი, სამაგიეროდ კი საუკეთესო სასინჯი ქვა, სკოლა, სადაც აღიზრდება ისეთი ადამიანური თვისებები, როგორიცაა კეთილშობილება, სიამაყე. გმირობა და, პირიქით, ელინდება ვერაგობა, სიმხდალე, სისუსტე, რომელსაც ადამიანი ღალატამდე მიჰყავს.

ერთი განდიდებულია ისტორიაში, მეორე ხასგადასმულია და ყოფიერების წიაღიდან ამოშლილი.

კეთილშობილება ისტორიულად ყოველთვის ინტერნაციონალური იყო. ხალხი მას ინახავდა, როგორც საამაყო ღირსების და კაცობრიობის კუთვნილებას, რომელიც მუდამ წინ ელობებოდა ომს და სიკვდილს. ხოლო ომზე, ჟამთა სიავეზე და ბოროტ ადამიანებზე ისტორია ხშირად სდუმს, რათა დავიწყებას მისცეს აქა თუ იმ ხალხის სამარცხვინო აქბავი და არაფერს ამბობს მათზე მომავალ თაობებთან.

ომის გმირს, გმირობას, ომში გამოჩენილს, ხალხი მუდამ ადიდებდა. უმღეროდა, წინაპართა კეთილშობილური სამხედრო გმირობით ყოველთვის აბაყობს მადლიერი შთამომავლობა.

ჭეშმარიტი საბრძოლო გმირობა რიგითისა და მეთაურისა, რომლებმაც ადამიანების კეთილდღეობას, მათს განთავისუფლებას შესწირეს თავი, საბოლოო ანგარიშში წარმოადგენს ხალხის სიამაყეს და სინ-

დისს, მის რწმენასა და ძალას. მისი შეობის არსს კაცობრიობის ისტორიის წინაშე. ამიტომ კაცობრიობის მატიანეში ყოველი გაშათავისუფლებელის გმირობას, ერის მხსნელის სახელს მოწიწებით ინახავს მადლიერი ხალხი — ამასთანავე კაცობრიობის შეხსიერებიდან ამოიშლება ყოველი ბოროტი, იგი ანათემას ეძლევა და იავიწყებს ისტორია. სწორედ ამაში გამოიხატება სიდიადე ისტორიისა, რომელიც განადიდებს ღირსეულ პიროვნებას, ხალხს, საკვდილის პირისპირ რომ აელენს იმას, რასაც მან მიაღწია, რა ღირსებაც გააჩნია და რასაც იტყვის მასზე შთამომავლობა.

ახალი სისხლიანი ფურცელი გადაიშალა ისტორიაში არაბების საქართველოში შემოჭრით. VII საუკუნეში არაბთა სახელმწიფო გაერთიანდა ერთი მაჰმადიანური სარწმუნოების ქვეშ, რამაც შეაკავშირა არაბები. თავისი გაერთიანება და ძალა არაბებმა აგრესიული ომებით გამოხატეს. ჯერ მთელი წინა აზია დაიპყრეს, მერმე კი საქართველოს ძოადგნენ. 642 წელს აღინიშნა არაბთა საქართველოში, კერძოდ, ქართლში ემოჭრის მცდელობა სამი მიმართულებით, მი კარი ძალები თბილისზე მოიწევდა, სადაც მათ პირველი სერიოზული ძარცხი განიცადეს. ქართველებს წინ უძღოდა ერისთავთ ერისთავი სტეფანოზ მეორე. ამ გამარჯვებამ ხალხს 14-წლიანი შესვენება მოუტანა. აგრესორი დარწმუნდა, რომ ნაჩქარევი შეტევით ქართველთა ძლევა გაუჭირდებოდა. დაიწყო მზადება შემდგომი შეტევისათვის, უფრო მრავალრიცხოვანი ძალებით, რომელსაც თან უძღოდა დიპლომატიური მაქინაციებიც. არაბთა საერთო სამხედრო - არქიბარბაროსული დოქტრინა გამოხატა ხალიფ ომარმა: „მუსულმანები შეჭამენ დანარჩენ ხალხებს, ხოლო როდესაც ჩვენ მოვკვდებით, ჩვენი შვილები შეჭამენ მათ შვილებს".

არაბების შემოსევით საქართველოში სისხლიანი ომების ახალი ხანა დაიწყო. VII საუკუნეში არაბთა ტომები, როგორც ითქვა, გაერთიანდნენ ისლამის სარწმუნოების შემქმნელის მუჰამედის დროშით.

დაშბყრობლები დარწმუნდნენ რა ქართველების ძლიერებაში, შეუდგნენ საგულდაგულო მზადებას.

686 წელს ერისმთავარი ნერსე თავისი ჯარებით არაბების წინააღმდეგ აჯანყებული სომხების დასახმარებლად გაეშურა. ნერსემ ეს ბრძოლა მოიგო დვინის მიდამოებში და განდევნა არაბები სომხეთიდან.

ამ ბრძოლის შედეგად სომხეთსა და საქართველოში სამი წლის განმავლობაში მშვიდობიანობა ჩამოუარდა.

საქართველოს სამივე მხრიდან განუწყვეტლივ უტევდნენ არაბები,

ბიზანტიელები და ხაზარები, რამაც საგრძნობლად დაასუსტა იგი. არაბები გაბატონდნენ ჯერ აღმოსავლეთ და შემდეგ კი დასავლეთ ნაწილში. დაიწყო აჯანყებათა სერია საქართველოში არაბების წინააღმდეგ.

არაბთა მთავარ ძალებს მეთაურობდა თბილისის ამირა. დიდხანს გრძელდებოდა ქართველი ხალხის ბრძოლა დამპყრობლების წინააღმდეგ. ომებში განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს დავით და კონსტანტინე მხეიძეებმა. მათ შეკრიბეს რაზმები მესხეთში არაბების წინააღმდეგ საბრძოლველად. არაბთა ლაშქარს მეთაურობდა თავისი გულქვაობით და სისხლისმსმელობით განთქმული მურვან-ყრუ. ძმები მხეიძეები ბრძოლით მიიწევდნენ წინ, რამაც გააცოფა მურვან-ყრუ. ქართველებმა მრავალგან შემუსრეს მტერი, გადაიბაცვლეს მთებში და დაიწყეს მოულოდნელი, ფარული თავდასხმები მტერზე. ქართველთა ჩასაფრებები, სისწრაფე და შეუპოვრობა თავზარსა სცემდა არაბებს. მურვან-ყრუმ მთელი თავისი ძალები მათ წინააღმდეგ მიმართა. ყველგან შეკრა გზები, დიდი მსხვერპლის ფასად ცოცხლად შეიპყრო სამშობლოს პატრიოტი გმირები და დაიწყო მათი წამება.

მურვან-ყრუმ ძმებს მხეიძეებს შესთავაზა მთელი თავისი ჯარების მთავარსარდლობა, აბ უკანასკნელებმა ზიზღით უარყვეს ეს წინადადება. მათი წამება ათ დღეს გაგრძელდა და სიკვდილის პირას მისულთ მოსთხოვეს მიეღოთ მუსულმანური სარწმუნოება. მხეიძეებმა ეს წინადადებაც აღშფოთებით უარყვეს.

ასე დაიღუპნენ ძმები მხეიძეები, რომლებიც სამშობლოსა და სარწმუნოების ერთგულების, ჭეშმარიტი მამაცობისა და გმირობის სიმბოლოდ დაემკვიდრნენ ქართველი ხალხის ხსნოვნაში. მათი წამების ადგილი და საფლავი წმინდად შერაცხა მადლიერმა ხალხმა და მათს უკვდავსაყოფად მოწამეთის მონასტერი ააშენა.

ისტორიამ მკაცრი განაჩენი გამოუტანა საქართველოში ჯალათად მოვლენილ მტარვალს. იგი დასჯეს თავისსავე ტახტზე. — სიკვდილით დასჯის წინ ენა ამოგლიჯეს და მის თვალწინ კატას გადაუგდეს შესაჭმელად.

სარწმუნოებისა და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის მრავალი მაგალითი იცის საქართველომ, მათ შორის ჩვენი ქართველი ქალებისაც: ქართლის ერისმთავრის ჯუანშერის სილამაზით განთქმული დის ცოლად შერთვა ეწადა ხაზართა ხაკანს. მან სთხოვა ჯუანშერს თავისი პარემისთვის დაეთმო ქრისტიანი ასული. საბედნიეროდ დიდი ძალებით დახმარებას პპირდებოდა არაბების წინააღმდეგ ბრძოლაში. ჯუანშერმა უარი შეუთვალა და ამის სანაცვლოდ 764 წელს ხაზარების დიდი არმია

საქართველოში შემოიჭრა. ხაზარებმა გაანადგურეს და გაძარცვეს სომხეთისა და საქართველოს მრავალი ქალაქი და სოფელი. ნაალაფარი სიმდიდრითა და, რაც მთავარია, მეფის მზეთუნახავი დის თანხლებით გაბრუნდნენ ხაზარები თავის ბატონთან. ქალიშვილმა ბეჭედში შენახული საწამლავით სიცოცხლე მოისწრაფა და საქართველოს სახლვართან მიაბარეს იგი მშობლიურ მიწას. გამძვინვარებულმა ხაკანმა ამის გამო თავისი ჯარების მთავარსარდალი ნაწილ-ნაწილ აკუწა.

ამ „სისხლიანი წვიმების" ხანაში ქართლისა და მთელი საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დიდი ისტორიული ღვაწლი დასდო საშშობლოს დიდმა ერისკაცმა და მწერალმა იოანე საბანისძემ. საბანისძის ქადაგება ულვივებდა ქართველ ხალხს ეროვნული სიამაყის გრძნობას, ამაღლებდა ზნეობრივად და საძულველი მტრ ` წინააღმდეგ ბრძოლაში გამარჯვების იმედს უნერგავდა.

წიგნში „წამებაი წმიდისა ჰაბოსი" საბანისძე დიდი ადამიანური მღელვარებითა და შთაგონებით გვიხატავს ქრისტიანული სარწმუნოების უდიდეს მნიშვნელობას საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისა და თვითმყოფობის შენარჩუნების საქმეში. ნაწარმოებში მას აღწერილი აქვს ნამდვილი ამბავი — ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული არაბი აბოს წამება, რომელმაც უარყო ისლამი, მიიღო ქრისტიანობა და მიუხედავად აუტანელი წამებისა, უარი თქვა დაბრუნებოდა ისლამს, რისთვისაც 786 წელს სიკვდილით დასაჯა თბილისის ამირამ.

ამ ნაწარმოებში ხაზგასმულია ის აზრი, რომ უცხო სარწმუნოების აღმსარებელი, თვით არაბი ყმაწვილიც კი სიცოცხლეს სწირავს მეგობრად შეთვისებულ ხალხსა და მართლმადიდებელ სარწმუნოებას. იოანე საბანისძე მხურვალედ მოუწოდებდა თანამემამულეთ, არ აჰყოლოდნენ დამპყრობელთა მაცთუნებელ დაპირებებს და არ ეღალატათ სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის, არ ასცდენოდნენ ჭეშმარიტ გზას.

არაბების წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლებში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი კახელებმა, რომლებიც დიდხანს ინარჩუნებდნენ დამოუკიდებლობას. არაბებმა არაერთხელ იწვნიეს მწარე მარცხი კახელებისაგან, რომელთაც ყველაზე ძლიერ მოწინააღმდეგედ თვლიდნენ ამიერკავკასიაში. 766 წელს არაბების ოცი ათასიანი არმია რამდენიმე თვეს ეწეოდა მძიმე ბრძოლებს კახეთში. ისინი ჟლეტდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. ერთ დღეს მათ კახეთის 16 ათასი მცხოვრები აკუწეს.

VIII საუკუნის მიწურულსა და IX საუკუნის დასაწყისში საფუძველი

ეყრება ბაგრატიონთა ძლიერ დინასტიას, რომელმაც სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლასა და მისი დამოუკიდებლობის შენარჩუნებაში. ბაგრატიონთა დინასტია საფუძველს იღებს საქართველოს უძველეს რეგიონში — მესხეთში, კლარჯეთსა და სპერში. როგორც ცნობილია, VII—VIII საუკუნეებში ბაგრატიონთა წარჩინებულმა გვარმა დიდი გავლენა და ძლიერება მოიპოვა. უძველესი ქალაქი-სიმაგრე არტანუჯი ბაგრატიონების პირველი სატახტო ქალაქია. იგი მოიცავდა ტაო-კლარჯეთის მთელ სამთავროს. ბაგრატიონებმა ისარგებლეს არაბების შინაური აშლილობით და ტაო-კლარჯეთის სამფლობელოს საზღვრები გააფართოვეს. ქართლის განთავისუფლების შემდეგ ბაგრატიონებმა დახმარება აღმოუჩინეს აჯანყებულ ალბანელებს. ამ პერიოდში მათ განსაკუთრებით გაითქვეს სახელი წინა აზიაში როგორც ბრწყინვალე მთავარსარდლებმა.

არაბების შემდგომ შემოსევებს ძარცვისა და ხარკის აკრეფის მიზანი ჰქონდა. მათი სისტემატური და მასობრივი შემოსევები თანდათან სუსტდება. 914 წელი აღსანიშნავია მათი უკანასკნელი შემოსევით აბულ-ყასიმის ხელმძღვანელობით, რომელმაც გაძარცვა სამცხე-ჯავახეთი, დაიპყრო უჯარმისა და ბოჭორმის ციხე-სიმაგრეები კახეთში. უჯარმელი 300 მებრძოლი შეუპოვრად იგერიებდა აურაცხელ არაბთა შემოტევას. შემდეგ კი თვითონ დატოვეს ციხე.

ძლიერი ბრძოლები გაიმართა ყუელის ციხესთან ჯავახეთში. 28 დღე მიმდინარეობდა ბრძოლები გობრონის წინამძღოლობით, რომელიც დროდადრო ციხიდან თავს ესხმოდა მტრის ცხენოსანთა ჯგუფებს და ხელჩართულ ბრძოლაში ჟლეტდა არაბებს, მერმე კი კვლავ თავს აფარებდა ციხეს. არაბებმა მოახერხეს ციხეში შეჭრა. გობრონი მცირერიცხოვან უმამაცეს მეციხოვნეებთან ერთად ჟლეტდა ციხეში მომხდურ მტერს. ციხე აივსო მტერთა გვამებით. გადარჩენილი არაბები იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხიათ. შეტევები და ისრების „ღრუბელი" თანდათან ამცირებდა ციხის დამცველთა რიგებს. ბოლოს ქართველთაგან ცოცხალი 133 კაცილა დარჩა, მათ შორის გობრონი. ციხე დაეცა.

გააფთრებული არაბები ტყვედჩავარდნილ ქართველებს საშინელი წამებით ჰგვემდნენ, ამხანაგების თვალწინ ფლეთდნენ შუბებით, ჩეხდნენ ნაჯახებითა და ხმლებით, მაგრამ არც ერთ მათგანს არ შეუხრია წარბი მტრის წინაშე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ღირსეულად ეჭირათ თავი. ისინი ზიზღით უარყოფდნენ მტრის შემოთავაზებულ შეწყალებას, წამებით სიკვდილს არჩევდნენ მუსულმანური სარწმუნოების მიღებასა

და საშშობლოს ღალატს. ახალგაზრდა გობრონს ვერავითარმა დაპირებამ, გვემამ, ვერავითარმა დაშინებამ ვერ აცილეეინა აზრი, რომელსაც თვალწინ საშინელი წამებით უხოცავდნენ ამხანაგებს.

როდესაც გობრონს მახვილის დარტყმისაგან სისხლი წასკდა, მან მოასწრო და შუბლზე თავისი სისხლით ჯვარი გამოისახა. ასე იღუპებოდნენ სულით ძლიერნი, განცვიფრებაში მოჰყავდათ მტერი. ვერავითარმა ძალამ ვერ შეძლო ქართველთა გატეხა, ვერავინ შესძლო შეეცვალა მათთვის წმინდათა წმინდა რწმენა, ვერავინ დაათმობინა სამშობლო, ამაში გამოიხატა ქართველი ხალხის სულიერი ძლიერება. გმირები კვდებოდნენ საშინელი წამებით, მაგრამ მტერს სიკვდილის წინ მამაცურად ახლიდნენ პირში: შეიძლება ყოველგვარი წამება მიაყენოთ ჩემს სხეულს, მაგრამ უძლურნი ხართ ჩემი სულის მიმართო. აი, რატომ ვერ შეძლეს არაბებმა შეერყიათ ხალხის რწმენა.

ამ ძნელბედობის ჟამს ბაგრატიონთა დინასტია უფრო რწმუნდებოდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ერთიან სახელმწიფოდ გაერთიანების აუცილებლობაში.

საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის შემდგომმა განვითარებამ განაპირობა იმ დროის სამხედრო ხელოვნების ხასიათი. არმია შერეული სისტემით კომპლექტდებოდა. ჯარის ძირითად ნაწილს ხალხი შეადგენდა. „ერი" იკრიბებოდა მხოლოდ ომიანობის პერიოდში. საზოგადოების კლასობრივ დანაწევრებასთან ერთად ჩნდებოდნენ სამხედრო ბელადები, რომელთა ირგელივ შეიარაღებული რაზმები იკრიბებოდნენ. ასეთი ჯარი ფეოდალური არმიის ჩანასახს წარმოადგენდა. ფეოდალური ჯარი შედგებოდა ქვეითთა და ცხენოსანთა ნაწილებისაგან. ჩამოყალიბებული ორგანიზაციული სტრუქტურა ჯერ კიდევ არ ჰქონდა არმიას. ჯარები იქმნებოდა ათობითი სისტემით, მაგრამ ათეულები, ასეულები და ათასეულები ტაქტიკურ ერთეულებს კი არ წარმოადგენდნენ, არამედ აღრიცხვის ერთეულებს. განვითარებულ ფეოდალურ სახელმწიფოებში ცალკეულ ფეოდალთა რაზმებს ლეგიონი ეწოდა. ლეგიონად იწოდებოდა აგრეთვე ჯარის საომარი წყობის ელემენტები. დასავლეთში ფეოდალ რაინდთა ჯარების ჩამოყალიბება სულაც არ იყო რეგიონალური მოვლენა. მძიმედ აღჭურვილ მხედართა ერთეულები იქმნებოდა მსოფლიოს ყველა არმიაში და მათ შორის საქართველოში.

მეომრის შეიარაღებას შეადგენდა საძგერებელი და სატყორცნი შუბები, მშვილდ-ისრები, ხმლები და სხვ. თავდაცვის საშუალებად გამოიყენებოდა ხის, ტყავის და ლითონის ფარები, მუზარადები, ჩაფხუტები, ჯაჭვის პერანგები, თორნი, შეტევისა და ციხე-სიმაგრეთა ალყი-

სათვის იყენებდნენ სატყორცნ იარაღს და საალყო ტექნიკას: ლოდსატყორცნებს, კატაპულტებს. ტარანებს, საერიშო კიბეებს, მოძრავ კოშკებს, კიბის კაუჭებზე ჩამოკიდებულ ფარებს, სანგრევ კაუჭებს და სხვ.

ფეოდალიზმის ეპოქის დიდი, ხანგრძლივი ომები მრავალრიცხოვანი ჯარების მონაწილეობით თანდათან უთმობენ ადგილს მცირე ცხენოსანთა რაზმების ხანმოკლე შეტაკებებს, რაც სულ უფრო იკიდებდა ფეხს. საომარი მოქმედებები ატარებდა უეცარ ხასიათს, ორივე მხარე სწრაფად იფანტებოდა. თავისებურ „რაინდულ ტურნირებს" ადგილი ქონდა საქართველოშიც — „რაინდული ეპოქის" თავისებურებათა შესაბამისად.

მრავალრიცხოვან ცხენ-სიმაგრეთა იერიშები და აღყები, მათი მშენებლობა, დანგრევა, აღდგენა ტიპიურ მოვლენას წარმოადგენდა. მსხვილ ბრძოლებში ჯარების კლასიკური წყობა არეული იყო. რაინდთა სპეციფიკურ ეშელონს თან ახლდა მხედართმთავრის ნათლად გამოხატული ფიგურა, რომელიც პირადად წარმართავდა არა მარტო მძიმე ცხენოსანთა მოქმედებას, არამედ ყველა ჯარებისას.

ბრძოლაში მთავარ დამრტყმელ ძალად გამოდიოდა კარგად აღჭურვილი რაინდთა მძიმე ცხენოსანი არმია, რომელიც თავის საომარ მოქმედებას იწყებდა ხაზზე ან სოლისებურად იჭრებოდა მტრის განლაგებაში. მაგრამ პრინციპში არათანაბრად მიმართავდა მთავარ ძალას მოწინააღმდეგის ბანაკზე დასარტყმელად, რაც ზოგჯერ მთავრდებოდა სარდალთა ორთაბრძოლით.

ცეცი იარაღის სრულყოფამ, ხმლის ფართოდ დანერგვამ, ყველა სახის სატყორცნი იარაღის განვითარებამ, გამოიწვია ჯარების საბრძოლო განლაგების დანაწევრება ფრონტზე და ლეგიონების სიღრმეში ან სხვადასხვა დასახელების მკაცრად განსაზღვრული საორგანიზაციო ფორმების მიხედვით. ქართველი მთავარსარდლები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ჩასაფრებული რაზმების სპეციალურ წვრთნას, ასევე ცხენოსანთა და ქვეითთა საერთო რეზერვს. ამასთან, სამეფო რაზმი ასრულებდა კერძო რეზერვის როლს და ბრძოლაში კრიტიკული ვითარების შექმნის დროს ებმებოდა განსაკუთრებით გადამწყვეტ უბანებზე. ვარჯიშების დროს თავისებურებით გამოარჩევდნენ ვახტანგ გორგასალის ჯარების აღჭურვილობას და საბრძოლო განლაგებას. ძმისგან შეჭურვილი მხედრიონის პირველი ეშელონის ჩვეულებრივი აღწერა ის კი არ იყო, რომ ჩაბმულიყო ბრძოლაში და თავგანწირვით ეომა, არამედ მკაცრად განსაზღვრული მისწრების შესაბამისად მოეხდინა გამჭოლი გარღვევა მოწინააღმდეგის ჯარების განლაგების მთელ სიღრმეში სამეთაუ-

რო პუნქტამდე და ამით დაერღვია და დაეშალა მოწინააღმდეგის საბრძოლო წყობა. მძიმედ შეჭურვილთა მხედრიონი მხოლოდ წინ მიიწევდა საბრძოლო მიზნისაკენ სრული ძალებითა და სწრაფი ტემპით. ის არ ერთვებოდა გაჭიანურებულ ბრძოლებში. მის კვალდაკვალ მომავალ მეორე ეშელონსაც მკვეთრად განსაზღვრული ამოცანა ჰქონდა — გაეხადგურებინა მტრის დაქსაქსული ჯარები, გახანგრძლივებულ ბრძოლებში ჩართვით ბრძოლის ველის სრულ „გასუფთავებამდე". გაქცეული და უკანდახეული მტრის დევნას ანხორციელებდნენ ორივე ფლანგის მსუბუქი ცხენოსნები ორგანიზებული პარალელური და ფრონტული დევნით.

„რაინდთა ეპოქის" მსოფლიო სამხედრო ხელოვნების ფენომენად შეიძლება დავასახელოთ ვახტანგ გორგასალი, რომლის მხედართმთავრული და პირადი ფიზიკური თვისებები განცვიფრებას იწვევდა. მისი ხმლის თითოეული დარტყმა-გაელვება თავ'სარსა სცემდა განურჩევლად ყველას.

ვახტანგ გორგასალისნაირი გმირები ქმნიდნენ მტერზე გამარჯვების ხელსაყრელ პირობებს და ქართველ ხალხს მშვიდობიანი შესვენების საშუალებას აძლევდნენ.

თუმცა ეს მიღწევები თავის წონას კარგავდა დიდი ადამიანის სიკვდილის შემდეგ და მემკვიდრეობითობის დაცვის შეუძლებლობა წარმოადგენდა ქვეყნის უბედურებას. პოლიტიკურ და სამხედრო დამარცხებათა გაკვეთილებს ჰქონდა დიდი, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა შემდგომი გამარჯვებისათვის. სწორედ ქართველ მეფეთა შეცდომათა ჯაჭვი, დიდგვაროვანთა და ერისთავთა არასწორი მოქმედება ხდებოდა ხალხის ტრაგედიის მიზეზი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ხალხთან ერთად იღუპებოდნენ მეფეთა და ერისთავთა ოჯახები.

ამ უკანასკნელთა შეცდომების საფუძველს წარმოადგენდა მერყეობა, სამხედრო-პოლიტიკური კურსის ხშირი ცვლა, რაც ხორციელდებოდა ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლების მქონე მეფეთა მიერ. გუბაზი, მაგალითად, მასზე უსაზღვროდ მინდობილ ხალხს და არმიას ხან რომაელების მხარეს გადაისროდა, ხან სპარსელებს ეხმარებოდა. ამ გაორებამ დაღუპა თვით მეფე და მისი პოლიტიკის ბევრი მიმდევარი. ამ დამღუპველ შეცდომებს თან ახლდა მინაამშლილობა და მინაბრძოლები მთავრებს შორის, ქართველ სამთავროთა ტახტისათვის ცილობა და საშეფო ტახტისათვის ბრძოლა. აღმოსავლეთით, დასავლეთით, სამხრეთით, ჩრდილოეთით მდებარე სამთავროები იმის ნაცვლად, რომ შეკავშირებულიყვნენ მრავალრიცხოვანი გარეშე მტრების წინააღმდეგ,

ამ შინააშლილობით თვითონვე უწყობდნენ ხელს მტრების გაძლიერებას.

საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის განვითარებას და სამეფოს ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას თან ახლდა ქვეყნის აღმოსავლეთი და დასავლეთი ნაწილის გაერთიანებისადმი საყოველთაო მისწრაფება გამათავისუფლებელ ბრძოლებში ფართო მასების მონაწილეობით. ამის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა გარეშე მტრების თავდასხმების აღკვეთა, პირველ რიგში კი მოსაზღვრე ქვეყნების სამხედრო ძლიერების შერყევა. ამიტომ იყო, რომ ვახტანგ გორგასალმა ჩრდილოეთ კავკასიის მტრულად განწყობილი ტომების წინააღმდეგ ომი წამოიწყო — კავკასიონის მთავარი ქედის გასწვრივ, უფრო ხანგრძლივი ლაშქრობა კი კონსტანტინოპოლის მიმართულებით.

საამისოდ მას უნდა გადაეჭრა ისეთი პრობლემები, როგორიცაა: მოწინააღმდეგე მეზობელ ტომებს შორის წინააღმდეგობათა გამოყენება, დარტყმის მიმართულების შერჩევა, სტრატეგიული დაზვერვის ორგანიზაცია და წარმოება, ომის წინ ზურგისა და საზღვრების თავდაცვის საიმედო უზრუნველყოფა, საომარი მოქმედებისათვის საჭირო საბრძოლო ტერიტორიის წინასწარი შესწავლა და მომზადება, მოსახლეობის მთებში გახიზვნა, მტრის მრავალრიცხოვან ძალებზე სხვადასხვა მხრიდან ერთდროული შეტევით მოულოდნელობის მიღწევა, თავდაცვის ყოველმხრივი ორგანიზაცია, მთის გასასვლელების ჩაკეტვა ციხე-სიმაგრეთა განმტკიცებით.

ადრეფეოდალურ საქართველოში საბრძოლო ტაქტიკის თავისებურებანი არსებითად თითქმის არაფრით განსხვავდებოდა მონათმფლობელური არმიების საბრძოლო ტაქტიკისაგან. ორივე ეპოქის არმიები აღჭურვილნი იყვნენ ერთი და იგივე (ცივი) იარაღით. ჯარი საბრძოლო წესრიგს მხოლოდ მოწინააღმდეგესთან მიახლოებამდე ინარჩუნებდა. მტერთან მიახლოება დაყოვნებით, ნელა ხდებოდა. გაძნელებული იყო ბრძოლის ველზე მანევრირება. გამონაკლისს წარმოადგენდა საბრძოლო წყობა და მოქმედება ვახტანგ გორგასალის ჯარების თითოეული ეშელონისა, რომელთაც კონკრეტული ამოცანა ჰქონდათ დასახული. იგი შუა ბრძოლის დროსაც კი არ აძლევდა ჯარს უფლებას, დაერღვიათ მკაცრი განლაგება და შეთანხმებული საომარი მოქმედება.

ფეოდალიზმის ეპოქის ერთ-ერთ პირველ სამხედრო-თეორიულ შრომას წარმოადგენდა სქელტანიანი წიგნი „ტაქტიკა და სტრატეგია", რომელიც დაწერა ბიზანტიის იმპერატორმა მავრიკიუსმა. ის იყო მთა-

ვარსარდალი, იმპერატორ ტიბერიუსის მრჩეველი. წარმატებით ახორციელებდა ომებს სპარსეთის წინააღმდეგ, არ თაკილობდა არავითარ მზაკვრულ მოქმედებას. 582 წელს ტიბერიუსმა დაამტკიცა მავრიკიუსი თავის მემკვიდრედ. 602 წელს მან უკანასკნელად გაილაშქრა სლავების წინააღმდეგ. იგი შეთქმულებისა და ამბოხების შედეგად მხეცურად მოკლეს. ჯერ მავრიკიუსის თვალწინ აჩეხეს მისი შვილები, შემდეგ თვით მას მოკვეთეს თავი.

ბიზანტიაში ათი წლის მანძილზე მეფობისას თავის მხედართმთავრულ გამოცდილებაზე დაყრდნობით მავრიკიუსმა თეორიულად განაზოგადა ტაქტიკისა და სტრატეგიის საფუძვლები. მის მოსწავლეთა შორის ქართველებიც იყვნენ.

სამხედრო ხელოვნება ყოველთვის მოიცავდა მორალურ კატეგორიას: სიკვდილით გამოცდა მთელი სიდიადით ავლენდა ადამიანის — მისი ხალხის ღირსებებს.

თავი გასწირო სამშობლოსათვის, რომელიც სიცოცხლეზე ძვირფასია,—აი, შთამაგონებელი ძალა, რაც მასობრივად წარმოშობს ომის გმირებს. ხოლო ვერაგობას, სიმდაბლეს, გაიძვერობას, სიცრუეს და ულმობლობას ბრძოლებში, რომელიც ომის ხელოვნების რანგშია აყვანილი, შეუძლია აღზარდოს მხოლოდ მხდლები, ზნედაცემული ადამიანები, რომლებიც, უწინარეს, საკუთარი სიცოცხლის შენარჩუნებაზე ფიქრობენ.

მავრიკიუსისა და მის მსგავსთათვის ომში გამარჯვებისათვის ყველა მეთოდი და საშუალება გამართლებულია. მავრიკიუსის თეორიაში თავმოყრილია ვერაგული და სულმდაბლური ბრძოლის მეთოდები, რომლებიც იმ ხანად ცნობილი იყო. მან ვერ მოიკიდა ფეხი ქართველთა სამხედრო ხელოვნებაში. ისინი მხოლოდ კეთილშობილების, გმირობისა და ჭეშმარიტი საომარი ხელოვნების სკოლას ეზიარნენ მაინც. თავის თხზულებათა წინასიტყვაობებში ბიზანტიელი სტრატეგი მიუთითებს, რომ მან გადაწყვიტა, დაეწერა ეს შრომები, რადგან დიდი ხანია უკვე აღარავინ ზრუნავს სამხედრო ხელოვნებაზე და ყველაფერი დავიწყებას ეძლევა. „ბევრი ძველი რამ ავტორებისაგან ავიღე, — დასძენს იგი, — ჩემი გამოცდილებაც დავუმატე, რათა გადმომეცა ომის წარმოების პრინციპები იმათთვის, ვინც გადაწყვიტა სამხედრო სამსახურს შესწიროს თავი".

მავრიკიუსი წერს: „თუ მოწინააღმდეგის ჯარი შედგება სხვადასხვა ხალხებისაგან და მათ შორის უთანხმოებაა, მაშინ უნდა გათიშო ისინი ძვირფასი საჩუქრებითა და დაპირებებით, გადმოიბირო წარჩინებულნი.

პირდაპირ ეომო მამაც, გულად ხალხებს, — ძალიან საშიშია. ამიტომ მათ წინააღმდეგ უნდა გამოიყენო სამხედრო ხელოვნება, კეთილგონიერებით, ფარული მიდგომით, ეშმაკობით და მოტყუებით და არა პირდაპირ, აშკარა შებრძოლებით. აუცილებელია, ყველაფრის დაზვერვა ჯაშუშებისა და მზვერავების საშუალებით, თუ რა ხდება მტრის ბანაკში.

საქართველოს სამხედრო ხელოვნების თეორიის სრულიად საწინააღმდეგოდ, რომელიც გულისხმობს, რომ გამარჯვების მთელი აზრი და მისი მიღწევა უნდა განხორციელდეს გადამწყვეტ ხელჩართულ ბრძოლაში, მავრიკიუსი გვთავაზობს, ყოველთვის არ მივმართოთ ასეთ ბრძოლას, რადგან ბიზანტიის დაქირავებული არმიის მორალურ-საბრძოლო ღირსებანი ნებისმიერ დროს როდი იდგა სათანადო სიმაღლეზე. ამასთან, მისი აზრით, ფრონტალურ, განსაკუთრებით საკავალერიო შეტაკებებში გამოუცდელი მთავარსარდლის ოდნავი დაუდევრობაც დამღუპველია. მან არ უნდა დააწყოს ჯარი ერთ რიგად — გაშლილი ფრონტით. ბრძოლების მოგება შეიძლება არა მოწინააღმდეგის ძალებზე უპირატესობით, არა უგუნური მამაცობით, არა ხელჩართული ბრძოლით, არამედ აქ მთავარია „ხელოვნება და გამოცდილება სამხედრო საქმეში".

მავრიკიუსი სამხედრო მოქმედების დაწყებას ურჩევს მკის დროს, როცა მისი აზრით „მოწინააღმდეგე სურსათის ნაკლებობას განიცდის და თავდაცვის უნარსაც მოკლებულია".

„მტრის ქვეყანაში... ყოველთვის უნდა შევგზავნოთ ჯაშუშები და მზვერავები, გარდა ამისა, აუცილებელია შევაგროვოთ მტრულად განწყობილ ქვეყანაზე ცნობები ტყვეებისაგან და გადმოსულებისაგან". ბიზანტიელ თეორეტიკოსს მიზანშეწონილად არ მიაჩნია „გენერალური ბრძოლის" გამართვა მტრის შემოტევისას, არამედ საჭიროა მოტყუებით მოქმედება, რაც შეიძლება მეტი გამაგრებული პუნქტის დაკავება და მეტი სურსათის მარაგის წაღება, ე. ი. მცირე ომის წარმოება. მეომრების საბრძოლო სულისკვეთების ასამაღლებლად მავრიკიუსი ბრძოლის წინ წინააღმდეგია ჯარისკაცების დასჯისა, რათა განაწყენებულნი არ გადავიდნენ მტრის მხარეზე. ამის აღსაკვეთად იგი მიმართავდა მოწინააღმდეგის ტყმთა მეომრების გამოთიშვას ბრძოლიდან, რათა არ გადასულიყვნენ ისინი თავისიანთა მხარეს. „თუ ვინმე დატოვებს პოზიციას, ან გაიქცევა მოწინააღმდეგის ბანაკისაკენ, ასეთები უნდა დაისაჯონ". ყველაფერი იმაზე მ უთითებს, თუ რა შეზღუდულად აფასებდა მავრიკიუსი ომში მორალურ ფაქტორს.

თავი მესამე

სამხედრო ხელოვნების განვითარება საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის პროცესში

საშობლოს არვის წავართმეთ,
ჩვენც ნურვინ შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინება.

ვაჟა-ფშაველა

საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის ისტორიიდან ჩვენამდე მეტად შორეული ფრაგმენტებია მოღწეული. ჯერ კიდევ 1112 წელს ჩვენს ერამდე სირიელების წინააღმდეგ საბრძოლველად ქართველური ტომების გაერთიანება „ნაირის ქვეყნების" სამეფოში სცადა სიენამ... ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV—III საუკუნეების მიჯნაზე აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს გაერთიანების სტრატეგია შეიმუშავა ფარნაოზ მეფემ და ამ მიმართებით ბევრი რამ განახორციელა კიდეც... ადრეფეოდალურ ხანაში, სახელდობრ, V საუკუნეში, ვახტანგ გორგასალმა გადადგა ამ საქმეში მეტად სერიოზული ნაბიჯი. გაერთიანების პრობლემა მათ თანადროულ ისტორიულ ვითარებაში უწინარეს ძალას უნდა გადაეწყვიტა. ფარნაოზის, ასევე ვახტანგ გორგასალის სამეფოები მათი სიკვდილის შემდეგ დაიშალა სამთავროებად. ბუნებრივია, დაქსაქსული ქვეყნის საომარი ძლიერებაც სწრაფად ეცემოდა.

თუ გადავავლებთ თვალს გორგასალის შემდგომ საქართველოს ისტორიას, აშკარად შეინიშნება ერთი უწყვეტი ტენდენცია — ქართველი ხალხის დაუოკებელი მისწრაფება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ, ქვეყნის გაერთიანებისა და ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნისაკენ. ამისათვის კი, საჭირო იყო დიდი პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური მოსამზადებელი ღონისძიებანი. ყოველივე ეს კეთდებოდა დამპყრობლებთან ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლების პირობებში. უკვე X საუკუნეში საამისოდ ერთგვარად მომზადდა ნიადაგი. საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე შეიქმნა ერთიანი სამეურნეო ეკონომიკური ერთეულები, გაძლიერდა ქართული ეკლესიის ცენტრალიზაცია, გაუმჯობესდა სამეფო ჯარის შეიარაღების ხარისხი, ქართველმა ხალხმა შეძლო წარმატებით გადაეტანა სპარსელთა, არაბთა ბატონობის, აგრეთვე შინაკლასობრივი ბრძოლების დამანგრეველი

შედეგები. ამ დროის მანძილზე არაერთმა ქართველმა მეფემ, გამოჩენილმა სამხედრო და საეკლესიო მოღვაწემ სცადა თავისი ძალ-ღონე საქართველოს გაერთიანების საქმეში, სადაც ისინი ყოველთვის პოულობდნენ ფართო მხარდაჭერას ხალხისაგან. ამ დიდი მისიის ბოლომდე განხორციელება წილად ხვდა დავით აღმაშენებელს. ამ სახელოვანმა დიდებულმა პიროვნებამ პრინციპულად ახალი საფუძველი შეუქმნა საქართველოს საომარი ხელოვნების განვითარებას. შექმნა მყარი სტრუქტურის მუდმივი ჯარი, რამაც უზრუნველყო ქვეყნის შინაური მდგომარეობისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება ხანგრძლივი დროის განმავლობაში, რომლის ინერცია თვით თამარის მეფობის ეპოქასაც კი გასცდა: მაგრამ საქართველოს ამ „ოქროს ხანამდე" მისასვლელი გზები მთლიანად სისხლით იყო მორწყული.

საქართველოში გაჩაღებული შინაბრძოლები დიდ ქვეყნებში ატეხილი შინაური აშლილობისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ აქ მოწინააღმდეგეთა გვერდით ყოველთვის მოქმედებდნენ გარეშე მტრები. ისინი უმეტესად ქართველი ფეოდალების, ანუ ცენტრიდანული ძალების მხარდამხარ გამოდიოდნენ. ამ შინაომების უმთავრესი უბედურება იმაში მდგომარეობდა, რომ ქართველი ფეოდალები სხვათა ხელით ცდილობდნენ თავიანთი მოძმე მეზობლების აოხრებასა და აწიოკებას. ეს ბრძოლა, ჩვეულებრივ, უაღრესად მძიმე და საზარელ ხასიათს ღებულობდა, ფიზიკურ განადგურებასთან ერთად სახიჩრდებოდა ადამიანთა სული, კატასტროფულად ეცემოდა ზნეობრივი დონე, ამ შინაომებს ათწილ უფრო მძიმე შედეგები მოჰქონდა, ვიდრე გარეშე მომხდურთა განუწყვეტელ თავდასხმებს.

IX საუკუნეში გამწვავდა ბრძოლა საქართველოს სამთავროებს შორის, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ სომეხი დიდკაცობა და თბილისის ამირა. ისინი ძმათა შორის შუღლსა და მტრობას თესავდნენ. მათ შესძლეს შუღლი ჩამოეგდოთ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებს შორის. 881 წელს მოკლეს დავით ბაგრატიონი და მთლიანად ამოწყვიტეს გუარამ ბაგრატიონის შთამომავლობა. შექმნილ ვითარებაში მხოლოდ მეფე დავით კუროპალატის ვაჟიშვილმა — ადარნასემ შეძლო 888 წელს კვლავ აღედგინა „ქართველთა მეფის" ტიტული, მაგრამ ამას რამდენადმე პირობითი ხასიათი ჰქონდა, რადგან ქვეყნად კვლავ მძვინვარებდა განდგომილ ფეოდალებთან და გარეშე მტრებთან განუწყვეტელი ბრძოლები.

ამ ისტორიულ პერიოდში საქართველოს გაერთიანებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა სამეფოს სამხედრო ძალების ახლე-

ბურ ფორმირებას, მაგრამ ფეოდალური დაქუცმაცებულობის, ეკონომიკური შეზღუდულობისა და სავაჭრო-სამეურნეო დაქვეითების პირობებში ძალზე ძნელი იყო ამ დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო ღონისძიების განხორციელება.

ფეოდალების მიერ ახალ-ახალი გადასახადების დაწესება ხალხის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. სულ უფრო მწიფდებოდა პირობები ერთიანი სახელმწიფო სისტემის შესაქმნელად, რომელიც დაიცავდა ქვეყანას გარეშე და შინაური მტრებისაგან, შექმნიდა მტკიცე წესრიგს ფეოდალური განკერძოებულობის ასალაგმავად.

X საუკუნის მეორე ნახევარში დავით III ბაგრატიონის მეფობის დროს შემზადდა რეალური ნიადაგი საქართველოს გაერთიანებისათვის. დავით III იყო განათლებული და ჭკვიანი სტრატეგი-პოლიტიკოსი. მრავალი კარგად გააზრებული ღონისძიებით მან შეძლო აღეკვეთა შინაომები და შეექმნა ხელსაყრელი პირობები გარეშე მტერთა წინააღმდეგ საბრძოლველად. დავით III-მ მეზობელ სახელმწიფოებთან და ბიზანტიასთან მჭიდრო, კეთილმეზობლური ურთიერთობა დაამყარა. 979 წელს ბიზანტიის კეისარს ბასილს მძიმე ვითარება შეექმნა ქვეყანაში ბარდა სკლიაროსის აჯანყების გამო. დავით III-მ კეისრის დასახმარებლად თორმეტი ათასი ცხენოსანი მეომარი გაგზავნა თორნიკე ერისთავის სარდლობით, რომელმაც დაამარცხა სკლიაროსი მდინარე ჰალისის ნაპირებთან გამართულ ბრძოლაში.

ბასილი კეისარმა ამ ფასდაუდებელი დახმარებისათვის დავით კუროპალატს დიდი მიწა-წყალი უბოძა: არზრუმისა და ბასიანის ოლქი, ჰარქი და აპაჰუნის მხარე, ციხეები — ხალტოჯარიჭი და კელასური, რომლებიც საიმედოდ კეტავდნენ არზრუმისა და ტრაპიზონისაკენ მიმავალ გზებს.

დავით III-ის შორსმჭვრეტელური პოლიტიკა ითვალისწინებდა სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებას და ქართველი ხალხის მშვიდი ცხოვრების უზრუნველყოფას. დავით III-მ 980 წელს წარმატებით დალაშქრა ვანის ტბის პირას მდებარე ქალაქი ფანასკერტი და საბოლოოდ გატეხა ამავე ტბის პირას მდებარე მეორე ქალაქის ხლათის წინააღმდეგობაც. შემდეგში დავით III-მ მუსულმანთა ასი ათასიანი ლაშქარი დაამარცხა და გადარეკა ისინი ქვეყნის საზღვრებს მიღმა.

ტაო-კლარჯეთის სამეფოს საზღვრებმა გადაიწია ვანის ტბისა და ქალაქ ერზინკის სანაპიროებამდე, ხოლო დავით III-მ მოიპოვა „მეფეთმეფის“ ტიტული. მისი გავლენა ვრცელდებოდა საქართველოს ჩრდი-

ლოეთშიც, სადაც მან 975 წელს ბაგრატ ბაგრატიონი ქართლის მეფედ გამოაცხადა, ხოლო სამი წლის შემდეგ — აფხაზეთის მეფედაც.

სამთავროთა შორის შუღლი და მტრობა შენელდა. შინაბრძოლები აღიკვეთა. გარეშე მტრებზე გამარჯვებამ და გონივრულმა საგარეო პოლიტიკამ განამტკიცა ქვეყნის გაფართოებული საზღვრები. ხოლო დავით III-ის ავტორიტეტმა და გავლენამ ხელი შეუწყო სამთავროთა ცენტრალიზებულ მართვას, რაც განამტკიცებდა გაერთიანებულ სახელმწიფო საფუძვლებს.

არაბთა ბატონობის დროს მიყენებული ჭრილობები ქართველმა ხალხმა თანდათანობით მოიშუშა. აღორძინდა ქვეყნის ეკონომიკა და მეურნეობა, აყვავდა კულტურა და ხელოვნება. დაიწყო ფართო სამონასტრო მშენებლობა, რასაც მრავალი ციხე-სიმაგრის აგება მოჰყვა. ამ პერიოდში აიგო სწორუპოვარი ძეგლები: შატბერდი, ოპიზა, იშხანი, ხანძთა, ოშკი, ბანა, წყაროსთავი და სხვ.

ბაგრატ ბაგრატიონი დედის მხრიდან აფხაზთა მეფის, ხოლო მამის მხრიდან ქართლის მეფის შთამომავალი იყო. ამიტომ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანებას დავით III-ის დროს კანონიერი საფუძველი ჰქონდა. 980 წელს ბაგრატ მესამემ ხელთ აიღო საქართველოს მთელი ძალაუფლება და დაიწყო ბრძოლა თავგასული ფეოდალების წინააღმდეგ. მან 989 წელს პირველი დარტყმა აგემა კლდეკარის ერისთავს, რომელმაც შეძლო მოტყუებით და ყალბი დაპირებებით წაექეზებინა და აემხედრებინა კლდეკარის მიმართულებით მიმავალი დავით კუროპალატის ლაშქარი ბაგრატ III-ის ლაშქრის წინააღმდეგ. ვერაგობა დროულად გამომჟღავნდა და ბაგრატმა კლდეკარის საერისთავოც შემოიერთა. 1010 წელს მან დალაშქრა კახეთ-ჰერეთის სამთავრო, რომელიც ჯიუტად განაგრძობდა განკერძოებულობას. ბაგრატმა საქართველოს ეს უმდიდრესი მხარე თავის სამეფოს შეუერთა. მერმე მან, 1011—1012 წლებში, ნათესავ ბაგრატიონებს ჩამოართვა მთელი სამხრეთ საქართველოს განმგებლობა და თავისი სამეფოს ძალაუფლებას დაუმორჩილა.

კლარჯეთის, შავშეთის, ჯავახეთის და სამცხის დანარჩენი ტერიტორია ბაგრატ III-ს მემკვიდრეობით გადაეცა და ამ გზით თითქმის მთელი საქართველო გაერთიანდა, გარდა თბილისის საამიროსი, რომელიც ქვეყნის ცენტრს წარმოადგენდა და ფაქტიურად ალყაშემორტყმულივით იყო. საქართველოს მოსვენებას არ აძლევდა განძის ამირას თავდასხმები. 1011 წელს ბაგრატ III-მ ამირა ფადლონის წინააღმდეგ დაძრა სომეხ-ქართველთა გაერთიანებული ლაშქარი, გააცამტვერა

მისი მთავარი ძალები და ქალაქის დაცემის შემდეგ ამირამ ბაგრატს ზავი სთხოვა, თან ხარკის მორჩილად გადახდა აღუთქვა.

ამ დროისათვის საქართველოს მთავარ მოწინააღმდეგე ძალას ბიზანტია წარმოადგენდა. ბიზანტიამ დავით III-ის სიკვდილის შემდეგ 1001 წელს დაივიწყა თავისი ვალდებულება და მეგობრული ურთიერთობა, დიდძალი ჯარით შემოიჭრა საქართველოში და ალყა შემოარტყა ტაოს. იმ ხანებში კახეთის ფეოდალებმაც დრო იხელთეს და კვლავ აღადგინეს კახეთ-ჰერეთის დამოუკიდებლობა. საქართველოს მომდევნო მეფემ გიორგი პირველმა მთელი თავისი ჩანაფიქრი და სწრაფვა სამხრეთ საქართველოს — ტაოს განთავისუფლებისაკენ მიმართა. 1014—1016 წლებში ბიზანტიელებს ომი ჰქონდათ ბულგარელებთან. ეს მომენტი გამოიყენა ახალგაზრდა მეფემ და გაილაშქრა ბიზანტიელების წინააღმდეგ. მან აიღო ტაო, მაგრამ მიღწეული გამარჯვების შესანარჩუნებლად და თავდაცვა-უნარიანობის განსამტკიცებლად გიორგი I-ს და მის მრჩევლებს არავითარი ზომები არ მიუღიათ. ამიტომ საქართველოში 1021 წელს შემოჭრილი ბიზანტიელების მრავალრიცხოვან ლაშქარს გიორგი პირველმა თავისი ძალები ვერ დაუპირისპირა და უბრძოლველად დაუთმო მათ ოლთისი, კოლა და სხვა ადგილები. მხოლოდ სოფელ შირიმში გაუმართა ბრძოლა მტერს ქართველთა ჯარის ცალკეულმა ნაწილებმა. თავგანწირულად იბრძოდნენ ქართველი მეომრები. წარბშეუხრელად გასწირეს სიცოცხლე ლიპარიტის ვაჟიშვილებმა ხურციმ და რატიმ, რომლებიც საომარ მოქმედებას ხელმძღვანელობდნენ, მაგრამ ამ ცალკეული წარმატებით შეუძლებელი იყო ბრძოლის მოგება.. ქართველთა დამარცხებული ლაშქარი, რომელსაც ბიზანტიელები სდევნიდნენ, არტაანისაკენ უკუიქცა, შემდეგ კი სამცხესა და თრიალეთში, სადაც მათ შეუერთდათ ახალი ძალები და მოწინააღმდეგის აქტიური შემოტევა შეაკავეს. არმიის მომზადება შემდგომი ბრძოლებისათვის გიორგიმ ვერ შეძლო და იძულებული გახდა 1022 წ. ზავი დაედო ბიზანტიელებთან. ქართველთა მეფე იძულებული გახდა დაეთმო ტაო, არტაანი, კოლა, ჯავახეთი და მიეღო ზავის მძიმე პირობები. ამასთან ბიზანტიელებისაგან მოსყიდულმა ტაოელმა ფეოდალებმა მტერს თავიანთი ხელით ჩააბარეს ამდენი მძიმე შრომით აგებული ციხე-სიმაგრეები.

1028 წელს ბიზანტიელებმა დაიპყრეს მთელი სამხრეთ საქართველო და დაიწყეს მოსახლეობის უმოწყალო ძარცვა-გლეჯა.

ქვეყნის საუკეთესო შვილები ხელმძღვანელობდნენ ხალხის შეიარაღებულ გამოსვლებს დამპყრობთა წინააღმდეგ. შთამომავლობა წმინდად ინახავს მამაცი ეპისკოპოსის საბა მტბევარის ხსოვნას. მან შეძლო

ჩამოეყალიბებინა მებრძოლთა რაზმები და გადამწყვეტი ბრძოლები გაემართა ბიზანტიელებისათვის, ამასთან შავშეთის რაიონების დასაცავად მთელი მოსახლეობის დახმარებით ააგო, გაამაგრა და დაიჭირა ციხე-სიმაგრე ტბეთი.

ფეოდალთა გამცემლობამ და ორპირობამ საქართველოში სავალალო მდგომარეობა შექმნა. თვით დემეტრემ, მეფის ღვიძლმა ძმამ 1032 წელს უღალატა ქვეყანას, გადავიდა ბიზანტიელების მხარეზე და აფხაზეთის ძლიერი ციხე ანაკოფია ბიზანტიელებს გადასცა.

ყველაზე მძიმე ვითარება ქვეყნის შიგნით იმან განაპირობა, რომ შეიარაღებული ბრძოლის ხანძარი ერთსა და იმავე დროს სამ ფრონტზე მძვინვარებდა — ქართველი მეფე იბრძოდა ბიზანტიელების, თბილისის ამირასა და კლდეკარის ერისთავის წინააღმდეგ. 1032 წელს დაატყვევეს თბილისის ამირა და ბირთვისის ციხე გაათავისუფლეს, მაგრამ მცირეწლოვანმა ქართველმა მეფემ ამირას კვლავ მიუბოძა თავისუფლება.

დიდი უბედურება მოუტანა ქართველ ხალხს 1065—1068 წლებში თურქ-სელჯუკთა დიდძალი ლაშქრის შემოჭრამ საქართველოში.

თურქთა ყველაზე საშინელი და ამაოხრებელი შემოსევა 1080 წელს მოხდა, რომელიც ისტორიაში „დიდი თურქობის" სახელითაა ცნობილი. ამ დროს დაანგრიეს მრავალი სოფელი და ქალაქი, დედაწულიანად გაჟლიტეს ხალხი, წაბილწეს და შერყვნეს ქრისტიანული ეკლესიები, მხეცურად გაუსწორდნენ მოსახლეობას.

ისტორიამ იცის ქართველი მეფეები, რომლებმაც მთელი თავიანთი შეგნებული ცხოვრება ქვეყნის აღორძინებას და ხალხის კეთილდღეობას მოახმარეს. ისინი იბრძოდნენ საქართველოს გაერთიანებისა და დამოუკიდებლობისათვის, რითაც დიდებულ მაგალითს აძლევდნენ ხალხს თავიანთი თავდადებული გმირობით. ისინი ჭეშმარიტად ეროვნული გმირები იყვნენ. ხალხი ისტორიულად ყველაზე მძიმე განსაცდელის ჟამს მუდამ ელოდა გმირების გამოჩენას, სწამდა, რომ ქართველი ერი მოუვლენდა ნანატრ გმირს. მათ იმ დროს ასეთი გმირის სახით მოევლინა დავით აღმაშენებელი, რომელმაც იმთავითვე დაიმკვიდრა ნიჭიერი პოლიტიკოსისა და სტრატეგის სახელი. იგი მართლაც უდიდესი შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი და მხედართმთავარი იყო, რომელიც სამეფო ტახტზე ჯერ კიდევ 16 წლისა ავიდა 1089 წელს.

დავით აღმაშენებლის პიროვნებაში ერთმანეთს განუყოფლად ერწყმოდა მაღალი მხედართმთავრული ნიჭი და სახელმწიფო მოღვაწის უდრეკი რკინისებური ნებისყოფა. იგი ამასთან ერთად მრავალმხრივ განათლებული კაცი იყო, დაუფლებული იმდროინდელ მეცნიერებას.

იცოდა მრავალი უცხო ენა, გამოირჩეოდა პროგრესული შეხედულებებით, მაღალი კულტურით. იგი ბევრს კითხულობდა, განსაკუთრებით უყვარდა ისტორია. ცნობილია, რომ მას წიგნები თან დამქონდა ლაშქრობებში და კითხულობდა. უდიდესი გულისყურით სწავლობდა სამხედრო ხელოვნებას, ეცნობოდა მსოფლიოს წამყვან, გამოჩენილ მხედართმთავართა ხელოვნებას და ცდილობდა მათი მიღწევები, ძვირფასი მემკვიდრეობა შესაძლებლობისამებრ გამოეყენებინა თავისი ჯარების ორგანიზაციასა, ტაქტიკასა და სტრატეგიაში.

დავითმა მემკვიდრეობით მიიღო განადგურების პირას მისული სამეფო, რომლის ტერიტორიის დიდი ნაწილი გარეშე და შინაურ მტერს ეპყრა ხელთ. მომთაბარე ტომების დაუსრულებელ შემოსევებს სრულ გაპარტახებამდე მიჰყავდა მეურნეობა, უმოწყალოდ იჩეხებოდა ტყე, ვაზი და ხეხილი, რათა მომხდურ სელჯუკ მომთაბარეებს საძოვრები ჰქონოდათ. ხალხი იყრებოდა დასახლებული ადგილებიდან და მთებში პოულობდა სახიზარს. გაუკაცრიელდა სოფლები და დაბები, მრავალი დიდი დასახლებული ადგილი ნასოფლარად იქცა. ამას თან დაერთო სტიქიური უბედურება — 1088 წელს, მიწისძვრებმა თითქმის ერთიანად დაანგრია საქართველოს სამეფო რეზიდენციები, ციხე-სიმაგრეები და ეკლესიები, ათასობით მოსახლე უსახლკაროდ დარჩა. ბევრი მამულიშვილი სამშობლოდან გადაიხვეწა. დავით მეფემ უწინარეს იმით დაიწყო, რომ სამშობლოში დააბრუნა განათლებული, სამხედრო, სამშენებლო და სამეურნეო საქმის მცოდნე ადამიანები, ყოველნაირად ცდილობდა, დაებრუნებინა ძველ საცხოვრებელ მიწებზე გახიზნული მოსახლეობა, აელორძინებინა მეურნეობა, განევითარებინა ვაჭრობა და, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, შეექმნა მუდმივი, ანუ „როქის სპა“. ეს აუცილებელი იყო ფეოდალური შინააშლილობით გამოწვეული ურჩი მთავრების თვითნებობის ასალაგმავად, ასევე გარეშე მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად.

დავით მეფემ თავისი მახვილი უწინარეს კლდეკარის ერისთავის ლიპარიტის წინააღმდეგ მიმართა, რომელიც ყველა ღონისძიებით ცდილობდა, არ დამორჩილებოდა სამეფო ხელისუფლებას, ყოველნაირად უშლიდა ხელს ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებას, რისთვისაც ქვეყნის ღალატსაც არ ერიდებოდა. ლიპარიტს საიდუმლო კავშირი ჰქონდა მუსულმან სელჯუკიანთა მეფეებთან, აქეზებდა მსხვილ ფეოდალებს დავით მეფის წინააღმდეგ საბრძოლველად. დავითმა ლიპარიტი განდევნა ქვეყნიდან და მისი სამფლობელოები თავის სამეფოს შეუერ-

თა, ხოლო 1101 წელს ზედაზენიც აიღო და ამით ბოლო მოუღო განდგომილ ერისთავთა ურჩობას.

საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე მხოლოდ დავით აღმაშენებელმა შესძლო ურჩ ფეოდალთა სრული დათრგუნვა და გარეშე მტრების თავდასხმების აღკვეთა. მან საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ერთიან ფეოდალურ მონარქიულ სახელმწიფოს, შექმნა მუდმივი რეგულარული ჯარი. მან მკაცრი წესრიგი დაამყარა ქვეყნის შიგნით, და მთელი თავისი სახელმწიფო და მხედართმთავრული ნიჭი მიმართა სელჯუკთა წინააღმდეგ საბრძოლველად, რათა ქვეყნისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო, უაღრესად რთული სამხედრო პოლიტიკური ამოცანა წარმატებით გადაეწყვიტა.

დავითმა მოხერხებულად ისარგებლა სელჯუკების ჯვაროსნებთან არაერთგზის მძიმე სამხედრო მარცხითა და შინაური აშლილობით, მან შეუწყვიტა თურქ-სელჯუკებს დამამცირებელი ხარკის გადახდა. შეკრიბა შედარებით მცირერიცხოვანი, სამაგიეროდ ჩინებულად გაწვრთნილი, კარგად შეიარაღებული ჯარები და გაშალა ფართო და აქტიური ბრძოლა სელჯუკთა ცალკეული გარნიზონების წინააღმდეგ. იგი განსაკუთრებით ებრძოდა მოხეტიალე სელჯუკთა ტომებს, რომლებიც დათარეშობდნენ და არბევდნენ საქართველოს ცალკეულ რაიონებს. ამ ბრძოლებში ჩაისახა დავით აღმაშენებლის ორიგინალური ტაქტიკური პრინციპი: სწრაფი მანევრირება, დღისითა და ღამით ყოველგვარ ამინდში ბრძოლების წარმოება, რითაც წარმატებით ახორციელებდა მტერზე მოულოდნელ, თავზარდამცემ თავდასხმებს, რაც იწვევდა მოწინააღმდეგის პარალიზებას, საბრძოლო უნარის დაკარგვას. ასე აღწევდა დავით მეფე შედარებით მცირე ჯარით მტრის ჭარბი ძალების დამარცხებას. დიდი ბრძოლა გადაიხადა დავითმა ერწუხის რაიონში 1104 წელს განძის ათაბაგის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა გამოწვეული იყო დავითის მიერ კახეთ-ჰერეთის დაკავებით და იქედან დიდმოხელე განძის ათაბაგმა დიდი ძალებით გამოიღაშქრა, რომ დავითი კახეთ-ჰერეთიდან განედევნა. ამ ბრძოლაში დავით მეფე ლომებრ იბრძოდა და ლეგენდარული გმირობა გამოიჩინა, რითაც მხნეობას უნერგავდა ლაშქარს. დავითს ბრძოლაში სამი ცხენი მოუკლეს და იმდენი სელჯუკი აჩეხა, რომ აბჯრის შიგნით ხმლიდან ჩამონაწვეთი სისხლი დაუგუბდა. მტერს შიშის ზარს სცემდა დავითის სახელი. ამ ბრძოლაში დავით აღმაშენებელმა მცირე ჯარით დიდი გამარჯვება მოიპოვა რიცხობრივად ბევრად ჭარბი მტრის ძალებთან და პირადი მაგალითით სამხედრო წრთობის შესანიშნავი მაგალითი აჩვენა თავის მცირერიცხოვან ლაშქარს.

დავით აღმაშენებლის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა თბილისის აღება. საამისოდ კი საჭირო იყო მის გარშემო ყველა ციხის, გზებისა და ხიდების ხელში ჩაგდება, რათა ქალაქი სტრატეგიულ ალყაში მოექცია, სხვაგვარად აძოდესა საქართველოს აღება შეუძლებელი იყო.

ერთ-ერთი ასეთი სტრატეგიული პუნქტი გახლდათ რუსთავი, რომელიც იცავდა თბილისს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, სამშვილდე სამხრეთ-დასავლეთიდან, დმანისი, გიშის ციხე, ლორეს ციხე და ა. შ.

სელჯუკები ერიდებოდნენ უშუალოდ დავითთან გადაწყვეტ შეტაკებას და ცდილობდნენ ბრძოლები იმ რაიონებში ეწარმოებინათ, სადაც მეფე არ იმყოფებოდა. სელჯუკთა ამ ტაქტიკას მეფემ თავისი ტაქტიკა დაუპირისპირა. იგი მცირე ძალით, დემონსტრაციული გაემგზავრა ქუთაისს 1110 წ., ხოლო თბილისისათვის ბრძოლის წარმოების სტრატეგიული გეგმის შესრულება დაავალა გიორგი ჭყონდიდელს, როძელმაც თვედორე აბულეთთან და ივანე ორბელიანთან ერთად, თითქმის უბრძოლველად დაიკავა მნიშვნელოვანი სამხედრო ობიექტი, ქალაქი სამშვილდე და სიმაგრე ძერნა. სამშვილდეს და ძერნას დაკარგვამ თავზარი დასცა თურქ-სელჯუკებს და მათ უბრძოლველად მიატოვეს ქვემო ქართლის ციხე-სიმაგრეები და გაიქცნენ. ამ გამარჯვებამ, რომელიც დავით მეფემ ასე ოსტატურად განახორციელა, დიდად გაუთქვა სახელი ქართველთა ლაშქარს. განრისხებულმა თურქეთის სულთანმა მუჰამედმა 100 000-იანი ლაშქარი გაგზავნა 1110 წელს საქართველოში. ლაშქარი თრიალეთს მიუახლოვდა თითქმის შეუმჩნეველად. მეფე დავითმა ეს ამბავი მხოლოდ საღამოხანს შეიტყო და ასაზდად 1500 მეომრის შეგროვება შესძლო. მან ერთ ღამეში გადალახა მდინარე მტკვრის ხეობა და თრიალეთის ქედი. ამ სწრაფი და მოულოდნელი მანევრის მიზანს განთიადისას მოწინააღმდეგის მარცხენა ფრთაზე თავდასხმა შეადგენდა, სადაც მტრის მთავარი ძალები იყო თავმოყრილი. ამით მას სურდა პანიკა ჩამოეგდო მოწინააღმდეგის ბანაკში. ჩანაფიქრი ისე გაბედულად და ოსტატურად შესრულდა, რომ თურქ-სელჯუკებს არც მოჰგონებიათ თავიანთი რიცხობრივი უპირატესობა და ქართველებთან ბრძოლაში არაორგანიზებულად მოქმედებდნენ. დავით აღმაშენებელი შეიჭრა მტრის ჯარების სიღრმეში, შეუტია თვით მთავარსარდლის ბანაკს და უდიდესი ზარალი მიაყენა. მტერი დაიბნა და პანიკით თავგზააბნეული უკუიქცა. დავით აღმაშენებელი დაედევნა მტერს და მანამ არ მოეშვა, სანამ სავსებით არ განდევნა საქართველოდან. დადევნება. როგორც პანიკის მთავარი შედეგი, დავითმა აიყვანა ხელოვნებამდე.

მიუხედავად იმისა, რომ მტერი საბოლოდაექვსჯერ აღემატებოდა ქართველთა ლაშქარს, დავითმა თავის მიზანს და სასურველ შედეგს მაინც მიაღწია.

ამ გამარჯვებამ საქართველოს სამხედრო ხელოვნების ისტორიაში ახალი ფურცელი ჩაწერა. ჯერ კიდევ შემდგომ ბრძოლებში დავითმა პანიკის შექმნისა და დადევნების ხელოვნება გამარჯვების მთავარ საფუძვლად აქცია მტრის ყოველგვარი უპირატესობის პირობებში. ყველამ ირწმუნა მისი სტრატეგიის უძლეველობა. მან პრაქტიკულად მოიგო ბრძოლა 1:66-ზე, შემდეგ ბრძოლებში კი 1:31-ზე, 1:13-ზე, რაც ისტორიაში სამხედრო ხელოვნების ფენომენია.

დავითმა შემდეგში გათვალისწინა ამ ბრძოლის წინ დაშვებული შეცდომა. დასვენების პისუსზე, რამაც ასე საშიში მტერი ძოლოდნელად დააყენა თავზე. მან შექმნა და ააშენებინა სტრატეგიული დასვენება. გარდა ამისა დავითმა ჩამოაყალიბა მტრის ძალების უშუალო დასვენების სისტემა ბ ძოლის დაწყების წინ. მისი ტაქტიკური გეგმა ბრძოლაში ყოველთვის ითვალისწინებდა დასვენების ხუსტ ძონაცემებს.

დავით მეფეს ბრძოლების წინ მსტოვრები დროულად აწვდიდნენ ცნობებს, ამდენად მან ყოველთვის ზუსტად იცოდა მტრის ჯარების განლაგება და ბრძოლასაც ყოველივეს აწონ-დაწონის შემდეგ იწყებდა.

ასე მოხდა 1116 წელს. თურქები გამოსახსნელად ცაოში დაბანაკდნენ. მეფემ განკარგულება გასცა, მთელ ქართლში ქედზე კაცის გამოსვლის შესახებ. თვითონ კი გაემგზავრა ქუთაისში — დასავლეთ საქართველოში ჯარის შესაკრებად. მას გადაწყვეტილი ჰქონდა. ერთიანი ძალით დასხმოდა მტერს კლარჯეთთან და ორივე მხრიდან შეევიწროებინა მტერი. დავითის ჯარი მდინარე ჭოროხზე გადაიცდა, ხოლო დამრტყმელი „ჩაქუჩი“ უნდა ყოფილიყო ქართლისა და შესხეთის გაერთიანებული ლაშქარი, მაგრამ მტრის რიცხობრივი უპირატესობა მეტად საგრძნობი იყო. სტრატეგიული მანევრი ერთმანეთისაგან ასე დაშორებული ფლანგებით და ცალკე მიმართულებიდან დაწყებული, ძალზე რთული, შესაძლებელი მაგალითია იმ შემთხვევაში, თუ მტერზე დიდი რიცხობრივი უპირატესობა გაგაჩნია, მაგრამ დავითს გაცილებით ნაკლები ჯარი ჰყავდა. გამარჯვების საწინდარი მხოლოდ სხვადასხვა მხრიდან ერთდროული, მოულოდნელი თავდასხმა შეიძლებოდა ყოფილიყო მტრის ბანაკში დაბნეულობისა და პანიკის დასათესად, რაც გააბათილებდა მტრის რიცხობრივ უპირატესობას. ეს ოპერაცია დავით აღმაშენებელმა ბრწყინვალედ ჩაატარა და პრაქტიკულად განახორციე-

ლა: „ცალკე ლაშქრობა და ერთად დარტყმა“. თურქები დამარცხდნენ, ქართველთა ლაშქარმა ხელთ უამრავი სადავლი იგდო.

როგორც ვიქვით, დავით აღმაშენებლის მთავარი მიზანი იყო თბილისის მისადგომების განთავისუფლება მტრისაგან. 1115 წელს, როცა შეფე მუხრანში იმყოფებოდა, მისმა უახლოესმა მრჩეველმა გიორგი ჭყონდიდელმა მოულოდნელი დარტყმით აიღო მტრის მიერ გამაგრებული ქალაქი რუსთავი. მტერს გადაუკეტეს სამხრეთ-აღმოსავლეთით მისვალი გზა, რის შემდეგაც სელჯუკები ყოველმხრივ იზოლირებული აღმოჩნდნენ თბილისში.

1117 წელს დავით აღმაშენებელმა კახეთის და შირვანის საზღვარზე აიღო სტრატეგიული თვალსაზრისით მეტად საჭირო სიმაგრე გაში და დაატყვევა დაუმორჩილებელი მტრები ასაში და შოთა გრიგოლისძე. ამავე დროს დავითმა შირვანში გაგზავნა თავისი ძე დემეტრე ჯარითურთ ციხე ქალაქ ქალაძორის ასაღებად. დემეტრემ პირნათლად შეასრულა დაკისრებული დავალება და დიდი ალაფით დაბრუნდა უკან.

1118 წელს სელჯუკები დიდი ძალებით შემოიჭრნენ ჯავახეთში. მათ ვაქკაცურად დაუხვდა თავისი მცირერიცხოვანი ძალებით ბეშქენ ჯაყელი, რომელიც უთანასწორო ბრძოლაში დაეცა. შეწუხებულმა დავითმა გადაწყვიტა, დაუყოვნებლივ შებმოდა მოძხდურთ, თუმცა ურჩევდნენ, არ აჩქარებულიყო, რადგან მოწინააღმდეგის ჯარები რაოდენობით დიდად აღემატებოდა მის ძალებს.

დავითი არ მოერიდა ურიცხვ მტერს და გაბედულად შეება. მისმა მოულოდნელმა გამოჩენამ და თავზარდამცემმა დარტყმებმა მტრის ბანაკში არევ-დარევა გამოიწვია. ჯავახეთიდან უკუქცეულ მტერს შეფემ საბოლოო განადგურებამდე მისდია, ბევრი ტყვე იგდო ხელთ და დიდძალი ალაფით დაბრუნდა.

ამავე წელს ქართველთა ჯარმა ხედისზედ აიღო ძლიერ გამაგრებული ღორესა და აგარანის ციხეები. დავითმა წარმატებით დაამთავრა თურქ-სელჯუკთა ცალკეული გარნიზონების განადგურების პირველი ეტაპი. მომდევნო ბრძოლებში, თბილისის მისადგომებთან ყველა ძირითადი პოზიციის ხელში ჩაგდების შემდეგ, დავითმა დააზუსტა და საბოლოოდ დაამუშავა თბილისის განთავისუფლების გეგმა. მას ესმოდა, რომ ბრძოლის მოგება ადვილი არ იყო მტერზე უეცარი თავდასხმის მრავალმხრივ გამოცდილი მეთოდით, მაგრამ უფრო ძნელი იქნებოდა მიღწეულის შენარჩუნება შექმნილ პირობებში, რადგან ამისათვის საჭირო იყო პრინციპულად ახალი, უფრო საიმედო პირობების მომზადება მთლიანად ქვეყნის და, კერძოდ, დედაქალაქის დასაცავად. იგი ითვალისწინებდა

საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის წინა პერიოდის ძირძე გამოცდილებას და ძიაჩნდა, რომ საქართველოს გაერთიანებისათვის აუცილებელი იყო მტკიცე სახელმწიფოებრივი სისტემა. დაჟარებული მუდმივმოქმედ პროფესიულ სამხედრო ორგანიზაციაზე. ამიტომ დავითი შეუდგა ახალი შეიარაღებული ძალების შექმნას და ღრმად აწონ-დაწონილი სამხედრო რეფორმების განხორციელებას.

მეფეს ფაქტიურად არ ჰყავდა თავისი მუდმივი ჯარი. მისი სამხედრო ძლიერება დამოკიდებული იყო ერისთავების ერთგულებასა და პატიოსნებაზე. ასეთი ჯარი საკლებ საიმედო იყო, განსაკუთრებით დავითისათვის, რომელიც ეწეოდა შეურიგებელ ბრძოლებს ყველას ძირძით. ვინც საკუთარი ვიწრო ინტერესების გამო ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს შექმნას.

ქვეყნის ძლიერებისათვის საჭირო, მუდმივმოქმედი ჯარის შექმნას ისიც აძნელებდა, რომ გარეშე მტრებთან განუწყვეტელივ ბრძოლებში ქართველი ხალხი დიდ დანაკარგებს განიცდიდა. საჭირო იყო ქვეყნის გარეთაც ეძებნათ ძალები მუდმივმოქმედი ახალი არმიის ჩამოსაყალიბებლად.

1118 წელს დავითმა გადაწყვიტა, თავის სიმამრთან, ყივჩაღთა უმთავრესთან შეთანხმებისამებრ, ჩრდილო კავკასიიდან ოჯახებიანურთ გადმოესახლებინა ყივჩაღები.

ყივჩაღები ხშირად იბრძოდნენ ქართველთა მხარდამხარ და კმაყოფილნი იყვნენ ბრძოლაში მათი შეგობრული თანადგომით, სტუმართმოყვარეობით, სიკეთით. ხელშეკრულების თანახმად საქართველოში უნდა გადმოსახლებულიყო 45000 ოჯახი და თითოეულს ერთი ჯარისკაცი უნდა გამოეყვანა. მათ მიიღეს საბრძოლო იარაღი, ცხენები და ამგვარად შეიქმნა 45 000-იანი სწრაფმანევრული საბრძოლო ცხენოსანი არმია.

მდგომარეობას ართულებდა ის, რომ ყივჩაღები ცუდ დამოკიდებულებაში იყვნენ ალანებთან, რომელთა ტერიტორიაზე გადიოდა ციხეები და გზები დარიალის ხეობაში. ალანებს შეეძლოთ არ გამოეტარებინათ ყივჩაღები საქართველოსაკენ.

დავითი გიორგი ჭყონდიდელთან ერთად გაემგზავრა ოსეთში და შესძლო ყივჩაღთა და ალანთა ძორიგება. იძულებულად მან მოახერხა სხვა საჭირო და შორსმჭვრეტელური პოლიტიკური ამოცანის გადაჭრაც.

უწინარეს მან გააძაგრა დარიალის ხეობაში ციხეები და იქ თავისი

გარისკოსები ჩააყენა, რაც ხელს უწყობდა ურთიერთობის გაცხოველებას საბჭოთა რუსეთის ხალხთან.

ეს „მშვიდობის გზა“ საქართველოს ერთპარტიულ კიევის რუსეთთან ურთიერთობის განმტკიცების საშუალებასაც აძლევდა, სახელდობრ, ვლადიმირ ილიჩთან, რომელიც, თავის მხრივ, დაინტერესებული იყო დავითთან კავშირურთიერთობით და ყიჩაღებთან ხანგრძლივი სისხლისმღვრელი ომების შეწყვეტით.

საქართველოში პირველად შექმნილი მუდმივმოქმედი ჯარის გაწვრთნას თვითონ დავითი ჩაუდგა სათავეში.

მან შემოიღო უმკაცრესი დისციპლინა, აკრძალა ყოველგვარი გამოლისება ღითობისა, აღვირახსნილობისა, ბილწსიტყვაობისა, რაც ჩვეულებრივი მოვლენა იყო სხვა ჯარებში.

მკაცრად სჯიდა ურჩებს და ყოველსაირად ხელს უწყობდა და აწინაურებდა სწავლაში და ბრძოლაში გამორჩეულებს.

საბრძოლო სწავლების დროს, მსჯელობისას, ერთეული თუ გუნდური ბრძოლების საერთოდ ცნობილი წესების გარდა, დავითი ნერგავდა თავის პრინციპებს და ძრავალ ბრძოლაში გამოცდილ შეთოდებს. ეს უპირველესად იყო მორალურ-ფსიქოლოგიური მომზადება რიცხობრივად ჭარბი ძალების მქონე მოწინააღმდეგის წინააღმდეგ. სადაც სიმამაცეს და გ ირობას უნდა გადაეწყვიტა ბრძოლის ბედი.

იგი ასწავლიდა თავის ჯარისკაცებს, რომ გამარჯვების მიღწევა შეიძლებოდა მოულოდნელი და უეცარი თავბრუდამხვევი დარტყმით მთავარ ძალებზე, რის მიზანსაც წარმოადგენდა პანიკის შექმნა და მტრის დაბნეულობის ბოლომდე გამოყენება. სამხედრო ხელოვნების დავითი ასწავლიდა პირადი მაგალითით ბრძოლებში და მანევრების დროს. ასწავლიდა სწრაფ მანევრირებას საველე ბრძოლისას, რთული რელიეფის მთიან ადგილებში, რისთვისაც ქვეითთა ჯარი ცხენოსანი ჯარით შესცვალა.

ჯარს ავარჯიშებდა ცხენების აღებაზე სატყორცნი ტექნიკის გამოყენებით. ასწავლიდა დაზვერვის ორგანიზაციას. დეზინფორმაციის შეთოდებს, რომლის მიზანი იყო მტრის შეცდომაში შეყვანა. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მართვის პროცესებს, გეგმების საიდუმლოდ შესახვას, რაზედაც დამოკიდებული იყო მთავარი მიზანი — მოულოდნელი თავდასხმის განხორციელება.

სწრაფი მანევრირების სტრატეგია მთავარი მიმართულებით მოითხრვდა გზების, გადასასვლელებისა, მთელი რიგი ნაგებობების შექმნას. დავითი, რომელიც ისტორიაში შევიდა აღმაშენებლის სახელით, ფარ-

თით შეუდგა კომუნიკაციების აშენებლობას მთელ საქართველოში.

1120 წელს, როცა სამხედრო რეფორმები დამთავრდა, საქართველო ყურდნობოდა მუდმივმოქმედ არმიას — 40000-იან ყივჩაღთა ცხენოსნებს, კარგად შეიარაღებულ მეფის 3000-იან გვარდიას, ძმაძედ შეჭურვილ რაინდ ცხენოსნებს და 13000—20000-იან ქვეითებს. უშუალოდ დავით აღმაშენებელს ემორჩილებოდა 60 000-ზე მეტი ჯარისკაცი. ამას გარდა მეფეს შეეძლო, როგორც ყოველთვის, საერისთავოებიდან გამოეყვანა ქვეითთა და ცხენოსანთა ძალები. ასევე მოკავშირე ჯარებიც.

საქართველოში დადგა ეკონომიკურ-კულტურული აღმავლობისა და შეიარაღებული ჯარების გაძლიერების, აქედან მშვიდობიანობის პერიოდი. არსებობს საკმაოდ სარწმუნო გადმოცემა, რომ თვით ბალდუინ II. მოთავე ევროპიელთა ჯვაროსნებისა, საქვეყნოდ ცნობილი სარდალი და თურქების დამმარცხებელი, ფარულად იმყოფებოდა საქართველოში, გეგუთის სასახლეში დავითთან სათათბიროდ და სთხოვა. ერთად ემოქმედათ.

ზემოთ აღწერილი წარმატებების მიუხედავად დავითის უმთავრეს ამოცანას კვლავ შეადგენდა საქართველოს სახღვრებიდან თურქების სრული გაძევება და ქვეყნის ყველა კუთხის გაერთიანება.

მარტო 1120 წელს დავით აღმაშენებელმა 10-ზე მეტ ბრძოლაში მიაღწია გამარჯვებას, მიუხედავად მოწინააღმდეგის რიცხობრივი უპირატესობისა და ურთულესი პირობებისა (გარემოცვა და ამინდი). ის ორჯერ დაარყდა თაეს შირვანის შაჰს, რომელიც ყოველნაირად ეხმარებოდა თურქებს და გაძევებულ ერისთავებს. აიღო ციხე-სიმაგრე კაბალა და წამოიყვანა ბევრი ტყვე. წამოიღო საოცარი ტექსტია, ალაფი და დიდძალი ოქრო-ვერცხლი. იმავდროულად დავითმა აიღო ციხეები: ქერდევანი, ლიხანი, ხიშტალასტი და უზრუნველყო თავისთვის საჭირო სტრატეგიული ფლანგი.

1120 წლის სოემბერში დავით აღმაშენებელმა წამოიწყო მსხვილი საბრძოლო კამპანია სამხრეთ-დასაელეთის სტრატეგიული მიმართულებით, რომლის მიზანს წარმოადგენდა სულთან ილღაზის მთავარი ძალების განადგურება და ბალდუინისთვის დახმარების გაწევა. სულთანის მთავარი ძალები დისლოცირებული იყო აშორნიას რაიონში დიდ ბასაკად. მოულოდნელმა დარტყმამ მთლიანად უზრუნველყო თურქების განადგურება, რითაც გზა გაიხსნა სირიის საზღვრებისაკენ.

ოპერაცია ვითარდებოდა თავბრუდამხვევად. მაგრამ დაზვერვის ცნობებით, თურქები ზურგიდან შემოვლით აპირებდნენ საქართველოში შეჭრას. დავითმა თავისი ძალები შემოაბრუნა. დაეწია სივგელძეს

რაიონში თურქების კოლონას, რომლებიც შიშისა და მოულოდნელობისაგან აირივნენ, ამას კი მათი სრული განადგურება მოჰყვა. თურქ-სელჯუკები მაინც არ ყრიდნენ ფარ-ხმალს და ელოდნენ მოხერხებულ დროს, როცა უძლეველი, მრისხანე მეფე სადმე წავიდოდა საქართველოდან.

1121 წელს დავით აღმაშენებელი მშენებლობისა და სახელმწიფო საქმეების მოსაგვარებლად იმყოფებოდა აფხაზეთში. თოვლიანი და მკაცრი ზამთარი იდგა. გზები შეიკრა, უღელტეხილზე მიმოსვლა შეწყდა. თურქებმა ისარგებლეს ამით და დაიძრნენ ფართო ფრონტით მდინარე მტკვრის ხეობისაკენ. ისინი ცდილობდნენ, მიეტაცებინათ აღმოსავლეთ საქართველოს მთავარი პოზიციები.

დავით აღმაშენებელი დაიძრა ჯარითურთ აფხაზეთიდან. გზადაგზა სასწრაფოდ მოიხმო ქუდზე კაცი ლიხის უღელტეხილის გასაწმენდად. თურქებისათვის სრულიად მოულოდნელად იგი აღმოსავლეთ საქართველოში შემოიჭრა, შეუერთდა დისლოცირებულ ჯარებს და თავბრუდამხვევი დარტყმით ხუნანის რაიონისკენ დაახევინა მოწინააღმდეგეს დიდი დანაკარგებით. ამავე წელს, ისარგებლეს რა მტკვრის გაზაფხულის წყალდიდობით, თურქებმა საბრძოლო ბანაკი დასცეს ბარდავის რაიონში, იმ იმედით, რომ ქართველთა ჯარები ვერ გადალახავდნენ ადიდებულ მტკვარს, მაგრამ შესანიშნავად გაწვრთნილმა დავითის ჯარებმა აქაც უდანაკარგოდ გადალახეს მტკვარი, გაანადგურეს თურქები და დაიკავეს მათი ბანაკი.

ფართო ფრონტზე — აღმოსავლეთით კასპიის ზღვამდე და სამხრეთის ყველა მიმართულებით კარგად მოფიქრებული ოპერაციებით დავით აღმაშენებელი მოულოდნელ დარტყმებს აყენებდა თურქ-სელჯუკთა დაჯგუფებებს. ეშინოდათ რა სრული განადგურებისა, თურქთა გარნიზონებმა და მძარცველმა მუსულმანთა დაჯგუფებებმა თხოვნით მიმართეს თურქ-სელჯუკთა სულთანს, რათა საკადრისად დაესაჯა საქართველო ურჩობისა და თურქ-სელჯუკთა წინააღმდეგ წარმოებული დაუცხრომელი ბრძოლებისათვის, გადაესროლა საქართველოში წინააზიასა და კავკასიაში თავმოყრილი კოალიციური მუსულმანთა ჯარები, რადგან, მათი აზრით, დავითის სამხედრო ძლიერება აღემატებოდა ევროპელთა ჯვაროსნების სამხედრო ძალას. ამრიგად, სხვადასხვა წყაროების ცნობით, თურქ-სელჯუკთა მეთაურობით თავი მოუყარეს ძალებს, რომელიც 400-დან 600 ათასამდე კაცს აღწევდა. ქართველებს მხოლოდ 55 000 მეომარი ჰყავდათ, მათ შორის 40000 ქართველი, 15 000 ყივჩაღი, 500 ალანი, და 100 ფრანგი ჯვაროსანი.

ძალთა ასეთი თანაფარდობის დროს ღია ბრძოლის წარმოება საველე პირობებში არ არის მომგებიანი. ამიტომ დავითმა დიდი წინდახედულებით აირჩია მთებით დასერილი ადგილი, სადაც მოწინააღმდეგე ერთად თავს ვერ მოუყრიდა ძალებს და, ამრიგად მათი განადგურება შესაძლებელი გახდებოდა თანდათანობითი დარტყმებით.

გენერალური ბრძოლისათვის მან აირჩია დიდგორის ქედი, რომლისკენაც მიემართებოდა რთული პროფილისა და ასი მეტრი სიღრმის ტყიდან ხეობაში ორი ვიწრო გადასასვლელი.

ქართველთა ტაქტიკა იმაში გამოიხატებოდა, რომ ხეობის ვიწრო გასასვლელში, სადაც მხოლოდ 3—4 მეომარი თუ დაეტეოდა, საშუალებას იძლეოდა, ნაწილ-ნაწილ გაენადგურებინათ მტერი, რადგან პირისპირ ბრძოლაში ქართველი მეომრები გაცილებით სჯობდნენ თურქებს.

დიდი კოალიციური ძალების შემოჭრა თურქების წინამძღოლობით მეტად ოპერატიულად, მიზანდასახული გადასვლებით ხორციელდებოდა და 1121 წლის 12 აგვისტოს ისინი აღმოჩნდნენ თბილისის მისადგომებთან მანგლის-დიდგორის რაიონში. ჯარები განლაგდნენ ღრმა ხევის ორივე მხარეს. თურქებმა დაიკავეს დიდგორის ქედი, ქართველებმა მოპირდაპირე ტყეები. როგორც ვთქვით, მათ აერთიანებდათ ორი ვიწრო გადასასვლელი. ასეთ პირობებში დავით აღმაშენებლის ნაცადი ტაქტიკა, რომელიც მტრის ბანაკში მოულოდნელი დარტყმებით პანიკის შექმნას ითვალისწინებდა, ახლა არ გამოდგებოდა. ასევე არალოგიკური იყო აქტიური შეტევითი მოქმედება ქართველთა ჯარებისა რიცხობრივად ჭარბ და უკეთესად შეიარაღებულ მოწინააღმდეგეზე, პირიქით, სწორედ თურქები უნდა გადმოსულიყვნენ შეტევაზე, ქართველებს კი გამოეყენებინათ ადგილმდებარეობა — ვიწრო გადასასვლელებისა და მერმე გადასულიყვნენ კონტრშეტევაზე.

მაგრამ დავით აღმაშენებელმა შექმნილ მძიმე მდგომარეობაში გადაწყვიტა, ხელოვნურად თვითონ შეეტანა პანიკა მტრის რიგებში და გადასულიყო მოულოდნელ შეტევაზე. საამისოდ მან შეარჩია 200 საუკეთესო მეომარი, გამოცდილი, მრავალ ბრძოლაში ნაცადი გმირი ქართველი ჯარისკაცები, საგანგებოდ საიდუმლო ვითარებაში ჩაუტარა მათ სკაცრი ინსტრუქტაჟი, რომ ისინი უნდა წასულიყვნენ პირდაპირ მტრის ცენტრისაკენ, სადაც განლაგებული იყო მოწინააღმდეგის მთავარი ძალა და სარდლობის ბანაკი. თავდაპირველად მტრისათვის უნდა მოეჩვენებინათ, თითქოს ტყვედ ბარდებოდნენ და ამიტომ მშვიდი და წყნარი ნაბიჯით წასულიყვნენ დასახული ადგილისაკენ, ხოლო იარაღი ძირს დაეხარათ.

მხოლოდ მაშინ, როცა ძალიან ახლოს მივიდოდნენ სარდლობის ბანაკთან, 200 გმირს, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაეწყო ხელმძღვანელთა შემადგენლობის აჩეხვა, გაეთიშა ისინი ჯარისაგან და რაც შეიძლება დიდი პანიკა ჩაეგდოთ მეორე ეშელონში.

200 გმირის ბრძოლის დაწყება იყო ნიშანი უწინარეს მთელი მარჯვენა ფლანგის მთავარი ძალების შეტევაზე გადასვლისა, რომელსაც დავითი მეთაურობდა, შემდეგ მარცხენა ფლანგი ამოქმედდებოდა, რომელსაც მისი ძე დემეტრე მეთაურობდა. მტრის მთავარი ძალები ორივე მხრიდან უნდა შეევიწროებინათ და ღრმა ხეობაში შეერეკათ, სადაც მათ ბოლოს მოუღებდნენ ყივჩაღები (სქ. № 7).

თურქებისვე გადმოცემით, მათ მართლა ეგონათ, რომ მებრძოლთა ჯგუფმა გადაწყვიტა მათ მხარეზე გადასვლა და ტყვედ დანებება. ეს გენიალური — თავისი ჩანაფიქრით, და ფენომენური — თავისი გმირული შესრულებით, გეგმა განხორციელდა 15 აგვისტოს 1121 წელს, და თურქთა სრული კატასტროფით დამთავრდა, რასაც სულ რამდენიმე საათი დასჭირდა. 200 მებრძოლის სამკვდრო-სასიცოცხლო გმირულ ბრძოლას დიდი აღფრთოვანებით და სიამაყით გასცქეროდნენ ქართველი მეომრები. მეფის ბრძანებისთანავე შეკუმშულ ზამბარასავით შეიჭრნენ ქართველი მებრძოლები მტრის ბანაკში, თავიანთი ძმების გმირობით გულმოცემულნი არა მარტო მეწინავე ნაწილები და მთელი მთავარბანაკი, არამედ მეორე ეშელონიც, რომელთა სმენასაც მისწვდა აჩეხილთა და დაჭრილთა შემზარავი ღრიალი ხეობიდან.

მარცხენა ფლანგი, რომელსაც მეფის ძე დემეტრე ხელმძღვანელობდა, თავზარდამცემი ყიჟინით, ბუკ-ნაღარის ზათქით, იარაღის ჟღარუნით დროულად შეუერთდა ბრძოლას და ერთი დარტყმით ელვისებურად გაირეკეს არეული და შეშინებული თურქები ღრმა ხეობისაკენ... მერმე დევნა უყვეს ოტებულთ. თავზარდაცემულმა თურქ-სელჯუკებმა და მათმა თანამოძმეებმა ძლივს მოასწრეს თავგაჩეხილი სარდლის ილღაზის გამოყვანა ბრძოლის ველიდან.

ფრონტალური და პარალელური დევნა გრძელდებოდა რვა დღე. ოთხმოცდაათი პროცენტი დანაკარგი და 30 000 ტყვე მეტყველებდა დამპყრობ მუსულმანთა მთლიან განადგურებაზე. განსაკუთრებით კი მორალურ-პოლიტიკური დაცემა იყო მათთვის შემაშფოთებელი და შემაძრწუნებელი. გაერთიანებული საქართველოს და მისი დედაქალაქის განთავისუფლების ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. თბილისის მისადგომებთან ყველა ციხე-სიმაგრე და ცალკეული ნაგებობა, რომლებიც იცავდნენ თბილისს, აგრეთვე კომუნიკაციები, რითაც ქალაქი უკავშირდე-

ბოდა გარესამყაროს, მთლიანად დავით აღმაშენებლის ხელში მოექცა, ეს კი საიმედო გარანტია იყო იმისა, რომ არა მარტო გაეთავისუფლებინა ქალაქი, არამედ მოეგერიებინა მტრის ნებისმიერი კონტრშეტევა.

400 წელი იტანჯებოდა თბილისი ვერაგი დამპყრობლებისაგან. საქართველოს ტერიტორიის ეს პატარა ნაწილი, სხვებზე მძიმედ დაჩაგრული, ოცნებობდა თავისუფლებაზე და შად იყო მხარი დაეჭირა ბრძოლაში დავით აღმაშენებლისათვის.

1122 წელს განხორციელდა თბილისის ოპერაცია და მოიგერიეს განძელთა ჯგუფის კონტრიერიში. გამხეცებულმა ამირამ, რომელიც ვერაგულად იყენებდა ქალაქის მოსახლეობას და განსაკუთრებით ქართველებს, შესძლო ძლიერი წინააღმდეგობა გაეწია მოალყეებისათვის და ქალაქის შტურმით აღება ვერ მოხერხდა. მოწინააღმდეგე ქონგურებიდან და კოშკებიდან ადუღებულ ფისს აღვრიდა შემტევ მოალყეებს, უშენდა ქვებს, ისრები წვიმასავით მოდიოდა. დაიწყო ციხე-ქალაქის ერთდროული ალყა და შიმშილისაგან შეწუხებულმა მუსულმანებმა მთელი ღვარძლი და გაბოროტება საქართველოს მართლმადიდებელი მოსახლეობის ნაწილზე გადმოანთხიეს.

დავითმა გადაწყვიტა, დაეჩქარებინა ეს ერთდროული შტურმი ქალაქზე ყველა მიმართულებით. ნიანია ბაკურიანს დაევალა, მთელი ლოდსატყორცნი მანქანებისათვის თავი მოეყარა ციხის ალაყაფებთან და მასირებულად დაეშინა ქვები მთელი სატყორცნი ტექნიკით ალაყაფებისა და ციხე-სიმაგრის კედლებისათვის. ჯონდი და ყაღანგ ერისთავებს შერგილ ლიპარტელიანთან ერთად დაევალათ, ტარანით მისდგომოდნენ ქალაქის ხუთსავე კარიბჭეს, მეფის მიერ ნიშნის მიცემისთანავე შეენგრიათ ისინი და შეჭრილიყვნენ ქალაქში. თვითონ დავითმა თავის მებრძოლებთან ერთად რაბათის კარიბჭესთან დაიკავა პოზიცია. მან ბრძანება გასცა შეენგრიათ კარიბჭე. ერთი მეორის მიყოლებით აიღეს მაიდანის ალაყაფი, საგოდებლის, კარის კარი და მცირე კარნი.

თავბრუდამხვევი, სრული იყო გამარჯვება. ქალაქელები უდიდესი სიხარულით ესალმებოდნენ თავიანთ განმათავისუფლებლებს და ზეიმით შეეგებნენ მათ მთავარ მოედანზე. დავითმა იზრუნა დაეპურებინა ქართველები, მუსულმანები და სხვა რჯულის აღმსარებელნი, ხოლო ემირატის თავკაცები, რომლებიც აწამებდნენ და ვერაგულად სტანჯავდნენ მოსახლეობას, აგრეთვე მათი დამქაშები ხუთას კაცამდე სასტიკად დასაჯა.

განძიდან მოსალოდნელი შეტევის თავიდან ასაცილებლად დავითმა გაგზავნა ჯარი და სასტიკად დაამარცხა თურქ-სელჯუკები, ტყვედ

ჩაიგდო ისინი და ბოლო მოუღო განძელთა ჯიუტ ქვეშემხედვრობას.

თბილისი კვლავ იქცა საქართველოს დედაქალაქად. თრიალეთში, დიდგორში და თბილისში ჩატარებულმა ბრძოლებმა განსაკუთრებით კი სამხედრო რეფორმებმა და რეგულარული არმიის შექმნამ, რის მეშვეობითაც მოიგო დავითმა დიდი ბრძოლები, ააშაღლა საქართველოს, როგორც ძლიერი სახელმწიფოს, პრესტიჟი აღმოსავლეთში. ქართული იარაღისა და მეფე-მთავარსარდლის სახელი საქვეყნოდ ცნობილი გახდა მსოფლიოში.

ცალკე უნდა აღინიშნოს 1123 წელს ქართველთა ჯარის წარმატებები. ქვეითთა და ცხენოსანთა ჯარების მიერ რთულ პირობებში განხორციელებული ხელჩართული ბრძოლებითა და მოხერხებული მანევრირებით ერთი წლის მანძილზე საქართველოს ჯარებმა სამჯერ მიაღწიეს კასპიისა და შავი ზღვის მიჯნებს. დაეუფლნენ სომხეთის ქალაქებს, ბრძოლებს აწარმოებდნენ სამხრეთისაკენ — ერზრუმის რაიონში, ყარსში და სასომხეთის დედაქალაქის — ანისის განთავისუფლებისათვის. თუ ორ ზღვას შუა მოქცეულ 700 კილომეტრზე წარმოებულ ბრძოლებს დავუმატებთ რამდენიმე ათეულ პატარ-პატარა მოულოდნელ მანევრირებულ მოქმედებებს, აღმოჩნდება, რომ საქართველოს არმიამ ერთი წლის განმავლობაში ათობით ბრძოლა გადაიხადა და ლაშქრობაში დაახლოებით 4 000 კილომეტრი გაიარა ფეხდაფეხ (იხ. სქემა № 6).

ხელჩართული ბრძოლებისა და მანევრირების ასეთი მაგალითი იმ ხანებში მსოფლიო მასშტაბითაც კი ძნელი დასაძებნია. აი, ამის მაგალითები:

1123 წლის მაისში დაიწყო სელჯუკების მძლავრი შემოტევა სულთანის სარდლობით. შირვანში მათ აიღეს შირვანის დედაქალაქი, მერმე კი დაატყვევეს შირვან-შაჰი. ქართველთა 50000-იანმა ჯარმა სწრაფი ლაშქრულით გაიარა 400 კილომეტრი. ისინი გარს შემოერტყნენ შემახიას და აიღეს, მერმე მოიგერიეს კონტრშეტევა თურქ-სელჯუკთა ჯარისა, რომელიც დარჩენილი ჯგუფის გასანთავისუფლებლად მოემართებოდა. სელჯუკებმა ამ ბრძოლაში დაკარგეს 4 000 კაცი. სულთანმა, რომელმაც დაიპყრო შემახია და ერმე გაძევებულ იქნა იქედან, დავითი საბრძოლველად გამოიწვია, მაგრამ როდესაც დავითი ანაზდად ბრძოლის ველზე გამოჩნდა, შეშინებული სამარცხვინოდ გაიქცა.

1123 წლის ივნისში ქართველთა ჯარი კვლავ შირვანისაკენ გაემართა. ლაშქრობა მიმდინარეობდა აუტანელ სიცხეში. დავითმა აიღო იგი და ვასალად გამოაცხადა ეს მხარე. მერმე აიღო სამხრეთით — თბილისიდან 60 კმ-ის დაშორებით მდებარე დმანისი და ამით დამთავრდა

საქართველოს მიწების განთავისუფლება, მათი მთლიანი გაერთიანება.

1123 წლის ზაფხულის მიწურულს ქართველთა ჯარმა ისევ მოაწყო ლაშქრობა შირვანში, ჩრდილოეთიდან ლეკთა და ქურთთა კოალიციური შემოსევის მოსაგერიებლად. ბრძოლა მიმდინარეობდა შაბურანსა და დერბენტის რაიონებში, კასპიის ზღვის სანაპიროსთან. კოალიციურმა ძალებმა ისეთი დამარცხება განიცადეს, რომ იძულებულნი გახდნენ საბოლოოდ ეღიარებინათ თავიანთი ვასალური დამოკიდებულება საქართველოს მიმართ. დერბენტიდან დაბრუნებისთანავე ქართველთა ჯარი იძულებული გ ხდა, განეხორციელებინა ახალი ლაშქრობა სასომხეთის მიმართულებით და გაეთავისუფლებინა თურქ-სელჯუკებისაგან ციხე-ქალაქები ტერონოკალი, კოკაზინი, გაგნი, ნორბეტი, ტალინჯაკარი და მანასგომნი.

თურქ-სელჯუკებს ყველგან ანადგურებდნენ და სდევნიდნენ სომხეთის მიწა-წყლიდან. საქართველოს ჯარებმა გაათავისუფლეს ჯავახეთი, კოლა, ბასიანი, კანიფორა და სპერი. თურქ-სელჯუკთა წინააღმდეგ პრინციპად ქცეული არაერთგზის განმეორებითი დარტყმების გამო სიკვდილივით ეშინოდათ თურქ-სელჯუკებს ქართველთა ჯარის გამოჩენისა, რადგანაც იცოდნენ, წლის ყოველ დროს, დღითა და ღამით, ყოველგვარ ამინდში იყო მოსალოდნელი დავითის გამოჩენა და ვაი იმათ ბრალი, ვისაც წაასწრებდა.

დაღლილ-დაქანცული ქართველთა ჯარი დაბრუნდა თრიალეთს და აქ სომხეთის დედაქალაქის ანისის თავკაცებმა თხოვნით მიმართეს დავითს, გაეთავისუფლებინა ქვეყანა მათი სახლ-კარის, ეკლესიების ამაოხრებელი და ხალხის მაწამებელი თურქ-სელჯუკებისაგან და თავის მფლობელობაში მიეღო ქალაქი. სამი დღის განმავლობაში დავითმა თავი მოუყარა 60 000 მეომარს და სწრაფი ლაშქრულით მიადგა ქალაქ ანისს. იერიშით აიღო ციხე-ქალაქი და დაეუფლა მას. პირველ რიგში მეფემ ბრძანა, ჩამოეგდოთ ნახევარმთვარე ყველა ეკლესიიდან და აღემართათ ჯვარი. შებილწული ეკლესიები ხელახლა აკურთხებინა სომეხთა კათალიკოსს. გამარჯვებას ზეიმობდა მთელი ხალხი. ხალხის აზრი კარგად გამოთქვა სომეხმა ისტორიკოსმა მათე ედესელმა: „საქართველოს მეფემ დავითმა მფარველმა და მეგობარმა სომხებისა... გაათავისუფლა 60 წლის მონობისაგან სომხეთის სატახტო ქალაქი ანისი და მეჩეთად ქცეული მისი დიდებული ტაძარი და სალოცაველები. დავითმა დიდი ზეიმით კვლავ აკურთხა ტაძარი და სიხარული გამეფდა სომეხთა სახლში. იგი მივიდა ტაძრის ამშენებლის დედოფლის კატრონიტეს საფლავზე და სამგ'ხის ჩასძახა: „გიხაროდენ, დედოფალო, რაჟ[illegible]

იხსნა უფალმა ტაძარი შენი ურწმუნოთაგან". ანისის განთავისუფლების მერმე ქართველთა ჯარმა გაწმინდა სელჯუკებისაგან მთელი სამხრეთი სასომხეთი, არარატის, ვანანდის, არცახის, ხაბანდიის მხარეები და თავის მფლობელობაში მოაქცია. სასომხეთის მართვა-გამგეობა დავითმა გამოჩენილ სარდლებსა და მოღვაწეებს დაავალა, კვლავ აღდგა მეგობრული კავშირი ორ უძველეს ხალხს შორის.

1124 წელს მუსულმანებმა შირვანის შიგნითაც და გარეთაც გააძლიერეს მტრული საქმიანობა. აუცილებელი გახდა ყველა ციხე-ქალაქის აღება ბირიტისა და დარუბანდის (დერბენტის) ჩათვლით. გადაწყდა, შემოერთებინათ შირვანი საქართველოსთვის და ქალაქებში, სიმაგრეებში ჩაეყენებინათ კახეთ-ჰერეთის გარნიზონი. შირვანის თავკაცად დაინიშნა მეფის ახლობელი სვიმონ ჭყონდიდელი.

დავით აღმაშენებლის ტიტული ასეთი იყო: „ქართველთა, კახელთა, აფხაზთა, რანთა, ჰერთა, და სომეხთა მეფე" ამას დაემატა შირვან-შაჰის ტიტულიც.

დავითს არ უყვარდა წოდებათა კასკადები და სხვა ტიტულები. მან უარჰყო ბიზანტიის მიერ შეთავაზებული ყველა წოდება. მას საქართველო ბიზანტიასთან ურთიერთობაში მიაჩნდა ყოველმხრივ სრულუფლებიან ქვეყანად და თავისი ღირსების დამცირებად თვლიდა „მთელი ახლო აღმოსავლეთის დიდი კუროპალატის" წოდების მინიჭებას.

უდიდეს საბრძოლო დატვირთვას გაუძლო ქართველთა ჯარმა და ბრძოლით დაამტკიცა, რაოდენ მნიშვნელოვანი იყო მუდმივმოქმედი, პროფესიული არმიის შექმნა სახელმწიფოს უძლევლობისათვის.

60 ბრძოლით დავით აღმაშენებელმა გადაწყვიტა საქართველოს გაერთიანების პრობლემა და დიდად გააფართოვა სამეფო ტერიტორია, რომლის სახელმწიფო საზღვრები ვრცელდებოდა კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე, დიდი კავკასიონიდან ვანის ტბამდე.

დავითი ოცნებობდა, უფრო მეტად გაემაგრებინა სტრატეგიული თეატრი, აემაღლებინა ჯარის საბრძოლო სტრატეგიული და ტაქტიკური მომზადება, აეგო ციხე-სიმაგრეები ყველა ძირითად მიმართულებებზე, რაც საიმედო დასაყრდენი იქნებოდა შორეულ სამხედრო ლაშქრობებში, ასევე საქართველოზე მოსალოდნელი თავდასხმების თავიდან ასაცილებლად. მაგრამ აღარ დასცალდა. 36 წლის მეფობის მიწურულს, 52 წლის ასაკში, დავითი გარდაიცვალა თბილისში, 1125 წლის 24 იანვარს.

ქართველმა ხალხმა დავით აღმაშენებლის წინამძღოლობით, უმაგალითო გმირობით, მამაცობითა და ჭეშმარიტი გამჭრიახობით გაპა-

რტახებული, გაძარცული, იავარქმნილი საქართველო, მშიერი, მთებში გახიზნული, მთავართა და დიდფეოდალთაგან უმოწყალოდ ჩაგრული ხალხი, დასუსტებული, სრული კატასტროფის პირას მისული ქვეყანა ფეხზე დააყენა და აქცია ძლიერ სახელმწიფოდ მთელ წინა აზიაში, ჰქონდა ყველაზე ფართო საზღვრები საქართველოს არსებობის ისტორიაში (იხ. სქემა № 6).

საქართველოს „ოქროს ხანის" ფუნდამენტის შექმნა, მისი მეურნეობის, კულტურის, ხელოვნების აყვავება, მთელი აღმშენებლობა მისი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებს მოჰყვა, ქართველი მეომრების უდიდესი პატრიოტიზმის, ფენომენური მხედართმთავრული ნიჭის, ბრძოლის დაუცხრომელი უნარისა და მამაცობის მეოხებით.

გამარჯვებები და მხოლოდ გამარჯვებები მტრის 13-ჯერ, 31-ჯერ და ნა-ჯერ უფრო ჭარბ ძალებზე თითქოს კანონზომიერ მოვლენად იქცა. ეს იყო არა მარტო მსოფლიოში გამორჩეული სამხედრო ხელოვნების შედეგი, არამედ ის, რომ იგი ეყრდნობოდა ბრძოლების თავისებურ პრინციპს, რომელიც მოიცავდა უდიდესი ძალის მოულოდნელ დარტყმებსა და მოხერხებულად წარმართულ ხელჩართულ ბრძოლებს, რაც თავზარდამცემ პანიკასა და არევ-დარევას იწვევდა მტრის რიგებში.

რაც უფრო მეტი იყო მტრის ჯარების რაოდენობა, მით უფრო სწრაფად შეჰქონდა მის რიგებში პანიკა დავითს, საამისოდ იგი იყენებდა მრავალგვარ საშუალებებს, ძალებს, დეზინფორმაციის მეთოდებს და არც მსხვერპლს ერიდებოდა. ამ გზით აღწევდა საარაკო გამარჯვებებს. მტრისადმი თავზარდაცემაში ხედავდა იგი მცირე ძალებით მტრის უზარმაზარ ჭარბ ძალებზე გამარჯვების შესაძლებლობას და ეს მან სამხედრო ხელოვნებამდე აიყვანა. ბრძოლებიდან ბრძოლებში მტრისათვის პანიკის შექმნა დავითმა გადააქცია გამარჯვების მიღწევის მეთოდად, თავისებურ ხერხად სამხედრო ხელოვნებაში. მანევრირების ელვისებური განხორციელებისას მტრის ბანაკში პანიკის შექმნისა და გამოყენების პრინციპი უზრუნველყოფდა ყოველ ადგილას და ყოველ დროს ჯარის მოულოდნელ გამოჩენას, რაც მთავარია, გამარჯვების სასწორს თავისკენ ხრიდა და ეს განსაკუთრებულ პირობებს უქმნიდა მას მტრის გაბედული დევნისათვის. პანიკით მოცული მტრის ჯარის დევნა, ინიციატივასთან ერთად იძლეოდა ტაქტიკურ და სტრატეგიულ სვლათა მკაცრ მიმართულებას, რომელიც გარდა მტრის განადგურების დამთავრებისა და დატყვევებისა, ითვალისწინებდა ციხე-სიმაგრეთა, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი დასაყრდენი ადგილების, გადასა-

სვლელების, სახელმწიფო საზღვრების გასამაგრებლად ხელსაყრელი კომუნიკაციების — მაქსიმალური ტერიტორიისა და დასახლებული პუნქტების დაკავებას.

რთული ოპერაციების გადასაჭრელად საჭირო იყო ჯარის ოსტატობის წრთობა, საგანგებოდ აღჭურვა, ვაჟკაცობა, ძალა და ისეთი რწმენა, რომელიც მთელი ბრწყინვალებით გამოვლინდა ორასი დიდგორელის თავგანწირვაში. მათმა საოცარმა ძლიერებამ და ვაჟკაცობამ მტერს საშინელი თავზარი დასცა.

ასეთმა უძლიერესმა დარტყმამ შეარყია უზარმაზარი და მჭიდროდ განლაგებული ჯარების მასა. შედრკა უკანა რიგებიც საერთო არეულობისა და მათკენ გაჭრილი ცალკეული ქართველი მეომრების შეტევისაგან. ომების ისტორიამ არ იცის გმირობის ასეთი მასობრივი მაგალითი. ეს თავგანწირვა ქართველთა მიერ საუკუნეების მანძილზე შესისხლხორცებული ტრადიციის გენეტიკურ თვისებათა გამოვლენა იყო. დავით მეფე ამას უკიდურეს შემთხვევაში იყენებდა, გამოუვალი მდგომარეობის დროს.

დავითის სტრატეგიაში ძირითადი ფაქტორი იყო პანიკა, რომელსაც შეჰქონდა მტრის რიგებში დაბნეულობა და შიში, რასაც თან ახლდა დიდი დანაკარგები. მოულოდნელი და უეცარი დარტყმა, ან მოქმედების ახალ საშუალებათა გამოყენება, განსაკუთრებით ღამის პირობებში, როცა ყოველგვარი მოულოდნელობა საშიშია, პანიკა წინამძღოლთა შორის ან მათი დაბნეულობა საბრძოლო ამოცანის გადაწყვეტისას ქმნიდა ყველაზე მძიმე სურათს, რასაც დამღუპველი შედეგები მოჰქონდა. ქართველთა ჯარის გახმაურებული უძლეველობა კიდევ უფრო აჩლუნგებდა მტრის ძალას და ესეც ხელს უწყობდა დავით აღმაშენებლის შორსმჭვრეტელური გეგმების განხორციელებას.

მტრის მცირე ნაწილების განადგურებაში დავითი ხშირად მიმართავდა „ლომის ტაქტიკას". წინასწარ ნავარაუდევი მიმართულებით გაქცეულ ანტილოპებს (მოწინააღმდეგის ჯარი) ხვდებოდა ჩასაფრებული ლომები (თავისი ჯარი), ლომების მეთაური (დავითი ან მისი მხედართმთავარი) მოულოდნელად ყიჟინითა და შეძახილებით თავს ესხმოდა გაფანტულებს და ასე აიძულებდნენ დაბნეულთ — გაქცეულიყვნენ ჩასაფრებულთა მიმართულებით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდგორის ბრძოლაში ჩაგდებული პანიკა, რომლის განხორციელებაც თავდაპირველად შეუძლებელი ჩანდა, რადგან ჯარები ორივე მხრიდან პირისპირ იყვნენ განლაგებულნი. ამ ბრძოლაში 200 მეომრის თავგანწირვამ მიაღწია სასურველ მიზანს:

თითოეულ დაღუპულ დიდგორელზე ათასობით დღუპული მუსულმანი მიდიოდა — ასეთია ბრძოლის ლოგიკა.

200 დიდგორელის თავგანწირვაზე ლაპარაკისას ძალაუნებურად გახსენდება 300 სპარტანელი. მაგრამ ისინი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იდგნენ დაცვაში და „იდგნენ სასიკვდილოდ" როგორც მრავალნი შემდგომ ბრძოლებში, დიდგორელები კი თვითონ წავიდნენ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში — „მიდიოდნენ სასიკვდილზე". აქ თავგანწირვისა და გმირობის ორი სხვადასხვა სახეა, სადაც სიკვდილზე წინსვლა გაცილებით უფრო დიდებული გმირობაა სასიკვდილო და დგომასთან შედარებით.

დიდგორის ბრძოლა თბილისისათვის, კარგად გააზრებული, სტრატეგიულად ჩამოყალიბებული და წლების მანძილზე შემზადებული ბრძოლა იყო, რომლის განხორციელებაში ჩამოყალიბდა პროფესიონალური არმია, შეიქმნა კოალიცია, კარგად მოემზადა ჯარი და სამხედრო მოქმედების თეატრი.

დავით აღმაშენებლის მიერ მოგებული სამოცი ბრძოლა საქართველოს სამხედრო ხელოვნების ისტორიაში ხელჩართული ომების განვითარების უმაღლესი ეტალონი იყო.

დავითის სტრატეგიისა და ტაქტიკის თავისებურებანი მდგომარეობდა: მოწინააღმდეგის და მისი ქვეყნის ყოველმხრივ შესწავლაში, საბრძოლო მოქმედების მომზადებაში ქვეყნის დასაცავად შორეულ საზღვრებთან და მისადგომებთან, საბრძოლო გეგმის მომზადებასა და მის განხორციელებაში, განუსაზღვრელად ფართო სამოქმედო ასპარეზში — ზღვიდან ზღვამდე და სწრაფი მანევრირების ორგანიზაციაში, წელიწადში ბრძოლებით 4 000 კილომეტრამდე გადასვლებში, მოულოდნელ დარტყმებში, ციხე-კოშკებში გამოწყვდეული მტრის გარნიზონების თანმიმდევრულ განადგურებაში, კარგად მომზადებული გამარჯვების დამთავრებაში. მისი სტრატეგიისა და ტაქტიკის თავისებურებას შეადგენდა აგრეთვე პარალელური და ფრონტალური დადევნება — მიზნის საბოლოო განხორციელებისათვის, მოპოვებულის და მიღწეულის შენარჩუნება დიდი ხნით. ყოველივე ზემოჩამოთვლილს კი განუშორებლივ თან ახლდა პირადი მაგალითი დავითისა ყველაზე მძიმე ბრძოლების მომენტებში, მისი ცოდნა, შეუპოვარი ვაჟკაცობა, ბრძოლაში თაეგანწირვა.

ყველა ეს მიღწევა განხორციელდა სამხედრო რეფორმების საშუალებით, რითაც საფუძველი ჩაეყარა სრულიად ახალ და საიმედო „როქის სპას" საქართველოს დასაცავად დიდი დროის განმავლობაში. ამი-

ტომ, თუ ფარნაოზისა და ვახტანგ გორგასალის მიერ შექმნილი გაერთიანებული საქართველო დაიშალა მათი სიკვდილის შემდეგ, დავით აღმაშენებლის მიერ გაერთიანებული და საიმედო სამხედრო დაცვაზე დაფუძნებული საქართველო, რომელსაც ჰყავდა მუდმივმოქმედი პროფესიული შეიარაღებული ძალები, შეინარჩუნა ძლიერება და ერთიანობა თამარის მეფობისა და მის მომდევნო წლებშიც.

ცხადია, ეს იყო პრინციპულად ახალი, უფრო მჭიდრო, საქართველოს ურღვევი გაერთიანება სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით.

საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობას ერთგვარი სპეციფიკური ადგილი აქვს დათმობილი სამხედრო ხელოვნების ისტორიაში. მის მთათა თავისებურება და განლაგება საქართველოს ჰქმნიდა მიუვალ ციხე-სიმაგრედ. ამ სიმაგრეთა კარიბჭე ძირითადად გაღ ოდა არზუმ — ყარსისაკენ, რასაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში. ამ მიზნით დავით აღმაშენებელმა ამ მხარეში ააშენა ციხე — სიმაგრეთა მთელი კომპლექსი: ახალციხე, ახალქალაქი, არტაანი, ანისი, ლორე და სხვ. თავისი სამეფოს დასაცავად და საზღვრების უსრუნველსაყოფად დავით მეფე აქტიურად ებრძოდა თურქ-სელჯუკებს, რომლებიც გარეკა კიდეც მთელი კავკასიის, როგორც სამხრეთ, ასევე აღმოსავლეთ ნაწილიდან.

არზრუმზე, ყარსზე ხშირი აქტიური თავდასხმების შედეგად დავითმა შესძლო გაეთავისუფლებინა მტრისაგან ქალაქი ანისი და მთელი სომხეთი, მერმე კი შირვანი, თავისი მთავარი ქალაქითურთ. ყოველივე ამან უზრუნველჰყო საქართველოს საზღვრების დაცვა — განმტკიცება.

დავით აღმაშენებლის სამხედრო რეფორმებიდან აღსანიშნავია ის, რომ მან დასავლეთ ევროპის მეფეებზე ადრე შექმნა მუდმივი არმია. დასავლეთ ევროპის მესვეურნი ფულის საშუალებით ახერხებდნენ მოესყიდათ სხვადასხვა ეროვნების ხალხი, რომ შეექმნათ არმია, მაგრამ მათ რიგებში ძირითადად თავს იყრიდნენ ყაჩაღური ბრბოები, რომლებიც მზად იყვნენ პირადი გამორჩენის მიზნით ჩაედინათ ყოველგვარი სისაძაგლე და მიჰყიდვოდნენ მტერსაც და მოყვარესაც. დავით აღმაშენებელმა ამ შემთხვევაში სხვა გეზი არჩია. მან როგორც ვთქვით, საქართველოში ჩამოიყვანა და დაასახლა ყივჩაღთა მომთაბარე ტომი. ჩამოსახლებულთა თითოეული ოჯახი ვალდებული იყო გამოეყვანა ერთი მეომარი მტერთან ბრძოლის დროს თავისი ოჯახისა და ახალი სამშობლოს დასაცავად. ყველა ჩამოსახლებული სულ მალე შეეგუა ახალ გარემოს, შეესისხლხორცნენ ქართველ ხალხს და საქართველო თავის სამშობლოდ იწამეს.

საბრძოლო ტაქტიკური პრინციპებიდან გამომდინარე დავითი დიდი გულმოდგინებით ეკიდებოდა როგორც მოწინააღმდეგის რიცხობრივ ოდენობას, ასევე საქართველოს სხვადასხვა კუთხის მეომართა ფსიქოლოგიურ და მორალურ განწყობილებას.

დავითის საბრძოლო გეგმის თანახმად მეომართა პირველი ხაზის ძალას წარმოადგენდა ის ჯგუფი, სადაც მოქმედებდნენ, „მეწინავე მეომრები“, რომლებიც არა მარტო იწყებდნენ ბრძოლას, არამედ მოწინააღმდეგის შუაგულამდე აღწევდნენ და შეჰქონდათ არევდარევა. პირველი ხაზის მეომრების გაკაფულ გზას მიჰყვებოდა მებრძოლთა მეორე ეშელონი, რომელიც წარმოადგენდა ერთგვარ სარეზერვო ძალას მეწინავე დანაყოფიდან. მებრძოლთა მესამე ეშელონი მოქმედებდა დამოუკიდებლად მარჯვენა და მარცხენა ფლანგზე. მის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა მეწინავე ეშელონების წარმატებათა გამოყენება და მოწინააღმდეგის ალყაში მომწყვდევა. და ბოლოს, მებრძოლთა მეოთხე ეშელონი წარმოადგენდა რეზერვს, რომელსაც მდგომარეობისდა მიხედვით იყენებდა მთავარსარდალი.

დავითი ამ ეშელონისებური წყობით ახერხებდა მცირე ძალებით მაძაცურად დაემარცხებინა რიცხობრივად ძლიერი მოწინააღმდეგე.

ამრიგად, დავით აღმაშენებელმა თავისი არმიის საბრძოლო წყობით გაუსწრო წინა ეპოქასა და თანადროულობას, რაც დაამტკიცა კიდეც მრავალ ბრძოლაში.

არა ნაკლებ საყურადღებოა ის ამბავი, რომ საბრძოლო ეშელონები დაკომპლექტებული იყო ძირითადად საქართველოს ეთნოგრაფიულად და ტერიტორიულად ერთი კუთხის მებრძოლებით. ისინი იყვნენ თითქმის სისხლისმიერი ნათესავები და თანასოფლელები. ამიტომაც ბრძოლის დროს ერთმანეთს უყურადღებოდ არ სტოვებდნენ. თითოეული მათგანი მუდამ ცდილობდა, ბრძოლაში თავი გამოეჩინა, რათა თავისიანებში არ შერცხვენილიყო.

მთიანეთში მოქმედების დროს პირველი ეშელონი მუდამ დაკომპლექტებული იყო მთიელი მეომრებით, რომლებიც კარგად მანევრირებდნენ და ზედმიწევნით ერკვეოდნენ ადგილმდებარეობაში. გარდა ამისა ისინი ადგილმდებარეობის შესაბამისად იყვნენ შეიარაღებულნი, ასევე შესაფერისად იყვნენ შემოსილნი. საჭმელიც კი იქაური ჰქონდათ. ჰყავდათ მთებში ბრძოლისათვის გაწვრთნილი და შუხლმავარი ცხენები. ყოველივე ეს უზრუნველყოფდა მარქაფა ჯარის გაშლილ ბრძოლებს, რაც საბოლოოდ გამარჯვებით გვირგვინდებოდა.

დავითმა შექმნა მთელი რიგი პროგრესული სისტემა ჯარის კაცთა

აღზრდისა და სწავლებისათვის. რაც მთავარია, იგი ჯარისკაცს უნერგავდა სამშობლოს სიყვარულს, ერისა და მამულის სიამაყის გრძნობას. მთავარ ფიგურას დავითისათვის წარმოადგენდა მამაცი, ძლიერი, აქტიური მეომარი, რომელსაც დამოუკიდებლად, ინიციატივიანად შეეძლო ხელჩართულ ბრძოლაში ჩაბმა და ბოლომდე ბრძოლა. თვითონ მეფე მაგალითის მიმცემი იყო ყველასათვის. იგი ყველას ასწავლიდა და უხიარებდა თავის საბრძოლო გამოცდილებას. მებრძოლებთან ერთად იყოფდა ყოველგვარ გასაჭირს და საერთო სანოვაგით საზრდოობდა. ყოველივე ამის გამო დავითი არმიის მეომრებისათვის წარმოადგენდა სიამაყეს და სათაყვანებელ პიროვნებას.

დავით აღმაშენებელი თავისმა მხედართმთავრულმა და პოლიტიკურმა შორსმჭვრეტელობამ მხარში ამოუდგა გამოჩენილ სარდლებსა და მეფეებს. მან 60-ზე მეტი ბრძოლა გადაიხადა და ყველა ფენომენალური გამარჯვებით დაასრულა.

დიდ წარმატებას მიაღწია დავითმა კლასიკურ სამხედრო ხელოვნებაში, განავითარა მისი საფუძვლები, დახვეწა და შექმნა ახალი. მან დაამტკიცა, რომ მცირე არმიით შეიძლება მრავალრიცხოვანი მოწინააღმდეგის არმიის დამარცხება. ბრძოლაში უმთავრესი არმიის სიმრავლე კი არა, გონივრული და გმირული მოქმედებაა.

დავითმა ქვეყანა და სამეფო მეტად სავალალო მდგომარეობაში ჩაიბარა, მაგრამ სულ მალე იგი ძლიერ სახელმწიფოდ აქცია, მის მიერ გაწვრთნილი რეგულარული არმია მთელ წინა აზიაში სწორუპოვარი იყო. დიდ წარმატებას მიაღწია ქვეყნის კულტურისა და ეკონომიკის განვითარებაშიც. შთამომავლობას მან უანდერძა დიდი საქმეები და ახლა მათზე იყო დამოკიდებული, მომავალში როგორ გაუძლვებოდნენ, როგორ წარმართავდნენ მას.

დავითის შემდეგ სამეფო ტახტი მის ვაჟიშვილს დემეტრე I-ს გადაეცა. მან ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეშივე ბრწყინვალედ გამოავლინა პირადი საბრძოლო თვისებები და მხედართმთავრული ნიჭი. დემეტრე მამასთან ერთად და დამოუკიდებლადაც აწარმოებდა ბრძოლებს, რომელთაგან აღსანიშნავია შირვანის საბრძოლო ოპერაცია და დიდგორის ლეგენდარული ბრძოლა.

დემეტრე I-მა ყურად იღო, შეისისხლხორცა მამის დარიგება, რომ ქვეყნის ძლიერებისათვის აუცილებელია საქართველოს ერთიანობა, არმიის ბრძოლისუნარიანობის სისტემატური ამაღლება, როგორც გარეშე, ასევე შინაური მტრების დასათრგუნავად.

დავით აღმაშენებლის სიკვდილმა გააშხნევა ბუსულმანური სამყარო

და გადაწყვიტეს, სასწრაფოდ დაელაშქრათ საქართველო და სომხეთი.

უკვე 1125 წელს ისინი აურაცხელი ძალებით მოადგნენ დმანისსა და ხუსანს. დემეტრე I-მა მტერს დაასწრო, თავს დაესხა, გაათავისუფლა ორივე ციხე-სიმაგრე, ხოლო პანიკით მოცული მტერი აოტა, გარეკა საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიიდან.

მუსულმანებმა ბევრჯერ სცადეს დაერღვიათ საქართველოს და სომხეთის საზღვრები, მრავალი გეგმა შეიმუშავეს, თუ რომელი მიმართულებით ჯობდა შეჭრა, ერთ-ერთი ცენტრალური ციხე-ქალაქის — დვინის ასაღებად. აგრესორთა ზრახვების ჩასაფუშავად მეფე დემეტრემ 1135 წელს აბულეთ და ივანე ორბელიანის სარდლობით დასძრა ჯარი დვინისაკენ, სადაც სისხლისმღვრელი ბრძოლა გაჩაღდა. ამ ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ. ორბელიანი ტყვედ ჩავარდა. ამირა ელდიგუზმა ბრძანა მოკლული ქართველებისათვის თავები მოეკვეთათ, მოეხარშათ და მათი თავის ქალები დასანახავ ადგილას გადმოეკიდათ ციხის ქონგურებიდან და მინარეთების გუმბათებიდან.

1137 წელს დემეტრემ მოაწყო ელვისებური სამხედრო ოპერაცია და მამაშვილი ორბელიანები ტყვეობიდან იხსნა. იმ ხანებში მთავარი ბრძოლა წარმოებდა ქალაქ ანისისათვის. ქალაქის იერიშით აღება არ მოხერხდა ჯარის სიმცირისა და მისი მიუდგომელობის გამო. ყოველივე ამას ზედ დაერთო თურქ-სელჯუკთა დამხმარე ძალების მოახლოება. დემეტრე I იძულებული გახდა შეეწყვიტა უსარგებლო სისხლის ღვრა და გადაწყვიტა, ქალაქი დაეთმო იმ პირობით, თუ იგი საქართველოს მეფის ყმადნაფიცი გახდებოდა.

დემეტრე I-ს მისმა უმცროსმა ძმამ ცვატამ შეთქმულება მოუწყო და სცადა მისი ტახტიდან ჩამოგდება, მაგრამ შეთქმულება გამომჟღავნდა და დამნაშავენი სასტიკად დაისაჯნენ. მათ შორის აბულეთი და ივანეც.

ხშირი იყო განძის მხრიდან უსიამოვნებანი საქართველოს საზიანოდ. ამიტომ 1138 წელს დემეტრემ გაილაშქრა ციხე-სიმაგრე განძაზე და აიღო.

კვლავ დაიწყო ახალი შეთქმულების მზადება დემეტრე I-ის წინააღმდეგ. ამჯერად მისი მოთავე იყო უფროსი ძე, რომელსაც მრავალი ფეოდალი მიემხრო. მართალია, შეთქმულება ჩაახშეს, მაგრამ გარეშე მტერთაგან უძლეველმა დემეტრემ ამის შემდეგ გადაწყვიტა, გასცლოდა სასახლის კარის შინააშლილობას, ძმათა შორის სისხლისღვრას და ბერად აღკვეცილიყო.

დემეტრე მალე დაუბრუნდა სამეფო ტახტს, მაგრამ დიდხანს აღარ უმეფია. 1156 წელს მან მეფედ აკურთხა თავისი უმცროსი საყვარელი

ვაჟიშვილი გიორგი, რომელიც პირსათლად გაპყვა თავისი სახელოვანი პაპისა და მამის კვალს.

გიორგი III-ის სახით საქართველოს სამეფო ტახტზე კვლავ ძლიერი მბრძანებელი ავიდა. მან გადაწყვიტა, თავისი ქვეყნის საზღვრები აქტიური საბრძოლო მოქმედებით დაეცვა. ამ დროს საქართველოს საფრთხე დაემუქრა სამხრეთიდან — რანიდან და სომხეთიდან, სადაც მბრძანებლობდა შაჰ-არმენი. მეფობის პირველსავე წელს გიორგი III-მ მოაწყო დიდი ლაშქრობა ყაღზევანის მხარეს შაჰ-არმენის წინააღმდეგ და სასტიკად დაამარცხა კიდეც. ახლა მეფის მთელი მცდელობა მიმართული იყო სომხეთისა და მისი დედაქალაქის ანისის დაუფლებისაკენ.

1161 წელს, აგვისტოში, მეფე გიორგიმ ფარულად დასძრა ჯარები და სწრაფი გადასვლებით დაუახლოვდა ანისს. ბრძოლა სამ დღეს გაგრძელდა. ამ ბრძოლაში მონაწილეობდნენ მხედრობაც, მოალყე ქვეითებიც.

ანისის ამირა ზარალით უკუიქცა ქალქიდან. ციხე-ქალაქის დასაცავად მეფე გიორგიმ გარნიზონად ორიათასი ქართველი მეომარი დატოვა საქართველოს ამირსპასალარ იუანე ორბელის მეთაურობით. ანისის დაკარგვამ შეაძრწუნა მუსულმანთა ბანაკი. მათ სასწრაფოდ მოუყარეს თავი ოთხმოცათასიან კოალიციურ არმიას, რომელსაც სათავეში ედგნენ შამის (სირია), ჯავზის (მესოპოტამია), დიარბექირის, არზრუმის და ხლათის ამირები. ისინი გააფრთებით მოისწრაფოდნენ ანისისაკენ.

გიორგი მეფემ სასწრაფოდ შეაგროვა 9 ათასი მეომარი, სწრაფად დაიძრა ანისის დასაცავად. მეფემ თავისი ლაშქარი სამ ნაწილად გაპყო. თითოეულში 3 ათასი მეომარი დატოვა, რათა სამივე მხრიდან ერთდროული დარტყმით მტერი შეცდომაში შეეყვანა და არ შეეძინეებინა მისთვის ქართველთა ჯარის სიმცირე. ქართველთა ერთ დანაყოფს ხელმძღვანელობდა ლიპარიტ სუმბატის ძე, მეორეს ბექა სურამელი, ხოლო მესამეს თვითონ მეფე. თითოეული ნაწილი ჯარისა მოქმედებდა დამოუკიდებლად თავის საბრძოლო უბანზე, მაგრამ მათ მჭიდრო ურთიერთკავშირი ჰქონდათ, მხედველობიდან არ სტოვებდნენ ურთიერთის მოქმედებას და საჭიროების შემთხვევაში ეხმარებოდნენ ერთმანეთს. მეომართა სულისკვეთების ამაღლების მიზნით გიორგიმ თავის ორ სარდალს შესთავაზა ერთმანეთს გასჯიბრებოდნენ ბრძოლაში და ვინც მტრის დროშას ძირს დასცემდა, პირველობაც მას მიკუთვნებოდა. მეფემ სიტყვით მიმართა ჯარს, მოაგონა წინაპართა სიქველე, მათი გმირობა მტერთან ბრძოლაში. გიორგიმ ამ სიტყვით მეომრებს შთაუნერგა

სამშობლოსათვის თავდადებისა და გამარჯვების რწმენა. „ძმებო... თქვენ კარგად იცით, რაზომ დიდად კეთილ არს სიკვდილი ქრისტესათვის და სამშობლოსათვის... მხოლოდ გმირული სიკვდილი მოუტანს უკვდავებას ვაჟკაცს. ჩვენ ხომ აქამდე გვესმის ძველთა ძთხრობელთაგან წინაპართა დიდებულ მამაცობაზე... ფრთოვანნო ლომნო ჩემნო, აღვიხვნეთ ლახვარნი და ვუგმირნოთ ურწმუნოთა“. ამ მოწოდებით შეიჭრა გიორგი III მოწინააღმდეგის ცენტრში, პირველმა გამოგლიჯა მტერს დროშა. დროშის დაკარგვამ გამოიწვია თურქთა ჯარების არევ-დარევა, ამას მოჰყვა სამივე მხრიდან ქართველთა შეწინავე ლაშქრის გააფთრებული შეტევა და თურქების მრავალრიცხოვანი ჯარების სასტიკი მარცხი. თურქებმა უწესრიგოდ დაიხიეს უკან. დევნა საღამომდე გაგრძელდა. დაიღუპა მოწინააღმდეგის 7 ათასი კაცი. სისხლით მოირწყო მინდორი, 2 ათასი მოლაშქრე ტყვედ ჩაიგდეს, რომელთა შორის 6 ხანი და 150 ამირა იყო.

გიორგი III-მ ტყვეობისაგან გაათავისუფლა ანისის ყველა მცხოვრები და სამი დღის განმავლობაში აწესრიგებდა ქალაქში მდგომარეობას. მერმე მან არხრუმისაკენ გასწია, აიღო იგი და მისი ამირა სალთუკი დაატყვევა.

1162 წელს ქართველთა გაძლიერებული ლაშქარი სამხრეთისაკენ დაიძრა დვინის მიმართულებით და ამ ქალაქის მისადგომებთან დიდი ბრძოლა გაიმართა.

დვინის ემირმა თავი მოუყარა დიდ სამხედრო ძალას, რათა დაესწრო ქართველთა ლაშქრისათვის, მაგრამ ამაოდ. გიორგი III სწრაფად შეიჭრა ემირის ჯარებში, არევ-დარია მისი რიგები და უკან დაახევინა. ბრძოლა სრული გამარჯვებით დაამთავრდა. გაქცეულ მტერს დაედევნენ, მიაღწიეს დვინის ალაყაფამდე და როდესაც დამარცხებული მტრის ჯარი ქალაქ დვინში შედიოდა, მას კვალდაკვალ ქართველთა ჯარებიც შეჰყვნენ და აიღეს იგი. გიორგი III-ს სიხარულით შეეგება განთავისუფლებული მოსახლეობა.

ამ ბრძოლაში ტყვედ წამოიყვანეს 60 ათასი კაცი, მაგრამ დვინისათვის ბრძოლის მთავარი მიზანი მაინც ქართველთა ჯარის ძლევამოსილების ჩვენება იყო. გიორგი შეუებ მკაცრად იძია შური დაღუპულ ქართველ მეომართა გვამების შებილწვისათვის, რაც ბარბაროსულად განახორციელეს ელდიგუზმა და მისმა დამქაშებმა. მან ბრძანება გასცა ჩამოეხსნათ მინარეთებიდან და მის კედელ-სახურავებიდან დახოცილი ქართველი მხედრების თავის ქალები, ჩაესვენებინათ კუბოებში, გადაეფარებინათ ოქრომკედით ნაქარგი ქსოვილები და ფეხშიშველა მუ-

სულთანებს მხრებით ჩაეტანათ თბილისამდე. მინაერთები კი დაენგრიათ.

მსხვილი სავაჭრო ცენტრისა და მნიშვნელოვანი სამხედრო კომუნიკაციის — დვინის დაკარგვამ დიდი შეშფოთება გამოიწვია მუსულმანურ სახელმწიფოებში, კერძოდ, აღმოსავლეთში და სასწრაფოდ მოუყარეს თავი დიდ კოალიციურ ძალებს ხვარასანში, ერაყსა და ირანში. ისინი შეერთებული ძალებით შემოიჭრნენ სასომხეთში, დაიპყრეს ქალაქი გაგი, ააოხრეს მთელი სანახები, ძარცვავდნენ ხალხს, მიმართავდნენ ძალადობას, ხოლო როცა გაიგეს ქართველთა ლაშქარი გვიახლოვდებაო, მყის დატოვეს ქალაქი გაგი და საბრძოლო ბანაკი. ქართველთა ლაშქარმა მოწინააღმდეგე უცაგდო ეკლეციის რაიონში. მრავალი მათგანი დახოცეს, მრავალიც მდინარეში დაიხრჩო. ამის შემდეგ რამდენიმე ხანს შეწყდა მოწინააღმდეგის მხრივ ზეერვა-თვალთვალი.

ქართველთა ლაშქრის დიდმა გამარჯვებებმა ღიად ბრძოლებში მუსულმანები ჩააფიქრა და მათ საიდუმლო ოპერაციებს მიმართეს. ერთხელ გიორგი III-ს მიუგზავნეს ჯაშუში, რათა იგი მცირე ამალითურთ გაეტყუებინათ სანადიროდ. შუაღამისას მოულოდნელად თავს დაესხნენ მეფის მხლებლებს, დაღლილ, ჩაძინებულ მონადირეებს, მხოლოდ გიორგი III-ის შეუპოვრობამ და გამჭრიახობამ იხსნა ისინი დაღუპვისაგან.

1166 წელს გიორგი III-მ მოწინააღმდეგეს სამაგიერო მიუზღო: მიაყენა მძიმე დარტყმა და ამით მოუსპო შესაძლო მოქმედების დაწყება. ამას ხანგრძლივი მშვიდობიანობა მოჰყვა.

ყველაზე დიდი საომარი ლაშქრობა გიორგი III ჰქონდა 1167 წელს კასპიისპირეთში, სადაც აიღო ქალაქები შაბურანი და დარუბანდი. მტრისაგან დიდად შეჭირვებულ შირვან-შაჰსაც აღმოუჩინა დახმარება გიორგი III-მ. ეს იყო დავით აღმაშენებლის მიერ დატოვებული ანდერძის აღსრულება. შემდეგ ქართველთა ლაშქარი ბრძოლებით შეიჭრა სახჭეანში, ბასიანში, ბეალაქანში, ბარდავში და დიდძალი ტყვეებითა და ალაფით დაბრუნდა სამშობლოში. ამ ბრძოლებმა დაადასტურა ქართველი ხალხისა და სახელმწიფოს ძლიერება.

იმ ხანებში სომხეთის ქალაქ ანისისათვის ბრძოლას სისტემატური ხასიათი ჰქონდა. მუსულმანებმა ბევრჯერ სცადეს ამ ქალაქის აღება, მაგრამ ამაოდ. 1173 წელს სასომხეთის ეს ძველთაძველი ქალაქი ანისი ხელთ იგდო ქართველთა მეფემ. ამ ბრძოლებში მან წარმატებით სძლია მტრის რიცხვმრავალ ჯარებს. ბრძოლა ანისისათვის ამის შემდეგაც გრძელდებოდა. გიორგი III-ის ბრწყინვალე გამარჯვებები ამაღლებდა

ხალხისა და ლაშქრის სულისკვეთებას, რაც შინაური მტრების გაანეიტრალებას იწვევდა. გიორგი III-ის საგარეო სარბიელზე მოპოვებული დიდი წარმატებები სულაც არ მოწმობდა იმას, რომ სამეფოს შიგნით აღკვეთილი იყო ყოველგვარი წინააღმდეგობანი. ამის მაგალითია ამირსპასალარ ივანე ორბელის მოულოდნელი აჯანყება, რომლის მიზანი იყო გიორგი მეფის ტახტიდან გადაყენება და დატყვევება. დიდფეოდალთა უკმაყოფილება უმეტესად გამოწვეული იყო მეფის ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებითა და გიორგი მეფის მიერ დავით აღმაშენებლის საშინაო პოლიტიკის ორთოდოქსალური დაცვით.

ივანე ორბელის აჯანყება მოხდა 1177 წელს, მასში მონაწილეობდა თავადთა საკმაოდ დიდი ნაწილი, რომელთაც 30 ათასამდე კაცი მოიშხრეს. მოულოდნელმა აჯანყებამ გიორგი III ვერ დააბნია. შეაგროვა ერთგული ლაშქარი და გასწია იქით, სადაც აჯანყებულები იდგნენ. იცოდნენ რა მეფის ძლიერების ამბავი, აჯანყებულთა ერთი ნაწილი მეფესთან მივიდა და პატიება სთხოვა. პირველები იყვნენ ძმები მხარგრძელები და გრიგოლ ანელი. მეფემ შეიწყალა ისინი.

მეფის ლაშქარი ლორეს ველს მიადგა, დაიწყო ლორეს ციხის გარემოცვა, სადაც გამაგრებული იყო მეფისწული დემნა და ორბელი. ციხეში გარემოცულნი მიხვდნენ, თავდაცვისათვის ბრძოლას აზრი არა ჰქონდა და თვითონ მეფისწულმა დემნამ მიატოვა ორბელი, თოკით გადმოეშვა ციხიდან და ჩაბარდა მეფეს.

მერმე აჯანყების წამომწყები ივანე ორბელიც იძულებული გახდა მეფეს დაბირჩილებოდა. ორბელი და აჯანყების სხვა მონაწილენი სიკვდილით დასაჯეს, ზოგი კი განაძევეს ქვეყნიდან.

გიორგი III-მ დიდგვაროვანი თავადები, რომელნიც სასჯელს გადაურჩნენ, თანამდებობიდან გადააყენა, მათ მაგიერ არმიაში და სხვაგან პირადი ღირსებით აღჭურვილი ხალხი დააწინაურა. მთავარსარდლად დანიშნა ნაყოფჩაღარი ყუბასარი, რომელიც დიდი ვაჟკაცობითა და გმირობით გამოირჩეოდა. მას მრავალ ბრძოლაში გამოეჩინა თავი და მუდამ მეფის მარჯვენა ხელი იყო. ამ ღონისძიებებით მეფეს სურდა დაესუსტებინა ფეოდალების გავლენა სამეფო კარზე.

გიორგი III-ს ცოლად ჰყავდა ოსთა მეფის ქალიშვილი, მშვენიერი ბორდოხანი, რომელსაც 1166 წელს თამარი ეყოლა.

მეფეს ძე არ ჰყავდა და ამიტომ სამეფო ტახტი მან თამარს უანდერძა, როცა იგი თორმეტი წლისა იყო. თამარმა მამის თანაოსაყდრეობით შეისწავლა სახელმწიფოს მართვა-გამგეობა. იმ ხანებში გიორგი III-მ სამაგალითოდ დასაჯა ფეოდალები, წაართვა მიწები და ქონება.

1179 წელს გიორგი III-ის ბრძანებით შეიქმნა საგანგებო არმია ყაჩაღებთან საბრძოლველად. მათ დავალებული ჰქონდათ, ჩამოეხრჩოთ ყველა ყაჩაღი იქვე, სადაც წაასწრებდნენ დანაშაულზე. ყაჩაღობა სწრაფად აღიკვეთა და ქვეყნად მშვიდობიანობა დამყარდა.

1184 წლის 27 მარტს გარდაიცვალა გიორგი III და 18 წლის თამარი გამეფდა. თამარი მამის სიცოცხლეშივე იყო მეფედ ნაკურთხი, მაგრამ სამეფო დარბაზის წევრთა თამარის მეფობის საკითხი კვლავ საცილობლად გადააქციეს. დარბაზმა კარგა ხნის მსჯელობის შემდეგ თამარს მეფობის დასტური მისცა. იგი ხელახლა აკურთხეს მეფედ. კურთხევის სადღესასწაულო ცერემონიალის შემდეგ დედოფალს მძიმე, უძირფასესი გვირგვინი დაადგეს თავზე, მიართვეს სამეფო ხმალი, განსაკუთრებული უფლებამოსილებით აღჭურვილმა კახაბერმა დედოფალს წელზე შემოარტყა ხმალი, ნიშანი უმაღლესი მთავარსარდლობისა. ლაშქარი გამწკრივდა სააღლუმოდ, მიესალმნენ მეფეს როგორც სახელმწიფოსა და არმიის წინამძღოლს და დადეს ერთგულების ფიცი. სამხედრო ზეიმი დიდ სახალხო დღესასწაულად გადაიქცა.

მალე,მეფედ კურთხევის მერმე, ცდილობდნენ რა გამოეყენებინათ თამარის ახალგაზრდობა და გამოუცდელობა, თავი წამოყო მაღალმა არისტოკრატიულმა ფენამ. ისინი განაწყენებულნი იყვნენ სამეფო კარზე საკლებ ბრწყინვალე გვარის, მაგრამ ნიჭიერი და ინიციატივიანი, ამასთან ტახტის ერთგული ადამიანების დაწინაურებითა და წარმოჩინებით. ეს უკმაყოფილო ფენა ახლა უარს ამბობდა უსიტყვო მორჩილებაზე და მოითხოვდა უარეყოთ დავით აღმაშენებლისა და გიორგი III-ის მიერ დამკვიდრებული ტრადიციები სამეფო კარზე და არმიაში საქმიანი თვისებების მიხედვით ადამიანთა დაწინაურებისა. თამარი თავდაპირველად იძულებული გახდა, ერთგვარ დათმობაზე წასულიყო უკმაყოფილოთა პრეტენზიულ მოთხოვნათა წინაშე, გაეთავისუფლებინა თანამდებობიდან ერთგული ადამიანები და მათ შორის მთავარსარდალი ყუბასარიც. ამან, რასაკვირველია, დაასუსტა დროებით მაინც შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა. ამრიგად ხელჰყვეს დავით აღმაშენებლის მიერ დანერგილი ცნობილი პრინციპი ადამიანთა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის თანამდებობაზე დაწინაურების შესახებ.

მეფობის პირველსავე წელს თამართან მიდიოდნენ მრავალი შეფარული წინადადებითა და მოურიდებელი მოთხოვნებით, რომელთაც თან სდევდა მუქარა, როგორც ცალკეული ძლიერი ფეოდალებისა და სამეფო კარზე მოკალათებული დიდმოხელეთა მხრივ, აგრეთვე ცალკეული ორგანიზებული დაჯგუფებათა მხრიდანაც. მათ გააჩნდათ შესაძლებ-

ლობა შეიარაღებული გამოსვლებისა, ანუ სხვაგვარად, მიმდინარეობდა მძაფრი ბრძოლა საქართველოში სამეფო და სამხედრო ძალაუფლების ხელახალი გადანაწილებისათვის.

თამარ მეფემ ძალიან ჭკვიანურად გადაწყვიტა ერთ-ერთი ყველაზე რთული პოლიტიკური პრობლემა, რომელიც ეხებოდა სამეფო კარის საკანონმდებლო უფლებებს. მან გააფართოვა დარბაზის უფლებები, ფუნქციები და მოვალეობანი იმ პირობით, რომ ყველა გადაწყვეტილება და წინადადება, მიღებული იქნებოდა უფრო ფართო და თავისუფალი განხილვის შედეგად და საბოლოოდ დამტკიცდებოდა მეფის მიერ.

ახალი ფუნქციებითა და მოვალეობებით უფლებამოსილი დარბაზი, რომელსაც სამეფო კარის მაღალი ფენის წარმომადგენელთა გარდა ესწრებოდნენ შედარებით დაბალი წარმოშობის, ბრძოლებში სახელმოხვეჭილი მეომრები, სასულიერო პირები და სხვანი, ძირითადად წყვეტდა ომისა და მშვიდობის საკითხებს ანდა მათთან დაკავშირებულ პრობლემებს. ამასთან განისაზღვრებოდა შეიარაღებული ძალების მშენებლობის ბაზა, მისი სტრუქტურა, ოდენობა, დისლოკაცია. დარბაზი რეკომენდაციას იძლეოდა სარდლის ან მთავარსარდლის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ. დარბაზს სამხედრო პრობლემების გადაწყვეტისას პირველხარისხოვანი როლი და მნიშვნელობა ენიჭებოდა. ასე მოხდა ევროპაში, კერძოდ, ინგლისში, XIII საუკუნეში.

ამრიგად, მართალია, შეიზღუდა მეფის ერთპიროვნული უფლებები, მაგრამ მისი უპირატესობა ის იყო, რომ ყველა წამოჭრილი პრობლემა იბრჭობოდა დარბაზის მიერ, რაც მეფეს საშუალებას აძლევდა ღრმად განესაჯა და საბოლოოდ თვითონ მიეღო საფუძვლიანი, აწონ-დაწონილი გადაწყვეტილება. ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამხედრო პრობლემების გადაჭრისას. მაგრამ დარბაზი, მაღალი ფეოდალური ფენის ხელშეწყობით, რომელთა ნაწილი ადრე ეწინააღმდეგებოდა სამეფო კარს, ხშირად თავს ახვევდა თამარს მისთვის მიუღებელ გადაწყვეტილებებს, მათ შორის პირადულსაც.

მაგალითად, თამარის დაქორწინების საკითხი პირველხარისხოვან საომარ პრობლემებს შეერწყა, რადგან თამარის ქმარი, უპირველეს ყოვლისა, უნდა ყოფილიყო მეომარი და მთავარსარდალი — მეფის უფლებებით. თამარ მეფემ შესანიშნავად იცოდა, რომ ქმრის არჩევანი მის სურვილზე ვერ იქნებოდა დამოკიდებული, რადგან მისი ბედ-იღბალი უნდა გადაწყვეტილიყო მხოლოდ სამშობლოს ინტერესების შესაბამისად. ძალზე ართულებდა ვითარებას საქმროთა „შემოსევები", რომელთაც თან ახლდა დიდფეოდალთა პოლიტიკური ანგარებით გამოწვეული

ხრიკები. საქმე იქამდე მიდიოდა, რომ მუსულმანურ სამთავროთა მრავალი მფლობელი თანახმა იყო მიეღო ქრისტიანობა თამარის დასაუფლებლად, მაგრამ საქმროთა შორის რეალური პრეტენდენტი ორი იყო.

ერთი — ბიზანტიის კეისრის ვაჟიშვილი ალექსი, რომლის კანდიდატურაც თითქმის ერთხმად მოიწონა დარბაზმა, მაგრამ თამარმა უარჰყო ეს წინადადება, რადგან მასსა და ალექსის შორის ახლო ნათესაური კავშირი დადგინდა.

მაშინ დარბაზმა მტკიცედ მოითხოვა, თამარის საქმროდ მოეწვიათ რუსეთის ვლადიმირ-სუზდალის მთავრის ანდრია ბოგოლუბსკის ვაჟიშვილი იური. ამ გადაწყვეტილებას ჰქონდა ღრმა პოლიტიკური სარჩული, რითაც ხელი ეწყობოდა საქართველოსა და ერთმორწმუნე რუსეთის სამომავლო პოლიტიკას. ამ პოლიტიკური აქტის დამადასტურებელი საბუთები ჯერჯერობით მკვლევართათვის არც ისე თვალსაჩინოა და მათთვის უფრო საინტერესო იყო იურის (გიორგის) სამარცხვინო საქციელის წარმოჩინება. რა თქმა უნდა, ჭეშმარიტ ქართველ პატრიოტებს, რომლებიც თათბირობდნენ დარბაზში და დარბაზს გარეთ, მხედველობაში იღებდნენ, რომ ამ ქორწინებას უთუოდ მოჰყვებოდა რუსეთთან ურთიერთობის განმტკიცება. მაგრამ, მათ შორის იყვნენ ადამიანები, რომელთაც ენანებოდათ თამარისთანა უმშვენიერესი ქმნილების უცხოქვეყნელზე დაქორწინება და მათი ეს განწყობილება შესანიშნავადაა გადმოცემული შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“. თამარიც ღრმად ითვალისწინებდა რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის განმტკიცების ისტორიულ მნიშვნელობას, მაგრამ იურის უარყოფითმა პიროვნულმა თვისებებმა, რის გამოც იგი მშობელმა მამამ გააძევა სახლიდან, განუხორციელებელი გახადა ეს შესაძლებლობანი.

იური (გიორგი) ბოგოლუბსკიმ ჯვარი დაიწერა თამარ მეფეზე 1185 წელს და სათავეში ჩაუდგა იმ დროს შესანიშნავად აღჭურვილ და გაწვრთნილ ქართველთა ჯარებს.

სწორედ თამარ მეფის კურთხევის წინ ქართველთა ლაშქარმა გამრეკელის სარდლობით ორი დიდი სამხედრო ოპერაცია ჩაატარა. დარტყმა მიაყენა თურქეთის არმიას, რომლებიც ანისისა და გულაქუნის გზებით მოიწევდნენ.

მეორე ოპერაცია ჩატარდა კლარჯეთისა და შავშეთის რაიონებში, სადაც არზრუმელებმა და სირიელებმა ლაშქრის დიდი კონტინგენტები შემოიყვანეს. ტაოელმა გუზანმა და ბოცო ჯაყელმა ბრწყინვალედ ჩაატარეს მათ წინააღმდეგ ოპერაცია და მდიდარი ალაფითა და ტყვეებით დაბრუნდნენ თამარ მეფის სასიხარულოდ.

თამარ მეფემ დემეტრე მეფისაგან განსხვავებით, რომელიც მარტო თავდაცვითი ომებით იზღუდებოდა, მთლიანად შეასხა ხორცი დავით აღმაშენებლის სამხედრო-პოლიტიკურ იდეებსა და გეგმებს. იგი აქტიურ სამხედრო მოქმედებას ეწეოდა ყველა მიმართულებით. დიდ ყურადღებას აქცევდა შორეულ ლაშქრობებს იმ მიზნით, რომ მოესინჯა მოწინააღმდეგის ძალები. კერძოდ, 1186-87 წლებში თამარ მეფის ბრძანებით წარმატებით განხორციელდა სამხედრო ლაშქრობები კარის, კარნიფორის და ბასიანის მიმართულებით. ცოტა ხნის შემდეგ კი მოეწყო ლაშქრობა დვინზე — ძმები მხარგრძელების სარდლობით და მთელი რიგი გამარჯვებები მოიპოვა.

1187 წელს ჩატარდა შორეული ლაშქრობა ირანის ცენტრში და პართიაში, ამ ლაშქრობას ხელმძღვანელობდა იური (გიორგი). ქართველთა ლაშქარმა მისი ხელმძღვანელობით კიდევ სამ ბრძოლაში მოიპოვა გამარჯვება, სადაც მთავარსარდალმა თავი გამოიჩინა როგორც კარგმა მეომარმა. ამასთან ერთად ცნობილი გახდა იურის ამორალური თვისებები, რისთვისაც საქართველოდან გააძევეს — კონსტანტინოპოლში.

1187 წელს თამარ მეფემ ჯვარი დაიწერა დავით სოსლანზე, ძლიერ პიროვნებასა და ნიჭიერ მხედართმთავარზე, რომელმაც დიდი როლი შეასრულა საქართველოს სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის შემდგომ გამტკიცებაში და შეიარაღებული ძალების სრულყოფაში. მაგრამ იმ ხანებში კვლავ გამოჩნდა იური ბოგოლუბსკი, რომელმაც შეფის შინაგამცემთა ხელშეწყობით ორჯერ სცადა დაპატრონებოდა ტახტს. მან ერთმანეთს შეაჯახა საქართველოს არმიის დიდი ძალები. მას მხარი დაუჭირეს ფეოდალებმა და მათ შორის ვარდან დადიანმა, რომელმაც ფეხზე დააყენა თავის მფლობელობაში მყოფი თითქმის მთელი დასავლეთ საქართველო.

იურიმ აქტიური მხარდაჭერა მიიღო კლარჯეთისა და შავშეთის ერისთავ გუზანისაგან და სამცხის სპარსალარ ბოცოსაგან. ეს ძალები თითქმის ნახევარ საქართველოს მოიცავდა. მათ 1191 წელს თავი მოიყარეს გეგუთში და ემზადებოდნენ აღმოსავლეთ საქართველოში შესაჭრელად.

თამარ მეფის გარშემო დაირაზმნენ მისი ერთგული მომხრეები, მაგრამ მეფე ცდილობდა, თავიდან აეცილებინა ძმათა შორის სისხლის ღვრა, საქართველოს კათალიკოსის სამშვიდობო დელეგაციის მეშვეობით დაეშოშმინებინა აჯანყებულები. მაგრამ ყველა სამშვიდობო ცდა ამაო გამოდგა. აჯანყებულებმა დაიწყეს უმიზნო ლაშქრობა-თარეში,

ქართველებისათვის შეუფერებელი სისასტიკით, ზოგ შემთხვევაში კი მხეცურად ეპყრობოდნენ ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომლებიც სოფლებსა და ქალაქებში ხვდებოდნენ. ამან, რა თქმა უნდა, გამოიწვია ხალხის აღშფოთება და გავლენა იქონია საომარ მოქმედებაზეც. გეგუთელთა ბანაკი ორ ძირითად დაჯგუფებად დაიყო. ეს იყო მათი ყველაზე უგუნური შეცდომა, რამაც გამოიწვია ძალების დაქუცმაცება. პირველი დაბანაკდა გორში — ლიხი გადმოლახა, მერე ქართლისაკენ გამოეშურა. სწორედ ამ რაზმს ხელმძღვანელობდა იური, რომელიც უმოწყალოდ ძარცვავდა და ყლეტდა მოსახლეობას. მეორე რაზმი გაემართა სამხრეთისაკენ და რკინისჯვრისა და ციხისჯვრის გავლით მიუახლოვდა ქალაქ ოძრხეს, სადაც სათათბიროდ შეკრებილიყვნენ აჯანყების მოთავეები: დადიანი, ბედიანი, ჯაყელი და ტაოელი. მათ შორისგამიზნული გეგმა შეიმუშავეს — განიზრახეს ჯერ ხელთ ეგდოთ მთელი სომხეთი, მერმე პირველ დაჯგუფებასთან ერთად დაელაშქრათ დედაქალაქი თბილისი. თამარ მეფის მთავარი ძალები გამრეკელ-თორელის სარდლობით თბილისის მისადგომებისაკენ დაიძრნენ. როგორც კი მტკვარს მიუახლოვდა მეფის მხედრობა, მოწინააღმდეგე მაშინვე გაემართა მათს დასახვედრად. ორივე მხრიდან სასწრაფოდ მოაწყდნენ ხიდს და ერთმანეთ ეკვეთნენ. ხიდი მებრძოლებით გაიჭედა და ბევრი მათგანი წყალში ჩაცვივდა. ცოცხლად გადარჩენილნი წყალშიაც განაგრძობდნენ ბრძოლას. საზარელი ორთაბრძოლა მხოლოდ ღამით შეწყდა. დილით კი თამარ მეფის ჯარმა დაასწრო და სასწრაფოდ გადალახა ხიდი. გადამწყვეტი ბრძოლისათვის შესაფერი ადგილის შესარჩევად თამარის მოწინააღმდეგენი მწყობრად იხევდნენ უკან.

ნიალის ველი ძმათა სისხლისღვრის მეორე საბედისწერო ადგილად იქცა. კვლავ ეკვეთნენ ერთმანეთს მოწინააღმდეგეთა მთავარი ძალები. თამარის ჯარმა გაიმარჯვა. ზედმეტი მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად გაქცეულებს უკან არ დაედევნენ.

ამ ძმათამკვლელ ომში ერთნაირი სამხედრო ხელოვნებისა და აღჭურვილობის ძალები იბრძოდნენ. რაოდნობითაც თანაბარნი იყვნენ. ამიტომ სავარაუდოა, რომ ბრძოლის ბედი გადაწყვიტა მორალურმა ფაქტორმა და უფრო მაღალმა საბრძოლო სულისკვეთებამ იმ ჯარისა, რომელიც თამარ მეფის ლოცვა - კურთხევით იბრძოდა.

თამარი ყველა გზით ცდილობდა კონფლიქტის მშვიდობიანად მოწესრიგებას. მან აჯანყებულებს აცნობა, რომ ვინც თავისი ნებით ჩაბარდებოდა, არ დასჯიდა. ამიტომ როგორც კი შეიტყვეს განდგომილებმა მათ წინააღმდეგ დავით სოსლანის ჯარების გამოლაშქრება და მეორე

რაზმის განადგურება, ჯგუფ-ჯგუფად იწყეს ტყვედ დანებება, ხოლო ვინც მოასწრო, საქართველოს ფარგლებს გარეთ გადაიხვეწა.

თამარ მეფეს დატყვევებული იური მიჰგვარეს. მან იგი ხელმეორედ გააძევა.

პირობა მტკიცედ შესრულდა და სიკვდილით არავინ დაუსჯიათ, მაგრამ აჯანყების მეთაურები თანამდებობიდან გადააყენეს და მათ მაგივრად მეფის ერთგული ადამიანები დანიშნეს.

იური არ ცხრებოდა. იგი ორი წლის მანძილზე დახეტიალობდა საქართველოს სამხრეთ საზღვრებთან და ემუდარებოდა ახლომახლო ქვეყნების მბრძანებლებს, ჯარი მიეცათ მისთვის. ასეთი ხელისუფალნიც გამოჩნდა. ირანის ათაბაგმა იგი თავის კარგად შეიარაღებულ ჯარს უსარდლა და რანზე გამოვლით კამბეჩოვანის მხრიდან საქართველოს საზღვრებში შემოიჭრა 1193 წელს. შემოსვლისთანავე ჯარმა ხელი მიჰყო მოსახლეობის ძარცვა-რბევას და ნაალაფარით ისე გადაიტვირთა, რომ ბრძოლისუნარიანობა დაკარგა. საღირ მახატელის ძის მიერ ნაჩქარევად შეკრებილმა მცირერიცხოვანმა რაზმმა ერთი დარტყმით უკუაქცია მომხდურნი. მტრის ნაძარცვით დამძიმებულ მებრძოლთაგან უმეტესნი ხმლით აჩეხეს. იქიდან მოყოლებული, იური ბოგოლუბსკის კვალი აღარსად გამოჩენილა.

1193 წელს ქართველმა ჯარმა ათზე მეტი ბრძოლა გადაიხადა. მთავარ ბრძოლებში ჯარს დავით სოსლანი სარდლობდა. ბარდავის ომში გამარჯვების შედეგად ქართველებმა ხელთ იგდეს უამრავი ტყვე და დიდძალი ნადავლი. მაგრამ თამარ მეფემ მემკვიდრის — ლაშა-გიორგის დაბადების აღსანიშნავად 30 ათასი ტყვე გაათავისუფლა.

საუკეთესო ოპერატიულობითა და მაღალი სამხედრო ხელოვნებითაა აღბეჭდილი ერზრუმის ოპერაცია. ქართველთა ჯარი ისე განლაგდა ქალაქთან, რომ ერზრუმის ემირი ტაქტიკურად ღრმად გააზრებულ ანკესზე წამოეგო და რიცხობრივი უპირატესობის გამოყენების მიზნით თავისი ჯარი ციხე-სიმაგრიდან გამოიყვანა, რათა ქართველები გაშლილ ველზე ბრძოლაში დაემარცხებინა. მაგრამ დავით სოსლანის მხედრები უფრო ოსტატურად იბრძოდნენ, მწყობრად უტევდნენ და მტრის არაორგანიზებული ძალები მალე გატეხეს. დამარცხებულები თავის გადასარჩენად ქალაქის ალაყაფს მიაწყდნენ, გადათელეს ერთმანეთი და ამ ჯგლეთა-ჭყლეტაში ბევრი დაიღუპა. ქართველმა მხედრებმა გაქცეულებზე გადაიარეს და ქალაქში შეიჭრნენ.

ასევე საინტერესოა ისტორიული თვალსაზრისით დავით სოსლანის ლაშქრობა გელაქუნსა და გორალაუქზე. ქართველმა მხედრებმა

იქ გამარჯვება სულთანათის მთავარ სადღესასწაულო მოედანზე იზეიმეს.

აღლუმი და საომარ თამაშობათა ჩვენება გადაიქცა ტრადიციულ-ორგანიზებულ ღონისძიებად, რაც შიშის ზარს სცემდა ქართველი ერის მტრებს.

საქართველოს სამხედრო-სტრატეგიული მდგომარეობა განმტკიცდა, ამ პერიოდში მომწიფდა დ გაჩაღდა უდიდესი მასშტაბის ომები. ირანის აზერბაიჯანის ათაბაგმა აბუბექრმა შირვანს შემოუტია. მან ისარგებლა შირვანის შაჰის სისუსტით, აგრეთვე მიწისძვრებით გამოწვეული ნგრევით და ადვილად დაიპყრო მთელი ეს მხარე. მას შეუერთდნენ თურქ-სელჯუკთა დიდი ძალები, ბაღდადის ხალიფატის ჯარები და სხვანი. მუსულმანთა კოალიციურ ჯარებს წინ უძღოდა თვით ხალიფას წმინდათაწმინდად მიჩნეული დროშა. შეგროვდა ურიცხვი ჯარი და საქართველოს განადგურების საშინელი საფრთხე დაემუქრა. დაზვერვამ თამარ მეფეს სწრაფად მიაწოდა ცნობები მოსალოდნელი საშიშროების შესახებ. ყოველი მიმართულებით აფრინეს ბრძანების წიგნები ჯარის შესაგროვებლად. თითოეულ ეკლესიასა და მონასტერს დაევალა, განუწყვეტლივ ექადაგათ სამშობლოსათვის თავდადება მებრძოლებისათვის.

ათი დღის განმავლობაში ჯარი შეიკრიბა და საბრძოლველად განეშზადა.

თამარ მეფემ ასე მიმართა ლაშქარს:

„ძმანო ჩემნო, ვიცი, კვლავაც არ შეძრწუნდებიან გულნი თქვენნი სიმრავლისა მტრისათვის და სიმცირისა თქუენისა...“

მერმე თამარ მეფემ ხაზი გაუსვა ქართველთა თავდაცვითს, სამართლიანი ომის ხასიათს და ლაშქარს გამარჯვება უსურვა. ბოლოს მან გორგასლისა და დავითის წმინდა დროშა აიღო ხელთ, დალოცა და გადასცა მხედართმთავარს — დავით სოსლანს. ამ ცერემონიის შემდეგ თამარი ფეხშიშველა ავიდა მეტეხის ღვთისმშობლის ტაძრამდე და თვალცრემლიანმა ილოცა ქვეყნის გადარჩენისა და თავისი მებრძოლების სიცოცხლისათვის.

ერის სათაყვანო მეფის ამგვარი მოქმედება სწრაფად შეიტყო ჯარმა. ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა გამარჯვების რწმენის განმტკიცებისათვის. ამგვარი რწმენა ძალასა და სიმხნევეს მატებდა მებრძოლებს. თამარ მეფის პიროვნების როლი ფასდაუდებელია ქართველი ჯარის ყველა გამარჯვებაში. ორ დღეში ლაშქარი ციხე-ქალაქ შამქორის მისადგომებთან განლაგდა. აქ ქართველებმა შეიტყვეს, რომ მუსულმანთა

კოალიციის უზარმაზარი ჯარი გადაჭიმულიყო ორ ქალაქს — შამქორსა და განძას შორის მდებარე მთელ სივრცეზე, ხოლო შამქორის ციხე გაემაგრებინათ რჩეულ მეომართა გარნიზონით (იხ. სქემა № 8).

ციხე-სიმაგრის ერთი კედელი ებჯინებოდა მდინარე შამქორ-ჩაის და გარდა ამისა, შემოზღუდული იყო წყლით სავსე ორი დამცველი თხრილით. ციხე-სიმაგრე ორად ჰყოფდა მდინარე მტკვარსა და მთიან ადგილას მოქცეულ ვიწრო ხეობას. სწორედ ეს ვიწრო ხეობა აირჩია გასამაგრებლად დავით სოსლანმა. ეს იყო ყველაზე ხელსაყრელი პოზიცია, რადგან აქ მტრები თავის ჭარბ ძალებს ვერ გამოიყენებდნენ. აბუბექარს არ შეეძლო ფლანგებიდან შემოეტია ქართველებისათვის არც მტკვრის მხრიდან, არც მთებიდან. ამ ბუნებრივ იწროებში იგი იძულებული გახდებოდა, მცირე ძალებით შებმოდა დავით სოსლანს. ეს კი ხელსაყრელი იქნებოდა მცირერიცხოვან, მაგრამ დიდად ბრძოლისუნარიან ქართველთა ჯარისათვის.

აქ აღსანიშნავი ისაა, რომ სოსლანი იყენებს ჭარბი ძალების მქონე მოწინააღმდეგესთან შეტაკებისათვის ადგილის შერჩეის იმავე პრინციპს, რომელსაც დავით აღმაშენებელი მიმართავდა. ასეთ შემთხვევაში თვით გეოგრაფიული პირობები აიძულებენ მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეს ვიწრო ადგილებში დიდ მასას მოუყაროს თავი, რის შედეგადაც იგი ბრძოლაში მთელ ძალებს ვერ აბამს და ფლანგებიდან ვერ უტევს.

ამაში იყო დავით სოსლანის სტრატეგიული და ტაქტიკური უპირატესობა. აბუბექრმა უხეში სტრატეგიული შეცდომა დაუშვა, რადგან თავისი ჯარები გაშლილ ველზე კი არ გამოიყვანა, არამედ შამქორსა და განძას შორის მდებარე ვიწრო ზოლში განალაგა.

1195 წლის 15 ივნისს დავით სოსლანმა შამქორს შეუტია. მან თავისთვის ხელსაყრელად ჩათვალა დისლოკაცია მოწინააღმდეგე ჯარისა, რომელიც პასიურად ელოდა თავის ბანაკში ბრძოლის დაწყებას. დავითმა გადაწყვიტა, ძირითადი დარტყმა მარცხენა ფლანგიდან მიეყენებინა და ამავე დროს დაეწყო მდინარე შამქორ-ჩაის ფორსირება. მერმე ერთბაშად შეეტია მტრის ძირითადი ძალებისათვის, მთებისაკენ გაერეკა ისინი მარჯვენა ფლანგიდან დარტყმის საპირისპიროდ, რომელიც უფრო ადრე უნდა დაწყებულიყო.

მარჯვენა და მარცხენა ფლანგებს შორის უნდა ემოქმედა შედარებით მცირერიცხოვან რაზმს, რათა მოეჩვენებინა მოწინააღმდეგისათვის, თითქოს ციხე-სიმაგრეზე მიჰქონდა იერიში. სინამდვილეში კი ეს რაზმი მაშველი ჯარი იყო, რომელიც იქ უნდა დახმარებოდა თავისიანებს, სადაც მტერი იმძლავრებდა.

მოწინააღმდეგის ვარაუდით — სამხედრო ხელოვნებას სრულყოფილად დაუფლებული ქართველი ჯარი, რომელსაც უნარი შესწევდა სწრაფი იერიშით აეღო ციხე-სიმაგრე, უპირველეს ყოვლისა, ციხეს შეუტევდა. ციხის ასაღებად საჭირო გახდებოდა მთელი ძალების გამოყენება. მაშინ კი კოალიციის ჯარები გარს შემოერტყმებოდნენ ქართველებს და გაანადგურებდნენ. მაგრამ დავით სოსლანს სხვა გეგმა ჰქონდა. მან განიზრახა ფლანგებიდან მიყენებული გადამწყვეტი დარტყმებით გაენადგურებინა მოწინააღმდეგის მთავარი ძალები შამქორთან და გზა გაეკაფა განძისაკენ, ხოლო შამქორის მეციხოვნენი ზურგიდან ალყაში მოექცეოდნენ და თავისთავად დაყრიდნენ იარაღს. სწორედ იმიტომ იყო საჭირო ციხე-სიმაგრეზე იერიშის მიტანის ინსცენირება, რომ მოწინააღმდეგეს ეს ჩანაფიქრი არ გამოეცნო.

16 ივნისს, გარიჟრაჟზე, დაიწყო შამქორის ბრძოლა. პირველად შეუტია მარჯვენა ფრთის ნაწილებმა, ანტონ ჭყონდიდელის სარდლობით. ცხარე ბრძოლა გაიმართა მდინარე შამქორ-ჩაის გადალახვისას ხიდისაკენ მიმავალ ვიწრო გზაზე. მტრის მრავალი რაზმი აჩეხეს აქ ქართველებმა, მაგრამ ისინი კვლავ მოდიოდნენ და მოდიოდნენ. მხოლოდ ძალთა უკიდურესი დაძაბვის შედეგად მოხერხდა ხიდის ხელში ჩაგდება. ხიდზე გადასვლისთანავე ქართველებმა მოხერხებული პლაცდარმი შექმნეს. აბუბექრმა კონტრშეტევაზე გამოუშვა თავისი მთავარი ძალები ცხენოსანი ჯარითურთ. ქართველების წინსვლა შეაჩერეს და გაიმართა უსასტიკესი ბრძოლა, რომელშიც მუსულმანთა მთელი ძალები ჩაერთვნენ. დავით სოსლანსაც ეს უნდოდა. იგი მხოლოდ ეკალ-ბარდებითა და ქვა-ღორღით მოფენილ ძნელადსავალი გზის გამო კი არ ანელებდა თავისი მთავარი ჯარების წინსვლას, არამედ ელოდა იმ მომენტს, როცა მოწინააღმდეგე მთელ თავის ძირითად ძალას მარჯვენა ფლანგისაკენ გადაისროდა. როცა ეს მომენტი დადგა, დავით სოსლანმა გაშალა ვახტანგ გორგასლის შვიდასწლოვანი დროშა, რომელიც, მართალია, ჟამთასვლას გაეხუნებინა, მაგრამ ყველა მებრძოლისათვის იმედის ვარსკვლავად აკიაფდა. დავითმა თავისი ძირითადი ჯარებით სწრაფად შეუტია მარცხენა ფრთიდან და ჭყონდიდელის რაზმთან ბრძოლით გართულმა აბუბექრმა ღია ფლანგიდან გამანადგურებელი დარტყმა იწვნია. მუსლიმანთა უზარმაზარი ლაშქარი პანიკამ მოიცვა. ამან შესაძლებელი გახადა წამოეწყოთ ხალიფას დროშის ხელში ჩასაგდებად ოპერაცია. გმირმა რაინდმა შალვა ახალციხელმა ეს ოპერაცია ბრწყინვალედ შეასრულა. მან ხელთ იგდო ხალიფას დროშა.

მუსლიმანთა ჯარებმა სასტიკი დამარცხება იგემეს და უწესრიგოდ

იხვდნენ უკან, შემდეგ კი გაიქცნენ. მათ ქართველი ცხენოსნები დაედევნენ.

ერთ-ერთი პირველი გაიპარა ბრძოლის ველიდან ირანის აზერბაიჯანის ათაბაგი აბუბექრი.

17 ივნისს შამქორის მეციხოვნეებმა იარაღი დაჰყარეს. უბრძოლველად დანებდნენ ახლომდებარე ციხე-სიმაგრეებიც. დავითი გაემართა განძისაკენ. მას ამ ციხე-ქალაქის კარი გაუღეს შეწყალების სათხოვნელად და მისასალმებლად გამოვიდნენ მეციხოვნეთა მეთაურები, სულთნის დიდმოხელენი და ვაჭრები, რომელთაც გამოსასყიდად უამრავი ოქრო-ვერცხლი გაიღეს. მეფე დავით სოსლანი ზარ-ზეიმით შევიდა განჯაში, ავიდა სასახლეში და სულთნის ტახტზე დაჯდა.

მოეწყო ჯარების აღლუმი და არნახული ზეიმი. მებრძოლებმა დაისვენეს და კარგად მოემზადნენ დედაქალაქში საზეიმოდ დაბრუნებისათვის, სდაც თამარ მეფე უნდა შეხვედროდათ. მათ წინ წარიმძღვარეს 12000 ტყვე, ხოლო ნადავლი, იარაღი, საჭურველი და სხვა ყოველგვარი სამხედრო აღჭურვილობა მოჰქონდათ 20000 ცხენით, 15000 აქლემითა და 7000 ჯორით; მოჰქონდათ უამრავი ძვირადღირებული სკივრი, ძვირფასი თვლები, ოქრო და ვერცხლი.

შალვა ახალციხელმა, რომელმაც ბრძოლით მოიპოვა ხალიფას დროშა, თამარ მეფის ფეხთით დააგდო. შემდგომ იქვე დაჰყარეს რამდენიმე ათეული ნადავლი დროშა.

ტყვეთა მთელი ბრბო, დროშები, დატვირთული აქლემები და ცხენები, ნადავლი იარაღი და აღჭურვილობა გამოფენილი იყო დიდუბიდან ავჭალამდე თბილისის მცხოვრებლებისათვის. ამ სანახაობას უდიდესი მორალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

ამგვარი დიდი ომების გარდა ხშირად იმართებოდა შედარებით მცირე მასშტაბის ბრძოლებიც, რომლებსაც საერთო ჯამში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფოს დაცვისათვის. საჭირო იყო მთელი საქართველოსა და მისი ვასალური რეგიონების დამპყრობელთაგან გაწმენდა და სისხლით მოპოვებული ტერიტორიების ხანგრძლივად შემომტკიცება. ქართველ ჯარს დიდი მსხვერპლის ფასად რამდენიმეჯერ გაუთავისუფლებია თურქთაგან ერთი და იგივე ციხე, ქალაქი თუ მთელი მხარე. ისინი კი კვლავ და კვლავ შემოიჭრებოდნენ ხოლმე და მათთვის ჩვეულ სიმხეცეს ამეღავნებდნენ.

ასეთი შემოსევები განსაკუთრებით გახშირდა სომხეთის სამეფოს ყოფილ ოლქებში.

სომხეთმა სელჯუკთა ოკუპაციის შედეგად ჯერ კიდევ XI საუკუნეში

შეწყვიტა არსებობა. ამიტომ საქართველო ებრძოდა რა სელჯუკებს, ათავისუფლებდა მათგან სომხეთის მიწებს და როგორც ქართველთა, ისე სომეხთა ინტერესებისათვის გზას უკეტავდა მათს შემოსევებს.

სახელმწიფო წყობის მიხედვით თამარ მეფის დროს არაქართველთა მიწების შემოერთებას ორი ფორმა ჰქონდა: უშუალო შემოერთება და ფეოდალურ-ვასალური დამოკიდებულება.

სომხეთის ყოფილი ტერიტორიები უშუალოდ შეიერთა საქართველომ და ამიტომ მათ დასაცავად სახელმწიფო ჯარს არ ზოგავდა. 1196 წელს ქართველმა ჯარმა მორიგი ლაშქრობები მოაწყო სომხეთში და თურქებისაგან გაანთავისუფლა გელაქუნის ოლქი (სევანის ტბასთან). ამასთან აიღო ამბერდის ციხე-სიმაგრე.

1201 წელს თურქები განდევნეს ბაჯიდან, აბუბექრი შამქორთან დამარცხების შემდეგაც არ ცხრებოდა, გამაგრდა ციხე-ქალაქ დვინში და ხშირად აწყობდა სამხედრო პროვოკაციებსა და გამოხდომებს.

თამარ მეფემ გადაწყვიტა, ორი მიმართულებით მოეწყო ლაშქრობა — განძისაკენ დავით სოსლანის სარდლობით და დვინისაკენ თავისი ხელმძღვანელობით.

1202 წელს ქართველმა ჯარმა წარმატებით გადალახა მანძილი დვინამდე და ქალაქს გარს შემოერტყა. აბუბექრი და მისი ჯარი დიდად შეაშფოთა ქალაქის კედლებთან ქართველთა ჯარის გამოჩენამ თვითონ თამარ მეფის ხელმძღვანელობით. აბუბექრმა შიშისაგან სმას მიჰყო ხელი.

ძნელია, მაშინდელი ქართველი ჯარის მაღალი მორალური სულისკვეთებისა და საბრძოლო შემართების აღწერა. თამარის ბრძანებით ისე ფიცხლად შეუტიეს ციხე-სიმაგრეს, რომ თურქები გონს ვერ მოეგნენ.

ქალაქში რომ შევიდნენ, თამარ მეფის ბრძანებისამებრ, ხელი არავის ახლეს, ყველანი დაამშვიდეს. ქართველი მებრძოლები კეთილშობილურად და ღირსეულად იქცეოდნენ, რითაც ასრულებდნენ წინაპართა ანდერძს, რაც მათ კიდევ ერთხელ შეახსენა თამარ მეფემ.

ეს ბრძოლა განსაკუთრებულია იმით, რომ მასში უშუალოდ მონაწილეობდა და თავის ჯარს სარდლობდა თამარ მეფე. როგორც ჩანს, მისი იქ ყოფნის შედეგად ჯარის დისციპლინა, წესრიგი, საბრძოლო სულისკვეთება და მზადყოფნა ბევრად უფრო მაღალი იყო.

თითოეული მებრძოლი თუ სარდალი თავდაუზოგავად იბრძოდა, ყველა ცდილობდა გამოეჩინა ბრძოლისუნარიანობა და სიმამაცე, აქედან გამომდინარე უაღრესად ძლევამოსილად წარიმართა შეტევა.

წარმატებით ჩაატარა საბრძოლო ოპერაცია დავით სოსლანმაც და გაანადგურა განძაში გამაგრებული თურქები.

რასაკვირველია, ყველა ბრძოლა ვერ ტარდებოდა შეუფერხებლად. ორმა წარუმატებელმა ლაშქრობამ საბაბი მისცა დამარცხებულებს, კვლავ წამოეყოთ თავი. ეს მოხდა 1203 წელს ქართველი მეომრების წარმატებით ლაშქრობისას არმენ-შაჰის სამფლობელოში და ქალაქ არჩეშის, მანასკერტის და ატ-ტინის აღების შემდეგ, როცა ვანის ტბის მთელ რეგიონს დაემუქრნენ. ამ დროს სამხრეთ დასავლეთით მდებარე სასულთანოთა კოალიციური ძალები სალაშქროდ დაიძრნენ ჩრდილოეთისაკენ. შემხვედრ ბრძოლაში ქართველთა ჯარებმა დამარცხება განიცადეს და ამ ბრძოლაში დაიღუპა მხედართმთავარი მხარგრძელი. მეორე ქართული დანაყოფი, რომელმაც ადგილმდებარეობის მიხედვით არახელსაყრელ ხეობაში დასცა ბანაკი, თურქებმა აღმოაჩინეს და გარს შემოერტყნენ ყოველი მხრიდან. დიდი დანაკარგის შემდეგ ქართველთა მხოლოდ მცირე ძალებმა გამოარღვიეს ალყა.

სამხედრო პრესტიჟის ამაღლების მიზნით 1204 წლის, ზაფხულში, დავით სოსლანის სარდლობით ქართველთა ჯარი შეიჭრა არმენ-შაჰის სამფლობელოში, გაანადგურა მთავარი ძალები ხლათის თურქთა დაჯგუფებისა, გაათავისუფლა ვანის ტბის მხარე და ბოლომდე მიიყვანა სამხედრო ოპერაცია სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქის ყარსის ასაღებად.

ქალაქ ყარსზე გარსშემორტყმისას დავითმა თურქთა გარნიზონს წინადადება მისცა, დანებებულიყვნენ და ისინიც დაეთანხმნენ იმ პირობით, თუ ქალაქს დედოფალი თამარი ჩაიბარებდა. სისხლისღვრა რომ შეეჩერებინა, დედოფალი თამარი ყარსში თავის ვაჟთან ლაშა გიორგისთან ერთად ჩავიდა და დამარცხებულებმა მას გადასცეს ქალაქის გასაღები და ციხის ყველა ნაგებობა. ყარსის მმართველად თამარმა დანიშნა ივანე ახალციხელი, რომელმაც სულ მალე დაიბრუნა ბრძოლით მთელი ყარსის ოლქი, და თანდათან განდევნა თურქთა გარნიზონები.

დედოფალი თამარის მთავარი საზრუნავი იყო მოძმე ლაზებისა და ჭანების ბედი, რომელთაც ბიზანტიელები უმოწყალოდ ჩაგრავდნენ. მათი ჩაგვრა განსაკუთრებით გაძლიერდა ალექსი III-ის დროს, ეს უზურპატორი ცნობილი იყო არა მარტო თავისი სიმხეცით, არამედ როგორც „იმპერატორი მძარცველიც". სწორედ მან გაძარცვა ქართული მონასტრები ბიზანტიაში, მიითვისა მათი ძვირფასეულობა. სწორედ ეს გახდა მიზეზი 1204 წელს ქართველთა ჯარის ძალზე გაბედული და შორეული ლაშქრობისა. ამ ლაშქრობის დროს გაათავისუფლეს ქართვე-

ლებით, ლაზებითა და ჭანებით დასახლებული ყველა ოლქი. მთლიანად ქართველთა ხელში გადაეცა შავი ზღვის სამხრეთი სანაპირო, ქალაქები ტრაპეზუნტი, სამსუნი, სინოპი, კერასუნტი და ქართველთა ჯარები შევიდნენ კიტორაში, ამასტრიასა და ჰერაკლიაში. კონსტანტინოპოლამდე ორასიოდე კილომეტრიღა იყო დარჩენილი (იხ. სქ. № 6). ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე შეიქმნა ტრაპეზუნტის სამეფო, სადაც ქართველთა მოსახლეობა სჭარბობდა და ყმადნაფიც დამოკიდებულებაში იყო საქართველოს სახელმწიფოსთან.

ძალიან ბრძნულად და შორსმჭვრეტელურად იყო შექმნილი ეს სამეფო, რომელ ც საქართველოს იცავდა უსაშიშროესი სამხედრო-სტრატეგიული მიმართულებით. ახლად შექმნილ სამეფოს ტახტზე თამარმა დასვა მეფისწული ალექსი კომნენი. იგი საქართველოს სამეფო კარზე იყო გაზრდილი, წარმოშობით ბერძენი, მემკვიდრე ბიზანტიის ტახტისა. აღმოსავლეთ რომის იმპერიის დაცემის შემდეგ იგი აქტიურად იბრძოდა კონსტანტინოპოლისათვის, რითაც არიდებდა ძალების შემოტევას საქართველოზე.

ამ გრანდიოზულმა სამხედრო გამარჯვებებმა შეაძრწუნა დიდი და ძლიერი საქართველოს ყველა მტერი, მუსულმანური სამყარო დარწმუნდა, რომ უკვე არასაკმარისი იყო ცალკეული სახელმწიფოების მოქმედება მის წინააღმდეგ. სწრაფად მოუყარეს თავი ყველა ძალებს და შეიქმნა ახალი სამხედრო კოალიცია რუმის სულთნის ხელმძღვანელობით.

ამ გაერთიანებულ ძალებს, რომელშიც 400 000 კაცი შედიოდა, სარდლობდა რუქნ-ედ-დინი. მან ეს ჯარები დიდ ბანაკებად განალაგა ბასიანის რაიონში. რუმის სულთანმა თამარ მეფეს გამოუგზავნა შეურაცხმყოფელი წერილი, რომელიც უტიფრად გადასცა თამარს თურქთა ელჩმა. ეს ვეღარ აიტანა თამარის მთავარსარდალმა ზაქარია მხარგრძელმა და ელჩს ისე გამეტებით ლეწა სახეში, რომ ამ უკანასკნელმა კინაღამ ალაჰს მიაბარა სული. ღირსებითა და სათნოებით აღსავსე ქართველთა მეფემ დიდი ტაქტითა და მაღალი შეგონებით გაიცხა თავისი მთავარსარდალის თავშეუკავებლობა.

ფრიად ოპერატიულად შეკრიბეს ჯარები საქართველოს ყველა კუთხიდან და მათ თავი მოუყარეს ჯავახეთში, თამარ მეფე ჩავიდა ვარძიაში, კლდეში ნაკვეთ ამ განუმეორებელ ქალაქში, სადაც 365-სენაკიან უზარმაზარ სასახლეში მის სახელზე აშენებული იყო დიდებული ეკლესია.

აქ ჰქონდათ არტეზიული ჭები, სათავსოები ღვინისა და სურსათის შესანახად, საიდუმლო შესასვლელ-გამოსასვლელები. ვარძია ყოველ-

თვის მზად იყო მრავალრიცხოვანი ჯარების მისაღებად. თამარი ფეხშიშველა შევიდა ვარძიის ეკლესიაში და დალოცა ჯარი, დავით სოსლანი და საქართველოს წმინდათა წმინდა დროშა. მან, ფეხშიშველამ, ჯვარით ხელში გაიარა ჯარების წინ. შემდეგ მიჰყვა იმხანად განთავისუფლებულ ყარსის ციხემდე. აქ მან კვლავ დალოცა თითოეული მეთაური, აღმართა ჯვარი და ასე იდგა ფეხშიშველა ცად აპყრობილი ცრემლიანი თვალებით, ვიდრე უკანასკნელმა ჯარისკაცმა არ ჩაიარა. თამარის საქციელმა უდიდესი საბრძოლო აღტკინება გამოიწვია მეომრებში.

ქართველთა 90-ათასიანი ლაშქარი მიადგა ბასიანის ზეგანს და მათ თვალწინ გადაიშალა უზარმაზარი სამხედრო ბანაკი, ცხენოსანთა შენაერთები თავისუფლად გაშლილი ჯორებით და აქლემებით, რომელთა დიდი ნაწილი ძოვდა და არ იყო საბრძოლველად აღჭურვილი.

თურქთა დიდ ლაშქარში არ დაეყენებინათ მორიგე დამცველი გუშაგები, არც მზვერავები ჰყავდათ, რომ სარდლობისათვის მოწინააღმდეგის მოახლოება ეცნობებინა.

დავითმა, სწრაფად შეაფასა ვითარება, გადააჯგუფა მთელი ძალები და შექმნა საბრძოლო ჯარების წყობა, ამასთან სწრაფად წაიწია მოწინააღმდეგის ბანაკის მიმართულებით (იხ. სქემა № 9). ცენტრში განლაგდა პირველი შემტევი ეშელონი მთავარსარდლის ზაქარია მხარგრძელის სარდლობით, რომლის შემადგენლობაში შედიოდა თორელის ძლიერი რაზმი, ძმების შალვა და ივანე ახალციხელების დანაყოფები. მარჯვენა ფლანგი შეადგენდა ცხენოსანთა რაზმს, რომელშიც დასავლეთ საქართველოს მხედრობა იყო გაერთიანებული. მარცხენა ფლანგი აღმოსავლეთ საქართველოს ცხენოსანთა ჯარებს ეკავათ. ქართველთა ჯარის ცენტრიდან ელვისებურმა შეტევამ, რომელს ც თან ახლდა თავზარდამცემი ყიჟინა, სრული არევ-დარევა შეიტანა ნაუცბათევად შექუჩებულ თურქთა პირველ ეშელონებში. ისინი შედრკნენ და დაიწყეს ბრძოლით უკან დახევა, რომელიც მალე გაქცევაში გადაიზარდა. დეზორგანიზებული, გაქცეული მტრის პირველი ეშელონები შეიჭრნენ ძირითად ეშელონში, რომელიც ამასობაში რუქნ-ედ-დინს განელაგებინა საბრძოლველად.

რუმის სულთანმა შეაჩერა გაქცეულები, მიაბრუნა უკან და შეშოუერთა თავის მთავარ ძალებს. აქ მოხდა ეშელონების შერევა და შეიქმნა ქაოტური 100-ათასიანი უზარმაზარი მასა, რომელსაც დაერივნენ ქართველები. ეს სისხლიანი ბრძოლა გრძელდებოდა შუადღემდე. საბრძოლო ცხენები დაუხოცეს ძმებს ახალციხელებს, ივანე მხარგრძელს, გაგელს, თმოგველს, და თითქმის ყველა სარდალს. ისინი ახლა ქვეითად

იბრძოდნენ საშინელი ძალით, მათს მაგალითს მიბაძა პირველი ეშელონის ყველა მეწინავე რაზმის ქართველმა მეომარმა.

რუქნ-ედ-დინი უყვიროდა თავისიანებს, უბიძგებდა წინ, იმ ვარაუდით, რომ ადგილიდან დაეძრა წინ აღმართული ქართველთა ქვეითების დაუძლეველი კედელი. ამ მდგომარეობაში საჭირო იყო მოწესრიგება ჯარის მოქმედებისა, და დავითიც მთელი თავისი მძიმე ცხენოსნებით და მეწინავე ცხენოსანთა ჯარით კი არ შეიჭრა მტრის მთლიან მჭიდრო მასაში, არამედ ღრმად მოუარა თურქთა მარჯვენა ფლანგის დიდ დაჯგუფებას და ბრძანა ისეთივე მანევრი განახორციელებინა მარცხენა ფლანგიდან ზაქარია მხარგრძელს.

მარჯვენა და მარცხენა ფლანგებიდან ერთდროულმა დარტყმამ ამჯერად სრული არევ-დარევა შეიტანა პირველი ელვისებური შეტევით ისედაც არეულ და ოტებულ რუქნ-ედ-დინის ძალებში. თვით ემირს წამოეწია შალვა ახალციხელი და ისიც შერცხვენილი გაეცალა ბრძოლის ველს ისე, რომ მიატოვა სულთნის დროშა და მთელი ჯარები. გაქცევა დაიწყო დარჩენილმა თურქთა ჯარმა, ქართველთა მდევარი დაღამებამდე მისდევდა კვალდაკვალ და ჩეხავდნენ გაქცეულთ.

საშინელ სურათს წარმოადგენდა მეორე დღეს ბასიანის ბრძოლის ველი. დიდი ალაფი და სიმდიდრე დაჰკარგა „დიდი თურქობის“ კოალიციამ სრული დამარცხებისას ბასიანის ბრძოლაში. ტრიუმფალური გამარჯვება დიდი დღესასწაულით აღინიშნა თბილისში. დედოფლის წინაშე მის ფერხთით დაყარეს რუმისა და სხვა ემირატების დროშები.

თამარის წინაშე ჩაიარეს დატყვევებულმა ერზინისა, შამის და მრავალმა სხვა სულთანმა. ისინი თამარ მეფემ შემდეგში შეიწყალა, მარტო თავისი ველურობით და ულმობლობით ცნობილი ერზინის სულთანი მ ლიქ-ედ-დინ ფარადინ ბაჰრამ შაჰი ცხენის ერთ ნალში გაცვალა. იმავე 1204 წელს გარდაიცვალა დამარცხების სიმწრით და სირცხვილით დამწვარი რუქნ-ედ-დინი.

მიყუჩდა სამხედრო ბრძოლები. ეს იყო ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს უძლეველობის აღიარება. მაგრამ მალე ხალხს დიდი მწუხარება დაატყდა თავს, 1207 წელს გარდაიცვალა დავით სოსლანი, რამაც კვლავ აამოქმედა მტრის ძალები.

თამარმა თანამოსაყდრედ გაიხადა თავისი 12 წლის ვაჟიშვილი ლაშა გიორგი.

ბრძოლის სიმძიმის ცენტრმა 1208 წელს ვანის ტბის რაიონში გადაინაცვლა, შაჰ არმენ მუსულმის წინააღმდეგ, რომელსაც შედარებით

ძლიერი არმია ჰყავდა და შიშის ზარს სცემდა მეზობელი ქვეყნების მოსახლეობას თავისი ულმობელი, მძარცველური მოქმედებით.

ერთი წლის განმავლობაში ორჯერ აიღეს არჩი და ხლათი ქართველთა ჯარებმა ვანის ტბის სანაპიროზე. სომეხ ხალხთან ერთად მთლიანად გასწმინდეს იქაურობა თურქ-სელჯუკებისაგან.

თურქთა ბარბაროსული თავდასხმები სომხეთზე 1208 წლამდე გრძელდებოდა. ისარგებლეს რა აღდგომა დღით, ქალაქ ანისში ირანიდან შემოიპარნენ ჯარები და არდებილის სულთნის წაქეზებით მაშინ შეიჭრნენ ქალაქში, როცა ხალხი ლოცულობდა, და მარტო ეკლესიებში 12000 სომეხი გაჟლიტეს.

სისხლში ჩაახრჩვეს და გაძარცვეს ქალაქის მთელი მოსახლეობა, არ შეიბრალეს არც ბავშვები და არც მოხუცები.

დედოფალი თამარი განთქმული იყო თავისი სიკეთითა და დიდსულოვნებით, მაგრამ არავის აპატიებდა წმინდა ადგილების მცირეოდენ ხელყოფასაც კი. ამიტომაც ანისის ტრაგედიით შეძრწუნებულმა წარბშეუხრელად დაამტკიცა შურისძიების შემუშავებული გეგმა. დღესასწაულის შესაფერისად რამ ზანის დღეებში არცთუ ისე დიდი, გადაცმული რაზმი ჩუმად შეეიდა ანისში, მთავარი ძალები კი ფარულად და შეუმჩნეველი სელით მიადგა ქალაქ არდებილს და, ელვისებურად შეიჭრნენ მეჩეთებში, გაჟლიტეს ათი ათასობით თურქი, სიკვდილით დასაჯეს თვით სულთანი, შეიპყრეს მისი ოჯახის წევრები, წაართვეს ნაძარცვი და რისი დაბრუნებაც შესაძლებელი იყო, გადასცეს ანისის მცხოვრებლებს. მერმე ეკლესიაში მიუზღეს სამაგიერო სომეხი ხალხის მტარვალებს.

ამ ოპერაციაში მთელი სიგრძე-სიგანით იჩინა თავი ირანის უძლურებამ, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში აწამებდა ქართველ და სომეხ ხალხებს. საქართველოს სამეფო დარბაზი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მიზანშეწონილი და შესაძლებელია შორეული სამხედრო ლაშქრობა ამ აგრესიული ქვეყნის შუაგულში.

გამოცა ბრძანება ჯარის შეკრებისა „ნიკოფსიიდან დერბენდამდე“ და 1209 წელს თბილისში თავი მოიყარეს მთავარმა საბრძოლო ძალებმა. თამარმა ტრადიციისამებრ დაამწყალობა ჯარები, მთავარსარდალი და უძველესი გორგასალისეული დროშა.

ლაშქრობა დაიწყო ქალაქ მარანდის აღებით, რომელიც მიატოვეს მცხოვრებლებმ და ჯარებმა. იქ ჩააყენეს ქართველთა 500-კაციანი რაზმი, რომ გაეგოთ მთებში გახიზნული ირანელთა გარნიზონის ასავალ-დასავალი, მთავარი ძალები კი კვლავ წინ დაიძრნენ.

მთებში ქართველთა მცირერიცხოვანი რაზმი მარანდის დიდ ძალებს წააწყდა. რაზმის მეთაურმა თმოგველმა თავისი მებრძოლები პირაპირ იერიშზე წაიყვანა. მან პირველივე დარტყმით მთავარი ნაწილი მოწინააღმდეგისა დაამარცხა და აიძულა ისინი გაქცეულიყვნენ. მაგრამ მეთაურმა აქ დაარღვია ძირითადი კანონი ბრძოლის მსვლელობისა, როცა დაზვერვისა და მოწინააღმდეგის ძალების განლაგების ცოდნის გარეშე იერიშზე გადავიდა.

ეს მოქმედება მკაცრად განიხილა მთავარსარდალმა და გააფრთხილა მეთაური, რომ თუ კვლავ გაიმეორებდა დისციპლინის დარღვევას და მოუმზადებლად დაესხმოდა თავს მტერს, სერიოზულად დაისჯებოდა.

ქალაქი თავრიზი უბრძოლველად დანებდა, ასევე ქალაქი მიანეც, სადაც დატოვეს მცირე გარნიზონები. პირველი სერიოზული წინააღმდეგობა ქართველებს ციხე-ქალაქმა ზენგანმა გაუწია, რომელიც შტურმით აიღეს.

მერმე ყაზვინი დაეცა. ქართველთა ჯარები შეიჭრნენ ხორასანში, მათ შემოუარეს სამხრეთ-აღმოსავლეთით კასპიის ზღვას და აიღეს ქალაქები გორგანი და რომ-გურა აღანისტანში (იხ. სქემა № 6).

ქართველ მეომრებს ინდოეთამდე რამდენიმე დღის სავალი აშორებდათ. მაგრამ ისინი იმდენად დაიტვირთნენ ალაფით, რომ აუცილებელი იყო სამშობლოში დაბრუნება. გამობრუნებისას ზაქარია მხარგრძელმა შეიტყო, რომ ქალაქ მიანეში ქართველთა მცირე გარნიზონისთვის ალყა შემოერტყათ, ჯარისკაცებისათვის ცოცხლად გაეძროთ ტყავი, მერმე კი ჩამოეკიდათ მინარეთზე. მხოლოდ ერთი მებრძოლი გადარჩენილიყო, რომელმაც აცნობა მომხდარი ამბავი მხარგრძელს. ზაქარიამ ბრძანა, ისეთივე სიმკაცრით დაესაჯათ ქალაქის თავი შვილებითურთ, ხოლო ყველა მწამებელი და ჯალათი მინარეთზე ჩამოეკიდათ.

სპარსეთის სამეფოს შუაგულში ამ შორეულ ლაშქრობას დიდი სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს სამეფოს შემდგომი აღმავლობისათვის.

1213 წელს გარდაიცვალა საქართველოს ლ გენდარული დედოფალი და ახალგაზრდა ლაშა გიორგი სათავეში ჩაუდგა უდიდეს სახელმწიფოს, რომელშიც თვით საქართველოს ტერიტორიის გარდა შედიოდა სასომხეთი, შირვანი, მნიშვნელოვანი ნაწილი ჩრდილო კავკასიისა, მთელი რიგი ვასალური ქვეყნები, ტრაპეზუნტის სამეფო, ყარსის ემირატი, ერზინი, შაჰ-არმენის სასულთნო, განძა და ადარბადაგანი.

თითქმის მთელი ოცდაათი წელი ედგა სათავეში თამარი საქართვე-

ლოს სამეფოს, რომლის დროსაც განვითარდა და მაღალ დონეზე ავიდა სამხედრო-პოლიტიკური სისტემა. ეს იყო დავით აღმაშენებლის მიერ დაწყებული დიდი საქმე — მუდმივმოქმედი რეგულარული ჯარების ძლიერებაზე დამყარებული სახელმწიფოს ყოველმხრივი აღმავლობის წლები, როდესაც მრავალ მცირე და დიდ ბრძოლებში მუდამ აღწევდნენ ბრწყინვალე გამარჯვებებს, ასე განდევნეს ქვეყნის საზღვრებიდან მრავალი თავდამსხმელი და აგრესორი, მერმე კი სამხედრო მოქმედება გადაიტანეს მათს ტერიტორიაზე.

დავით აღმაშენებლის გამეფებიდან (1089 წ.) თამარის მეფობის დასასრულამდე (1213 წ.) 124 წელი გავიდა და ეს პერიოდი ითვლება საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული აღმავლობის, საქართველოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობის ოქროს ხანად. ამ პერიოდში ბრძოლებში 131-ჯერ გაიმარჯვეს, და მხოლოდ 5-ჯერ დამარცხდნენ ქართველთა ჯარები.

დამარცხებული მტრის ქვეყნიდან განდევნამ, დიდმა საბრძოლო გამარჯვებებმა, როგორც ერთ-ერთმა პირველმა პირობამ, გაერთიანებული ძალების მოქმედებამ, უზრუნველჰყო ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის აყვავება ქვეყანაში.

არ არსებობს არც ერთი ქვეყნის ენაზე ისეთი ეპითეტი, რომლითაც არ შეემკოთ საქართველოს დედოფალი თამარი, მაგრამ არსებითი, რითაც ის იყო განთქმული მსოფლიო მასშტაბით, ჩრდილში დარჩა. მეფე თამარი გახლდათ მსოფლიოში ერთადერთი ქალი, სამხედრო მხედართმთავარი, რომელმაც შეიტანა ფასდაუდებელი განძი სამხედრო ხელოვნების განვითარებაში.

იმისათვის, რომ ეს ღრმად შევიგნოთ და გავიგოთ, საჭიროა სამხედრო ხელოვნების საქმეში გამოვყოთ ორი მხარე-ძალა და რწმენა მებრძოლებისა, რომლებიც განაპირობებენ გამარჯვებას.

ჯარების სულისკვეთების ამაღლების თამარ მეფისეულ მეთოდებში მკვეთრად გამოიყოფა შემდეგი: მიიღებდა რა ყველა ზომას ომის თავიდან ასაცილებლად და იძულებული გახდებოდა ეწინამძღვრა ჯარებისათვის, იგი ფეხშიშველი მიდიოდა წმინდა ადგილებში, ლოცულობდა და ცრემლით შესთხოვდა გამარჯვებას ზენაარსს. დაწყობილი ჯარების წინ ჯვარს გადასახავდა გორგასალის 700 წლის დროშას, ცალ-ცალკე არჩევდა თითოეული მხედართმთავრის საბრძოლო გეგმას; ჯარების სულიერი წრთობის ცერემონია აჰაგეას მაშინ აღწევდა, როცა თამარ მეფე დაიჩოქებდა, თავს ზემოთ აღმართავდა ჯვარს და მას გვერდით ჩაუვლიდნენ ჯარები. შემდეგ იგი ფეხშიშველი მიჰყვებოდა მათ დიდ

მანძილზე, ბოლოს იგი, მეფურად აღჭურვილი და ცხენზე ამხედრებული, წინ გაუძღვებოდა ჯარს სალაშქროდ.

ასე იყო, როცა იგი მიუძღოდა ჯარს დვინზე და სხვა ბრძოლებშიც, რომლებშიც გამარჯვება წინასწარ განსაზღვრული იყო უკლებლივ ყველა მეომრის გმირობით. თითოეული მათგანი მზად იყო ჩაედინა გმირობა და გაეწირა სიცოცხლე თავისი მხედართმთავრის — თამარ მეფის წმინდა სახელისათვის.

ამრიგად, თამარ მეფის მხედართმთავრულ მოღვაწეობაში შერწყმული იყო დავითის სამხედრო გენიის ნიშატი, საუკუნეების მანძილზე შემუშავებული სტრატეგიული აზროვნება და ფართოდ განზოგადოებული გამოცდილება, რამაც თამარ მეფეს საშუალება მისცა შემდგომში კიდევ უფრო დაეხვეწა სამხედრო ხელოვნება, აემაღლებინა ჯარების მებრძოლი სული ისე, რომ მიეღწია ჯარების უმაღლესი ბრძოლისუნარიანობისათვისის და გაემარჯვა ბრძოლაში.

ამას გარდა, იმდენად დიდი იყო თამარ მეფის საერთაშორისო ავტორიტეტი, რომ როცა, მაგალითად, დავით სოსლანის სარდლობით ქართველთა ჯარმა ალყა შემოარტყა კარს, ალყაში მოქცეულ ი მზად იყვნენ უბრძოლველად დაეყარათ იარაღი, თუ თამარ მეფე მობრძანდებოდა. და ეს ერთეული მაგალითი როდი გახლდათ. ჯარების ბრძოლისუნარიანობისა და სულისკვეთების ამაღლებაში მისი პირადი მაგალითი, კეთილშობილური და აქტიური პოზიცია მხედართმთავრისა, რომელიც უწინარეს გამოიხატებოდა მეომრებისადმი მაღალადამიანურ მიდგომასა და შთამაგონებელ დამარწმუნებელ ზებუნებრივ ძალაში, განუმეორებელი იყო.

სრულებითაც არ არის შემთხვევითი, რომ შოთა რუსთაველის გენიალური „ვეფხისტყაოსანი" კლასიკური სტრატეგიული აზროვნების ნიმუშია, სადაც განზოგადებულია როგორც მსოფლიო, ასევე ქართული ეროვნული სტრატეგიის სამხედრო მიღწევები.

თავის სამხედრო სისტემას რუსთაველი აანალიზებს „ვეფხისტყაოსანში" წარმოსახული სამი ომის საფუძველზე, სადაც თითოეული ომი განხორციელებულია ერთმანეთისაგან განსხვავებული სტრატეგიული ჩანაფიქრით და ტაქტიკური შესრულებით. თითოეული ომი ანალოგიურია რეალურად ჩატარებული ისტორიული ომებისა საქართველოში, ვახტანგ გორგასალისა და დავით აღმაშენებლის ხელმძღვანელობით. სრულიად სამართლიანად ვარაუდობენ, რომ რუსთაველი მონაწილე და თანამდგომი იყო თამარ დედოფლის სარდლობით გამართული ბრძოლებისა.

პოემაში წარმოსახულია სამი ომი თავისი მოშხადებით, დაგეგმვით, შეიარაღებით, სტრატეგიითა და ტაქტიკური მოვლენების განვითარებით, საბრძოლო ეშმაკობით, გონებამახვილობითა და მოულოდნელობებით. ეს ომები მეტად რთულია თავისი შინაგანი ანალიზით, გარეშე და შინაურ მტრებთან შორს განჭვრეტილი დასკვნებითა და კომპლექსური ბრძანებებით, ამდენად იგი ჩვენთვის ახლაც აქტუალურია და ასევე იქნება მომავალშიც.

რუსთაველი დამაჯერებლად და დასაბუთებულად გამოყოფს მთავარს საბრძოლო ხელოვნებაში—მუდამ მცირერიცხოვანი ქართველი ხალხის არმიის რიცხობრივად მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში.

„გვირაბის კარსა ჭაბუკი ათი ათასი მცველია...
ასი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩეით შქმნელია...
ჩვენ ცოტანი ვართ, ქალაქი დიდთაგან ხაომარია;
პირის-პირ ომი არ ძალ-გვიც, არ ჯაში საკეხარია...
სამთავე სამად გაიყვეს, თვითომ ნ თვითო კარები;
თანა ჰყვა კაცი ხაძასი, ყველაი გმირთა დარები...
მუნ ნახეს რიყე აბჯრისა, ნალეწი ხრმალთა ჴვერისა,
ათი ათასი ნობათი, უსულო, მსგავსი მტყვრისა...“

რუსთაველი განსაკუთრებით მრავალმხრივად ხსნის ქართველ გმირთა მებრძოლების სახეებს. ქართველი რაინდისათვის სამშობლოსათვის სიკვდილი უმაღლესი მიზანია, წმინდათაწმინდა მოვალეობაა, ადამიანის სიცოცხლისა და არსებობის ჭეშმარიტი გამართლებაა. ეს შესანიშნავადაა გადმოცემული სტრიქონებში:

„სჯობს სიცოცხლესა ხაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“...

მხდლების გარდაუვალ განწირულობასა და მორალურ სიმდაბლეს რუსთაველი შემდეგი სიტყვებით გამოხატავს:

„რა უარყა მამაცსა ომშიგან პირის მხმეჭელსა,
შეშდრკალსა — შეშინებულსა და სიკვდილისა შეჭველსა!
კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა ქსლისა მბეჭველსა?
სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა ძოსახვეჭელსა!
შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდნილ დაღრეჯანიას!“

იმ შკაცრი, ძველი დროთა უდიდესი ჰუმანისტი ასე აქებს შთამომაველობას:

„მზე ძოგეახლა, შუსი ჩვენთვის აღარა ბნელია,
ბოროტსა სძლია კეთილმან, — არსება მისი გრძელია!“

პოეტი მთელი თავისი არსებითა და ნიჭით შშვიდობის მღაღადებელია. მის პოემაში წითელი ზოლად გასდევს აზრი, რომ ყველა კონფლიქ-

ტური სიტუაცია მშვიდობიანად უნდა გადაწყდეს, აერიდონ სისხლისღვრას. ხატაეთის მეფეს ტარიელი უთვლის, რომ ომს წინ უნდა უძღოდეს მშვიდობიანი მოლაპარაკება, რათა, თუ შესაძლებელია, დავა მშვიდობიანად გადაწყდეს. მულღანზანზართან ომის დროსაც ცდილობენ საბრძოლო მოქმედების თავიდან აცილებასა და შეწყვეტას.

სამხედრო-პოლიტიკური მოქმედება უნდა ექვემდებარებოდეს მკაცრ კანონებს მეცნიერებისას, და განამტკიცებდეს მათ გონივრული რეკომენდაციებით. „უცებნი მოსრნის მცოდნელთა, ცოდნამან, ხელოვნებამან".

რუსთაველი მოუწოდებს სიმართლისმოყვარულ მებრძოლებს, მოსპონ მუდმივი საფრთხე, რომელიც მშვიდობიან ქვეყანას ემუქრება.

ქაჯეთის ბრძოლაში მან შესანიშნავად წარმოგვისახა ქართულ სტრატეგიაში არაერთგზის ნაცადი მოულოდნელობისა და სწრაფი, ზარდამცემი შეტევის ეფექტიანობა. ამასთან პოეტი მუდამ მოითხოვდა ბრძოლაში რაინდობასა და პატრიოტობას. იგი გმობდა ბარბაროსობას და მხეცობას და უაზრო ნგრევასა და განადგურებას.

„აწ დაემზადე, მოპარვა მე შენი არა მწადიან;
შემები, რაზმი დააწყევ, პირველვე გამიცხადიან...
ოდეს მტერსა მოერიო, ნულარ მოპკლავ, დაიყოვნე;
გინდეს სრული მამაცობა, ესე სიტყვა დაიხსოვნე".

რუსთაველის პოემაში წარმოსახული ბრძოლები ადასტურებს, რომ ქართველებს ჰყავდათ მუდმივმოქმედი, კარგად მომზადებული და გაწვრთნილი არმია. მკაცრად, კანონის დაცვით უხმობდნენ მუდმივ და მობილიზებულ ჯარს.

„ვუბრძანე წვევა ლაშქართა, გაეგზავნე მარზაპანია.
იგი ვარსკვლავთა ურიცხვი მოკრბეს ინდოთა სპანია,
შორით და ახლო ყველაი მართ ჩემკე მონახხპანია,
ერთობ ლაშქრითა აივსო მინდორი, კლდე, კაპანია,
ფიცხლა მოეიდეს, არ ექმნა მათ შინა ხან - დაზმულობა;
აღლუმი ენახე, მეკეთა ლაშქართა მოკაზმულობა,

ხიჩაუქე და სიკეთე, კეკლუცად დარაზმულობა,
ტაიჭთა მათთა სიმაღლე, აბჯართა ხვარაზმულობა...
ავმართე დროშა მეფისა, ალმითა წითელ-შავითა,
დილასა ვბრძანე გამართვა ლაშქრითა უთვალავითა...
კაცი ოთხმოცი ათასი, ყველაი დაკაზმულია,
კაცსა და ცხენსა ემოსა აბჯარი ხვარაზმულია."

რუსთაველი დაწვრილებით აღწერს სამხედრო აღჭურვილობას და მის წესიერად გამოყენებას.

„ეუბრძანე ჩაცმა აბჯრისა ლალმან სიტყვითა ხაფითა;
დაეცაზმენით საომრად ჯაჭვითა, ჯავშან-ქაფითა;
რაზმი დაუწყეს, მივსმართე, წაუე დიდითა სწრაფითა,
მას დღესა ჩემი მებრძოლი, ჩემმანვე ხრმალმან დაფითა...
შუბი ესთხოვე, ხელი ჩავყავ მუზარადის დასარქმელად,
საომრად ატეხილი ვიყავ მათად გამტეხელად";

პოემაში განხილულია ტაქტიკური ერთეული, „რაზმი" — „დასი", რომლებიც გაერთიანებულია ლაშქარში — და მთელი იერარქია სახმელეთო და საზღვაო სამხედრო ხელმძღვანელობისა. ხატაეთისა და ქაჯეთის ბრძოლების წინ ტარიელის თათბირი თამამად შეიძლება განვიხილოთ, როგორც შტაბის ფუნქცია, შეძლებისამებრ მიიღოს და მერმე შეცვალოს უკეთესისაკენ მოფიქრებული გადაწყვეტილება.

მაგალითად, ბრძოლა იწყება ქაჯეთის ციხის ტაქტიკური და სტრატეგიული დაზვერვით. ხატაეთში ომს წინ უძღვის სწრაფი მანევრირება და ჯარის გადასროლა გაუვალ ადგილებში. ასევე მოულოდნელი, ყველა მიმართულებით ერთდროული და უაღრესად სწრაფია ქაჯეთზე შეტევის ტარიელისეული გეგმა და მისი განხორციელება.

სხვადასხვა ვარიანტში, გარემოების მიხედვით, რუსთაველი განიხილავს საბრძოლო წყობილებას და წესრიგს ჯარისას.

პირველი ხაზი, ანუ მეწინავე რაზმი შედგება, როგორც წესი, მძიმე ცხენოსანი რაზმისაგან, ასეთია ავანგარდი ტარიელისა ხატაეთში. „ათი ათას მებრძოლ-მეციხოვნეს" ქაჯეთში უპირისპირდება ცხენოსანთა სამასი აბჯროსანი რაზმი, რომელიც სამი მამართულებით ახორციელებს გარსშემორტყმას, მერმე ელვისებურ მოულოდნელ დარტყმას ფლანგებზე და შუაგულზე.

სტრატეგიული და ტაქტიკური მოქმედების დროს შეტევის მთავარი ფორმა გარშემორტყმა კარგად არის ნაჩვენები ხატაეთის ომში. იქ განიხილება ფრონტალური და ფლანგური შეტევა მთავარი ძალებით ტარიელისა ხატაეთის წინააღმდეგ.

თავდაცვითი ბრძოლები ნაჩვენებია, როგორც სტრატეგიულ გეგმით მომზადებული თეატრი სამხედრო მოქმედებისა. აქაა ციხე-სიმაგრეთა სისტემა, დისლოკაცია ჯარებისა, ასევე ტაქტიკური მასშტაბით — ხელსაყრელი გარემოს არჩევანი, სისტემა კარგად შენიღბული ჩასაფრებული ჯარისა.

წარმოსახულია ორი საზღვაო ბრძოლა, როგორც გაშლილ ზღვაზე, ასევე ყურეში მოწინააღმდეგის გემების გარშემორტყმის ტაქტიკით, შტურმი ცალკეული გემებისა, შემოტყუება და მოჩვენებითი მანევრები.

განსაკუთრებულ ადგილს უთმობს რუსთაველი მეთაურის როლს, მის პირად გმირობას და მაგალითს, გადაწყვეტილებასა და აწონილ-დაწონილ რისკს, რეაქციას შეცვლილ გარემოებასთან. ასეთია, მაგალითად, ტარიელის ბრძოლა ხატაეთში, ქაჯეთში, ახალ ვითარებასა და გარემოში ბრძოლის გეგმის შემუშავება, აგრეთვე მისი ოთხი ბრძანება ხატაეთში, გარემოებასთან შესაბამისად.

ერთდროული დარტყმა და შეთანხმებული მოქმედება გამარჯვების საფუძველთა საფუძველია სამივე ომში, სწორედ ამაში მდგომარეობს სამხედრო ხელოვნების წარმატება. მაგრამ მთელი სიბრძნე სამხედრო ხელოვნებისა შეიგრძნობა პრაქტიკულად ბრძოლისას, შეტევა და ომი მთლიანია, და დაუშვებელია, როცა „სხვა სხვისა ომში ბრძენია".

გამარჯვების მიღწევის შემდეგ მეთაური უსაფრთხოების გარანტიას აძლევს და დახმარებას უწევს მშვიდობიან მოსახლეობას, ამას მოწმობს მეექვსე ბრძანება ტარიელისა ხატაეთში. დებენ მშვიდობიან ხელშეკრულებას, რის მიხედვითაც გამარჯვებული მხარე აკისრებს კონტრიბუციას დამარცხებულს, ასეა ინდოხატაეთის ომში. ერთმევა დამოუკიდებლობა აგრესიულ სახელმწიფოს.

ამგვარად, სამხედრო სისტემა რუსთაველის პოემაში ღრმად არის ასახული და ასევე წარმოჩინებული — სამხედრო ხელოვნება საქართველოში ხელჩართული ომის პერიოდისა, არსი და პერსპექტივა—სამხედრო თეორიისა — მცირე, მაგრამ გმირი ხალხის.

პოემამ შთააგონა სხვადასხვა დროის გამოჩენილ მხატვრებს ზიჩის, თოიძეს, ქობულაძეს და სხვებს, შეექმნათ სურათები ბატალური ბრძოლებისა, გმირი რაინდების მშვენიერი სახეები. ისინი აღადგენდნენ, აცოცხლებდნენ ისტორიულად რეალურად არსებულ, მაგრამ ფოლიანტებში უკვალოდ გამქრალ, დაკარგულ ქართველ მებრძოლთა, მთავარსარდალთა სახეებს, ფარნაოზ მეფის, ვახტანგ გორგასალის, დავით აღმაშენებლის, თამარის და სხვათა დიდებულ სახეებს.

საქართველოს საომარი ხელშეუხებლობის მიღწევის გზები

ვისაც ძე არ შეუძლავს,
როს მამულს სჭირებია,
შვილო, იმ ვაგლახ დედას
შვილი არ ჰყვარებია!

...

მას დედის ძუძუ ტკბილი
შხამადაც შერგებია,
მამულისთვის სიკვდილი
ვისაც დაზარებია!

ილია ჭავჭავაძე

დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის მიერ გადახდილი ძლევამოსილი ომების შედეგად წარმოქმნილი საქართველოს ყველაზე დიდი ტერიტორია ისტორიულად მოიცავდა: აღმოსავლეთ ამიერკავკასიას, ჩრდილო კავკასიას, შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს, მთელ სასომხეთსა და ირანის ადარბადაგანს. მაგრამ წინა აზიაში უძლიერეს სახელმწიფოდ აღიარებული საქართველოს სამეფოს შემდეგში ძალზე უჭირდა დაეცვა და შეენარჩუნებინა ეს დიდი მონაპოვარი.

მცირე თავდასხმებსა და საომარ კონფლიქტებს ხალხი და სახელმწიფო შედარებით ადვილად უმკლავდებოდა, მაგრამ დიდი ომებისა და შემოსევებისათვის სამხედრო და სახელმწიფო სისტემები ყოველთვის საფუძვლიანად არ იყო შემზადებული, ამიტომ არსებობდა რეალური საფრთხე არა მარტო ზემოხსენებული მონაპოვარის, არამედ საქართველოს გარკვეული ტერიტორიის დაკარგვისაც.

შორსმჭვრეტელმა და წინდახედულმა სახელმწიფო მოღვაწეებმა იცოდნენ, რომ საქართველო მოხვევებულ მტერს დამოუკიდებლად ვერ გაუმკლავდებოდა. ისინი დიდი ომებისა და შემოსევებისაგან ქვეყნის დასაცავად ეძიებდნენ ძლიერსა და საიმედო სამხედრო მოკავშირეს. საქართველო უძველესი დროიდან სახელგანთქმული იყო თავისი საუკეთესო მეომრებით, სიქველით, ომში გამტანობითა და ერთგულებით და მასთან ყველა სიამოვნებით ამყარებდა კავშირს.

საქართველოს საომარი ძალისა და უნარის ხელში ჩაგდებას და გამოყენებასაც განსაკუთრებით ცდილობდნენ მაჰმადიანი მმართველები, რომლებიც გარს ერტყმოდნენ ქვეყანას.

ათასწლიანი მსოფლიო ომების ისტორიის შესწავლა ადასტურებს,

რომ ძალისა და რწმენის ფაქტორებს შორის უპირატესობა ყოველთვის რწმენას ენიჭება.

თანამოაზრეთა რწმენის ფაქტორი განსაზღვრავს ყველაზე საიმედო და ღირსეული სამხედრო მოკავშირის ძიების გზის სისწორეს. ისტორიამ კარგა ხანია დაამტკიცა, რომ სხვა სარწმუნოებასთან შედარებით მართლმადიდებლობა თავისი არსით უფრო ჰუმანური იყო. ეს განსაკუთრებით ვლინდება მძიმე, სასტიკი და სისხლისმღვრელი ომის დროს.

ამიტომაც იყო, რომ ქართველები კავშირს უმეტესად ეძებდნენ ერთმორწმუნე რომთან, საბერძნეთსა და აღმოსავლეთ რომის იმპერიასთან. ამ ძველთაგანვე გაკვალულმა ძიების გზამ ისინი საბოლოოდ რუსეთთან დიდ ერთიანობამდე მიიყვანა.

მეგობრობისა და საიმედო სამხედრო მოკავშირე ძიების გზები ძალზე გრძელი იყო. იგი მოიცავდა საქართველოს სამხედრო ისტორიის ყველაზე მძიმე ექვსსაუკუნოვან მონაკვეთს, ეს გახლდათ მონღოლების, თემურ-ლენგის, ირანელთა და თურქთა გამანადგურებელი შემოსევები, რომლებიც თავისი შედეგებით იმდენად კატასტროფული იყო, რომ კვლავ წარმოიშვა ცალკეული რეგიონებისა და მთლიანად ქართველი ხალხის ყოფნა-არყოფნის ავბედითი პრობლემა.

დიდი თამარის სიკვდილმა და ასეთ რთულ ვითარებაში მისი ვაჟის, ახალგაზრდა და გამოუცდელი ლაშა გიორგის გამეფებამ სახელმწიფოს ტრებს შურისძიების იმედი კვლავ განუახლა.

საქართველოსთან ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტა პირველად განძის ათაბაგმა გაბედა, რასაც, მისი ჩანაფიქრით, საქართველოს გაერთიანებული სამეფოს თანდათანობითი და სრული ნგრევა უნდა მოჰყოლოდა. იგი შეუდგა ჯარის მომზადებას საქართველოს სამეფოს წინააღმდეგ გასალაშქრებლად.

ლაშა გიორგიმ მოიწვია დარბაზი, რომელზედაც ვითარების მოკლედ, ყოვლისმომცველი შეფასებით გამოვიდა და განძაზე დაუყოვნებელი თავდასხმის გაბედული გეგმა წამოაყენა.

ლაშა გიორგი ერთხანს უშედეგოდ უტევდა ალყაშემორტყმულ ციხე-ქალაქს. ფრიად საინტერესოა ის ამბავი, რომ ამ გაჭიანურებული ალყის დროს ციხესიმაგრიდან ყოველდღიურად გამოდიოდნენ რჩეული მაჰმადიანი მეომრები და ქართველ მეომრებთან რაინდულ ბრძოლებს აწყობდნენ. ამ სანახაობას ორივე მხრიდან უამრავი ხალხი ადევნებდა თვალყურს. ხანგრძლივი დროის განმავლობაში მებრძოლ მხარეთაგან სანახაობად გადაქცეული მსგავსი შეჯიბრებები არნახულ მოვლენას წარმოადგენდა.

ქართველთა მეფეს მოსწყინდა ეს უცნაური საომარი შეჯიბრებები და ერთ დილას, ისე რომ არავისთვის რჩევა არ უკითხავს, გაიყოლა 4 000 მეომარი და დაიწყო ქალაქის ციხის გარს შემოვლა სუსტი ადგილის მოსაძებნად და მტრის გამოსატყუებლად.

ციხესიმაგრიდან დაკვირვებით ადევნებდნენ თვალყურს, თუ როგორ მოსწყდა ახალგაზრდა მეფე ძირითად ძალებს და გამოჰყვეს 10000 მეომარი მეფისა და მისი რაზმის მოულოდნელი დარტყმით გასანადგურებლად.

გაიმართა სისხლისმღვრელი ბრძოლა, რომლის დროსაც ლაშა გიორგიმ დიდი გულადობა და სამხედრო ოსტატობა გამოაუღლინა. იგი მოქმედებდა ყველაზე წინ, მტრის შუაგულში. ერთდროულად ბრძოლასაც ხელმძღვანელობდა და გამარჯვების შემდეგ მის ნარჩენებს დაედევნა, რომელთა ნაწილმა ძლივს შეასწრო ციხესიმაგრეში, ჩამორჩენილები კი შეიპყრეს. მნიშვნელოვანი დანაკარგი განიცადა გიორგიმაც.

მეფის პირველ ბრძოლას დიდი საომარი და მორალური მნიშვნელობა ჰქონდა. ეს ყველას ესმოდა და თავგანწირვით იბრძოდა მტრის წინააღმდეგ. განსაკუთრებით კი ისინი, რომლებიც მეფის მხარდამხარ იბრძოდნენ.

ეს გმირები იყვნენ თამარ მეფის სახელგანთქმულ მეომართა შვილები — ბოცო ჯაყელი, ბიბილა გურკელელი, ბექა ჯაყელი - ციხისჯვარელი და სხვანი. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ თაობათა საომარი მემკვიდრეობითობა სრულიად გამოვლინდა მათ გმირობაში.

ბრძოლა ძალზე სისხლისმღვრელი გამოდგა და ერთი კვირის შემდეგ განძის გარნიზონი დანებდა. და მაინც, ბრძოლაში თვითნებურად, გამოცდილ მხედართუფროსებთან შეუთანხმებლად ძირითადი ძალებისაგან მოწყვეტის გამო ახალგაზრდა მეფეს უსაყვედურეს, რისთვისაც ლაშა გიორგიმ ბოდიში მოიხადა.

განძის მაგალითს სხვებიც აჰყვნენ და საქართველოს სამეფოს სამხრეთის ზღუდეებიც შეირყა. ლაშა გიორგი იძულებული გახდა, სახელმწიფოს შორეული საზღვრების გასამაგრებლად ღრმა და მრავალრიცხოვანი სამხედრო ოპერაციები მოეწყო.

ქართველთა ჯარი, პირველყოვლისა, ნახჭევანს გაემართა, სადაც წესრიგში მოიყვანა 23 ციხე-სიმაგრისაგან შემდგარი ძლიერი სისტემა და საგარნიზონო სამსახური, მერმე იგი სანდო მხედართუფროსებით გააძლიერა. ამას მოჰყვა შეტევა ხლათის ციხე-ქალაქზე. მათ ერთი დარტყმით გაათავისუფლეს შაჰ არმენის სამფლობელო ვანის ტბის მიდამოებში. ამის შემდეგ ქართველთა ჯარი სწრაფად შემობრუნდა

და სამხრეთის ძირითადი მიმართულების საკომუნიკაციო კვანძს — ქალაქ არზრუმს დაეუფლა. ლაშა გიორგიმ იმავდროულად კეჩროლის მიმართულებითაც გაგზავნა სახელგანთქმული სარდალი შალვა თორელი და აქაც სრული გამარჯვება მოიპოვა.

ამ საომარი ოპერაციებით ლაშა გიორგიმ მოთვალთვალე მტრულ ძალებს თვალნათლივ დაანახვა საქართველოს ძლიერება და აგრძნობინა, ევროპისა და აზიის სახელმწიფოები მას არა მარტო ანგარიშს უნდა უწევდნენ, არამედ საქართველოსთან — მთავარ ანტიმაჰმადიანურ ბურჯთან — სამხედრო მოკავშირის ძიებაც მართებდათ. ეს განსაკუთრებით ქრისტიანულ სახელმწიფოებს ეხებოდა. და სულ მალე დასავლეთ ევროპის ქვეყნების კოალიციამ საქართველოსთან მჭიდრო კავშირში დაიწყო თავისი სტრატეგიული გაქანებით არნახული „ჯვაროსნული ლაშქრობის“ მზადება „ურჯულოთა“ წინააღმდეგ.

პაპმა ჰონორიუს III-მ საგანგებო მიმართვა გაუგზავნა ქართველთა მეფეს ლაშა გიორგის, სადაც იგი თხოულობდა დაეძრათ იერუსალიმისაკენ ქართველთა ჯარის ძირითადი ძალები დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ჯვაროსნებთან შესაერთებლად, ერთდროული მოქმედებით პალესტინაში მაჰმადიანების განადგურების მიზნით.

ლაშა გიორგიმ დიდი კმაყოფილებით მიიღო რომის პაპის წინადადება და დაუყოვნებლივ შეუდგა თავისი მნიშვნელობითა და მიზნით გრანდიოზულ სამხედრო სამზადისს. ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად დაშორებული სხვადასხვა ქვეყნების ასეთი სტრატეგიული გაქანების კოალიციური ომი, დროსა და სივრცეში ხანგრძლივი გადაადგილება, ჯარების დიდ და საფუძვლიან მომზადებას მოითხოვდა.

ამ დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სახელმწიფოთა და არმიათა ურთიერთდამოკიდებულებას, შესაბამისად ცოდნასა და ცნობებს მოკავშირეთა ჯარებზე, მათს სამხედრო მომზადებას, გაწვრთნილობას, საომარ გამოცდილებასა და პრესტიჟს, რითაც ისინი იმსახურებდნენ საყოველთაო აღიარებასა და დიდებას.

ამიტომაც იმსახურებს ყურადღებას ქართველთა ჯარების მაღალი ავტორიტეტი, რაც იმაში გაბოიხატებოდა, რომ მხოლოდ მათ და სხვას არავის ჰქონდა უფლება გაშლილი ეროვნული დროშით გაევლოთ წმინდა ქალაქ იერუსალიმის ქუჩებში.

ბევრი ითქვა და დაიწერა ქართველი მეომრების უბადლო მეომრულ თვისებებსა და მათ მხარდამხარ მებრძოლ ქართველ ქალებზე. ასე მაგალითად, თავის „იერუსალიმის ისტორიაში“ ჟაკ დე ვიტრი აღნიშნავს: „ისინი უაღრესად მედგარნი და მამაცნი არიან ბრძოლაში, სხვე-

ლით წარმოუდგენლად ძლიერნი და შეუდარებელნი ცხენოსანთა ბრძოლაში. მათი სიკვდილივით ეშინიათ სარკინოზებს, მოულოდნელი და საშინელი თავდასხმებით რომ ამარცხებენ რა მოსაზღვრე სპარსელებს, მიდიელებსა და ასირიელებს... თუმცა, მათი სახელმწიფო ურჯულოებით არის გარშემორტყმული, მაგრამ ისინი ერიდებიან საქართველოს შეწუხებას, ვინაიდან ეშინოდათ მათი არმიის საპასუხო დარტყმებისა.

ისინი წმინდა ქალაქში გაშლილი დროშებით შემოდიან და ხარკს არავის უხდიან.

მათი კეთილშობილი ქალები ამორძალებივით იბრძვიან მამაკაცთა მხარდამხარ".

აბრიგად, ყველაზე გრანდიოზული „ჯვაროსნული ლაშქრობისათვის" მზადება და დაგეგმვა მრავალმხრივი პლანით მიმდინარეობდა და ევროპული სახელმწიფოები დიდი ინტერესით სწავლობდნენ საქართველოსა და ქართველთა საბრძოლო ხელოვნებას ერთობლივი მოქმედებისათვის.

მაგრამ ამ დიდ წამოწყებას განხორციელება არ ეწერა. ისტორიულ არენაზე მოულოდნელად გამოჩნდა ახალი, თავისი არსებით ველური, ყოვლისშემმუსვრელი უდიდესი ძალა—ჩინგიზ ყაენის მონღოლები, რომლებსაც ბევრნი თათრებს უწოდებდნენ.

ქართველთა ჯარის შეტაკება მანამდე სავსებით უცნობ მონღოლებთან პირველად 1220 წელს მოხდა.

ჩინგიზ-ყაენის ბრძანებით, 20 000-იან ცხენოსანთა ჯარს, რომელსაც ჯებე ნოინი და სუბუდაი-ბაჰადური ედგნენ სათავეში და ხორეზმის შაჰის მუჰამედის ჯარის ნარჩენებს სდევნიდნენ, უნდა დაეზვერათ სამხედრო ვითარება საქართველოში და მოპოვებული ცნობებითურთ დერბენტის გზით დაბრუნებულიყვნენ.

ცნობები, მონღოლთა მიერ საქართველოს საზღვრებში შემოჭრის შესახებ, ლაშა გიორგიმ დროულად მიიღო და სასწრაფოდ შეკრებილი ჯარებით მათს შესახვედრად გაეშურა.

პირველად მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლაში ივანე ათაბაგისა და ვარამ გაგელის რაზმები ჩაებნენ, მათ მეფეს შეატყობინეს ადარბადაგანსა და რანში მონღოლების შემოჭრა. ხუნანის ველზე წინასაომარი წესით განლაგებული მოწინააღმდეგე საგულდაგულოდ არ დაუზვერავთ და ლაშა გიორგის ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ მის წინააღმდეგ იდგა მონღოლთა მთელი ძალები, დაახლოებით 10 000 მეომრის შემად-

გესლობით. ასეთი ვითარებაში მან მიიჩნია, რომ ამავე რაოდენობის მისი ჯარები ერთი დარტყმით გაანადგურებდა მოწინააღმდეგეს.

ქართველთა ჯარები სწრაფად გაიშალნენ. მარჯვენა ფლანგზე ვარამ გაგელის რაზმები განლაგდნენ, მარცხნივ — ივანე ათაბაგისა და შანშე მხარგრძელისა, ცენტრში კი, მთავარი დარტყმის ადგილას — თვითონ ლაშა გიორგი. ამრიგად, მან ვითარებაში გაურკვევლად მისთვის დამახასიათებელი სიმარჯვით, მთელი თავისი ძალებით შეუტია და წააწყდა ელემენტარულ სამხედრო ეშმაკობას. მონღოლებმა ბრძოლის ველზე გამოიყვანეს თავიანთი შემადგენლობის ნახევარი სუბუდაის ხელმძღვანელობით და ქართველთა ჯარების შეტევის დაწყებისთანავე მიმართეს მოჩვენებითს უწესრიგო უკანდახევას. ქართველთა ცხენოსანი ჯარი შეიტყუეს მონღოლთა კარგად ორგანიზებულ, შეუმჩნევლად ჩასაფრებულ ჯებე ნოინის 10000-კაციან არმიის ძალებთან, რომელიც საშინელი ძალით, სრულიად მოულოდნელად დაესხა თავს ზურგიდან.

ამან გადაწყვიტა ბრძოლის ბედი. შეტევით გატაცებულმა ქართველთა ჯარებმა წინ წასული ნაწილებითურთ მონღოლთა მიერ ზურგიდან მიყენებული ძლიერი დარტყმის შედეგად ყოველგვარი საბრძოლო წესის დაუცველად დაიწყეს უწესრიგო ბრძოლა. სუბუდაიმ მაშინვე მოაბრუნა თავისი უკანდახეული ცხენოსანთა ძალები და ქართველთა ჯარები თითქმის მთლიანად გარემოცვაში აღმოჩნდნენ.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ლაშა გიორგი ამ ვითარებაში არ დაბნეულა და სუბუდაის კონტრდამრტყმელ დაჯგუფებას ვარამ გაგელისა და ივანე ათაბაგის რაზმები დაუპირისპირა. თვითონ კი ცენტრიდან შეუპოვარ დარტყმებს ახორციელებდა იმ მიმართულებით, სადაც კრიტიკული სიტუაცია იქნებოდა. ხელჩართული ბრძოლის ხელოვნებაში მონღოლები აშკარად ჩამოუვარდებოდნენ ქართველებს და დიდი დანაკარგიც განიცადეს. ამან ლაშა გიორგის საშუალება მისცა, ფრონტი ორი მიმართულებით გაეშალა, ჯერ შეავწიროვა, შემდეგ კი გაარღვია სუბუდაის ფრონტი და გარღვევის შემდგომი განვითარებისა და დევნისათვის ვარამ გაგელის ძალები შეიყვანა, შემდეგ კი გიორგი ივანე ათაბაგის დასახმარებლად შემობრუნდა, რომელიც მოღალატე დიდგვაროვანმა ცხენიდან ძირს გადმოაგდო. აქ მთელი ძალით გამოვლინდა მეფისა და მისი ერთგული მეგობრების ბექა ჯაყელისა და ივანე ციხისჯვრელის ხმლით ჩეხვის მაღალი ხელოვნება.

მონღოლებმა, ხელჩართულ ბრძოლაში უდიდესი დანაკარგების თავიდან ასაცილებლად და ორმაგი რიცხობრივი უპირატესობის გამოყენების მიზნით ისრის სასროლ მანძილზე დაიხიეს და ქართველთა ჯარს

მსუბუქი და მძიმე ისრების სეტყვა დაუშინეს. ერთი მათგანი მკერდის არეში მოხვდა მეფე ლაშა გიორგის, რამაც ფაქტიურად ბრძოლის დასასრული განსაზღვრა.

მეფე არ დაღუპულა, თუმცა ცხენიდან კი ჩამოვარდა, მაგრამ ხმა გიორგის დაღუპვის შესახებ მთელ ჯარში გავრცელდა და მეფესთან ერთად მთავარმა ძალებმა ბრძოლის ველი დატოვეს. ქართველთა ჯარის ბრძოლიდან ორგანიზებულ გამოსვლას ხელმძღვანელობდა ბექა ჯაყელი, რასაც მან თავისი სიცოცხლე შესწირა.

ორივე მხრიდან დანაკარგი იმდენად დიდი იყო, რომ მონღოლთა ჯარს ამ გამარჯვებამ თავისი წარმატების შემდგომი გამოყენების საშუალება არ მისცა. ისინი განცვიფრებულნი იყვნენ ქართველთა ჯარის არა მარტო არაჩვეულებრივი სიმამაცით, გმირობითა და თავდადებით, არამედ ქართველი მეომრების ხელჩართული ბრძოლის შესანიშნავი ხელოვნებითაც, რითაც აშკარად სჯობნიდნენ ჩინგის ყაენის, მათი აზრით, შეუდარებელ არმიას.

ძლიერმა ორგანიზმმა გიორგის საშუალება მისცა ნაადრევად გამოჯანმრთელებისა. ჯერ კიდევ კარგად არ ჰქონდა მოშუშებული ჭრილობა და კვლავ მოჰკიდა ხელი არა მარტო სახელმწიფო, არამედ სამხედრო საქმიანობასა, ეწეოდა ინტენსიურ საომარ მზადებას, ამაღლებდა საომარ მზადყოფნას მონღოლთა მოსალოდნელი თავდასხმის მოსაგერიებლად.

1221 წლის იანვ რში ირანელებით, თურქმენებითა და ქურთებით მნიშვნელოვნად გაძლიერებული მონღოლთა რაზმები კვლავ მოადგნენ საქართველოს საზღვრებს.

ქართველთა და მონღოლთა ჯარები ბარდავის რაიონში შეხვდნენ ერთმანეთს. უკვე გამოცდილების მქონე სუბუდაიმ და ჯებემ, რომელთაც საკუთარ თავზე იწვნიეს ქართველთა ჯარების გამანადგურებელი ძალა, როცა დაინახეს მოწინააღმდეგის დიდი, კარგად ორგანიზებული და გადამწყვეტი შეტევისათვის მზადმყოფი ძალები, სასწრაფოდ მიბრუნდნენ და სამარცხვინოდ გაიქცნენ ბრძოლის ველიდან. დევნა ამჯერად წინდახედულად, სამხედრო ხელოვნების ყველა წესის დაცვით განხორციელდა.

დევნის დაწყებამდე და უშუალოდ დევნის კვალდაკვალ იქმნებოდა სპეციალური სადაზვერვო ჯგუფები, რომლებიც დროულად ატყობინებდნენ მტრის რაოდენობას ზურგსა და ფლანგებზე, ქართველი მეომრებისაგან დევნილმა მონღოლთა უზარმაზარმა ცხენოსანთა არმიამ სასწრაფოდ დაიხია ჩრდილოეთით, მთებისაკენ. ქართველებმა მოსპეს და

ტყვედ ჩაიგდეს 25 000 მონღოლი და მათი მოკავშირე. ამიტომაც იყო, რომ მონღოლთა ამ ორ გამოჩენას განსაკუთრებული კვალი არ დაუტოვებია და ყოველივე ეს უყურადღებოდ დატოვეს.

მონღოლთა ბრძოლაში მიღებული ჭრილობა ლაშა გიორგისათვის სასიკვდილო აღმოჩნდა. მისი დის რუსუდანის ქორწილის დროს ჭრილობა მოულოდნელად გაეხსნა და 1222 წლის 18 იანვარს 28 წლის ასაკში მეფე გიორგი IV გარდაიცვალა.

1222 წელს გამეფდა რუსუდანი. მისი მეფობის დროს საქართველომ ერთბაშად დაკარგა სახელმწიფოს ადრინდელი თავდაცვითი ძლიერება, რამაც მხედართმთავრებს შორის განხეთქილება ჩამოაგდო. ამან კი მთავარზე მთავარი — ქვეყნის შინაგანი სამხედრო ერთიანობა დაარღვია, ამასთან, მისი სამეფო კარის მტრებისადმი უდარდელობამდე მისული უგულისყურო დამოკიდებულება სრულიად არ შეესაბამებოდა დაზვერვის რეალურ მონაცემებსა და შექმნილი მდგომარეობის შეფასებას. უყურადღებოდ რჩებოდა არამარტო ლოკალური სამხედრო თავდასხმები, არამედ მოსალოდნელი დიდი შემოსევებიც კი.

ამიტომ იყო რომ ხორეზმის შაჰის ჯალალ-ედ-დინის მრისხანე წერილი, რომელშიც იგი უსიტყვო მორჩილებას მოითხოვდა რუსუდანისაგან, დაცინვით მიიღეს და სამეფო კარმა სარკასტული პასუხი გასცა.

1225 წელს დაიწყო ხორეზმელთა უზარმაზარი არმიის ლაშქრობა საქართველოში. ჯალალ-ედ-დინმა, რომელმაც შესანიშნავად იცოდა დროის ფასი, რუსუდანს აღარ აცალა ჯარების შეკრება და განლაგება. იგი თავისი არმიით სწრაფად შემოიჭრა და ერთი დარტყმით გაანადგურა დვინის მხარე.

ალყაშემორტყმულ ქალაქ დვინთან არ დაყოვნებულა. დასტოვა იქ თავისი არმიის გარკვეული ნაწილი და მთელი ძალით შეუტია გარნისის ციხე-სიმაგრეს. აქ იგი პირველად შეხვდა ქართველთა ჯარების მეწინავე რაზმებს.

ხორეზმელთა 200 000-იანი არმია ციხესიმაგრე გარნისის კედლის მიღმა მდებარე უზარმაზარ ველზე განლაგდა. 60 000-იანმა ქართველმა ჯარმა კი ივანე მხარგრძელის სარდლობით მოპირდაპირე მხარეს მდებარე მთა დაიკავა.

მთელი ღამისა და მომდევნო დღის მანძილზე ორივე მხარის ჯარები ელოდნენ, რომელი დაიწყებდა არახელსაყრელ შეტევას, რადგან გაშლილ ველზე მთიდან დაშვება მტრის გაცილებით ჭარბი ძალების პირო-

ბებში უაზრობა იყო, ასევე არ აწყობდათ ხორეზმელებს მთის ციცაბოებსა და ღრანტებში ქართველების წინააღმდეგ ბრძოლა.

მაგრამ ჯალალ-ედ-დინი ჩქარობდა. მან განალაგა ცენტრში მძიმე ცხენოსანი ნაწილები, მარჯვნივ კი მშვილდოსნები. მეორე დღეს დილიდანვე დაიწყო შეტევა მარჯვენა ფრთაზე, რომელიც ქვეითთა ჯარისაგან შედგებოდა. მათთან შესაბრძოლებლად გაეშურა ქართველთა ჯარის მეწინავე ნაწილები ივანე და შალვა ახალციხელების სარდლობით. ქართველთა ჯარის ძირითადი ძალების უშუალო მხარდაჭერას მოწყვეტილი მეწინავე ნაწილები იმდენად მცირერიცხოვანნი იყვნენ, რომ თითქმის ჩაიკარგნენ შეტევაზე გამოსულ ხორეზმელებში. მათი არაერთი თხოვნა, მიშველებოდნენ, მხედართმთავარმა უყურადღებოდ დატოვა. ერთი მუჭა მამაცები გმირულად იბრძოდნენ ოსტატურად იგერიებდნენ უთვალავ მტერს.

განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ძმები ახალციხელები, რომლებსაც დაუხოცეს ცხენები და ქვეითად მანამდე იბრძოდნენ, სანამ ხმლები არ შემოაცვდათ. ერთი ძმა დაეცა, მეორე — შალვა მძიმედ დაიჭრა და ტყვედ ჩავარდა, იგი ხორეზმის შაჰს მიჰგვარეს. ჯალალ-ედ-დინი განცვიფრებული იყო მის თვალწინ ჩადენილი ძმების გმირობით.

ჯალალ-ედ-დინი იმდენად მოიხიბლა შალვა ახალციხელის შეუპოვრობითა და რაინდული შემართებით, რომ არა მარტო თავისუფლება მიანიჭა, ადარბადაგანის ქალაქების მმართველადაც კი დანიშნა. ყოველივე ეს, რასაკვირველია, საკუთარი ინტერესებისამებრ გამოიყენა, რაც ეწინააღმდეგებოდა ხორეზმ შაჰის ბარბაროსულ იდეას: „სისხლში და ცეცხლში უნდა მოისრას საქართველო — ქრისტიანობის დასაყრდენი და მაჰმადიანური მსოფლიოს მომსპობი".

ბრძოლა იმთავითვე ძალიან ცუდად წარიმართა, რამაც ერთბაშად 4000 ქართველი მეომარი შეიწირა. რა დაემართა ბრძოლებში სახელმოხვეჭილ და სახელგანთქმულ მხედართმთავარს ივანე მხარგრძელს, რომლის პირადი მაგალითი ყოველთვის აღაფრთოვანებდა მის მეომრებს და ასწავლიდა უმაღლესი ოსტატობით ბრძოლის წარმართვას ყველაზე მძიმე ვითარებაშიც? მან ბედის ანაბარად მიატოვა მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმული მეწინავე ნაწილები, თვითონ კი უბრძოლველად ძირითადი ძალებით თავი შეაფარა ბიჯნისის ციხესიმაგრეს, სადაც სულ მალე გარდაიცვალა, რადგან ვერ გადაიტანა თავისი შერცხვენა.

ძნელია გარნისის ბრძოლაში მხედართმთავარ ივანე მხარგრძელის საქციელის შეფასება, მაგრამ მას ალბათ, ძველებურად აღარც ხმალი

უჭრიდა და აღარც ჯარის გაძღოლა შეეძლო, შეუფერებელ ბრძოლასა და სარდლობას კი ის ცოცხალი თავით არ იკადრებდა.

პასიურმა და გაუბედავმა მოქმედებამ, ქართველთა ჯარის თავმოყრის ყოვლად გაუმართლებელმა შეყოვნებებმა და ძალების ფლანგებზე დაქსაქსვამ საშუალება მისცა ხორეზმელებს, სწრაფად გაენადგურებინათ ისინი და ძალები ოპერატიულად გადაესროლათ ალყაშემორტყმული დვინისაკენ და აეღოთ ქალაქი.

დაეუფლნენ რა ძირითად სტრატეგიულ პოზიციებს სასომხეთში, ხორეზმელები შემობრუნდნენ და ორი მიმართულებით დაიწყეს შეტევა თბილისისაკენ. სამეფო კარისათვის ეს სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა და დაბნეული რუსუდანი თავისი ამალითურთ სასწრაფოდ გაეშურა ქუთაისს.

ქართველთა ჯარის მთავარსარდლად ავაგ მხარგრძელი დაინიშნა.

ჯალალ-ედ-დინმა ავაგ მხარგრძელს შესთავაზა ვერაგული გეგმა: ომის შეწყვეტა და ზავის დადება, მონღოლთა წინააღმდეგ გაერთიანებული ძალებით საბრძოლველად. წინასწარ პირობად კი მოითხოვა რუსუდან მეფის ხელი, წინააღმდეგ შემთხვევაში მკაცრი ანგარიშსწორებით იმუქრებოდა.

წინადადება უარჰყვეს და დაიწყო ქართველთა მზადება ომისათვის ერთგული ოსების, ლეკებისა და ყივჩაღების თანადგომით.

ქართველთა ჯარის ნაწილი მდინარე ალგეთზე შეხვდა ხორეზმელთა უთვალავ არმიას და გაბედული დარტყმით უკუაგდო მათი მეწინავე რაზმები, მაგრამ ჯალალ-ედ-დინმა ხაფანგში შეიტყუა ქართველთა ჯარი და მდინარე ალგეთის ვიწრო ხეობაში ორივე ნაპირზე ჩასაფრებული ძალების მოულოდნელი დარტყმით ვერაგულად ამოხოცა ისინი. ქართველთა მხოლოდ მცირე ნაწილმა შესძლო ალყის გარღვევა. ალბათ, მაშინ დაიბადა გენიალური ქართული სიმღერა:

„კიდევაც დაიზრდებიან
ალგეთს ლეკები მგლისანი,
ისე არ ამოწყდებიან
ჯაერი შეჭამონ მტრისანი".

ხორეზმის შაჰი ძირითადი ძალებით მიადგა თბილისს. ციხე-სიმაგრის გარნიზონის ძლიერების შესამოწმებლად გამოჰყო 3 000 რჩეული მეომარი და ქალაქის შიგნიდან გასატეხად გააჩაღა აქტიური ჯაშუშური საქმიანობა. ამ საქმეში ქალაქის მრავალრიცხოვან მაჰმადიანურ მოსახლეობას ეყრდნობოდა.

მეფე რუსუდანმა ქალაქის დაცვა ძმებს ბოცო და მემნა ჯაყელებს

დააკისრა. ისინი ხორეზმელთა სამიათასიანი დაჯგუფების გამოჩენისთანავე ჯარის ნაწილით ციხე-სიმაგრიდან გამოვიდნენ და მტერს დაუყოვნებლივ ისეთი ძალითა და მოხერხებულად შეუტიეს, რომ მოამბე არ გაუშვიათ ცოცხალი.

ამრიგად, ბრძოლით დაზვერვამ და გარედან შეტევამ ჯალალ-ედდინს არ გაუმართლა. ციხე-სიმაგრის შიდა დაზვერვამ აცნობა ქალაქის მაჰმადიანური მოსახლეობის ნაწილის ორგანიზებული შეთქმულების ამბავი.

გამცემთა გეგმა ითვალისწინებდა ქალაქის ციხის განძის ალაყაფის ხელში ჩაგდებას, ხორეზმშაჰის ძირითადი ნაწილების ქალაქში შემოსაშვებად. გამცემლური ოპერაცია დაწვრილებით შეიმუშავეს და განძის ალაყაფის დამცველ მცირერიცხოვან ქართველ მეომრებს სრულიად მოულოდნელად დაესხნენ თავს. საქმეს ველარც ძმები ჯაყელების მოსვლამ უშველა, რომელთაგან ერთი — მემნა ადგილზე დაიღუპა, ბოცომ კი ძალთა ნაწილით შესძლო ისნის ციხე-სიმაგრისათვის შეეფარებინა თავი.

განრისხებული ჯალალ-ედ-დინი სასტიკად გაუსწორდა თბილისის მოსახლეობას. ამ დღეს 100 000 თბილისელი დაიღუპა. ამ ბარბაროს დამპყრობელს აცოფებდა ქართველთა უსაზღვრო ერთგულება ქრისტეს სარწმუნოებისადმი, რაც ვერავითარმა წამებამ ვერ შეარყია. დაუნდობლად ხოცავდა ქალებს, მოხუცებსა და ბავშვებს. რომელიღაც ისტორიკოსმა ჯალალ-ედ-დინს „გულადი მეომარი“ უწოდა. ეს მეომრის სახელის უაღრესი დამცირება და შეურაცხყოფაა. განა შეიძლება მეომარი ერქვას, ვინც ულმობლად უსწორდება და სასტიკად წამებს უსუსურ, უდანაშაულო ქალებსა და ბავშვებს?!

ამასთან, უნდა აღინიშნოს თბილისელი მოქალაქეების მასობრივი, საარაკო გმირობა და თავგანწირვა სარწმუნოებისათვის, რომლის შეცვლაც მათ მხეცურმა წამებამაც ვერ აიძულა. ერთადერთი, რასაც ჯალალ-ედ-დინმა მიაღწია იყო ის, რომ მაჰმადიანურ სამყაროში სახელი გაითქვა, როგორც ქრისტიანების შემმუსვრელმა.

ისტორიკოსები მიეჩვივნენ სამხედრო მოვლენებისა და პიროვნებების ოდითგანვე დადგენილ შეფასებათა განმეორებას, ისტორიული მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების თანამედროვე დონე კი მოითხოვს სამხედრო მოვლენების უფრო ღრმა ანალიზსა და პიროვნების შეფასებისადმი მკაცრ მიდგომას, ომის, ბრძოლისა თუ შეტაკებათა მართებულ განსაზღვრასა და გაგებას, რათა განვასხვავოთ ისინი შეიარაღებული ხალხის მიერ მშვიდობიანი მოსახელეობის დახოცვისაგან.

ასე მაგალითად, ქართველ მეომრებთან საბრძოლო შეტაკებაში ჯალალ-ედ-დინმა ქართველებს მიაყენა 2 პროცენტი დანაკარგი, 98 პროცენტის დანაკარგი კი შეადგინა უიარაღო მოსახლეობამ. რა სახის ომი და საბრძოლო მოქმედება უნდა ეწოდოს ისეთ ომს? როგორი შეიძლება სისხლისმსმელ მხეცს, ჯალათს „გულადი მეომარი" ან „უდიდესი მხედართმთავარი" ეწოდოს? ეს უბრალოდ, მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი გაჟლეტაა, როგორც ეს ჩაიდინა ასირიელმა სარგონმა ჩ. წ. აღ-მდე VII საუკუნეში, ანდა ჰიტლერმა ჩვენს დროში, მეორე მსოფლიო ომში დაღუპული 20 მილიონი ადამიანიდან 12 მილიონი მშვიდობიანი მცხოვრები იყო.

არც ერთი ქრისტიანული ქვეყანა არ ყოფილა ესოდენ დიდი ხნით მაჰმადიანთა სრულ გარემოცვაში, არც ერთ ერს არ გაუღია ასეთი დიდი მსხვერპლი თავისი სარწმუნოების შესანარჩუნებლად, არავის გადუტანია ისეთი მოწამეობრივი ტანჯვა-წვალება, როგორც საქართველოს.

ისნის ციხე-სიმაგრე განაგრძობდა მედგარ წინააღმდეგობას, ვიდრე დედოფლის არაერთი ბრძანებისამებრ ქართველებმა არ დასტოვეს იქაურობა გარნიზონიანად.

ხალხის დაუსრულებელი ხოცვა-ჟლეტა და რბევა-აწიოკებით აღშფოთებული მაჰმადიანი თბილისელები უკვე ნანობდნენ თავიანთ გამცემლობას.

თბილისის დაცემა საქართველოსათვის სამხედრო კატასტროფას მოასწავებდა. თბილისი ჯალალ-ედ-დინისათვის გახლდათ საიმედო დასაყრდენი პოზიცია, რაიც მას აძლევდა სტრატეგიულ ინიციატივას — ეძარცვა და დაენგრია საქართველოს სხვა კუთხეები. გამცემლობა გრძელდებოდა. ამჯერად რუსუდან დედოფლის ქმარმა მუღის-ედ-დინმა, რომელმაც ქრისტიანობა მიიღო დედოფალთან დაქორწინებისა და ქართულ სამეფო კართან დაახლოების მიზნით, უღალატა ქართველებს და ხორეზმ შაჰთან გაიქცა, შეწყალება სთხოვა და კვლავ მაჰმადიანურ სარწმუნოებას დაუბრუნდა. მან მისთვის ცნობილი ყველა სახელმწიფო საიდუმლო გასცა.

ფართო ხასიათის შეტევებმა ხორეზმელებს ძალა შემატა და მათ გადაწყვიტეს, ერთი დარტყმით აეღოთ ანისი და ყარსი, რაც ისევე, როგორც ხლათზე ლაშქრობა, მარცხით დამთავრდა.

ხორეზმ შაჰის მხეცობამ და მისი ჯარების ყაჩაღურმა მოქმედებამ უდიდესი სიძულვილი გამოიწვია არა მარტო ქრისტიანებს შორის, არამედ მაჰმადიანთა შორისაც. ხლათთან ჯალალ-ედ-დინის ჯარების

მარცხმა გააამხნევა ისინი და მზად იყვნენ ერთობლივი მოქმედებით განედევნათ დამპყრობლები.

თბილისელმა მაჰმადიანებმა თავიანთი დანაშაულის გამოსყიდვისა და ხორეზმელთაგან განთავისუფლების მიზნით თავისი სამსახური შესთავაზეს საქართველოს სამეფო კარს და დაუკავშირდნენ მის ჯარებს, რომელთაც 1226 წელს გაანთავისუფლეს თავიანთი დედაქალაქი. მერმე ქართველთა ჯარების მთავარსარდლობამ მოაწყო შორეული ლაშქრობები ციხე-ქალაქებზე კაბალასა და შაქზე, რომლებიც ხორეზმელებმა უბრძოლველად დატოვეს.

ხორეზმ შაჰმა კვლავ რამდენჯერმე სცადა მთელი თავისი ძალებით თავს დასხმოდა საქართველოს და 1227 წელს თბილისსაც კი მიადგა, რომლის გარნიზონს უბრძანა, უბრძოლველად დაეტოვებინა ქალაქი, წასვლისას კი ციხეები დაენგრია და გადაეწვა ქალაქი. 1227—28 წლების მიჯნაზე მოხდა ბოლნისის სისხლისმღვრელი ბრძოლა. რუმის, სირიისა და ხლატმის ჯარებმა ვერ მოსწრეს დაპირებისამებრ დახმარებოდნენ ქართველებს და ისინი მარტონი შეებრძოლნენ 40 000-იან ხორეზმელთა ჯარს. ბრძოლის დასაწყისში გაიმარჯვეს კიდეც, მაგრამ ახალი, დასვენებული ჯარების შემოტევას ველარ გაუძლეს და დამარცხება განიცადეს. თუმცა ხორეზმელებსაც ეს გამარჯვება დიდი მსხვერპლის ფასად დაუჯდათ.

ჯალალ-ედ-დინის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, მის საბრძანებელს მონღოლთა ურდოები შემოესივნენ, ის კი, ხალხისაგან მოძულებული, ერთი ქალაქიდან მეორისაკენ გარბოდა, და ბოლოს სულ მარტო დარჩა მთებში, სადაც ეს მძარცველთა და ყაჩაღთა მეფე მძარცველისავე ხელით მოკვდა.

ამ უმძიმეს პერიოდში, როდესაც საქართველოს უმთავრესი ოლქები და მისი ყმადნაფიცი ქვეყნები განადგურების პირას აღმოჩნდნენ, სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაცია კი მოიშალა და, ერთიან მმართველობას მოკლებული, ფეოდალურ სამფლობელოებად დაიქსაქსა, ქვეყანას თავს დაესხა სიძლიერის ზენიტში მყოფი მონღოლთა არმია, რომელმაც თავის გზაზე ყველა აზიურ და ევროპულ შეიარაღებულ ძალებს მოუღო ბოლო. არაორგანიზებულ, დაქსაქსულ ქართველთა ჯარს მონღოლთა უთვალავი ურდოებისათვის წინააღმდეგობის გაწევა, რასაკვირველია, აღარ შეეძლო. წინააღმდეგობის ცალკეული კერებიდან ხანდახან იფეთქებდა ხოლმე აჯანყება, მაგრამ მას საფუძველშივე ულმობლად ახშობდნენ დამპყრობლები.

მიუხედავად უმძიმესი ჟამისა, ქვეყანა ცოცხლობდა, დუღდა, იბრძო-

და, დამპყრობთა უღლისაგან განთავისუფლებასა და დავითისა და თამარის დროის დაბრუნებაზე ოცნებობდა.

ამ დროისათვის ქართველი ხალხისა და მისი არმიისათვის მძიმე გაკვეთილად იქცა ფეოდალთა მაღალი წრეების გამცემლობა და უამრავი დაღვრილი სისხლი, რასაც მოჰყვა არმიის დეზორგანიზაცია, ქვეყნის ერთიანი სახელმწიფოებრიობის მოშლა და თავდაცვისუნარიანობის დაკარგვა.

თუ ქართველთა „ოქროს ხანის", მისი სახელმწიფოებრიობის, ხელოვნებისა და კულტურის აყვავების ერთ-ერთ უმთავრეს საფუძველს ძლიერი, ერთიანი თავდაცვითი სისტემა წარმოადგენდა, შემდგომში მის დაშლას თან მოყვა არა მარტო სახელმწიფოებრიობისა და კულტურის დაცემა, არამედ შეუძლებელი გახდა დავითისა და თამარის დროს შექმნილი ყოველივე ძვირფასის შენარჩუნება.

მონღოლთა ურდოების შემოჭრა საქართველოში ფართო ფრონტით მიმდინარეობდა, აღმოსავლეთიდან თბილისის მიმართულებით.

მონღოლებმა ფაქტიურად უომრად ჩაიგდეს ხელში ციხე-ქალაქები: ბარდავი, განძა, შამქორი, გარდაბანი, მთელი ქვედა ქართლი, იმ ვარაუდით, რომ ლორეს ციხის, დმანისისა და სამშვილდის აღების მერმე შეექმნათ პირობები თბილისის ერთი დარტყმით აღებისა. ფაქტიურად მთელი აღმოსავლეთ საქართველოსა და თვით დედაქალაქ თბილისის დაცვას პრაქტიკულად აღარავინ ცდილობდა.

თვითონ მთავარსარდალმა ავაგ მხარგრძელმა თავის კაენის ციხეს შეაფარა თავი, თბილისის დაცვა კი მუხაისძეს დაავალა, რუსუდან დედოფლის ბრძანების თანახმად მას დმანისთან მონღოლთა გამოჩენისთანავე დედაქალაქიდან სამხედრო გარნიზონი უნდა გამოეყვანა, ქალაქი კი დაეწვა. მუხაისძემ ეს ბრძანება დიდი გულმოდგინებით შეასრულა. თბილისი ნაადრევად დატოვა, ქალაქი კი დედაბუდიანად ისე გადასწვა, რომ ცეცხლს მისცა ის ნაგებობანიც, რომელთა ხელყოფა სასტიკად ჰქონდა აკრძალული. ასე უომრად ჩაბარდა მტერს თბილისი.

ავაგ და შანშე მხარგრძელების მაგალითს, რომლებმაც საკუთარი მამულების შესანარჩუნებლად მონღოლთა ბატონობა უსიტყვოდ სცნეს, სხვა თავადებმაც მიბაძეს და სამხედრო მოქმედება შეწყდა.

სამხედრო დახმარებისათვის რომის პაპთან უშედეგო მიმართვის შემდეგ რუსუდან დედოფალი იძულებული გახდა მონღოლებთან დაედო კაბალური ხელშეკრულება, ეცნო მათი უმაღლესი ძალაუფლება და გადაეხადა ხარკი წლიურად 50 000 ოქროს რაოდენობით.

მონღოლთა სამხედრო სახელმწიფო წყობილების შესაბამისად ოკუ-

პირებული საქართველო 8 სამხედრო ოლქად (დუმანად) დაპყვეს.

შინაგანად დაქსაქსულ, დასუსტებულ საქართველოს ახლა ძველი მტრები თურქები შემოესივნენ. შამის სულთანმა შეაგროვა 60 000-იანი ჯარი და დაიძრა სამხრეთ საქართველოსკენ. ქართველთა მცირერიცხოვანი ჯარი ვალაშკერტთან შეხვდა თურქთა ორმაგად ჭარბ ძალებს და სასტიკად დაამარცხა. მერმე ტაოს მხრიდან უფრო მეტი ძალებით შემოიჭრა ერზინკის სულთანი. ბრძოლა მოხდა ვანის ტბასთან და 10 000-იანმა ქართველთა ლაშქარმა მთლიანად გაანადგურა თურქები. ასეთი სისხლიანი შეტაკებები ხდებოდა ქართველი ხალხის საყოველთაო უბედურების ფონზე.

საქვეყნოდ ცნობილ თათარ-მონღოლთა მძიმე უღელს არ შეიძლებოდა საქართველოში აჯანყებანი და შეთქმულებები არ გამოეწვია. დამპყრობელთა ძალმომრეობას ფეოდალებმაც ვეღარ გაუძლეს და ისტორიულად საქვეყნოდ ცნობილ კოხტისთავაზე შეიკრიბნენ მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყების მოწყობის ორგანიზატორები. შეთქმულება გასცეს. მისი ხელმძღვანელები შეიპყრეს და სასომხეთში გაგზავნეს მონღოლთა მხედართმთავართან, რომელმაც ბრძანა, გაეშიშვლებინათ ტყვეები, შეებორკათ, სხეულზე თაფლი წაესვათ და დაეყარათ თაკარა მზისგულზე, რათა სული ამოხდომოდათ აუტანელი სიცხითა და უ ვალავი სისხლისმწოველი მწერებისაგან. დატყვევებას შემთხვევით გადარჩენილმა შეთქმულების ერთ-ერთმა უმთავრესმა მონაწილემ ცოტნე დადიანმა, როგორც კი შეიტყო ამხანაგების უბედურებ , დაუყოვნებლივ გაეშურა სასომხეთის დედაქალაქ ანისში. ქალაქის მთავარ მოედანზე მან დაინახა, როგორ იტანდნენ წამებას უდრტვინველად და ვაჟკაცურად მისი ამხანაგები. ცოტნე ცხენიდან ჩამოხტა, ტანთ გაიხადა და ამხანაგებს გვერდით მიუჯდა.

მონღოლთა მხედართმთავარი გააოცა ცოტნე დადიანის კეთილშობილურმა საქციელმა, რომელმაც ასე მიმართა ნოინს: „ჩემი ამხანაგები უდანაშაულონი არიან, უდანაშაულოთა დასჯა თუ შეიძლება, დაე, მეც მათთან ერთად დავისაჯო". ცოტნეს ასეთმა თავისგანწირულმა საქციელმა ნოინი შეაფიქრიანა, დაეჭვდა გამცემთა სიმართლეში და მისი მეგობრები გაანთავისუფლა, ხოლო ცოტნე სახალხო გმირის სახელით შემოსა ჩვენმა ისტორიამ.

რუსუდანის სიკვდილის მერმე მონღოლთა ხელისუფლების სამხედრო სისტემა იმდენად გაძლიერდა, რომ ქვეყნის მმართველობა ფაქტიურად ხელში ჩაიგდეს მონღოლთა ერთგულმა დიდგვაროვანმა პირებმა, ერგასლან ბაკურციხელის მეთაურობით. ასეთი ვითარების წინააღმდეგ

აღდგა ქართველ დიდებულთა მთელი წრე. მონღოლებმა საქართველოს მეფედ დაამტკიცეს დავით VII (ულუ), მმართველად, ხოლო მის თანამოსაყდრედ დავით VI (ნარინი).

1254 წელს მონღოლებმა დაპყრობილ მიწებზე ჩაატარეს მოსახლეობის აღწერა. აღწერამ გამოავლინა საქართველოს სამეფოში მცხოვრები 5 მილიონი სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობა, რომელსაც მონღოლური გაანგარიშებისამებრ, 90-ათასიანი ჯარის გამოყვანა შეეძლო. სამხედრო ლაშქრობანი, დაპყრობილი ხალხებისა და ქართველებისთვისაც ეს დაუსრულებელ უბედურებად იქცა. ეს გაუთავებელი ხოცვა-ჟლეტა უამრავ ახალგაზრდა, ჯანსაღ მეომარს იწირავდა და მალე მათი რაოდენობა მკვეთრად შემცირდა. მძიმე სამხედრო ვალდებულება, ხარაჯა და ღალა, რასაც წმინდა მძარცველური ხასიათი ჰქონდა ყველა დაპყრობილ ქვეყანაში, მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებებს იწვევდა.

1259 წელს შიმშილითა და აუტანელი გადასახადებით განადგურებამდე მისული ქართველი ხალხი იარაღით ხელში აღდგა დავით ნარინის მეთაურობით.

მონღოლებმა სასწრაფოდ შეკრიბეს ჯარები არღუნის სარდლობით, რომელმაც მიუხედავად სისხლისმღვრელი სადამსჯელო ღონისძიებებისა, ვერ გატეხა ქართველთა წინააღმდეგობა და მაშველი ძალა ითხოვა. დამპყრობლებსა და ქართველთა შორის ბრძოლები გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა და ძალზე გაჭიანურდა.

1260 წელს აჯანყება წამოიწყო დავით ულუმ, რომელიც სამცხეს ეყრდნობოდა 8000-მდე მეომრით.

მან ვერ გამოიყენა სამცხის რელიეფი, მისი მთიანი მიუვალი ადგილმდებარეობა და თავად გამოვიდა სოფელ ახალდაბასთან ღია ველზე მონღოლთა უამრავი ძალების წინააღმდეგ და დამარცხდა კიდეც სასტიკად.

მონღოლები ულმობლად გაუსწორდნენ მოსახლეობას, მაგრამ ვერც ციხისჯვარი აიღეს, ვერც დავით ულუ ჩაიგდეს ხელში და თავადაც მძიმე დარტყმები იგემეს აჯანყებულთაგან. ულუმაც ბოლოს იმერეთს შეაფარა თავი, სადაც ორი მეფე შეხვდა ერთმანეთს. მათ ასწონ-დასწონეს ერთმანეთისაგან იზოლირებული თავიანთი მოქმედება და მიუხედავად მათ შორის არსებული შინაგანი წინააღმდეგობებისა, გაერთიანდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ.

დავით ულუს სიკვდილის შემდეგ ვერც დავით ნარინმა, ვერც მომდევნო მმართველებმა ვერ შეძლეს შინაფეოდალურ განხეთქილებათა დაძლევა და ქვეყნის ინტერესების დასაცავად ერთობლივი მოქმედების

მიღწევა. დავით ნარინმა რამდენჯერმე დალაშქრა ტრაპეზუნტი იქ საქართველოს ხელისუფლების აღსადგენად. 1282 წელს მან შესძლო ტრაპეზუნტის უმეტესი ნაწილის განთავისუფლება, გარდა მისი დედაქალაქისა, მაგრამ ვერ შესძლო იქ გამაგრება. 1285 წელს ტრაპეზუნტის მეფის დამ, თეოდორამ ქართველი ჯარის დახმარებით შესძლო ტახტის ხელში ჩაგდება, მაგრამ ესეც დროებითი აღმოჩნდა.

თათარ-მონღოლთა მბრძანებლებს თავიანთი ინტერესების დასაცავად ქართველთა ჯარები ერთობლივად თუ ცალ-ცალკე გაჰყავდათ ახლო და შორეულ ლაშქრობებში, თვით ეგვიპტეშიც კი. აღსანიშნავია მონღოლთა ძალებთან ერთად დემეტრე II-ის სარდლობით ქართველთა 3-ათასიანი რაზმის იძულებითი მონაწილეობა 1277 წელს ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ ომში, სადაც ძირითადად საქართველოდან წაყვანილი მეომრები შეეჯახნენ თავიანთი შთამომავლობის ხალხს, რომელთაც არამარტო საბრძოლო თვისებები, თვით ბრძოლის წარმართვის ხერხებიც მშობლიური ჰქონდათ. ქართველებმა გაანადგურეს მათი ჯარები. ყველაზე მეტი დანაკარგი მთავარი დარტყმის მიმართულებით განლაგებულმა ქართველებმა განიცადეს.

1281 წელს ქართველმა ჯარებმა მონღოლთა ლაშქრობაში კვლავ მიიღეს იძულებითი მონაწილეობა ეგვიპტის წინააღმდეგ. აქ მეფე დემეტრეს მეთაურობით 200-კაციანმა რაზმმა ეგვიპტელთა უზარმაზარი ძალების წინააღმდეგ ბრძოლის ისეთი მაღალი ხელოვნება გამოამჟღავნა, რომ მონღოლები შურით შეჰყურებდნენ ქართველ მეომრებს.

ხელჩართული ბრძოლის წარმოების მაღალი ხელოვნება სრულიადაც არ მიეწერებოდა ქართველთა მისწრაფებას — თავი გამოეჩინათ საძულველი მონღოლების წინაშე, უბრალოდ სხვანაირი ბრძოლა მათ არც იცოდნენ და არც შეეძლოთ.

ქართველებისათვის ამ უცხო ომში ძირითადი ამოცანა მათ ეკისრებოდათ და მთავარი დარტყმაც ეგვიპტელებს მათ მიეყენეს, მაგრამ თვითონაც 4 000 კაცი დაკარგეს, ხოლო დემეტრე II-ს თავისი 200 კაციანი რაზმიდან მხოლოდ 3 კაციღა შემორჩა. თვითონ მას ცხენი მოუკლეს და ალყას ძლივს დააღწია თავი.

დემეტრე II, რომელმაც მრავალ ბრძოლაში აღაფრთოვანა მონღოლები, სიკვდილით დასაჯეს. ქართველთა მეფე ნებაყოფილობით გაემგზავრა მონღოლთა რეზიდენციაში, რათა ამით თავიდან აეცილებინა განადგურება თავისი ქვეყნისა და ხალხისათვის. იგი 29 წლისა შეეწირა სამშობლოს როგორც მეომარი და თავდადებული გმირი. მან სიცოცხლე გასწირა იმისათვის, რომ მონღოლთა შემოსევა აეცილებინა ქვეყნისათ-

ვის, რაც ქართველთა მორიგ მსხვერპლს, წამებასა და ძარცვას მოასწავებდა. მადლიერმა მშობლიურმა ხალხმა, საქართველოს ისტორიამ მას „თავდადებული" უწოდა.

* * *

ვახტანგ III-მ გამეფებამდე და მის შემდეგაც დრო სულ ლაშქრობებში — ეგვიპტესა და სირიაში გაატარა. მონღოლთა ოკუპაციის დროს არ წყდებოდა საომარი მოქმედება ქვეყნის შიგნით, ერთმანეთის მოქიშპე თათარ-მონღოლ მძარცველთა შორისაც, ასევე ძალდატანებით მობილიზებულ ქართველთა გამოც. ეს მონაკვეთი მონღოლთა, და არა ქართველთა სამხედრო ისტორიად უნდა მივიჩნიოთ. აღსანიშნავია, რომ ასზე მეტი წლის მანძილზე მონღოლები ქართველების ც კიანთ მხარეზე გადასაბირებლად ძალმომრეობისა და მოსყიდვის ძრავალ ხერხს იყენებდნენ. ხალხს სააშკარაოზე გამოჰყავდა და საჯაროდ წყევლა-კრულვას უთვლიდა შინაგამცემთ. ასეთი საძულველი მოღალატე იყო კახაბერ კახაბერის ძე, რომელიც რამდენჯერმე წარუძღვა მტერს ქუთაისის დასანგრევად და გასაძარცვად.

საქართველო დაუსრულებელ სისხლისმღვრელ საომარ მოქმედებათა არენად იქცა. მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა ფეოდალური დაქსაქსულობა და მრავალმეფიანობა. სახელმწიფო სრული დაცემის პირას იდგა. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის მკვეთრი დაცემით ისარგებლეს თურქებმა, ბიზანტიელებმა და სხვა მეზობელმა ტომებმა, რომლებიც ცდილობდნენ თავიანთ შორის გაენაწილებინათ საქართველო.

მაგრამ ქართველმა ხალხმა შესძლო გადაეტანა მონღოლთა საუკუნოვანი ბატონობა. ნაწილ-ნაწილ დაშლილმა მისმა შეიარაღებულმა ძალებმა მრავალრიცხოვან აჯანყებებსა და შორეულ ლაშქრობებში, მრავალგვარ კლიმატურ თუ გეოგრაფიულ პირობებში, ნაირგვარი შეიარაღებისა და სამხედრო მომზადების მქონე არმიებთან დიდი საბრძოლო გამოცდილება დააგროვა. თუ XIV საუკუნისათვის მონღოლთა არმია მძარცველური ომების შედეგად გაიხრწნა, ქართველთა ჯარმა მაინც შეინარჩუნა ბრძოლისუნარიანობა მტრისაგან სამშობლოს განთავისუფლების კეთილშობილური მორალური ფაქტორით, რაც თითოეულ მეომარში ცოცხლობდა. შემცირდა საქართველოში მონღოლთა ჯარების რაოდენობა, დაახლოებით 10 ათას მეომრამდე, რომლებიც მთელ ქვეყანაში და მისი საზღვრების გასწვრივ იყვნენ გაბნეულნი.

ახლოვდებოდა თათარ-მონღოლთა ბატონობის გარდაუვალი დასას-

რული, რასაც ხელს უწყობდა გიორგი V-ის გონივრული საგარეო და საშინაო პოლიტიკა. იგი ტახტზე 1314 წელს ავიდა.

დავით აღმაშენებლის მსგავსად გიორგი V თანმიმდევრულად წყვეტდა საქართველოს გაერთიანებისა და აღორძინებისათვის უმთავრეს სამხედრო ამოცანებს. უპირველეს ყოვლისა, მან ქართლი დაიცვა ოვსთა გაუთავებელი შემოსევებისაგან და 3 წლის განმავლობაში გაათავისუფლა გორის ციხე და მთელი ქართლი.

უფრო რთულ სამხედრო-პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენდა საკუთარ მამულებსა და ციხეებში ჩაკეტილი, მონღოლთა მხარდაჭერით გათამამებული ურჩი ფეოდალების ალაგმვა.

გიორგი V-მ კახეთის, ჰერეთის, სომხეთის ერისთავები შეკრიბა თელავთან ახლოს, ცივის მთაზე და სიკვდილით დასაჯა მოღალატე ფეოდალები, სამფლობელოები კი ჩამოართვა, მერმე ქართლ-კახეთს იმერეთიცა და სამცხეც შეუერთა, ამრიგად, აღადგინა საქართველოს სახელმწიფოს ერთიანობა.

საქართველოს გაერთიანებამ და მონღოლთა უღლისაგან განთავისუფლებამ გიორგის ერთ-ერთი მთავარი მორიგი სტრატეგიული ამოცანის — ტრაპეზუნტის სამეფოში საქართველოს ხელისუფლების აღდგენისა და საზღვრების გამაგრების საშუალება მისცა, რამაც აამაღლა ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟი.

1341 წელს ქართველთა ჯარებმა განდევნეს ტრაპეზუნტში შეჭრილი თურქები. საქართველოს ძველი საბრძოლო დიდების აღდგენისა და საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლების გამო გიორგი ხალხმა „ბრწყინვალეს“ წოდებით შემოსა.

თურაოდენ ფართოდ იყო აღიარებული გიორგი ბრწყინვალის სახელი და გავლენა საერთაშორისო არენაზე, ეს ჩანს ეგვიპტის მამელუქთა სულთნის მიერ გიორგისადმი მიწერილი წერილიდან: „ალაჰმა დღეგრძელჰყოს ბრწყინვალება სახელოვანი მისი უდიდებულესობა მეფისა, დიდებულისა, გულადისა, უშიშარისა, ძლიერისა, მხარმოუღლელი მეომრისა, ლომისა, ტახტისა და გვირგვინის მფლობელისა, სარწმუნოების გუშაგისა, ქვეშევრდომთა მიმართ სამართლიანისა, მეფეთა უპირველესისა... იესოს სარწმუნოების ბურჯისა, მაჰმადიანთა მეგობრისა, მეგობართა შორის უკეთესისა, მეფეთა და სულთანთა უგულწრფელესი მეგობრისა“...

საქართველოს სამხედრო ისტორიაში ერთ-ერთ უმძიმეს პერიოდს წარმოადგენს თემურ-ლენგის გამანადგურებელი შემოსევები საქართველოში.

ჩინგიზ ყაენიდან დაწყებული ველურობა, სისხლისმსმელობა და ხალხთა ულმობელი ჟლეტა თავის აპოგეას თემურ-ლენგთან აღწევს. ჩინგიზ ყაენიდან იწყება და თემურ-ლენგთან ღებულობს ჭეშმარიტად კოშმარულ ხასიათს გლობალური ხოცვა-ჯლეტა, რომელიც ომის ცნების ყოველგვარ საზღვარს სცილდება. ეს იყო შეიარაღებულ ძალებთან შედარებით წარმოუდგენლად დიდი რაოდენობის ქალების, ბავშვებისა და მოხუცების ტოტალური მოსპობა.

შეიარაღებული ბრძოლა, როგორც ომის ძირითადი საფუძველი, აქ მთლიანად დეფორმირებულია და მას, როგორც ხალხთა ყოვლისმომცველ, თვითმიზნურ განადგურებას, სტრატეგიასა და სამხედრო ხელოვნებასთან საერთო არაფერი აქვს, თუ სამხედრო ხელოვნების ელემენტად მივიჩნევთ ცხენოსანთა და ქვეითთა ჯარების უზარმაზარი ველური მასების დამრთგუნავ ძალას.

მიუხედავად იმისა, რომ თემურ-ლენგმა შესძლო მთელი შუა აზიის, ინდოეთის, ირანის, მესოპოტამიის, თურქეთის, „ოქროს ურდოს“ სამფლობელოებისა და სხვა მიწების დაპყრობა, ეს ყოვლისმომსპობი ლაშქრობები არ შეიძლება მივიჩნიოთ სამხედრო ხელოვნების თუნდაც რაიმე ახალ გამოვლინებად და ფორმად. თემურ-ლენგის სამხედრო მოქმედებათა უშუალო შედეგები — მასობრივი მკვლელობანი, ძარცვა-რბევა, ხანძრები, გადამწვარი მიწები, უზარმაზარი სიცოცხლეჩამკვდარი ტერიტორიები საომარი აუცილებლობით როდი იყო გამოწვეული.

1386 წლის შემოდგომაზე თემურ-ლენგის ურდოები შეიჭრნენ სასომხეთში, ცეცხლითა და მახვილით ყველაფერი ძირფესვიანად მოსწუვიტეს და მოაოხრეს ველებსა, ხეობებსა და მთებში, მიწასთან გაასწორეს ციხე-სიმაგრეები გარნისი, ყარსი, მთელი ჯავახეთი, მიადგნენ თბილისს და 21 ნოემბერს შეეცადნენ ქალაქის იერიშით აღებას.

თავისი მხედართმთავრული ნიჭით ცნობილმა ბაგრატ V-მ შეიმუშავა მტრის განადგურების მიზნით ყველა ციხე-სიმაგრისა და ადგილმდებარეობის თავდაცვითი უპირატესობის თავისებურებათა გამოყენების სტრატეგიული გეგმა. შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, ციხე-სიმაგრეთა გარნიზონების აქტიური თავდაცვა შერწყმული უნდა ყოფილიყო კონტრდარტყმებთან და კონტრშეტევებთან.

თბილისზე პირველივე შტურმის დროს ბაგრატი თვითონ ჩაუდგა სათავეში კონტრდამრტყმელ ჯგუფს და პირისპირ ბრძოლაში დაამარცხა და დიდი დანაკლისით უკუაგდო თემურ-ლენგის ჯარები. მაგრამ იცოდა რა მათი საომარი ვერაგობის — ხაფანგის მოწყობის ამბავი,

მთავარ ძალებზე მოულოდნელი თავდასხმის თავიდან აცილების მიზნით, უკან არ დადევნებია.

მეორე დღეს თვითონ თემურ-ლენგი ჩაუდგა სათავეში მოიერიშეებს. ბაგრატ მეფე კვლავ გამოეგება მათ და სისხლიმღვრელ ბრძოლაში აიძულა მტერი დიდი დანაკლისით უკან დაეხია, თვითონ კი ისევ ქალაქის სიმაგრეში შებრუნდა.

თბილისის შტურმით აღების მომდევნო ცდებიც ჩაიშალა და თემურ ლენგი იძულებული გახდა, პირდაპირ იერიშზე ხელი აეღო და ქალაქს ალყა შემოარტყა. გამოიყენეს საინჟინრო ტექნიკა, მოიტანეს ლოდსატყორცნები და განალაგეს ციხესიმაგრესთან, მაგრამ დიდი ცოცხალი ძალისა და საომარი ტექნიკის მიუხედავად მტერმა კვლავ დიდი დანაკარგი განიცადა. ქალაქის დამცველთა ეფექტური დარტყმებისაგან თავდაცვის მიზნით ბოლოს დაწნეს გოდრები, შემდეგ კი რკინის ბადეები, რომლებიც იფარეს ყოველი მხრიდან შეტევის დროს და ამრიგად შეაღწიეს ციხესიმაგრის კედლებში.

ველურმა ღრიალმა, დოლების ბრახუნმა და სასიკვდილოდ განწირულთა კივილმა აავსო ქალაქი. ბაგრატმა თავის ამალასთან ერთად მთავარი ციხესიმაგრისაკენ ბრძოლით დაიხია, რომლის ბედიც უკვე გადაწყვეტილი იყო. ამიტომ დანებებაზე უარის თქმა ეხლა უკვე უაზრობა იქნებოდა. მერმე თემურ-ლენგი დიდხანს ცდილობდა დაეყოლიებინა ბაგრატ მეფე, მიეღო მაჰმადიანური სარწმუნოება. ბაგრატმა ასწონ-დასწონა შექმნილი ვითარება, იცოდა მისი უარი დიდ უბედურებას მოუტანდა ქართველ ხალხს და ბოლოს დათანხმდა უარეყო ქრისტიანობა და ირწმუნა ისლამი.

თემურ-ლენგის ვარაუდი აშკარა იყო. ის ქრისტიანული სარწმუნოების ხალხთან პირველსავე ბრძოლაში მიხვდა, რაოდენ რთული და ძნელი იყო მათი მოდრეკა და სრული დამორჩილება.

ქართველი ხალხის ქრისტიანული სარწმუნოებისადმი მტკიცე ერთგულებამ და სამშობლოს თავისუფლებისათვის საარაკო თავდადებამ აუხდენელი გახადა თემურ-ლენგის ოცნება: ვერც ველური ძალმომრეობით, ვერც მხეცობითა და დაშინებით ვერ დაიმორჩილა ქართველობა. ამიტომ ახლა მეფისა და მისი ამალის გამაჰმადიანების საშუალებით ცდილობდა მიეღწია თავისი ვერაგული ზრახვებისათვის.

თავის მხრივ, ბაგრატმა, რომლისთვისაც ცხადი იყო თემურ-ლენგის გეგმები, სთხოვა თავისი ოჯახისა და ამალის ტყვეობიდან განთავისუფლება და საქართველოში დაბრუნება, თან განუმარტა — მთავარი გეგმის — ქართველთა გამაჰმადიანების უზრუნველსაყოფად მნიშვნე-

ლოვანი სამხედრო ძალებია საჭიროო. თემურ-ლენგს შეთავაზებული ზინადადება აწყობდა, მით უმეტეს, რომ თვით ქართველთა მეფე მისი საომარი მანქანის კონტროლის ქვეშ აღმოჩნდებოდა. მან ბაგრატ მეფეს 12000 მეომარი გამოაყოლა და ისიც ოჯახითა და ამალითურთ გამოეშურა სამშობლოსაკენ.

თანმხლები მტრის ლაშქრის განადგურების საიდუმლო გეგმა ბაგრატმა თავის ერთგულ აზნაურს ეგნატაშვილს გაანდო. თავისი ძის — გიორგისადმი მიწერილ წერილში ბაგრატი ყურადღებას ამახვილებდა ადგილმდებარეობის საფუძვლიან შერჩევაზე მოწინააღმდეგის მეწინავე რაზმისა და ზურგის ნაწილების საიმედოდ ჩაკეტვის მიზნით.

ყველაფერი ზუსტად შესრულდა, ბაგრატმა თანმხლები მტრის ჯარი ვიწრო ხეობაში შეიყვანა, სადაც გიორგის მიერ ორგანიზებულმა ქართველთა რაზმებმა ისინი ხმალდახმალ ბრძოლაში ერთიანად მოსრეს. ამ ამბავმა თემურ-ლენგი გააცოფა. მან 1387 წლის გაზაფხულზე თავისი მთავარი ძალებით გამოილაშქრა საქართველოზე. მას შეუერთდა საქართველოს მოღალატე შირვან-შაპის ძალები. ამრიგად, ბაგრატისა და გიორგის მიერ სასწრაფოდ შეკრებილ ქართველთა ჯარს ისინი რამდენჯერმე სჭარბობდნენ. ხალხი ვაკე ადგილებიდან მთებსა და ძნელად მისასვლელ ადგილებში გაიხიზნა. სასტიკ ბრძოლაში ქართველთა ჯარებმა შესძლეს პირველი ეშელონების დამარცხება, მაგრამ მტრის გადარჩენილი ნაწილები თავგანწირვით იბრძოდნენ, მათს უკან ცხენოსანთა ჯარის გზის გადამღობი საგანგებო რაზმი იდგა, რომელიც მზად იყო ყოველი უკანდახეული აეჩეხა.

თემურ-ლენგი თვითონ ჩაუდგა შეტევას სათავეში და დიდი დანაკარგის მიუხედავად ძალთა სიჭარბემ გამარჯვების სასწორი თავდამსხმელებისაკენ გადახარა. დაიწყო თემურ-ლენგის ურდოებისათვის დამახასიათებელი ძარცვა, ნგრევა და აწიოკება. საბედნიეროდ, ხალხის დიდმა ნაწილმა მოასწრო მთებში თავის შეფარება, სადაც მდევრის ხელი ძნელად მისწვდებოდა. მათ შებილწეს ეკლესიები, ღვთისმსახურნი მონასტრებში გამოწვეს და ნაძარცვი ალაფით უკან გაბრუნდნენ.

1393 წელს თემურ ლენგი 40 000-იანი ჯარით შემოიჭრა საქართველოს ტერიტორიაზე და შეუპოვარი წინააღმდეგობების გადალახვის შემდეგ მოსრა სამცხე, ყარსის მხარე, კოდა, დაანგრია და გადაწვა ახალციხე და სხვა ციხე-სიმაგრეები. მთელ ოკუპირებულ ტერიტორიაზე შეუნელებელი წინააღმდეგობის გამო თემურ-ლენგის ძირითადი ძალები იძულებული გახდნენ, საქართველო დაეტოვებინათ.

1394 წელს თემურ-ლენგი ისევ დაესხა თავს საქართველოს და ზუს-

ტად გამიზნული გეზით წარმართა თავისი ჯარები. მას სურდა არაგვის ხეობის გავლით დაუფლებოდა დარიალის კარიბჭეს, რათა მერმე დარიალისა და საქართველოს გავლით ირანში შეჭრა დაესწრო „ოქროს ურდოს“ ჯარებისათვის.

მაგრამ მიღებული ცნობები სწორი არ აღმოჩნდ , სინამდვილეში „ოქროს ურდოს“ წინამძღოლმა ტოხტამიშმა დარტყმა დერბენტის მხრიდან განახორციელა. თავის მხრივ, ჩააბეს რა ამ ბრძოლაში მთელი თავიანთი ძირითადი ძალები, არაგველებმა ისეთი სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს მომხდურთ, რომ მათ ვერც დარიალის კარიბჭეში შეაღწიეს და ვერც დერბენტის გზით უკან დაბრუნებულ ტოხტამიშს წამოეწივნენ საძარცვით უზომოდ დატვირთული, ბრძოლის ველიდან გაჭირვებით გამოყვანილი თემურ-ლენგის ჯარები.

1398 წელს მეფე გიორგი VII სათავეში ჩაუდგა განმათავისუფლებელ მოძრაობას თემურ-ლენგის წინააღმდეგ, რომელიც მანამდე ინდოეთში შორეული ლაშქრობით იყო დაკავებული. ქართველთა ჯარები, ოვსთა ძალების მხარდაჭერით ახორციელებენ აქტიურ მოქმედებას. გიორგიმ აზერბაიჯანის მიმართულებით გაანადგურა მტრის შემხვედრი ჯარის მეწინავე ნაწილები, მერმე ნახჭევანში თავისი ჯარით მიადგა ალინჯის ძლიერ ციხე-სიმაგრეს, რომელსაც თემურ-ლენგის ჯარების რამდენიმე წლის ალყამ ვერაფერი დააკლო.

ციხე-სიმაგრეს იცავდა გმირული გარნიზონი თაჰერ ჯალაირიანის მეთაურობით, რომლის მამამ აჰმედმა თემურ-ლენგს მწარედ დასცინა: „თუმცა ომში მკლავმა უმტყუნა, სამაგიეროდ გაქცეულში კოჭლობამ ვერ შეუშალა ხელიო“. თემურ-ლენგი, როგორც ცნობილია, კოჭლი იყო, რასაც სპარსულად „ლენგი“ ჰქვია. ასე შეიქმნა მისი მეტსახელი „თემურ-ლენგი“.

სწრაფი შეტევით ქართველთა ჯარებმა გაანადგურეს მოალყე ჯარები და ციხე-სიმაგრე გაანთავისუფლეს.

ეს თემურ-ლენგის მოწინააღმდეგე ძალების დიდი გამარჯვება იყო, რასაც ადგილზე შემდგომში მისი ჯარების სრული განადგურება მოჰყვა.

დანიშნა რა თავისი სანდო კაცი ალინჯის ციხის გარნიზონის უფროსად, მეფე გიორგი გმირ ქურთ მხედართმთავართან თაჰერ ჯალაირიანთან ერთად საქართველოში დაბრუნდა.

თემურ-ლენგმა გადაწყვიტა, ერთხელ და სამუდამოდ მოეღო ბოლო საქართველოსა და ქართველი ხალხისათვის, მიწასთან გაესწორებინა მათი საცხოვრებელი, მონასტრები და ყოველი თავდაცვითი ნაგებობა.

აეჩეხა და ამოეძირკვა ვენახები და ბაღები, გადაეწვა მინდვრები და ტყის მასივები.

ეს იყო გენოციდი თავისი ადრეული გამოვლინებით.

ერთხელ თემურ-ლენგმა ხორეზმის დედაქალაქი ურგენჩი დაანგრია და უდაბნოდ ქცეულ ნაქალაქარზე შერია დათესა. ამჯერად კი მან შეიმუშავა საქართველოს უმდიდრესი მხარეების—კახეთისა და ჰერეთის განადგურება, რისთვისაც 1399 წლის შემოდგომაზე თავისი აურაცხელი ძალები ყარაბახში განალაგა. შურისძიების წყურვილით ატანილი თემურ-ლენგი ველური შეუპოვრობითა და დაჟინებით ულტდა ადამიანებს, სწვავდა მათს საცხოვრებელს, სისხლით რწყავდა ნაადრევი თოვლით დაფარულ მიწას.

კახეთისა და ჰერეთის მმართველი ხიმშია თავისი მცირერიცხოვანი ძალებით მომხდურთა მრავალრიცხოვან ძალებთან უთანასწორო ბრძოლაში ჩაება.

სისხლისმღვრელი ბრძოლები მანევრული ხასიათისა იყო. იმისათვის, რომ მთელი ძალები განადგურების საფრთხის ქვეშ არ დაეყენებინა, ხიმშიამ ხელსაყრელ პოზიციებზე რამდენიმე ღია ბრძოლის შემდეგ საომარი მოქმედება მცირერიცხოვანი ჩასაფრებული ჯგუფების გამოყენებით, მთებსა და თავდაცვით ნაგებობებში გადაიტანა. კახეთისა და ჰერეთის დაპყრობის თ მურლენგისეული ორკვირიანი ელვისებური გეგმა ძალზე გაჭიანურდა. აგრესორებს სულ უფრო აკლდებოდათ ძალები ხიმშიას მიერ კარგად ორგანიზებული დაუსრულებელი თავდასხმებისაგან. ამასთან მკაცრი ზამთარიც ზედ დაერთო. ცხენები და ადამიანები ხის ქერქითღა იკვებებოდნენ, რადგან გარშემო ყველაფერი იავარქმნილი და გადამწვარი იყო.

ამრიგად, მომხდურებმა მიუხედავად უკიდურესი ბარბაროსული ღონისძიებებისა, ვერ შეძლეს ქართველი ხალხის ძალისა და ნებისყოფის შერყევა. თემურ-ლენგის ურდოები იძულებული გახდნენ, კახეთი და ჰერეთი დაეტოვებინათ.

1400 წელს თემურ-ლენგის საქართველოში შემოჭრის საბაბი გახდა გიორგი მეფის კატეგორული უარი ალინჯის გმირის თაჰერ ჯალაირიანის მისთვის გადაცემის თაობაზე.

წინასწარ იცოდა რა, რომ გიორგი არასოდეს უღალატებდა ქართველთა მეომრული მეგობრობის პრინციპებს და თაჰერს არავითარ შემთხვევაში არ გასცემდა, თემურ-ლენგი უარს არც დალოდებია, და საქართველოსაკენ დაიძრა. გიორგი კი სასწრაფოდ შეუდგა საომარ მზადებას. მეტად საინტერესოა გიორგის თემურ-ლენგისადმი მიწერილი წე-

რილის ნაწყვეტები: „შენ იმდენიც კი არ გცოდნია, რომ ქართველები შეფარებულ-შევდრომილ კაცს მტერს არ დაანებებენ...ამდენი ბოროტება ჩაგიდენია და ვერ გაძეხი ჩვენი სისხლით. ბევრჯერ გიხილავს და შენმა ჯარებმაც კარგად იციან ომში ქართველთა ნაცადი მხედრობის ძალა. თუმცა შენი ძალების სიმრავლით ბევრი უბედურება მოგიტანია ჩვენთვის, მაგრამ უენებლად ვერც შენ წასულხარ ჩვენგან".

გიორგიმ ძირფესვიანად შეცვალა თემურ-ლენგთან ომის სტრატეგიული და ტაქტიკური გეგმები. ითვალისწინებდა რა მის მიერ ომის წარმოებისას ხალხის მასობრივი წამებისა და ჟლეტის ბარბაროსულ მეთოდებს, ქართველთა მეფემ პირველ რიგში მშვიდობიანი მოსახლეობა მთებში, ტყეებსა და ყველაზე ძნელმისადგომ ადგილებში გახიზნა, ბუნებრივი გამოქვაბულებისა და ვარძს მაგლითისამებრ, შეუდგა ხელოვნური კლდოვანი ქალაქებისა და დასახლებათა შექმნას.

უკვე საყოველთაოდ იყო ცნობილი, რომ თემურ-ლენგი მოწინააღმდეგეს რიცხობრივი სიჭარბით ამარცხებდა, თრგუნავდა მოწინააღმდეგეს ველური მეომრების მასით, რომელთა დისციპლინას ყოველთვის ყოველგვარ საზღვარს გადასული სიმკაცრე ედო საფუძვლად. მთელი მცირერიცხოვანი ქართველთა ჯარების დაპირისპირება მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგესთან, რაც გამოიწვევდა დიდ დანაკარგს, თუნდაც ხუთჯერ მეტი ზარალი მიეყენებინათ მტრისთვის, დაუშვებელი იყო. უნდა გადაერჩინათ ხალხი, რათა შეენარჩუნებინათ არმია და მოემზადებინათ არა გენერალური ბრძოლისათვის, არამედ მტერზე მრავალრიცხოვანი, ცალკეული თავდახსმებისათვის, ესარგებლათ თავდაცვისათვის ხელსაყრელი სამთო პირობებით, მთელ ქვეყანაში ციხე-სიმაგრეთა სისტემებით. განუწყვეტელი კონტრშეტევებისა და კონტრდარტყმების საშუალებით დაექანცათ და სისხლისაგან დაეცალათ მტერი. ამრიგად, თემურ-ლენგს დაუპირისპირდა სამთო ომის სტრატეგია, მოსახლეობის გახიზვნისათვის დროის მოსაგებად კი ადგილი ჰქონდა რამდენიმე დემონსტრაციულ ბრძოლას, რამაც მოწინააღმდეგე აიძულა, ბანაკი დაეცა და თავისი ძალები გაეშალა. ძლიერი მეწინავე ეშელონი, რომელსაც, როგორც წესი, თემურ-ლენგი საომარი მოქმედების დასაწყისში გამოჰყოფდა ხოლმე, მთლიანად გაანადგურეს. ამის შემდეგ, როგორც ყოველთვის, თემურ-ლენგი ძირითადი ძალებით ქართველთა ჯარის დასალაშქარავად მოემზადა. მაგრამ მიღწეული წარმატების გაღრმავების ნაცვლად ქართველთა ჯარები მომხდურთა თვალწინ წინასწარ დაგეგმილი მიმართულებით გაიფანტნენ, გაუჩინარდნენ და საომარი მოქმედება, მტრისათვის სრულიად მოულოდნელად, საველე პირობე-

ბიდან ხანგრძლივ, სისხლისმღვრელ სამთო ომში გადაიზარდა, მთელი არაგვისპირეთის ხეობისა და მრავალრიცხოვანი მთის მასივების გაყოლებით, სადაც კლდეთა გამოქვაბულებში ჯარის გარდა მშვიდობიანი მოსახლეობაც იმალებოდა. თემურ-ლენგმა ბრძოლის ველზე თუ მთებში მიღებული დიდი დანაკლისი არაფრად ჩააგდო, მაგრამ მის ხელთ არსებული ყველა ხერხის გამოყენებითაც ვერ შესძლო ჯარისა და ხალხის გამოქვაბულებიდან გამოყვანა და, რაც მთავარია, ვერც მათი მეომრული სულისკვეთების გატეხა. სამთო ომში კიდევ უფრო გამოვლინდა ძლიერი, ამტანი და დაუღალავი ქართველი მეომრების უპირატესობა, საიდანაც ისინი მოულოდნელად ესხმოდნენ თავს მტერს.

დროთა განმავლობაში მტერი კლდეთა გამოქვაბულში ბრძოლასაც შეეგუა. ისინი წნავდნენ დიდ კალათებს, რომელთაც სხვადასხვა საშუალებებით მთის მწვერვალებიდან გამოქვაბულების შესასვლელისაკენ უშვებდნენ. ბრძოლა ჩვეულებრივ ისრების ორმხრივი სროლით იწყებოდა, მერმე კი მტრები ცეცხლმოკიდებული ისრებით ცდილობდნენ გამოქვაბულებში ხანძრის გაჩენასა და შიგ მყოფთა გამობუგვას. თემურლენგის ჯარები დიდ დანაკლისს განიცდიდნენ—ქართველები ჭრიდნენ თოკებს, აყირავებდნენ კალათებს.—გამწარებული მტერი უფრო გააფთრებით ესხმოდა თავს გამოქვაბულებს, რათა გაემართლებინათ თავიანთი ბელადის იმედები, რომელსაც ქართლის მოსპობა და, რაც მთავარია, მოუხელთებელი მეფის გიორგის ხელში ჩაგდება ეწადა. თემურლენგის ამ სისხლისმღვრელი შემოსევების დროს ბევრ გმირულ შეტაკებას ჰქონდა ადგილი. ქსნის ხეობაში, ბეხშვის ციხესთან ქართველმა მეომრებმა ვირშელ ერისთავის მეთაურობით მტერს ჯერ ისრების სეტყვა დააყარეს, მერმე კი ხელჩართულში იოლად სძლიეს.

შვიდი დღის განმავლობაში გმირულად იბრძოდა ძამის ციხეც. დამახასიათებელია მეფე გიორგის ბოლო ბრძოლაც. მას დასავლეთ საქართველოს გზაზე წამოეწივნენ მტრები, მაგრამ გაქცევის ნაცვლად გიორგიმ თავისი მცირერიცხოვანი რაზმით მტერს ისეთი ბრძოლა გაუმართა, რომ მდევართაგან თემურ-ლენგის ბანაკში ამბის თითო-ოროლა მიმტანიღა დაბრუნდა.

ამ პატარა ერის მოსპობის ყველა გეგმა ჩაეფუშა მსოფლიოს დამპყრობელს, რაც მის გააფთრებას იწვევდა. ამიტომ სრულიად ფორმალური ხასიათი ჰქონდა გიორგისა და თემურ-ლენგს შორის 1400 წელს მშვიდობიან შეთანხმებას, რომლის ძალითაც საქართველოს ხარკი უნდა ეხადა და ომიანობის დროს ჯარიც კი უნდა გამოეყვანა მისთვის.

1401 წელს თემურ-ლენგმა უზარმაზარი შეიარაღებული არმია

შეჰქმნა ხუთი მხედართმთავრის სარდლობით და მათ ბოლოსდაბოლოს შესძლეს ალინჯის ციხის აღება.

თემურ-ლენგის ჯარების შესახვედრად მეფე გიორგიმ ელჩები გაგზავნა, რომელთაც მათ სამშვიდობო ხელშეკრულების დადება შესთავაზეს. ეს ხელშეკრულება მეფე გიორგის თემურ-ლენგის წინაშე ხლების აუცილებლობასაც ითვალისწინებდა. თემურ-ლენგს ძლიერ გაეხარდა მოუხელთებელი და დაუმორჩილებელი ქვეყნის ქედის მოხრა და ბრძანა, ჯარის მიზნისა და მიმართულების შეცვლა. ტაოსკენ გავლისას თორთუმის ციხეში ჩასაფრებული ორასი ქართველი ხუთი დღის განმავლობაში უწევდა წინააღმდეგობას ოცდახუთიათას თავდამსხმელს. თითოეული მათგანის სიცოცხლე მტერს ათზე მეტ მოკლულ მეომრად დაუჯდა.

1403 წელს მეფე გიორგის გამოუცხადებლობისა და ხარკის გადაუხდელობის მიზეზით თემურ-ლენგმა გადაწყვიტა, მოსაველის აღების ჟამამდე მთელი თავისი ძალებით შემოჭრილიყო საქართველოში. გიორგიმ მოასწრო მოსაველის ნაწილის აღება და თავისი ქონებითურთ მოსახლეობა მთებში, გამოქვაბულებსა და ტყეებში გახიზნა. თემურ-ლენგმა დიდი მსხვერპლის ფასად იავარჰყო და მოსრა ქართლი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბირთვისის ციხისათვის ბრძოლა უამრავ მომხდურსა და ლუარსაბ თორელის მეთაურობით ციხის დამცველ 180 მეომარს შორის, რომელნიც სიმაგრეში თავიანთი ოჯახებით იმყოფებოდნენ.

ციხე თავისი ბუნებრივი პირობებით მიუდგომელი იყო, ორი ღრმა ხეობიდან აზიდულ ვერტიკალურ კლდეზე აგებული, რომლისკენაც მხოლოდ ერთი ვიწრო ბილიკი გადიოდა. რამდენიმე უშედეგო ცდის შემდეგ, დარწმუნდნენ ციხის მიუდგომლობაში და თემურ-ლენგს სთხოვეს თვითონ ეთავა ციხის აღება.

თემურ-ლენგის ჯარები დღითა და ღამით მუშაობდნენ და ბილიკის მიმართულებით ააგეს ციხე 3000-კაციანი გარნიზონით. იქ თავი მოუყარეს ლოდსატყორცნ საშუალებებსაც, მაგრამ ციხეს ვერ მისწვდნენ. ნატყორცნი ლოდები კლდეებზე იმსხვრეოდა და ამრიგად, მთელი ეს ჩანაფიქრი უშედეგო აღმოჩნდა. ამ სიმაღლიდან ვიწრო ხეობაში ჩაცვენილი ქვების ხმაური კი იმდენად ძლიერი იყო, რომ თემუ-ლენგს აზრად დაებადა, ციხის დამცველები უძილობით დაეუძლურებინა. მეორე მხრივ, მას ჰყავდა სამონადირო რაზმში გამოცდილი მთამსვლელები და მათ ციხის ყველაზე მიუდგომელი მხრიდან ასვლა და სპეციალურად დაწნული კიბის ატანა დაავალა.

საცდელად, მეომართა უზარმაზარმა მასამ ციხე-სიმაგრიდან, კლდის შვერილებიდან და ქიმებიდან, სადაც კი ფეხის მოკიდება შეიძლებოდა, ხელითა და სატყორცნი საშუალებებით დღითა და ღამით განუწყვეტლივ ქვის სროლა დაიწყო, მერმე ერთ ღამეს მოულოდნელად შეწყვიტა იგი. ჩამოწოლილ სიჩუმეში ციხის გარნიზონს ისე ღრმად ჩაეძინა, რომ თემურ-ლენგის სამონადირო რაზმის ოთხი მთამსვლელიდან ერთმა შესძლო სიმაღლის დალაშქვრა, ციხეში შესვლა და დაკლული თხის თავის ჩამოტანაც კი, იმის დასამტკიცებლად, რომ ციხეში ყველას ეძინა. თორელის მახვილ თვალს ეს მაინც არ გამოპარვია და გარნიზონს სიფრთხილისაკენ მოუწოდა. იგერიებდა რა მტრის დაუსრულებელ შეტევებს, დემონსტრაციულად აჩვენებდა, როგორ სვამდნენ და ჭამდნენ, მერმე კი მღეროდნენ.

თემურ-ლენგმა ქვის სეტყვის ოპერაცია კიდევ უფრო დიდი ხმაურით განაახლა. ეს 20 დღის განმავლობაში გრძელდებოდა და 12 აგვისტოს ღამით შეწყდა. თორელმა და გარნიზონმა იფიქრა, თემურ-ლენგს უბრალოდ მოსწყინდა ხმაური და ძილმა ისევ წაართვათ თავი, რასაც გარნიზონის დაღუპვა მოჰყვა.

უკვე ნაცნობი, გაკვალული გზით მტრის მეომარი-მთამსვლელი კიბით აცოცდა, მას 50 გამზადებული მეომარი თან მიჰყვა, რომ მოულოდნელი დარტყმით შიგნიდან გაეღოთ ციხის ალაყაფი. შეტაკება სისხლისმღვრელი იყო. ბრძოლის ბედი გადაწყდა. თვითონ თორელმა და მებრძოლთა ნაწილმა შეძლეს გაპარულიყვნენ იმავე მტრის მიერ გაშზადებული კიბით, რომელმაც გარნიზონი დაღუპა.

თემურ-ლენგმა საომარი მოქმედება დასავლეთ საქართველოს მტრის მიერ საუკუნე ნახევრის მანძილზე ფეხდაუკარებელ ადგილებში გადაიტანა. 700-ზე მეტი სოფელი, ასზე მეტი ციხე-სიმაგრე, ეკლესია და მონასტერი აღგავა პირისაგან მიწისა. ხალხი მთებს, გამოქვაბულებსა და ტყეებს აფარებდა თავს. მეომრებისა და მოსახლეობის წინააღმდეგობა დღითი—დღე ძლიერდებოდა. ე.წ. გამოქვაბულთა ომი და პარტიზანული მოძრაობა დასავლეთ საქართველოშიც დაიწყო. ამას ხელს უწყობდა დიდი და მცირე კარსტული მღვიმეების, უფსკრულების, საიდუმლო ბილიკებიანი მიუდგომელი კლდეების ყველგან არსებობა. მათ შორის ისეთი მღვიმური წარმოქმნები, როგორიცაა: მიგარია, კადა, შაკურანი, ცივწყალა, უფსკრული აპიანჩა და სხვა.

საქართველოს ტერიტორია მდიდარია მღვიმეებითა და გამოქვაბულებით, რომელთა ნაწილიც ხელოვნურად შექმნილს წარმოადგენს. კლდეებში, უფსკრულებში, ჭებსა და შახტებში გამოკვეთილი ეს გამოქ-

ვაბულები ხალხისა და მეომრების მიერ ყველა დროში გამოიყენებოდა.

ხელოვნურად შექმნილ ქვაბულთა და კლდეკართა შორის დიდი სამსახური გასწია უფლისციხემ, განთქმულმა თავისი საცხოვრებელი კომპლექსებით, დარბაზებითა და თეატრით, ასევე ვარძიამ, მსოფლიოში სახელგანთქმულმა თავისი 5—6-სართულიანი კლდეში ნაკვეთი ქალაქით, სამსარის მღვიმურმა მონასტერმა, არაზიკას მთასთან მდებარე (გუდაუთის რ—ნი) უფსკრულმა რომლის სიღრმე 2400 მეტრამდე აღწევს, ანაკოფიის უფსკრულმა (ახალი ათონი), თავისი მრავალიარუსიანი კომპლექსით, რომელიც 300-მეტრიანი სიგრძის, 180-მეტრიანი სიგანის, 75—80 მეტრი სიმაღლის გრანდიოზული ჰორიზონტალური დარბაზების მთლიან სისტემას წარმოადგენს.

გაჭიანურებულ ბრძოლებში ჩათრეული აღმოჩნდა თემურ-ლენგის უზარმაზარი არმიები. ამ, მისთვის საშინელ ქვეყანაში, უმიზნო ხდებოდა ბრძოლის გაგრძელება, რადგან ეს სისხლისაგან ცლიდა და აუძლურებდა მის ჯარებს. ამდენი ბრძოლით მონაპოვარს კი შენარჩუნება უნდოდა. ამიტომ ყველა საშუალებით ცდილობდა საქართველოსთან ზავის მიღწევას. მან გიორგი მეფეს გაუგზავნა წერილი, სადაც აფრთხილებდა, რომ თუ არ დაუზავდებოდა, ერთიანად ამოყლეტდა სომეხ ხალხს. მეფე გიორგი, რომელსაც სომეხ მეზობელ ხალხთან მეგობრობა და ურთიერთდახმარება წმინდათაწმინდა მოვალეობად მიაჩნდა, ზავზე დათანხმდა, მაგრამ თემურ-ლენგს თვითონ არ ხლებია და ძღვენი აახლა, რითაც ის დაკმაყოფილდა და საქართველო ისე დატოვა, რომ სასომხეთს არც გაკარებია.

ორი წლის მერმე თემურ-ლენგი ციებ-ცხელებისაგან მოკვდა. მისი 17-წლიანი შემოსევებისაგან საქართველო ისე განადგურდა, დაინგრა და მოოხრდა, რომ მისი მეურნეობისა და კულტურის აღდგენას საუკუნეები სჭირდებოდა. მეცნიერებმა გამოიანგარიშეს, რომ თემურლენგმა საქართველოში პირისაგან მიწისა აღგავა უფრო მეტი ქალაქები და სოფლები, ვიდრე აზიის ერთ-ერთ ყველაზე დიდ სახელმწიფოში, ინდოეთში, მაგრამ ინდოეთი მან ერთი დაკვრით ოთხ თვეში დაიპყრო, საქართველოს ქედის მოხრა და განადგურება კი მან 17 წლის განმავლობაში მრავალი გამანადგურებელი შემოსევის შედეგაც ვერ შესძლო. რამდენი დიდი ძლიერი ქვეყანა დაიპყრო მან და ამ ერთი მუჭა ქრისტიანების წინაშე კი უძლური აღმოჩნდა, რაც მის განრისხებას იწვევდა. ამიტომაც საქართველოში მიზნად დაისახა ყოველგვარი სიცოცხლის მოსპობა და მხოლოდ „ნასოფლარის", „ნაქალაქარისა" და „ნასახლა-

რის" დატოვება გადაწყვიტა, რაც სრულიადაც არ წარმოადგენს ომს და რაც მხოლოდ ხალხთა მასობრივი მოსპობის ფორმად შეიძლება განისაზღვროს.

ჩინგიზ-ყაენისა და თემურ-ლენგიდან წარმოსდგა გლობალური უბედურება—თავისი შედეგებით რაგინდ დიდ ომზე საშინელი, თავისი არსითა და შინაარსით ყველაზე საზარელი, მახინჯი მოვლენა, რამაც სათავე დაუდო ხალხთა ყველაზე საძულველი სამხედრო დამნაშავეების სიას. ეს გლობალური სამხედრო დანაშაულობანი ყველაზე მძიმედ საქართველოს დაატყდა თავს. ისტორიულად მისი ყველაზე დაუძინებელი მტერი კი თემურ-ლენგი იყო.

მაგრამ ქართველ ხალხზე გამარჯვება, მისი ძალისა და ნებისყოფის მოდრეკა თემურ-ლენგმა ვერ შეძლო. ის თვითონ უდიდეს დანაკლისს განიცდიდა და ამიტომაც იძულებული გახდა, მოეწყო ხანგრძლივი ლაშქრობები საქართველოში, რაც მსოფლიო ბატონობის ყველა მისეულ გეგმებს გზას ულობავდა. მაგრამ რაც არ უნდა ყოფილიყო თემურლენგის მიერ ხალხისათვის მიყენებული ფიზიკური ჭრილობა და ეკონომიკის კატასტროფული დაცემა, ის თავისი სიღრმითა და ხანგრძლივობით ვერ შეედრებოდა იმ სულიერ ტრავმას, რომელიც მან კაცობრიობას მიაყენა.

ის ისეთი გააფთრებითა და ულმობლად ებრძოდა ქრისტიანულ სარწმუნოებას, რომ მისი ველურობითა და სისხლისმსმელობით თავზარდაცემული მთელი ხალხები იძულებით მაჰმადიანურ სარწმუნოებაზე გადადიოდნენ. იგი ყოველგვარ მხეცობას სჩადიოდა ქართველთა წინააღმდეგაც.

აღებული ციხე-სიმაგრეებისა და დასახლებული პუნქტების გარშემო ყველა ქრისტიანს ჟლეტდნენ, სახალხოდ ხოცავდნენ ქალებს, მოხუცებსა და ბავშვებს, რაც ხალხის ნაწილს აიძულებდა მაჰმადიანურ სარწმუნოებაზე გადასულიყო. ამ არაადამიანური გზით საქართველოს სხვადასხვა რაიონში იქმ ებოდა მაჰმადიანური დასახლებანი და მთელი მხარეები, რომლებიც შემდგომ მაჰმადიანთა მომდევნო შემოსევებისათვის საიმედო საყრდენს ჰქმნიდნენ.

ასე წარმოიქმნებოდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მაჰმადიანთა არა მარტო შინააგიტატორული და აგენტური ქსელი, არამედ გა ეშე დამპყრობთა მომხრე და შესაძლო მოქმედების ყველაზე მთავარი სტრატეგიული და ტაქტიკური მიმართულებით განლაგებული სამხედრო ძალა.

თათარ-მონღოლებმა ჩინგიზ-ყაენის დროს დაიმორჩილეს 720

ეროვნების ხალხი, დაიპყრეს დღევანდელი ჩინეთის, ინდოეთის ნაწილის, კორეის, მთელი შუა აზიის, სამხრეთ აზიის და დღევანდელი რუსეთის თითქმის მთელი ტერიტორია.

ურდოები დედაწულიანად მოდიოდნენ თავიანთი ოჯახებით, იკავებდნენ ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებლებს, იტაცებდნენ სარჩოს, მშიერ ხალხს კი ხოცავდნენ, ან ბედის ანაბარა ტოვებდნენ.

დაპყრობილი ქვეყნის მოსახლეობა იჟლიტებოდა, ქალაქები და სოფლები ცეცხლს ეძლეოდა და ინგრეოდა. მილიონობით მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივმა დახოცვამ გაუგონარ მასშტაბებს მიაღწია, რომლის დროსაც მის სახელითა და მხედართმთავრის საფარველქვეშ ხდებოდა საშინელი სამხედრო დანაშაულობანი.

მოსახლეობის მასობრივი ჟლეტითა და დაშინების ბარბაროსული მეთოდებით ცდილობდნენ გაეტეხათ ქართველი ხალხისა და მისი არმიის საომარი სულისკვეთება. ყველაფერი ეს ინიღბებოდა ომის მსვლელობის ვითომდა აუცილებლობით, თუმცა შეიარაღებულ ბრძოლაში მოკლულთა წილი, დაღუპულ მშვიდობიან მოსახლეობასთან შედარებით მეტად უმნიშვნელო იყო. სწორედ ხალხთა მასობრივი დახოცვისა და დაშინების გზით ისწრაფოდნენ ველური ტომები მსოფლიო ბატონობის მიღწევას.

რად ღირს მარტო თემურ-ლენგის, ამ გაუნათლებელი ველური ყაჩაღის ერთი განცხადება, რომელმაც თავისი ცხოვრება თხისა და ძროხის ქურდობით დაიწყო: „ადამიანთა მოდგმა იმად არა ღირს, რომ მას ორი ხელმწიფე ჰყავდეს, მას უნდა მართავდეს მხოლოდ ერთი და ისიც ჩემისთანა მახინჯი".

მაგრამ თემურ-ლენგის გეგმები ჩაიშალა, არა თუ მსოფლიო მასშტაბით, არამედ საქართველოს მასშტაბითაც კი.

ქართველი ხალხის მეომრული სული მარად გაუტეხელი რჩებოდა.

საქართველოს განადგურების პირას მისული ეკონომიკის აღდგენა უხდებოდა ახალი მტრის, თურქმანების წინააღმდეგ ბრძოლის პირობებში. 1407 წელს თურქმანების წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა მეფე გიორგი.

1411 წელს თურქმანებმა ჭარბი ძალების მეშვეობით დაამარცხეს ქართველთა 2000-იანი რაზმი და მეომართა გარკვეული ნაწილი დაატყვევეს, რომელთა გმირულმა თავდადებამ მტერი განარისხა და მათმა სარდალმა ვერაგულად მოკლა მეფე კონსტანტინე, რითაც მხედართმთავრის სახელს ჩირქი მოსცხო.

შემდგომში წარმოიშვა ქვეყნისათვის ძალზე სახიფათო უთანხმოე-

ანი სამეფო ხელისუფალთა შიგნით, მეფესა და ფეოდალებს შორის. ქართველთა მეფის წინააღმდეგ ვასალთა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის აღმოცენდა და ვითარდებოდა იმ დროს, როდესაც ირანელთა ძალები და თურქ-ოსმალთა ჯარები საქართველოს სახღვრებს მოადგნენ და მეფის წინააღმდეგ აქეზებდნენ ხან სამცხის ათაბაგ ყვარყვარეს, ხან ქუთაისის განმრიგეს ბაგრატს, რომელმაც ჩიხორთან ბრძოლაში 1463 წელს დაამარცხა მეფე გიორგი VIII, იმავე წელს კი მოულოდნელი თავდასხმით ყვარყვარე ათაბაგმა თვითონ საქართველოს მეფე დაატყვევა.

საქართველოს ცალკეულ სამეფოებად დაშლა გრძელდებოდა და 1466 წელს წარმოიშვა ქართლ-იმერეთის, კახეთის სამეფოები და სამცხის დამოუკიდებელი საათაბაგო, ცალკეულ სამეფოთა შიგნით უფრო მეტ დაქუცმაცებულობას ხელს უწყობდა ის, რომ XII საუკუნისათვის გაბატონებული ფენა, რომელსაც შემდგომი ორი საუკუნის განმავლობაში გამოეყო უფრო მაღალი წოდების დიდებულნი, ამათგან XV საუკუნეში მემკვიდრეობითი სახით შეიქმნა მაღალი წოდების დიდებულთა განსაკუთრებული ფენა. ისინიც ასევე აცხადებდნენ პრეტენზიას თავიანთი დიდი სამფლობელოების დამოუკიდებლობის შესახებ.

XV—XVI საუკუნეებში ოსმალ-თურქთა და ირანის სახით საქართველოს ყველაზე აგრესიული მეზობლები გამოუჩნდა, რომელთა გამოც მისი საერთაშორისო მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა.

ირანის შაჰის სამხედრო ძალები ეყრდნობოდა თურქთა 7 ტომს, რომლებიც თავისებურ წითელ თავსაბურავს ატარებდნენ და ამიტომ „წითელთავიანებად", ანუ „ყიზილბაშებად" იწოდებოდნენ.

ყიზილბაშთა დამპყრობლურ გეგმებში საქართველოს პირველხარისხოვანი ადგილი ენიჭებოდა. ცალკეული თავდასხმებითა თუ თურქეთთან ომის მსვლელობის დროს ისინი დიდხანს იყენებდნენ ქართველთა სამხედრო ძალას.

თურქ-ოსმალებმა თავიანთ ძლიერ სახელმწიფოებრიობას მზარდი სამხედრო ძალებითა და დამპყრობლური ბრძოლებით მიაღწიეს, რაც მათი არსებობის ძირითად წყაროს წარმოადგენდა.

ძირითადი სამხედრო-სტრატეგიული ბრძოლებით თურქებმა დასაწყისში დასავლეთში ბიზანტიის, მცირეაზიისა და ბალკანეთის ტერიტორიების დაპყრობა მოახერხეს, 1453 წელს კი ისინი დედაქალაქ კონსტანტინოპოლს დაეპატრონენ, რაც ბიზანტიის იმპერიის დასასრულს მოასწავებდა. სულთანმა მუჰამედმა კონსტანტინოპოლის მთელი მოსახლეობის ამოჟლეტა ბრძანა. ქალაქის ყველა ქუჩა გვამებით დაიფა-

რა. ცოცხლად გადარჩენილთა მცირე ნაწილი კი მონებად წაიყვანეს. ეს მეთოდი მიმართული იყო იმათ დასაშინებლად, რომელთა დამორჩილებასაც მომავალში აპირებდნენ.

შემდეგში, ტრაპეზუნტის სამეფოს დაპყრობით თურქებმა საქართველოს მოუსპეს დასავლეთ ევროპასთან ურთიერთობის საშუალება და თვითონ დაიკავეს საქართველოზე თავდასხმისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საბრძოლო პოზიციები.

მთავარი ის იყო, რომ თურქები შეიარაღებულნი იყვნენ იმდროისათვის თანამედროვე ცეცხლსასროლი იარაღით. ბიზანტიის იმპერიის უზარმაზარ სიმდიდრეთა ხელში ჩაგდებამ მათ საბრძოლო იარაღის უახლეს ნიმუშთა შესყიდვისა და ყველა სახეობის ცეცხლსასროლ საშუალებათა წარმოების განვითარების საშუალება მისცა. თურქეთის არმია და ფლოტი ერთ-ერთი უძლიერესი გახდა მსოფლიოში. მით უმეტეს აღემატებოდა იგი ქართველთა არმიას, რომელსაც ცეცხლმსროლელი იარაღი საერთოდ არ გააჩნდა.

მრავალ მიზეზთაგან ერთ-ერთს, რამაც გვიანფეოდალური საქართველოს მრავალსაუკუნოვანი დაცემა და შინაგანი დაქსაქსვა გამოიწვია, შეიარაღებისა და შეიარაღებულ ძალთა ორგანიზაციის სისუსტე და დაბალი დონე წარმოადგენდა. შიდასახელმწიფოებრივ არეულობათა და სამხედრო დამარცხებათა გამო საქართველო მრავალი საუკუნის განმავლობაში მტრული, დაბალგანვითარებული მაჰმადიანური ტომებით გარშემორტყმული და განვითარების მაღალ დონეზე მყოფ ევროპელ სახელმწიფოთაგან სრულად მოწყვეტილი აღმოჩნდა. ერთმანეთის მოქიშპე ევროპულ სახელმწიფოთა სამხედრო ძალებმა თავიანთი შეიარაღების სრული რევოლუცია მოახდინეს და ცივი იარაღიდან ცეცხლსასროლ იარაღზე გადავიდნენ.

რასაკვირველია, ძველი, ცივ იარაღზე დამყარებული სამხედრო ხელოვნება გაცილებით ჩამოუვარდებოდა ახალ, ცეცხლსასროლ იარაღზე დაფუძნებულ სამხედრო ხელოვნებას და უძლური იყო მის წინაშე.

დენთისა და ქვემეხის შექმნის საიდუმლოება ძველ დროში არაბმა დამპყრობლებმა ჩინელებისა და ინდოელებისაგან ისწავლეს და ევროპაში პირველად ესპანური ციხე-ქალაქის სარაგოსას ალყის დროს 1118 წელს გამოიყენეს. მეორედ დაბადება ცეცხლსასროლმა იარაღმა ესპანეთში იზეიმა და ამის შემდეგ ყველა ევროპულმა სახელმწიფომ, განსაკუთრებით კი XIII საუკუნის მიწურულსა და XIV საუკუნის დასაწყისში სწრაფი ტემპით დაიწყო სხვადასხვაგვარი არტილერიის წარმოება. თავდაპირველად იქმნებოდა პრიმიტიული იარაღი, რკინის მილითა და

ყრუ ძირით, რომელიც მილიდან იტენებოდა. საჭურვედ იყენებდნენ რკინის ნამსხვრევებსა და ქვებს, შემდეგ უფრო სწრაფმსროლელი არტილერია გაჩნდა.

. რუსეთში ქვემეხის საჩამომსხმელო საქმეს საფუძველი XVსაუკუნის მიწურულს ჩაეყარა. 1475 წელს მოსკოვში აშენდა ქვემეხის დასამზადებელი სახლი, შემდეგ კი მათი დასამზადებელი საწარმო.

მეთექვსმეტე საუკუნეში აღმოცენდა არტილერიის მეცნიერება. პირველი თოფი გაკეთდა იტალიაში 1364 წელს, ქალაქ პისტოისში მცხოვრებმა ოსტატებმა გამოიგონეს მცირე ზომის ცეცხლსასროლი იარაღი, რომელსაც პისტოლეტი დაერქვა.

ცეცხლსასროლი იარაღის მასობრივმა წარმოებამ და დანერგვამ ბრძოლის ველიდან განდევნა ცივი იარაღი და სრული ‹ ‘დატეხა შეიტანა სამხედრო ხელოვნებაში. დაიწყო ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული ჯარისათვის ახლებური ტაქტიკისა და საბრძოლო წყობის ძიება. ევროპულ არმიებში გაჩნდა ახალი საბრძოლო წესების სხვადასხვა ვარიანტები ბრძოლაში მსროლელთა, არტილერიისა და ცხენოსნების განლაგებისა და მათი ურთიერთმოქმედებისა, ცეცხლმსროლელი იარაღის ეფექტური გამოყენებისათვის.

ივანე მრისხანეს ჯარებმა ჯერ კიდევ ლივონიის ომში, ძლიერი საალყო ქვემეხებით ერთი წლის განმავლობაში ციხე-სიმაგრეებით დაცული და 20 გამაგრებული ქალაქი აიღეს. ამ დროისათვის დაიწყო რუსეთში მსუბუქი ქვემეხების წარმოებაც და პირველად შეიქმნა პოლკის არტილერია.

ამ პერიოდში და განსაკუთრებით პეტრე დიდის დროს, რომელთანაც არტილერიას ხელმძღვანელობდა ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი, ძლიერ ცეცხლსასროლ საშუალებათა წარმოებითა და გამოყენებით რუსეთი თითქმის ყველა მოწინავე ევროპულ ქვეყანას უსწრებდა წინ.

ამიტომაც, ყველა სხვა მიზნებთან ერთად საქართველო რუსეთთან სამხედრო კავშირის დამყარებისაკენაც ისწრაფოდა, რადგანაც, ექვსაუკუნოვან დაუსრულებელ და მომქანცველ ომებში საქართველოს დამარცხებათა მთავარ მიზეზს, როგორც უკვე ითქვა, ცეცხლსასროლი იარაღის უქონლობა წარმოადგენდა. ყოველი მხრიდან გარშემორტყმული მტერი ცეცხლსასროლი იარაღით მიჯრით ანადგურებდა ცივი იარაღით მებრძოლ ქართველთა ჯარებსა და აჯანყებულთ.

დენთის წარმოება, ცეცხლსასროლი იარაღის დამზადება და ყოველივე ამით ქართველთა ჯარის შეიარაღება XVIII საუკუნის მეორე ნა-

ხევრამდე შეფერხდა. ბოლოს ერეკლე II-ის ძალდელობით კავშირი დამყარდა სხვადასხვა ქვეყნებთან და მათ შორის რუსეთთანაც. ერეკლე II-მ თბილისში შექმნა დენთის ქარხანა და 80-90-ან წლებში სპეციალურ ჩამოსასხმელ სახელოსნოში მორტირების წარმოებას შეუდგა. ამრიგად, XVIII საუკუნის ბოლოსათვის შესაძლებელი გახდა ქართველთა ჯარის ერთი მესამედის თოფებითა და მცირე რაოდენობის არტილერიით შეიარაღება.

აღა-მაჰმად ხანის საქართველოზე თავდასხმის გეგმაში ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა თბილისის სამხედრო წარმოების კერების ხელში ჩაგდება და დენთის და საზარბაზანე საქმის ოსტატების ირანში წაყვანა. 1795 წელს აღა-მაჰმად ხანმა დაანგრია და ცეცხლს მისცა დენთის ქარხანა და ქვემეხების დასამზადებელი სახელოსნო, მთელი მისი მოწყობილობა და ოსტატები კი თავიანთი ოჯახებითურთ თეირანში წაიყვანა. ასე დამთავრდა დიდი სიძნელეების გადალახვით შექმნილი ცეცხლსასროლი იარაღის წარმოება საქართველოში. შემდგომში მხოლოდ რუსეთთან კავშირის დამყარებით გახდა შესაძლებელი სამხედრო წარმოების შექმნა და ქართველთა ჯარის ცეცხლსასროლი იარაღით მასობრივი შეიარაღება.

ეთნოგრაფიული მონაცემებით, ხალხური საშუალებებით დენთისა და ცეცხლსასროლი იარაღის დამზადება საქართველოში გაცილებით ადრე დაიწყო. ისინი სხვადასხვა საშუალებით შემოიტანეს ევროპული ქვეყნებიდან და რუსეთიდან, შემდეგ ჩამოყალიბდა მისი კუსტარული წესით წარმოება. ასე მაგალითად, სვანეთში აღმოაჩინეს შედარებით ძველი თოფის ლულის დასამზადებელი ცალკეული მოწყობილობანი. ხევსურეთში, რაჭასა და სხვა რაიონებშიც წარმოებდა დენთისა და ტყვიების დამზადება ადგილობრივი რესურსების საშუალებით. ცნობილია საწარმოები და გამოჩენილი ოსტატი-მეიარაღეების სახელები. მაგ. პაპოს საწარმოები, ხევსურეთში — სამნა, მაჭახალაში მზადდებოდა ამავე სახელწოდების პისტოლეტები, ოსურგეთში აკეთებდნენ შაშხანებს.

1564 წელს, როცა კახელ მეფესთან შეთანხმებით ივანე მრისხანემ პირველად ქართულ მიწაზე—კახეთში გამოაგზავნა რუსეთის ჯარი, მათ მიართვეს ლეკან მეფეს პატარა ზარბაზანი, მაგრამ პირველი ნამდვილი საბრძოლო ქვემეხი საქართველოში დამზადდა 1730 წელს. 178 სმ სიგრძის პირველი თოფი გააკეთეს ბაგრატიონთა სამეფო კარზე 1724 წელს.

ითვალისწინებდნენ რა საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის ნაწილების დამზადების კუსტარულ, დაქუცმაცებულ ხასიათს, გამოი-

ნახა მათი საზღვარგარეთიდან შემოტანის გზები. ევროპიდან იარაღის შემოტანის გზა ყირიმზე გადიოდა, ამ თოფსაც „ხირიმი" ანუ ყირიმული ეწოდა. XVI საუკუნის ბოლოსათვის საზღვარგარეთიდან შემოტანილი იარაღით აღიჭურვა ქართველთა ჯარის 4 პროცენტი.

ასეთი იყო საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის განვითარებაში ჩამორჩენის მძიმე ისტორიული პერიოდის შედეგები, რამაც მრავალ ომში დამარცხება განაპირობა. ამავე პერიოდში ძლიერ და მდიდარ ევროპულ ქვეყნებში ჩაისახა და განვითარდა ახალი ხანა—ხანა ცეცხლსასროლი იარაღისა, რომელიც ცივი იარაღის წარმოებასთან შედარებით უზომოდ დიდ სახსრებს მოითხოვდა. საჭირო იყო დენთის, ქვემეხებისა და იარაღის ქარხნები, სახმელეთო ჯარებისა და ფლოტის ახალი ტიპის იარაღით აღჭურვისათვის. ახალი ტიპის ცეცხლსასროლი შეიარაღების სამრეწველო წარმოების დანერგვა, მისი მატერიალური დაფინანსება და მასობრივი წარმოებისათვის სპეციალისტების მომზადება მხოლოდ ძლიერი, ცენტრალიზებული სახელმწიფოებისათვის იყო შესაძლებელი.

ყველაფერმა ამან, მოითხოვა ახალი, გაცილებით უფრო მაღალი დონე მეცნიერებისა და განსაკუთრებით ისეთი დარგებისა, როგორიცაა მეტალურგია, საჩამომსხმელო საქმე, ლითონების დამუშავების ტექნოლოგია, გემთმშენებლობა და სხვ.

მოხდა ახალი აღმოჩენები და გამოგონებანი მეცნიერებაში, გამომგონებლობასა და ცეცხლსასროლი შეიარაღების ტექნიკაში გაჩნდნენ არტილერიის, სასრო ი შეიარაღებისა, სანაღმო-ფეთქებადი საქმის სპეციალისტები და ოსტატები.

ამრიგად, სამხედრო საქმეში მომხდარმა რევოლუციამ, რომელიც დაკავშირებული იყო ცივი იარაღიდან ცეცხლსასროლ იარაღზე გადასვლასთან, მეცნიერებისა და ტექნიკის მრავალი დარგის განვითარება, მრეწველობის ახალი დარგების შექმნა და შესაბამისი სამეცნიერო ტექნიკური და სამრეწველო კადრების მომზადება მოითხოვა. ყველაფერი ეს ამ დარგების სპეციალისტთა მაღალ სამხედრო-ტექნიკურ კულტურასა და სამხედრო ინტელექტზე მეტყველებს.

რასაკვირველია, სახელმწიფოს, რომელიც უახლესი იარაღის მფლობელი ხდებოდა, შეეძლო თავისი პოლიტიკა ეკარნახა და თავისივე სტრატეგიული ხაზი გაეტარებინა.

ამიტომ მსხვილი აგრესიული ქვეყნები—თურქეთი და ირანი, რომლებიც საქართველოს გარს ერტყმოდნენ, მიუხედავად კულტურის საერთო დონის მხრივ ჩამორჩენილობასა, მთელი ძალით შეუდგნენ

ცეცხლსასროლი იარაღის დანერგვას და მის სერიულ გამოშვებას. ამასთან ერთად, ყოველნაირად ხელს უშლიდნენ საქართველოს ევროპიდან ცეცხლსასროლი იარაღის შემოტანაში. საქართველო, რომელიც ერთ დროს ცივი იარაღის წარმოების მხრივ მოწინავე ქვეყანას წარმოადგენდა, სამხედრო ისტორიის ამ პერიოდში ცეცხლსასროლი იარაღის დანერგვისა და წარმოების მხრივ არა თუ ჩამორჩა სხვა ქვეყნებს, არამედ საერთოდ უძლური აღმოჩნდა, ეს უმთავრესი საქმე ეწარმოებინა თავდაცვისათვის. აუხდენელ ოცნებად დარჩა თამარისა და დავითის-დროინდელი საქართველოს აღდგენის ცდები, რაც შესაძლებელს გახდიდა შეიარაღებაში პროგრესს.

მტრები კი მოქმედებდნენ „დაჰყავი და იბატონე"-ს პრინციპით და ძალითა თუ წაქეზებით ხელს უშლიდნენ წვრილ-წვრილ სამთავროებად დაქუცმაცებული საქართველოს გაერთიანებას, რადგან იცოდნენ საქართველოს გაერთიანება შესაძლებელს გახდიდა განვითარებულ ქვეყნებთან მის სამხედრო კავშირს.

ამიტომ ტერმინები „იარაღით დაძმობილება" და „იარაღით კავშირი" თავის განხორციელებას პოულობდა საქართველოს დაუღალავ ცდებში—დაკავშირებოდა ევროპას და პირველ რიგში ერთმორწმუნე რუსეთს, რომელმაც ივანე მრისხანეს, პეტრე დიდისა და მისი პირველი გენერალ ფელდცეიხმაისტერის ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონის მცდელობით წინ გაუსწრო მრავალ მოწინავე ევროპულ ქვეყანას ცეცხლსასროლი იარაღის წარმოებასა და დანერგვაში.

სამხედრო ხელოვნება, თავისი სტრატეგიითა და ტაქტიკით სულ უფრო დამოკიდებული ხდებოდა არმიის ცეცხლსასროლი იარაღით მასობრივ აღჭურვაზე. მარტოდენ ცივი იარაღით აღჭურვილი ყველაზე ძლიერი ჯარებიც კი ახალი ცეცხლსასროლი იარაღის ცეცხლით ნადგურდებოდა.

ამიტომ ქართველთა ჯარის იმ პერიოდის მრავალრიცხოვან დამარცხებათა მიზეზების ძიების დროს, პირველყოვლისა, უნდა განისაზღვროს მხარეთა ცეცხლმსროლელი და ცივი იარაღის შეფარდება, რომელიც განაპირობებდა ჯარის არა მარტო კანონზომიერ უძლურებასა და დამარცხებას, არამედ წინააღმდეგობის სრულ უპერსპექტივობას.

უახლესი ცეცხლსასროლი იარაღი ბატონობს არა მარტო ბრძოლის ველზე, არამედ წარმოადგენს პოლიტიკის საიმედო, ყოვლისგანმსაზღვრელ ინსტრუმენტს, რომელიც თავის სურვილსა და ნებას უკარნახებს სუსტებს.

აი, რა წარმოადგენდა საქართველოში თურქეთისა და ირანის მრავალსაუკუნოვანი ბატონობის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს.

ასე გამოიწვია ფეოდალური საქართველოს დაქუცმაცებულობამ მისი ისტორიული ჩამორჩენილობა ცეცხლსასროლი იარაღის წარმოებაში, რასაც, თავის მხრივ, მოჰყვა სამხედრო ხელოვნებისა და ქვეყნის საერთო სამხედრო-ტექნიკური უკან დახევა და განვითარების დამუხრუჭება მრავალი საუკუნის განმავლობაში.

საქართველოს გაერთიანებისა და რუსეთთან კავშირისათვის ბრძოლა, საკუთარი ცეცხლსასროლი იარაღის წარმოების, სამხედრო მრეწველობის შექმნა ერის სიცოცხლის შენარჩუნებისათვის ბრძოლის უპირველეს მიზანს წარმოადგენდა.

გლობალური მასშტაბით ცეცხლსასროლი იარაღის წარმოებით ევროპამ გაუსწრო სხვა კონტინენტის ქვეყნე ს, რამაც მრავალი მათგანის ხელში ჩაგდება გახადა შესაძლებელი.

მოწინავე, უახლესი შეიარაღება განსაზღვრავდა სახელმწიფოს ადგილსა და როლს მსოფლიოში. იყო დრო, როდესაც საქართველო სამხედრო თვალსაზრისით ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა და მას ყველა სახელმწიფო უწევდა ანგარიშს, დასუსტების შემდეგ კი მეზობელი ლეკების მცირე ტომებიც კი, რომლებსაც ადრე ქართველთა ძლიერი შიში ჰქონდათ, საშიშ ძალად გადაიქცნენ და განუწყვეტლივ აწყობდნენ თარეშებს საქართველოში.

ამ დროს დაქუცმაცებულ საქართველოს ისტორიაში გვხვდება ისტორიული მნიშვნელობის ერთიანი სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტისათვის ქართულ სამეფოთა და სამთავროთა კოალიციური მოქმედების მაგალითები. ასე მაგალითად, 1526 წელს სამი ქართველთა სამეფო გაერთიანდა სამცხის ათაბაგთან მაჰმადიანთაგან ქრისტეს საფლავის ადგილსამყოფელის—იერუსალიმის განთავისუფლებისათვის სალაშქროდ. ოპერაცია მაჰმადიანთა სრული განადგურებითა და ქართველთა ჯარების მიერ იერუსალიმის აღებით დამთავრდა.

საინტერესოდ წარიმართა მეფე ბაგრატის მიერ 1543 წელს მუსა-ფაშას იმდროისათვის ევროპული წარმოების ყველაზე თანამედროვე ქვემეხებითა და მუშკეტებით შეიარაღებული 22-ათასიანი ჯარის წინააღმდეგ ჩატარებული ოპერაცია.

ხედავდა რა თავის უძლურებას, მოწინააღმდეგის არტილერიისა და რიცხობრივი უპირატესობის წინაშე, „ბაში-აჩუკების" (როგორც მაჰმადიანები იმერლებს ეძახდნენ) მეფემ ეშმაკობა იხმარა და ფაშას მისი ნებისმიერი ლაშქრობისას ყველა ციხის ალაყაფის გაღებას დაპირდა.

მუსა ფაშამ ათასკაციანი გარნიზონი მთელი თავისი არტილერიითურთ ოლთისში დატოვა, თვითონ კი სამხრეთისაკენ დაიძრა. მოუ-

ლოდნელი თავდასხმით ბაგრატმა ოლთისის მთელი გარნიზონი მოსპო და მისი არტილერია ხელთ იგდო, მერმე კი მუსა ფაშას დაეწია და მტერს, თავის სარდლიანად მუსრი გაავლო.

ამ გაუთავებელ დაქსაქსულ ბრძოლებში მრავალი სისხლი დაიღვარა, მაგრამ ქართველი ხალხი ვაჟკაცურად იტანდა ძნელბედობას და ბევრ ბრძოლაში გამარჯვებული გამოდიოდა.

მტრებმა ფართოდ გაშალეს მოსყიდვის თავიანთი მთელი სისტემა და გამონახეს კიდეც გამცემთა და სამშობლოს მოღალატეთა ერთეულები, რომლებსაც ქართველთა ჯარისთვის უფრო მეტი ზიანი მოჰქონდათ, ვიდრე გარეშე მტერთა იარაღის ძალას.

ამრიგად, გამცემლობა მტრისათვის უძლიერეს იარაღად იქცა. ასე, მაგალითად, შაჰ თამაზმა მოისყიდა მეფე დავითის შუათანა ვაჟი დავითი, რომელიც შზად იყო ყველა შზაკვრული ხერხით მოეშორებინა ტახტის მოცილე თავისი ძმა სიმონ I და თვითონ გამეფებულიყო. მან უღალატა საქართველოს და 1564 წელს შაჰთან გაიქცა, მაჰმადიანობა მიიღო და, დაუდხანად დაბრუნებულმა, ქართლის ნაწილი და თბილისის მმართველობა იგდო ხელთ, ჯარი კი თავისი ხალხის წინააღმდეგ დასძრა.

სიმონ I-მა ორჯერ დაამარცხა პირისპირ ბრძოლაში დაუდხანის ყიზილბაშები. მაგრამ დაუდხანმა მოისყიდა კახაბერ ყორღანაშვილი, რომელმაც 1569 წელს მდინარე ალგეთის ნაპირებზე ბრძოლაში მეფეს უღალატა, როდესაც მტრის ჩეხვით გართული მეფე თავისიანებს მოსწყდა და ხაფანგში აღმოჩნდა. სიმონ მეფის თავგანწირული ბრძოლა უშედეგო აღმოჩნდა და ტყვედ ჩავარდა. ამას უამრავი მსხვერპლი მოჰყვა და საბოლოოდ ბრძოლა ქართველთა დამარცხებით დამთავრდა. აი, ამგვარად შესძლო შაჰ-თამაზმა მოღალატე დაუდხანის საქართველოს ტახტზე აყვანა.

მოღალატე ყორღანაშვილი მერმე ქართლის დიდებულმა ბარათაშვილმა გულიკარის ხრამიდან გადააგდო. მოღალატეთა გამცემლობას ხალხი მტკივნეულად განიცდიდა და მათ ლექსებში, სიმღერებსა და თქმულებებში დასცინოდა და სჯეროდა მომავალი გმირების უკედავებისა.

რასაკვირველია, საქართველოს ცალკეულ სამეფოებად დაყოფამ ჯარის ორგანიზაციის შეცვლა გამოიწვია. თითოეულ სამეფოში ჯარის ორგანიზაციის ფორმა ამა თუ იმ სამეფოს მართვის იდენტური იყო. ასე მაგალითად, XVI საუკუნის დასაწყისში ქართლსა და კახეთში შეიქმნა მცირე გაერთიანებათა სისტემები, რომლებსაც სადროშოები ეწოდებო-

დათ. თითოეულ სამეფოში შეიქმნა ოთხი ასეთი სადროშო, რომლებსაც ქართლსა და იმერეთში დიდებულთა ფენიდან გამოსული სამხედროები მართავდნენ, კახეთში კი სამხედრო, საერო და სასულიერო მმართველობას ერთი პიროვნება ახორციელებდა, ამ თანამდებობაზე მეფე უმეტეს შემთხვევაში ეპისკოპოსს ნიშნავდა, რომელიც ამასთანავე კარგი მეომარიც იყო.

ოთხ სადროშოდ ასეთი დაყოფა ხელსაყრელი იყო მთელი ძალების სწრაფი მობილიზაციისათვის, ასევე მათი სტრატეგიული განლაგების თვალსაზრისითაც.

თითოეულ სადროშოს თავისი მკაცრად განსაზღვრული ადგილი ჰქონდა, ამიტომ ოთხივე სადროშო ბრძოლის ველზე სრული საბრძოლო მზადყოფნით გამოდიოდა. ცენტრში წინ იდგა და ბრძოლაშიც პირველი ებმოდა „პირველი სადროშო", ფლანგებიდან ერტყმოდნენ „მარჯვენა" და „მარცხენა სადროშოები", ამ განლაგებას კი აბოლოებდა „სამეფო სადროშო". იმ პერიოდში, როდესაც ქართლი და კახეთი გარეშე მტრის წინააღმდეგ საომრად ერთიანდებოდნენ, თითოეული სამეფო ინარჩუნებდა ოთხსისტემიან წყობას და ერთმანეთში არ ირეოდა, რაც ბრძოლაში ჯარების ორგანიზებული შეყვანისა და ცალკეული სადროშოს მართვის საშუალებას იძლეოდა. ამასთანავე თითოეული სარდალი და თვითონ მეფეც რიგითი მეომრებივით იბრძოდნენ. რასაკვირველია, საქართველოს დაქსაქსული სამეფოების სახელმწიფოებრივი გაერთიანება შესაძლებელს გახდიდა ცენტრალიზებულ, შეუდარებლად ძლიერი და კარგად ორგანიზებული არმიის შექმნას, მაგრამ არსებულ პირობებში ოთხი სადროშოს სისტემა ყველაზე უფრო შეეფერებოდა ჯარის მობილიზაციისა და სამხედრო მოქმედებათა შესაძლებლობას.

ცეცხლსასროლი იარაღის ხანგრძლივი უქონლობისა და ცივი იარაღით იძულებითი მოქმედების გამო ქართველთა ჯარის ორგანიზაციული წყობა, მისი სტრატეგია და ტაქტიკა პრაქტიკულად უცვლელი რჩებოდა. ბრძოლით მოპოვებული ცეცხლსასროლი იარაღი კი იმდენად მცირე იყო, რომ მას არ შეეძლო გავლენა მოეხდინა მის სამხედრო ხელოვნების შეცვლაზე.

სუსტ მხარეს წარმოადგენდა არაორგანიზებული ზურგიც, უფრო სწორედ, ჯარის ორგანიზებული მომარაგების უქონლობა. არმია არალეგულარული იყო და აქედან გამომდინარე, დისციპლინა და წესრიგი ჯარში შედარებით დაბალ დონეზე იდგა. ჯარის მომზადება და ბრძოლის წარმართვა ბევრად იყო დამოკიდებული იმ დიდებულზე, რომელიც სადროშოს მეთაურობდა.

XVI საუკუნის ბოლოს საქართველოს სამეფოთაგან ეკონომიურად დაწინაურებულ, ყველაზე მდიდარ რეგიონს კახეთი წარმოადგენდა და შესაბამისად ყველაზე ძლიერი 15-ათასიანი, საგანგებოდ შერჩეული რეგულარული ჯარი ჰყავდა, რომელთაგან 12 ათასს ცხენოსანი, ხოლო 3 ათასს ქვეითთა ჯარი შეადგენდა. მობილიზაციის შემთხვევაში არმიის რაოდენობა ორმაგდებოდა.

კადრის ჯარებისა, თუ ახალწვეულთა მომზადებისას დიდი ყურადღება ეთმობოდა სამხედრო თამაშობებსა და მანევრებს. კახეთის დედაქალაქ გრემში, მთავარანგელოზის ეკლესიის შემოგარენში, დიდი აღლუმები, რაინდთა ტურნირები და სახალხო დღესასწაულები ეწყობოდა. ამ დღესასწაულებმა შემდგომში ტრადიციული სახე მიიღო.

მაგრამ კახეთის მეფეებისა და განსაკუთრებით ალექსანდრეს (1574 1606 წწ) მცდელობა, არმიის შეიარაღების თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე აყვანისა და ცეცხლსასროლი იარაღის წარმოების დანერგვისა, უშედეგოდ დამთავრდა. მას არც ერთი ქვემეხი არ ჰქონდა და მხოლოდ 500 და ისიც უცხოური წარმოების თოფი გააჩნდა.

ამიტომ აქედან ედება სათავე მათს რუსეთთან კავშირის ინტენსიურ ძიებას, სადაც როგორც აღვნიშნეთ, ივანე მრისხანემ საფუძველი ჩაუყარა იმ დროის კვალობაზე ძლიერ საარტილერიო მრეწველობას, რომლის გონივრული გამოყენებითაც გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევდა და თათართაგან გაწმინდა მთელი ვოლგისპირეთი და კასპიისპირეთი, ბოლოს კი კავკასიის მთიანეთამდე მიაღწია, სადაც თერგის შესართავთან ცეცხლსასროლი საშუალებებით კარგად გამაგრებული ციხე-სიმაგრე ააგო. ამ ციხე-სიმაგრიდან კახეთამდე არც თუ ისე დიდი მანძილი იყო და აქედან უკვე რეალურად ისახებოდა სამხედრო სტრატეგიული კავშირი. მეფე ლევანმა პირველმა გამართა მოლაპარაკება, რომელიც იმით დამთავრდა, რომ 1564 წელს ივანე მრი ხანემ თავის მფარველობაში აიყვანა იგი და იქ ცეცხლმსროლელი იარაღით აღჭურვილი კაზაკთა რაზმი გაგზავნა, რომლებიც საკვანძო ციხე-სიმაგრეებში განლაგდნენ.

პირველად ისტორიაში ქართველი და რუსი ჯარები 7 წლის განმავლობაში ერთად იცავდნენ კახეთს, ეს დიდმნიშვნელოვანი დასაწყისი იყო ამ ორი ხალხის თანამეგობრობისა და ურთიერთობის განვითარების გზაზე.

მაგრამ საერთაშორისო ვითარების გაუარესების გამო რუსი ჯარები იძულებული გახდნენ კახეთი დაეტოვებინათ.

კახეთის რუსეთთან შეერთების ცდები შემდეგში არ შეწყვეტილა და

20 წლის მანძილზე გრძელდებოდა შაჰ-აბაზის შემოსევებამდე. ამ ცდების ინიციატორები იყვნენ თავათ მოსკოვის სამეფოს მესვეურნი, ასევე კახეთის მეფე ალექსანდრე, რომელიც რუსეთთან კავშირის დამყარებით სულ უფრო აუარესებდა ურთიერთობას ირანთან და თურქეთთან, რომლებიც ამიერკავკასიის სრულ ბატონ-პატრონებად თვლიდნენ თავს.

რუსეთის მეფემ იოანე თევდორეს ძემ 1585 წელს კახეთის მეფე ალექსანდრესთან გაგზავნა ტოლმაჩი დანილოვი, რომლითაც თავის მფარველობასა და სამხედრო დახმარებას აღუთქვამდა.

ოთხი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა აქტიური მოლაპარაკება, რომელიც დამთავრდა ოფიციალური შეთანხმებით. კახეთის მეფემ ალექსანდრემ შვილებთან ერთად მოსკოვის სახელმწიფოს წინაშე ერთგულების ფიცი დადო, რუსეთის მეფე იოანე თევდორეს ძის მიერ 1589 წელს გაცემული სიგელით კი რუსეთი თავის თავზე იღებდა გარეშე მტრებისაგან კახეთის დაცვას. რუსეთის მეფეს თერგზე უნდა აეგო ციხე-ქალაქი ძლიერი გარნიზონით, რომელსაც უნდა დაეცვა სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი თერგ-კახეთის გზა, რათა აღეკვეთათ თურქების კარნახით მოქმედი ლეკთა, ჩერქეზთა, შამხალებისა და სხვა ტომების ავაზაკური თავდასხმები. მოლაპარაკების დროს შენდებოდა და 1588 წელს დასრულდა ციხე-სიმაგრე, ძლიერი საცეცხლე საშუალებებით, რომელსაც რუსეთის ჯარის ძლიერი გარნიზონი იცავდა.

1604 წელს რუსეთის მეფემ ბორის გოდუნოვმა კახეთის დასახმარებლად გამოგზავნა ჯარი ბუტურლინის მეთაურობით. თურქთა კოალიციამ მთიელთა ტომებთან ერთად დაამარცხეს რუსები და კახელები, მაგრამ ამ შემთხვევაში უმთავრესი ის იყო, რომ ორივე მხარე პატიოსნად ასრულებდა ნაკისრ მძიმე სამხედრო ვალდებულებებს.

ასე ჩაეყარა საფუძველი რუსეთ-საქართველოს საუკუნო მეგობრობას, რომელიც მტრული მაჰმადიანური სახელმწიფოებით გარშემორტყმულ საქართველოს სამხედრო ხელშეუხებლობის გარანტიას წარმოადგენდა.

ორი ქრისტიანული სახელმწიფოს ეს მეგობრობა დროის ცალკეულ პერიოდში სხვადასხვანაირად ვითარდებოდა. ამ დროიდან მოყოლებული, ირანი და თურქეთი რუსეთისა და საქართველოს შემდგომ დაახლოებას ყველა საშუალებით ებრძოდა, რადგან იგი მათ მიერ საქართველოს საბოლოო დაპყრობას შეუძლებელს ხდიდა. 1602 წელს დაწყებულ თურქეთ-ირანის მორიგ ომსაც ამიერკავკასიაზე და, კერძოდ, საქართველოზე

ქიშპობა და გავლენის შემდგომი გაძლიერება ედო საფუძვლად. ცალკეული სამეფოებისა და სამთავროების მმართველები კი ამ ორ არჩევანს შორის მერყეობდნენ, რასაც მტერი მოხერხებულად იყენებდა. საქართველოში შემოჭრილი მარტო თურქეთის ჯარები შედგებოდა 300 000 ცხენოსნის, 6000 იანიჩარისა და 600 ქვემეხისაგან. ამ ჯარებმა, რომელთაც თბილისი აიღეს, წასვლის მერმე იქ დატოვეს გარნიზონი 100 ქვემეხით.

ხანგრძლივი თურქეთ-ირანის ომები და მათ შორის პირობითი დაზავებანი, არასოდეს გვერდს არ უვლიდა და არ ინდობდა ქართველ ხალხს. ამას თან ერთვოდა გაუთავებელი შინაფეოდალური ომები და ინტრიგები, ტყვე ქართველებით ვაჭრობა. კატაკლიზმური საუკუნე უმძიმეს ტვირთად აწვა საქართველოს.

მიუხედავად სამეფო თუ სასულიერო პირთა უმკაცრესი ღონისძიებებისა, შეუძლებელი ხდებოდა თავგასულ ფეოდალთა თვითნებობის ალაგმვა.

დარჩეული ქართველი მოზარდებითა და ბავშვებით ვაჭრობა თურქეთში, ირანსა და ეგვიპტეში, საქართველოს ფიზიკურ მოსპობას უქადდა. მაჰმადიან მამელუქებად და იანიჩრებად გადაქცეული ქართველთა ძენი ამ ქვეყნების ძლიერ სამხედრო ფორმირებებს ავსებდნენ: იანიჩართა რაოდენობა XV საუკუნეში შეადგენდა 40 000-ს, XVI საუკუნეში კი 100 000 კაცს. ზოგიერთი მათგანი დიდი მხედარმთავარი გახდა, მერმე კი მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული ეს სამხედრო ძალა ბუმერანგივით უბრუნდებოდა უკან საქართველოს, სადაც ყველგან და განსაკუთრებ თ დასავლეთ საქართველოში, მოსახლეობის ინტენსიური გამაჰმადიანების პოლიტიკა გაძლიერებით მიმდინარეობდა.

ამ მძიმე პერიოდში თავისი შესანიშნავი მაღალი ადამიანური თვისებებით განსაკუთრებით გამოირჩეოდა მეფე სვიმონი. შესანიშნავი მზვერავი, მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე. რასაკვირველია, მისი პირადი გმირობა და სამხედრო ნიჭი საყოველთაო აღფრთოვანებას იწვევდა, მაგრამ დაზვერვის მიზნით მეფე რომ მტრის ბანაკში პარლამენტიორის სახით წასულიყო, ასეთი რამ მსოფლიო ისტორიას იშვიათად ახსოვს. ამასთან მას ციცი იარაღით ბრძოლა უხდებოდა არა მარტო ჭარბ, არამედ ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილ მტრებთან.

როგორ აეცილებინათ თოფებისა და არტილერიის ორგანიზებული გამანადგურებელი ცეცხლი ისე, რომ საბრძოლო რიგები გაეშალათ და ციცი იარაღით ხელჩართულ ბრძოლაში გადასულიყვნენ, აი, ის ახალი და ფაქტიურად გადაუჭრელი პრობლემები, რომელთა წარმატებით გა-

დაწყვეტასაც ცდილობდა მეფე სვიმონი. ამისათვის საჭირო იყო მის მიერ პირადად ჩატარებული დაზვერვა და საცეცხლე საშუალებათა განლაგების პოზიციების სწორი შეფასება მთავარი დარტყმის მიმართულების ამოსარჩევად. ეს მოხდა 1584 წელს მდინარე ალგეთის მარჯვენა ნაპირზე, დასახლება ხატისოფელთან, სადაც ოცდაათიათასიანმა თურქთა ჯარებმა რესვან ფაშას მეთაურობით ბანაკი დასცა შევსების მიღების მოლოდინში. საღამოს ფაშას მეფე სვიმონის პარლამენტიორის მოსვლა მოახსენეს, ფაშამ მიიღო იგი. ამ უკანასკნელმა მეფე სვიმონის დანაბარები გადასცა: ქართველები ირანელთა საშინელ ბატონობას თურქებს ამჯობინებენ და მზად არიან, ხარკი გაიღონ და მათი ნებისმიერი მითითებანი შეასრულონო. ფაშა ამით დიდად კმაყოფილი დარჩა, სტუმარი თვითონ გააცილა და დაშინების მიზნით მთელი ბანაკი დაათვალიერებინა. „პარლამენტიორსაც" ეს უნდოდა, რომელიც სხვა არავინ იყო, თუ არა თვითონ მეფე სვიმონი. ღამით სვიმონმა თავისი ოთხი ათასიანი რაზმი მარჯვენა ნაპირზე გადაიყვანა, იფარა მთა და ფარულად სამხრეთიდან დაუარა მტერს, რათა მთავარი დარტყმა განეხორციელებინა ქვემეხების ზურგის მხრიდან. მთის აღმა მტერს ბრძოლა გაუძნელდებოდა, შემტევთა ძალა კი ამით გაორკეცდებოდა. დილით, გამთენიისას მოხდა უეცარი და სწრაფი დარტყმა, რამაც გადაწყვიტა მთავარი ამოცანა—საცეცხლე საშუალებათა ორგანიზებული მოქმედების თავიდან აცილება, და უეცარი დარტყმით დაბნეული მტრისათვის ხელჩართული ბრძოლის თავს მოხვევა. ბრძოლა ბრწყინვალედ ჩატარდა, მეფე სვიმონი კი ამ ბრძოლის საუკეთესო მეომრად იქნა აღიარებული.

მისი გამოჩენისას თურქთა შეძახილი — „დელი სვიმონ" ისე სცემდა თავზარს მტერს, როგორც ოდესღაც ვახტანგ გორგასალის სახელი.

მაღალი სამხედრო ხელოვნებით განხორციელდა 1598—1599 წლების გორის ოპერაცია. სვიმონმა ალყა შემოარტყა მთელ ქალაქსა და თურქთა გარნიზონით, ქვემეხებითა და სხვა საცეცხლე საშუალებებით გამაგრებულ გორის ციხეს. ცხრა თვეს გრძელდებოდა ციხის უშედეგო ალყა და 1599 წლის გაზაფხულზე, დიდი მარხვის დროს, რომლის დროსაც ქართველები არ იბრძვიან, სვიმონმა ალყის დემონსტრაციული მოხსნა და ჯარის გაყვანა ბრძანა. ადგილობრივ მმართველებს კი იერიშისათვის კიბეებისა და სხვა მოწყობილობების გაკეთება უბრძანა. ოპერაცია შუაღამისას დაიწყო და ტრისათვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა. ცეცხლსასროლ საშუალებათა გამოყენება მტერმა ვერ მოასწრო და გათენებისას ქართველის სიმაგრეთა ერთ-ერთი ციტადელი — გორი ქართველთა ხელში გადავიდა.

ოცზე მეტი წლის განმავლობაში მეფე სვიმონის წინამძღოლობით ქართლმა რიცხობრივი და ცეცხლსასროლი იარაღის უაღრესად უთანასწორო პირობებში ბრწყინვალე გამარჯვებებს მიაღწია თბილისის, დმანისის, ლორესა და სამშვილდეს აღებით. წარმატებით ჩატარდა ლაშქრობანი დასავლეთ საქართველოში, გარეშე მტრებთან ერთობლივი მოქმედების განსახორციელებლად, მაგრამ მოპოვებულის შესანარჩუნებლად ძალების, სახსრებისა და ცეცხლსასროლ საშუალებათა უკმარისობის გამო მიღწეული წარმატებანი ხელიდან ეცლებოდა და ყველაფერი თავიდან დასაწყები ხდებოდა.

მიუხედავად მეფე სვიმონის დიდი სამხედრო ტალანტისა და მისი მეომრების ხელჩართულ ბრძოლაში განუმეორებელი გმირობისა, ერთ მუჭა ქართველებს ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილ, მრავალრიცხოვან თურქებთან დიდხანს გამკლავება არ შეეძლოთ. ამიტომ სვიმონის ბოლო ბრძოლა შეიძლება „უიდურეს სიმამაცედ" მოინათლოს.

სვიმონის მცირერიცხოვანი მეომრები მიმავალ უზარმაზარ თურქთა ძალებს დაედევნენ. ეს მოხდა 1599 წელს, იმავე სოფელ ფარცხის ან, მდინარე ალგეთის ველზე, სადაც სვიმონს ადრე პირველად უღალატეს. პირველი შეტაკება წარმატებით დამთავრდა, მაგრამ მერმე იანიჩრებმა მიბრჯნით დაუწყეს სროლა ხმლებითა და შუბებით მომავალ ქართველ მეომრებს, ბრძოლაში სვიმონ მეფეს ცხენი ჭაობში ჩაეფლო. გამოჩნდა გამცემი და ეს ამბავი აცნობა მტერს. თურქები გარს შემოერტყნენ მეფე სვიმონსა და მის ამალას. ხელჩართულ ბრძოლაში განრისხებულმა იანიჩრებმა თოფებით გაჟლიტეს ისრით შეიარაღებული ქართველთა მეომრები.

თავს ზევით ძალა არ იყო. მეფე სვიმონი დაატყვევეს, რომელიც თურქთა ტყვეობაში გარდაიცვალა.

ქართველმა ხალხმა საუკუნეთა განმავლობაში ისეთ სისხლიან შემოსევებს გაუძლო, არა თუ უარესი, მსგავსიც კი ძნელი წარმოსადგენია. მაგრამ შაჰ-აბასმა თავისი სისასტიკითა და სისხლისმსმელობით ყველას გადააჭარბა. მან თავის მიზნად დაისახა კომპლექსურად, გარეშე და შინაური ძირგამომთხრელი ძალების მეშვეობით საქართველოს და, პირველ რიგში, ქართლისა და კახეთის ფიზიკური განადგურება, შემდეგ მისი გამაჰმადიანება. ამის მიღწევას კი ის ორი საშუალებით ცდილობდა: პირველი—ქართველების ამოწყვეტის შემდეგ ცალკეულ რეგიონებში მაჰმადიანების დასახლებითა და მეორე—მასობრივი წამების, რეპრესიების, მოსყიდვის, პროვოკაციებისა და სხვა საშუალებებით ხალხის დამონებითა და სულიერი დათრგუნვით.

შაჰ-აბასმა შექმნა ფეოდალთა მაღალი ფენის მოსყიდვის ისეთი ატმოსფერო, რომელსაც უნდა წარმოეშვა და წარმოშვა კიდეც ხალხის ისეთი მოღალატეები, როგორიც იყვნენ შადიმან ბარათაშვილი და სხვები. სამეფო კარის ჯაშუშობას და საიდუმლო მკვლელობებს უამრავი მსხვერპლი და ომებში დამარცხება მოჰქონდა. გიორგი სააკაძის მსგავსი გამოჩენილი მხედართმთავრების ქვეყნისათვის თავდადება ამ უკანასკნელთა აქტიურ მოქმედებას ხელ-ფეხს უბოჭავდა, თანაც მათი საქციელი შეურაცხმყოფელ კვალს ტოვებდა ისტორიაში.

მაგრამ შაჰ-აბასის წინააღმდეგ მთელი ქართველი ხალხი აღსდგა, რომელთა აჯანყებამ ჯერ კახეთსა და შემდეგ ქართლში, შაჰს გონება დააკარგვინა და იგი უზარმაზარი სახელმწიფოს სუვერენიდან მშვიდობიანი მოსახლეობის მტრავალ მკვლელად გადაიქცა, მკვლელად, რომელიც არა ჯარს, არამედ უიარაღო ხალხს ებრძოდა. შაჰ-აბასს ყველაზე დიდ წინააღმდეგობას კახეთის მეფე თეიმურაზი უწევდა, მაგრამ ქართველი ხალხისათვის ყველაზე დიდ ბედნიერებას წარმოადგენდა ის, რომ ქართველი ხალხის ამ დაუძინებელ მტერს წინ აღუდგა ისეთი დიდი მხედართმთავარი, როგორიც გიორგი სააკაძე იყო და რომელმაც ქართლი და კახეთი საბოლოო განადგურებისაგან იხსნა.

შაჰ-აბასმა, რომელსაც ბრძოლებში ქართული სისხლიც ერია, ზედმიწევნით იცოდა ქართველი ხალხის, როგორც მეომრული ძალისა და კეთილშობილების ამბავი და ამიტომ იგი თავის პოლიტიკას თავის არმიაში ქართველთა რაც შეიძლება დიდი რაოდენობით მიზიდვაზე აგებდა.

ამ მიზნით მას მასობრივად მიჰყავდა საქართველოდან ბავშვები და ახალგაზრდობა და ეს პირველ რიგში სამეფო კარსა და ფეოდალთა ფენას ეხებოდა, ზრდიდა მათ მაჰმადიანური სულისკვეთებით. მათ ბუნებრივ ფიზიკურ მონაცემებს და მეომრულ უნარს ბრძოლებში მთავარი ეშელონის ძირითად დამრტყმელ ძალად იყენებდა. მან იცოდა, რომ ტრადიციის მიხედვით, ყველა ქართველ მეომარს თავის მოვალეობად და წესად ბრძოლის მეწინავე ხაზზე ყოფნა მიაჩნდა. ეს ეხებოდა როგორც ცალკეულ მეომრებს, ასევე ნებისმიერ დაჯგუფებებსა და ქართველთაგან შემდგარ ჯარებს.

ქართველი მეომრების მოსყიდვისა და ძალით გამაჰმადიანების გარდა შაჰ-აბასი მიმართავდა დასაჩუქრებას, ვერაგულ დიპლომატიასა და მოთხოვნებს, რომელთა უკან საშინელი მუქარა იმალებოდა, ამასთან იგი საქართველოს სხვადასხვა კუთხის მმართველთაგან თურქების წინააღმდეგ ერთიან მოქმედებას მოითხოვდა. მათ კი თავიანთი ტრა-

დიციული „წინამბრძოლობით", გმირობით და, რაც მთავარია, დიდი მსხვერპლის ფასად გამარჯვება მოჰქონდათ ირანისათვის.

ასეთ ძალდატანებას ხშირად ჰქონდა ადგილი. 1603 წლის 16 ნოემბერს შაჰ-აბასმა ალყა შემოარტყა თურქთა ძლიერი გარნიზონით გამაგრებულ ერევანს. ირანელთა შემდგომი წინსვლა შეფერხდა და შაჰმა დახმარებისათვის ქართლისა და კახეთის მეფეებს ალექსანდრესა და გიორგი X-ს მიმართა. 1604 წლის აგვისტოში ქართლისა და კახეთის გაერთიანებულმა ჯარებმა ერევნის გამაგრებულ ციტადელს შეუტიეს, მათ შესახვედრად თურქთა ჯარები გამოვიდნენ, რომელთაც თავიანთი ცეცხლსასროლი საშუალებების იმედი ჰქონდათ.

მაგრამ ელვისებური დარტყმით თურქები გაანადგურეს, ქართველთა ჯარები ქალაქში შეიჭრნენ და გარნიზონი მოსპეს. აქ კი თავისი საქმის ოსტატი ყიზილბაშები ჩაერივნენ და ხელი მიჰყვეს ქალაქის ძარცვასა და აწიოკებას.

აი, ასე აღწევდა გამარჯვებებს „აღმოსავლეთის ლომი", როგორც შაჰ-აბასი თავის თავს უწოდებდა. რასაკვირველია, ქართველ მეფეებს ის ჩუქნიდა მის მიერვე წართმეულ ტერიტორიების მცირე ნაწილს, მაგრამ საკვანძო სამხედრო-სტრატეგიული პოზიციები თვითონ ეპყრა ხელთ, როგორიც იყო კაკ-ელისენის მხარე, რომელიც კახეთს აღმოსავლეთიდან იფარავდა, აგრეთვე ლორე დებედის ხეობით, ქართლს სამხრეთიდან რომ იცავდა.

შემდგომში ამ მხარეებში ჩამოასახლეს ნახევრად ველური ირანული ტომები, და ამრიგად, დასრულდა ქართლსა და კახეთში შემოჭრისათვის ამ უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული საყრდენი ტერიტორიის გამაჰმადიანება.

ირანის სიღრმეში ქართველთა იძულებითი გადასახლებანი, მოსახლეობის ჯანსაღი ნაწილის დამონება და დანარჩენთა მოსპობა, საცხოვრებელი მხარის სრული განადგურება და გადაბუგვა, ანუ სხვანაირად ე.წ. „გადამწვარი მიწის" სტრატეგია, შაჰ-აბასის ნაცად საშუალებას წარმოადგენდა, რათა არათუ ქართველებს, შემოსეულ თურქებსაც კი ვერაფერი წაეღოთ იქედან. თავისი დამპყრობლური გეგმის განსახორციელებლად შაჰ-აბასმა ძლიერი შეიარაღებული ძალები შექმნა და ახალი სამხედრო რეფორმა გაატარა. ირანის არმიის ხელმძღვანელობაში თითქმის საუკუნენახევრის განმავლობაში გამაჰმადიანებული ქართველები ბატონობდნენ და შაჰის უპირველესი მხედართმთავარი და სამხედრო რეფორმატორი ალავერდი ხან უნდილაიძე იყო. დამპყრობლებმა ისტორიული გამოცდილებით იცოდნენ, ვის მხარეზედაც ქარ-

თველები იბრძოდნენ, გამარჯვებაც იქ იყო. ამიტომ შაჰ-აბასის ძირითად საომარ ძალას—მის გვარდიას გამაჰმადიანებული ქართველი მეომრები შეადგენდნენ. უნდილაიძემ 60 000-კაციანი ამორფული არმია 30 ათასამდე შეამცირა, მაგრამ თანადროული ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით შეაიარაღა, და განუწყვეტელი წვრთნით განუზომელად აამაღლა მისი ბრძოლისუნარიანობა. ეს არმია 500 ზარბაზანსა და 10000 თოფს ითვლიდა.

საქართველოს სამეფოთა და სამთავროთა შიგნით კი შაჰი არ ერიდებოდა არც ერთმანეთისადმი წაქეზებასა და არც საშინელ მკვლელობებს. მისმა გაზრდილმა, კახეთის მეფის ალექსანდრეს გამაჰმადიანებულმა შვილმა კონსტანტინე მირზამ მოკლა თავისი მამა და ძმა და მათი თავები შაჰ-აბაზს გაუგზავნა, რათა სამეფო ტახტს დაპატრონებოდა. მაგრამ კახელები აჯანყდნენ მამისმკვლელი მოძალადის წინააღმდეგ და მათ ამ ბრძოლას ქართლელებიც შეუერთდნენ. ბრძოლა მოხდა 1605 წლის 22 ოქტომბერს მდინარე ბელაქანთან. ერთმანეთში აღრეული ყიზილბაშების, ლეკების, თურქმანების ყაჩაღურ ბრბოსა და ძალით წაყვანილ კახელთა ჯარს დაუპირისპირდა კახეთის თითქმის მთელი მოსახლეობა, რომელმაც უზარმაზარი ბანაკი შექმნა კახელთა არმიის ზურგში, მათ მეფის დიდებულები და ქეთევან დედოფალი მეთაურობდნენ. კონსტანტინე თავისი „ჭრელი" ჯარით სამ კოლონად მოიწევდა წინ, მოსახლეობა კი მის გზაზე მთელი თავისი ავლადიდებით კახეთის სიღრმეში იხევდა უკან და მტერს არაფერს უტოვებდა, სახელდახელოდ შექმნილი რაზმებით კი მოულოდნელად ესხმოდნენ თავს მტერს და სისხლისაგან ცლიდნენ მას. მტრის მოძრაობის გზაზე სპეციალური მზვერავების მეშვეობით ავრცელებდნენ ყალბ ხმებს, მოქმედებდა მტრის რიგებში წინასწარ შეღწეული აგენტურა.

საბოლოოდ თითქმის მთელი კახეთი შეიკრიბა სიმწრის მთასთან ბელაქანის რაიონში. წინასწარ გააზრებული მთელი ხალხის ეს გრანდიოზული უკანდახევა, მთიდან ლავასავით წამოსული მთიელები ტიპიური სახალხო ომის სურათს მქმნიდნენ. მათ სათავეში ედგა ქეთევან დედოფალი, რომლის გონივრული, შორსმჭვრეტელური გადაწყვეტილებანი გამოცდილ სამხედრო სარდლებთან წინასწარ იყო შეთანხმებული. გრემიდან და თელავიდან ჯარმა მარხილში შებმული რვა უღელი ხარით ჩამოიტანა ბრინჯაოს დედოზარისაგან ჩამოსხმული ზარბაზანი. არაგველთა ჯარს მეთაურობდა ნუგზარ ერისთავი, რომელსაც კახეთის უბედურება პირად უბედურებად მიაჩნდა და თავს ამ ბრძოლაში, უწინარეს, საქართველოს რიგით მებრძოლად თვლიდა,

მერმე კი თავად საარაგვოს ბატონ-პატრონად. ამ ბრძოლაში ერთმანეთს შეერწყა ქართველი ხალხი და არმია. დედებმა, რომელთა შვილებიც ძალით წაიყვანეს ყიზილბაშებმა, გასწირეს თავი და კახელების მხარეს გადმოვიდნენ. სწორედ მათ მოიგეს მთავარი ბრძოლა. გათენების ჟამს ძალით წაყვანილ კა ელთა დედები ხელიხელჩაკიდებულნი შევიდნენ წყალში და მოუწოდებდნენ თავიანთ შვილებსა და მეზობლებს გადმოსულიყვნენ მათ მხარეზე. ქართველმა დედებმა ქეთევანს შეჰფიცეს, უმალ სიკვდილს ვამჯობინებთ, ვიდრე მოღალატე შვილის ყოლასო.

ქალების სასწაულებრივმა რისკმა დიდი როლი შეასრულა კახელთა გამარჯვების საქმეში. უხუცესებმა ყველა სუსტი ფლანგი საქონლის ნახირითა და ერთმანეთზე გადაბმული ურმებით ჩახერგეს. საქონლის ქურდობას ჩვეული ლეკები ბრბოებად აირივნენ ნახირში. უხუცესები ზოგი ისრით, ზოგი ფიწლით, ზოგი ცულით თავს ესხმოდნენ მათს არეულ-დარეულ რიგებს.

საქართველოსათვის ისტორიულად ამ მძიმე პერიოდში მოევლინა გიორგი სააკაძე ქართველ ხალხს—უნიჭიერესი სტრატეგი და ტაქტიკოსი, ფიზიკურად უძლიერესი და გულადი მეომარი. იგი გასაოცარი პირადი მაგალითებით აიყოლიებდა მცირე ძალებს მოწინააღმდეგის განუზომელად დიდი რაოდენობის ძალების წინააღმდეგ საბრძოლველად. იგი 2 მეტრი და 8 სანტიმეტრი სიმაღლისა იყო, იწონიდა 138 კილოგრამს, იმდენად ღონიერი გახლდათ, რომ 14 გირვანქიან ხმალს ბუმბულივით ხმარობდა. თავის სოფელ ნოსტეში ახალგაზრდობისას ამხანაგებისაგან გიორგიმ შექმნა „ვეფხვთა“ რაზმი და მათთან ერთად ატარებდა სამხედრო თამაშობებს.

პირველი ბრძოლა თურქების წინააღმდეგ თავის „ვეფხვთა“ რაზმით გიორგიმ საკუთარი სოფლის დასაცავად გადაიხადა. ამ პირველსავე ბრძოლაში ყველა დარწმუნდა მის სამხედრო ნიჭიერებასა და სწორუპოვარ მამაცობაში. მისი მომაკვდინებელი, დახელოვნებული ჩეხვა მძიმე ხმლით შიშის ზარს სცემდა თურქებს. გიორგი სააკაძე თვითონ ცდილობდა ბრძოლაში გადაჰყროდა თურქთა ჯარის მეთაურს. და, მართლაც, ომარ ფაშას მოკვეთილი თავი გიორგიმ შუბზე წამოაგო.

1609 წლის ზაფხულში ახალციხის მხრიდან ფერად ფაშას წინამძღოლობით მოულოდნელად შემოჭრილ თურქთა 60 0000 ჯარის წინააღმდეგ გიორგი სააკაძემ დიდი მხედართმთავრული ხელოვნებით წარმართა ბრძოლები.

მოწინააღმდეგემ შეიტყო, რომ მეფე ლუარსაბი მცირე ამალით ცხირეთის ციხეში იმყოფებოდა და მისი შეპყრობა გადაწყვიტა. თურქები

უმოკლესი გზით, სრულიად მოულოდნელად შემოვიდნენ მანგლისში და ადგილობრივ მღვდელს თევდორეს მოსთხოვეს, ცხირეთის ციხისაკენ მათი მეგზურობა ეკისრა. თევდორემ გადაწყვიტა, არასწორი გზით წაეყვანა მტერი და კვალი აებნია მისთვის, რომ ჯარის შეგროვება მოესწრო ქართლის მეფეს. როდესაც თურქები მიხვდნენ, მღვდელს ისინი გარდაუვალი დაღუპვისაკენ მიჰყავდა, საშინელი წამებით მოჰკლეს. თევდორემ პირნათლად მოიხადა ვალი სამშობლოსა და ხალხის წინაშე.

ცხირეთში იმხანად მეფეს თან ახლდა გიორგი სააკაძე. თურქთა შემოჭრის ამბის შეტყობისთანავე მან დაუყონებლივ მოუყარა თავი ოთხასიოდე მეომარს და ლაშქრისათვის მალემსრბოლები დაგზავნა ქუდზე კაცის დასაძახებლად. თვითონ კი წუთითაც არ დაუკარგავს, ზაზა ციციშვილთან ერთად მცირე რჩეულთა რაზმით ავგანწირვით ეკვეთა მომხდურთ. მან ყველაფერი იღონა, რომ მტერი არ გადმოეშვა მტკვრის გადმოღმა. ქართველთა ძალები ყოველდღიურად იზრდებოდა და ბოლოს მისმა რაოდენობამ გენერალური ბრძოლის წინ 10 000 კაცს მიაღწია.

აქ მთელი ბრწყინვალებით გამოვლინდა გიორგი სააკაძის უზარმაზარი მხედართმთავრული და ორგანიზატორული ნიჭი, უნარი მოწინააღმდეგისათვის საკუთარი ნების თავს მოხვევისა, ინიციატივის ხელში ჩაგდებისა, რაც აიძულებდა მტერს მისთვის არახელსაყრელ პირობებში ეწარმოებინა ბრძოლები. იგი ამას აღწევდა შეუნელებელი, გაბედული, მოულოდნელი და გადამწყვეტი დარტყმებით, ამასთან მიმართავდა თავისი ცხენოსანი რაზმების სწრაფ მანევრირებასა და ადგილობრივი მდებარეობის მოხერხებულად გამოყენებას. დროის მაქსიმალური მოგების მიზნით გიორგი სააკაძემ მთავარი ძალების მოსვლამდე სასწრაფოდ გამოყო ორი რაზმი საჭირო კომუნიკაციებისა და ნებისმიერ წინაღობათა შესაქმნელად. მთელი ღამის განმავლობაში ადგენდა ახალ-ახალ რაზმებს მოხალისეთაგან და სათავადოებში შეკრებილ მოლაშქრეთაგან, ანაწილებდა მათ, აძლევდა მითითებებს გადაჯგუფებათა და მანევრირებათა შესახებ. თოფებით შეიარაღებული საგანგებო ორი რაზმი მოქმედებდა ძირითადი მიმართულებით. თურქებს მთავარი დარტყმა მიაყენეს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

დილის ბინდ-ბუნდში საცეცხლე მოშზადების მერმე წარმოქმნილ ზოლში გიორგი სააკაძე თვითონ წარუძღვა დამრტყმელ დაჯგუფებას, გაანადგურა მტრის ძირითადი ძალები და მოაწყო საბოლოო ფრონტალური და პარალელური დევნა, რომლის გზაზე საგანგებო რაზმები აწყობდნენ აფეთქებებს, ანთებდნენ კოცონებს, რითაც მრავალრიცხოვნო-

ბის შთაბეჭდილებას ქმნიდნენ. გიორგი სააკაძე იძახებდა რაზმების მეთაურებს, უსახავდა მათ ზუსტ ამოცანებს, რომ უკუქცეულ მტრის ძალებს უთუოდ ტაშისკარისკენ დაეხიათ, წინასწარ მომზადებული ხაფანგისაკენ, სადაც მათი საბოლოო განადგურება იყო დაგეგმილი.

შემბოჭავი დარტყმების, არიერგარდული ძალების განადგურებით, მრავალრიცხოვანი აფეთქებებით, მგლის ორმოებითა და კომუნიკაციების მოსპობით გიორგი სააკაძემ შეძლო აეძულებინა თურქები, სრულ თავდაცვაზე გადასულიყვნენ და სურამისაკენ, ტაშისკარის ხაფანგისაკენ დაეხიათ. 1609 წლის 27 ივნისს, ალიონზე, რუსი ბოიარის ტატიშჩევის მიერ დატოვებული სიათა თოფების ზალპებით, და ერთდროულად სამი მხრიდან დაწყებული შეტევით ქართველთა ჯარი შეიჭრა თურქების დაჯგუფებაში და დაიწყო ულმობელი ჩეხვა, რომელიც ათი საათის განმავლობაში გრძელდებოდა (იხ. სქ. № 10).

ამ ბრძოლაში გიორგი სააკაძე ყველგან გვერდით ახლდა ლუარსაბ მეფეს. მან ხმალდახმალ გაიკაფა გზა ფერად-ფაშასკენ და პირდაპირ შეტაკებისას ჩამოაგდო ცხენიდან იარაღაყრილი. მეტად დიდი იყო თურქთა ზარალი. ტაშისკარის ხეობა აივსო მოკლული და დაჭრილი თურქთა მეომრებით. მოსახლეობა მთელი ერთი კვირის მანძილზე ეძებდა ტყეებში თავშეფარებულ და გაქცეულ თურქთა თავზარდაცემულ, უიარაღო მეომრებს, რომელთაც ატყვევებდნენ და დედაშობილა უშვებდნენ ხალხის დასანახად. ფერად ფაშა, მუჰამედ ფაშას ვაჟი და სხვა დიდძალი ტყვეები შაჰ-აბასს გაუგზავნეს. ლუარსაბ მეფემ გიორგი სააკაძეს თავადობა და დიდძალი ადგილ-მამული უბოძა. სამეფო კარზე გიორგი სააკაძის სწრაფმა აღზევებამ მსხვილი ფეოდალების თვითნებობის შეზღუდვისა და მათი სამეფო ძალაუფლებისადმი დაქვემდებარების პოლიტიკამ, რის განხორციელებასაც გიორგი სააკაძე წვრილ აზნაურთა და ქალაქის ხელოსანთა ფენებზე დაყრდნობით ცდილობდა, რომლის საბოლოო მიზანს საქართველოს ერთიან, ძლიერ ცენტრალიზებულ სამეფოდ გაერთიანება წარმოადგენდა, ფეოდალური რეაქციის გააფთრება გამოიწვია. მათ სააკარის სახით ყველაზე საშიში და ძლიერი მტერი დაინახეს. მის წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა ლუარსაბ მეფის კარზე ყველაზე გავლენიანი და გაქნილი კარისკაცი, ქვემო ქართლის უმსხვილესი ფეოდალი შადიმან ბარათაშვილი. მისი თაოსნობით ქართლის თავადები მოულოდნელად თავს დაესხნენ გიორგი სააკაძის სახლეულს და აიძულეს იგი სპარსეთში გადახვეწილიყო.

გიორგი სააკაძის წინააღმდეგ შადიმან ბარათაშვილის მუხანათურმა შეთქმულებამ და ღალატმა საქართველოს დააკარგვინა უბადლო

მხედართმთავარი, იმ დროისათვის ერთადერთი კაცი, რომელსაც შეეძლო საქართველოს ერთ სამეფოდ გაერთიანების იდეა რეალურ სინამდვილედ ექცია. ამრიგად, შაჰ-აბასის მთავარმა დასაყრდენმა სამხედრო ძალამ—30000-ანმა ქართულმა არმიამ შესანიშნავი სარდალი მიიღო. იშვიათმა მხედართმთავრულმა ნიჭმა, რკინისებურმა ნებისყოფამ, ზღვარდაუდებელმა სიმამაცემ და მეომრულმა ხელოვნებამ გიორგი საакაძეს ერთბაშად მოუპოვა აღიარება შაჰ-აბასის თვალში.

შაჰი, რომლის ძარღვებშიც ქართული სისხლიც ჩქეფდა, კარგად უწყოდა ქართველთა მეომრული შეუპოვრობის, გამანადგურებელი დარტყმის ძალა.

იმ ხანებში შაჰ-აბასი კახეთზე თავდასხმას ამზადებდა. ამიტომ თავდაპირველად შაჰმა თეიმურაზ მეფეს მძევლებად შვილიშვილები და იმათი დედა ქეთევან დედოფალი მოსთხოვა. თეიმურაზი იძულებული გახდა, შეესრულებინა შაჰის სურვილი და ისინი სამეფო კარის დიდებულის ნოდარ ჯორჯაძის თანხლებით გაგზავნა. ბოლოს კი შაჰმა თვითონ მეფე იხმო, მაგრამ ახლა უკვე მიხვდა, რომ ხაფანგს უგებდნენ და არ წავიდა სპარსეთს. სწორედ ეს გაიხადა საბაბად შაჰ-აბასმა და კახეთს შემოესია. კახეთზე თავდასხმის ნამდვილი მიზეზი კი ის იყო, რომ შაჰ-აბასს ძალზე აშფოთებდა რუსეთის მიერ საქართველოსთვის სამხედრო დახმარების გაწევის შესაძლებლობა. ამრიგად, ეს აქცია გამაფრთხილებელ დარტყმას წარმოადგენდა, რათა კახელებს არ შემოეშვათ რუსთა ჯარები და, მეორეს მხრივ, არავის გაებედა შერისხული თეიმურაზის თანადგომა.

კახეთი მოსრეს და დაანგრიეს, მისი წმინდა ტაძრები გრემი და ალავერდი გაძარცვეს და შებილწეს. ასეულ ათასობით ქართველი ტყვედ წაასხეს.

კახეთის მმართველობა შაჰმა ისა-ხანს დაავალა, გრემის მმართველად და სახლუხუცესად ნოდარ ჯორჯაძე დარჩა, ვექილად კი დავით ასლანიშვილი (ჯანდიერი).

სპარსელთა ულმობელი სისხლიანი მტარვალობისა და ძალადობის გამო ოკუპირებულ კახეთში მდგომარეობა სულ უფრო იძაბებოდა. ყიზილბაშთა ზღვარდაუდებელმა თავგასულობამ კახელები აიძულა იარაღისათვის მოეკიდათ ხელი. ყოველმხრივ მწიფდებოდა პირობები კახეთში საყოველთაო აჯანყებისათვის, რომლის მზადებასაც ნოდარ ჯორჯაძე ჩაუდგა სათავეში.

1615 წლის 15 სექტემბერს, ისარგებლა რა ისა-ხანის კახეთში არყოფნითა და ალავერდობის სახალხო დღესასწაულით, ნოდარ ჯორჯაძემ ალავერდის ეკლესიისა და ციხე-სიმაგრის გალავნის შიგნით ფარუ-

ლად შეიარაღებული მეომრები შეიყვანა. ირანელთა გარნიზონს აზრადაც არ მოსვლია, რომ ეკლესიაში სალოცავად შესულმა ქართველებმა საფუძვლიანად დაზვერეს მოწინააღმდეგის ჯარის განლაგება და თითოეულმა ქართველმა მეომარმა დარტყმის კონკრეტული სამიზნე შეარჩია.

ნოდარ ჯორჯაძის დათქმულ ნიშანზე ქართველებმა სამოსს შიგნით დამალული ხმლები იშიშვლეს და ირანელთა ჩეხვას შეუდგნენ. მოკლე ხანში ირანელთა გარნიზონი მთლიანად განადგურდა.

ასე დაიწყო კახეთის ცნობილი აჯანყება, რომელიც მთელ მხარეს მოედო და მალე ქართლშიც გავრცელდა. ქართველებმა მეფე თეიმურაზს სთხოვეს, სათავეში ჩასდგომოდა ქართლ—კახეთის ანტიირანულ გამოსვლას. მან აჯანყების სათავეში ჩადგომისთანავე განახორციელა თავდასხმა შეკინის მხარეზე, აიღო ქალაქი არეში და გაანადგურა ყიზილბაშთა ძლიერი გარნიზონი, ამან მეზობელი შირვანელების თეიმურაზის მხარეზე გადმოსვლა განაპირობა. ანტიირანული აჯანყება ფართოვდებოდა, სულ ახალ-ახალ მხარეებს ედებოდა. კავკასიელი ხალხები საძულველი შაჰ-აბასის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთიანდებოდნენ.

გამძვინარებულმა შაჰ-აბასმა კახეთის აჯანყების ჩასახშობად და თეიმურაზის შესაპყრობად თავდაპირველად 15 000-იანი კარგად შეიარაღებული ძალები გაგზავნა, მაგრამ ორგანიზებული დაზვერვის მეშვეობით მოწინააღმდეგე შეცდომაში შეიყვანეს: ირანელთა გეგმებისა და განლაგების შესახებ ზუსტად ინფორმირებულმა მეფე თეიმურაზმა კი მტრის გაცილებით ჭარბ და კარგად შეიარაღებულ ძალებზე ექვსიათასიანი ჯარის ერთობლივი ზუსტი და უეცარი დარტყმით სრული გამარჯვება მოიპოვა. ამ ბრძოლის ნამდვილი გმირი თვითონ თეიმურაზი იყო. გაბედულად იბრძოდნენ მისი ერთგული მხედართმთავრებიც ნოდარ ჯორჯაძე, დავით ასლანიშვილი. რაც მთავარია, თავგანწირვით იბრძოდა ყველა კახელი მებრძოლი.

კახეთში მეორედ შემოსევას თვითონ შაჰ-აბასი ჩაუდგა სათავეში.

აჯანყებული კახეთის წინააღმდეგ ლაშქრობის გეგმა შემაძრწუნებელი იყო თავისი მხეცური სისხლიანი ულმობლობით. ამჯერად მოსახლეობის მთლიან ამოწყვეტას, ცოცხლად დარჩენილთა გამაპმადიანებასა და ირანთან საბოლოოდ შეერთებას უწინდებურად ერთი დარტყმით კი არა, ნაწილ-ნაწილ აპირებდნენ. ასეთი 'გეგმის განხორციელება შაჰ-აბასმა პირველად კახეთში მოინდომა.

კახეთის მიმართულებით დარტყმას შაჰ-აბასის მთავარი ძალები თბილისიდან ახორციელებდნენ, ერთდროულად ეწყობოდა თავდასხ-

მები ლეკებისა და შირვანელების მხრიდან. გაუკაცრიელებულ და გადაბუგულ მიწებზე თურქმენებს ასახლებდნენ, თავად კახეთის შრომისუნარიანი მოსახლეობა კი ირანში მიწების კულტურული დამუშავებისათვის იგზავნებოდა, გამაჰმადიანებული ახალგაზრდობა—არმიის შესავსებად.

ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილი ირანელთა დიდი ძალები შეუდგნენ ამ მხარის ძარცვას, რომლის ბედი წინასწარ იყო გადაწყვეტილი. ორად გაყოფილი კახეთი მეზობელ სამფლობელოებს უნდა გადასცემოდა და ამით მისი ხსენებაც აღგვილიყო მიწის პირისაგან. დაჟინებით ხორციელდებოდა ისტორიაში ხალხისა და მთელი მიწა-წყლის გეგმიანი განადგურება, რომ არაფერი ითქვას თავდაცვით ნაგებობაზე.

კახელებმა საარაკო გმირობა გამოიჩინეს, თითოეული სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდა და მტერს ცოცხალი არავინ ნებდებოდა. იბრძოდნენ არა მარტო მამაკაცები, არამედ ქალები, მოხუცები და ბავშვები, შაჰ-აბასის სისხლისმსმელი მტარვალები მხოლოდ გვამებზე გადავლით ახერხებდნენ წინსვლას.

გადარჩენილთა ცალკეული ჯგუფები ყველა საშუალებით ცდილობდნენ წინააღმდეგობა გაეწიათ მტრისთვის, ან დროებით მაინც შეეჩერებინათ, რომ დაღუპვისაგან ეხსნათ მთებში, გამოქვაბულებსა და ტყეებში გახიზნული ახლობლები და ოჯახის წევრები. კახელები აქაც ახერხებდნენ თავდაცვითი ნაგებობების შექმნას. ხალხი სადაც კი შესაძლო იყო, ღრმა თხრილებს ავლებდნენ დასახლებულ ადგილებს, შიგ წყალს უშვებდნენ და ასე იცავდნენ თავს. მაჰმადიანები ამ თავისებურ სიმაგრეებს „სიგნახს“ უწოდებდნენ, მათ გადასალახავად წარმოებულ ბრძოლებს კი—სიგნახის ბრძოლებს.

მიუხედავად ასეთი წინააღმდეგობისა და გმირული თავგანწირვისა, ირანელთა ურდოების მოსაგერიებლად ეს ღონისძიებანი, რასაკვირველია არ კმაროდა.

1616 წლის გაზაფხულზე, სისხლიანი ანგარიშსწორების შემდეგ, როცა კახეთში ყველაფერი მოსრეს და იავარჰყვეს, ულმობლად გაჟლიტეს 100 000 მცხოვრები და 150 000 ტყვედ წაასხეს, შაჰ-აბასმა ჩათვალა, რომ კახეთი აღარ არსებობდა.

მაგრამ საქართველოს ამ პატარა კუთხის მცხოვრებლებმა ირანელთაგან თავსდამტყდარ ამ უსაშინელეს ჯოჯოხეთსაც გაუძლეს. მათ უფრო მეტი გააფთრებით განაახლეს ბრძოლა დამპყრობლების წინააღმდეგ.

ამას კი აღარ მოელოდა ირანის მრისხანე მბრძანებელი. ვერ დაეჯე-

რებინა, რომ კახეთში კიდევ იყო დარჩენილი წინააღმდეგობის რაიმე კერა. მან თავის ყველაზე მძვინვარე მხედართმთავარს უბრძანა, სასწრაფოდ დასხმოდა თავს კახეთს, ცეცხლითა და მახვილით მოესპო ყველაფერი; ქვა ქვაზე აღარ დაეტოვებინა. 1616 წლის შემოდგომაზე, მშვიდობიანი მოსახლეობის გაჟლეტაში განსაკუთრებით დახელოვნებული, ფანატიკოს მაჰმადიანთა ურდოები კვლავ შეესივნენ გადაბუგულ და სისხლით უხვად მორწყულ კახეთის მიწა-წყალს, მაგრამ კახელები მთლიანად მაინც ვერ ამოწყვიტეს, უფრო მეტიც, მათ აგრძნობინეს დამპყრობლებს, რომ კვლავ შესწევდათ სამშობლოსათვის თავგანწირვისა და მტრის წინააღმდეგ ბრძოლის უნარი.

შაჰ-აბასი მეორეჯერ ჩაუდგა სათავეში კახეთის წინააღმდეგ ლაშქრობას. სადაც მოატანდა, ყველგან ულეტდა კახელებს, მოსპო მოსახლეობის ორი მესამედი, პირისაგან მიწისა აღგავა ყველაფერი, რაც კი მის შემშუსრავ ხელს აქამდე გადარჩენოდა...

თემურ-ლენგმა რვაჯერ ააოხრა საქართველო, მაგრამ რვაჯერვე აღდგა ფერფლისაგან. თანაც უძლიერეს დარტყმებსაც აყენებდა მსოფლიოს მბრძანებლად მიჩნეულ დამპყრობელს. შაჰ-აბასმა მთელი თავისი დამანგრეველი ძალების ფოკუსირება მოახდინა მარტო კახეთის წინააღმდეგ, ოთხჯერ დაანგრია და გადასწვა იგი, მაგრამ კვლავ ცოცხლდებოდა ხალხის ძალა და მუსრს ავლებდა მტრის ჯარებს. აი, ეს არის გაუნადგურებლობის, უკვდავების ფენომენი. კვლავ ცოცხალი იყო კახეთის მოუხელთებელი მეფე თეიმურაზი, რომელიც აქტიურად მოქმედებდა და ებრძოდა ძალებს შაჰ-აბასის დასამარცხებლად. თეიმურაზი იყო საქართველოს სამეფო-სამთავროთა გაერთიანების ცდის ინიციატორი. 1615, 1618 და 1623 წლებში განიზრახა მოსკოვში ელჩიონის გაგზავნა, რათა ერთმორწმუნე დიდი ქვეყნისათვის ეთხოვა მტრის წინააღმდეგ თანადგომა და სამხედრო დახმარება, თუმცა უშედეგოდ. უშედეგოდ დამთავრდა მის მიერ ელჩთა გაგზავნა დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებშიც.

თეიმურაზი 3000 ქართველი მეომრითურთ თვითონ გაემგზავრა სტამბოლს და თურქთა ჯარების ავანგარდში იბრძოდა ირანელთა წინააღმდეგ, მაგრამ აქაც უშედეგოდ. ირანის მბრძანებელი ყველა საშუალებით ცდილობდა, როგორმე მოეხელთებინა იგი და მოეშთო.

ბოლოს, შაჰ-აბასმა, როგორც იქნა, მიაგნო თეიმურაზის ოჯახის კვალს ოლთისში და ამირგუნე-ხანის მეთაურობით სასწრაფოდ შეკრიბა რჩეული ლაშქარი დედოფლის, მეფის ამალისა და მათი დამცველი რაზმის შესაპყრობად. თეიმურაზმა ისინი სტამბოლში გამგზავრების

წინ დატოვა აქ ნოდარ ჯორჯაძის იმედით. 1617 წლის მკაცრი, დიდთოვლიანი ზამთარი იდგა და ირანელთა ლაშქარი გაჭირვებით მიიკვლევდა გზას. შეყოვნებულმა წინსვლამ მოსახლეობას საშუალება მისცა, ქალაქის დამცველებისათვის ეცნობებინათ მომავალი საფრთხე. ნოდარ ჯორჯაძემ ისიც შეიტყო, რომ მოწინააღმდეგე ძალზე დაქანცა გაუვალმა გზამ და ქალაქის შტურმით აღება დაუყონებლივ ირანელებს არ შეეძლოთ. მართლაც, ისინი ქალაქის ახლოს დაბანაკდნენ და შეუდგნენ შხადებას იერიშისათვის. ნოდარ ჯორჯაძემ გადაწყვიტა, მტრისთვის დაესწრო, მოულოდნელად დასხმოდა თავს ქალაქთან დასასვენებლად განლაგებულ ირანელთა ბანაკს. გაბედულმა და ელვისებურმა დარტყმამ მტერი დააბნია, მის რიგებში პანიკა და არეულ-დარეულობა შეიტანა, ამით ისარგებლეს ქართველებმა და სასტიკად დამარცხებული მტერი აჩეხეს. მთელი ბანაკის ალაფი, საჭურველი და ცხენები გამარჯვებულთ დარჩათ.

შაჰ-აბასმა გადაწყვიტა, მძევლებზე—თეიმურაზის ორ მცირეწლოვან ვაჟიშვილზე და ქეთევან დედოფალზე ეყარა ჯავრი. ორი ბავშვი დაასაჭურისეს, რომელთაგან ერთი გარდაიცვალა და მეორე კი ჭკუაზე შეცდა. მერმე შაჰმა ქეთევან დედოფალს გამაჰმადიანება მოსთხოვა. ამ უკანასკნელმა ზიზღით უარჰყო ეს მოთხოვნა. უმწეო ქალს მარწუხებით მოგლიჯეს ძუძუები, თავზე გავარვარებული რკინის რკალი ჩამოაცვეს, დაუსახიჩრეს სახე, დასთხარეს თვალები.

ქეთევან დედოფალმა ბოლომდე გაუძლო წამებას. ეშაფოტზე ასულს სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე ერთი კვნესაც არ დასცდენია, ერთი წუთითაც არ შემდრკალა მოძალადე მწამებელთა წინაშე. მისმა მოწამეობრივმა სიკვდილმა, სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის თავდადებამ, ზებუნებრივმა სულიერმა გაუტეხელობამ გააოცა ირანის სამეფოს კარზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ელჩები და სხვადასხვა მისიათა წარმომადგენლები, ქართველთა დედოფლის ყოველგვარ საზღვარს გადასულმა სიმამაცემ და ქედუხრელობამ ყველას დაანახვა მოძალადეთა უსუსურობა და არარაობა, ხოლო ქართველობა აღაფრთოვანა სამშობლოს ღირსების დაცვისა და თავისუფლების ბრძოლისათვის, რამაც ასი ათასობით თანამემამულეს შთააგონა, მიებაძა წმინდანად შერაცხული, წამებული ქალისათვის. სიკვდილის წინ წარმოთქმული მისი სიტყვები მომაკვდინებელ ლახვრად იქცა მტრისათვის: „ხორცისათვის არ გავწირავ სულს, რასაც ქრისტიანობა და, ქართველობა ჰქვია. სხეული მიწიერია და მიწად უნდა იქცეს. ხოლო ქრისტეს რჯული და საქართველო, რომელიც ჩემში დაბადებითვეა ჩასახული, უკვდავი და მა-

რადიულია, მისი მოკვლა არც თქვენს ხელმწიფეს და მის ცრუ ღვთაებას შეუძლია",—ასე მიმართა ქეთევანმა თავშეყრილ ხალხს.

ეს შაჰ-აბასის ყველაზე მძიმე დამარცხება იყო, მტარვალი დამპყრობლის სულიერი არარაობის მხილება, ეს იყო ქართველთა რწმენის ამაღლება, რამაც შთააგონა მათ ყოველგვარი წამებისა და მსხვერპლისათვის მზადყოფნა მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ისტორიამ შემდეგშიც არაერთხელ დაადასტურა, რომ ძალადობის, ბარბაროსობისა და ბოროტმოქმედების ჩამდენ ყოველ ტირანს დაღუპვა და კაცობრიობის საყოველთაო შეჩვენება ელის.

ქეთევანის მოწამებრივი სიკვდილი იმის ნათელი მაგალითიცაა, თუ როგორ ამარცხებს სიკეთე ბოროტებას.

შაჰ-აბასის არაადამიანურმა მხეცობამ ქართლსა და კახეთში წინააღმდეგობისა და მრისხანების ახალი ტალღა ააზვავა. როგორც ვთქვით, მოამწიფა ვითარება საყოველთაო აჯანყებისათვის.

ქართლში გადასულმა შაჰ-აბასმა კახეთში დატრიალებული ამბები აქ ალარ გაამეორებინა. ცბიერმა პოლიტიკოსმა ქართლის ფორმალურ მმართველად გიორგი სააკაძე დააყენა. მან მისი ძველი პირადი მტრები მსხვილი თავადები ფარულად წააქეზა მის წინააღმდეგ. ამით ვერაგ შაჰს სურდა, უკიდურესად გაეღვივებინა შუღლი და მტრობა გიორგი სააკაძის მომხრე წვრილაზნაურთა, აგრეთვე ყმობისაგან დახსნილი გლეხობისა და ხელოსან-ვაჭართა ფენებისა—მსხვილი ფეოდალების წინააღმდეგ, გაეთიშა ეროვნული ერთიანობის ძალები, ყოველნაირად დაესუსტებინა დამპყრობლებისადმი ქართველთა წინააღმდეგობა, ამასთან ოკუპირებულ ქართლში მომხდარი ყველა უბედურება ხალხის თვალში გიორგი სააკაძისათვის დაებრალებინა, სპარსელი დამპყრობლებისადმი ზიზღი და მრისხანება თავს დაეტეხა სამშობლოსათვის თავგანწირული, უმამაცესი ადამიანისთვის, რომელმაც ვერაგ შაჰს მძევლად ხელში შეატოვა თავისი უსაყვარლესი ვაჟიშვილი. შაჰი ცდილობდა გიორგი სააკაძისათვის ერთხელ და სამუდამოდ დაეკარგა ნდობა მშობელ ხალხში და ამით ეს უძლიერესი პიროვნება სამუდამოდ მიეჯაჭვა სპარსეთის სამეფო კარზე.

გიორგი ყველაფერს ხვდებოდა, ღრმად სწვდებოდა ვითარებასა და მდგომარეობის სირთულეს. მან უგულვებელყო ყოველივე პირადული, გასწირა მძევალი ყრმა შვილის სიცოცხლე, გამოიყენა მტრისაგან მინიჭებული ძალაუფლება და თავისი დაუშრეტელი, ამოუწურავი სულიერი და გონებრივი შესაძლებლობანი, მთელი თავისი დიპლომატიური, სამხედრო და ორგანიზატორული ტალანტი სამშობლოს ხსნისა და გაერთიანების ცდას შესწირა.

მანამდე გიორგი სააკაძემ ბრწყინვალედ განხორციელებული დიდი ლაშქრობებით ირანის საბრძოლო დროშები უძლეველობისა და დიდების შარავანდედით შემოსა მთელ აზიაში. რასაკვირველია, ყოველი გამარჯვება შაჰ-აბასის კუთვნილება ხდებოდა. მიუხედავად ამისა, დიდი ქართველი მხედართმთავრის დიდება არა მარტო აზიაში ჰქუხდა, ევროპაშიც იცნობდნენ მის სახელს.

მაშინდელ პოლიტიკურ წრეებში ყველას შესანიშნავად ესმოდა, რომ რანაირი თანამდებობაც არ უნდა სჭეროდა სამეფო კარზე გიორგი სააკაძეს, ქვეყნის რეალური მბრძანებელი მაინც ის იქნებოდა, ყველაფერზე პასუხი მას უნდა ეგო. ის ქართლის მმართველის სვიმონისა და ყარჩიხაი ხანის მრჩევლად ითვლებოდა. ამიტომ დიდი მხედართმთავარი ფარულად ირანის წინააღმდეგ ქართველთა საყოველთაო აჯანყებას რომ იზრახვიდა, ცდილობდა შემოერიგებინა ძველი მტრები, რომელთაც ადრე მისი ოჯახის ამოსაწყვეტად ულმობლად აღმართეს ხელი.

თავდაპირველად გიორგი სააკაძეს სურდა ირანელებზე დაყრდნობით დაეთრგუნა თავისი მოსისხლე ურჩი ფეოდალები, აელაგმა ქვეყნის დაუსრულებელი შინააშლილობის გამომწვევი ყველა რეაქციული ძალები და ამრიგად გზა გაეკაფა საქართველოს გაერთიანებისათვის. მაგრამ როდესაც დაინახა, შაჰ-აბასს ყველაზე მეტად სწორედ ამისა ეშინოდა და მისი ხელით აპირებდა საქართველოს სისხლში ჩახრჩობას, მიხვდა თავის მწარე შეცდომას და მყის შეიცვალა ტაქტიკა. ახლა მან მთავარ მიზნად დაისახა, მოეხდინა სამთავრო-სამეფოთა და მთელი ხალხის ძალების კონსოლიდაცია, მიეღწია ქართველ დიდფეოდალთა და, საერთოდ, მთელი ქვეყნის მატერიალური და შეიარაღებული რესურსების გაერთიანებისათვის, ამასთან ირანთან მტრულად განწყობილ მეზობელ ქვეყნებთანაც ეძიებდა დახმარებას. ის თავად აბრუნებდა გაქცეულ თავადებს, რომელთაც მისი სამართლიანი შურისძიებისა ეშინოდათ, უბრუნებდა თაყიანთ მამულებს და მეგობრობის ხელსაც უწვდიდა მათ. ეს ამბავი ცბიერ შაჰის თვალს არ გამოპარვია და მან გააძლიერა საიდუმლო ზედამხედველობა გიორგი სააკაძეზე.

ყარჩიხაი ხანი შეუდგა შაჰ-აბასის საიდუმლო ბრძანების თანმიმდევრულ შესრულებას. კახელთა სრული ამოწყვეტის მიზნით მან 1623 წელს ვითომდა იმერეთში სალაშქროდ კახელი მხედართმთავრები თავიანთი ჯარითურთ მუხრანში, აღაიანის ველზე მიიწვია. სინამდვილეში ეს იყო ვერაგულად ჩანაფიქრი, სისხლიანი ხაფანგი. დაიწყო ალყაშემორტყმულ კახელთა ჩუმი ჟლეტა. ღალატი მაინც გამჟღავნდა. დასაღუპად განწირულმა კახელთა უმრავლესობამ გაარღვია ალყა და კახეთს

მიაშურა. ამან საქართველოში საყოველთაო გულისწყრომა და აღშფოთება გამოიწვია. ყარჩიხაი ხანმა ყველაფერში გიორგი სააკაძე დაადანაშაულა. თავის მხრივ, გიორგი სააკაძემ ახლობელთა შორის შაჰის ვერაგული ზრახვები ამხილა, ეს ამბავი საიდუმლოების მკაცრი დაცვითა და სათანადო არხებით თანდათანობით ცნობილი გახდა ხალხის ფართო ფენებისათვის. დაიწყო საყოველთაო აჯანყებისათვის მზადება გიორგი სააკაძის მეთაურობით, რომელსაც ხალხთან ერთად სრული ნდობა გამოუცხადა სრულიად საქართველოს კათალიკოსმა.

გიორგი სააკაძის ირგვლივ შექმნილ უაღრესად რთულ გარემოცვაში ყოველივე ეს არ დაიმალებოდა და შედეგსაც არ დაუგვიანია. შაჰ-აბასმა ყარჩიხაი ხანს საიდუმლო შიკრიკის ხელით ბრძანება გამოუგზავნა, სადაც იგი გიორგი სააკაძის თავსა და ქართლ-კახეთის ცეცხლითა და მახვილით ერთიან მოსრას მოითხოვდა. სპარსეთიდან მომავალი შიკრიკი გიორგი სააკაძის პირად რაზმელებს ჩაუვარდა ხელთ. ამრიგად ყველაფერს ნათელი მოეფინა. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. სააკაძემ შაჰის ბრძანება გააცნო ქართლ-კახეთის დიდებულებს, რომელთა დაუყოვნებლივ განადგურებასაც მოითხოვდა ირანის მბრძანებელი. საჭირო იყო დაესწროთ ირანელებისათვის, რომლებიც 30 000 მეომრით იმხანად მარტყოფის ველზე იყვნენ დაბანაკებულნი ყარჩიხაი ხანის სარდლობით და მოქმედების დაწყების ნიშანსღა ელოდნენ.

გიორგი სააკაძემ ირანელთა სრული განადგურების გეგმა შეიმუშავა და თანამებრძოლთ გააცნო. გეგმა მიღებულ იქნა. აჯანყებული ქართველები 1625 წლის 25 მარტს ჯერ კიდევ გაუთენებლივ მარტყოფის ველზე განლაგებულ ყარჩიხაი ხა ის ბანაკისაკენ დაიძრნენ.

თვითონ გიორგი სააკაძე, მისი ვაჟიშვილი ავთანდილი, თავადები დიასამიძე და ხერხეულიძე, გლეხი ვაშაყაშვილი მტრის ბანაკში იმყოფებოდნენ და ელოდნენ ბრძოლის დაწყების ნიშანს. როდესაც აჯანყებულთა ყიჟინა და შეტევის მაუწყებელი რუსული ბარაბნების ხმა გაისმა, რაც ქართველთა სახალხო ლაშქარში რუსთა რაზმების არსებობის თავზარდამცემ მოჩვენებითობას ჰქმნიდა, გიორგი სააკაძე ცხენდაცხენ მიიჭრა ყარჩიხაი ხანის კარავთან და ბანაკზე თავდასხმის ამბავი აცნობა. ირანელთა ჯარების მხედართმთავარმა დაუყოვნებლივ სარდლებს უხმო. სწორედ ამას ელოდა დიდი მოურავი. მან შუბით განგმირა ირანელთა წინამძღოლი—ყარჩიხაი ხანი და ხმალდახმალ დაერია მის სარდლებს. გიორგი სააკაძის ვაჟიშვილმა ყარჩიხაი ხანის შვილი ხმალდახმალ აჩეხა. რამდენიმე წუთიც და ირანელთა შვიდი რჩეული სარდლის უსიცოცხლო გვამი ყარჩიხაი ხანის კარვის მახლობლად ეყარა.

უწინამძღოლოდ და უპატრონოდ დარჩენილი ირანელთა ჯარების ბანაკი თავზარდამცემმა პანიკამ და არეულობამ მოიცვა. ჯერ კიდევ გაუთენებელი ღამის ბინდბუნდში არავინ იცოდა, ვინ ვის ებრძოდა, ან რა ხდებოდა, ირგვლივ. ქართველები კი გიორგი სააკაძის შემუშავებული გეგმისამებრ ყოველი მხრიდან მოეძვნენ ბანაკს და დაუწყეს უწყალო ჩეხვა გაოგნებულ და დაბნეულ მტერს. ყიზილბაშთა 30 000-იანი არმიიდან 27 000 მარტყოფის ველზე დარჩა, თან ქართველებს უამრავი ალაფი დარჩათ, რომელთაგან ყველაზე ძვირფასი ცეცხლსასროლი იარაღი იყო.

გიორგი სააკაძე დაედევნა ოტებულ მტერს და ერთი დარტყმით აიღო თბილისი, მხოლოდ ცეცხლსასროლი საშუალებებით კარგად გამაგრებული ნარიყალის ციხის აღება იერიშით ვერ მოხერხდა. საჭირო იყო ხანგრძლივი ალყა. ამიტომ დიდი მოურავი შემობრუნდა, კახეთისაკენ მტკვრის გადასასვლელთან წამოეწია გაქცეულ სპარსელთა ლაშქრის ნაშთებს და მათი დიდი ნაწილი დაატყვევა. მან ელვისებური სამხედრო ოპერაციები განახორციელა გარეჯსა და ყარაბახში მყოფი მტრის ძალების წინააღმდეგ, მერმე კი ახალციხეს დაეცა და გაათავისუფლა. მაგრამ მაინც მიუღწეველი რჩებოდა უმთავრესი რამ: არ ჰქონდა ხელთ საკმარისი ცეცხლსასროლი იარაღი, პირველ რიგში ზარბაზნები, რომ აეღო ნარიყალა.

ქართლი და კახეთი გამარჯვებას ზეიმობდა, ხალხი ლოცავდა გიორგი სააკაძეს. მთელი სამოქალაქო და სამხედრო ძალაუფლება დიდი მოურავის ხელში გადავიდა. მას ახლა შეეძლო გასწორებოდა პირად მტრებს და თავისი ხელისუფლების ქვეშ გაეერთიანებინა ქართლ-კახეთი, მაგრამ ასეთი ნაბიჯის გადადგმაზე არც უფიქრია. მან კარგად იცოდა, ამას მოჰყვებოდა დაუსრულებელი შინაკლასობრივი ომები, რაც გარეშე მტერთა გარემოცვის ურთულეს პირობებში ეროვნულ კატასტროფას მოასწავებდა. მან ქართლ-კახეთის მეფედ თეიმურაზი მიიწვია და დასვა ტახტზე.

ახლა აუცილებელი იყო გაერთიანებული ძალებით მოსალოდნელი მძიმე ომისათვის მზადება, იარაღით ჯარის საიმედოდ აღჭურვა, მობილიზება, ნადავლი ცეცხლსასროლი იარაღის ხმარების სწავლება, მაგრამ აღარ დასცალდა. გააფთრებული შაჰ-აბასი ულმობლად გაუსწორდა სააკაძის ვაჟს პაატას, თავი მოჰკვეთა და მამას გამოუგზავნა, როგორც მარტყოფის სამაგიერო ნობათი, თან სწრაფად დაიწყო მზადება საქართველოზე გამოსალაშქრებლად.

ყიზილბაშთა ახალი შემოსევის დროისათვის ქართველებმა 20 000-

იანი ჯარის შეგროვება შესძლეს. უკვე 1625 წლის ივნისის მიწურულს, მარაბდის ველზე, ალგეთის ხეობაში 50 000 ლაშქარი დაბანაკდა ისახან ყორჩიბაშის სარდლობით, რომელიც დამატებით ელოდა მაშველ ჯარს ერევნისა და აზერბაიჯანის ბეგლარბეგთა მხრიდან.

მარტყოფში და სხვაგან გამარჯვებათა შემდეგ ქართველთა ჯარებში დიდი სულიერი მხნეობა დამკვიდრდა. თეიმურაზ მეფე და გიორგი სააკაძე ყოველნაირად ზრუნავდნენ მეომართა მებრძოლი სულისკვეთების ასამაღლებლად. მაგრამ მათ არ შეეძლოთ უზრუნველეყოთ არმია მთავარით. ეს იყო არტილერია. არც ერთი ზარბაზანი მათ არ გააჩნდათ, ხოლო მარტყოფის ბრძოლაში ნადავლის სახით მოპოვებული უმნიშვნელო რაოდენობის ცეცხლსასროლი იარაღი ვერ დაუპირისპირდებოდა მოწინააღმდეგის 12 000 თოფსა და ძლიერ საარტილერიო ძალებს.

უფრო მეტიც, სპარსელთა ჯარებმა აითვისეს ახალი სახაზო ტაქტიკა, რომელიც მრავალგვარი ცეცხლსასროლი იარაღის უკეთ გამოყენების შესაძლებლობას იძლეოდა. ეს მოწინააღმდეგეს ჯარის განლაგებისათვის მოსახერხებელი მდებარეობისა და პოზიციის არჩევის უპირატესობასაც ანიჭებდა.

ყორჩიბაშმა თავის ბანაკად მარაბდის ველი არჩია, ყველა სახეობის ცეცხლსასროლი და საინჟინრო ტექნიკის განლაგებისათვის მოსახერხებელი მაღლობებითურთ.

სახაზო ბრძოლის ტაქტიკა ითვალისწინებდა ხუთზე მეტ კილომეტრიან ფრონტზე საცეცხლე საშუალებათა ოთხ-ხუთ რიგად განლაგებას, არტილერიის ჩათვლით. საცეცხლე საშუალებათა განლაგების სიმჭიდროვე და მათი ინტერვალი თანაბარი არ იყო და ჯარის განლაგების ცენტრისაკენ ძლიერდებოდა, სადაც თავმოყრილი იყო მთელი არტილერია. სამეთაურო პუნქტთან განლაგებული ყორჩიბაშის რჩეული ცხენოსანი ჯარი და აზერბაიჯანელთა ჩასაფრებული დაჯგუფება წარმოადგენდა მოწინააღმდეგის ჯარის რეზერვს.

მდგომარეობის სირთულე ყველაზე კარგად გიორგი სააკაძეს ესმოდა, რომელმაც უცხო ქვეყნის დროშებით დიდი მხედართმთავრის გზა განვლო და ახალი ტექნიკით შეიარაღებული ბრძოლის ყოველი წვრილმანი, მისი გამოყენების ტაქტიკური პრინციპები ზედმიწევნით იცოდა. მისთვის გასაგები იყო, რომ მარტო ცივი იარაღით გაშლილ ველზე შეტევა აშკარა დაღუპვას მოასწავებდა.

მაგრამ ცივი იარაღიდან ცეცხლსასროლზე გადასვლის ამ გაჭიანურებულ პერიოდში ქართველთა მხედართმთავრების უმეტესობას ჯერ კიდევ იმედი ჰქონდა, რომ გმირობითა და შემართებით ყველაფრის გადალახვა და დაძლევა შეიძლებოდა.

მარაბდის ომში ქართველთა ერთ-ერთი უმთავრესი შეცდომა იყო გიორგი სააკაძის ნაცვლად თეიმურაზ მეფის მთავარსარდლად არჩევა.

სააკაძემ, როგორც შორსმხედველმა, გამჭრიახმა მხედართმთავარმა, სწორედ შეაფასა ვითარება და კატეგორიულად მოითხოვა, გაშლილ ველზე, სადაც მოწინააღმდეგეს ცეცხლსასროლი საშუალებანი ჰქონდა განლაგებული, არ წასულიყვნენ შეტევაზე და მტრის შემოტევას დალოდებოდნენ, რის გარეშეც თბილისთან მიახლოება მას არ შეეძლო. ტაბახმელა-კოჯრის მთიან ადგილებში მტრის ძალები თავისთავად ნაწილებად დაიშლებოდა, დაიქსაქსებოდა და რაც მთავარია, ისინი ვერ შესძლებდნენ ცეცხლსასროლი საშუალებების მასობრივ და ორგანიზებულ გამოყენებას.

მაგრამ თავისი სამფლობელოების რაც შეიძლება ჩქარა დაბრუნებით დაინტერესებულმა შადიმან ბარათაშვილმა შეტევაზე დაუყოვნებლივ გადასვლა მოითხოვა. სამხედრო საბჭომ, რომელიც 30 ივნისს ჩატარდა, ხმების უმრავლესობით მეორე დღეს 1625 წლის 1 ივლისს, შეტევაზე გადასვლა გადაწყვიტა. გარდა ამ საბედისწერო შეცდომის— სააკძის წინადადების უარყოფისა, რაოდენობითა და შეიარაღებით გაცილებით დიდი უპირატესობის მქონე მტერთან მცირე ძალებით გამოსვლაც მიუტევებელი შეცდომა იყო, ვერ მოხერხდა თითოეულ რაზმამდე ამოცანის ნათლად დაყვანა, მათთვის მთიან გზებზე მარშრუტის განსაზღვრა და სალაშქროდან საბრძოლო წესზე გადასვლის დროისა და ადგილის დადგენა. აღჭურვილობის, ცხენოსანთა შემადგენლობისა და მებრძოლთა შემოწმებამ ღამით წინსვლის აუცილებლობა მოითხოვა. ამას კი, თავის მხრივ, ბრძოლის ველზე გამოუძინებელი, დაღლილი მეომრების გამოსვლა მოჰყვა.

ვითარება ქართველთა ჯარის მთავარსარდლად მეფე თეიმურაზის კი არა, მრავალნაცადი და დიდი საომარი გამოცდილების მქონე სააკაძის დანიშვნას მოითხოვდა. მაშინ ყველა საჭირო და აუცილებელი გადაწყვეტილება ყოველგვარი დავის გარეშე იქნებოდა მიღებული.

მართვას ხელს უშლიდა ერთმანეთთან მექანიკურად შეერთებული ქართლ-კახეთის ოთხი სადროშო. იქმნებოდა წყვილი მეწინავე, მარჯვენა, მარცხენა და ზურგის რაზმები თავიანთი მხედართმთავრებითურთ, რომლებიც ერთმანეთს არ ექვემდებარებოდნენ.

მართალია, მეფეცა და მისი მხედართმთავრებიც უბრალო მეომრებივით იბრძოდნენ, მაგრამ ამას მოცემულ ვითარებაში არ შეეძლო ჯარში სრული ორგანიზებულობის უზრუნველყოფა. საომარი მოქმედების დაწყებამდე მოწინააღმდეგე მხარეებმა დიდი სადაზვერვო მუშაობა

ჩაატარეს. ერთმანეთს შეეჯახნენ კიდეც მზვერავთა რაზმები და ქართველებმა მათი დიდი ნაწილი აჩეხეს, მაგრამ მათ მთავარი მაინც ვერ შეამჩნიეს, ან მტერმა არ მისცა შემჩნევის საშუალება. ეს იყო ქართველთა ჯარის ზურგში, ცეცხლსასროლი იარაღით კარგად აღჭურვილი აზერბაიჯანელთა მსხვილი დაჯგუფების თავმოყრა შაჰ ბენდე ხანის მეთაურობით, რომელსაც დავალებული ჰქონდა ბრძოლის გადამწყვეტ მომენტში ზურგიდან ყველაზე მტკივნეულ ადგილას დაერტყა ქართველებისათვის.

ამრიგად, 20 000-იანმა ქართველთა ჯარმა დატოვა საუკეთესო პოზიციები და დილის ბინდში მარაბდის ღია ველისაკენ დაეშვა. ქართველები ცივი იარაღისათვის განკუთვნილი ტაქტიკის კლასიკური წყობით დაიძრნენ ცეცხლსასროლი შეიარაღების შესაბამისი ახალი ტაქტიკური წყობის მქონე ზარბაზნებითა და ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილი.მტრისაკენ. იმავე რაოდენობის მოწინააღმდეგის პირველი ხაზის 3000 მეომარი თოფს მუხლზე დაბჯენილი ისროდა, მეორე ხაზის მეომრები — ფეხზე მდგომნი, მესამენი — ცხენებიდან, მეოთხენი კი — აქლემებიდან. სროლა თანმიმდევრობით სრულდებოდა და ვიდრე პირველი რიგებიდან და ბოლო რიგამდე მიაღწევდა, წინა რიგები კვლავ ასწრებდნენ თოფების გატენას.

საგანგებოდ აგებულ ყრილებსა, ან ბორცვებზე იდგა არტილერია, რომელიც მზად იყო შეტევის მთავარი მიმართულებით დაერტყა, მთელ ამ საცეცხლე საშუალებას ხელმძღვანელობდა გამოცდილი და საარტილერიო საქმის კარგი მცოდნე ამირ-ღუნე ხანი, თითქოს განგებო, ქართველთა ჯარის მთავარი ძალები ამირ-გუნე ხანის მიერ ჯარის ცენტრში განლაგებული საცეცხლე საშუალებების მიმართულებით მიდიოდნენ (იხ. სქემა №11).

სწორედ მოწინააღმდეგის საცეცხლე საშუალებების პირველი ზალპებით განიცადეს ქართველთა ჯარებმა დიდი დანაკლისი და მნიშვნელოვნად დასუსტდნენ. უსაზღვრო გმირობამ და სიმამაცემ ქართველ მეომრებს შესაძლებლობა მისცა, გაერღვიათ საცეცხლე საშუალებების ხაზი და მათთვის მომგებიანი ხელჩართული ბრძოლა მოეხვიათ თავზე მოწინააღმდეგისათვის. თავიანთი გმირული შემართებით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მეფე თეიმურაზი და გიორგი საакაძე, რომლებიც პირადი მაგალითით ამხნევებდნენ მეომრებს, როდესაც ეგონათ, რომ ბრძოლა უკვე მოგებული იყო, ამ მცდარი რწმენის საფუძველი კი მათ მრავალმა გარემოებამ შეუქმნა: ქართველებმა მოწინააღმდეგის ფრონტი გაარღვიეს, მარცხენა ფრთა უკუაქციეს, ისა-ხანმა კი ბანაკი-

საკენ გზა გახსნა. ამ დროს მეფე თეიმურაზის ყურადღება დაჭრილმა ზურაბ ერისთავმა მიიპყრო და ბრძოლის მართვის სადავეები კრიტიკულ მომენტში უპატრონოდ დარჩა, თვითონ თეიმურაზიც იმის გამო ბრძოლის არენაზე აღარ ჩანდა. ამასობაში ბრძოლით დაღლილ და თაკარა სიცხით ქანცგაცლილ ქართველ მეომრებს ზურგიდან შაჰ ბენდე ხანის ჩასაფრებული რაზმი დაესხა თავს, მათ ველური ყიჟინით შესძრეს მთელი ბრძოლის ველი და გაჰყვიროდნენ სპარსელთა მთავარი ძალები მოდიანო. მსტოვრებმა თეიმურაზ მუხრან-ბატონის დაღუპვითაც ისარგებლეს და ხმა გაავრცელეს თეიმურაზი დაიღუპაო. ეს უკანასკნელი კი ბრძოლის ველზე მართლაც არსად ჩანდა. საცეცხლე საშუალებათა ახალი დარტყმებისა და მტრის ორგანიზებული შეტევისაგან დაქსაქსული ქართველთა ჯარები, რომლებიც თეიმურაზის სიკვდილის ცნობით დაიბნენ, შედრკნენ და ბრძოლა მათი დამარცხებით დამთავრდა.

მარაბდის ომში გმირულად იბრძოდა ცხრა ძმა ხერხეულიძე, რომელთაც თვითონ დედამ ჩააბარა საქართველოს წმიდათა წმიდა დროშა, ცხრავე ძმა გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. გმირულად დაეცნენ შვიდი ძმა ყარალაშვილი და ცხრა მაჩაბელი. საერთოდ, ქართველებმა ამ ბრძოლაში 9000 მეომარი დაკარგეს, მაგრამ მტერმაც 14 000 მეომრის დანაკლისი განიცადა.

ისა-ხანისაგან დეზინილმა ქართველთა ჯარებმა, ადრინდელ პოზიციებზე, კოჯრის ტყისაკენ, ხოლო შემდეგ კი უფრო ღრმა ზურგში დაიხიეს, სადაც პარტიზანული ბრძოლებით მტერს თითქმის ორი კვირის განმავლობაში იზიდავდნენ თავისკენ, რათა ქართლის მოსახლეობისათვის ციხე-სიმაგრეებში, მთებში, ტყეებსა და გამოქვაბულებში გახიზვნის საშუალება მიეცათ.

თეიმურაზმა ყველაფერი მიატოვა და იმერეთში გაიქცა, საააკაძე კი გაბედულად და წარმატებით აწარმოებდა პარტიზანულ ბრძოლებს. ასე მაგალითად, 700-ზე მეტმა ყიზილბაშმა, რომელიც ნარიყალას ციხეში იყვნენ გამაგრებულნი, ციხიდან გამოვიდა და თბილისის ახლომახლო სოფლების ძარცვას მიჰყო ხელი. გიორგი საააკაძემ 60 რჩეული მეომრით მოატანა დაქსაქსულ მძარცველებს და 700-ვე ამოხოცა. იგი დღისა და ღამის ორგანიზებული და გონივრული დარტყმებით ქანცავდა და სისხლიდან ცლიდა მტერს.

გიორგი საააკაძე, რომლის მოქმედებასაც ახლა ველარ ბოჭავდა თეიმურაზ მეფე, მარაბდის მარცხისათვის შურისგების გეგმას ამზადებდა. მან სწრაფად მოამზადა ისა-ხანის მთავარი ძალების მთებში განადგუ-

რების გეგმა, იმ პრინციპის მიხედვით, რომლის განხორციელების საშუალებასც მას მარაბდის ბრძოლაში არ მისცეს.

გიორგი სააკაძემ მალემსრბოლები გაგზავნა არაგვისა და ქსნის საერისთაოებში, აგრეთვე მთიელებთან და იმ თავადებთან, რომელთა ერთგულებაშიც დარწმუნებული იყო. უკვე მარაბდის ბრძოლიდან ხუთი დღის შემდეგ მომწიფდა ბრწყინვალე ოპერაცია ლომისის უღელტეხილის რაიონში.

ისა-ხანმა მარაბდაში განცდილი დიდი დანაკარგების გამო ახლა მხოლოდ 12 000 ცხენოსნის გამოყოფაღა შეეძლო სამი მხედართმთავრის სარდლობით და ისინი მდინარე არაგვის ხეობის გაყოლებით შაჰის პირადი დავალებისამებრ გაგზავნა არშის ციხისაკენ. გიორგი სააკაძე შეუთანხმ ა ზურაბ ერისთავს, წინააღმდეგობა არ გაეწია მისი სამფლობელოებისაკენ მიმავალი სპარსელებისათვის. ამრიგად მომხდურებმა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაიკავეს არშის ციხე-სიმაგრე. ყიზილბაშებს უკანდასაბრუნებელი გეზი მხოლოდ მდინარე ქსნის გაყოლებით ედოთ. მათ უნდა გაევლოთ ძმების—ზურაბ, გიორგი და დავით ერისთავების და მათი მეზობელი თავადების სამფლობელოები.

მდინარე ქსნის სათავესთან, ლომისის უღელტეხილზე, გიორგი სააკაძემ მოამზადა და განახორციელა გარშემორტყმის შესანიშნავად კოორდინირებული ოპერაცია, რომლის მიხედვითაც არშიდან მომავალ ყიზილბაშთა კოლონისათვის გიორგი სააკაძის რაზმს შემხვედრი დარტყმა უნდა მიეყენებინა ქსნის ერისთავის იესეს, ქაიხოსრო მუხრანბატონისა და დათუნა საქებელის თანადგომით. მათ თავიანთი ძალებით უნდა გადაეკეტათ მთის იწროები, გზები და ბილიკები. მტერს ზურგიდან, როგორც ითქვა, ადგილობრივ მთიელებთან ერთად, გიორგი და დავით ერისთავები დაესხმებოდნენ, რომლებიც ასევე გადაკეტავდნენ გზებსა და ბილიკებს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ თეიმურაზ შაჰ ბენდე ხანმა, რომელმაც მარაბდაში ჩასაფრებული რაზმით ზურგიდან დაარტყა ქართველთა ჯარს, ზუსტად ისეთივე დარტყმა მიიღო ზურგში და მოკლეს ამ ბრძოლაში. 12 ათასივე ყიზილბაში მჭიდრო გარემოცვაში მოჰყვა, სადაც მოალყენი სამჯერ ნაკლებნი იყვნენ, მაგრამ მათ თითქმის მთლიანად ამოწყვიტეს გარშემორტყმულნი.

სამი დღეღამის განმავლობაში მიმდინარეობდა ეს ბრძოლა. იქ დაღვრილმა სისხლმა მდინარე ქსანი და მტკვარი წითლად შეღება.

გიორგი სააკაძე, რომელიც ბრძოლის ხელმძღვანელობის სადავეებს ერთი წუთითაც არ უშვებდა ხელიდან და მოალყე ძალებით ოსტატუ-

რად მანევრირებდა, გააფთრებით იბრძოდა. ძლივს ასწრებდნენ თანამებრძოლები მისთვის ისრების მიწოდებას. მისი მძიმე ხმალი კი მტერს ყველა მიმართულებით ულმობლად ჩეხდა. შესანიშნავად შეიარაღებული მტრის ჯარები ძალები მთლიანად განადგურდა. ეს იყო მთებში გარშემორტყმის რთული ოპერაციის კლასიკური მაგალითი.

ამ ბრძოლაში ერთმანეთს შეერწყა გიორგის მხედართმთავრული ნიჭი და მეომრის ფიზიკური მონაცემები. სამი თვის განმავლობაში მარტყოფიდან და მარაბდიდან—ქსნამდე შაჰ-აბასის ჯარებმა კარგად შეიარაღებული 60 000 მეომარი დაკარგა, ამასთან საქართველოს მთლიანი რეგიონების განადგურების გეგმა ოდნავადაც კი ვერ შეასრულეს. რაკი დარწმუნდნენ, რომ ამ გმირული ხალხის საომარი ძალით დამორჩილება შეუძლებელი იყო, იძულებულნი გახდნენ ›რეულად შეეცვალათ პოლიტიკური და სამხედრო სტრატეგია. ქართველები კი პრაქტიკულად დარწმუნდნენ მტერთან ბრძოლაში საბოლოო გამარჯვების შესაძლებლობასა და აუცილებლობაში. ამ ბრძოლაში თავიანთ წინამძღოლად მათ გიორგი სააკაძე აღიარეს.

1626 წლის ზაფხულის მიწურულს სააკაძე სამცხეში გადავიდა, სახელგანთქმულ გმირს აღფრთოვანებით შეეგებნენ თანამოძმენი. მათ ქუდზე კაცი იხმეს და შეუერთდნენ გიორგი სააკაძის ძალებს. გიორგი სააკაძემ სწრაფი ოპერაციებით დაიკავა ისეთი უმნიშვნელოვანესი ციხე-სიმაგრეები, როგორიცაა აწყური, ფარავანი, ხერთვისი და ახალციხე.

ისა-ხან ყორჩიბაშის მიერ გამოგზავნილი ძალების კონტრდარტყმა გიორგიმ ისეთი ძლიერი შეტევით უკუაგდო და ისეთი ზარალი მიაყენა მტერს, რომ სპარსელებმა გონსმოსვლა დიდხანს ვერ შეძლეს. გაითვალისწინა რა საქართველოს სამხრეთში მოპოვებული დიდი წარმატებები, იმისათვის, რომ დაეპირისპირებინა ორი მტაცებელი მაჰმადიანური სახელმწიფო ერთმანეთისათვის, მან წინადადებით მიმართა თურქეთის სულთანს მურად IV-ეს დაეკავებინა მის მიერ განთავისუფლებული ციხე-სიმაგრეები და საქართველოს გასანთავისუფლებლად და ირანელთა გასანადგურებლად მისთვის ჯარი და იარაღი მიეცა.

თურქებმა ციხე-სიმაგრეები დიდი სიამოვნებით დაიკავეს, საქართველოს განთავისუფლება კი ირანის წინააღმდეგ მათთან ერთად საერთო ლაშქრობაში შესთავაზეს.

ამრიგად, სააკაძის მიერ გარეშე ძალაზე დამყარების მორიგმა ცდამაც მარცხი განიცადა. თავის მხრივ, გიორგი სააკაძის აქტიური და შედეგიანი სამხედრო აქციებითა და ხალხში მისი უდიდესი პოპულა-

რობით დაშინებულმა შაჰმა გადაწყვიტა, ყველაფერი ეღონა თეიმურაზისა და გიორგი სააკაძეს შორის განხეთქილების ჩამოსაგდებად. ამ მიზნით იგი შეუთანხმდა თეიმურაზს, რომ ქართლ-კახეთის მეფედ მისი ცნობის ნაცვლად საქართველოდან სამუდამოდ მოეკვეთა დიდი მოურავი.

გიორგი კი თავის კეთილშობილურ საქმეს განაგრძობდა. მან ყიზილბაშთაგან გაანთავისუფლა გორის ციხე და ქალაქი მტრისაგან გაწმინდა. აიღო ბირთვისის ციხე და იქ გარნიზონად მდგარ ისა-ხან ყორჩიბაშის 500 მეომარს მუსრი გაავლო. მერმე ლორეს ციხეზე მიიტანა იერიში და აიღო. თანაც თბილისის საბოლოო განთავისუფლების გეგმას ამზადებდა.

გიორგი, როგორც საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის აღიარებული სახალხო ბელადი, ხალხს ქვეყნის მმართველად უნდოდა ეხილა. მტრებმა და შაჰის მსტოვრებმა ჩააგონეს თეიმურაზს, რომ თავიდან მოეცილებინა ასეთი ძლიერი და საშიში მეტოქე.

ქართლ-კახეთის ტახტზე ასული თეიმურაზი ისედაც აშკარად გრძნობდა, რომ ხალხიდან გამოსული, უბრალო გვარიშვილის ამ უნიჭიერესი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწის წინაშე არარაობას წარმოადგენდა და ყველაფერს აკეთებდა ხალხის თვალში მის დასაკნინებლად. მაგრამ გიორგი სააკაძის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ყველაზე დიდი დამსახურება მაინც ქართლის ფეოდალთა წინამძღოლს შადიმან ბარათაშვილს მიუძღოდა. იგი ათასგვარი ინტრიგებითა და ხრიკებით ცდილობდა ხალხის წინაშე დიდი მოურავის დამსახურების გაქარწყლებას. მან არაერთგზის წააქეზა მისი მტრები სააკაძის მოსაკლავად. ეს იდეა თანდათან მწიფდებოდა და დეტალურად აწონილ-დაწონილი შეთქმულების სახეს ღებულობდა. გიორგი სააკაძის ერთგულმა ადამიანებმა დროულად აცნობეს მას მოსალოდნელი საფრთხე.

გიორგი სააკაძე აქამდე ყოველნაირად ერიდებოდა გარეშე მტრების დაუსრულებელი შემოსევებისაგან ისედაც დასუსტებული ქვეყნის შინაგან განხეთქილებას. გიორგი სააკაძის მხარეზე იყო აზნაურობა, ხალხი, რომელიც მისი წინამძღოლობით იმედოვნებდა შინაური ბნელი ძალების ალაგმვასა და გარეშე მტრების ძალადობისაგან საქართველოს განთავისუფლებასა და გაერთიანებას, ძლიერ ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნას, დიდფეოდალთა და საერთოდ, რეაქციული თავადაზნაურობის ინტერესები ამას რადიკალურად ეწინააღმდეგებოდა. ბათ არ აწყობდათ ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება, რადგან ეს ბოლოს მოუღებდა მათს თავისუფალ პარპაშს ქვეყანაში, ამიტომ გააფთრებით ებრძოდნენ გიორგი სააკაძეს.

რაკი დაინახა, სხვა გამოსავალი არ რჩებოდა, ვითარება პირადად მისთვის და ქვეყნისთვისაც სულ უფრო საშიშ და დამღუპველ ხასიათს ღებულობდა, გიორგი სააკაძემ მიმართა მთელ რიგ თავდაცვის ღონისძიებებს, მათ შორის სამხედრო სამზადისსაც. მან მიზნად დაისახა ერთხელ და სამუდამოდ აელაგმა გაბატონებული კლასისა და მთლიანად ცენტრიდანული ძალების ანტ ეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი მოქმედება. გიორგი სააკაძის ასეთი მოქმედება სასარგებლო იყო თვით სამეფო ტახტის გაძლიერებისათვის, მაგრამ თეიმურაზმა მაინც არ დაუჭირა მხარი გიორგი სააკაძის გეგმებს და სავსებით გარკვეულ მოსაზრებათა გამო აშკარად მიემხრო მის მოწინააღმდეგე ძალებს. ძმათა მკვლელი შინაომი გარდაუვალი შეიქმნა.

1626 წელს, შემოდგომაზე, ბაზალეთის ტბის მიდამოებში დატრიალდა ტრაგედია, რომელსაც არავისთვის მოუტანია საომარი დიდება. ომში, სადაც მორალური ფაქტორი გამორიცხული იყო. ასეთ ომში არც სამხედრო ხელოვნებას აქვს ადგილი. გიორგი სააკაძე ამ ომში დამარცხდა, მაგრამ არა თავისი მხედართმთავრული ნიჭის წყალობით, არამედ სულ სხვა მიზეზების გამო.

ამის შემდეგ იგი თავის მომხრეებთან ერთად თურქეთში გადაიხვეწა.

გიორგი სააკაძე იქაც მთელ თავის გამჭრიახობასა და სულიერ ძალებს თურქეთსა და ირანს შორის საგარეო ურთიერთობის გამწვავებას ახმარდა, რათა ამ ორი მტაცებელი ქვეყნის ყურადღება ჩამოეშორებინა საქართველოსაგან. მან მრავალი ძლევამოსილი ლაშქრობა გადაიხადა თურქეთის სამხედრო ძალებით ირანისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების წინააღმდეგ, სადაც ყველგან ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. იბრძოდა სირიაში, იერიშით აიღო არზრუმი, ანატოლიაში კი თავისი პირადი უბადლო გმირობითა და მხედართმთავრული ნიჭით ყველა განცვიფრებაში მოიყვანა. ყოველივე ამან სულთნის კარზე მას ბევრი მოშურნე და მტერი შესძინა.სულთნის დიდვაზირის მიერ მოწყობილი ვერაგული შეთქმულების შედეგად გიორგი სააკაძე უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა თავის უახლოეს თანამებრძოლებთან ერთად.

აი, როგორ ახასიათებს გიორგი სააკაძის დიდ ღვაწლს აკაკი წერეთელი: „მას სურდა საქართველო ეხილა ისეთი, როგორიც თამარის დროს იყო. მან მთელი თავისი კეთილდღეობა, ოჯახი, მეუღლე, ვაჟიშვილები სამშობლოს შესწირა, თავი გადასდო ესოდენი ტანჯვისათვის, იგი ამისათვის ყოველგვარ უბედურებას იტანდა. დაბოლოს, მთელი თავისი სურვილები სამარეში ჩაიტანა და ასეთ ადამიანს ვსჯით ახლა

ჩვენ, ლეგენდარულ დეგეგმირსა და თავგანწირულ პატრიოტს. ვაი ჩვენს ასეთ დროსა და ვაი ჩვენ, ამ დროში მცხოვრებთ.

გიორგი სააკაძემ საქართველოს სრული მოსპობისა და განადგურებისაგან ხსნას შესწირა თავისი სიცოცხლე. მისი კეთილშობილური გაბედული სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწეობის საბოლოო უარყოფითი შედეგების ამომწურავი ახსნა მოგვცა ი. ბ. სტალინმა, რომელმაც ფილმ „გიორგი სააკაძის" სცენარს ასეთი შეფასება მისცა. „სცენარი მთავრდება გამარჯვებით, თვითონ სააკაძისა და მისი პოლიტიკის აპოთეოზით. მაგრამ ფინალი, როგორც ცნობილია, ისტორიულ სინამდვილეს არ შეეფერება და საქართველოს წარსულის შესახებ არასწორ წარმოდგენას ქმნის. სინამდვილეში მისმა პროგრესულმა პოლიტიკამ მარცხი განიცადა (თვითონ სააკაძე კი დაიღუპა), რადგან სააკაძის დროინდელი საქართველო ჯერ კიდევ მომწიფებული არ იყო ასეთი პოლიტიკისათვის, ე. ი. თავადთა ძალაუფლების ლიკვიდაციისა და მეფის აბსოლუტიზმის დამყარების გზით ერთიანი სახელმწიფოს შექმნისათვის. მიზეზი ერთია. თავადები და ფეოდალები იმაზე უფრო ძლიერები აღმოჩნდნენ, მეფე და აზნაურები კი იმაზე უფრო სუსტი, ვიდრე ამას სააკაძე ფიქრობდა, სააკაძე საქართველოს ამ შინაგან სისუსტეს გრძნობდა და მას დაძლევის საქმეში გარეშე (უცხო) ძალის ჩარევით ფიქრობდა. მაგრამ გარეშე ძალას არ შეეძლო შინაგანი სისუსტე დაეძლია და როგორც ცნობილია, ასეც მოხდა. ასეთი გადაუჭრელი ურთიერთწინააღმდეგობის პირობებში სააკაძის პოლიტიკას უნდა განეცადა და კიდეც განიცადა დამარცხება."

დიდი ხნის მანძილზე საქართველოში ირანისა და თურქეთის ტირანია ბატონობდა, რომელიც ხალხის დიდ და მცირე შეიარაღებულ გამოსვლებს იწვევდა. ასეთი იყო ადგილობრივ მცხოვრებთა უცხოეთში გადასახლებისა და ბახტრიონის, ალავერდის, ყარღაჯისა და კახეთის ველის სხვა ადგილებში მომთაბარე თურქმანების დასახლებათა შექმნის დროს კახეთის 1659 წლის აჯანყება. დაიწყო თურქმანებისა და ლეკების მიერ მოსახლეობის აუტანელი ძარცვა და აწიოკება. თურქმანთა 80 000 ოჯახი კი გამანადგურებელ ტალღასავით დაიძრა კახეთისაკენ.

სამივე და განსაკუთრებით ბახტრიონის ციხე-სიმაგრე დამპყრობლებმა კიდევ უფრო გააძლიერეს ცეცხლსასროლი საშუალებებით, ყიზილბაშთა გარნიზონებით, რათა ხელი შეეწყოთ ველურ ტომთა დამკვიდრება-დასახლებისათვის. შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და განხორციელების ნამდვილი გმირი თვითონ ხალხი იყო—კახელები

და მათგან სისხლხორცეულად განუყოფელი მთიელები: თუშები, ფშავები და ხევსურები სულიერად და ფიზიკურად ძლიერი მებრძოლი ადამიანები. მათ მეთაურობდნენ ლეგენდარული გმირი ზეზვა გაფრინდაული, კახელი თავადი ბიძინა ჩოლოყაშვილი, ქსნის ერისთავები—ძმები ბიძინა და შალვა, საარაგვოს ბატონი ზურაბ ერისთავი. მათ თავიანთი ჯარები ფარულად დასძრეს მტრის დაბანაკების ადგილისაკენ. ოპერაცია ზუსტად იყო დაგეგმილი და კოორდინებული. მთავარი დარტყმა უნდა მიეყენებინათ გარნიზონებისათვის ალავერდში—კახელებს ჩოლოყაშვილის მეთაურობით, ბახტრიონში—მთიელებს გაფრინდაულის წინამძღოლობით, ქსნისა და არაგვის ერისთავთა ჯარების ურთიერთმოქმედებით. ორივე ციხე-სიმაგრეზე ერთდროული შეტევა მოულოდნელობის მიზნით შუაღამისათვის იყო დანიშნული.

გაფრინდაულმა და მისმა მებრძოლებმა სწრაფად შეუტიეს ბახტრიონის ციხის კედლებს, გარნიზონი პირისპირ აჩეხეს და მთავარ ძალებს გზა გაუხსნეს ალაყაფის გაღებით. ალავერდის გარნიზონის განადგურებაც წარმატებით დაგვირგვინდა, მტრის მხოლოდ მცირე ნაწილმა შესძლო ციხიდან გაქცევა, მაგრამ ისინიც შემუსრეს. მთებიდან დაძრულმა ამ მძლავრმა შეიარაღებულმა ხალხთა ნაკადმა ერთი დაკვრით გაანთავისუფლა მამული და ხალხი.

კახეთის საყოველთაო აჯანყებამ და ბახტრიონის ბრძოლამ შეაშინა დამპყრობლები. მათ კახელთა წამებასა და მათი მიწების თურქმანებით შემდგომ დასახლებაზე ხელი აიღეს, მოერიდნენ აჯანყებულთა დასჯასაც. მხოლოდ ბიძინა ჩოლოყაშვილსა და ძმებს შალვა და ელიზბარ ერისთავებს შაჰ აბას II-ის წინაშე ხლება მოსთხოვეს. მათ იცოდნენ, რა სასჯელიც ელოდათ, მაგრამ მათ თავისი ხალხისა და სამშობლოსთვის უყოყმანოდ გასწირეს თავი. ირანს ჩასულებმა შეთავაზებული მაჰმადიანობისა და დიდი თანამდებობის მიღება ზიზღით უარყვეს და საშინელი წამების დროს არც ერთს კვნესაც არ აღმოხდენია. ქართველმა ხალხმა და ქრისტიანულმა ეკლესიამ ისინი წმინდანებად შერაცხეს.

საქართველოში მიმდინარე დაუსრულებელი შინაომები კი კვლავ არეულობას, ქაოსს, ხალხის გაღატაკებას, ავადმყოფობას იწვევდა და უამრავი ხალხის დაღუპვის მიზეზი ხდებოდა. ყველა ამ უბედურებათა მიზეზი აგრესიული მეზობელი ქვეყნების—თურქეთ-ირანის სისხლიანი დესპოტიზმი წარმოადგენდა. მდგომარეობიდან ერთადერთ გამოსავალსაც საქართველოს პროგრესული ძალები რუსეთთან კავშირში ხედავდნენ. სამხედრო ხელშეუხებლობისა და მაჰმადიანური ქვეყნების ძალადობისაგან განთავისუფლების მიზნით რუსეთ-საქართველოს და-

ახლოებისათვის სერიოზული ნაბიჯები გადადგა კახთა მეფემ ალექსანდრემ, რასაც მაშინდელ პირობებში არსებითი შედეგები არ მოჰყოლია. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია ვახტანგ მეფის მოღვაწეობა, რომელმაც მჭიდრო სამხედრო და პოლიტიკური ურთიერთობა დაამყარა რუსეთის იმპერატორ პეტრე პირველთან. პეტრე პირველმა 1722 წლის 15 ივნისს გამოაქვეყნა მანიფესტი, რომლის თანახმად რუსეთი ვალდებულებას კისრულობდა გარეშე მტრების წინააღმდეგ სამხედრო დახმარება გაეწია საქართველოსათვის. მართლაც, სულ მალე რუსთა ჯარები თერგიდან დერბენტისაკენ დაიძრნენ, რომელთაც ქართველთა ჯარები უნდა შეხვედროდნენ შირვანში. ვახტანგის ბანაკში მოვიდნენ სომეხთა სამხედრო ძალებიც. მაგრამ ვითარების შეცვლამ პეტრე აიძულა ირანში ლაშქრობა გადაედო და ვახტანგი სამი თვის ლოდინის შემდეგ უკან გაბრუნდა, რომელსაც მაჰმადიანთა მთელი რისხვის საკუთარ თავზე გადატანა მოელოდა. ამან აიძულა იგი, საქართველოს მოწინავე შვილებისაგან შემდგარი დიდი ამალით ასტრახანს წასულიყო, ასე წარმოიშვა შემდგომში ქართველთა მოსკოვის კოლონია.

ბაგრატიონთა ამ შტოს წარმომადგენელი, ალექსანდრე არჩილის ძე იყო პეტრე დიდის ერთ-ერთი ყველაზე ახლო მეგობარი და თანამებრძოლი, მისი ყველა მნიშვნელოვანი ომისა და ლაშქრობის მონაწილე. ცნობილია, რომ პეტრეს ბომბარდირს უწოდებდნენ, მისი მთავარი ბომბარდირი, ანუ მთელი არტილერიის სარდალი სწორედ ეს ალექსანდრე ბაგრატიონი გახდა, შემდეგში რუსეთის პირველი გენერალ-ფელდცეიხმაისტერი. ალექსანდრე ბაგრატიონის პროექტის მიხედვით გატარდა საქვეყნოდ ცნობილი რეფორმები არტილერიის დარგში, რომელთა მიხედვითაც ფეოდალთა მამულებში გაბნეული ასზე მეტი სხვადასხვა კალიბრის ქვემეხისა და ყუმბარების პრიმიტიული წარმოება შეიცვალა საერთო სახელმწიფო წესით დამტკიცებული რვა კალიბრიანი ქვემეხისა და მკაცრად განსაზღვრული ყუმბარების წარმოებით. ამან განაპირობა მსოფლიოში საუკეთესო სახმელეთო, ციხე-სიმაგრეთა და საზღვაო საბრძოლო არტილერიის შექმნა, საჭირო რაოდენობის ყუმბარებითურთ. ამან განამტკიცა სახელმწიფო ხაზინა, რომლის შემოსავლის უმეტესი ნაწილი არტილერიის მრავალგვარი განურჩეველი კალიბრის კუსტარულ წარმოებაზე იხარჯებოდა. ჩამოყალიბდა საარტილერიო სისტემათა საუკეთესო ნიმუშების მინიმალური ოდენობის მსხვილი საერთო სახელმწიფოებრივი წარმოება.

მომდევნო წლებსა და ეპოქებში ქართველი სარდლები და მხედართმთავრები თავიანთი მხედართმთავრული ტალანტით, გმირობითა და

შემართებით ბრწყინავდნენ რუსეთის არმიის რიგებში, რომელთაც სახელი და დიდება შემატეს მათს საბრძოლო დროშებს.

საქართველოში სამხედრო ხელოვნება დიდ აღმავლობას განიცდის კახეთში ერეკლე II-ისა და მისი მამის თეიმურაზის ქართლში მეფობის დროს. ისინი ერთდროულად გამეფდნენ 1744 წლის ივნისში და გაერთიანებული ძალებით წარმატებით განახორციელეს ლაშქრობები აღმოსავლეთ კავკასიის მტრულად განწყობილი ხალხებისა და ლეკთა შემოსევების წინააღმდეგ. მათ დაიმორჩილეს განჯის, ნახჭევანისა და ერევნის სახანოები, რომლებიც ქართლისა და კახეთის მოხარკენი გახდნენ.

საქართველოს სამხედრო ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ლეკების ხანგრძლივ მტაცებლურ შემოსევებს. ქართლ-კახეთში თითქმის არ დარჩენილა სოფელი, რომ არ დაერბიათ და აეოხრებინათ ლეკებს. ისინი ძარცავდნენ ოჯახებს, ტყვედ იტაცებდნენ მოზარდებს, ახალგაზრდებსა და ბავშვებს. ერთხელ თვით თბილისშიც კი შემოიჭრნენ და ისე დაანგრიეს და გაძარცვეს, რომ ქალაქმა დიდხანს ვერ შესძლო წელში გასწორება.

ჭარ-ბელაქნელი და დაღესტნელი ლეკები არ ერიდებოდნენ წვრილ-წვრილ თავდასხმებს, თანაც გაერთიანებული ძალებითაც აწყობდნენ შემოსევებს, როგორც ეს მოხდა 1750 წელს, როდესაც ორი მიმართულებით შემოუტიეს კახეთსა და ყაზახს.

ამ ბრძოლაში თავი ისახელა ჭაბუკმა ერეკლემ. მან ელვისებურად, მოულოდნელად შეუტია მომხდურთა პირველ რაზმს, სასტიკად დაამარცხა და მერმე ნაძარცვით დატვირთულ, მრავალრიცხოვან მეორე რაზმს დაედევნა და ისე გაანადგურა, რომ ლეკებს კარგა ხნით დაეკარგათ საქართველოში თარეშის ხალისი.

ერეკლემ გადაწყვიტა, ერთხელ და სამუდამოდ უარეყო ლეკების შემდგომი შემოსევების ლოდინი, პასიური თავდაცვა და, საერთოდ, ყოველგვარი სხვა სტრატეგიულ უპირატესობათა დათმობის ტაქტიკა. ერეკლემ და თეიმურაზმა შეიმუშავეს ლეკების შემოსევების წინააღმდეგ საომარი გეგმა, რათა აღეკვეთათ მათი განუწყვეტელი თავდასხმების მუქარა. თავის მხრივ, ლეკები შირვან შაქის ხანთან ერთად ამზადებდნენ კახეთის მიმდებარე მხარეების წინააღმდეგ შეთქმულებას. ისინი იქ, ჩვეულებრივ, მოულოდნელად შემოიჭრნენ 1751 წელს და დიდი ალაფით დაუსჯელად გაეცალნენ იქაურობას.

ამ მოულოდნელმა მარცხმა ერეკლე და თეიმურაზი აიძულა, ლეკებთან ომში ჩაბმულიყვნენ, მაგრამ იმავე 1751 წელს აღმოსავლეთ ამიერ-

კავკასიაში და, კერძოდ, ერევნის სახანოში აზატ-ხანი შემოიჭრა. ერეკლემ დაუყოვნებლივ შეკრიბა ჯარი და ერევნისაკენ დაიძრა. იგი კიბუსლაჰში შეეგება 18 000-ან აზატ-ხანის არმიას.

აზატ-ხანის რიცხობრივად ჭარბმა ჯარებმა ყოველი მხრიდან შეუტიეს ერეკლეს, რომლის დამარცხება, ერთი შეხედვით, გარდაუვალი ჩანდა. მაგრამ მხედართმთავრულმა ნიჭმა, პირადი მამაცობის მაგალითმა და ჯარის მტკიცედ მართვამ ერეკლეს საშუალება მისცა, ერთ ძლიერ მუშტად შეკრული თავისი, შედარებით მცირერიცხოვანი ძალებით გაბედულად დაერტყა მოწინააღმდეგის ცენტრისათვის, გაერღვია მისი დაჯგუფება და „გამარჯვებულნი“ ხელჩართულ ბრძოლაში ხმალდახმალ ისე აეჩეხა, რომ თავგზააბნეული მტერი პანიკით მოცული უკუექცია. ერეკლემ მათ გონს მოსვლა არ აცალა და 30 კილომეტრის სიღრმეში ისეთი პარალელური, ორგანიზებული დევნა მოუწყო, რომ თვითონ აზატ-ხანი ძლივს გადაურჩა ტყვეობას. ნახჭევანის სახანოში სიხარულით შეხვდნენ გამარჯვებულს.

მაჰმადიანთა სახანოებმა მთელი თავიანთი ძალების გაერთიანება გადაწყვიტეს მეფე ერეკლეს დასამარცხებლად, რომელმაც ესოდენ დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა ბრძოლებში. ამ სამხედრო კოალიციას ხელმძღვანელობდა შაქის ხანი აჯი-ჩალაბი, ცბიერი და ვერაგი სარდალი. მან ქართველების მომხრე ზოგიერთი ხანი მოისყიდა და ამ ღალატის ფასად 1752 წელს შესძლო განჯასთან ბრძოლის მოგება, მერმე კი საქართველოს საზღვრებში შემოჭრა.

ერეკლემ მტერს ღრმად შემოჭრის საშუალება არ მისცა, საზღვართან უყელა, თვითონ მოახვია თავს ბრძოლა და სასტიკად დაამარცხა. ამას აჯი-ჩალაბის სამხედრო კოალიციის დაშლა და მეზობელი სახანოების ერეკლეს მხარეზე თანდათანობით გადმოსვლა განაპირობა.

ყველა ამ დიდ საომარ მოქმედებას თან ახლდა ლეკთა გაუთავებელი შემოსევები, რაც 1754—1755 წლებში დიდ საბრძოლო მოქმედებაში გადაიზარდა. 1754 წელს ხუნძახის განმგებელი ნურსალ-ბეგი დიდი ძალებით შემოვიდა კახეთში. ერეკლემ ქართლ-კახეთის მოსახლეობა ციხე-სიმაგრეებსა და მიუვალ ადგილებში გახიზნა, თან ახალ ძალებს უყრიდა თავს გადამწყვეტი ბრძოლისათვის. ნურსალ-ბეგმა ცეცხლითა და მახვილით მოითარეშა კახეთი და ქვემო ქართლი, მერმე მჭადიჯვარის ციხეს შემოერტყა. ერეკლე არ დაელოდა მაშველ ძალებს, ისე ჩაება ბრძოლაში, რომელიც თავდაპირველად გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ერეკლემ თავისი მხედრები დააქვეითა და არტილერიასთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით ლეკთა არაორგანიზებულ მასას

დიდი ზარალი მიაყენა. ამან მტრის ძალები საგრძნობლად დაასუსტა. მერმე ქართველები ხმალდახმალ დაერივნენ შემდრკალ ნურსალ-ბეგის დარჩენილ რაზმებს და მუსრი გაავლეს.

შერცხვენილმა ნურსალ-ბეგმა მხოლოდ 1755 წელს შესძლო კვლავ მოეყარა თავი ახალი ძალებისათვის და კვლავ შემოიჭრა კახეთში. იგი აშკერად 20 000-იანი ჯარით ყვარლის ციხეს შემოერტყა.

მოწინააღმდეგის ჭარბ ძალებს მეფე ერეკლემ გამარჯვების რწმენა და მხედრული გამჭრიახობა დაუპირისპირა. ციხეში ალყაშემორტყმული იარაღისა და სურსათის ნაკლებობის გამო განსაცდელში ჩავარდნენ.

ერეკლემ თავისთან იხმო რჩეული მეომრები, რომლებმაც იკისრეს ალყაშემორტყმულ ყვარლის ციხეში შეღწევა და იქ მყოფი გარნიზონისათვის იარაღისა და სურსათის მიწოდება. ეს პირდაპირ სასიკვდილოდ წასვლას ნიშნავდა. გამოიყო 200 მხედარი, ესენი უმთავრესად გლეხები იყვნენ, მათ შორის ერთი მღვდელი, ორი აზნაური და ცხრა თავადიშვილი.

სამშობლოსათვის თავგანწირულმა მამულიშვილებმა ღამით გადაცურეს მდინარე ალაზანი, მიეპარნენ მოდარაჯე დაცვას და ამოხოცეს. ამ ბრძოლაში ქართველებიც ბევრნი დაიღუპნენ, მაგრამ მაინც მიიტანეს ციხეში სურსათი და იარაღი.

ერეკლემ იმავდროულად გამოჰყო პატარ-პატარა ცხენოსანი რაზმები, მოალყე მტრის ჯარებზე დემონსტრაციული თავდასხმისათვის. ზურგში მიყენებული გაბედული დარტყმებისაგან პანიკით მოცული ლეკთა ჯარის ნაწილი უკუიქცა, ამით ალყა გაირღვა და კიდევ უფრო დასუსტდა ნურსალ-ბეგის ძალები. მალე ძირითადმა ძალებმაც მიატოვეს პოზიციები, ბოლოს კი გაიქცნენ. მხოლოდ რამდენიმე წერილ-წვრილი მოთარეშე რაზმილა შემორჩა ტყეებს, რომლებიც განაგრძობდნენ განაპირა სოფლების ძარცვასა და მოსახლეთა ტყვედ გატაცებას.

1760 წელს თეიმურაზ II პეტერბურგს გაემგზავრა ირანელთა და ლეკთა თავდასხმების წინააღმდეგ სამხედრო დახმარების სათხოვნელად.

1762 წელს მეფე თეიმურაზი გარდაიცვალა და ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სამეფოს სათავეში ჩაუდგა ერეკლე II. იგი, უწინარეს, ენერგიულად შეუდგა მსხვილ ფეოდალურ ერთეულებად დაშლილი ქვეყნის ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ გარდაქმნას. ამას მოჰყვა იმ ხანებში ცნობილი თავადთა შეთქმულება, რასაც სულ მალე აეხადა ფარდა. შეთქმულნი ულმობლად დაისაჯნენ. ამასთან ხორციელდებოდა

რიგი ღონისძიებანი სამეფო ხელისუფლების შემდგომი გაძლიერებისათვის.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამაც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური აღმავლობა გამოიწვია იმ ხანებში, იყო 1758 წელს დადებული სამხედრო კავშირი ერეკლესა და სოლომონ მეფეს შორის, რომლის მიხედვით: თუ ერთ ქვეყანაში მტერი შემოიჭრებოდა, მეორე უნდა დახმარებოდა.

საქართველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარის ამ ორ დიდ სახელმწიფო მოღვაწეს და ნიჭიერ სარდალს შორის საერთო ენის გამონახვამ, ისტორიულად იმ უაღრესად პასუხსაგებ პერიოდში, მოვლენათა დადებითი განვითარება განაპირობა.

სოლომონ I გამეფებისთანავე შეუდგა თურქეთის ბატონობისაგან დასავლეთ საქართველოს განთავისუფლებისა და გაერთიანებისათვის ბრძოლას. მან აღკვეთა მაჰმადიანური ქვეყნებისათვის ქართველთა ტყვეებად გაყიდვის დამღუპველი და სამარცხვინო აქციები, რამაც გაანარისხა სულთანი. ცნობილია, რომ ტყვეთა ყიდვა-გაყიდვა დიდ შემოსავალს აძლევდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მფლობელთ, თანაც იგი საუკეთესო სამხედრო ძალებით შევსების ერთ-ერთ საიმედო საშუალებას წარმოადგენდა. სოლომონის პოლიტიკით უკმაყოფილო თურქეთის სულთანმა 1757 წელს იმერეთის სამეფოს წინააღმდეგ დიდძალი ჯარები გაგზავნა, რომელსაც ადგილობრივი განდგომილი ფეოდალებიც უწევდნენ თანადგომას.

ახალგაზრდა სოლომონ მეფემ მტრის რიცხობრივად ჭარბი ძალების განადგურების საქმეში შესაშური მხედართმთავრული უნარი და გამჭრიახობა გამოამჟღავნა. ცეცხლსასროლი საშუალებებითა და სხვა იარაღით კარგად აღჭურვილი მოწინააღმდეგის ხელსაყრელ პოზიციებზე განლაგებული მთავარი ძალები მან მოხერხებულად გაიტყუა ქუთაისის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ხერსილის ველზე. ოპერაცია საცეცხლე დარტყმებით დაიწყო, რომელიც დროდადრო ხელჩართულ ბრძოლაში გადაიზრდებოდა ხოლმე. ბრძოლას უშუალოდ სოლომონი ხელმძღვანელობდა და იგი მოწინააღმდეგის სრული დამარცხებით დამთავრდა.

1758 წელს სოლომონმა კიდევ ორი ბრძოლა გადაიხადა თურქების წინააღმდეგ. თუმცა პირველი წააგო, გული არ გაუტეხია, სულ მალე აიღო რევანში და დიდი გამარჯვება მოიპოვა.

შემდგომ ბრძოლებში სოლომონმა აიძულა თავისი მუდმივი მტერი — თურქეთი — ეღიარებინა დასავლეთ საქართველოს სამხედრო ძლიერე-

ბა, რამაც დიდი ავტორიტეტი მოუპოვა. სოლომონის სტრატეგია და ტაქტიკა, მისი პირადი გულადობა და სამხედრო ხელოვნება ერეკლე მეფისას ჰგავდა. ასე მოაღწია საქართველოს ორმა ბრძენმა მეფემ თურქეთის 1768—1774 წლების ომამდე, სადაც სამხედრო პოლიტიკური ინტერესები შეერწყა რუსებთან ქართველების საბრძოლო თანამეგობრობის დაწყებას. ამასთან, ამ ფრონტის უმნიშვნელოვანესი — მარცხენა ფრთის დაცვას საიმედოდ უზრუნველყოფდნენ ქართველთა ჯარები.

ამიტომაც დაიწყო წარმატებით ამ ქართველი მეფეების — ერეკლესა და სოლომონის რუსეთთან მაღალ დონეზე მოლაპარაკება, რაც 1769 წლის ზაფხულში საქართველოში რუსეთის ჯარების შემოსვლით დამთავრდა. ამას მოჰყვა ერეკლესა და რუსთა მხედრობის ერთიანი მოქმედება 1770 წლის მარტში, სახელდობრ, ახალციხის მიმართულებით ბრძოლა, აწყურის ციხეში თურქთა გარნიზონის ალყით დამთავრებული.

რუსეთის ჯარს მაშინ უნიჭო ავანტურისტი გენერალი ტოტლებენი სარდლობდა. იგი ბრძოლის დროს დაფრთხა, ერეკლე მიატოვა და ქართლის სიღრმეში, საწყის პოზიციებზე დაიხია.

თურქებმა ტოტლებენის ღალატით ისარგებლეს, ციხიდან გამოვიდნენ და ერეკლეს მარტო მოუხდა კონტრდარტყმის მოგერიება, მომხდურთა დამარცხება და ალყის განახლება. თურქების ჭარბი ძალების მოსვლის შემდეგ ალყის შემდგომი გაგრძელება უაზრობას წარმოადგენდა და ქართველთა ჯარებმა დროულად დაიწყეს ასპინძისაკენ უკან დახევა, სადაც 1770 წლის 3 მაისს მოხდა ბრძოლა მოწინააღმდეგის 1500 კაციან რაზმთან, რომელსაც ერეკლესათვის უკანდასახევი გზა უნდა მოეჭრა.

ამ რაზმს ერეკლემ თავისი მხედრებით უძლიერესი დარტყმა მიაყენა, გაწყვიტა თურქთა უმეტესი ნაწილი. მაგრამ ამ დროს მეორე მხრიდან თურქ-ლეკთა 8000-ანი ჯარი გამოჩნდა. მამაცმა სარდალმა სასწრაფოდ გადააჯგუფა თავისი ძალები, ელვისებური დარტყმით მოწინააღმდეგეს თავზარი დასცა, მერმე დამარცხებული და ოტებული მტერი მტკვრისკენ გაიგდო, უმეტესი ნაწილი იქ ჩაახრჩო, გადარჩენილი კი ტყვედ წამოიყვანა.

ამასობაში ტოტლებენმა, რომელიც დარწმუნებული იყო, ერეკლეს თურქთაგან დამარცხება არ ასცდებოდა, მისი ხელისუფლების დასამხობად განახორციელა რამდენიმე საომარი აქცია, მაგრამ ერეკლემ იგი სწრაფად და მტკიცედ აღკვეთა.

ასევე კურიოზული გამოდგა ტოტლებენის ლაშქრობა იმერეთში, სადაც სოლომონმა იმ ხანებში შორაპნისა და ცხინვალის ციხესიმაგრე-

ებში ამოულიტა თურქები და ქუთაისი აიღო. რუსთა ჯარები მას მხოლოდ ძალაუნებურად დაეხმარნენ ქუთაისის ციხის აღებაში. გამდიდრების წყურვილით ატანილი, ღალატში მხილებული ტოტლებენი, რომელმაც ავტორიტეტი დაკარგა თავისი ჯარის ნაწილებში, გადააყენეს თანამდებობიდან. 1772 წელს კი რუსეთის ჯარები საქართველოდან გაიწვიეს.

გარეშე მტრების პირისპირ მარტოდმარტო დარჩენილი ერეკლე და სოლომონი რეალურ და პატიოსან დახმარებას უწევდნენ ერთმანეთს, რასაც ადასტურებს ჩხერის საბრძოლო ოპერაცია. 1774 წლის იანვარში თურქთა 4000-ანი რაზმი სოლომონმა თავისი ჯარის მტრის ზურგში მოხერხებული ჩასაფრებით, ცეცხლსასროლი საშუალებების მარჯვე გამოყენებითა და მოულოდნელი დარტყმით, მერმე კი ორგანიზებული დევნით სრულიად გაანადგურა.

ერეკლე II-ს ესმოდა, რომ თურქეთ-ირანის ბატონობის უღლისაგან განთავისუფლებას მხოლოდ მაშინ მიაღწევდა, როცა მჭიდრო სამხედრო და პოლიტიკურ ურთიერთობას დაამყარებდა განვითარების მაღალ დონეზე მყოფ ერთმორწმუნე რუსეთთან.

ქვეყნის აღორძინების, სახელმწიფოს ეკონომიკური და სამხედრო აპარატის გარდაქმნა იმ ხანებში მხოლოდ რუსეთის დახმარებით იყო შესაძლებელი. ერეკლე II დარწმუნდა, რომ საქართველოს იმდროინდელ პირობებში ფეოდალური არმიის შემდგომი ჩამორჩენილობის მოთმენა აღარ შეიძლებოდა. აუცილებელი იყო მისი ახალ ორგანიზაციაზე გადაყვანა. 1773 წელს ერეკლეს ბრძანებით იქმნება მორიგე ჯარი, ამ ბრძანებით შემოიღეს სავალდებულო სამხედრო სამსახური, რომლის მიხედვით თითოეული მეომარი თავისი იარაღით უნდა გამოცხადებულიყო და თვითონვე შეენახა თავი წელიწადში ერთი თვის მანძილზე.

ჯარის ფორმირება ცალკეული ნაწილების სახით ხდებოდა, მეთაურს კი თვითონ მეფე ნიშნავდა. პირველი შეკრების დროს დაახლოებით 5000 მეომარი გამოცხადდა ბანაკში, რითაც შეიქმნა თავისებური რეგულარული მუდმივმოქმედი არმია. მორიგე ჯარს უფლისწული ლევანი სარდლობდა. ამრიგად, სახელმწიფო მართვის სისტემაში შეიქმნა სპეციალური სამხედრო უწყება.

საქარხნო წესით სამხედრო საჭურველის წარმოების შექმნით ერეკლემ საფუძველი ჩაუყარა მაშინდელი ხელმისაწვდომი თითქმის ყველა სახეობის ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალებისა და დენთის დამზადების, მისი მწარმოებელი და საბრძოლო კადრების აღზრდას.

ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვის საფუძველზე რეგულარულმა მორიგე ჯარმა ახალი ტაქტიკის ათვისება დაიწყო სპეციფიკურ სამთო პირობებში. მაგრამ ირანისა და თურქეთის მხრივ მუდმივმა აგრესიულმა მუქარამ და საფრთხემ ერეკლეს არ მისცა ამ ფართო სამხედრო ღონისძიების ბოლომდე განხორციელების საშუალება.

1782 წლის 21 დეკემბერს ერეკლემ თხოვნით მიმართა რუსეთის დედოფალს ეკატერინე II-ს, დაემყარებინათ მეგობრული კავშირი, რომლის უმთავრესი მიზანი უნდა ყოფილიყო საქართველოს მეზობელი აგრესიული მაჰმადიანური ქვეყნებისაგან დაცვა და ხელშეუვალობა. 1783 წლის 24 ივნისს ციხე-სიმაგრე გეორგიევსკში ხელი მოაწერეს ტრაქტატს რუსეთსა და საქართველოს შორის, რომელიც ისტორიაში **გეორგიევსკის ტრაქტატის** სახელწოდებით შევიდა და რომელმაც განსაზღვრა საქართველოს შემდგომი ისტორიული ბედი, მთელი ქართველი ხალხის მომავალი.

რუსეთი თავის თავზე იღებდა საქართველოს გარეშე მტრებისაგან დაცვას, საქართველო კი ვალდებული ხდებოდა, საჭიროებისამებრ თავისი ჯარით რუსების მხარდამხარ გამოსულიყო. რუსეთის მთავრობა პირობას სდებდა, საქართველოს მტრები თავის მტრებად ეცნო.

1784 წლის 3 ნოემბერს საქართველოში ეკატერინე II-მ ორი ბატალიონი გამოგზავნა, ომის შემთხვევაში კი დამატებითი ძალები უნდა მოეშველებინათ. ამავე ტრაქტატის თანახმად, ომიანობის დროს, რუსეთი საქართველოს უნდა დახმარებოდა წართმეული ტერიტორიების დაბრუნებაშიც.

რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დამყარებამ, საქართველოში რუსეთის ჯარების შემოსვლამ მაჰმადიანური სამყაროს დიდი შეშფოთება გამოიწვია. დაიწყო აგრესიული მეზობელი ქვეყნების შემოსევები, რასაც თან ერთოდა ქვეყნის შინაგანი აშლილობა. რუსეთთან საქართველოს კავშირის გაწყვეტის ყველაზე სერიოზულ სამხედრო ჩარევას წარმოადგენდა აღა-მაჰმად-ხანის შემოჭრა. მანამდე მან არაერთგზის სცადა დაეყოლიებინა ერეკლე, რათა გაეწყვიტა მას ყოველგვარი კავშირი ჩრდილოეთთან და ელიარებინა სპარსეთის ქვეშევრდომობა. გეორგიევსკის ტრაქტატის ერთგული ერეკლე ამ მოთხოვნის გადაჭრით წინ აღუდგა.

აღა-მაჰმად-ხანი 1795 წლის სექტემბრის დასაწყისში 40 000-ანი ჯარით საქართველოსკენ გამოემართა და 8 სექტემბერს სოღანლუღიალღუჯის ჩრდილო კალთებსა და კუმისის მისადგომებს შორის, მდინარე მტკვრის ნაპირზე ე. წ. სარვანის მინდორზე დაბინავდა. სპარსელ-

თა ჯარებს თავიანთი ლაშქრით თან ახლდნენ განჯის მმართველი ჯავად-ხანი, ყარაბახელ სომეხთა მელიქები მეჯლუმი და ჰაბოვი, ერევნის ხანი.

აღა-მაჰმად-ხანის მოსალოდნელი გამოლაშქრების ამბავი იცოდნენ საქართველოში და დრო საკმარისი ჰქონდათ ჯარის შესაგროვებლად, მაგრამ რუსთა დახმარების მოლოდინე ერეკლე II-მ დროული და საჭირო ღონისძიებები არ განახორციელა. მან, დათქმული პირობისამებრ, რუსეთს დახმარებისათვის მიმართა, მაგრამ იმ ხანებში ეს ვერ განხორციელდა. მეორე მხრივ, ერეკლეს პოლიტიკით განაწყენებულმა მსხვილ ფეოდალთა ზოგიერთმა წარმომადგენელმა სრული გულგრილობა გამოიჩინა ქვეყნის თავდაცვის საქმეში. საქმე იქამდე მივიდა, რომ ერეკლეს მრავალრიცხოვან მემკვიდრეთაგან, შინაური უთანხმოებათა გამო, სოგიერთმა ზურგი შეაქცია სახელოვან მეფე სარდალს. ხოლო სოლომონ მეფემ, რომელიც დიდი რაზმით ჩამოვიდა, რაკი დაინახა მოწინააღმდეგის აშკარა უპირატესობა, გადამწყვეტ მომენტში გაეცალა იქაურობას და არმიის ფლანგი გააშიშვლა.

ქვეყნის დიდი მოჭირნახულე მეფე ერეკლე II უსაზღვროდ უყვარდა ხალხს. აღა-მაჰმად-ხანის ურდოების წინააღმდეგ საბრძოლველად ქალაქისა და, სოფლის კარგად ორგანიზებული და შეიარაღებული მცხოვრებლები თვითონ მოვიდნენ ბრძოლის ველზე და მეფეს ერთგულება შეჰფიცეს. ესენი იყვნენ თუშ-ფშავ-ხევსურეთიდან ჩამოსული მთიელები, თბილისელი მოქალაქეები, ქიზიყელთა და არაგველთა რჩეული რაზმები. მოხალისეთაგან შეიქმნა გაერთიანებული რაზმი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ვახტანგ ბატონიშვილი. მარჯვენა, მარცხენა და ჩამკეტი ჯგუფები ძველებური საბრძოლო წყობით განლაგდნენ. მაგრამ იყო სიახლეც: აქ საბრძოლო რიგებს შორის ჩააყენეს არტილერია, რომელსაც შემტევი ცხენოსანი ჯარის ყველაზე სახიფათო მიმართულებისათვის მხარი უნდა დაეჭირა, სიღრმეში კი — ნარიყალას ციხესიმაგრეში, ერეკლეს თოფხანაში ჩამოსხმული ზარბაზნები დადგეს. ბეომრები შეიარაღებულნი იყვნენ თოფებითა და დამბაჩებით. ყოველივე ეს ქმნიდა ხაზოვანი ტაქტიკიდან კარგად ცნობილ ორგანიზებულ საცეცხლე სისტემას. ოღონდ ეს იყო, ქვეითთა ჯარსა და კავალერიასთან შეფარდებით ქართველებს გაცილებით ნაკლები ცეცხლსასროლი საშუალებები ჰქონდათ. ვერც ამ მხრივ მოასწრო ერეკლემ ჯარების უზრუნველყოფა.

ქართველთა სარდლობამ შეიმუშავა თავდაცვის ღრმად გააზრებული გეგმა, რომლის მიხანს პირველ რიგში შეადგენდა მისადგომების რე-

ლიეფის ყოველმხრივ გამოყენება, რათა მტერს ბრძოლაში ჩასაბმელად ვერ გაეშალა, თავისი ჭარბი ძალები. ქართველთა ჯარს უნდა შეერჩია თავდაცვითი ხელოვნური ზღუდეები და მყარი პოზიციები. ამ ჩანაფიქრის საფუძველს ქართველთა ჯარის რიცხობრივი სიმცირე წარმოადგენდა, რომელიც არ აღემატებოდა 5000 კაცს. ამათგან კი, როგორც ვთქვით, 2000 კაცი სოლომონ მეფის მიერ ჩამოყვანილი იმერელთა ლაშქარი იყო.

ერეკლემ თავისი ძალები სეიდაბად-მტკვრის ვიწროებში განალაგა. მეწინავე რაზმს იოანე ბატონიშვილი სარდლობდა. მარჯვენა ფრთაზე დავით ბატონიშვილი იდგა. მარცხენა ფრთა დაიკავა იოანე მუხრან-ბატონმა. ცენტრს თვითონ ერეკლე ჩაუდგა სათავეში.

აღა-მაჰმად-ხანის ჯარებმა შავნაბადის, თელეთისა და კრწანისის მიდამოები დაიკავეს. სპარსელთა ჯარის ზურგში თურქმანთა ექვსი ათასიანი რჩეული რაზმი ჩადგა. კრწანისის ველი ტაბახმელიდან მტკვარამდე სპარსელთა ჯარებით იყო გადაჭრელებული. ერეკლეს მცირერიცხოვანი ძალები თითქმის ჩაიკარგნენ აღა-მაჰმად-ხანის ჯარების უზარმაზარ მასაში, რომ აღარაფერი ვთქვათ შავნაბადიდან თბილისისაკენ მომავალ შაჰის ძლიერ მარქაფზე.

სამხედრო მოქმედება ჯერ კიდევ 9 სექტემბერს თბილისის მისადგომებთან გაძლიერებული მზვერავი ჯგუფების ბრძოლით დაიწყო. ქართველთა რაზმები ისეთი გააფთრებით დაერივნენ მტრის ჭარბ ძალებს, რომ გაოგნებულ აღა-მაჰმად-ხანს ეჭვი შეეპარა მთავარი ძალებით შეტევის მიზანშეწონილობაში. ამიტომ იმავე დღეს ქართველთა ნაწილების დაზვერვისა და მათი ხელსაყრელი პოზიციებიდან გამოტყუების მიზნით შაჰმა ორჯერ მიიტანა ცეცხლი მათზე. ქართველებმა ორჯერვე ახლოს მიუშვეს, შემდეგ კი ერთბაშად ცეცხლითა და ელვისებური კონტრდარტყმით უკუაგდეს მტერი.

10 სექტემბერს მტრის მეწინავე 3000-ანმა რაზმმა კვლავ შეუტია ქართველთა გამაგრებულ ხაზს შავნაბადის მთის ძირში ტაბახმელასა და შინდისს შორის. კ რგად ორგანიზებული ცეცხლითა და გაბედული კონტრდარტყმებით ქართველებმა მომხდურნი დიდი ზარალით უკუაგდეს, მაგრამ ერეკლემ ქართველთა შემტევ რაზმებს ბრძანება გასცა, შეეწყვიტათ მტრის დევნა და საწყის პოზიციებს დაბრუნებოდნენ. აღა-მაჰმად-ხანმა გადაწყვიტა, ქართველთა მეწინავე მცირერიცხოვანი რაზმისათვის ზურგიდან შემოსავლელად 3000-კაციანი საუკეთესოდ შეიარაღებული ჯგუფი გამოეყო, სპარსელთა მთავარი ძალების არტილერიით კი მოეხდინა ქართველთა პოზიციების საცეცხლე დამუშავება.

ერეკლემ თავისი ძალების ნაწილი წინანდელ პოზიციებზე დატოვა და უბრძანა, განეხორციელებინათ ისეთი მანევრი, რომ სპარსელთა გარსშემომვლელი ჯარები საგანგებოდ გამოყოფილი ექვსი ზარბაზნისა და სხვა საცეცხლე საშუალებების ქვეშ მოყოლილიყვნენ. სპარსელებმა ძლიერი არტილერიის ცეცხლი დაუშინეს ქართველთა პოზიციებს, მტრის გარსშემომავალი ჯარები კი ჩვენების მეწინავე რაზმის ზურგისკენ მიიწევდნენ. ქართველებმა ძირითადი და გარშემომველელი ჯარები ძალზე ახლოს მიუშვეს, მერმე ყველა ცეცხლსასროლი საშუალებებიდან ორგანიზებულად გახსნეს ცეცხლი, სწრაფად გადავიდნენ შეტევაზე და აღა-მაჰმად-ხანის მიერ ამჯერად ბრძოლაში ჩაბმული ჯარები მთლიანად გაანადგურეს. ერეკლეს მთავარ რაზმს კი, რომელიც მტერს აურაცხელი ეგონა, ბრძოლაში მონაწილეობა არც კი მიუღია.

აღა-მაჰმად-ხანი შედრკა. მან გადაწყვიტა, თავისი ჯარებით დაუყოვნებლივ გასცლოდა იქაურობას, მაგრამ თბილისელი მსტო რების ბებუთოვისა და არარატიანცის სულმდაბლური ღალატის მეშვეობით აღა-მაჰმად-ხანმა შეიტყო, რომ ქართველებს მხოლოდ 4000-მდე მეომარი და მცირე რაოდენობის ცეცხლსასროლი საშუალებები გააჩნდათ. ამ ცნობის მიღების შემდეგ აღა-მაჰმად-ხანმა ღამით ეშელონებად დააწყო თავისი ჯარების მთავარი დაჯგუფებანი — მტკვრის გაყოლებით ტაბახმელამდე, რათა მთელ ფრონტზე მიეყენებინა დარტყმა ქართველებისათვის (იხ. სქ. 12).

კრწანისის ველზე მთავარი ძალების ბრძოლა 1795 წლის 11 სექტემბერს დილით ადრე დაიწყო. ირანელთა ლაშქარი მტკვარ-შავნაბადის იწროებით თბილისისაკენ წამოვიდა. ორსაათიანი ბრძოლის შემდეგ მათ ქართველთა თავდაცვის პირველ საბრძოლო პოზიციებს შეუტიეს, მერმე 5000-კაციანი რაზმი თელეთის მიმართულებით თბილისისათვის ზურგიდან მოსავლელად გაიგზავნა. ეს შეტევაც მოიგერიეს ქართველებმა, მაგრამ მტრის არტილერიის ცეცხლის დაშენისა და გაძლიერებული ავანგარდის იერიშის შედეგად ქართველებმა თავდაცვის მეორე პოზიციებზე გადაინაცვლეს. ამ პოზიციის გადალახვა ირანელებს ძალზე ძვირად დაუჯდათ, მაგრამ ბრძოლაში კვლავ შეჰყავდათ ახალ-ახალი ძალები. ერეკლემ მეწინაეთა რაზმებს ვახტანგ ბატონიშვილის და სხვადასხვა რაზმებიდან საგანგებოდ შერჩეული ქიზიყელთა, არაგველთა და თუშ-ფშავ-ხევსურთა მეომრები შიაშველა. მათვე შეუერთდა თბილისელებისაგან შემდგარი რაზმი, რომელსაც სათავეში სასახლის მსახიობთა დასის მეთაური მაჩაბელი ედგა. მტერი თელეთის მხრიდან შავნაბადის ქედზე გადმოვიდა და მოულოდნელად შეუტია ქართველთა

მარჯვენა ფრთას, მაგრამ დავით ბატონიშვილის რაზმმა არტილერიის ცეცხლით უკუაქცია.

შემდეგ მოვლენები ისე ანვითარდა, რომ აღა-მაჰმად-ხანის მიერ განხორციელებული მანევრის შედეგად სპარსელთა დიდი რაზმი იოანე ბატონიშვილის მეწინავე ძალების სურგში მოექცა. ვახტანგ ბატონიშვილის დახმარებით მან გაარღვია ალყა და ძირითად ნაწილებს შეუერთდა. მერმე ვახტანგ ბატონიშვილმა თავისი 2000-ანი რაზმით სეიდაბაის სამხრეთ კალთებთან შეუტია სპარსელებს, რათა შუაზე გაეკვეთა მტრის მთავარი ძალები. ამ დროს ერეკლემ ბრძანება გასცა მთლიანად გადასულიყვნენ კონტრშეტევაზე, მაგრამ ქართველთა ისედაც მცირე ძალები ამოიწურა და უკან დახევა დაიწყო. აქ ბრძოლა ცივი იარაღით ხელჩართული შეტაკებებით მიმდინარეობდა, ' ც ქართველ მეომრებს უპირატესობას ანიჭებდა, მაგრამ ცეცხლსასროლი საშუალებების სიმცირე ძალზე საგრძნობს ხდიდა ძალათა უთანასწორობას. თუ ცივი იარაღით ბრძოლის დროს მტრის ათჯერ და სოგჯერ თხუთმეტჯერ მეტი სიჭარბე ქართველი მეომრებისათვის დაუძლეველ პრობლემას არ წარმოადგენდა, ცეცხლსასროლი საშუალებების მხრივ თვალსაჩინო უთანასწორობა გადაულახავ ბარიერად იქცა. შეუპოვარი, ძლიერი და მოხერხებული მეომრები მიბრჯნითი სროლისაგან იღუპებოდნენ სუსტების ხელით. მაგრამ საცეცხლე საშუალებებით ბრძოლიდან ხელჩართულზე გარდამავალ ერთ-ერთ ბოლო პერიოდში მოხდა ისეთი რამ, რომელიც ოქროს ასოებით შევიდა ქართველთა სამხედრო ისტორიაში.

სამასმა არაგველმა მებრძოლმა როცა დაინახა აშკარა საფრთხე, გააფთრებული თავგანწირვით შეუტია ყველაზე მჭიდრო ეშელონად განლაგებულ მოწინააღმდეგის რაზმს, მტრის ჯარის მართვის დეზორგანიზაციისა და მისი ფრონტის ყველაზე მოულოდნელ ადგილას გარღვევის მიზნით. მათ ჯერ ცეცხლით ეხმარებოდნენ, მერმე კი მაჩაბლის მოხალისეები მიჰყვნენ კვალდაკვალ და მხარში ამოუდგნენ მთიელ დევგმირებს. ისინი ისეთი ძალით ჩეხდნენ მტრის რიგებს, რომ ვერავითარმა ძალამ ვერ შესძლო მათი შეჩერება. ასე გაარღვიეს არაგველებმა ათ რიგიანი წყობა და მიაღწიეს შაჰის სადროშომდე, მის ცხვირწინ იგდეს ხელთ დროშები და ნაფლეთებად აქციეს. არავინ იცის, რით დამთავრდებოდა ეს ამბავი, რომ იმ წუთებში შაჰის პირადი დაცვის დიდ ძალებს არ მოესწროთ მოსვლა. მხოლოდ ამან იხსნა გარდაუვალი დაღუპვისაგან თავზარდაცემული აღა-მაჰმად-ხანი.

ამ დროს კრწანისის მაღლობიდან მტერმა ქართველთა ლაშქარს ზარბაზნებით ცეცხლი დაუშინა. კვლავ მოიტანეს უცარი იერიში

დავით ბატონიშვილის რაზმზე. თანაც მის ზურგში რამდენიმე ასეულისაგან შემდგარი ცხენოსანი რაზმი გაგზავნეს. ეს შენიშნა ქართველთა სარდლობამ და სასწრაფოდ აფრინეს შიკრიკი იმერელთა ათასეულის მეთაურთან და არტილერიის უფროსთან, მაგრამ შიკრიკმა ვერ მიაღწია დანიშნულების ადგილამდე, იგი სადღაც გზაში მოკლეს. ამიტომ ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ ქართველთა ლაშქარი იძულებული გახდა, უკან დაეხია და თავდაცვით სიღრმეში განლაგებული უკანა სანგრები დაეკავებინა. აქ ისინი დაახლოებით ერთი საათის ძანძილზე იგერიებდნენ მტრის გაფანტულ იერიშებს. დღის მეორე ნახევარში აღა-მაჰმადხანმა მთელი თავისი ძალები უკლებლივ ბრძოლაში ჩააბა. ქართველთა არტილერისტებმა იმდენი შესძლეს, რომ დროებით შეაჩერეს მათი წინსვლა, რათა ცოცხლად დარჩენილ ქართველ მეომრებს უკან დახევის შესაძლებლობა მისცემოდათ. თვითონ ერეკლემ, იოანე ბატონიშვილთან ერთად, მცირერიცხოვანი თანამებრძოლებითურთ თბილისზე გავლით მთიულეთს შეაფარა თავი. მტერი ქალაქში შევიდა. მოსახლეობამ მას ქუჩებში გაუმართა ბრძოლა. სპარსელებმა თბილისი გაძარცვეს, დაარბიეს და გადასწვეს.

დაიწყო ისტორიაში კარგად ცნობილი მაჰმადიანთა ურდოებისათვის დამახასიათებელი ძარცვა, რომელსაც ამჯერად ორგანიზებული ხასიათი მიეცა. ერეკლეს მიერ შექმნილი თოფხანის, სარბაზნების დამაშხადებელი ქარხნისა და სხვა საწარმოთა განადგურების მერმე შაჰმა მათი ოსტატები ოჯახებითურთ, აგრეთვე ათასობით სხვა ტყვეები ირანს წაასხა. ამის შემდეგ ქართველი ხალხის ორგანიზებული აჯანყების, ერეკლეს აქტიური კონტრმოქმედებისა და რუსთა ჯარების შესაძლო შემოსვლით დამფრთხალი აღა-მაჰმად-ხანი სწრაფად გაეცალა საქართველოს. იგი არც შემცდარა. სამი თვის შემდეგ გენერალი გუდოვიჩი 2000-ანი ჯარით საქართველოში შემოვიდა, მაგრამ შაჰის ჯარები იქ უკვე აღარ იყვნენ.

1796 წელს რუსთა დიდმა სამხედრო ძალებმა 30 000 ჯარითა და არტილერიით დაიწყეს მოქმედება აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ. დაიკავეს დერბენტი, ბაქო, შემახია, სალიანი და ირანის ცენტრალურ რაიონებს დაემუქრნენ. იმავდროულად შეფე ერეკლემ განახორციელა სამხედრო ოპერაციები. 1796 წლის 3 აპრილს აიღო განჯა, დაიკავა წინასწარული პოზიციები ერევანში და ამით მნიშვნელოვნად აინაზღაურა გაწეული სამხედრო ხარჯები, გაათავისუფლა ტყვე ქართველები და სომხები.

ეკატერინე II-ის შემდეგ ტახტზე პავლე I-ის ასვლისთანავე შეწყდა სპარსეთში ლაშქრობა და საქართველოდან უკან გაიწვიეს რუსეთის

ჯარები. თავიდან დაიწყო სამხედრო გართულებანი, მაგრამ ქართველი ხალხისათვის ყველაზე მძიმე და საშინელი უბედურება იყო ქვეყნისათვის თავდადებული, სახელოვანი მეფისა და დიდი მხედართმთავრის ერეკლეს გარდაცვალება 1798 წლის 1 იანვარს თელავში.

ქართველმა ხალხმა დიდი მოამაგე მეფის ერეკლეს სახელი დიდების შარავანდედით შემოსა ხალხურ ლეგენდებში, ზღაპრებსა და გადმოცემებში. დიდია ერეკლე II-ის ისტორიული როლი იმდროინდელი საქართველოს წარმოუდგენლად რთული სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიური პრობლემების გადაწყვეტაში, განსაკუთრებით საგარეო ორიენტაციის, რუსეთთან საიმედო კავშირის დამყარებაში. მისი მსგავსი მხედრები ნიადაგ ალამაზებდნენ ქართულ მიწას მაღალი მხედართმთავრული ნიჭით, გმირობითა და კეთილშობილებით. ერეკლემ, რომელმაც 80 წელი იცოცხლა, მარტო საქართველოში სულ ცოტა ორასი ბრძოლა გადაიხადა და უმეტესად გამარჯვებული გამოდიოდა, მიუხედავად იმისა, რომ მას ყოველთვის მცირერიცხოვანი ძალები ჰყავდა. მისი სახელი თავზარს სცემდა მტერს. ძნელად გადარჩენია მის ხმალს პირისპირ ბრძოლაში რაგინდ ძლიერი რაინდი. ერეკლეს სახელი ჰქუხდა ინდოეთსა და ირანში, თურქეთსა და ჩრდილო აღმოსავლეთ კავკასიის ხალხებში. ევროპაში თვით ფრიდრიხ დიდი ამბობდა: „ევროპაში მე ვარ უძლეველი, აზიაში კი ივერიის მეფე ერეკლეო". მან სპეციალური მედალიც კი მოაჭრევინა ერეკლეს გამოსახულებით, რომლითაც ბრძოლებში განსაკუთრებით თავგამოჩენილ მეომრებს აჯილდოებდა.

ყველაზე მაღალი და ავტორიტეტული შეფასება ერეკლე მეფის მოღვაწეობას მისცა გენიალურმა ქართველმა პოეტმა ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავის პოემაში „ბედი ქართლისა" და შესანიშნავ ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა", სადაც ხაზგასმულია მის მიერ ისტორიულ მოვლენათა ზედმიწევნით სწორი განჭვრეტის უნარი, თავდადება სამშობლოსა და ხალხისათვის, ერეკლეს უდიდესი ნაღვაწი, რომლის ნაყოფს დღესაც უხვად იმკის მადლიერი შთამომავლობა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ასე გულწრფელად დაიტირა ქართველმა ხალხმა ნაამაგარი მეფის სიკვდილი, ძირდაუშვებლად ატარა მისი ცხედარი თელავიდან მცხეთამდე და სვეტიცხოვლის წმიდა სავანეში მიუჩინა სამუდამო საბოლოო.

ერეკლე II-ის გარდაცვალებიდან ცოტა ხნის შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო გაუქმდა და 1801 წლის 16 თებერვალს იმპერატორ პავლეს მანიფესტით რუსეთის ტერიტორიის ნაწილად გამოცხადდა...

1800 წლის ნოემბერში რუსეთ-საქართველოს სამეფოთა გაერთიანებულმა ჯარებმა გადაიხადეს უკანასკნელი ერთობლივი ბრძოლა აჟარიის მხარის მმართველის ომარ-ხანის საქართველოში შემოჭრილი დიდი ჯარების წინააღმდეგ და სასტიკი დამარცხებაც აგებინეს. ეს იყო ბოლო აკორდი ორი მეგობარი ქვეყნის სამხედრო ძალების დემონსტრაციისა, სადაც ერთხელ კიდევ გაიბრწყინა ქართული სამხედრო ხელოვნების წარმომადგენელთა მხედრულმა შემართებამ და მხედართმთავრულმა ნიჭმა. ამის შემდეგ კი, რუსეთთან საქართველოს შეერთების შედეგად გაერთიანდა სამხედრო ძალები საერთო სახელმძღვანელო დებულებების, ერთიანური შეიარაღების, სტრატეგიისა და ტაქტიკის საფუძველზე. რასაკვირველია, აქ სამხედრო ხელოვნების ელემენტებისა ქართველი ხალხის საბრძოლო ტრადიციების სახით რუსულ სამხედრო ხელოვნებას ორგანოდ შეერწყა ყოველივე საუკეთესო, რაც კი მას გააჩნდა და იგი მეღავნდებოდა რუსებთან მხარდამხარ ქართველი მეომრებისა და სარდლების მიერ წარმოებულ ომებში. ყველა შემდგომ ბრძოლებში ქართველები რუსეთის ჯარების შემადგენლობასა და დაქვემდებარებაში იბრძოდნენ. ასე იყო 1804—1813, 1826—1828 წლების რუსეთ-ირანის 1806—1812, 1828—1829, 1877—1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომებში, 1817—1864 წლების კავკასიის ომებში და ა.შ. ამ ომებში რუსეთმა ისეთი გამანადგურებელი დარტყმები მიაყენა ირან—თურქეთის სამხედრო ძალებს, რომ იქიდან მოყოლებული, ისინი თითქმის ჩამოსცილდნენ სამხედრო ისტორიულ არენას, ნატამალიც აღარ შერჩათ ადრინდელი აგრესიულობისა.

ამის შემდეგ ჩვენ საუბარი გვექნება რუსეთის არმიაში გამოჩენილ ქართველ მეომრებსა და სარდლებზე, რომელთაც გვასახელეს ისტორიულ ბატალიებში.

გენიალურ რუს პოეტს ალექსანდრე პუშკინს ძალზე უყვარდა მაძაცი სამხედრო ადამიანები, ბევრი ჰყავდა მათ შორის მეგობრები და ახლობლები. იგი თვითონაც მონაწილეობდა რუსეთის ისეთ სამხედრო კამპანიაში, როგორიც იყო ლაშქრობა არზრუმში. იმ დღეთა მოგონებებს უძღვნა პოეტმა თავისი შესანიშნავი ნაწარმოები „მოგზაურობა არზრუმს“, სადაც იგი ამბობს: „ქართველები მეომარი ხალხია. მათ ეს დაამტკიცეს ჩვენს დროშების ქვეშ თავიანთი გმირობით“...

როგორც ცნობილია, დიდი პოეტის ეს სიტყვები შემდგომში სავსებით დაადასტურა ისტორიამ.

საქართველოს სამეფო გვარის — ბაგრატიონთა ბუდიდან აფრინდა მთის არწივის მართვე, რომელსაც ბედმა წილად არგუნა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში საქვეყნოდ გაეთქვა სახელი თავის წინაპართა მშობლიური მხარისათვის.

პეტრე ბაგრატიონს მემუარები არ უწერია, მას არ უყვარდა თავის ქება და სიტყვაძუნწ კაცად იცნობდნენ. მასზე ისტორიამ შემოგვინახა გადმოცემა. 1782 წელს ქართველმა თავადის ქალმა, მისმა ღვიძლმა მამიდამ 17 წლის პეტრე თავად პოტიომკინს წარუდგინა, დიდ თავადს ძლიერ მოეწონა ქართველ მეფეთა შთამომავალი და მისი ბრძანებით პეტრე ბაგრატიონი კავკასიის მუშკეტერთა პოლკის სერჟანტად ჩარიცხეს, სადაც რვა წელი იმსახურა. იგი ოთხჯერ იყო მძიმედ დაჭრილი. პირველი ჭრილობა თითქმის სასიკვდილო აღმოჩნდა. კავკასიის მთებში იგი ბრძოლის ველზე ღამით იპოვეს ჩეჩნებმა. მათ შენიშნეს, რომ ახალგაზრდა პეტრე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, და როგორც შემდგომში იგონებდა, „ქართულ გარეგნობას" გადაურჩენია. იგი წაიყვანეს და მოარჩინეს.

შემდეგ კიევის ცხენოსან ეგერთა და სოფიის კარაბინერთა პოლკებში მსახურობდა. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის 1787—1791 წლების ომში და 1793—1794 წლების პოლონეთის კამპანიაში. მამაცი და ნიჭიერი ოფიცერი, რომელმაც თავი გამოიჩინა ბრძოლებში, 1798 წელს მეექვსე ეგერთა პოლკის მეთაურად დანიშნეს. სუვოროვის სკოლა, რომელიც მან გამოიარა იტალიისა და შვეიცარიის ლაშქრობათა უმძიმეს პირობებში, სტრატეგიისა და ტაქტიკის, „გამარჯვების მეცნიერების" მწვერვალთა დაუფლების წლები იყო. სუვოროვმა ისარგებლა ბაგრატიონის საფუძვლიანი ცოდნით და იმ პრაქტიკული გამოცდილებით, რომელიც მან მემკვიდრეობად მიიღო წინაპრებისაგან (რომლებიც არაფრად აგდებდნენ მტრის ჯარის რაოდენობრივ უპირატესობას, არ აშინებდათ მოწინააღმდეგის სახელი და დიდება) და საყვარელ გენერალს უძნელესი ავანგარდული და არიერგარდული ბრძოლების სარდლად ნიშნავდა. მაგალითად, გენერალი ბაგრატიონი სარდლობდა მოკავშირეთა არმიების ავანგარდს, ბრწყინვალედ გაუძცვა ბრძოლებს მდინარეების ადასა და ტრებიის ნაპირებთან, ნოვისთან და ლეგენდარულ სენ-გოტარდთან. 1805—1807 წლებში საფრანგეთის წინააღმდეგ საომარ მოქმედებას ედგა სათავეში ბრაუნაუდან ოლმიუნცამდე, სტრატეგიული მარშ-მანევრის დროს. რუსეთ-ავსტრიისა და საფრანგეთის

1805 წლის ომში გენერალი ბაგრატიონი იფარავდა რუსეთის არმიის მთავარ ძალებს. იგი სარდლობდა თითქმის დასაღუპად განწირულ არიერგარდს. მან ხუთიათასიანი განაწამები ჯარით არა მარტო უზრუნველყო მთელი არმიის გეგმაზომიერი უკანდახევა, არამედ რამდენიმე ბრწყინვალე ბრძოლა გაუმართა მოწინააღმდეგის შემტევ, ბევრად ჭარბ ძალებს და დიდი ზარალიც მიაყენა. მან ხელთ იგდო მოწინააღმდეგის დროშა, ტყვედ წამოიყვანა პოდპოლკოვნიკი, ორი ოფიცერი და 50 ჯარისკაცი, ალყიდან გამოიყვანა დასაღუპად განწირული არიერგარდი და მთავარ ძალებს შეუერთდა.

მან განსაკუთრებით გამოიჩინა თავი შენგრაბენის ბრძოლაში, სადაც ნაპოლეონის მიერ სასწრაფოდ გამოგზავნილი 30-ათასიანი მარშალ მიურატის ცხენოსანი კორპუსი შეაყოვნა, ერთი მხრივ, ბრძოლების უნარიანი სისტემით, ჯარების განლაგებითა და ჩასაფრებული რაზმების და სარეზერვო ძალების გამოყენებით, მეორე მხრივ, სამხედრო ეშმაკობით — გარკვეულ პირობებში ტყვედ დანებების შესახებ მოლაპარაკებით, რამაც მიურატს დრო დააკარგვინა, ნაპოლეონი კი გააცოფა. თავის მოკლე მოხსენებაში ბაგრატიონი წერდა: „...ქრისტიანთა მტერი უნდა იყოს ის, ვინც მარტო არ შეერკინება ექვს და თორმეტ ფრანგს. ავანგარდმა ეს დაამტკიცა, 5 ათასი წინ აღუდგა 30 ათასს, შეინარჩუნა არმია, ღირსება, დიდება და წმიდათაწმინდა დროშები... მე ის ჯარისკაცი ვარ, რომელსაც არ უყვარს ფიცის გატეხა“, როგორ ჰგავს ეს სიტყვები ქართველ სარდალთა მოხსენებებს.

ისტორიაში ცნობილი აუსტერლიცის ბრძოლის დროს ბაგრატიონი მოკავშირეთა არმიების მარჯვენა ფრთას სარდლობდა, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ნაპოლეონის წარმატებული შემოტევის მოგერიებაში და უზრუნველყო მოკავშირეთა ჯარების გამოყვანა, შემდეგ კი არიერგარდი შექმნა და უკან დახევის საშუალება მისცა მთავარ ჯარებს.

პეტრე ბაგრატიონი პრეისიშ - ძილაუს (ახლანდელი ბაგრატიონოვსკის) და ფრიდლანდის ბრძოლების გმირია, სადაც იგი კვლავ არიერგარდს სარდლობდა 1806—1807 წლების კამპანიაში. შემდგომში, როგორც დივიზიისა და კორპუსის სარდალი, აქტიურად მონაწილეობდა რუსეთ-შვედეთის 1808—1809 წლების ომში. აქ იგი სათავეში ედგა 1809 წლის ლეგენდარულ ალანდის ექსპედიციას, რომლის დროსაც გადალახეს შვეციაზე გამავალი ბოტნიის გაყინული ყურე, დაატყვევეს 2000 კაცი, ხელთ იგდეს 32 ქვემეხი, 8 საბრძოლო და 138 სავაჭრო ხომალდი, აიღეს სტოკჰოლმთან ახლოს მდებარე ქ. გრისლეჰამი.

გენერალი ბაგრატიონი მოლდავეთის არმიის მთავარსარდლად დაინიშნა და რუსეთ-თურქეთის 1809—1810 წლების ომში მუსრი გაავლო მოწინააღმდეგეს დუნაიზე, ხელთ იგდო მაგინის, მირსოვოს და კუსტენჯის ციხეები, რასოვეტთან და სხვა ადგილებში მოსპო თურქთა 12-ათასიანი კორპუსი, ხელი შეუწყო ბალკანელ ხალხთა ეროვნულ-განმანთავისუფლებელ ბრძოლას ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ.

1811 წელს ბაგრატიონი სარდლობს პოდოლსკის არმიას, რომელსაც 1812 წელს დასავლეთის მეორე არმია ეწოდა.

თავისი სამხედრო მოღვაწეობის 30 წლიდან ბაგრატიონმა 23 წელი ლაშქრობებში და ბრძოლებში გაატარა. ზოგჯერ იქმნებოდა შთაბეჭდილება თითქოს იგი მხოლოდ მებრძოლი იყო, რომელიც მამაცურად და უნარიანად ახორციელებდა სარდლობის ჩანაფიქრს. უსაზღვროდ თავმდაბალ, დისციპლინიან, მაღალი შეგნების მხედართმთავარს არ უყვარდა თავისი დამსახურების ხაზგასმა, ეს კი ხელს არ უწყობდა მისი უზარმაზარი თეორიული შრომის, სტრატეგიული აზროვნების ნამდვილი კლასიკოსის წარმოჩინებას. იგი არა მარტო თითოეულ ბრძოლას, შეტაკებასა თუ მთლიანად ომის პროცესს გაიაზრებდა ხოლმე მთლიანობაში, არა მარტო ახორციელებდა ამ ჩანაფიქრს, არამედ აანალიზებდა მსოფლიო სტრატეგიული განვითარების მიღწევებსა და პერსპექტივებს, ქვეყნის სამხედრო ძლიერებისა და საომარი მზადყოფნის უზრუნველსაყოფად. ეს შესანიშნავად ჩანს იმპერატორისადმი საფუძვლიან, მეცნიერულად დასაბუთებულ წინადადებებში („მომავალ კამპანიათა გეგმების შესახებ") სადაც ჯერ კიდევ 1810 წელს განსაცვიფრებელი წინასწარგანჭვრეტით არის გაშუქებული რუსეთში ნაპოლეონის შემოჭრის ხასიათი, და იმპერატორს სთავაზობს აგრესიის მოსაგერიებლად ქვეყნის თავდაცვისათვის მომზადების გეგმას.

1812 წლის დამდეგს ბაგრატიონმა იმპერატორ ალექსანდრე პირველს წარუდგინა დეტალურად დამუშავებული სტრატეგიული „1812 წლის კამპანიის გეგმა", რომელიც იმ აზრით არის გამსჭვალული, რომ დაასწრონ ნაპოლეონს არმიების განლაგება აქტიური თავდაცვის მიზნით, მთელი რიგი სტრატეგიული დარტყმები მიაყენონ ყველაზე სუსტი მიმართულებებით. აი, რამდენიმე ნაწყვეტი 1812 წლის კამპანიის გეგმისა, რომელიც პეტრე ბაგრატიონმა წარუდგინა ალექსანდრე პირველს:

...„ევროპა თვითმხილველი მოწმეა იმისა, თუ როგორი გულმოდგინებით ცდილობდა თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობა ტილზიტის ტრაქტატის დადების დღიდან შეენარჩუნებინა და დაემკვიდრებინა მშვიდობა და მეგობრობა ორ იმპერიას შორის. მაგრამ ახლა ამ კე-

თიღშობილური მიზნის მიღწევის იმედი საბოლოოდ ამოიწურა და არავითარი საბაბი არა გვაქვს იმისა, რომ თავს არ დაგვესხმება ეს გაბოროტებული და ძალაუფლების მოყვარული დამპყრობელი, რომელიც მსოფლიო მონარქობას ესწრაფვის...

... საფრთხე, რომელიც დღითი დღე მატულობს, გვისახავს იმ ღონისძიებებსაც, რომლებიც იძულებული ვართ განვახორციელოთ თავდასაცავად. ჩემი აზრით, ომი გარდაუვალია...

... ეს აზრი მით უფრო სავარაუდოა, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ არც ერთი მის მიერ დამარცხებული და დაპყრობილი ხალხი არ გრძნობს თავს ბედნიერად, პირიქით, შიშით მოელის მდგომარეობის გაუარესებას.

... ამრიგად, ნებისმიერ შემთხვევაში ომი მიმაჩნია არა მარტო გარდაუვალად, არამედ აუცილებლადაც რუსეთის ინტერესებისა და მისი უწმინდესი უფლებების დაცვისათვის, და ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში მთავარია, ერთი მხრივ, თავიდან აეცილოთ მოულოდნელი თავდასხმა, ხოლო, მეორე მხრივ, მოვიგოთ დრო, სულ ცოტა ექვსი კვირა, რათა პირველი დარტყმები მივაყენოთ და ვაწარმოოთ არა თავდაცვითი, არამედ შეტევითი ომი. ამ მთავარი მიზნის მისაღწევად საჭიროდ მიმაჩნია შემდეგი საშუალებანი.

I. ომის დაწყების წინასწარი ზომების შესახებ:

1) საფრანგეთის საშეფო კარს დროის დაუკარგავად გავუგზავნოთ ნოტა, რომელშიც... იმპერიის შესაფერი სიმტკიცითა და ღირსებით უნდა ჩამოყალიბდეს, ერთი მხრივ, ყველა ის საშუალება, რომელიც გამოყენებულ იქნა თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის მიერ ორ იმპერიას შორის მშვიდობისა და შეთანხმების მისაღწევად. მეორე მხრივ, იმპერატორ ნაპოლეონის მიერ ჩადენილი ყველა ის საქციელი, რომელიც საწინააღმდეგოა თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობისა და საყოველთაო უფლებებისა, განსაკუთრებით კი: ა) თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის მხრივ ტილზიტის ტრაქტატისა და ერფურტის კონფერენციის ყველა სტატიის ზუსტი შესრულებისა; დ) ერთხელ მიღებული კონტინენტური სისტემისადმი მკაცრი თვალყურის დევნება... დაბოლოს ვ), ჰოლანდიისა და შეიციის ნაწილის საფრანგეთის იმპერიასთან შეერთება, რაც, საერთოდ, არღვევს ხალხთა უფლებებს და რისგანაც არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია თავი დაზღვეულად ჩათვალოს; ზ) ჰანზასური ქალაქების, გერმანიის ჩრდილოეთ და ბალტიის ზღვისპირა სამეფოთა, განსაკუთრებით კი გოლშტეინ-ოლდენბურგის საჰერცოგოს შეერთება... კ) მისი მაიძულებელი მოთ-

ხოვნა, რომ რუსეთი დაეშორჩილოს მის სურვილს ვაჭრობის თაობაზე... ნ) მნიშვნელოვანი რაოდენობის არმიის თავმოყრა გერმანიაში; ო) ტრაქტატის დარღვევა, ფრანგებისაგან შემდგარი მრავალრიცხოვანი გარნიზონით გდანსკის დაკავება; პ) სილეზიაში ბრანდებურგსა და პომერანიაში ფრანგების მიერ დაკავებული ყველა ციხე-სიმაგრის გარნიზონების გაძლიერება, გარანტია, ამ ნოტის შეტყობინების დროიდან მდ. ოდერსა, ან სხვაზე სადემარკაციო ხაზის შექმნის შესახებ... რომ ჯარების, ან თუნდაც ერთი ბატალიონის ნებისმიერი გადმოვლა თქვენი იმპერატორობითი უმაღლესობის მიერ გაგებული იქნება როგორც ომის საზეიმო გამოცხადება. მე ვთვლი, რომ ამ ნოტის გაცნობა სასარგებლო იქნება რუსეთთან მეგობრულ ურთიერთობაში მყოფი ყველა სამეფო კარისათვის, ამასთანავე, თქვენი უდიდებულესობის ასეთი გადაწყვეტილება უმაღლესი მანიფესტის სახით უნდა გამოქვეყნდეს მთელ იმპერიაში. ხალხში მტრისადმი გამეფებული სიძულვილის კიდევ უფრო გასაღვივებლად და ამ უკანასკნელის მოსამზადებლად ომის აუცილებლობით გამოწვეული მსხვერპლის გაღების მიზნით...

2) ამასთანავე, სასწრაფოდ გაძლიერდეს ბელოსტოკის კორპუსი 100 000 თოფოსან კაცამდე და მომარაგებული იქნეს საჭირო რაოდენობის არტილერიით.

3) აღმოსავლეთ პრუსიის საზღვრებთან თავი მოვუყაროთ არანაკლებ ხუთი დივიზიისაგან შემდგარ კორპუსს, გაძლიერებულს არამარტო საველე, არამედ შესაძლებლობისამებრ, ციხესიმაგრეთა არტილერიითაც, საკმაო რაოდენობის ჭურვებითურთ.

4) მთავარი არმიიდან არაუმეტეს 100, ან 150 ვერსის დაშორებით მეორე ხაზზე შეიქმნას 50 000 თოფოსანი კაცისაგან შემდგარი რეზერვი, რომელიც საჭიროებისამებრ იქნება გამოყენებული.

5) ამ ჯარების სურსათით შეუფერხებელი მომარაგების მიზნით სათანადო ადგილას წინასწარ შეიქმნას საკმაო რაოდენობის მაღაზიები, რომლებსაც ექნებათ საკმარისი ფურაჟი და პროვიანტი 250 000 კაცისათვის, სულ ცოტა ერთი წლის განმავლობაში.

6) შეიქმნას აგრეთვე საჭირო რაოდენობის ფურგონები მოძრავი მაღაზიისათვის, რომელთაც შეეძლებათ 150 000-იანი ჯარის პროვიანტითა და შვრიით ერთი თვის განმავლობაში მომარაგება, რადგანაც მიწებიდან და მაღაზიებიდან დაქირავებული ფურგონებით პროდუქტების მიტანა არასოდეს, ან იშვიათად არის საკმარისი.

7) ბალტიის ზღვაზე საომარ მზადყოფნაში გვყავდეს ფლოტი საკმაო რაოდენობის ხომალდებით

II. დაწყებითი სამხედრო ოპერაციების შესახებ...

... აუცილებლად მიმაჩნია წუთის დაუკარგავად დავიწყოთ სამხედრო ოპერაციები შემდეგნაირად:

1) იმდენად, რამდენადაც ბელოსტოკიდან ვარშავამდე მხოლოდ 12 მილია, საჭიროა 100-ათასიანი არმიით დაუყოვნებლივ მაისში ფორსირებული მარშით დავიძრათ და არა უგვიანეს ორი დღისა მივიდეთ ვარშავის მისადგომებთან, სწრაფად მოვსპოთ გზაში შემხვედრი ყოველი დაბრკოლება და დავიკავოთ ვარშავა. პირველი მძლავრი დარტყმები განაპირობებს საომარი სულისკვეთების ამაღლებას ჩვენს ჯარებში და საპირისპიროდ, შიშს ჩაუნერგავს მოწინააღმდეგეს; ჩემ მიერ შემოთავაზებული ამ მოულოდნელი და სწრაფი მოძრაობის მთავარი სასარგებლო შედეგი ის იქნება, რომ ომის თეატრი იმპერიის საზღვრებიდან მოშორებით გადაინაცვლებს და მდ. ვისლაზე ისეთი პოზიციის დაკავებას შეგვაძლებინებს, რომელიც მოწინააღმდეგის მიმართ უფრო მეტი სიმტკიცით მოქმედების საშუალებას მოგვცემს. სხვა შესაძლო სარგებლობათა შესახებ ქვევით იქნება მოხსენებული.

2) მეორე კორპუსი, რომელიც განლაგებული იქნება აღმოსავლეთ პრუსიის საზღვართან, იმავე დღეს და ისეთი ე სისწრაფით უნდა დაიძრას გრაუდენციისაკენ და გადავა თუ არა ვისლაზე, მაშინვე შეუდგეს გდანსკისათვის უძლიერესი ალყის შემორტყმას, კორპუსს დახმარება უნდა გაუწიოს ფლოტმა, რომლის გარეშეც ამ ოპერაციას არ ექნება სწრაფი წარმატების მოპოვების შესაძლებლობა, რადგანაც მოწინააღმდეგე ფლოტის საშუალებით შესძლებს ქალაქის მომარაგებას ჯარითა და ყველა სასიცოცხლოდ აუცილებელი საშუალებებით. პრუსიის მეფის ნეიტრალიტეტს არ მიექცეს არავითარი ყურადღება, რადგან მისი სამფლობელო საფრანგეთის იმპერატორის ძალაუფლებას ექვემდებარება და მისი ჯარების მიერაა დაკავებული.

3) იმისდა მიხედვით, თუ როგორი სისწრაფით წაიწევს წინ მთავარი არმია და მეორე კორპუსი, წინ უნდა წაიწიოს სარეზერვო 50.000-იანმა კორპუსმაც, სასურველია ვარშავის საჰერცოგოს სიღრმისაკენ.

შემდგომი სამხედრო ოპერაციები განისაზღვრება მხოლოდ მოწინააღმდეგის მოქმედებებითა და მოძრაობით, მაგრამ ყველა შემთხვევაში მე თავდაცვას შემტევი ხასიათის ომს ვამჯობინებ.

III. ომის წარმატებით გაგრძელების გზები და ღონისძიებები...

1) თუმცა დღევანდელი პოლიტიკური ვითარება ჩემთვის მთლად

ნათელი არ არის, ამის მიუხედავად ჩემ მიერ სათანადო დასკვნების გამოსატანად მიმაჩნია, რომ საფრანგეთთან კავშირის გაწყვეტის შემდეგ გაიოლდება სამშვიდობო ხელშეკრულების დადება ინგლისთან. ეს ხელშეკრულება ჩვენთვის ყოველმხრივ მომგებიანი იქნება: ის რუსულ ნაწარმს წინანდელ მნიშვნელობას დაუბრუნებს; იმპერიას მოუტანს მნიშვნელოვანი რაოდენობის ოქროსა და ვერცხლს, ხელს შეუწყობს ჩვენი ფულის კურსის აწევას, ხაზინის მოგების გარდა აამაღლებს ხალხის საომარ სულისკვეთებას და უფრო ადვილს გახდის იმ დახმარების შეგროვებას, რომელიც ომის გაგრძელებისთვის არის აუცილებელი. სამხედრო თვალსაზრისით კი, იმ სარგებლობას მოიტანს რომ ბალტიის ზღვა თავისუფალი იქნება და სრული უშიშროების პირობებში შესაძლებელი გახდება არმიის ნაწილებისა და საომარ აღჭურვილობათა გადატანა...

4) ადვილი შესაძლებელია იმპერატორ ნაპოლეონის სამფლობელოს ზოგიერთ მხარეში იფეთქოს უკმაყოფილებამ და აჯანყებამ, რომელიც აგრეთვე ჩვენს სასარგებლოდ შეიძლება იქნეს გამოყენებული.

6) იმდენად, რამდენადაც ეს ომი ორივე მხრიდან ძალების დიდ დაძაბვას მოითხოვს, ხალხის დიდი რაოდენობის დანაკლისი გარდაუვალია, ამიტომაც საჭიროდ ვთვლით, რეკრუტებად გაწვეულების ისეთ განლაგებას, რომ რამდენიმე პუნქტში, მესამე ხაზზე იმყოფებოდეს სათადარიგო კორპუსიდან არა უშორეს 100, ან 150 ვერსის მანძილზე...

...ჩემი უმთავრესი აზრები წერილობით ჩამოვაყალიბე მხოლოდ თქვენი იმპერატორობითი უმაღლესობისათვის და მას სხვასთან ვერავისთან ნახავთ. მე თავს ბედნიერად ჩავთვლი, თუ ისინი თქვენი ყურადღების ღირსი გახდება".

ეს შემოკლებული სახით მოყვანილი დოკუმენტი ამტკიცებს, თუ რაოდენ ღრმად და პოლიტიკური თვალსაზრისით სწორედ ესმოდა ქვეყნის უმაღლესი სტრატეგიული ამოცანები გენერალ ბაგრატიონს. ასეთი დოკუმენტები და მასთან დაკავშირებული ნაშრომები კი მას რამდენიმე ჰქონდა და ყოველივე ამის შემდეგ მოშურნეთა მტკიცება იმისა, რომ ის სტრატეგი არ იყო და მისი აზროვნების სფერო მხოლოდ ტაქტიკით შემოიფარგლებოდა, უაზრობაა.

სამეფო კარზე და სამხედრო მმართველობაში გერმანელთა მოძალების შედეგი იყო, რომ ბაგრატიონის გეგმის ნაცვლად პრუსიელი გენერლის ფულეს გეგმა მიიღეს, რომელიც შემდგომში მთლიანად ჩაიფუშა. ეს გეგმა ყოვლად უაზრო დრისის ბანაკის აგებას მოითხოვდა 4X3კმ-ზე რედუტებითურთ და რომელზედაც ნაპოლეონის შემოჭრისას დასავ-

ლეთის I არმიას უნდა დაეხია, დასავლეთის II არმიას კი შემტევი ჯარისთვის ფლანგსა და ზურგში უნდა დაერტყა. ამასთანავე რუსეთის ჯარებისათვის თვითონ ალექსანდრე I-ს უნდა გაეწია მთავარსარდლობა.

ომის დასაწყისშივე ნაპოლეონის სწრაფი წინსვლის გამო დრისის ბანაკი დატოვეს და, რაც მთავარია, არმიის მთავარსარდლობაზე ხელი აიღო იმპერატორმა. ამან კი ომის ყველაზე მძიმე პერიოდში—მის დასაწყისში, რუსეთის ჯარების ურთიერთშეუთანხმებელი მოქმედება გამოიწვია. ამრიგად, სამხედრო მოქმედების მთელი ინიციატივა ნაპოლეონმა იგდო ხელთ, დასავლეთის I-მა არმიამ უბრძოლველად დაიხია უკან და ბაგრატიონის დასავლეთის II არმიის ფრონტი გააშიშვლა, ბაგრატიონმა კი ვოლკოვსკიდან სმოლენსკამდე ოთხი დიდი ბრძოლა გადაიხადა და ათამდე შეტაკება მოუხდა, რომლის დროსაც მოკლული იქნა 4000 და ტყვედ წაყვანილი—300 ფრანგი. ასე ქანცავდა და სისხლისაგან ცლიდა მტრის ძირითად ძალებს ბაგრატიონის არმია და ოსტატური მანევრებით აიძულებდა მის კორპუსებს, ერთმანეთს დაშორებოდნენ და თავს მოხვეული ბრძოლა მიეღოთ. ამით ფრანგები კარგავდნენ ძირითად ფაქტორს — დროს. ბარკლაი დე ტოლის არმია კი მშვიდად იხევდა უკან, რადგან მტრის ძირითად ძალებს ბაგრატიონის ჯარები იზიდავდნენ თავისკენ.

ბაგრატიონის არმიის აქტიური მოქმედების გამო რუსეთის არმიების ცალ-ცალკე განადგურების ნაპოლეონისეული გეგმა წარუმატებლად დამთავრდა.

ბაგრატიონი ბარკლაი დე ტოლს სწერდა. „ორივე არმიის შეერთებით ჩვენ ბოლოს და ბოლოს შევასრულეთ რუსეთის სურვილი და იმპერატორის მიერ დასახული მიზანი. მნიშვნელოვანი რაოდენობის რჩეული ჯარის თავმოყრით, მოწინააღმდეგის წინაშე მივაღწიეთ იმ უპირატესობას, რომელიც მას გააჩნდა ერთმანეთისაგან დაშორებული ჩვენი არმიების მიმართ. ჩვენ უნდა ვისარგებლოთ ამით, უპირატესი ძალებით დავესხათ თავს მის ცენტრს და დავქსაქსოთ მისი ჯარები, ვიდრე იგი ფორსირებული მარშებითაა დაბნეული და, მთელ თავის საშუალებებს დაშორებული, გონს ვერ მოსულა. მე მიმაჩნია, რომ მის წინააღმდეგ წასვლა ეხლა, — თითქმის სრულიად აუცილებელია...

... ვთავაზობ რა თქვენსუმაღლესობას ყოველივე ამას, უფრო დიდი წარმატების მისაღწევად, თუ ეს თქვენი სურვილიც იქნება, მე თვითონ ვიდებ თავს მტრისადმი შეტევის სარდლობას, თუ გადმომეცემა თქვენდამი დაქვემდებარებული არმია“.

მაგრამ ნაპოლეონის დაქსაქსული კორპუსების განადგურების ეს უველაზე მომგებიანი ვითარება ბარკლაი დე ტოლის მიზეზით ხელიდან იქნა გაშვებული და ამრიგად, ჩაიშალა სმოლენსკის უველაზე კარგი პოზიციებისა და სიმაგრეების გამოყენება შემოჭრილი არმიის დასამარცხებლად.

ბაგრატიონის აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. იგი არაკრეევს სწერდა: „მე არ შემიძლია მინისტრთან ერთად ყოფნა. ღეთის გულისათვის, სადაც გინდათ, იქ გამაგზავნეთ თუნდაც პოლკის მეთაურად მოლდავეთში, ან კავკასიაში, აქ ყოფნა კი აღარ შემიძლია... მთელი სამმართველო გერმანელებით არის სავსე...

... ვფიქრობდი, ხელმწიფესა და სამშობლოს ვემსახურებოდი, მაგრამ სინამდვილეში გამოდის, რომ ბარკლაის სამსახურში ვარ. გამოგიტყდებით, არ მინდა".

ბაგრატიონი ხშირად აღნიშნავდა: „ჩემთან, შტაბში მხოლოდ გერმანელები არიან, დარჩა მხოლოდ ერთი რუსი პოდპოლკოვნიკი, ისიც (უგვარო) Безродный.

და მაინც, უმძიმესი ბრძოლების პირობებში, განიცდიდა რა განუხორციელებელი გეგმებისა და სამეფო კარის ინტრიგების გამო სიმძიმილს, პეტრე ბაგრატიონმა ჩაიფიქრა და საკუთარი ინიციატივით განახორციელა ფრანგების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ხალხთა მასების პარტიზანულ მოძრაობაში ჩაბმის გრანდიოზული გეგმა. ამასთანავე, ამ საერთო-სახალხო მოძრაობას განიხილავდა არა როგორც სტიქიურ, მართვის უუნარო პროცესს, არამედ როგორც მკაცრად განსაზღვრულ ბრძოლას გამოცდილი რეგულარული ჯარისა და მოხალისე ოფიცრების მონაწილეობით, რომლებსაც უნარი ექნებოდათ — შემოეკრიბათ თავის გარშემო გამანადგურებელი რაზმები და ესწავლებინათ მათთვის სამხედრო საქმე. პარტიზანული მოძრაობის სათავეში ბაგრატიონმა დააყენა თავისი ადიუტანტი და მეგობარი—დენის დავიდოვი. ამით მან სამხედრო ხელოვნების ისტორიაში გადაშალა ახალი ფურცელი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა არა მარტო ნაპოლეონის არმიის განადგურებაში, არამედ შემდგომ ომებშიც. ბაგრატიონი გახდა რუსეთის სამხედრო ისტორიაში პარტიზანული მოძრაობის პირველი ორგანიზატორი და ინიციატორი.

მისი მთელი ცხოვრების აპოთეოზად იქცა ბოროდინოს ბრძოლა, სადაც ფრონტის უველაზე არასახარბიელო უბანზე განლაგებულმა მისმა არმიამ თავის თავზე მიიღო ნაპოლეონის რჩეული ძალების მთავარი დარტყმა, რომელსაც მისი საუკეთესო სარდლები დავუ, მიურატი, ნეი

და ჟიუნო სარდლობდნენ. ბრძოლის ყველაზე რთულ ადგილზე და მეწინავე ხაზზე ყოველთვის თვითონ ბაგრატიონი იყო და თუ კი ნაპოლეონის რიცხობრივად ჭარბი ძალები მოახერხებდნენ მათი საომარი მწყობრის არევას, ის ცხენზე ამხედრებული გამოჩნდებოდა დაბნეული ჯარების ცენტრში, უზანგებზე წამოიწევდა, აღმართავდა სუვოროვის ნაჩუქარ ხმალზე წამოცმულ ქუდს და მათთვის ცნობილ ამ ნიშანზე, ყველა მის გარშემო ირაზმებოდა. გაისმოდა ბაგრატიონის მოკლე მოწოდება: „მებრძოლებო, განა დაივიწყეთ სუვოროვი... განა მე თქვენს მხარდამხარ არ ვიბრძოდი ხიშტით სენ-გოტარდში, გამხნევდით, თქვენ შემოგყურებენ თქვენი წინაპრები, ცოლები... არ გავათელინოთ ის მიწა, სადაც მამების ძვლები განისვენებს! აქ ადგილი არ არის ლაჩრებისათვის, მომყევით, ძმებო! წინ, ან გამარჯვება, ან სიკვდილი!“...

ჯარისკაცებიც ერთხმად შესძახოდნენ: „გაგვიძეხ, მამავ, გაგვიძეხ“! ამას მოჰყვებოდა მთავარი დარტყმის მიმართულების მითითება და ყველაფერი წესრიგში დგებოდა ბრძოლის გასაგრძელებლად. ბაგრატიონის ფლეშებზე მოგერიებული იქნა 8 შეტევა.

მაგრამ, სანამ საომარი მოქმედება დაიწყებოდა, პეტრე ბაგრატიონმა იმპერატორს შესთავაზა დიპლომატიური მანევრი, რომელთა მიზანი იყო დაენახვებინა მსოფლიოსთვის რუსეთის სიმართლე ამ ომში.

ომის ისტორიკოსთა მრავალმა თაობამ ვერ შეძლო მთელი სიღრმით წარმოეჩინა ბაგრატიონის პიროვნება, რომელიც თვისებრივად უბადლოა ისტ რიაში. იმის თქმა, რომ ამგვარი სარდალი არ ახსოვს მსოფლიო ისტორიას, თითქოსდა უხერხულია, სინამდვილეში კი ეს ასეა, და არა მარტო იმიტომ, რომ არც ერთი მხედართმთავარი არ ჰგავს სხვას. საერთო ნიშნების გარდა, როგორიცაა მამაცობა, ვაჟკაცობა, საზრიანობა, კეთილშობილება, ოპერატიულობა, სამხედრო სიბრძნე, ბაგრატიონს გააჩნდა ერთი თვისება: ყველა თავის სტრატეგიულ და ოპერატიულ გადაწყვეტილებას თვითონვე ახორციელებდა ბრძოლაში და თვითონვე არჩევდა მთავარ და განსაზღვრულ მიმართულებას, ამიტომ ყოველთვის მეწინავე ხაზზე იყო სისხლისმღვრელ ბრძოლებში, და არა მარტო ჯარისკაცების აღსაფრთოვანებლად, არამედ იმისათვისაც, რომ ადგილზეც მიეთითებინა ქვეითებისათვის, კავალერიისათვის, არტილერიისათვის საჭირო გადაწყვეტილება, გონივრულად შეეხამებინა მათი ურთიერთმოქმედება კონკრეტულად შექმნილ პირობებში.

მას არ უყვარდა სამეთვალყურეო და საკომანდო პუნქტებში დიდხანს ყოფნა და ცნობების ლოდინი. როცა ბრძოლა გაჩაღდებოდა, ამ დროს იგი მუდამ მებრძოლებთან მიისწრაფოდა, სადაც მთელი სიდია-

დით ვლინდებოდა მისი გამოცდილება და ოსტატობა, უბადლო სამხედრო ხელოვნება. ამიტომ იყო, რომ მასთან მუდამ ერთმანეთს ერწყმოდა გადაწყვეტილების მიღება და შესრულება, სწორედ ისეთი შესრულება, როგორიც ჩაფიქრებული იყო და სწორედ ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც აქვე, დაუყოვნებლივ უნდა განხორციელებულიყო. ბაგრატიონის ამ თავისებურებას ერთვოდა მისი წინაპრების ტრადიციული, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმა, რაგინდ სახელოვანიც უნდა ყოფილიყო მტერი, რაგინდ დიდიც უნდა ყოფილიყო მისი ჯარი. ბაგრატიონს კი 120-სავე ბრძოლასა და შეტაკებაში მუდამ ბევრად უფრო ჭარბ ძალებთან ჰქონდა საქმე.

როგორ გინდა ყოველივე ეს კომპლექსურად გააერთიანო და კლასიკური სამხედრო თეორიების პოზიციებიდან შეაფასო სარდალი, როცა მისი მოქმედება და ქცევა შერწყმულია მებრძოლების, აღმსრულებლების მოქმედებასთან და ქცევასთან?

როგორ გინდა ვინმეს შეადარო ბაგრატიონი მხედართმთავარი ამ მხრივ, როცა საჭირო იყო სისხლისმღვრელი ბრძოლების ადგილას ეტრიალა და ამასთანავე ესარდლა მრავალი შენაერთისაგან შემდგარი არმიისათვის?

მაშინაც კი, როცა ბოროდინოს ბრძოლაში სასიკვდილოდ დაიჭრა, მან ითხოვა ფეხზე წამოეყენებინათ, რათა თვითონ მიეთითებინა ბრძოლაში შესაყვანი ძალებისა და დარტყმის მიმართულება, მაშინაც კი, როცა სისხლით იცლებოდა, იგი თავის — ბაგრატიონისეული მხედართმთავრული პრინციპების ერთგული რჩებოდა, მხედართმთავრისა, რომელშიც შერწყმული იყო ჯარისკაცური აღმსრულებლობა. რაოდენ მისაბაძია ყოველივე ეს თაობებისათვის. ყველაფერი ეს ზუსტად ასე იყო, ეს არ არის ლეგენდა, ეს არ არის მითი, ეს რეალური სინამდვილეა, რეალური ლეგენდარული ადამიანის შესახებ.

ბაგრატიონზე გადაიღეს შესანიშნავი ფილმი, სადაც ნაჩვენებია ფრიად დამაჯერებელი სცენა: ნაპოლეონი ჭოგრიტით ხედავს, როგორ მიიჭრა ცხენით ბაგრატიონთან ოფიცერი და მარჯვენა ხელით უჩვენებს შეტევის მიმართულებას; უეცრად ყუმბარამ მას ეს ხელი მოაგლიჯა, სისხლი შადრევანივით წამოვიდა, ოფიცერი კი კვლავ განაგრძობს მიმართულების ჩვენებას... მარცხენა ხელით. შეძრწუნებული ნაპოლეონი დაფიქრებული დაუშვებს ჭოგრიტს. შემდეგ უახლოეს მრჩევლებს — ბერტიეს, და დავუს ეკითხება:

„ეგ არის?“, „დიახ, სერ!“ კვერს უკრავენ სამივენი და იგი ორჯერ იმეორებს გვარს—„ბაგრატიონი“.

„თქვენ იცით, სადაურია?“ — ეკითხება ნაპოლეონი, და მარშლები ერთხმად უპასუხებენ: „რუსი“.

ნაპოლეონი: „არა“! და მკაცრად შეახსენებს, რომ ყოველი მხედართმთავარი მოვალეა იცნობდეს მოწინააღმდეგეს, განსაკუთრებით მის გამოჩენილ სარდლებს, და ამალას მიმართავს: „სადაურია ბაგრატიონი?“ ამალას გამოეყო რუსტამი — ჭაღარა მამლუქი: „იქნებ აუხსნა ამათ?“ რუსტამი უპასუხებს: „ჩვენ ორივენი ერთი პატარა ქვეყნიდან ვართ, რომელსაც საქართველო ჰქვია. მაგრამ ჩვენ შორის ის განსხვავებაა, რომ მე შთამომავლობით გლეხი ვარ, ეგ კი მეფის ტახტის მემკვიდრეა“.

ნაპოლეონი: „მაგ კაცს შეეძლო ერთ-ერთი პირველი ადგილი დაეკავებინა ჩემს მარშლებს შორის“. შემდეგ რუსტამს ეკითხება. „ბრძოლის ველზე რომ შეხვედროდი თვალდათვალ, ბაგრატიონს, მოკლავდი?“:

რუსტამი: „ჩემო ხელმწიფევ, ვეცდებოდი თავი ამერიდებინა“.

ნაპოლეონი დაჰკივლებს. „რატომ, ლაჩარი ხარ?“

რუსტამი: „არა, ჩემო ხელმწიფევ!“

ნაპოლეონი: „შენ შეგეძლო საკუთარი სხეულით დაგეფარა იგი მტრის ყუმბარისა და ტყვიისაგან, როგორც ჩემთვის ჰქენი?“

რუსტამი: „დიახ, ჩემო ხელმწიფევ“.

ნაპოლეონი თავისიანებს მიუბრუნდება და ეუბნება. „მეომარი ხალხია!“

ბაგრატიონის ფენომენის შესაფასებლად საჭიროა გვახსოვდეს არა მხოლოდ ის, რომ მას რუსეთში მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა, არამედ ისიც, თუ რუსეთის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის რა ეტაპს დაემთხვა მისი მოღვაწეობა.

აღმავლობის გზაზე მდგარ რუს ერს ხელისუფლება უნერგავდა ეროვნულ ნიჰილიზმს და მონური ქედის მოხრას ყოველივე ევროპულისადმი.

რუსულ უმაღლეს და სამხედრო სასწავლებლებში გაბატონებული იყო ფრანგული და გერმანული ენები, რუსულად ლაპარაკი კი ცუდ ტონად ითვლებოდა. რუსეთის არმიის უმაღლეს სარდლობაში დიდი ადგილი ეკავა პრუსიელ ოფიცრობას.

რუსეთის ეროვნული იდეალები და სულისკვეთება მათთვის უცხოც იყო და მიუღებელიც.

ნაპოლეონის ომების ხანას რუსეთი ასეთ წინააღმდეგობათა მომენტში შეხვდა.

ომის პირველ ეტაპზე რუსეთი დიდი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა.

ომი ეროვნული სიმტკიცისა და ძლიერების გამოცდაა. ომს რუსეთის ეროვნული ხასიათის და მაღალი შეგნების სახალხო გმირთა ახალი სახელები უნდა ამოეტივტივებინა და კიდევაც ამოატივტივა. თავისი ეროვნული კრიზისის ამ ურთულეს ეტაპზე რუსმა ხალხმა საკუთარი სულისა ა ღირსების განმასახიერებლად, ერთ-ერთი პირველი პეტრე ბაგრატიონი მიიჩნია.

თავის მხრივ, პეტრე ბაგრატიონი რუსი ხალხის ამგვარ იდეალად იქცა თავად რუს ხალხში ჩაქსოვილი გმირული სულის შეთვისებისა და მისი საუკეთესო შვილების მაღალი საბრძოლო, მორალური და ინტელექტუალური დონის გამო.

ბაგრატიონი მარტო ხმლით და სამხედრო სტრატეგიული გამჭრიახობით როდი იცავდა რუსეთის ინტერესებს, მასში ხედავდნენ ყოველივე რუსულის ქომაგსა და განმასახიერებელს რუსეთის არმიაში. ასე იქცა ქართველი ვაჟკაცის ბუნებრივი და ისტორიულ-გენეტიკური თვისებები რუსი ხალხის სიამაყის სიმბოლოდ. ამიტომ მეცნიერული, ისტორიული და უბრალოდ ადამიანური თვალსაზრისით გენერალი ბაგრატიონი იყო არა „გამოჩენილი რუსი მთავარსარდალი", არამედ გამოჩენილი მთავარსარდალი რუსეთის არმიისა, იმიტომ, რომ სისხლით, სულით და გულით იგი ყოველთვის რჩებოდა ქართველი.

ნაპოლეონის ომები შესწავლის საგანი გახდა მსოფლიოს ყველა სახელმწიფოსა და არმიისათვის. აანალიზებდნენ ყოველ მის ბრძოლას, და ამიტომ გენერალ ბაგრატიონის ბრძოლებიც, რომელიც განსაკუთრებით წარმატებით უმკლავდებოდა ნაპოლეონს იტალიისა და შვეიცარიის ლაშქრობებში, ისტორიის კუთვნილებად იქცა.

ბაგრატიონი სამხედრო კადრების ერთ-ერთი აღმზრდელი მთავარი ფიგურა გახდა და ამით მსოფლიო პრესტიჟი დ დიდება დაიმკვიდრა. რა თქმა უნდა, ომები, რომლებსაც ბაგრატიონი ეწეოდა თურქეთის წინააღმდეგ ბალკანეთის განთავისუფლებისათვის, შვედებთან ომი და ბისკაის ყურის ფორსირება სახელს მატებდა მას, მაგრამ ნაპოლეონთან ბრძოლები სტრატეგიისა და ტაქტიკის უმაღლესი ისტორიული საფეხური იყო და ამ ბრძოლებში ბაგრატიონის უშუალო ძლევამოსილ მონაწილეობას ასევე უმაღლესი პრესტიჟული მნიშვნელობა ჰქონდა, რაც არაერთხელ ულიარებია ნაპოლეონს სიტყვებით: „ეს საუკეთესო გენერალია, მას შეეძლო ჩემს მარშლებს შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი დაეკავებინაო". სწორედ ბაგრატიონმა ნაპოლეონის გენერალური ბრძოლების სტრატეგიას დაუპირისპირა მოწინააღმდეგის ძალების თანამიმდევრული დაქსაქსვა და განადგურება დიდ ჯარებთან და პარ-

ტიზანებთან მრავალრიცხოვან შეტაკებათა მსვლელობაში. ისტორიაში პირველად პარტიზანთა მოქმედება შეტანილი იყო ომის საერთო სტრატეგიულ გეგმაში.

ნიადაგი ეცლებოდა კორდონული სტრატეგიისა და სახაზო ტაქტიკის პრინციპებს. გადამწყვეტი საველე შეტაკების სტრატეგია, ანუ ნაპოლეონის „დაკვრითი სტრატეგია" გაბატონდა ომებში, მაგრამ ერთ-ერთი პირველი, ვინც ნაპოლეონთან სისხლისმღვრელ ბრძოლებში ქმნიდა ყოველივე ახალს,—ეს იყო ბაგრატიონი, მისი მონაწილეობით ომები უკვე პრინციპულად უმაღლეს, განახლებულ დონეზე მიმდინარეობდა.

დერჟავინის დიდმა ტალანტმა შეძლო შეენიშნა და გადმოეცა რუსი ხალხის შეგნებაში ჩამოყალიბებული აზრი, როცა ნაპოლეონს ხატოვნად დაუპირისპირა ბაგრატიონი:

„О, как велик На-поле-он!
Он хитр и быстр и тверд во брани;
Но дрогнул, как простер лишь длани
К нему с штыком Бог-рати-он».

თითქმის ყველა გამორჩენილი თანადროული ისტორიკოსი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ნაპოლეონთან ომებს და აღნიშნავდა ქართველი ოფიცრებისა და თორმეტი გენერლის როლს ფრანგების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამასთან განსაკუთრებით გამოჰყოფდნენ ბაგრატიონს. ჩერნიშევსკიმ ბაგრატიონს „რუსული არმიის ლომი" უწოდა.

დიდი ადამიანების ხვედრს და ხასიათს ბევრი რამ აქვს საერთო ხელოვნების და სამხედრო ხელოვნების დიად ქმნილებებთან. ისინი სცილდებიან თავისი დროისა და ერთნიშნა განზომილებების საზღვრებს. ორივენი შეიცავენ სრულიად ახალი და მოულოდნელი კუთხეებით გაბრწყინების უნარს ისტორიის ცვალებად სიტუაციებში.

კრიტიკოსებმა უწყიან, რომ სხვა ეპოქასა და სხვა ისტორიულ სიტუაციაში კლასიკური ხელოვნების ნიმუშს იმ შემთხვევაში უწერია სრულად გაბრწყინების პერსპექტივა, თუ ამ ეპოქაში სწორედ იმგვარი აზრობრივი კონტექსტია აქტუალური, რომელმაც თავის დროზე ეს შედევრი შვა.

სწორედ ამიტომ ეძებს ხოლმე ახალი ეპოქა საკუთარი ამოცანებისა და კითხვების პასუხებს მსგავსი ამოცანებით გამსჭვალულ ძველი ხელოვნების შედევრებში.

ქართული საზოგადოებრივი ცნობიერებისათვის ერთ-ერთი ასეთი უნიკალური მოვლენაა პ. ბაგრატიონის ფენომენიც.

შეცდომაა, როდესაც მას წყვეტენ ქართული ეროვნული ძირებიდან და განიხილავენ როგორც მხოლოდ რუსული სამხედრო გენიის გამომხატველად.

ეს მისი პიროვნების, მისი ფენომენის ვიწრო, ცალმხრივი და არაკომპლექსური გააზრების შედეგია.

ის ფაქტი, რომ პ. ბაგრატიონს ბედმა არ არგუნა უშუალოდ საქართველოში ექნია ხმალი თავისი ერის მტრებთან ბრძოლაში, სულაც არ ნიშნავს, თითქოს იგი მოწყვეტილი იყო ქართულ ეროვნულ ცხოვრებას, პრობლემებს, ხასიათს, ქცევის წესს.

მაშასადამე, ჯოფილა მასში სხვებისაგან რაღაც გამორჩეული, თავისებური, ინდივიდუალური, რაც მტრებსა და მოკეთეებსაც აძლევდა მისი სწორედ ქართველად მიჩნევის საფუძველს.

საერთოდ, დაბადებისა და მოღვაწეობის ადგილის საბაბით ეროვნებადაკარგული ადამიანი საეჭვო ზნეობრივი მოვლენაა, ისევე როგორც უსამშობლო გმირი.

პეტრე ბაგრატიონს არც გვარტომობა შეუცვლია და არც კავშირი გაუწყვეტია საქართველოს ბედ-იღბალთან.

სისხლისმღვრელ და გაუთავებელ ბრძოლებში ჩაბმული პ. ბაგრატიონი სხვადასხვა ხასიათის თხოვნებს და კორესპონდენციებს იღებდა საქართველოდან. ცნობილია ცხარე ბრძოლების დროს /1803, 1805, 1806, 1810, 1811 წ./ დათარიღებული მისი მიმოწერა საქართველოსთან და ქართველებთან დაკავშირებულ საკითხებზე, პ. ბაგრატიონი რჩევას აძლევდა ალექსანდრე ბატონიშვილს, შეეწყვიტა ხან ჩრდილოეთ კავკასიაზე, ხან ირანზე დამყარებული უპერსპექტივო ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ და დაბრუნებულიყო საქართველოში.

მაგრამ ბაგრატიონის ეროვნულ-პოლიტიკური კრედო ყველაზე ნათლად ჩამოყალიბებულია 1806 წლის 30 აპრილით დათარიღებულ წერილებში ოთარ ამილახვარისადმი.

ამ წერილიდან მკაფიოდ ჩანს, რომ საქართველოს ხვედრით პ. ბაგრატიონის დაინტერესების ხასიათში გამოიკვეთა იმავე ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის სხვა წევრებისა და სხვა ქართული პოლიტიკური დაჯგუფებისაგან განსხვავებული პოზიცია.

ამ წერილიდან ორი ასპექტია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საყურადღებო: ობიექტური და სუბიექტური.

ობიექტურს ჩვენ ვუწოდებთ რუსეთთან საქართველოს შეერთებისადმი პ. ბაგრატიონისეულ პოზიციას. სუბიექტურს — მის სურვილს და შეუნიღბავ ოცნებას დაბრუნდეს თავის სამშობლოში.

გავიხსენოთ ამ წერილის ორივე ასპექტი.

პ. ბაგრატიონი ოთარ ამილახვარს შეახსენებს იმ უმთავრეს და დადებით მომენტს, რომელიც რუსეთთან შეერთებამ მოუტანა საქართველოს.

უპირველეს ყოვლისა, ეს არის საქართველოს სამხედრო ხელშეკრულების გარანტია.

სიტყვების შემდეგ, რომ „საქართველო ყოველითურთ მშვიდობასა და ბედნიერებაში იყოს დაცული" — პ. ბაგრატიონი აუწყებს ოთარ ამილახვარს „თქვენვე იცით, თუ მოწყალე ხელმწიფის საფარველი მაგ ქვეყანას არ შესწეოდა, აქამდე დიდ უბედურებას მიეცემოდაო".

რაც შეეხება სუბიექტურს, ოთარ ამილახვრის ეროვნული ქვეშეცნობიერი გრძნობების შექების შემდეგ პ. ბაგრატიონი არ მალავს საშობლოში დაბრუნების სურვილს.

წერილი გვაუწყებს; „მოხარული ვარ და კიდევაც ვითხოვ თქვენგან თქვენი ჩვეულებრივი სიმხნე და ერთგულება ხელმწიფისა და თქვენის ქვეყნისა არა მოშალო, რომლისთვისაც ხელმწიფისაგან მიიღებთ საკმაო წყალობასა და იქნება მეც მოვიდე და თვითონ მე გაჩვენებთ საქმით ერთგულებასა და სიყვარულს"...

ამაშია საქართველოსადმი პეტრე ბაგრატიონის დამოკიდებულების სუბიექტური საფარველი. სრულიად აშკარაა, რომ ამგვარი სუბიექტური და ობიექტური ასპექტის გამოკვეთა პეტრე ბაგრატიონის პოზიციაშიც შემთხვევითი არ არის.

მისი ამგვარი პოზიციის გამოკვეთაში გადამწყვეტი როლი შეასრულა იმ გარემოებამ, რომ პეტრე ბაგრატიონს წილად ხვდა მონაწილეობა მიეღო მომავალი მსოფლიო-ისტორიული პროცესების განმსაზღვრელ ბრძოლებში. პეტრე ბაგრატიონის, როგორც სტრატეგიულად მოაზროვნე მხედართმთავრის თვალთახედვაში მრეკლა მსოფლიო ისტორიის გლობალური პროცესი. ამ პროცესში ჩათრეულ ევროპის სხვადასხვა ერებთან ერთად გადამწყვეტი სიტყვა უნდა ეთქვა რუს ხალხს.

რაკი საქართველო უკვე რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა, ისიც ნებსით თუ უნებლიეთ, მონაწილეობას იღებდა მასში. ქართველობის ის ნაწილი, რომელიც ამ პროცესის გაუთვალისწინებლად განიხილავდა საქართველოს მომავალს, აშკარად ცდებოდა.

თავისი ეპოქის საზოგადოებრივი ცნობიერების ფონზე პეტრე ბაგრატიონი გამორჩეული პიროვნება იყო: გამჭრიახი, გონებამახვილი, დაჯილდოებული იუმორის გრძნობით.

ის სიცოცხლეშივე იქცა ლეგენდად. მასში ხედავდნენ ზოგადკაცობრიულ ღირსებათა განმასახიერებელს.

მაგრამ ბაგრატიონის გამორჩეულობის განმსაზღვრელი საწყისები, რომლებშიც მთელი სისავსით გაიხსნა მისი პიროვნული საზრისი, ცხადია, არც მის სამხედრო ტალანტშია საძებნი და არც მის წარმოშობაში.

ბაგრატიონის შინაგანი ფენომენი სპეციფიკური წარმოშობისაა, საქმე ის გახლავთ, რომ ბედმა მას არგუნა მუდამ სიკვდილის მოქადული სიტუაციებისათვის ესწორებინა თვალი.

ბაგრატიონის თითქმის ყველა ტრიუმფული გამარჯვება მიღწეული იყო სიკვდილზე პირადად მისი და მისი მხედრობის გამარჯვების საფასურად.

მთელი მისი ცხოვრება იყო სიკვდილის პირისპირ გატარებული სიცოცხლის მაგალითი. ბაგრატიონმა გაიარა სიკვდილით გამოცდის უდიდესი ცხოვრებისეული სკოლა. ამ სკოლიდან მან გამოიტანა მოქმედების ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური პრინციპებით გამსჭვალული ნორმები, რომელთა განმასახიერებლადაც თავად იქცა.

მისი ცხოვრების წესი და მოქმედების სტერეოტიპი, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი, ძირითადად, განსაზღვრული იყო სიკვდილის პირისპირ მდგომი მხედრის თვით შეგრძნებით. სიკვდილისათვის თვალის უშიშრად გასწორების უნარმა ბაგრატიონს შესძინა სიცოცხლის, სილამაზის, ჰარმონიის, სამართლიანობის, კეთილშობილების, დიდსულოვნების ღირსებით ტარებისა და დაფასების გრძნობა. „ფილოსოფია არს წურთაი სიკვდილისაი“, წერდა იოანე პეტრიწი. სიკვდილის წვრთნის უნარი სიცოცხლისა და სიბრძნის დღესასწაულია.

ბაგრატიონი მსოფლიო ისტორიის ერთი იმ პერსონაჟთაგანი იყო, რომელმაც წუთისოფლის წარმავალ ვნებათაღელვებში ეს სიბრძნე შეითვისა და განასახიერა. მის აღფრთოვანებას იწვევდა ყველა, ვინც ამ სიბრძნეს ფლობდა, თუნდაც იგი მტერი ყოფილიყო.

სხვანაირად შეუძლებელია აიხსნას არტილერიის ც ცხლში გახვეული ფრანგთა მარშის ხილვით გამოწვეული მისი შეძახილი ბოროდინოს ველზე: „ყოჩაღ, ფრანგებო!“.

რაოდენ მაღლა დგას ბაგრატიონის ეს უმაღლესი სულისკვეთება ადამიანთა წვრილმან ვნებებზე!

შინაგანი წყობის ამგვარი სტრუქტურა იდეალისათვის მთელი არსების გამღებ ადამიანთა ხვედრია.

რუსთველის დევიზი—„რასაცა გასცემ, შენია, რაც არა, დაკარგულია!“—ამგვარი წყობის ადამიანთა სტიქიაა.

ბაგრატიონმა მართლაც ყველაფერი გაიღო.

ბაგრატიონმა მთელი ცხოვრება და თვით სიცოცხლე არმიასა და ხალხს შესწირა, არც ცოლ-შვილი, არც სახლი, მან თავისი ჯარისკაცები შეიყვარა მამობრი ი სიყვარულით, დარჩა მხოლოდ ვალი — ცხრა მილიონ-ნახევარი მანეთი ოქროთი, მიუხედავად იმისა, რომ ხელმოკლე ჯარისკაცური ცხოვრებით ცხოვრობდა. თურმე, რაც კი ჯამაგირი მიულია, რაც კი მისთვის მამულები და სოფლები მიუციათ ძლევამოსილი ბრძოლების აღსანიშნავად, სულ ვალებში მიდიოდა — უსწორდებოდა მომმარაგებლებს, რათა ჯარისკაცებს ყველაფერი ჰქონოდათ, და მართლაც, ბაგრატიონის ნაწილებს ორ-სამჯერ უკეთ კვებავდნენ, ვიდრე სხვებს. ყველაზე ძვირფასი, რაც დარჩა, ეს იყო დაშნა წარწერით: „სუვოროვისაგან პ. ი. ბაგრატიონს". და ეს ძვირფასი რელიკვია სიკვდილის წინ მან დენის დავიდოვს გადასცა და უთხრა: „შენ ხელში არ დაჟანგდებაო". და მართლაც, დავიდოვი ყოველი შეტევის წინ იშიშვლებდა სუვოროვ-ბაგრატიონის დაშნას და შესძახებდა. „ავიღოთ ბაგრატიონის სისხლი, ვაშა!"

დენის დავიდოვი ოცდახუთი წლის მანძილზე ყოველთვიურად სწერდა წერილებს იმპერატორს და ყველა ინსტანციას, რომ გშირის ნეშტი სოფელ სიმიდან ბაგრატიონის ფლეშებთან გადმოესვენებინათ. ბოროდინოს ბრძოლის მეოთხედი საუკუნის ზეიმობის დროს პირდაპირ მიმართა ნიკოლოზ პირველს: „ხელმწიფეო! განა სირცხვილი არ არის? აქ არიან რაევსკი, დოხტუროვი, პლატოვი, და არ არის თვით ომის ღმერთი ბაგრატიონი, რომელმაც თავისი სისხლით მორწყა ეს მიწა, დღეს კი აღარც ცოცხალთა შორის იხსენიება, აღარც მკვდართა შორის"

გადმოსვენების ცერემონიაზე ქართველი და რუსი სამღვდელოება სწირავდა, ხოლო როცა ცხენებშებმული ლაფეტი მოაგორეს, საოცრება მოხდა — ხალხმა, სხვადასხვა სოფლიდან ჩამოსულმა ვეტერანმა ჯარისკაცებმა ცხენები გამოუშვეს, თვითონ შეებნენ და გშირის ნეშტი ბოროდინომდე მიიტანეს. აი, როგორ მიაგო პატივი დიდმა და უბრალო ხალხმა მხედართმთავრის კაცთმოყვარეობასა და სიკეთეს.

ოცნების ახდენის თავისებურ სიმბოლოდ იქცა საქართველოში გენერალ-ლეიტენანტ რომან ივანეს ძე ბაგრატიონის — პეტრეს ღვიძლი ძმის დაბრუნება.

იმ დროს თბილისში ორი ცნობილი ოჯახი იყო — რომან ბაგრატიონისა და ალექსანდრე ჭავჭავაძისა, სადაც ქალაქის განათლებული ადამიანები იყრიდნენ თავს და ამ შეხვედრებისას მათს მხატვრულ ქმნილებებში ხშირად ჟღერდა ამაყად პეტრე ბაგრატიონის სახელი.

მამადავითის ეკლესიაში არის საფლავის ქვაზე წარწერა: „დიდი

მხედართმთავრის პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონის ძმა — გენერალ-ლეიტენანტი რომან ივანეს ძე ბაგრატიონი".

ეს იყო დიდი მხედართმთავრისა და მამულიშვილის პირველი და ერთადერთი კვალი მის სამშობლოში.

თითქოსდა მკვდრეთით აღდგა გენერალი ბაგრატიონი, როცა საქართველოს ამ გამოჩენილი შვილის ბრინჯაოს ქანდაკება თბილისში აღიმართა, ხოლო მერმე ეკრანებზე გამოვიდა ფილმი „ბაგრატიონი".

ასე შეისხა ხორცი კეთილშობილურმა, საშვილიშვილო საქმემ, რომ ჯეროვანი პატივი მიგვეგო და მთელი თავისი სიდიადით წარმოგვედგინა გენერალი ბაგრატიონი.

პოეტმა გიორგი წერეთელმა ასე წარმოგვისახა „პეტრე ბაგრატიონის ძეგლი კრწანისში".

„ბოროტი მოსრა
კრწანისხეთის
ბოროდინოსთან,
არ დააცალა
ბოლომდე მოსელა,
შორი გზის მოვლით
ჩვენმა სისხლმა
მაგრად იომა,
ასე დაიდგა
კრწანისის ძეგლი
ბაგრატიონმა".

საქართველოს ადგილი და როლი დიდ სამამულო-ომში

როგორც ჰიტლერელთა მთელ რიგ ქვეყნებზე მუხანათურმა თავდასხმამ გვიჩვენა, ომის დასაწყისი დაზღვეული არ არის წარუმატებლობისა და დროებითი მარცხისაგან, განსაკუთრებით, ჰიტლერელი აგრესორების მსგავსი თავდასხმებისას.

1941 წლის 22 ივნისს ისტორიაში არნახული მძლავრი სატანკო და საავიაციო დარტყმებით ჰიტლერელთა მიერ „ბარბაროსას" გრანდიოზული გეგმით დაწყებული „ელვისებური ომი", გერმანელთა უმაღლესი სარდლობის ვარაუდით, ერთნახევარ-ორ თვეში მოსკოვის დაცემით და ფაშისტების ურალთან მისვლით უნდა დამთავრებულიყო.

ქართველი მეომრები სამამულო ომის 1418 დღის მანძილზე, დაწყებული იმიერ პოლარეთის გმირული მცირე მიწიდან, სადაც იცავდნენ №1 სასაზღვრო ბოძს, დამთავრებული ქლუხორის უღელტეხილამდე, მონაწილეობდნენ 54 სტრატეგიულ, 260 ფრონტულ და 1000-ზე მეტ საარმიო ოპერაციებში. თავი გამოიჩინეს ხმელეთზე, ცაში და ზღვაზე ისე, როგორც ეს შეეფერებათ დიდი, სახელოვანი საბრძოლო ტრადიციების მატარებელ მეომრებს. ისინი თავიანთი სხეულით ახშობდნენ ამბრაზურებს, შეკრული ხელყუმბარებით ქვეშ უვარდებოდნენ ტანკებს, თვითმფრინავით მიდიოდნენ ტარანზე, ცეცხლმოდებული თვითმფრინავით ანადგურებდნენ მტრის ბაზებსა და კომუნიკაციებს, საოცარ გმირობას სჩადიოდნენ წყალქვეშა ნავებსა და წყალზედა სამხედრო ხომალდებზე, ქვეითთა რიგებში, პარტიზანულ რაზმებში, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე ევროპის მრავალ ქვეყანაში. ქართველები იყვნენ ყველა დანიშნულების ავიაციისა და ფლოტის არმიების, კორპუსებისა და დივიზიების სარდლები, პოლკების მეთაურები, შესანიშნავი კომისრები. ბევრმა მათგანმა ომის დაწყებიდან ბერლინის შტურმამდე სახელოვანი საბრძოლო გზა განელო, ხოლო ეგოროვმა და ქანთარიამ რაიხსტაგზე პირველებმა აღმართეს გამარჯვების დროშა.

საქართველომ, რომელიც მაშინ 3 540 000 მცხოვრებს ითვლიდა,

ფრონტზე 700 000 მეომარი, ე. ი. მთელი მოსახლეობის 20% გაგზავნა. ეს ბევრად აღემატება მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს მიერ მთელი მოსახლეობის ოდენობასთან შედარებით არმიაში მობილიზებული ადგილების საშუალო პროცენტს, რომელიც საშუალოდ 6,5%-ს შეადგენდა. უფრო მეტიც, საქართველომ ფრონტზე ცოცხალი ძალის სახით დაკარგა 307 300 კაცი, მაშინ, როდესაც მეორე მსოფლიო ომის ყველა ფრონტებზე აშშ-ს დანაკარგი იყო 274000, ინგლისისა — 264000, საფრანგეთისა — 200000 კაცი (იხ. სქემა 15).

ამასთან, საქართველოს ძირითადი დანაკარგები მოდის 1941—43 წლების ყველაზე მძიმე ბრძოლებზე, განსაკუთრებით ძლიერ მტერთან, მაშინ როდესაც აშშ-სა და ინგლისს ჰიტლერელებთან ბრძოლა უხდებოდათ 1944—45 წლებში, როცა გერმანელები თითქმის წელში იყვნენ გატეხილნი.

აშშ-სა და ინგლისის მცირერიცხოვან ოპერაციათა ანალიზი ადვილად ხსნის მათს მცირე დანაკარგებს. თითოეული ქვეყნის მრავალრიცხოვანი არმიიდან და ფლოტიდან ჰიტლერელებთან საბრძოლო ურთიერთობაში იმყოფებოდა 700000-ზე ნაკლები კაცი. ე. ი. ქართველთა ჯარის რაოდენობაზე ნაკლები. კიდევ უფრო ნაკლებია ამ მხრივ საფრანგეთის წვლილი, რომლის მარიონეტულმა მთავრობამ ფეხქვეშ გაუგო ჰიტლერს თავისი ქვეყანა, უარი თქვა რა წინააღმდეგობაზე.


ისეთმა პატარა რესპუბლიკამ, როგორიც საქართველოა, ფაშისტურ არმიებთან ბრძოლაში იმაზე მეტი გააკეთა, ვიდრე ცალ-ცალკე აღებულმა აშშ-მა, ინგლისმა და საფრანგეთმა. დღესაც გაოცებას იწვევს, თუ როგორ შესძლო მან ასეთი სამობილიზაციო დაძაბულობისა და დიდი დანაკარგების გადატანა, ამასთან ფრონტი მოემარაგებინა სურსათით, ტანსაცმლით და ყველა სახეობის საბრძოლო ტექნიკით.

ომის დაწყებამდე, წითელი არმიის რიგებში, ძირითადად ქვეყნის დასავლეთ საზღვრებთან, საქართველოდან სამხედრო სამსახურს გადიოდა 130000 კაცი. შემდგომში მძიმე ვითარების შექმნის გამო საქართველოში საჭირო გახდა კიდევ სამი ძირითადი მობილიზაციის ჩატარება. პირველი ბრძანებულება 1905—1918 წლებში დაბადებულ სამხედროვალდებულთა მობილიზაციის შესახებ გამოცხადდა 1941 წლის 22 ივნისს. ეს მობილიზაცია, სადაც მრავალი მოხალისეც შედიოდა, ერთ კვირაში დამთავრდა. 1942 წლის 15 აპრილისათვის კი ფრონტზე გაიგზავნა 354332 კაცი.


სტრატეგიული ვითარების მკვეთრმა გაუარესებამ განსაკუთრებით ქვეყნის სამხრეთში, აუცილებელი გახადა 1942 წლის აგვისტოში




სქემა №2 ბრძოლა ჯაყეშთან ჩვენს ერამდე 1312 წ.



ძალთა შეფარდება: ხეთები 30 ათასი, 2 500 საბრძოლო ეტლი (სხვადასხვა ცნობით), ეგვიპტელები 30 ათასი.



ნახ. 1. ქართული საბრძოლო ეტლი — ყველაზე უძველესი მოდელი, გაკეთებული ძვ. წ. ა. მეორე ათასწლეულში




სქემა №2. ფილიალების ძირითადი ორგანიზაციული სტრუქტურა





ნახ. 3. ქართველი მებრძოლი ქალი, მხატვარი (სიდამონ ერისთავი)


სქემა №4. ვახტანგ გორგასლის ლაშქრობები და ბრძოლები: ჩრდილო-დასავლეთის ლაშქრობა 458-461წ.წ. და სამხრეთ-დასავლეთის ლაშქრობა პონტო-პოლისზე-464წ. ბრძოლები ად. მცხეთაზე-467წ. და ად. იორზე-502წ.
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩრდილო-დასავლეთის ლაშქრობა გორგასლის 458-461წ.წ.
ტრაპეზუნტი
პონტოს ევქსინოს ანუ სევრის ზღვა
ტრაპიზონი
ათინა
პონტო-პოლისზე
ვახტანგ გორგასლის ლაშქრობა 464 წელი
ციხე
ქალაქი
ციხე-ქალაქი
სოფელი
მდინარე
ზღვა
ტაო
ქართლი
კახეთი
ჰერეთი
ალბანეთი
კავკასიის ანუ გირკანის ზღვა
ქალაქი
ციხე
ციხე-ქალაქი
სოფელი
მდინარე
ზღვა
ტაო
ქართლი
კახეთი
ჰერეთი
ალბანეთი
კავკასიის ანუ გირკანის ზღვა


ნახ.4 თბილისი - სწრაფსვეთიული სიმაგრეების სისტემა











ნახ. 5. „რწმენისა და ძალის ერთიანობა“ — გრემის ციხე სომაგრე


სქემა №6. დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ლაშქრობები და მთავარი ბრძოლების ადგილები.
45 000 ოჯახი
200 000 კაცი
45 000 მეჯოგრე
ყივჩაღები
დავითი
სამხედრო
რეზერვები
1118 წ. ყივჩაღთა
გაღასახლება საქართველოდან
თრიალეთი
1100წ
100000
1500
1118წ.
1121წ.
1122წ.
თბილისი
1115წ.
ხუნანი
ბოლნისი
1116წ.
1123წ.
ვაჩანი
1118წ.
1117წ.
1124წ
დვინი
1123წ.
შამშადინი
1123წ.
1123წ.
ანი
1202წ.
1204წ.
1193წ.
1123წ.
1120წ.
1209-1210წ.
ჭაბანი
1123წ.
ხუნანის
ბრძოლა
1123წ.
ბაკურიანი
1123წ.
ბაკურიანი
1123წ.
ბაკურიანი



55.000




სქემა №9. ბასიანის ბრძოლა 1204წ.
მდ. ბასიანი
მდ. არაქსი
ბიზანტიელთა ბანაკი
ალექსის ბანაკი
ალექსის ჯარი - 400.000
90.000
დავით სოსლანი



სქემა №10. გიორგი სააკაძის ბრძოლა ტაშისკართან 1609წ.
სურამი
არაგვის ერისთავი
ხაშური
მდ. მტკვარი
ფარხან ფაშას ჯარი
ჯარის შეკავების ადგილი
ტაშისკარი
გიორგი სააკაძე
ქვნის ერისთავი
ქართველთა ჯარი 10 000
თურქთა ჯარი 60 000


სქემა №11. მარაბდის ბრძოლა 1625 წ. 1 ივლისს.
ქოვრინი
ბასიანელი
არტილერია არ მასწრებდა მოვიდეს, ამიტომ იგი დარჩა
12 ათასი მოქი და არტილერია
I ხაზის 4-5 ათასიანი
II ხაზის 2 ათასიანი
50 ათასიანი ქართ. დანაკარგი 14 ათასიანი ქართ.
20 ათასი ქართ. დანაკარგი 9 ათასი ქართ.
თბილისელები
მდ. ქციის
შავ-გელღნე ხანის ჩასაფრება წინააღმდეგ
მარაბდის ველი
ისა-ხან ყორჩიბაში
ჩეზერები
ბანაკი
ალგეთი
საბაზო საბრძოლო წყობა
საშუალო იარაღის მასობრივ გამოყენებად სწორ და ღია ადგილებისათვის მოითხოვება.
მდ. ალგეთი


სქემა №12. პრწყანისის ბრძოლა. 1795წ. 11 სექტემბერი
თბილისი
4.000
ერეკლე II
ტაბახმელა
საწყისი მდგომარეობა
თბილისელი პოხიერიელები
300 არაგველი
მდგომარეობა შუადღისას
შავნაბადა
ალა-მაჰმად-ხანი
70.000




სქემა №13 გერმანელ ფაშისტთა სარდლობის კავკასიის დაპყრობის გეგმა


სქემა №14 46-ე არმიის
ჯარების მდგომარეობა
ყავკასიონის ძედის
ცენტრში
(1942 წლის 15 აგვისტოსათვის)
ბელორეჩენსკის უღ.
4 საათი
ქუბანი
ლაბა
ზელენჩუკი
ყუბანი
ძლებოსი
ოწალიკი
თერგი
ოსეთია
ორჯონიკიძე
276 მ
ყაზბეგი
ჯვ 351 მ
ჯვ 1523
394 მ
323
463
ჯვ 63 მ
ჯვ 1581
ჯვ 1583
ჯვ 1584
ჯვ 1585
ჯვ 1586
ჯვ 1587
ჯვ 1588
ჯვ 1589
ჯვ 1590
ჯვ 1591
ჯვ 1592
ჯვ 1593
ჯვ 1594
ჯვ 1595
ჯვ 1596
ჯვ 1597
ჯვ 1598
ჯვ 1599
ჯვ 1600
ჯვ 1601
ჯვ 1602
ჯვ



ნახ. 6. კიდევაც დაიზრდებიან



სქემა №15 ფაშისტური ბერძნული ნაციონალ-სოციალისტური პარტიის დაარსების ორგანიზაცია.

ახალგაზრდობის —1924 წელს დაბადებულთა და უფროსი თაობის სამხედრო ვალდებულთა 162920 კაციანი მეორე დიდი მობილიზაცია.

მოწინააღმდეგემ გადაჭრა ძირითადი კომუნიკაციები და შეუძლებელი გახდა ახალი შევსების მიღება. მობილიზაციის მთელი სიმძიმე ამიერკავკასიის რესპუბლიკებს დააწვა. საქართველოში სასწრაფოდ იქმნება სამთომსროლელთა და მსროლელთა რამდენიმე დივიზია, მოქმედი არმიის სამარშო შევსებისათვის კი ორი სარეზერვო შენაერთი.

იმ დროს, როდესაც საქართველოს სამობილიზაციო შესაძლებლობანი ამოიწურა, მოწინააღმდეგე ძირითადი ძალებითა და რჩეული სამთომსროლელი კორპუსით რესპუბლიკის საზღვრებს მოადგა, ხოლო 1942 წლის აგვისტოს მეორე ნახევარში სანჭაროს უღელტეხილის მხრიდან შემოიჭრა და დაიკავა სოფელი ფსხუ.

ძალზე დიდი ძალები იყო საჭირო იმისათვის, რომ ჰიტლერელთა ფართო ფრონტი შეგვეკავებინა. ამასთან, თურქეთმა, რომელიც სტალინგრადის დაცემას ელოდა, რათა თავს დასხმოდნენ ჩვენს ქვეყანას, საქართველოს საზღვრებთან თავი მოუყარა მილიონიან არმიას 26 დივიზიის შემადგენლობით. თურქთა და გერმანელთა სამხედრო ნაწილებს ერთმანეთისაგან მხოლოდ 190 კილომეტრი აშორებდათ.

აქ გამოგვადგა დიდი გამოცდილება, რაც ომის დასაწყისში ყველა მოქალაქის თავდაცვისათვის მოსამზადებლად გატარებულმა ღონისძიებებმა შეგვძინა. მასში მონაწილეობდა ყველა, ვისაც იარაღის ხელში დაჭერა შეეძლო —16 წლის ჭაბუკებიდან 60 წლის გასაწვევი კონტინგენტის ჩათვლით. ეს იყო არმიის რეზერვი, რომელიც საყოველთაო სამხედრო სწავლებას გადიოდა (Всевобуч) სპეციალურად შექმნილი სისტემისამებრ. ამ სისტემამ 1942 წლის ზაფხულისათვის მოამზადა 77969 მებრძოლი, რომელთაც შეეძლოთ ტყვიამფრქვევის, ნაღმსატყორცნისა და ყველა სახეობის სასროლი იარაღის გამოყენება.

ამას გარდა, მტრის პარაშუტისტ დივერსანტებისა და ჯაშუშების წინააღმდეგ საბრძოლველად 1941 წლის 24 ივნისს ა/კ ფრონტის ბრძანებით შეიქმნა სპეციალური ბატალიონები 200—250 კაცის შემადგენლობით იმ პირთაგან, რომლებიც არმიაში არ იქნენ გაწვეულნი. ეს აუცილებელი გახდა მოწინააღმდეგის საქართველოს საზღვართან მოახლოებისა და გადმოსროლილი ჯაშუშებისა და დივერსანტთა ჯგუფების რიცხვის გაზრდის გამო. 4130 კაცისაგან შემდგარი 17 გამანადგურებელი ბატალიონი ყაზარმულ რეჟიმზე გადაიყვანეს და ფაქტიურად მოქმედ არმიას დაუქვემდებარეს. მოსახლეობის პატრიოტული ინიციატივით იქმნებოდა სახალხო ლაშქრის ნაწილების ფორმირება, რომე-

ლიც ასევე მთლიანად მოქმედ არმიაში შედიოდა.

1942 წლის დასაწყისში შეუდგნენ ქართული დივიზიების ჩამოყალიბებას. თებერვალში შეიქმნა 406-ე და 392-ე დივიზიები, ხოლო, შემდეგ 414-ე დივიზია.

ამასთან საგანგებოდ შეიქმნა 12 ალპინისტური რაზმი, თითოეული 295 კაცის შემადგენლობით, რომელთა ნაწილიც ფაშისტთა რეგულარული სამთო-მსროლელი კორპუსის ეგერებისა და ალპინისტების წინააღმდეგ საბრძოლველად გაგზავნეს.

არარეგულარული, სხვადასხვა ასაკის, სამხედრო საქმეში გამოცდილი ადამიანებისაგან სასწრაფოდ იქმნებოდა ჯგუფები, რომელთაგან ჩამოყალიბდა ქართული ეროვნული და შერეული რეგულარული დივიზიები, სხვადასხვა ნაწილები და რაზმები. ახალშექმნილი ფორმირებები ავსებდნენ კავკასიის მთებში ფრონტის გაშიშვლებულ უბნებს. ისინი დამატებით ებმებოდნენ მოწინააღმდეგის რეგულარული ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში. საქართველოს ტერიტორიაზე კავკასიონის ქედის მაღალმთიანი უღელტეხილის დაცვა უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკმა დაავალა ამიერკავკასიის ფრონტის 46-ე არმიას, რომელსაც გენერალ-ლეიტენანტი კონსტანტინე ლესელიძე სარდლობდა.

46-ე არმიას ძალზე მცირე ძალები ჰყავდა, თანაც თავდაცვის ვრცელი ფრონტი ეკავა, რომელიც ნახევარწრიულად განლაგებულ, სამ დამოუკიდებელ ოპერატიულ მიმართულებას მოიცავდა — თურქეთის სასაზღვრო ზოლის პირისპირ მდგარ, შავიზღვისპირა და სუსტად დაცულ, თითქმის 500 კილომეტრიანი სიგრძის ფრონტს კავკასიონის მთავარი ქედის გასწვრივ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოპერაციის დაწყების წინ ამ არმიიდან სხვაგან გადაისროლეს მასში შემავალი 389-ე და 392-ე მსროლელი დივიზიები. საჭირო გახდა ახალი დივიზიების ჩამოყალიბება, იმ შენაერთების შევსება, რომლებმაც დიდი ზარალი განიცადეს (მაგალითად, საბრძოლო მწყობრიდან გამოსული 242-ე დივიზია). ამასთან დაკავშირებით კახეთში ჩამოყალიბდა 394-ე მსროლელი დივიზია, რომლის შემადგენლობაში 7253 მებრძოლი და მეთაური უკლებლივ ყველა ქართველი იყო. დივიზია დაუყოვნებლივ გადაიყვანეს შავი ზღვის სანაპიროზე. შემდეგ კი მათი მებრძოლები ჩაებნენ უღელტეხილების დაცვისათვის ბრძოლებში.

შემდგომში კიდევ შეიქმნა ორი ქართული დივიზია, 296-ე და 349-ე, რომლებიც თურქეთის საზღვრებისაკენ გადაიყვანეს. ომის მსვლელობისას ახლადშექმნილი შენაერთები მათ შორის სხვადასხვა სახის, ნა-

ხევრად სამოქალაქო ფორმირებიანი, თანდათან იძენდნენ, განამტკიცებდნენ საბრძოლო ფორმას, უმჯობესდებოდა საომარ მოქმედებათა მსვლელობის ხელმძღვანელობა, მაღლდებოდა ჯარის ორგანიზებულობა, ფართოდ იშლებოდა ფრონტი, რეგულირდებოდა ეშელონირება, სულ უფრო ორგანიზებული და მოქნილი ხდებოდა ზურგის მუშაობა. ამრიგად, საქართველომ შესძლო უმაღლესი მთაეარსარდლობის ბანაკისა და ამიერკავკასიის ფრონტის სარდლობის მორიგი მესამე მოთხოვნის შესრულება ხალხის მობილიზაციის თაობაზე. მან ძალთა გაუგონარი დაძაბვით შექმნა სახმელეთო და საზღვაო ბრძოლების ახალი ფრონტი. ამიტომაცაა ესოდენ უზარმაზარ ციფრებში გამოხატული საქართველოს მიერ გაღებული წვლილი სამამულო ომში, მის მიერ გაღებული მსხვერპლი, ამიტომ აოცებს ყველას მის მიერ მიღებული ორდენებისა და მედლების რიცხვი.

პერსონალურად ომის გმირებისა და სარდლების გამოყოფა, ალბათ, საჭიროა ხალხისათვის, ამაზე მეტყველებს მთელი ომების ისტორია, მაგრამ რაც უფრო მასობრივი ხდებოდნენ არმიები და იზრდებოდა ცეცხლის ძლიერება მიწაზე, ზღვაზე და ჰაერში. მით უფრო ძნელდებოდა ერთეულთა გმირობის გამორჩევა თავდადებული მილიონებისაგან.

თითოეულ მათგანს თავისებურად შეჰქონდა თავისი წვლილი მთელი წითელი არმიისა და ხალხის სამხედრო ხელოვნების ისტორიაში, ვის დიდი და ვის სულ მცირე, მაგრამ შეჰქონდა და მათი ნაწილაკებისგან ჩაეყარა საფუძველი ისტორიაში ყველაზე დიდ სამხედრო-პოლიტიკურ გამარჯვებას.

ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიის გმირულ დაცვას მთელი სამამულო ომის დიდ ეპოპეაში, სადაც ქართველმა ხალხმა მართლაც განსაცვიფრებელი პატრიოტული თავდადება და გმირობა გამოიჩინა. მაგრამ, რასაკვირველია, ფაშისტურ გერმანიაზე ისტორიული გამარჯვების საერთო საქმეში ქართველი ხალხის დამსახურება ვერავითარ შემთხვევაში ვერ განისაზღვრება მარტოოდენ კავკასიისათვის ბრძოლით. ეს საკითხი უნდა განვიხილოთ მთელი ფრონტებისა და ფლოტების მოქმედების, მთელი ომის მსვლელობისას განხორციელებული სამხედრო ოპერაციებისა და პარტიზანული ბრძოლების მასშტაბებით, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის საზღვრებს გარეთაც. გარდა კავკასიისა, სხვა ფრონტებზეც არანაკლებ გამოიჩინეს თავი ქართველმა გენერლებმა, ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა. რაც შეეხება საქართველოში განხორციელებულ თავდაცვითს მოქმედებებს, რომელიც კავკასიის დაცვის განუყოფელ ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა, ისინი

სტალინგრადის ბრძოლების პარალელურად მიმდინარეობდა. თავდაპირველად გერმანელთა მთავარი დარტყმის მიმართულება ბაქოსკენ იყო მიმართული, შემდეგ კი თბილისისკენ. სტალინგრადის დამხმარე მიმართულებით ვითარების გართულებამ მტერი იძულებული გახადა, კავკასიიდან ოცდათერთმეტი საუკეთესოდ შეიარაღებული დივიზია სტალინგრადის მიმართულებით გადაესროლა და ამით იგი მთავარი დარტყმის მიმართულებად ექცია. (იხ. სქემა №13).

ეს კავკასიაზე შეტევის გერმანელთა გრანდიოზული გეგმის მარცხი იყო, რამაც კავკასიის მთებისა და მთისწინეთის დაცვა საგრძნობლად შეამსუბუქა.

„ბარბაროსას“ გეგმის ჩაშლა და კავკასიასთან ბრძოლებში წარუმატებლობა ურთიერთდაკავშირებულ მთავარ საწყის მოვლენას წარმოადგენდა ჩვენი მთავარსარდლობის სტრატეგიაში, მას საფუძვლად ედო გამარჯვებისათვის ბრძოლის უმნიშვნელოვანესი პრინციპი — „მტრის გეგმების ჩაშლა“, რაზედაც თავისი აზრი ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნეში გამოთქვა სუნ-ძიმ.

უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკმა მოწინააღმდეგეს თავს მოახვია გეგმები, შექმნა მჭიდრო თავდაცვითი დაჯგუფება სტალინგრადის კედლებთან და სუსტი ფლანგები რუმინელთა არმიას შეატოვა. ჩანაფიქრის უმთავრესი მიზანი — მოწინააღმდეგის სტრატეგიული გეგმის სრული ჩაშლა და იმავდროულად მტრისათვის ალყის შემორტყმის განხორციელება იყო, რაც თავისი უზარმაზარი მასშტაბით მანამდე ბადალი არ მოეპოვებოდა მსოფლიო ომების ისტორიაში. ოპერაციის ჩანაფიქრს სრული წარმატების უზრუნველსაყოფად და მისი შემთხვევით გაყოვნის თავიდან აცილების მიზნით მკაცრად მალავდნენ.

სტალინგრადისა და კავკასიის მიმართულებით წარმოებული მთავარი ბრძოლები შემდეგ ვითარებაში მიმდინარეობდა:

საქართველოში გერმანელთა ჯარების დიდი კავკასიონის მაღალმთიანი ადგილებიდან შემოჭრა სრულიად მოულოდნელ და გაუთვალისწინებელ მოვლენას წარმოადგენდა. ეს ჯარები აღჭურვილნი იყვნენ სამთო ომისთვის სპეციალური იარაღით, განსაკუთრებული გამავლობის ტანკებით, მოწყობილობით, სამთო ტექნიკით, გადასატანი საბაგირო გზებით. კარგად იყო მოშზადებული მათი 1-ლი და მე-4 სამთო მსროლელი ალპინისტ ეგერთა დივიზიები. პირველი მათგანი „ედელვაისის“ სახელწოდებით, მთლიანად ალპინისტებისაგან შედგებოდა და ფიურერის რჩეულ შენაერთს წარმოადგენდა. ეს ორი დივიზია 101-ე და 91-ე მსუბუქ ქვეით დივიზიასთან და ორ რუმინულ სამთო მსროლელ

დივიზიასთან გაერთიანდა 49-ე სამთო მსროლელ კორპუსში, სამთო ომის სპეციალისტ გენერალ კონრადის სარდლობით. აგენტურის მიერ წინასწარ დაზვერილი და დაზუსტებული ბილიკებითა და დეტალურად დამუშავებული რუკებით გერმანელთა 49-ე კორპუსი ფართო ფრონტით დაიძრა საქართველოს უღელტეხილისაკენ: უახლოეს ამოცანას წარმოადგენდა ზღვისპირეთისა და საქართველოს სამხედრო გზის ზურგში — სოხუმისა და ქუთაისისაკენ გაჭრა, რათა გზა გაეხსნა მთავარი ძალებისათვის, თურქთა მილიონიან დაჯგუფებასთან ერთად თბილისზე შეტევისათვის. ამ გეგმაში საქართველო ჰიტლერელებისა და თურქეთის მთავარ ძალებს შუა უროსა და გრდემლის მსგავსად მოექცა. თურქეთს იმჟამად ფაშისტური გერმანია აქეზებდა საქართველოს წინააღმდეგ გამოსულიყო და ამრიგად, სამხრეთ-დასავლეთი საქართველო საბჭოთა კავშირის საზღვართა შორის ერთ-ერთი ყველაზე რთული მონაკვეთი ხდებოდა.

საქართველოს საზღვრებთან მოქმედი ფრონტის სულ უფრო მოახლოების გამო ამიერკავკასიის ფრონტისა, და კერძოდ, 46-ე არმიის წინაშე ისახებოდა და ზუსტდებოდა ამოცანები. მიმდინარეობდა თავდაცვითი ზღუდეებისა და ობიექტების მშენებლობა. ზღვისპირა დესანტსაწინააღმდეგო პოზიციებმა ფრონტის გასწვრივ 400 კმ, სიღრმით კი 30 კმ შეადგინა, საზღვრისპირა მიჯნამ შესაბამისად —200 და 20კმ. შემდგომში მტრისთვის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა მთავარი კავკასიონის ქედის უღელტეხილთა სიმაგრეები, სადაც ააგეს 11 საპოლკო დაცვის რაიონები, მამისონის უღელტეხილზე კი თავდაცვის რაიონი დივიზიისათვის, ფრონტის გასწვრივ 170 კმ და 20 კმ სიღრმის საერთო განფენილობით. საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ აიგო 1000 დოტი და ძოტი. საქართველოს საწარმოებმა დაამზადეს და ჯარებს მიაწოდეს 100000 ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი და 25000 სახმელეთო ჯარსაწინააღმდეგო ნაღმი.

უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის მიერ ჯერ კიდევ 1942 წლის ივნისში შეფასდა ამიერკავკასიის ფრონტისა და 46-ე არმიის მდგომარეობა, დაზუსტდა მათ მიერ უღელტეხილებისა და ქუთაისსა და შავი ზღვის სანაპიროზე გამავალი სოხუმის სამხედრო გზების და საქართველოს სამხედრო გზის დაცვის ამოცანები.

ბრძოლების პირველმა შედეგებმა დაგვანახა 46-ე არმიის მცირე ქვედანაყოფების მთებში თავდაცვითი სუსტი, ზერელე მომზადება. ისინი გაფანტულნი იყვნენ უფრო სავალ უღელტეხილებზე და საინჟინრო ნაგებობათა მომზადებითა და შენიღბვით კი არ ეწეოდნენ მტრის წი-

ნააღმდეგ ბრძოლას, არამედ თავდაცვითს სამეთაურო პუნქტებსა და კავშირგაბმულობის ხაზს შორის შეუთანხმებელი საცეცხლე სისტემით კმაყოფილდებოდნენ. არადამაკმაყოფილებელი იყო საომარი მასალით, სურსათითა და ტანსაცმლით მომარაგება. 394-ე დივიზიის 815-ე მსროლელი პოლკის ქვეგანაყოფების მიერ 1942 წლის 15 აგვისტოს ჩატარებული ბრძოლის შესახებ არმიის სარდლობას მხოლოდ 17 აგვისტოს მოხსენდა, მაგრამ, რეგულარული არმიის ნაწილებმა ადგილობრივი, ნახევრად სამხედრო რაზმების მეშვეობით და ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამოყენებით შესძლეს პირველი დარტყმების შეკავება და 46-ე არმიის სარდლობას მტრის მოსაგერიებლად ყველა საჭირო ძალების გადმოსროლის საშუალება მიეცა (იხ. სქ. №14).

20 აგვისტოს უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკმა თითოეული ბილიკის, მთის გადასასვლელისა და უღელტეხილის გადაჭრით დაცვა მოითხოვა და თუ ისინი საინჟინრო თვალსაზრისით მოუმზადებელი, ჯარის მიერ დაუკავებელი აღმოჩნდებოდა, ან ჯარს არ შეეძლო მათი შენარჩუნება, უნდა აეფეთქებინათ და ამით მოწინააღმდეგის წინსვლა შეეჩერებინათ.

აგვისტოს განმავლობაში მოწინააღმდეგემ მაქსიმალურად წაიწია წინ სანჭაროს უღელტეხილიდან, სადაც ერთადერთი სოფლის ფსხუს დაკავება შეძლო და 25 კმ-ზე მიუახლოვდა გუდაუთას. დაიკავა ქლუხორის, სანჭაროს, აძაგიშისა და ჩიმახარას უღელტეხილები. შემდგომში მოწინააღმდეგე უდიდესი დანაკარგების ფასად ყოველსაირად ცდილობდა ჩვენი დაცვის სიღრმისაკენ გაჭრას, მკვეთრად გაიზარდა ფაშისტების ავიაციის დარტყმები, სხვა ადგილებიდან და სიღრმიდან გადმოისროლეს ეგერთა ბატალიონები, არტილერია და საზენიტო ქვეგანაყოფები, მაგრამ ფრონტი მაინც მკაცრად სტაბილიზებული და მჭიდრო გახდა ზუსტად შეკავშირებული, ურთიერთმოქმედების ზუსტი საცეცხლე და ტაქტიკური სისტემით და ყველა რგოლში გონივრული მართვით. მე-20 და 242-ე სამთომსროლელი, 351-ე და 394-ე მსროლელი დივიზიები, 51-ე მსროლელი ბრიგადა, ალპინისტთა სპეციალური სამთო მსროლელი ქვედანაყოფები, სხვადასხვა დანიშნულების სახალხო მოლაშქრეთა ჯგუფების დაახლოებით 30 გამანადგურებელი რაზმი თავგანწირვით გადაეღობნენ მტერს და გაბედული დარტყმებითა და კონტრშეტევებით ანადგურებდნენ...

სოხუმიდან, ზუგდიდიდან — დივიზიების საწყობებიდან თანდათანობით მოწესრიგდა ჯარების მომარაგება საბრძოლო მასალით, სურსათით და ტექნიკით პირდაპირ საბრძოლო პოზიციებზე, რაც, ხორციელ-

დებოდა სპეციალური საარმიო და საჯარისო სასაპალნე ასეულებით, მათ ჰყავდათ 100-მდე ვირი. აფხაზეთმა გაგზავნა პირუტყვის 3500 მარეკი, 3000 ცხენი და 4000 ვირი. უმთავრესად მათ მოჰქონდათ ჯარებში ჭურვები და ნაღმები, ხელყუმბარები, ტანკსაწინააღმდეგო თოფის ვაზნები, შაშხანის ვაზნები, სხვადასხვა დანიშნულების საგნები. სოხუმის რაიონის კოლმეურნეებმა საკუთარი ზურგით აუზიდეს სურსათი უღელტეხილზე მყოფ ჯარებს. 394-ე დივიზიაში საბრძოლო მასალა თვითმფრინავ „უ-2"-ით გადაჰქონდათ. სვანეთის მთებში კოლმეურნეებმა 242-ე ქართული დივიზიის მთელი აღჭურვილობა 5000 ურმით გადაიტანეს.

სოფელ ფსხუს მიმდებარე ტერიტორიაზე მომზადდა და ჩატარდა ჰიტლერელ სამთო ეგერთა გარშემორტყმის მეტად საინტერესო ოპერაცია, ათდღიან გააფთრებულ ბრძოლაში მტრის სამთომსროლელი პოლკი მთლიანად განადგურდა და ტყვედ წამოიყვანეს 500 ფაშისტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

46-ე არმიის შემდგომი შეტევითი მსვლელობით მოწინააღმდეგე უღელტეხილთა ჩრდილოეთ ფერდობებზე უკუაქციეს და მთათა სხვადასხვა სისტემებში ერთმანეთისგან დაქსაქსული და გათიშული იქნა მათი მართვა და მომარაგება, რამაც ყინვების დადგომისა და სტალინგრადის მიმართულებით საერთო ვითარების გამწვავების გამო ფაშისტების მდგომარეობა კატასტროფული გახდა.

ფაშისტების ქებული ალპინისტთა ქვედანაყოფები უკუაქციეს იალბუზის მიმართულებიდანაც და ჩვენმა ალპინისტებმა, რომელთა შორის ცნობილი ქართველი მთამსვლელებიც იყვნენ, მთის მწვერვალზე წითელი ალამი ააფრიალეს.

დიდი კავკასიონის მწვერვალებზე მრავალმა სხვადასხვა ეროვნების ოფიცერმა და ჯარისკაცმა უჭკნობი დიდებით შემოსა სამშობლოს სახელი. ბრძოლებში თავი გამოიჩინა მრავალმა ქართველმა კადრის სამხედრო მოსამსახურემ და მთელმა ხალხმა.

კაპიტან ბუხაიძისა და სხვათა გმირობა უკვდავ ლეგენდად იქცა, მაგრამ აქ უნდა მოვიხსენიოთ ისინიც, რომელთა სახელები უცნობია მთიელ ვაჟკაცთა თავმდაბლობის გამო. ფაშისტთა ტყვიამფრქვევის ორი საცეცხლე წერტი, მიუდგომელი კლდიდან ულმობლად ცელავდა ჩვენს მეომრებს. გერმანელი ალპინისტების განადგურების ყოველი ცდა უშედეგოდ მთავრდებოდა. მეთაურთან გამოცხადდა ხნიერი სვანი, საფიქრებელია, ადგილობრივი მონადირე და ორივე წერტის მოსპობა ითავა. მას ყველანაირი იარაღი შესთავაზეს. მან შაშხანა და მხოლოდ

სამი ვაზნა აიღო. ყველა განაცვიფრა სვანის ასეთმა საქციელმა, რაზეც მან მოკლედ უპასუხა: „ერთ ვაზნას ანდეზე გავისვრი, რათა დავინახო, სად არიან ისინი. თითო ვაზნა კი თითო ფაშისტს ეყოფაო!..“ ასეც მოხდა. ვიწრო ხეობაში ერთმანეთის მიყოლებით სამი გასროლა გაისმა და მტერზე შეტევისათვის გზაც გაიხსნა. სვანის სახელი უცნობი დარჩა. არსებობდნენ ცალკეული მებრძოლები და შეამხანაგებული მეგობრები, რომლებიც ფაშისტ ალპინისტებზე ნადირობდნენ და მოკლული მტრის რაოდენობის აღსანიშნავად ძველებურ თოფსა, თუ შაშხანაზე უბრალო აღნიშვნებს აკეთებდნენ. მტრის სიძულვილი გაუგონარ საბრძოლო ძალად იქცეოდა. მტრისადმი სიძულვილი, შერწყმული პატრიოტიზმის მაღალ გრძნობასთან აორმაგებდა მებრძოლის ძალას. ასეთები კი ასეულ ათასობით იყვნენ ფრონტსა თუ მტრის ზურგში.

§

1941 წელი იყო მთავარი საწყისი ეტაპი ჩვენი გამარჯვებისა, მთელი მეორე მსოფლიო ომის ისტორიაში მხოლოდ წითელმა არმიამ შეძლო ჰიტლერელთა ძლევამოსილი წინსვლის შეჩერება. თავის მძიმე უკანდახევით ბრძოლებში მოქანცა, შემდეგ კი კლასიკური კონტრშეტევით უკუაგდო მოსკოვთან მათი დამრტყმელი დაჯგუფებანი და აიძულა ჰიტლერი 8 დეკემბერს ხელი მოეწერა დირექტივისათვის მთელი აღმოსავლეთის ფრონტზე სტრატეგიულ თავდაცვაზე გადასვლის შესახებ და ჩვენს უმაღლეს მთავარსარდლობას საშუალება მიეცა განეხორციელებინა გამარჯვების მთავარ ფაქტორთაგან პირველი: ჩაეშალა მტრის გენერალური გეგმები.

1941 წლის 29 ნოემბერს გერმანიის შეიარაღებისა და საბრძოლო მასალების მინისტრმა ფ. ტოდტმა, რომელიც ფაქტიურად მთელი ოკუპირებული ევროპის ეკონომიკას მართავდა, ჰიტლერს საბჭოთა კავშირთან ომის შეწყვეტა შესთავაზა, რადგან „სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით, ომი გერმანიის მიერ წაგებული იყო“.

განრისხებულმა ჰიტლერმა ტოდტი აშკარად ვერ დასაჯა სიკვდილით და საავიაციო კატასტროფა მოუწყო.

არაერთი მაღალი წოდების ფაშისტი გერმანელი ამ დროისათვის ჰიტლერს ჯარების მდინარე დნეპრის გადმოლმა უკან დახევას ურჩევდა, რუდშტედტი და ლეები კი პოლონეთისაკენ უკანდახევის მომხრენი იყვნენ. ისტორიაში ძნელად თუ მოიძებნება საყოველთაო ტრიუმფიდან პანიკაზე ასეთი გადასვლის მაგალითი.

თანამდებობიდან გადააყენეს არმიათა ჯგუფების ყველა მხედართმთავრები, არმიის, კორპუსებისა და დივიზიების სარდლები, თადარიგში დაითხოვეს სახმელეთო ჯარების სარდალი, ფელდმარშალი ბრაუხიჩი და ადრე გამარჯვებულთა დაფნის გვირგვინებით შემკობილი სატანკო ჯგუფების სარდლები გენერლები გუდერიანი და ჰეპნერი. მარტო მოსკოვთან ბრძოლის დროს გერმანელთა სამხედრო-საველე სასამართლოების მიერ ბრძოლაში მერყეობის გამოჩენისათვის დასჯეს 62 ათასზე მეტი ჯარისკაცი, უნტერ-ოფიცერი და ოფიცერი. აღსანიშნავია, რომ ფრონტის გასამაგრებლად, დამნაშავე ჯარისკაცებისა და ოფიცრებისაგან ჰიტლერელებმა შექმნეს საჯარიმო ასეულთა სისტემა, არასაიმედო დივიზიების უკან კი დააყენეს გადამლობი რაზმები, რომლებიც ადგილზე ხვრეტდნენ ყველას, ვინც ბრძოლაში გაუბედაობას გამოიჩენდა.

უფრო ადრე 1941 წლის 18 აგვისტოს, საბჭოთა სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების გაანგარიშებაში შეცდომის დაშვებისა და არასწორი შეფასებისათვის, ხალხის წინაშე თავის მართლების მიზნით, ჰიტლერმა დემონსტრაციულად დაახვრეტინა სამხედრო ატაშე მოსკოვში გენერალი კასტრინგი და ეს ამბავი პრესაში საგანგებოდ გამოაქვეყნებინა, მას ბრალად ედებოდა ვითომდა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მდგომარეობის არასწორი ინფორმაციის მიწოდება.

დიდმა სამამულო ომმა დაბეჯითებით დაამტკიცა, რომ ომის პოლიტიკური მიზნები, მისი პოლიტიკური ხასიათი გადამწყვეტად განსაზღვრავენ მისი წარმართვის ხერხებსა და საბოლოოდ მის შედეგსაც.

მსოფლიო ბატონობის ხელში ჩაგდების მიზნით ფაშისტურმა გერმანიამ თავის დოქტრინას საფუძვლად ტოტალური ომის, ადამიანის მიერ ადამიანის სიძულვილის თეორია დაუდო. ამასთან ერთად ომის უსამართლო პოლიტიკური მიზნები ფაშისტებმა ვანდალიზმის აპოგეამდე აიყვანეს. მათ, კაცობრიობის ისტორიაში პირველებმა, ხელმძღვანელობდნენ რა რასისტული და ნაცისტური მოტივებით, ომი მთელი ხალხების ორგანიზებული განადგურებისა და სამოქალაქო მოსახლეობის მასობრივი გაჟლეტის ორბიტაზე გადაიტანეს.

ფაშისტებმა დიდძალი სამოქალაქო მოსახლეობა გაჟლიტეს ოკუპირებულ ყველა ქვეყანაში, მაგრამ განსაკუთრებით იუგოსლავიაში, პოლონეთსა და საბჭოთა კავშირში. აქ ომში დაღუპულ 20 მილიონი ადამიანიდან 11 მილიონზე მეტი სამოქალაქო მოსახლეობა იყო.

ფაშიზმის მხეცურ პოლიტიკას დაუპირისპირდა საერთო სახალხო ომი. რომელიც შეუერთდა ევროპისა და ამერიკის ხალხების ბრძოლას

თავიანთი დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და თავისუფლებისათვის.

ამ სამართლიანმა განმათავისუფლებელმა პოლიტიკურმა მიზანმა წინასწარ კანონზომიერად განსაზღვრა მომავალი პოლიტიკური გამარჯვება: „ჩვენი საქმე სამართლიანია, მტერი დამარცხებული იქნება, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება".

რთული სტრატეგიული მიზნის მისაღწევად პოლიტიკური ფაქტორის გამოყენების ნათელი მაგალითია ბრძოლა სტალინგრადის მისადგომებთან. უმაღლესი მთავარსარდლობის ჩანაფიქრის პოლიტიკური მიზანი არა მარტო ჰიტლერული არმიის განადგურება იყო, არამედ ფაშისტური გერმანიის კოალიციური სტრატეგიის ჩაფუშვაც, ჯერ ალყაში მოქცევა გერმანელ ფაშისტთა ჯარებისა, მისგან სატელიტების მოწყვეტა, მერმე კი სტალინგრადის მიმართულებით მოქმედი რუმინეთის, იტალიის და უნგრეთის ჯარების თანამიმდევრული განადგურება, ეს მიზანი მიღწეული იქნა. სტალინგრადის შემდეგ: კურსკთან სატელიტთა ჯარები უკვე აღარ მონაწილეობდნენ.

გერმანელ-ფაშისტთა ჯარების სტალინგრადთან განადგურებით მიღწეულ იქნა თურქეთისა და იაპონიის საბოლოო იზოლაცია, რომლებიც სტალინგრადის დაცემის შემთხვევაში თავიანთი ჯარებით შემოჭრას აპირებდნენ ჩვენს ტერიტორიაზე.

1942 წლის ზაფხულში საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის სამხრეთის ფლანგზე შეტევით ჰიტლერელთა ხელმძღვანელობა იმედოვნებდა ამიერკავკასიის დაპყრობას, მაგრამ ვარაუდში მოტყუვდნენ.

ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ჩამოყალიბდა 80 ეროვნული დივიზია, რომლებიც შეუერთდნენ წითელ არმიას და გმირულად იბრძოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ. ამით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ფაშისტურ გერმანიაზე პოლიტიკურ და სამხედრო გამარჯვებისათვის

კლასიკური სამხედრო-პოლიტიკური ოპერაციის აპოგეა იყო ბერლინთან ბრძოლა, სადაც გადაიხლართა ჰიტლერელ ხელმძღვანელთა და ანგლო-საქსების დიდი პოლიტიკური მაქინაციები, რათა ომისშემდგომ პერიოდში, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, გადაერჩინათ ფაშისტური სახელმწიფოს სათავეში მდგომნი. ამიტომაც აჩქარებდა ჩვენი სარდლობა მოწინააღმდეგის გარშემორტყმას და სრულ განადგურებას. მთავარ პოლიტიკურ ამოცანად დგებოდა, თვით „მხეცის ბუნაგშივე" გაენადგურებინათ ყველა ჰიტლერელი მოთავე, არ მიეცათ მათთვის გაფანტვის საშუალება, რათა კვლავ შეექმნათ ფაშისტური სახელმწიფო აპარატი. ცნობილი გახდა, რომ გერინგი, რომელმაც 20 აპრილს

გასცა ჰიტლერი, ბერხტესჰადენში წავიდა და ცდილობდა იქ თავი ფიურერად გამოეცხადებინა. ასეთივე განზრახვით მოქმედებდნენ ლიუბეკში ჰიმლერი და რიბენტროპი 24 აპრილს, ხოლო გროსადმირალი დენიცი, რომელიც ჰიტლერმა რაიხის მმართველად გამოაცხადა, კაიტელთან, იოდლთან და უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბთან ერთად 22 აპრილს შეუდგა ფაშისტური მთავრობის ჩამოყალიბებას.

სტალინმა უშუალოდ განსაზღვრა არა მარტო ჰიტლერელთა ზედაფენის აუცილებელი განადგურების პოლიტიკური მიზნები, არამედ ბერლინის დაჯგუფებისაც, თავისი ფიურერის ბუნკერიანად (სადაც ჰიტლერი, გებელსი, ბორმანი და კრებსი იმალებოდნენ საიმპერიო კანცელარიაში), ასევე ალყაში მოქცევის ტაქტიკური და საცეცხლე დეტალების მთელი სტრატეგიული ოპერაცია. აქ იუველირის სიზუსტითა და წესრიგით მოქმედებდნენ არტილერისტთა, ნაღმმტყორცნელთა, სატანკო, მესანგრეთა და ქვეითთა ნაწილები ისეთი მრავალნაცადი ორგანიზებული გრიგალისებური ცეცხლით, რომ თვით ჰიტლერისა და ევა ბრაუნის გვამებიც კი ძლივს გამოათრიეს ფიურერის ბუნკერიდან და დაწვეს (იხ. სქ. № 15).

30 აპრილს, როცა რაიხსტაგზე გამრჯვების დროშა აღიმართა, ფიურერის ბუნკერში ქორწილ-რეკვიემის შემდეგ დადგა ყველას მიერ დაწყევლილი ჰიტლერელებისათვის დამსახურებული სამაგიეროს მიზღვის ჟამი. ჯერ კალიუმციანიდით მოწამლეს ორი ნაგაზი, ერთი გაიტანჯა — ტყვიით მოკლეს და შემდეგ ორივე ბუნკერიდან გამოათრიეს. შემდეგ ახლადგამომცხვარმა მეუღლემ — ევა ბრაუნმა პისტოლეტით ხელში მოიწამლა თავი, რომ არ გაწამებულიყო, ჰიტლერმა პირში დაიხალა ტყვია. ტყვიის ცეცხლის წვიმაში გამოიტანეს ისინი და ძაღლებთან ერთად ჩაყარეს თხრილში, გადაასხეს ბენზინი და დაწვეს. დასაჯეს იტალიაში მუსოლინი და მისი ხასა, რომლებიც პარტიზანებმა დახვრიტეს და მილანის მოედანზე ფეხებით თავდაღმა ჩამოკიდეს.

ჰიტლერის გვამის ძებნისა და ამოცნობას ალმოდებულ „ბუნაგში“ მთელი ოპერაცია დასჭირდა, მის მსვლელობაში საბჭოთა სარდლობას უდგენდნენ ფსევდო-ჰიტლერის გვამებს. ბოლოს მკურნალი ექიმის მიერ ჩადგმული კბილისა და სხეულის ყველა დეტალის ანალიზის შეშვეობით მეცნიერული სიზუსტით დადგინდა ჰიტლერის ნახევრად დამწვარი გვამი. 1945 წლის 8 მაისს ჰიტლერს ანატომირება ჩაუტარა ბელორუსიის პირველი ფრონტის მთავარმა სასამართლო ექსპერტმა სამედიცინო სამსახურის პოდპოლკოვნიკმა ფაუსტ იოსების ძე შკარავსკიმ.

„ბაბელსბერგელ ხბოდ“ წოდებულ ჰებელსს ხუთი ქალიშვილი და ერთი ვაჟი ჰყავდა. 1945 წლის 1 მაისს 20 საათსა და 40 წუთზე ბავშვებს ნახევარ-ნახევარი კუბიკი მორფი მისცეს, მათ ჩაეძინათ, ისინი გაწითლდნენ და დედა — ტირანი მაგდა ჰებელსი ფაშისტ ექიმთან ერთად ბავშვებს პირს უხსნიდა და კალიუმციანიდით წამლავდა. შემდეგ ჰებელსი და მაგდა გამოვიდნენ და ჯარისკაცებს უბრძანეს მათთვის ესროლათ. ჰიმლერმა და რიბენტროპმაც თავი მოიკლეს. დანარჩენები დაატყვევეს და ნიურნბერგის გაერთიანებული სამხედრო ტრიბუნალის განაჩენით ჩამოახჩეს.

ასეთია უდიდესი პოლიტიკური ტრაგიკული ფინალი, მთლიანად ჩაიშალა სამხედრო დამნაშავეთა ხროვის გეგმები, რომლის მიზანს შეადგენდა შემდგომი სამხედრო რევანშისათვის ფაშისტური რეჟიმის შენარჩუნება. ფაშიზმის კერების სრულმა ლიკვიდაციამ პოლიტიკურად და სტრატეგიულად უზრუნველყო მსოფლიოს ხალხთა ხანგრძლივი მშვიდობა, რომლის მოპოვებაში სხვა ხალხებთან ერთად ქართველმა ხალხმა თვალსაჩინო როლი შეასრულა.

§

საქართველოს სამხედრო ხელოვნების ისტორია ახალი თავია ჩვენს ისტორიოგრაფიაში, რომელიც შემდგომში უნდა გაგრძელდეს. მთლიანად საქართველოს სამხედრო დიდების აღწერა აერთიანებს როგორც ისტორიული პრობლემების ელემენტებს, ასევე თანამედროვე მეცნიერული ინფორმაციის განსაკუთრებულად მოძრავ საკითხებს, მანამდე უცნობი აღმოჩენებისა და ფაქტების მთელი ნაკადის გამოცემით. აღნიშნული მეთოდი განუწყვეტლივ ვითარდება და ამიტომაც შრომის შედეგები, დებულებები და დასკვნები არ შეიძლება ჩაითვალოს საბოლოოდ. ისინი მოიპოვება ხანგრძლივი მეცნიერული ანალიზის პროცესში, რაც მომავალში კიდევ უფრო უნდა განვითარდეს, რათა საყოველთაოდ გახდეს ცნობილი ქართველი ხალხის დიადი საბრძოლო მამაცობის ფენომენი, რომელმაც ჩვენს ერს მსოფლიო აღიარება მოუპოვა..

I. I. Djorjadze

FOREWORD

The Georgians are one of those most ancient nations that were involved in the very first war known to humanity. A great many sanguinary wars raged in a large area — from Mesopotamia to the spure of the Caucasus — in the middle of the 3rd millennium B. C. devastating the most advanced and besutiful countries located there and exterminating their peoples, large and small. And only the most resistent and industrious nations managed to survive in this struggle of the fittest learning the most advanced methods of warfare and organization of labour processes. Backwardness invariably resulted in either partial or complete extermination of an ethnic community. Therefore, those unique tribes and nations who, out of the plethora of others, escaped annihilation in the course of military conflicts necessarily became custodians and inheritors of the invaluable treasury of martial art. Georgians, or more precisely, Georgian warriors were lucky to attain the peak of this art in almost incessant battles with the most advanced armies of the ancient world.

Beginning from the first war in Nearer Asia — an area most developed in warfare — and then in the period of antiquity, Georgians went through the classical military school of the Hellenistic epoch and that of great Rome in military alliance with whom they saw the beginning of the Christian era. Maintaining later analogous relations with Byzantium, Georgians mastered the military art of Greece and Rome through outstanding generals who led the armies of these countries, and through their thinkers, especially Xenophon: being a participant in military campaigns, he wrote, in 400 B.C., about the boundless courage and conspicuous gallantry, as well as the great military skill of Georgian warriors who were supported in battle by the entire nation, of which he was an eyewitness.

Of substantial influence on the development of the theory and practice of warffare in Georgia was the Hellenistic period marked by military and state reforms of Alexander the Great. Quite significant in this context are the contributions of his generals who spread Alexander' s new and advanced views and his experience wide abroad; they were later interpreted by Aristotle, his teacher. He made a thorough analysis of Epaminondas principle of non-uniform distribution of force, Alexander' s methods of using cavalry as an impart force aimed at destroying the enemy, etc. This new knowledge was readily absorbed by Georgians in the course of military campaigns, which was fortered by the fact that they had direct contacts with such foreign generals as King Mithridates of Pontus and a whole constellation of outstanding Greek and Roman strategists. It was in the military campaign against Colchis when the Greek general Xenophon for the first time in history resorted to breaking the unwieldy phalanx into smaller and better manoeuverable detachments known as

lochi, which gave him several highly manoeuverable tactical units able to act independently in the mountains. This idea gained great popularity in the armies of the world where these Greek lochi gave rise to divisions, subdivisions and other army units.

The art of warfare mastered by Georgians in ancient times and passed on from generation to generation was improving as centuries went by, and so was the technique of offensive, defensive and face-to-face battles, which, on the whole, conditioned victories over enemies largely surpassing in strength whom Georgians defeated adroitly, using the advantages of their own terrain. It is just such victories over much stronger enemies that empowered the Georgians to survive as a nation. They manifested their concentrated might and faith in their right cause, defended by their own generals and military thinkers. These victories displayed the heroic spirit of Georgrian warriors, of the entire nation selflessly defending their homeland.

Yet there were defeats, but the bitterness of this feeling, the land devastated by fire and destroyed towns and villages could not crush this nation. Like the Phoenix, it rose from the ashes and gained brilliant victories over much stronger enemies, earning such acclaim that many countries reputed for their belligerence knew better than attacking Georgia and preferred to have her as an ally, as did Rome and Byzantium who for over 1500 years regarded Iberia as their stronghold in the East: Iberians had a reputation of the most valiant and gallant warriors and defeated Parthians, Persians and others not only in coalition with Roman legions, but also single-handed. Such ups and downs steeled the Georgian people who, in the course of incessant wars against the Arabs, Mongols, Tamerlane' s hordes, Persians and Turks, perfected their military skill.

By joining the Russian Empire, Orthodox Christian Georgia put an end to her struggle against the Moslem world pressing her on all sides and insured her inviolability. The grest Russian military art of Peter I, Suvorov and Kutuzov was now fused with that of Georgia. The formidable might that resulted from that union stood unchallenged for two centuries and reached its peak in the revolutionary struggle of the proletariat in the Civil and in the Great Patriotic wars.

Trial by war is the strongest although the cruellest test a nation may be subjected to; it is a test for survival. Those peoples who failed it perished and disappeared from the historic arena. Successful withstanding this test of strength and faith and manifestation, in its course, of a nation' s stamins enables it to continue its existence and insures its further development. Therefore, the history of wars and martial art, the history of survival of nations in the pattern of the «survival of the fittest» model is the principal starting point for studying all the ramifications of their subsequent historic development.

However, in the history of many nations, particularly in the history of Georgia wars and the art of warfare are, unfortunately, very inadequately studied and their analysis *in toto* has never been made.

This, unfajry, leaves Georgia in the shade as regards her most prominent feature which makes this nation famous all over the world. Moreover, the sparse and fragmentary information concerning Georgia' s military history does not display its most important causative constituent: — the warrior p e r s e, from a private to a general — and his mother who gave him life and raised him and sometimes even outdid him in the battlefield and had a stronger willpower (it is not fortuitous that in Georgian such a woman is known as «DEDA — KATSI: — literally, «mother — men»). So it necessary, in the first place, to reveal how this war-like nation was able to survive in the unequal struggle, how it learned to despise death; it is necessary to trace the role of the mother who raised these heroes in the spirit of love of everything that belonged to their nation and characterized it; it is necessary to show how the Georgians mastered their weapons and horses and how they eventually gained perfection in the art of warfare.

Speaking with the lipe of Herodotus, Xenophon and other generals and thinkers of subsequent centuries (including Strabo), history itself especially appreciated such capacities displayed by the Georgian people as, for instance, battling with overwhelmingly stronger ememies. And this phenomenon is not fortuitous: in the course of 44 centuries this small nation warred with formidable foes who invariably outnombered them. This circumstance tempered Georgian warriors each of whom was prepared to give his life for homeland and, therefore, destroyed enemies not one by one, but score because he was in full control of his weapons and his horse and was in perfect physical and spiritual fitness since early childhood. This accounts for the fact why Georgian boys were kidnapped: they were later turned into Mamelukes reputed for being the most accomplished warriors — strong, skillful and brave. They crushed the best armies of the then world, headed the entire armed forces of states and not infrequently headed these states and were outstanding generals: however, they did all that under other names they were forced to assume in captivity.

The martial art of this small nation took shape in the course of millennia. This art had its own way of development, and the victories the Georgians scored over much stronger enemies essentially differed from one another in that each time new strategic and tactical solutions were sought and found and battles ended ultimately in seemingly impossible victories when one Georgian opposed 30 and even 60 enemies. It is to this striking phenomenon that Georgia' s historic military exploit owes its recognition in the world.

It is, therefore, not surprising that such a small nation has to its credit such historic military landmarks as the 200 heroes of the battle at Didgori, the 300 Aragvians, the 208 Kakhetians who boldly gave their lives for victory: the heroic brothers Mkheidze; Tsotne Dadiani and Aniketa — prototype of Spartacus; King Parnaoz who was the first to unite all Georgian tribes into a single integral state with a streamlined and clear-cut military and political structure, who crushed the armies of Ason — a creature of Alexander the Great; King

Pharsman II whose statue was erected in the Campue Martius in Rome for valour and for the art of face-to-face and group-to-group cavalry combat that even great Rome had never witnessed; King Vakhtang Gorgasali who never pulled out an arrow that had pierced him and thue fought the whole day because he needed victory and wanted to crush the enemy: he realized that if he pulled the arrow out he would lose much blood and be unable to lead his men to victory; King David the Builder — the creator of a strategy how a small nation can overpower large armies; Queen Tamar (queen in her own right), a spiritual leader and actual commanderin-chief her armies in major battles; the immortal Shota Rustaveli who brilliantly worded the Georgian strategic thougth and extolled in his poem the military exploit of the Georgian people; the unsurpassed general Giorgi Saakadze; the well-known nine Kherkheulidze brothers whose mother was in the very midst of the battle and anatching the banner from the hands of one killed son passed it on to another still alive and fighting Tevdore Kvelteli, a priest, who, in 1609, led a Turkish army into a place from where they could not find their way out, for which they put him to an agonizing death King Irakli II, a most valiant warrior and general, a shrewd statesman who succeeded in translating into reality the people' s dream of inviolability of their motherland and who, for this purpose joined his kingdom to the Russian Empire; popular heroes with Maya of Tskhneti, a brave warrior-maiden, most prominent among them; Prince Alexander Bagrationi, Emperor Peter I' s first Grand Master of the Ordnance, a man of unsurpassed gallantry, wisdom and nobility of spirit; General Peter Bagrationi — a follower and a personal friend of Suvorov and Kutuzov; a shepherd — warrior Shete Gulukhidze who had 3 «azari» to his account (.i.e. 300 enemies he had cut to death with his sword).

The present work is aimed at filling to some extent the blank gaps in the deplorably incomplete analysis of the military exploits of the Georgian people since its inception and trace this nation forming such lofty featuree as gallantry, feithfulness, valour, nobility of spirit and mutual support in battle, self-sacrifice, preparedness to sacrifice their own children for their motherland and many other qualities which took shape in the course of 44 centuries and manifested themselves in hard struggle against evil, perfidy, treachery at most crucial historic moments; the research shows how military exploits helped the Georgian people develop noble features and how education, culture and art, in their turn, boosted up warriors' morale; it also show how strength and faith, fused together, produced victories in battle, in everyday work and in education.

სარჩევი

შესავალი 3
თავი I სამხედრო ხელოვნება საქართველოში უძველეს ხანასა და ანტიკურ პერიოდში 9
თავი II ქართველები სპარსელებთან და არაბებთან ომებში 47
თავი III სამხედრო ხელოვნების განვითარება საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის პროცესში 80
თავი IV საქართველოს საომარი ხელშეკრულების მიღწევის გზები . 135
ბოლოთქმა საქართველოს ადგილი და როლი მეორე მსოფლიო ომში 239
რეზიუმე 253

გამომცემლობის რედაქტორი რ. ორჯონიკიძე
მხატვარი ვ. გიორგობიანი
მხატვრული რედაქტორი კ. ტუხაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ნ. ქავთარაძე
კორექტორი ე. ქვანია
გამომშვები დ. სადღობელაშვილი

ს. ბ. № 5859

გადაეცა წარმოებას 14.01.1987; ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.02.1990: საბეჭდი ქაღალდი № 60X84, გარნიტურა აკადემიური; პირობითი ნაბეჭდი თაბახი 14,88; პირ. საღრ. — გატ. 14.88, საღრ. საგამომც. თაბახი 15.69; ტირაჟი 2000; შეკვ. № 236;

ფასი 7 მან.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.
1990

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სტამბა,
თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19